1972/6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

6

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 48-ე № 6 ივნისი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გიორგი სამხარაძე — ლენინის სურათი. ლექსი . . . . . 3
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები . . . . . 3
გურამ კლდიაშვილი — ლექსები . . . . . 5
ტაგუ მეგურიშვილი — ლექსები . . . . . 6
გურამ პეტრიაშვილი — ლექსები . . . . . 7
ოთარ კანდელაკი — ლექსები . . . . . 8
შალვა ლორთქიფანიძე — ლექსები . . . . . 9
ვახტანგ ძნელაძე — ლექსები . . . . . 9
ნურმან ჯგუბურია — ლექსები . . . . . 10
შალვა ჩირაძე — ლექსები . . . . . 11
სოლომონ დემურხანაშვილი — გამოთხოვება. მოთხრობა . . . . . 12
აკაკი ვასაძე — ყინულის მარწუხებში. მოთხრობა . . . . . 57
ნიკოლოზ მიქავა — ჟამი დიდებისა. ნოველა . . . . . 95
შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტების ლექსები. თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა . . . . . 105

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. ქუთათელაძე — ლენინური ეტაპი ესთეტიკაში . . . . . 110
აკაკი თოფურია — კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია . . . . . 117
ალექსანდრე კალანდაძე — სტილის პრობლემა 60-იანი წლების პოლემიკაში 136
გიორგი ავალიანი — საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში . . . . . 158

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

ირაკლი ლამბაშიძე — ბერძენ და ლათინელ ავტორთა ამოუხსნელი ცნობები ძველ კოლხეთზე . . . . . . . . . . . . . . 166
რამაზ პატარიძე — ქართული ასომთავრული. გაგრძელება . . . 186

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. მდივანი), ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 30/IV-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-72 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01932 ტირაჟი 13.350. შეკვ. № 1585.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სამხარაძე

## ლენინის სურათი

1921 წლის აპრილში ჩემმა მეზობელმა თბილისიდან ფერსათში ჩამოიტანა ლენინის პორტრეტი. სოფელმა პირველად იხილა ბრძენი ბელადის სახე.

კრძალვით უცქერდა დიდ მოიმედეს,
ის იყო ფიქრი დღეის და ხვალის,
დაკოჟრილ ხელით მიაკრა კედელს,
სადაც ეკიდა თოფი და ხმალი.
სადაც ეკიდა ორი რქა ხარის,
ზამთარში სურნელს ჰფენდა აკიდო,
ძირს ჩამოაგდო ათასი ხატი
და თქვა „ეს კაცი უნდა ვადიდო“.
გლეხს არ ინდობდა აქ მიწა, იქ — ცა,
დღეს რა იღბალმა გაუჭრა ნეტავ!..
თითქოს ეს ქოხი სასახლედ იქცა
და ეს სურათი შეედგა სვეტად.
უცხო ამბავი სულ შორს გაიჭრა,
ამ ახალ ამბავს კვირტიც კი ჰყვირის.
მთას და ბარს მოსდო პატარა ბიჭმა
„ჩვენთან მობრძანდა პირველი გმირი“.

ის პირველ ღამეს ქართველთან ითევს,
ღვინო ამღერებს თიხის სველ სურას.
ქალები ტუჩზე იდებენ თითებს
და შეჰყურებენ ამ ნათელ სურათს.
წყაროც ჩხრიალით სხვა სიტყვებს ამბობს
და ეზოს მოლი სხვა ეშხით შვენის.
ბევრი სტუმარი მოადგა ამ ქოხს,
ბევრი მნახველიც ეწვია ლენინს.
დიდი, პატარა მორბოდა აქეთ,
კარებთან იდგა ხალხის რიგები.
აქ მოდიოდნენ ჯგუფად, ცალ-ცალკე,
საურმე გზით და მთის ბილიკებით.
ერთიმეორეს ახლა ვინ აცლის,
ხარბად შეცქერენ სინათლის მომფენს,
ყველას დღეს სურდა ენახა კაცი,
ვინაც სიცოცხლე უბოძა სოფელს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

## შ ე გ ო ნ ე ბ ა

წყნარად დავდივარ
რომ სიჩუმე
არ შევაშფოთო,
ჩემმა ფეხისხმამ

სულ არავინ
არ შეაწუხოს.
უცნაურ ჩემს სულს,
ამბოხებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც თოთოს,
თვალმიუწვდენი
ახლობელი
ცხოვრება უხმობს.
რა საჭიროა,
რას შეგმატებს
სხვა შეაწუხო,
სხვას დააყვედრო
ეს პატარა
სიცოცხლე შენი,
უნდა ილვწოდე,
გააკეთო,
უჩუმრად, უხმოდ,
საქმენი კაცის
სასახელო
და დამამშვენი.

## მხოლოდ ოცნება...

შენ ჩემთვის გაჩნდი
მიმწუხრის ჟამს,
ვით ცისარტყელა.
თითქოს გავცოცხლდი
დაღლილი
და განაწვალები.
ჩავაქრობ მთვარეს,
ვარსკვლავებსაც
ჩავაქრობ ყველას,
ბნელში რომ უფრო
ანათებდნენ
შენი თვალები.

## წვიმის წვეთი

ქარი უცბად შემოიტანს
წვიმის წვეთებს,
გამთბარ ფიქრებს
გასაოცრად დამიფეთებს.
დამეცემა და გაქრება
წვეთი წვიმის,
შიგ რომ ჩემი სუნთქვა იყო
ამის, იმის.
მერე ისევ შეერევა
ღრუბლის ფარას,
გაიშლება, გადიდდება —
მზეს დაფარავს.

## ჩემს თანატოლს

შეაბერდები ამ ქვეყანას და ისე ივლი,
რომ ვერ შეგვამჩნევს ვადაგასულს ვერსად,
ვერავინ,
შემოგეხევა შენი დროის ტანზე პერანგი
და დაიცლება მოლოდინის უჯრა და სკივრი.
გაცრეცილ ლანდებს მერე მარტო
შეეხიზნები.
ხანდახან ჩუმად გაუღიმებ და დაყურდები.
რა შორს წასულა ყველა დროის შენი
მიზნები
და ახლა მარტო სევდანარევ ფიქრებს
უნდები.
კაცო მოხუცო, რატომ ჩქარობ, რატომ
ღონდები.
შენ გიცხოვრია.
გიბრძოლია ქვეყნად იმდენი.
რომ მოგნახავენ,
შეგამჩნევენ,
მოაგონდებით.

გურამ კლდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველა ერთი მიწისა ვართ!

ჭირის დღე და სალხინო დღე
ერთად გაგვთენებია...
ცალკე კუთხეს ნუ ვახსენებთ. —
ყველა ქართველები ვართ,
კახეთშიაც ქართლს ვიცავდით,
იმერეთში — გურიას,
და ხომ ვიცით, რომ თბილისი
ყველა კუთხის გულია.
საქართველოს ტკბილ ოჯახში
მკვიდრ წევრებად შესულებს
ქართველები არა ხართთქო,
აბა, უთხარ ხევსურებს!
ანდა ფშავებს — თექაშავებს,
ზვიადებს და გულფიცხებს,
ქართველები არა ხართ თქო,
თუ ბიჭი ხარ, უმტკიცე!
ყველა ერთი მიწისა ვართ,
ყველა ერთი ოჯახის,
ქართლშიც, ფშავშიც, ხევსურეთშიც
ვისმენთ ძმათა მოძახილს.
ერთად ვსუნთქავთ, ერთად ვმღერით,
ახდა რასაც ველოდით,
ვიამაყოთ
არა კუთხით,
მხოლოდ საქართველოთი!

* * *

ბატონო გალაკტიონ!
როცა პირველად გნახე,
მკერდზე ჟღალი წვერი დაგფენოდა,
ნიჭით დაგღაროდა სახე.

მიაბოტებდი... მიწაც გრძნობდა შეუცნობ ძალას,
ანგელოსივით მოგვევლინე გრძნეულ ხატიდან,
უცნობ-ნაცნობებს გამორჩევით აძლევდი სალამს,
და რემა ხალხი უკან გდევდა როგორც მანტია.

ფეხისწვერებზე შემდგარიყვნენ: „ნეტავ ვინ არის?“
უცხოდ ენიშნათ ფერწასული ფეტრი და პალტო,
მოკვდავ კაცებში ირხეოდი ვითარც ჩინარი
და სიმაღლეში გაუტოლდი მთაწმინდის პლატოს.

საყვავილესთან ერთი მუჭა ია იყიდე,
ია კი არა ერთი მუჭა ცისფერი ნისლი,
პორტფელი გეპყრა და შიგ გედო ქვეყნის სიმდიდრე,
ასიოდ ლექსი მოყვანილი უზღვავი სისხლით,

ბატონო გალაკტიონ!
იმ დღეს პირველად გნახე,
მკერდზე ჟღალი წვერი დაგფენოდა,
ნიჭით დაგღაროდა სახე...

ე[illegible]ბუ მებურიშვილი

* * *

ეს შენ გგონივარ
გატრუნული და გასუსული,
აკლებულია
აჯანყებულ სურვილით სული...
ჩემს თავზე წლობით
დამხობილი ცა ერთი ციდა,
დღეს თვალუწვდენელ
სიმაღლეზე ვინ ამიზიდა!
ვინ გაახსენა
ჩემი თავი მამაზეციერს,
დღეს რად ისურვა
თავის ტოლად გადავექციე!
ვინ მომახურა
ახალი წლის
შუქი მანტიად,
ამ გრძნეულ წამში
საუკუნე ვინ ჩაატია!
თეთრი ღიმილის,
არნახული,
ტკბილი დარია...
და მიხარია,
მიხარია,
და მიხარია.

* * *

ვწივარ და ვფიქრობ,
მთებზე ნისლი გადაიცრიცა,
როდის მინახავს
ამ სარკმლიდან
ამნაირი ცა.
თანდათანობით იმოსება
ბინდით სოფელი,
ცოცხლდება რაღაც
შორეული და ახლობელი.
ჩამქრალი სივრცით,
ბუხრის კვამლით
და მყუდროებით
და სევდით ჰგვანან,
საღამოებს საღამოები.
ფუსფუსა დედა!
ბუხარი და...
ბუხრისპირ კატა.
ღმერთო, მაღალო,
რა თბილია სამშობლოს კალთა.

* * *

გვიხაროდა სიყვარულის
მოლანდება კეთილი,
ჭრიალებდა გულის კარი
წლობით გამოკეტილი.
ზეიმობდა თვალი თვალს და
სული სულს ჩაფრენილი,
ბედი — გვიან გამომცხვარი
ობლის ციცქნა კვერივით.
შავი ღვინით მონათლული
ჭურს და მარანს გიქებდი,
ივსებოდა,
იცლებოდა, —
თენდებოდა ჭიქები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზის გაცოცხლება

გადავაბიჯე ხმაურის ზღურბლზე,
დგანან მუხები მორთულნი ყვითლად;
როგორც ფრთოსნების ფერადი ბუმბლი,
ფოთლები ნიავს გამოაქვს ტყიდან.
მოთქვამს დუმილი
მზე კვლავ დააცხრა
ხშირი ტოტებით მოქსოვილ ჭერხოს...
ვეძახი სიყრმეს, პასუხის ნაცვლად
ვუსმენ სირბილით დაქანცულ ეხოს.
მივყვები გზაწვრილს,
ლურჯი არილი
ხიდან მიწაზე ჩამოცოცდება;
და უხარია
მშობლიურ მიწას
ოცი წლის მკვდარი გზის გაცოცხლება.

გურამ პეტრიაშვილი

## ორანჟერეა

დაჭირხლულ ბაღში
დიდ ხეებს შუა
წვანან მინის დირიჟაბლები,
თითქოს ამ წუთას
მოსულნი შორით...
ნეტავ რა ქვეყნებს გადაუფრინეს
და რომელი მზის
შუქით
აივსნენ.
ან რომელი ცის ლაჟვარდებში
იხეტიალეს,
რომ ყველა მგზავრი,
კარგიც და ავიც,
ყვავილებად გადაქცეულან?

## სკოლა

მთელი ღამე
ნათელ შენობას
გარშემო უვლის
ღამის დარაჯი...
სიჩუმეა და
დიდ ოთახებში
მერხები დგანან,
თითქოს ბოროტ ღმერთს
დაუნგრევია
ასასვლელი ზეცაში კიბე,
მაგრამ წმიდა საფეხურები
კაცს
სათუთად
შემოუნახავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ კანდელაკი

## ბროწეულები

ბროწეულები აყვავილდნენ,
ბროწეულები
და ღობემძვრალას დრო დაუდგა
საასპარეზო.
ცა მოიჭედა სადაფისფერ
ღრუბლის ქულებით
და მწვანე ფერმა სულ დაფარა
პატარა ეზო.
პატარა ეზო დაიფარა
მოლისფერ ნოხით,
ფერთა ლივლივი თვალს ახარებს
და გულს ალაღებს,
დგას ჩემი ქოხი
დაბურული, ხეთა ჩეროში
და სიო კოცნის გამშრალ ბაგით
ლორთქო ბალახებს
ბროწეულები აყვავილდნენ,
ბროწეულები
და ჭრელ კოდალას დრო დაუდგა
საასპარეზო,
ცა მოიჭედა ჰაეროვან
თეთრი ღრუბლებით
და გაზაფხულმა ყვავილებით
მოქარგა ეზო.

* * *

რძით ილვინთება ხეზე ფოთლები,
და ქარი წეწავს მაღალ ლელიანს,
მიწა გუგუნებს ირმის ფლოქვებით,
ლოყები ეწვით ვარდებს ცეცხლიანს,
ჩემს სულშიც ახლა ცეცხლი ბრიალებს,
ცეცხლი უფრორე სხვანაირია,
აპრილი ლომსაც ააღრიალებს,
მე რომ ვიმღერო გასაკვირია?!

## ლოდინი

ცამ გაიდვა ცისარტყელა ხიდად,
მზე ოქროს შუბს ღრუბლის ქულებს ახლის,
როგორ გავძლო მე უშენოდ მშვიდად
მეშინია ცარიელი სახლის.
ტანში მჟრჟოლავს, ჟრუანტელი მივლის,
გამახელებს ვარდობისთვის დარი,
ჩემს ძახილს და სურნელებას დილის
ჸუ მგელივით გაიტაცებს ქარი.
ცამ გაიდვა ცისარტყელა ხიდად,
ცის ტატნობმა გაიმაგრა წელი,
როგორ ვიყო მე უშენოდ მშვიდად,
გზას გავყურებ, გეძახი და გელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ლორთქიფანიძე

## ჰიმნი ახალგაზრდობას

გამადნობელი რვალის,
ტკბილ მოსაუბრე ენით,
მხოლოდ იმედი არის
ახალგაზრდობა ჩვენი

ტრფობას არ აქვს ბოლო
და ამ შეწამულ ფერით
წინ გზას გვინათებს მხოლოდ
ახალგაზრდობა ჩვენი!

დროშად მიუძღვის მაისს,
ქარგავს მშვიდობის წერილს,
იმედი დღეის, ხვალის
ახალგაზრდობა ჩვენი.

სიხარულს მოაგელვებს,
ისეთს, ვერ აწერ ენით.
და უხმობს მრავალ ფერებს
ახალგაზრდობა ჩვენი!

* * *

მე ვკვდებოდი, გიტოვებდი
ჩემი ლექსის კარაბადინს,
მხოლოდ გულით მაცოცხლებდა
ამ ცისა და მიწის მადლი.

მე ვკვდებოდი, გიტოვებდი
გაზაფხულის ზღვაურ ფერებს.
ჩემი ქვეყნის დიდ სიყვარულს,
ჯერ უთქმელს და დაუწერელს

ვახტანგ ძნელაძე

## სინათლის ჯარისკაცი

მამულის მზეო, ყანავ და ზვარო!
ლენინის დროშავ, ოქტომბრის ტოლო!
მე თქვენ მამაღლებთ, მე თქვენით ვხარობ,
სულით და ხორცით თქვენი ვარ მხოლოდ!

მე მსურს მტრედებმა იფრინონ მშვიდად,
ვარდებს გვაყრიდეს ცა სინამდვილის;
მე მსურს სიკეთე, დედათა, შვილთა,
მაგრამ არსებობს სულ სხვა წადილიც...

სიკვდილს რამდენჯერ შევხვდი, ვინ
დათვლის,
საშვილიშვილო მებარა საქმე;

მე ჯარისკაცი მერქვა სინათლის
და სინათლისთვის სინათლე დავთმე.

და ის ნათელი, ოქროს ალებით
დღეს ცა და მიწა რომ შეუმკია,
მზისა კი არა,
ჩემი თვალების,
ჩემისთანების თვალთა შუქია.

ამიტომ ვამბობ მე დაღდასმული
კაცის ტკივილით და მრისხანებით:
— არ უნდა აღსდგეს ცეცხლი ავსული!
კვლავ, აღარ უნდა ჩაჰქრეს თვალები!

## სალამი სინათლეს!

მე ვარ ქარიშხალი,
შმაგი და მბორგავი,
ფრთებს კლდეთა ზღუდეებს ვახლი;
მე ვარ დღის სიმღერა,
მე ღამე მოვკალი,
როგორც ცოფიანი ძაღლი.

რაა ხორციელი ჯვარცმა და გოლგოთა,
თუ სულში დიადი მზე დგას!
ჩემში რომ წყურვილის
რითმებად მოგროვდა,
სალამი სინათლეს მედგარს!

* * *

რეკავს ტელეფონი, როგორც რწმენა,
რომ სულს მიატოვებს ფოთოლცვენა,
რომ ხვალ უკეთესი დღე იქნება,
რომ გზა გრიგალისთვის შეიკვრება,
მოვლენ სიხარულის ფეიქრებად
მზენი სიახლეთა ასულები.

რეკავს ტელეფონი — რვალის რწმენა,
ძველმა მეგობარმა გამიხსენა,
იმ ხმის შუქი მაკრავს გარს ულევი.

ის ხმა არასოდეს გახევდება,
ის ხმა არასოდეს დამიწდება.
რეკოს ტელეფონმა გამხნევებად!
მოსრას კაეშანი ღამისფრთება.

**მურმან ჯგუბურია**

კვლავ გამახსენდა გამახსენდა ჩემი ოქუმი:
ურმის ჭრიალი და საღამოს ჭალისპირეთი,
პლანტაციიდან ბრუნდებიან სოფლის
ცირები,
მე გამახსენდა უეცარად ჩემი ოქუმი.
რამ გამახსენა მე ანაზდად ჩემი ოქუმი?
მიდის ჩოქოლი ქვაჩახია გულგაღეღილი,
მუშაობს გლეხი და სავსე აქვს მარად
ბეღელი,
მე გამახსენდა გამახსენდა ჩემი ოქუმი.

რამ დამავიწყა ამდენი ხნით ჩემი ოქუმი?
დიდი გიორგი ფიქრიანი გასცქერს სანახებს,
შორია ფიქრი და ეკვრება ფეხებს ტალახი,
მე გამახსენდა გამახსენდა ჩემი ოქუმი.

მე გამახსენდა, გამახსენდა ჩემი ოქუმი:
ბიცოლაჩემი ტკბილთან ერთად ჰკიდებს
წიწაკას.
ან რას ვისწავლი მე სხვანაირ
ცხოვრებისაგან —
რამ დამავიწყოს ქვეყანაზე ჩემი ოქუმი!

## სვიმონ ძარასელიას

სადაც მეჩხერი ტყეა ბამბუკის
და ძველისძველი ტრიფოლიატი —
ეს მერამდენედ ანათებს არეს
რიჟრაჟისფერი შუქი დიადი?

ღმერთს უყვარს ჯუმისპირა ფერდები,
ხვიფლიანია აქეთ მიწები;

აქ დაიბადე, აქ დაბერდები,
აქაურ მზეს და მადლს იფიცები.

აქ ჩიტმაც იცის სურვილი შენი,
მუშაკობ მიწყივ და არ ღონდები,
გლეხს ამნაირი ცხოვრება შვენის,
შენც ამნაირი მოაგონდები

შალვა ჩირაძე

## სოფელო ჩემო

მთესველს დაუდგა ნანატრი დარი,
ხასხასებს ზეცა მწვანე მოლივით,
ფრთებს იმტვრევს ხეთა რტოებში ქარი
და ბორგავს ველზე ტყეგამოვლილი.
გახარებული მივყვები შარას,
რძე გადმოტირის თუთებს შებელილს
და წამით უკან მოხედვა კმარა,
რომ აფრთხიალდნენ მოგონებები.

მჯერა, მომელის თვალების ლულვით
სიჩუმე-ჩამქრალ კერის ხიზანი.
მინდა გუშინდელ ნატვრას და სურვილს
თვალწინ აუნთო ჩემი მიზანი...
სოფელო ჩემო, მზერას გისწორებ,
მკერდში გიხუტებ, ჩემო ბალღობავ,
განვლილმა წლებმა, დრომ და სიშორემ
დღეს შენთან უფრო დამაახლოვა.

## მეამაყება

ნეამაყება ალმური ამ მზის,
და უხვი კალთა, ზვრების, ყანების,
ზეცა ისეთი ღიმილით დამმზერს,
თრთოლვით იღება გულის კარები.
მეამაყება ზღაპარი, მითიც,
ძალაც მთებური, მამულო შენი,
კვლავაც, რომ მაღლა ისწრაფვის მიდის,
ლაჟვარდებამდე ასული რწმენით.

დამყვება ყველგან მე შენი მადლი.
მარადისობის სუნთქვას შერთული...
მეამაყება ვით დღის სინათლე
ოდოია და გუთნისდედური.
მეამაყება ალმური ამ მზის,
და უხვი კალთა ზვრების, ყანების,
ზეცა ისეთი ღიმილით დამზერს,
თრთოლვით იღება გულის კარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ დემურხანაშვილი

# გამოთხოვება

## მოთხრობა

### I

წუხელ ძილი გამიკრთა· ოცნებამ გამიტაცა· რა დაგიმალოთ და, მიყვარს ოცნება. წევხარ რბილად ლოგინში და ოცნებობ. ხან ოქროს ტახტზე ზიხარ და ხელთ ოქროს კვერთხი გიპყრია, ხანაც მათხოვრის ჯოხი· ხან უბადლო მეომარი ხარ, ხანაც დიდად სწავლული. თქვენ თუ გნებავთ, ნუ დაიჯერებთ, მე მაინც ჩემსას გეტყვით: ოცნება სასწაულებრივი და თანაც იოლად საშოვარი წამალია. ოცნება რომ არ შეეძლოს კაცს, გული გაუსკდებოდა. ჩვენ ხშირად დავცინით ხოლმე მეოცნებე ადამიანებს, მაგრამ ყველანი ვოცნებობთ; დიდი თუ პატარა, ბოროტი თუ კეთილი, ბრძენი თუ სულელი· ყველა ჩვენებურად ვოცნებობთ და ამ დროს ვამჟღავნებთ მთელ ჩვენს სულს თავისი სიბნელითა თუ სინათლით· მეოცნებეებს კი მარტო იმათ ვეძახით, ვინც გულუბრყვილონი, კეთილნი არიან და თავიანთ ოცნებას არ მალავენ. ეჰ, კეთილო ხალხო, ვის უხვევთ თვალებს განა თქვენ კი არ ოცნებობთ? ვინ იცის, რამდენი გადაგიყენებიათ თანამდებობიდან და მისი ადგილი თქვენ დაგიკავებიათ. რამდენისთვის წაგირთმევიათ ნიჭი და თქვენ მიგიბოძებიათ, რამდენი უფრო მეტადაც გაგიწირავთ. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, მაშინ ჩაგიდენიათ, როცა მარტოდმარტო დარჩენილხართ თქვენს ფიქრებთან, თქვენს ოცნებასთან, მერე გამოდიხართ სოფელ-ქვეყანაში, ინილბებით და მამა აბრამის ბატკნებად მოგაქვთ თავი.

ყველა თავისებურად ოცნებობს, კეთილი კეთილად და ბოროტი ბოროტად. მეც ჩემი საოცნებო მქონდა წუხელ· ხან უნივერსიტეტის აუდიტორიაში ვიჯექი და ლექციებს ვისმენდი, ხან არდადაგებზე ვიყავი სოფელში ჩამოსული და ხანაც მეცნიერულ შრომას ვწერდი ლიტერატურის დარგში·.. ლიტერატურა ძალიან მიყვარს და იმიტომ გამახსენდა. ეგ კი არა, ჩუმ-ჩუმად ლექსები და მოთხრობებიც შემითხზავს.

ერთი სიტყვით ოცნებამ თავის ნებაზე მაბურთავა. გარიჟრაჟამდე ვიბორგე და მერე დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით ჩამეძინა.

ცხრა საათზე გამეღვიძა· ზაფხულის დღეში ცხრა საათი ეს ის დროა, როცა ხალხი მუშაობითაა გამაძღარი და ავადმყოფისა და მოხუცის მეტი შინ აღარავინ არის დარჩენილი· სოფელი სისხამ დილით იღვიძებს, ბღავილით გაილალე-

ბა ნახირი საძოვრებისაკენ, მიწყდება ქათმების კრიახი, ბაღ-ვენახებისკენ გაიკრიფება ქალი თუ კაცი და მინელდება სოფლური დილის ხმაური. მერე ზაფხულის ცხელი მზე ამოიწევს, ცეცხლს დაანთებს და ყოველივეს მიაყუჩებს. ეტყობა, ამ მზის მცხუნვარებამ გამაღვიძა მეც. პირდაპირ ზედ წამომდგომოდა.

— დილა მშვიდობისა, ვაჟბატონო! დღეს რა დღეა თუ იცი? — საგარეო ტანსაცმელში გამოპრანჭული ჩემი და კარებში იდგა და მიღიმოდა.

— დღეს ხუთშაბათია.

— არა, რა რიცხვია?

— ათასცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის ოცდაათი ივნისი, — დავუზუსტე.

— ჰოო... მერე? შე მძინარავ, დღეს ატესტატებს გირიგებენ. შენმა კლასელებმა, რა ხანია გაიარეს სკოლისაკენ. შენ კიდევ ლოგინში გორაობ. ადექი ახლავე და წადი. მე კლუბში მივდივარ, სიმღერის გუნდის მეცადინეობაა.

ჩემი და გადასარევად მღერის. ახლა ოლიმპიადისთვის ემზადებიან და ყოველდღე მეცადინეობენ.

— რატო აქამდე არ გამაღვიძე?

— დილას დედაჩემმა გაღვიძა და ვერ გაგაღვიძა. ადექი, აღარ დაიძინო მე მივდივარ. საუზმე მზად არის. — შებრუნდა და წასვლა დააპირა.

— მოიცა.

— რა გინდა? — ისევ მობრუნდა.

მე დაჟინებით დავაცქერდი. ცისფერი, მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა და რატომღაც ახლა ვიგრძენი, რომ ეს კაბა საოცრად შვენოდა. უხმოდ მივჩერებოდი მის ოდნავ ფერმკრთალ ეშხიან სახეს, შავ თმასა და ნაზ, გრძელწამწამებიან დიდ თვალებს. თითქოს ახლა ვიგრძენ პირველად, რომ ჩემი და დაქალიშვილებულიყო და რაღაც მტკივნეულმა ეჭვმა თუ სინანულმა გამკენწლა.

— რა გინდა, მითხარი ჩქარა, მაგვიანდება!

— ვის ეპრანჭები, ალიწეწიავ?

ეშმაკმა იცის, ეს ზედმეტი სახელი საიდან გამახსენდა. ბავშვობაში ჩემი და ერთი ალიკლანჭა ვინმე იყო, მთელ უბანს გარს უვლიდა. სულ ბიჭებთან თამაშობდა და ხან ერთს ააღრიალებდა, ხან მეორეს. როდის როდის მოვიდოდა შინ, ალივით თმაგაწეწილი, ფეხებდაკაწრული. მთელი სოფელი ალიწეწიას ეძახდა. მერე, როცა წამოიზარდა, ის ჩვევაც დაკარგა და ეს ზედმეტი სახელიც მივივიწყეთ.

გაოცებით შემომხედა ეტყობა, არ მოელოდა თუ ეს სახელი კიდევ გამახსენდებოდა.

— ე, — ესღა თქვა და ყურებამდე აწითლდა, არ ვიცი, სიბრაზისაგან თუ სირცხვილისაგან.

— წადი და ჭკუით იყავი! — სიყვარულით გავუღიმე და თვალი ჩავუკარი. ერთხელ კიდევ შემომხედა რაღაც უცნაური ეჭვით, მერე კეკლუცად შებრუნდა დc წავიდა. კიბეზე მესმოდა იმისი ფეხის ხმა.

ჩემი და!.. ჩემი ერთადერთი და!...

რა უცებ დაქალიშვილდა. უკვე მეთერთმეტე კლასში გადავიდა. ახლა, ამ წუთს ვიგრძენი, რომ აღარ არის ის პატარა ალიწეწია გოგო, ჯერ კიდევ გუშინ ფეხშიშველი რომ დაატლაპუნებდა წვიმისაგან მოდიდებულ რუში, ცალი თითით ოსტატურად უსტვენდა და თანატოლ ბიჭებს ნიშნს უგებდა. რა უცებ შეიცვალა. თითქოს ვიღაც ბრძენი ჯადოსანი მოვიდა, გადაუსვა თავზე დიდი, ბებრული ხელი და ჩასჩურჩულა: ღმერთისაგან გეშინოდეს, მშობელთაგან გრცხვენოდეს, მოყვარეთა ვანეკრძალე, დადინჯდი და განაზდიო.

იგი როგორღაც გაუცხოვდა ჩემთვის და ამავე დროს უფრო მახლობლადაც იქცა. დაქალიშვილდა, გაივსო, განაზდა და დაყუჩდა ყურძნის მტევანივით თვალი შეუვიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც არის გულიდან მოგწყვეტენ. წავა, სხვის ბუდეში დაიდებს ბინას, სხვის ჯიშსა და ჯილაგს მოამრავლებს.

გულზე ნაღველი შემომაწვა.

ჩემი ობლად გაზრდილი ერთადერთი და!..

საბანს ხელი გავკარ და წამოვხტი. ათ საათზე სკოლაში უნდა ვყოფილიყავ. დღეს უკანასკნელი დღე იყო, სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებოდი სკოლას და ჩემს სიყრმეს.

პირი დავიბანე, წავიხემსე და წავედი. თაკარა, მზიანი დღე იდგა. მთელი მაისი და თითქმის ივნისიც უჩვეულოდ გრილი და ავდრიანი იყო. და აი, ეს ათიოდე დღეა ზაფხული გამძვინვარდა. ლეკის მთაზე თოვლი უცებ ჩამოდნა და იალაღები ამწვანდა.

ორღობეზე მივდივარ მოკლე გზით. კაციშვილი არ ჭაჭანებს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილა, თითქოს მთელი სოფელი დიდ-პატარიანად სადღაც გადაკარგულა, მიუტოვებიათ სახლები, ეზო-კარი და გადაძევებულან. ხანდახან ხვლიკი გაიფაჩუნებს, შემომხედავს თავისი წვრილი, ცნობისმოყვარე თვალებით და მერე ღობეში გაიელვებს მისი მწვანე ზურგი. აგერ, გორაზე თეთრად აღმართული ჩვენი სკოლაც! შორიდანვე იგრძნობა ის დუმილი და სიმშვიდე, ზაფხულის არდადაგებზე რომ გამეფდება ხოლმე ყოველ სკოლაში.

ჩვენი სკოლა ორ სართულიანია, მაგრამ ქვედა სართული მიწიდან რამდენიმე საფეხურითაა დაშორებული. პირველ სართულზე საკლასო ოთახებია, მეორეზე კი დირექცია, სამასწავლებლო და ერთიც სამპატრონიანი კაბინეტი. სამპატრონიანი იმიტომ არის, რომ სამი კაცი იჩემებს. ფიზიკის მასწავლებელი ამბობს, ფიზიკის კაბინეტიაო, ქიმიის მასწავლებელი გვარწმუნებს, ჩვენიაო, ხოლო ზოოლოგიისას თუ ჰკითხავთ, ერთადერთი სრულუფლებიანი პატრონი მე ვარო. ალბათ თვითეულ მათგანს ჰგონია, რომ ჩვენ გვაჯერებს.

კლასში როგორც კი თავი შევყავი, ბიჭებმა ჟრიამული ასტეხეს.

— ბენდელიანს გაუმარჯოს, ბენდელიანს!

რვა კლასი რომ დავამთავრე, მაშინ თბილისში არსებულ ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის საფრენოსნო სასწავლებელში შევიტანე საბუთები, მაგრამ ჩემი მათემატიკის პატრონს იქ ცხვირს ვინ შემაყოფინებდა, დამემსხვრა დიდი ოცნება და იქვე ჩემს სკოლას დავუბრუნდი. იმ დღიდან „ბენდელიანად“ მომნათლეს.

ვიღაცამ დაიძახა, მოდიანო და მთელი კლასი გაინაბა. ყველა თავის ადგილას დავსხედით. ბეწვზე არ მოვუსწარი!

დერეფანში ჩვენი დამრიგებელი ნინო მასწავლებელი და დირექტორი მოდიოდნენ, უფრო სწორად იდგნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ.

უცებ ზარის ხმა გაისმა. სკოლის დიდი ზარი რეკდა გაბმით. მთელ სკოლაში ჩვენი, მეთერთმეტე კლასის გარდა არავინ იყო. სწავლა დიდიხანია შეწყდა, გამოცდებიც დამთავრდა, ჩვენ მხოლოდ ატესტატებისათვის მოვედით და ეს ზარი ვიღას რაში სჭირდებოდა?

მომეჩვენა, რომ ამ სიმშვიდეში სულ სხვაგვარად ისმოდა ზარის ხმა.

ჩვენი სკოლის ზარი პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში დაირეკა, მაშინ, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით აშენდა ამ გორაზე სკოლა. იმ დღიდან რეკდა ეს ზარი და სწავლისთვის უხმობდა ახლო-მახლო სოფლის ახალგაზრდობას. რადგან მაშინ საშუალო სკოლა ერთად-ერთი იყო ალაზნის გაღმა-გამოღმა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი გააცილა ამ ზარმა და ცხოვრების მიმოქცევაში ზოგი ბედს სწია, ზოგიც უბედობას. ეს ზარი ახლა ჩვეულებრივ როდი რეკდა, იგი თითქოს მიგვაცილებდა, მისი პირით თითქოს ცხოვრება გვიხმობდა და ვინ იცის, ვის საით.

უკანასკნელად დაიკვნესა ფოლადმა, გაიჟღარუნა და დადუმდა.

კლასში ნინო მასწავლებელი და დირექტორი შემოვიდნენ.

— დასხედით, დასხედით! — გვითხრა ნინო მასწავლებელმა და გამხდარ, მწვანე სახეზე ღიმილმა გადაუარა. კლასში შემოსვლისთანავე ეს ღიმილი ედგა სახეზე. მისთვის ჩვეული და ჩემ-

თვის კარგად ნაცნობი ღიმილი, თხელი ტუჩების მარცხნივ რომ გაუკრთებოდა ხოლმე. აღტაცებასა თუ სიხარულს, საღიმილოს თუ საკისკისოს ამ ნაზი ღიმილით გამოხატავდა. ხმამაღლა გაცინებული იგი ვერც კი წარმომედგინა. ნინო მასწავლებელი მეცხრე კლასიდან გვასწავლიდა ქართულ ლიტერატურას და იქიდან ჩვენი კლასის ხელმძღვანელიც გახლდათ. საოცრად მიყვარდა იგი, რაღაც მშობლიურს და მახლობელს ვგრძნობდი მისგან. ვერ გეტყვით, სხვაც ასე იყო თუ არა, მაგრამ მე ეს გრძნობა არასოდეს შემრყევია. იმ დღიდან, რაც წმინდა შუშანიკის წამება ვისწავლეთ, ჩემს წარმოდგენაში შუშანიკი და ნინო მასწავლებელი ერთ არსებად იქცა. მე შუშანიკი სხვანაირი ვერ წარმომედგინა, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო: სუსტი და გამხდარი. ასეთი ღიმილი უნდა სცოდნოდა.

ხანდახან სულელივით ვიფიქრებდი, ეგებ ცად აღვლენილი შუშანიკის წამებული სული დაბრუნდა მიწაზე და ნინო მასწავლებლის სახით მოგვევლინა-მეთქი მეოცე საუკუნეში.

კლასის ხელმძღვანელმა მაგიდის კუთხეში დასტად დააწყო ქაღალდში გადახვეული ატესტატები და ყველას თვალი იქით გაგვექცა.

— ალბათ დღეს მაინც იქნებით ყველანი, — გაიღიმა ნინო მასწავლებელმა, მერე საკლასო ჟურნალი გადაშალა და სია ამოიკითხა:

— ბიწკინაშვილი!

— ვარ, მასწავლებელო!

— დათუკიშვილი!

— გახლავართ!

— მარტაშვილი!

ისიც, რა თქმა უნდა, ადგილზეა. ადგილზე არიან კონსტანტინიძეც, პატარაშვილიც და საერთოდ ყველანი. ოცდაერთივე კაცი უკლებლადაა, გოგოც და ბიჭიც, წარჩინებულიც და წარუჩინებელიც.

მასწავლებელმა დირექტორს შეხედა, დირექტორმა ტუჩები გაატოკა, ალბათ რაღაც თქვა და, ნინო მასწავლებელმაც, დაიწყო:

— ბავშვებო, დღეს, როგორც იცით, საშუალო სკოლის ატესტატები უნდა მიიღოთ. პატივცემულ კლიმენტის სურს ორიოდე სიტყვით მოგმართოთ...

კლიმენტა შარშანწინ გამოგვეცხადა თავისი კოდალა ცხვირით რუსული ენის მასწავლებლად. გამოგვეცხადა და ერთ წელში დირექტორადაც ეკურთხა. პირველ ხანებში კლიმენტას დასცინოდნენ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო. ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ პირველ დღესვე ცოტა უცნაურად ჩაცმული მოგვევლინა. გალიფე შარვლის ტოტები მაღალყელიან ბამბის წინდებში ჩაეტანებინა და ზედ მუხლებთან მიება რეზინებით. დადიოდა თავისი გრძელი ცხვირით და დააფლარტუნებდა ორი-სამი ნომრით დიდ კალოშებს. ეჰო, ჩაიცინეს თურმე, ამას ცოტა კრამიტი უნდა ჰქონდეს დაცურებულიო. ვითომ და, ცოტა დალაგებული ვერ უნდა იყოსო. მეორე მიზეზი კი კლიმენტას უცნაური და ფათერაკიანი მოგზაურობა გახლდათ თელავიდან ახმეტას. საღამო ხანს შემომჯდარა იგი საბარგო მანქანის ძარაზე, ამოულაგებია ჯიბიდან კაკალი და კაბინის თავზე დაუწყია ქვით მტვრევა. კაკუნზე შოფერს მანქანა გაუჩერებია, რა იყოო.

— არაფერი ბატონო, ნიგოზს ვტეხავ აგერ! — უთქვამს კლიმენტას და გრძელი ცხვირი შოფრისთვის დაუმიზნებია. დაძრულა მანქანა და ცოტა ხანში ისევ აუტეხია კოდალასავით კაკუნი. კვლავ გაუჩერებია შოფერს მანქანა, ახლა კი მართლა აკაკუნებსო.

— განაგრძე, ყმაწვილო, შენი გზა, ნიგოზს ვამტვრევ-მეთქი, არ გითხარი! — განაწყენდა ნიგვზით პირაქაფებული კლიმენტა. შოფერს თვალები ეშმაკურად მოუჭუტავს, კაბინაში საგულდაგულოდ შეჭმუჭნულა და მანქანა გაუქენებია. მაჭარაულში რომ შესულან, კლიმენტა ორივე ხელით უბრახუნებს თურმე კაბინაზე, გააჩერე, აქ ჩავდივარო, მაგრამ შოფერი დასწოლია

და ახმეტამდე აღარ გაუჩერებია. კლიმენტას ჩხუბსა და დავიდარაბაზე, თავი ასე უმართლებია შოფერს, მე მეგონა ისევ კაკალს ამტვრევდიო.

რაღას იზამდა კლიმენტა, ხუთ კილომეტრიან გზას უკან დასდგომია. მოდის თურმე ბუზღუნ-ბურტყუნით და მოაფლარტუნებს თავის დიდ კალოშებს. მოუახლოვდა მაჭარაულს და რა ესმის: სოფელში ძაღლებს ერთი გნიასი გააქვთ, გაафთრებით უყეფენ გამვლელ-გამომვლელს. ერთ ხანს სოფლის განაპირას შეჩერებულა, იქნებ ვინმემ გამოიაროს და ავემგზავროო, მაგრამ არავის გაუჭაჭანებია, ძაღლები კი თანდათან უახლოვდებიან ყეფით. კლიმენტას არც აუღია, არც დაუღია, დაუხდია კალოშები, ერთ დიდ კაკლის ხეზე აფოფხებულა და ღამე იქ გაუთევია.

ეს ამბავი მეორე დღეს მთელმა სკოლამ იცოდა. ვერ გეტყვით, ვინ იყო დამნახავი, ან ვისთან დასცდა კლიმენტას თავისი გასაჭირი, ერთი კი ცხადია, ამ ამბავს ყველა დაბეჯითებით ირწმუნებოდა.

ასეთი მასწავლებელი ცუღლუტი მოწაფეებისათვის, სულ საეშმაკოზე რომ უჭირავთ თვალი, პირდაპირ ზეიმია. იმის გაკვეთილზე ისე გრძნობდნენ თავს, როგორც აღლუმზე.

— რა გვარი ხარ შენ, ბიჭო? — წამოაყენებდა კლიმენტა რომელიმე მოწაფეს და ისიც, თუ ვთქვათ, ბატიაშვილი იყო, ჯანდიერი ვარო.

— ჯანდიერო, აბა მომიყევი გაკვეთილი!

— არ ვიცი, მასწავლებელო.

— დაჯექი, ორიანი.

კლიმენტა დიდხანს ეძებდა საკლასო ჟურნალში ჯანდიერს, მაგრამ ვერ პოულობდა. კლასში ფრუტუნებდნენ და ხითხითებდნენ.

— მასწავლებელო, ეგ ჯანდიერი კი არა, ჩოლოყაშვილია.

კლიმენტა ახლა ჩოლოყაშვილს დაუწყებდა ძებნას. კლასი კი უკვე გნიასობდა და ხარხარებდა.

მაგრამ კლიმენტა არც ისეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთებს ეგონათ. იგი ისეთი ხარი არ გახლდათ, ხმაურით რომ ახელებენ. პირიქით, სახედარივით თვინიერი და მომთმენი გამოდგა. იცოდა სად უნდა შეეტია და სად უნდა დაეხია. დედის მუცლიდანვე ჰქონდა დაყოლილი ეს მუღამი, არ აჰყვა გადარეულ ყმაწვილებს და ისინიც დაცხრნენ, დაოკდნენ.

ერთი სიტყვით კლიმენტამ მალე აუღო ალღო აქაურობას და აქაური ქუდიც მოირგო. ისე ლაზათიანად და მარჯვედ მოირგო, რომ ზოგიერთები ჯერ ბაიბურშიც არ იყვნენ და გაოცებისაგან მართო პირი დააღეს, როცა კლიმენტამ სადირექტორო ჩოხა გაისწორა.

ეს ამბავი შარშან მოხდა. ჩვენმა ძველმა დირექტორმა, თუშმა, სკოლას ზურგი აქცია და ცხვარში გამწესდა. სწორედ იმ ხანებში, სამი დღით სადღაც გაქრა კლიმენტა, მეოთხე დღეს შეაღო განათლების განყოფილების კარი, თავისი გრძელი ცხვირი მოწიწებით შეყო და განყოფილების გამგეს წინ რაღაც ქაღალდი დაუდო. ამ ქაღალდით სამინისტროდან იუწყებოდნენ, მავანი და მავანი მაჭარაულის სკოლის დირექტორად არის დანიშნულიო. კეთილი და პატიოსანიო, არის და წინ ვილა დაუდგებაო, ალბათ ჩვენზე უკეთ იქ იციანო და კლიმენტას გზა დაულოცეს. ასე გამოავლო პირში ჩალა ყველას, ვინც ღიდი იმედით ელოდა, დირექტორად მე მიმიწვევენო.

იმ დღიდან კლიმენტა მთელ სკოლაში პატივცემული კლიმენტი გახდა და ნებით თუ უნებლიედ ყველა მოწიწებით ექცეოდა.

...პატივცემულმა კლიმენტიმ გრძელი ცხვირი ჯერ ნინო მასწავლებელს დაუმიზნა, მერე მთელ კლასს, ტუჩები ააწკლაპუნა და დაიწყო. — ბოვშვებო, მე იმიტომ მოგმართავთ სიტყვით, რომ ჩემი დირექტორობის მანძილზე პირველი გამოშვება თქვენა ხართ. ყველანი სასახელოები უნდა გამოხვიდეთ... შენ ყმაწვილო, მომისმინე და თავში ჩაიდე

რამე, — მიმართა დათუკიშვილს და კვლავ განაგრძო — იმას გეუბნებოდით, პროფესორები თუ არა, დოცენტები მაინც უნდა გამოხვიდეთ.

— კოლმეურნეობაში ვიღამ იმუშაოს მასწ... — ვერ მოითმინა დათუკიშვილმა.

— მაცალე, ყმაწვილო, ვინ იმუშავებს და რეგვენი.

დათუკიშვილმა ჩაახველა. მე მას გადავხედე, ფრიად სერიოზულად იჯდა. ვისაც თვალი ჰქონდა შეჩვეული და იმისი ასავალ-დასავალი კარგად იცოდა, მხოლოდ ის შეატყობდა, ხშირი გადაბმული წარბების ქვეშ, რა ეშმაკურად უციმციმებდნენ თვალები.

„ჰა, პასკევიჩო!..." ვთქვი ჩემთვის. სოლიკო დათუკიშვილი „პასკევიჩად" გვყავდა მონათლული. ისტორია უყვარდა თავდავიწყებით და სულ პასკევიჩს გაიძახოდა.

დირექტორს წარბიც არ შეუხრია, მარტო ნინო მასწავლებელმა გადახედა ცერად დათუკიშვილს.

— იმას მოგახსენებდით, — განაგრძო პატივცემულმა კლიმენტიმ, — თქვენ რომ ცუდად მოიქცეთ, ეს ჩემი სირცხვილი იქნება, იკითხავენ რომელი სკოლა დაამთავრაო, ვინ არის იმ სკოლის დირექტორიო, ვინა და კლიმენტი სარჯველაძეო... ნახევარი ქალაქი მიცნობს და თავი მომეჭრება, ისე კი არ არის საქმე თქვენ რომ გგონიათ, ჩვენ სკოლას უნდა აღვუდგინოთ დაკარგული ავტორიტეტი, აბა მე რეიზა დამნიშნეს დირექტორად, კი არ მეხალისებოდა. ამ სკოლიდან წასული მოსწავლე პროფესორი თუ არა, დოცენტი მაინც უნდა გამოვიდეს, აპა!...

თავჩაღუნულმა და აწითლებულმა ნინო მასწავლებელმა ძლივს მოახერხა მადლობა გადაეხადა დირექტორისათვის.

— ტაში რომ არ დავუკარით, მასწავლებელო! — თქვა დათუკიშვილმა, როცა დირექტორი კლასიდან გავიდა.

ნინო მასწავლებელმა რატომღაც ამოიოხრა და სევდიანად ჩაილაპარაკა;

— დღეს მაინც მოიქეცი წესიერად, ბიჭო.

„პასკევიჩმა" გაიღიმა და გვერდზე გაიხედა.

— მაშ ასე, ბავშვებო. დადგა თქვენი გამოთხოვების ჟამი. მე უკვე ვიცი ზოგიერთი სად აპირებს სწავლის გაგრძელებას, დანარჩენიც ალბათ მეტყვით.

ნინო მასწავლებელმა ჟურნალი გადაშალა და სიის მიხედვით დაიწყო:

— ბიწკინაშვილი ლენა!

მერხიდან წამოდგა ტანთხელი, ნაწნავებიანი გოგო, არც ძაან ლამაზი, არც ულამაზო. ნაწნავების რხევით მივიდა მასწავლებელთან. მასწავლებელმა ხელი ჩამოართვა და ატესტატი გადასცა.

— მშვიდობაში!

— გმადლობთ.

— სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?

— ჯერ არ ვიცი, პატივცემულო...

— უნდა გათხოვდეს, მასწავლებელო!

კლასში თავშეკავებული ფრუტუნი გაისმა.

— პატარაშვილო! — ნინო მასწავლებელმა ნახევრად მწყრალად და ნახევრად ღიმილით ასწია თითი. ყურებამდე აწითლებულ პატარაშვილს ზიზღით გადახედა ბიწკინაშვილმა.

უკვე მეორე წელია თეთრწყლებიდან ჩამოსული ფშაველი ბიჭი შაქარყინულივით უტკბება ბიწკინაშვილს, ხან ელაქუცება, ხან თავს აცოდებს, ხან აბრაზებს, მაგრამ არ იქნა და გული არ გაუხსნა. უიმედო სიყვარულით დადაგული პატარაშვილი მთვარეს შესჩივის, ვარსკვლავებს, შესჩივის მაგრამ იმის გულის მურაზს არავინ იზიარებს.

— დათუკიშვილი! — იძახის მასწავლებელი.

ჩემი გვარი სულ ბოლოსაა. იქამდე დიდი დრო დასჭირდება. აღარც მასწავლებელს ვუსმენ აღარც მოსწავლეს. ბუნდად მესმის რომ მასწავლებელი ჩვეულებრივ ეკითხება ყველას, სად აპირებ სწავლასო, ესაუბრება, ისმენს მოსწავლეთა პასუხებს, მაგრამ მე აღარაფერი მესმის. ჩემი ფიქრი იზრდება,

ფეხს იდგამს, კლასიდან გადის და წარსულში მოგზაურობს.

II

მე კრასნოდარში დავიბადე. მამაჩემი აქ, ამ სოფელში. პაპაჩემი ალაზნის გაღმა, შილდაში, ხოლო იმისი მამა, ესე იგი ჩემი დიდი პაპა, ჰეღოდან შილდას გადმოხვეწილი თუში ყოფილა. მოსისხლეებს გამოქცევია და ღუღულაურის ნაცვლად ღუღულაშვილად დაწერილა. ჩვენი გვარისა და მოდგმისათვის ეტყობა მშვიდი ცხოვრება არ დაუკვებებია ღმერთს. დედაჩემს რომ გავუკერპდები, რომ ვეღარაფერს გამაგონებს, ბრაზით მეტყვის, თქვენ ისეთი ჯიში გაქვთ, ადამიანი ვერაფერს შეგასმენთო. მე ამაყად ჩამეცინება და ბავშვობიდანვე დაზეპირებული სტრიქონებით მივულექსებ ხოლმე:

„თუშთ არ იციან ვითარცა,
ვინ არის მათი ბატონი.
თვითონ არიან თავისი
მბრძანებელი და ბატონი“.

— ოი, შე მართლა თუშის ჩამომავლობისავ, შენა! მამაშენიც ეგრე ჯიუტი იყო და რა მოიგო. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, დღეს ცოცხალი იქნებოდა. ვაჟკაცობაზე დებთ თავს... — და უცებ, კი არ დავინახავ, ვიგრძნობ, რომ თვალებში ცრემლი აქვს მომდგარი და ხმა უთრთის.

იმას მოგახსენებდით, ჩემს დიდ პაპას უთვალავი ცხვარი ჰყოლია. იმისი ფარები რომ შირვანიდან დაიძვრებოდა და ქალაქს მოადგებოდა, მოძრაობა ჩერდებოდა. ერთი სიტყვით დიდი დოვლათის პატრონი ყოფილა, მაგრამ მიქელ გაბრიელმა მდიდარი და ღარიბი როდი იცის. ერთადერთი ეს მიქელაა, ჯერ-ჯერობით რომ ვერ მოუსყიდიათ. იმისი ცელი, ვენაცვალე იმის სამართალს ერთნაირად სხეპს მდიდარსაც და ღარიბსაც. ხოლერა შემოჭრილა და ჩემი დიდი პაპაცა და იმისი მეცხედრეეც ამ ლამაზი ქვეყნიდან იმ ქვეყანას გაუსტუმრებია.

პაპაჩემი გიორგი თვრამეტი წლისა ყოფილა მაშინ. ხოლერას მთელი ოჯახიდან ის გადარჩენია და ობოლი ბიჭი დეიდას უშვილებია იმავე სოფელში. პაპაჩემს თავად უკისრია ცხვრის პატრონობა. ბავშვობიდანვე ისე გაწაფულა მეცხვარეობაში, ვერცერთი მწყემსი ცხვრის ასავალ-დასავალს ვერ გამოაპარებდა.

გასულა კიდევ ხუთი ექვსი წელი და პაპაჩემი დავაჟკაცებულა, ულვაში შეღერებია.

— შვილო გიორგი, — უთქვამს ერთხელ მთიდან ჩამოსულ პაპაჩემისათვის თავის დეიდას — სახლი და კარი კარგი გაქვს, დიდი ძალი ცხვრის პატრონი ხარ, მაგრამ რათ გინდა ეს დოვლათი, თუ ოჯახს არ მოეკიდები, ძითა და ასულით არ გაიხარებ, ხვალ ალავერდობაა, ვენაცვალე იმის ძალას, წამოდი შენც, იქნებ ვინმეს დაადგა თვალი, იქნებ შენი ბედი იქ იყოს. მთაში ყოფნა რა გაგიხდა, შემოგევლოს დეიდა, ცხვარს მწყემსებიც მოუვლიან.

— ეგრე იყოს, დეიდავ, წადით დღეს თქვენ, წაიყვანეთ თოხლი და ხვალ მეც იქ გავჩნდები. — უპასუხია პაპაჩემს. თავადვე მოუჩარდახებია ურემი, ზედ თოხლი დაუკრავს, შეუბამს კამეჩები და როგორც ხატის კარზე მიმავალთ შეფერის ისე გაუსტუმრებია ბიძა-დეიდა.

იმ ღამეს, ჩვეულებისამებრ ალავერდს ბევრი ღამისმთეველი ჰყოლია. ბევრი ცხვარ-ძროხა შეწირულა. ხალხი გალავანს შიგნით რომ ვერ დატეულა, გალავანს გარეთ დაუციათ კარვები.

მეორე დღეს დილაადრიან შეუკაზმავს პაპაჩემს თავისი იაბო, ამხედრებულა და მზის ამოსვლისას უკვე ალავერდის გალავანთან მიუგდია გაქაფული ცხენი.

— შენ გენაცვალე, სიტყვის კაცო, აბა მოდი სუფრასთან, ნამგზავრი ხარ, გეშიება, — უთქვამს დეიდას და გაწყობილ სუფრასთან მიუწვევია. პაპაჩემი დიდხანს არ გაჩერებულა სუფრაზე, ხალხში გაუვლ-გამოუვლია შეზარხოშებულს. ჯგუფ-ჯგუფად დგანან თურმე

ხევსურები, თუშები და დოლში ეჯიბრებიან. აგერ ერთ ადგილას, ვიღაცას ხალხი შემოსევია. მისულა პაპაჩემი გიორგი ახლოს და რას ხედავს, დგას ტანწერწეტა თუში და ცხენს ძლივს იოკებს. ხალხი შურით და სიხარბით ათვალიერებს გრძელ და წვრილფეხება ლურჯა იაბოს ერთავად რომ ფრუტუნებს და თავს ჯიუტად აქნევს, ცდილობს ლაგამი დაკვნიტოს. ეტყობა, მისი ჯიში და მოდგმა ვერ ეგუება უქმად დგომას. ერთი სული აქვს, როდის გაიძაგრება ვაკეზე, რომ ქენების ქინი მოიკლას. ცხენსაც და პატრონსაც კარგად იცნობენ მედლეობენი. ეს ის იაბოა შარშან, ალავერდობისას, ყველა ცხენი რომ დაჯაბნა დოლში. იმ დღიდან ლეგენდები დადის მასზე. ხოლო მისი პატრონი, წოვა თუში იორდანე ბაიხოიძე, კარგი ვაჟკაცი და პატრონი ბევრი ცხვრისა, სუფრას ისე არ დატოვებს, თავისი ცხენი თუ არ აღლეგრძელა.

— ათი ჰედილა და შემეჯიბროს ვისაც უნდა! — ამბობს ბაიხოიძე და დოლის მოთავე ხმამაღლა აცხადებს:

— ათი ჰედილა ერთი!

მაგრამ ჩამი-ჩუმი არსაიდანაა. ამაოდ შთება ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

— ოცი იყოს! — ფასს უწევს თუში.

და უცებ, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო, ისე გაისმა:

— ოცდაათი ჩემი!

ყველამ პაპაჩემისაკენ მოიხედა თურმე, ცნობისმოყვარეობით შეუთვალიერებიათ ეს უცხო კაცი და მისი ცხენი. ხალხში მითქმა-მოთქმა ატეხილა.

— ორმოცი ჩემი! გაბრაზებულა ბაიხოიძე.

— ორმოცდაათი! — მაშინვე მიუხლია პაპაჩემს.

გაოცებულა თუში, ამ კაცს ან ცხენი რა ჰყავს ამისთანა, ან რა ცხვრის პატრონია, ასე გულდაგულ რომ მომდევსო.

— სამოცი, კახო!

— სამოცდაათი თუშო!

და თუშს ხმა აღარ ამოუღია, გულმოსული პირდაპირ ცხენს მოხტომია. პაპაჩემიც ამხედრებულა თავის იაბოზე. ცხენები ათრთოლებულან, ეტყობა მიმხვდარან, რაც ირგვლივ ხდებოდა, ერთმანეთს ალმაცერად გაუხედავთ და ტორებით მიწა დაუჩხვერიათ.

დიდი თუ პატარა ცნობისმოყვარეობას შეუპყრია. საოცარი დოლის მოწმენი უნდა გამხდარიყვნენ.

...ალბათ გინახავთ ალაზნის ჭალიდან თეთრად აზიდული ალავერდი. იგი დაბლობზეა აშენებული და მაინც რა ზვიადად, დიდებულად გაბოტილა. თავისი სიდიადით ყველა ტაძარი დაუჩრდილავს. ალავერდს სამხრეთით შიშველი ვაკე აკრავს, ხოლო ჩრდილოეთით ალაზნის ხშირი და სასწაულებრივად ლამაზი ჭალა.

აქ გოჯი მიწაც არ არის ცხენის ფლოქვით გაუთელავი, მტკაველი მიწაც არ არის სისხლით გაუჟღენთავი. დროს ჯერაც ვერ წაურეცხია მისი ნაკვალევი, ადამიანის მეხსიერებიდან ვერ ამოუფხვრია ის ყიჟინა, მტერს რომ დასცემდნენ ხოლმე ამ მიწის ძუძუთი გაზრდილი წინაპრები.

ახლა იმათი შთამომავალნი: კახნი, თუშნი, ხევსურნი თუ ფშაველნი მოდიან ალავერდობას ცხენებზე ამხედრებულნი და დოლში ეჯიბრებიან, სცდიან ვაჟკაცობას, ესღაა მათი ასპარეზი, აქ, ამ ერთ დღეს შეუძლიათ მხოლოდ მოიკლან ის ჟინი, წინაპართაგან რომ გადმოსახლებულა მათ სისხლში. ამ ჟინითა და ვნებით ისე გავსებულა მათი სხეული, გაიგუდებიან, ძარღვები დაუსკდებათ გასაქანი რომ არ მისცენ. აქ ხარჯავენ, აქ აძლევენ გზას საუკუნოებით დაგროვილ ენერგიას. გაუთავებელი ღრეობითა და სმით რომ ვერ იოკებენ ჟინს, დოლსა და ფარიკაობას მიმართავენ. ნასვამნი და აზარტში შესულნი ზოგჯერ ზომიერებას ჰკარგავენ და ერთმანეთს კიდეც დახანჯლავენ ხოლმე.

ამის შემსწრე უცხო თვალს უკვირს ეს ყველაფერი. მან არ იცის რომ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, რომ ის, რაც ისტორიამ განაპირობა. რაც მემკვიდრეობითაა გადმოსული, უცებ არ და-

თრგუნება. რომ ეს ყველაფერი რამდენიმე საუკუნის ინერციაა.

ასეთი იყო ალავერდობა ძველად, ვიდრე ეს ინერცია თანდათან შენელდებოდა და ცხოვრება თავის გეზსა და კალაპოტს მისცემდა.

...მიუშვიათ მხედრებს სადავეები და გაძაგრულან ცხენები. დაურტყამთ ერთი წრე ალავერდისათვის, მეორე და, მესამე წრეზე უკვე პაპაჩემის ცხენი დაწინაურებულა. გაუგიათ, ბაიხოიძეს ვიღაც სჯაბნისო და მთელი ხალხი, მლოცველი თუ მოქეიფე, ქალი თუ კაცი, გალავანს გარეთ გამოშლილა დოღის საყურებლად. მოქეიფეებს სუფრა მიუტოვებიათ, მოცეკვავეებს ცეკვა, ხოლო დამკვრელებს — დაკვრა. მესამე და ბოლო წრეზე თითქმის ათი ნახტომით წინ მოსულა პაპაჩემი. ხალხს დაუჯერებლად მიაჩნდა ბაიხოიძის ცხენის დაჯაბნა. შემოესივნენ თურმე გარშემო პაპაჩემს და მდუმარედ, გაოცებით და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ უცხო მხედარსა და მის ცხენს. ბაიხოიძე მოსულა პაპაჩემთან, ხელი გაუწოდებია და უთქვამს:

— ალალი იყოს კახო შენზე ეგ ცხენიც და ჩემი წაგებული სამოცდაათი თოხლიც. დღესვე გავგზავნი კაცს და აქ ამოვარეკინებ. ამიერიდან კი ჩემი ცხენის სადღეგრძელოს მე აღარ დავლევ. მხოლოდ ის მითხარი, ვინა ხარ და სადაური ხარ.

— ერთი ობოლი ბიჭი ვარ, შილდელი, — მოუსაწყლებია პაპაჩემს თავი, — ადრე ღულულაურები ვყოფილვართ, ახლა ღულულაშვილები ვართ...

— ჰე, — თავი გადაუქნევია ბაიხოიძეს, ერთი ხისაგან ვყოფილვართ გამოთლილები, ეს ხომ დამჯაბნე და დამჯაბნე, წამოდი, დღეს ჩემი სტუმარი ხარ. სუფრა დამიმშვენე.

პაპაჩემს თავპატიჟი დაუდვია. მასპინძელი მე ვიქნები, შენ იყავ ჩემი სტუმარიო. შენი წაგებული ცხვარი კი შენვე დაიტოვე, მე ჩემიც მკმარა, ნეტავ ის მომახმარა მშვიდობაშიო. მაგრამ თუში არ მოშვებია, პაპაჩემი თავის სუფრაზე წაუყვანია. და გამართულა ღრეობა.

პაპაჩემისთვის დეიდას სწორედ იმ დროს მიუგნია სხვის სუფრაზე, როცა შეზარხოშებული ბაიხოიძე ძმობას ეფიცებოდა.

— შვილო გიორგი, შენს სუფრაზე სტუმრები არიან, შენ აქ გაბმულხარ, ეს რა წესია. წამოდი, თუ გიყვარვარ.

დაემშვიდობა თურმე თავის ახალ ძმობილს პაპა, მივიდა თავის სუფრასთან და რას ხედავს: ვიღაც უცხო ხალხი დასწვევია.

— გაიცანი, შვილო, ჩვენი კარგი ნაცნობები არიან, ლაფანყურელები. — ეუბნება დეიდა.

იმ უცხო ხალხში არის ერთი ოციოდე წლის ქალიშვილი, ისეთია, ლამის მზეს შეენაცვლოს. იმის დანახვა და, პაპას ფეხქვეშ მიწა შერყევია. იარაღაყრილივით იჯდა სუფრაზე და ჩუმი ოხვრით გადახედავდა ხოლმე იმ ქალიშვილს. ეს უკანასკნელიც ერთი წამით შეანათებდა ლამაზ მწველ თვალებს და ცეცხლზე ნავთს უსხამდა.

— რა იყო, შვილო გიორგი, რაღაც უგუნებოდ ხარ, დღეს შენი დღეა, დოღში გაიმარჯვე, ძმობილი შეიძინე, — უთქვამს დეიდას, თუმცა კი მიხვედრილა, რა ცეცხლიც შემონთებოდა დისწულს — გამხიარულდი, დღეს ბედნიერ ფეხზე ხარ ამდგარი...

ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინა? — ეუბნება იმ გოგოს ძმა. იმ გოგოს მამას ვითომც არაფერი გაუგონია, შოთ პურს მისწვდა თურმე და შუაზე გატეხა, იმ გოგოს დედამ ჩაიღიმა და პაპაჩემის დეიდას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თვითონ იმ გოგომ კი თავი ჩაღუნა და გაწითლდა.

შუა ქეიფში, როცა ღვინომ გაათამამა და გააენაწყლიანა მოქეიფენი, როცა სასიყვარულო ჯიგარი გაეხსნათ, სწორედ მაშინ უჩურჩულა პაპამ დეიდას; მე ეს გოგო მომწონს და თუ წამომყვება წამომყვება, თუ არა და მე სხვა არავინ მინდაო. დეიდაც თურმე ამის თქმას ელოდა, მოგიკვდეს ჩემი თავი თუ მა-

გაზე დაგალონოო და სუფრაზე მოუკვარახჭინებია საქმე, წაუძვრია ნამზითვი ბეჭედი და სარძლოსთვის წამოუცმევია თითზე. და ისევ განახლებულა ლხინი, გაფართოებულა სუფრა, ცამდე აწეულა. მომავალმა სიძე-ცოლისძმამ ხელიხელს გადახვიეს და ერთმანეთს ფიანდაზად დაეგნენ. იმავე სუფრაზე დათქვეს ქორწინების დღე და გაიყარნენ. ვაჟიანებმა შილდისკენ გასწიეს, ქალიანებმა — ლაფანყურისაკენ.

პაპაჩემმა მეექვსე დღეს დანიშნულთან წასვლა გადაწყვიტა და სწორედ იმ დღეს შეიტყო თავზარდამცემი ამბავი.

III

მეექვსე დღეს, როგორც გითხარით, იმ გოგოს ძმამ გაქაფული ცხენი მოაგდო, მათრახის კარით შეალო ჭიშკარი, ჩამოქვეითდა და დამხვდურთ სალამიც არ მისცა, გაიბოტა შუა ეზოში. ისეთია, დანა პირს არ უხსნის. იმის დანახვა პაპამ ავად ინიშნა

— რა მოხდა, ივანე, სალამი რათ დაგვიძვირე, სალამი ღვთისაა! — უსაყვედურა სტუმარს პაპამ.

ივანემ, იმ გოგოს ძმამ, დოინჯი შემოიყარა და თვალები მოჭუტა:

— ქალი რო არ მოგეტაცნა, ისე არ გატანდით?!

— ვინ ქალი, რას ამბობ კაცო!

— ჰე, — ჩაიცინა ივანემ, — უყურეთ ერთი, მაშ ჩემი და შენ არ წამოგიყვანია, თავისით წამოვიდა?

პაპაჩემს გაოცების ნიშნად ხელები გაუშლია და ფერი წასვლია. მაშინ კი თითზე უკბენია ივანეს, ვაი დედასაო, თუ ჩემი და იმ ლეკმა გაიტაცაო. ვინ ლეკმაო, რა ლეკმაო, გაგვაგებინეო დაესივნენ ივანეს და იმანაც ჩამოკაკლა. შარშან ერთმა ლეკმა, ქერბალაიმ. დაადგა თვალი, იმის შემდეგ მოსვენებას არ გვაძლევდა, მერე მუქარა შემოგვითვალა, რაკი ნებით არ გინდათ, თქვენ ქალს ძალით წავიყვანო, ნამდვილად იმის ოინები იქნებაო.

პაპაჩემმა ფიცხლად შეკაზმა ცხენი და იმ დღესვე სასიძო-სამოყვრომ ქვეყანა გადაატრიალეს. ბოლოს ყადორზე გადამავალ ბილიკზე ცხენების კვალს წააწყდნენ და ეჭვი უფრო განუმტკიცდათ. ეს კვალი დაღესტანს მიდიოდა.

გულმდუღარე პაპაჩემი უსიტყვოდ გამობრუნდა უკან, გაამზადა საგზალი და მეორე დილას ამხედრდა თურმე ცხენზე. წინ გადასდგომიან ბიძა-დეიდა, შევედრებიან, ამ სახიფათო გზაზე ხელი აიღე, ჯვარდაწერილი ქალი ხომ არ წაურთმევიათო, მაგრამ ამაოდ დაიჩქმიტეს ყელი, ვერ დაიყოლიეს. ჰკრა თურმე ცხენს მათრახი და ყადორი გადაიარა.

საღამო ხანს ერთ მოზრდილ აულს მიადგა. ცხენი ტყიანში, მოფარებით დააბა და თვითონ აულში შევიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დუქანს მიადგა. იფიქრა, შევალ, კიდეც დავნაყრდები და აქაურ ასავალ-დასავალსაც გავიგებო. შეალაჯა დუქანში და ხედავს, დახლზე გადმოწოლილა ერთი ვეება კაცი და უმუშტრობით მოწყენილი დროდადრო ამთქნარებს.

გამარჯობაო, უთხრა პაპამ ლეკურად. იცოცხლეო უპასუხა მედუქნემ და მერე ქართულად დაუმატა თურმე, ქვე შენი ჭირიმე მგონი ჩვენი მიწა-წყლისა უნდა იყოო.

ამის გაგონებაზე პაპას სიხარულით ცა გახსნია.

— ბედიც ამასა ჰქვია, ქრისტიანო კაცო, თუ მიშველი შენ უნდა მიშველოო — უთქვამს პაპას.

— შენი ხმალი და ჩემი კისერიო, ჯერ მოდი, დანაყრდი. ნამგზავრი ჩანხარ, ეგეც არ იყოს, რა ხანია ქრისტიან კაცთან პური არ გამიტეხიაო.

გაშალა თურმე პურ-მარილი რაჭველმა მედუქნემ, შემოუსხდნენ მაგიდას და ერთმანეთს გული გადაუშალეს. მედუქნემ ყოველივე დაწვრილებით რა ისმინა, ერთი ამოიოხრა. ჭიქა ბოლომდე დაცალა, ვეება მაჯა ულვაშებზე გადაისვა და რაჭული სიდინჯით უთხრა:

— ქვე ვიცი, ვინც არიან მაგის მქნელები. სამნი ძმანი არიან თავგასულნი

და მოთარეშენი. თვითონ ლეკებსაც არ უყვართ ეგ ქურდბაცაცები. მგონი შაბათს უფროსი ძმის ქორწილი აქვთ. ახლა როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი, დანარჩენს შენი თვალით ნახავ. ერთი ზედმეტი სიტყვა არ დაგცდეს, ქვე შენი ჭირიმე.

შემოხსნა პაპას ქამარ-ხანჯალი, გაძრო ჩოხა-ახალუხი და ისეთი ტანსაცმელი გადააცვა, ღვთის გლახას დაამგვანა. ბინდისას თავისი ცხენი ამოიყვანა პაპაჩემმა და მედუქნეს მიაბარა. ის ღამე იქ გაატარა, ხოლო მეორე დღეს, ნაშუადღევს, როცა მოთმინების ძაფი უკვე უწყდებოდა, დუქანში სამნი ძმანი დიდოელები შემოვიდნენ.

— გურჯო, — ეუბნებიან მედუქნეს, — შაბათს ქორწილი გვაქვს და მზარეული შენ უნდა იყოო. — მერე პაპაჩემი შეუთვალიერებიათ და შეეჭვებულებს უკითხავთ, ეს უცხო კაცი ვინ არისო.

პაპაჩემი უმალვე მიხვდა, იმათ შორის ქერბალაი რომელიც იყო. წარმოსადეგი ვაჟკაცი გახლდათ. სახეზე ვარდი ეყარა და თვალებში მაისის მზე ენთო. ვინ იცის, უკვე მონადირა ჩემი თამროს გული და ამაოდღა ვირჯებით. გაუფიქრია პაპაჩემს და გულიდან ათასი ოხვრა აღმოხდენია.

— ეს ერთი ბოგანო კაცია, — ეუბნება მედუქნე ძმებს, — გუშინ მომადგა კარზე, იქნებ მოჯამაგირედ დამიყენოს ვინმემო. მუშაობა არ მეზარებაო, ჩემი მიწა-წყლისაა და რას ვიზამ, უნდა დავეხმარო, ესეც ღვთის გაჩენილიაო.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და მერე ყველაზე უფროსმა, სწორედ ქერბალაიმ, გადაწყვიტა:

— წამოვიდეს ჩვენთან, სწორედ ასეთი კაცი გვჭირდება, ჭამა-სმა არ მოაკლდება. ცოტა ჯამაგირსაც მივცემთ.

მაშინ მიუბრუნდა მედუქნე პაპას და ეუბნება:

— ვგონებ ღმერთი შენკენაა, წაჰყევი ამათ, რასაც გეტყვიან გაუგონე, მერე შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. იცოდე, სწორედ იქ მიდიხარ.. იქ დაგხვდება ,ვისაც ეძებდი. ოღონდ ფრთხილად, თავი არ გასცე... ერთი ზედმეტი ნაბიჯი და უფსკრულიც იქვეა. თუ რამ გაგიჭირდეს, ხმა მომაწვდინე, ლეკებში ბევრი ძმობილი მყავს.

— აგაშენა ღმერთმა, ძია კაცო, თუ ცოცხალი დავრჩი გადაგიხდი სიკეთეს. ჩემს ლურჯას შენ მიმიხედე. თუ არ დამჭირდა, შენი ფეშქაში იყოს. იცოდე, ცხენი კი არა, მიმინოა.

წაიყვანეს ლეკებმა ეს ბოგანო კაცი და შეუძღვნენ ერთ დიდ, გალავანშემორტყმულ ეზო-ყურეში.

— აი, გურჯო, არც წვიმა ჩამოგივა, არც სეტყვა. ხუთიოდე დღით მივდივართ. ეს მოხუცი მამაჩვენია, რასაც გიბრძანებს, შეუსრულე. როცა დავბრუნდებით, ჯამაგირზე მაშინ მოვილაპარაკოთ.

იმ ბებერმა ლეკმა პაპაჩემს ეჭვის თვალი დაადგა. შვილებთან დიდხანს რაღაც იდავა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლოს მაინც დაიყოლიეს შვილებმა, პაპაჩემი იქ დატოვეს. თვითონ ძმები კი, ვინ იცის საით, ისევ სათარეშოდ და საქურდბაცაცოდ წავიდნენ.

იმ ვეება ეზო-ყურეში პაპაჩემი და ბებერი ლეკი დარჩნენ. ის ლეკი თავის განუყრელ ყალიონს აბოლებს, ეჭვიანი თვალებით ბურღავს და თან ქართულ-ლეკურად ეკითხება სადაურობას და ვინაობას. ვერ იქნა და ბებერმა ვერ დაიცხრო ცნობისმოყვარეობის წყურვილი, გულიდან ეჭვის ჭია ვერ ამოიგდო.

სალამოს როცა აულს ბინდი გადაეფარა და ხალხის ხმაური მიწყნარდა, პაპაჩემი თავისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა დასაძინებლად. შევიდა კი, მაგრამ რა დააძინებდა. იქაურობას მგელივით ყნოსავს და ათვალიერებს, ათასი თვალი და ყური აქვს გამობმული. იცის, რომ მისი სანუკვარი ოცნება აქ სადღაც ახლოს სუნთქავს, იტანჯება და ილევა დარდისაგან. ის ბებერი ლეკი კი მაინც ფხიზლობს, წრიალებს და ღრუცუნებს. რამდენჯერმე მოადგა პაპაჩემის ოთახს, დააყურა, სძინავს თუ არაო, მერე ეზოს შემოუარა მგლებივით ქოფა-

კები აუშვა, თავლისა და ფარეხის კარები ერთხელ კიდევ შეამოწმა, ალახი ახსენა და შეიბუდა.

როცა ქვეყანაზე ღამე გაბატონდა და მიიძინა ყოველმა სულიერმა, საიდანღაც ქალის ოხვრა შემოესმა პაპას. და თქვენ წარმოიდგინეთ, რა მორევი დატრიალდა იმის გულში. მაშინვე წამოხტა თურმე, გამოაღო კარი და რას ხედავს. მთვარის შუქით განათებულ აივანზე ზის ოდნავ თმაგაწეწილი ქალი. მის სახეს მთვარის ცრიატი შუქი სევდას და სიფერმკრთალეს უარესად მატებს.

— თამრო! — რაღაც ველური ხრიალი აღმოხდა პაპაჩემს, მაგრამ ქალი არც შერხეულა.

სამაგიეროდ ყურმახვილი ძაღლები აგნიასდნენ და იმავ წუთს ბებერმა ლეკმაც ჩაახველა. პაპაჩემმა კარი .სასწრაფოდ მიხურა, სარკმლიდან დაუწყო თვალთვალი. ქალი მაშინვე წამოდგა, თავის ოთახში შევიდა. ბებერი ლეკი ეზოში გამოვიდა და ძაღლები გაამხნევა:

— ალაი — ალაა!

მთელ ღამეს პაპაჩემს ძილი არ გაჰკარებია, ამაოდ ეჭირა თვალი იმ აივნისაკენ საწუკვარი არსება აღარ გამოჩენილა. გათენებამდე ფიქრში ცურავდა პაპა გიორგი, გულზე მჯიღს იცემდა და გათენებას ელოდებოდა. ელოდა გათენებას და თან ბავშვობაში დაზეპირებულ ლექსს იმეორებდა გუნებაში.

„რამ გადაგრია ფშაველო,
რამ შეგაცდინა ჭკვაზედა,
ჩვენ ვართ ხოხობის შვილები
განთქმული დაღესტანზედა.
ზეცას ფრინველსა ეშინის,
ლომი გაგვირბის განზედა,
შენ წერას აუტანიხარ,
მიტომ გვიდგები შარზედა,
გიჯობს ჭკვიანად წახვიდე,
სანამ თავ გაბამ ტანზედა:“

მერე გულზე მუშტს დაიბრაგუნებდა და კბილებში ბრაზიანად გამოსცრიდა:

თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა,
ნურც მიტირებენ დედანი,
ნურც მიმესვლება ჯარზედა.“

მეორე დილას პაპაჩემმა თავის მთვალეობას შეუდგა. მთელი დღე ხან თავლას ასუფთავებდა, ხან ფარეხს, რასაც ბებერი ლეკი უბრძანებდა ყველაფერს პირნათლად ასრულებდა, თან იმ აივნისკენ ეჭირა ცალი თვალი, ყველა კუნჭულსა და ბილიკს გულმოდგინეთ ათვალიერებდა. როგორც კი ბებერი ლეკი დააპირებდა ქოფაკებისათვის სალაფავი ან წყალი მიეტანა, თვითონ გამოსტაცებდა ხელიდან და ჯაჭვით დაბმულ ძაღლებთან სიფრთხილით მიჰქონდა საჭმელ-სასმელი... ისე ხშირად უტრიალებდა იმ ძაღლებს, მოხუცმა ეჭვი აიღო.

— გურჯო, ძაღლებს შენ ნუ აძლევ საჭმელს.

— ძაღლებისა ძალიან მეშინია, მინდა როგორმე მივიჩვიო. — თავი მოისაწყლა პაპაჩემმა. მეორე დღე, მესამე და, მეოთხე დღეს როგორც იყო მიიჩვია ძაღლები. მეცხვარემ იცის ძაღლის მულამი და ასავალ-დასავალი. მეოთხე ღამეს უკვე დრო აღარ იყო ცდისა. შუაღამით, როცა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ბერმა ლეკმა ხვრინვა ამოუშვა, სწორედ იმ დროს, მთვარის შუქზე, კატასავით ფრთხილად გაიარა კაცის ლანდმა, ავიდა აივანზე, გააღო კარი და ფრთხილადვე შევიდა. კარის გაღებამ ქალი შეაკრთო, აცახცახდა და კუთხეში მიიკუნჭა.

— თამრო! — ხმა კი არა, ხრიალი აღმოხდა პაპაჩემს.

ქალი გააოცა სასოწარკვეთითა და ამავე დროს ალერსით ნათქვამმა თავისმა სახელმა, თვალებადქცეული დააცქერდა შემოსულს.

— მოვედი შენი გიორგი.

ქალი თითქოს ღრმა სიზმრიდან გამოერკვაო, უფრო ყურადღებით დააშტერდა მოულოდნელ, სასურველ სტუმარს, მერე ათრთოლებულმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მის მკლავებში ჩაესვენა. მაგრამ ამ დროს ქოფაკები აყეფდნენ და მოხუცმა ლეკმა ჩაახველა.

მაშინ კი დაიწერა პირჯვარი პაპამ,

ღმერთო, შენ გადმომხედე და ხელი მომიმართეო. ისევ თავის ოთახში შეიპარა და გაყუჩდა. მერე, როცა ლეკმა კვლავ ხვრინვა ამოუშვა, გამოვიდა პაპა და ფრთხილად შეიპარა ფარეხში, ალბათ საქორწილო ცხვრებიდან ერთს გამოსჭრა ყელი, გამოაფეშხვავა და ძაღლებს მიუგდო. ვიდრე ქოფაკები თბილი სისხლით ისველებდნენ ენას, მანამდე ბებერ ლეკსაც მოუღო ბოლო, მერე თავლიდან ორი ცხენი გამოიყვანა, შეკაზმა და თავის საცოლიანად მთვარიან ღამეს მიანდო ბედი.

აულს დიდი, სავსე მთვარე დაჰქათქათებს. წყნარი ღამეა. ისეთი ცა დაჰყურებს მიწას, კაცი ვერც წარმოიდგენს თუ ამ ვეება ლამაზი ცის ქვეშ რაიმე ბოროტება ხდება, ძარცვავენ ადამიანის სიყვარულს, ქელავენ მის გრძნობებს და იღვრება სისხლი ცოდვილ დედამიწაზე.

როცა ლტოლვილნი აულს გამოსცდნენ და ბილიკს დაადგნენ, ღამის მყუდროებაში ნათლად გაიგონეს ძაღლების შემაძრწუნებელი ყმუილი. ლეკის ეზოში, სადაც ცოტა ხნის წინათ ცოდვა დატრიალდა, სიკვდილი ეყნოსა ორ ქოფაკს და საბრალოდ მოსთქვამდნენ. დაყმუოდნენ პატრონს და საშველად უხმობდნენ აულს.

პაპამ იცოდა, რომ ძაღლების ყმუილზე აული შეიყრებოდა, უსათუოდ მდევრებს დაადევნებდნენ და მათრახი ატკაცუნა. მთელ ღამეს იარეს მხედრებმა, ცხენები გაქაფეს. განთიადისას, როცა არყისფრად ინათა და სუსხიანმა, უსიამოვნო ნიავმა დაჰბერა, უკვე დაღესტან-კახეთის მიჯნას, — ყადორს მოადგნენ და ამ დროს პაპაჩემს კიდევ შემოესმა თურმე ქოფაკების შემაზრზენი ხმა. რა თქმა უნდა, ეს მოჩვენება იყო, და ამ მოჩვენებამ ძირ-ფესვიანად შეძრა იგი. თითქოს უქმური დაუფლა, და სიცოცხლე შეაზიზღა, თითქოს სავსე კასრი ერთბაშად წამოაპირქვავესო, ყველაფრისაგან ისე დაიცალა და დაიწრიტა. თვალწინ დაუდგა ბერი ლეკი, სიკვდილისას ალაჰს რომ შეჰვედრა... ყველაფერი არარაობად მოეჩვენა, ყველაფერი შეძულდა, საკუთარი თავიც და ეს უმშვენიერესი [illegible], გვერდით რომ მიჰყვებოდა, შეძულდა სიცოცხლეც, ყველაფრისადმი აუტანელი ზიზღი იგრძნო, აღარავითარი ხალისი, აღარავითარი მიზანი...

მაგრამ ამ უცბად მოზღვავებულმა უცნაურმა სევდამ ერთ წუთს გასტანა.

მზემ სხივი ამოსტყორცნა და დათოვლილ მწვერვალებს ხანძარი გაუჩინა, სადღაც შურთხმა დაიწყო სტვენა, ტყე ათრთოლდა, ახმაურდა ყოველი სულდგმული, თითქოს დედამიწა გაიზმორა და სიცოცხლის ხმები დაარხიაო. და პაპაჩემსაც იმავე წას გაეფანტა სევდა, მის ძარღვებში ისევ იფეთქა სიცოცხლის მძაფრმა წყურვილმა და ენერგიამ. იმ ქოფაკების ყმუილიც მიწყდა და მომაკვდავი ბებერი ლეკის ლანდიც გაქრა. ალტაცებული, მწყურვალე თვალით გადახედა თავის უმშვენიერეს საცოლეს, ოდნავ წელში მოღუნული, შიშისაგან გაფერმკრთალებული რომ იჯდა ცხენზე და მხიარულად ჩაიღიღინა:

თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა,
ნუმც მიტირებენ დედანი,
ნუმც მიმესვლება ჯარზედა.

მზის შემაღლებისას უკვე საბუეში იყო. იქიდან ერთი ნაცნობი კაცის პირით შეუთვალა ცოლეურებს ლაფანყურში, ამ საღამოს ქორწილი მაქვს და ვისაც ეკუთვნის, ყველა დამიპატიჟეთო.

დიდი ხნის მანძილზე არ შეწყვეტილა სტუმრობა, ბევრი ღვინო დალეულა და ბევრი სადღეგრძელო თქმულა.

ნეტარებითა და სიამით მიდიოდა თურმე პაპაჩემის წუთისოფელი. წაღმა მიგორავდა ურმის თვალი მისი საწუთროისი, მაგრამ უთქვამთ, დედაკაცი კეთილი, აღაშენებს სახლსა, ხოლო ბოროტი, აღშენებულსა დააქცევსო, ისიც უთქვამთ, ცხოვრება ლამაზი ქალივით რთული და ვერაგია, სწორედ იქ დაგიდებს ფანდს, სადაც არ ელი და ბეჭებზე დაგდებსო.

ერთი წლის თავზე პაპაჩემს უცნაური რამ დასჩემდა თურმე.

მთიდან დაბრუნებული როგორც კი თავის სახლ-კარს მიუახლოვდებოდა, რაღაც შიში თუ ეჭვი ჩაუსაფრდებოდა მაშინვე გულში. ფრთხილად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა სახლს, უკანა ფანჯარასთან ერთხანს სმენადქცეული იდგა და მერეღა შეეხმიანებოდა ლამაზ ცოლს.

გუნებაში თავის თავს წყევლიდა თურმე, ეს რა ჯანდაბა მემართებაო, მაგრამ ვერ იქნა და ეს ჩვევა ვერ მოიშალა, პირდაპირ გატანჯა კაცი ეჭვმა და შიშმა. და აი ერთ დღეს, მთაში ორი დღის ასული არც კი იყო, დილით უგუნებოდ წამოდგა, შუადღემდე იწრიალა, იშფოთა, შუადღეს, გულმა ვეღარ მოუთმინა, მწყემსი ბიჭი მოიხმო და ცხენი შეაკაზმინა:

— თარიმან, უთხრა თურმე სარქალს, — გული რაღაც ცუდს მიგრძნობს და შინ უნდა ჩავიდე. თუ მშვიდობაა, ხვალვე დავბრუნდები, თუ არა, შენ იცი და აქაურობამ.

ბინდისას მიადგა ადიდებულ ალაზანს, ფონიც აღარ უძებნია, ისე შეტოპა და მეორე ნაპირზე ძლივს გააღწია.

ცხენი მხედარზე უარესად გადაირია თურმე, ნაპირზე გასული გაავზნდა და გაიტაცა მხედარი.

შუაღამისას მიადგა თავის სახლს პაპაჩემი, ცხენიდან ჩამოხდა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჭიშკარს, მაგრამ გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა თურმე. ცხენი ჭიშკარზე გამოაბა და თვითონ სახლისაკენ გასწია. რატომღაც ზურგიდან შემოუარა სახლს, უკან ბაღის მხარეს რომ გადიოდა, იმ ფანჯარას მიადგა და გაჩერდა. ოთახში მკრთალად ანათებდა ლამპა. ბაღში იასამნებისა და ვარდების სურნელი იდგა. განახევრებული მთვარე ის-ის იყო ჩადიოდა და მისი შუქი მომხიბლავად, საამოდ იფრქვეოდა ბაღის თავზე. ერთხანს ასე გარინდებული იდგა პაპაჩემი, ვერ გადაეწყვიტა თავისი განზრახვის შესრულება, ყოყმანობდა, თავს ეურჩებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადადგა ის საჭოჭმანო ნაბიჯი. კატასავით მიიპარა ფანჯარასთან და გაყუჩდა. ამ დროს ცხენმა დაიხვიხვინა, ოთახში საწოლმა გაიჭრიალა და ლამპით განათებული ოთახის კედელზე ვეება ლანდი გამოჩნდა. თითქოს დედამიწა იძრაო, მთელი სახლი შექანდა იმ ლანდიანად და პირქვე წამოამხო. მაგრამ ამ ძლიერ დარტყმას გაუძლო პაპაჩემის გულმა, გონება მოიკრიფა. ახლა მის გულში მხოლოდ ყინულივით შურისძიება ჩასახლდა, ხანჯლის ტარს უნებლიედ მოუჭირა ხელი და გაქვავდა, სმენად იქცა. ოთახიდან ცხადად ესმის ქალისა და მამაკაცის ჩურჩული.

— რა იყო? — კითხულობს ბოხი ხმა.

— თითქოს ცხენის ხიხვინი გავიგონე.

— მოგეჩვენებოდა. ნუ გეშინია, შენი ქმარი ახლა ნაბადშია გახვეული და ხმელ მიწაზე ხან ერთ გვერდს იცვლის და ხან მეორეს. მთელ სოფელში ყველაზე მდიდარი კაცი!... ხე, ხე!

— ნელა, შე მართლა დათვო შენა! — დაიკვნესა ქალმა.

და ამ დროს შეილეწა ფანჯარა, ოთახში ისტერიული, გიჟური სიცილი შეიჭრა და ლამპის შუშიდან ალი ავარდა. ქალის წივილმა გაბზარა მყუდრო ღამე, დაიჭიხვინა ცხენმა. მაგრამ ეს ყველაფერი სულ ერთ წუთს გაგრძელდა. სისხლი დატბორდა შერყვნილ საწოლში და ამ სისხლში ცურავდა ხანჯლით განგმირული ორი გვამი. პაპაჩემის საკუთარი მეუღლისა და მისი კუროს — სოფლის მამასახლისისა, ზედმეტ სახელად მგელკაცს რომ ეძახდნენ. იმ ღამესვე შემჯდარა თავის ცხენზე პაპაჩემი, ისევ მთაში ასულა, მიუყიდ-მოუყიდია მთელი ცხვარი, მწყემსები დაუთხოვია და თვითონ ტყისთვის მიუცია თავი. გასულ ბიჭებს მიჰკედლებია. ასე ტყე-ტყეულია ხუთიოდე წელს. მერე, ხუთი წლის რევოლუცია რომ დამარცხებულა, პაპაჩემი გაუკოჭიათ და რამდენიმე წლით შორეულში გადაუსახლებიათ. იქიდან დაბრუნებული ერთ თავის კატორღელ მეგობარსა და თანარაზმელს მაჭარაულელ მიხა ჯიჯიშვილს სტუმრებია. ესფერდობზე შეფენილი სოფელი ძალზე

მოწონებია და ძმობილისთვის უთქვამს, ჩემს მამულეთზე გული მაინც აღარ მიმდის და ამ სოფელში თუ ვინმე მახინჯი და შეუხედავი გეგულება, ჩავესიძებიო. მახინჯი და შეუხედავი შენი რა საკადრისიაო, უთქვამს მასპინძელს. ლამაზმა ხეირი არ დამაყარა და იქნებ უშნომ და გონჯმა მაინც არ მომჭრას თავიო. შორს წასვლა არ დასჭირებიათ, ამ ჯიჯიშვილს ერთი ციცრის კვერცხივით დალეული და ჰყოლია და იმაზე დაუგვირგვინებიათ საქმე, ის დალეული პატარძალი ისეთი მეოჯახე გამომდგარა, თურმე პაპაჩემი სულ იმის მზეს იფიცავდა.

ის ქალი ბებიაჩემი გახლდათ, რომელმაც ხუთი შვილი გაზარდა. მეხუთე შვილი მამაჩემი იყო, მაგრამ მე ვერც ბებიაჩემს მოვესწარ, ვერც პაპაჩემს, ეგ კი არა, მამაჩემიც სიზმარივით მახსოვს.

ხუთი წლისა ვიყავი, მატარებელზე აგვიყვანა მამამ. გადაგვკოცნა, დაგვემშვიდობა. მეხსიერებაში სამუდამოდ და ნათლად ჩამრჩა მისი პრიალა ჩექმები და მხარზე ჯვარედინად გადაჭერილი ბრტყელი ქამარი. მატარებელი დაიძრა, მე ფანჯრიდან დავინახე დაძრული მატარებლიდან რა მარჯვედ და ლამაზად ჩახტა მამა. ერთხანს მოგვდევდა დიდი, მტკიცე ნაბიჯებით, ხელს გვიქნევდა და რაღაცას მოგვძახოდა. ახლაც არ ვიცი რას. ეს წუთი არც არასოდეს დამავიწყდება, რადგან მხოლოდ ამ ერთი წუთით უერთდება მამაჩემი მთელ ჩემს ცხოვრებას.

ეს სამუდამო განშორება კრასნოდარის სადგურზე მოხდა, სადაც მამა ოფიცრად მუშაობდა. ომის პირველსავე დღემ აგვიშალა ბუდე, ჩვენ საქართველოსკენ წამოვედით, მამაჩემი ფრონტზე.

4.

— ღულულაშვლი! — თითქოს სიზმარში ჩამესმა — მაგრამ ამ ხმამ ვერ გამომგლიჯა ჩემი ბავშვობის სამყაროს.

ვიღაცამ ფერდში წამკრა.

— არ გესმის, ბიჭო?

უცებ გამოვგონდი და დაბნეულმა ირგვლივ მიმოვიხედე. მთელი კლასი მე მომჩერებოდა, ნინო მასწავლებელს შევხედე, ოდნავ იღიმებოდა და თანაგრძნობით მიყურებდა.

— ილო, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, მასწავლებელო, რაღაცაზე ვფიქრობდი, — ვიგრძენ როგორ ავწითლდი.

— გაგიჩნდა უკვე საფიქრებელი? — გაიღიმა მასწავლებელმა — ნიშნები ალბათ უკვე იცი, მაგრამ მაინც გაგახსენებ!... სიჩუმე, ბავშვებო, რა ამბავია! — მაგიდაზე დაარტყა ხელი. —

— ღულულაშვილი ილო კოტეს-ძე. — ოდნავ ამოიოხრა და ერთი წამით გადმომხედა. მე ვუყურებდი მის სუსტ, გამხდარ ხელს, რომელთაც ატესტატი ეჭირა — ქართული ენა — 5...

— არ მინდა მასწავლებელო, ისედაც ვიცი ნიშნები.

— ერთი სიტყვით ილო, ცოტა რომ გეყოჩაღნა, მედალს აიღებდი. ძალიან ვცდილობდი, მაგრამ მათემატიკურ საგნებში, შენც ხომ იცი...

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი. ერთი და ერთი, რაკი გზა-კვალი ამებნა მათემატიკაში, ვეღარ და ვეღარ ვიპოვნე ფონი. მათემატიკა უსიერ ტყეს გავს თუ ბილიკი აგებნა, სულ დაიკარგები.

მასწავლებლის სიტყვამ გული ამიჩუყა, მედალი რომ არ ეხსენებინა, ალბათ ასე არ მომივიდოდა, მე ხომ მედალს არც ველოდი, მაგრამ ნდომით კი მინდოდა. თანაც სადღაც გულის კუნჭულში იმედის ნაპერწკალი ციმციმებდა. ჩვენი კლასიდან ორმა მიიღო ვერცხლის მედალი.

— აბა, შენ იცი, ილო, იმედია, რომ გვასახელებ. მედალოსნებს არ ჩამორჩები. რომელ ფაკულტეტზე აპირებ?

ნინო მასწავლებელმა ძალზე კარგად იცოდა რომ ქართული ლიტერატურა მიტაცებდა, იცოდა და მაინც მეკითხებოდა, უნდოდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი ვარაუდი, მაგრამ არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჯდა, გავჯიუტდი და გავჯიქდი.

— ჯერ არ ვიცი, მასწავლებელო.

— ნუ ცრუობ, ღულულაშვილო.

საინჟინროზე ვაბარებ-მეთქი.

პირდაპირ საკვირველია, საიდან დამასკუპდა ენაზე ეს სიტყვა. მთელი კლასი გაოცებით მომჩერებოდა.

— საინჟინროზე? — ეჭვიანი თვალები მბურღავენ. გვერდზე ვიყურები, მაგრამ მაინც ვხედავ მასწავლებლის გაწბილებულ სახეს.

— გასაგებია, დაჯექი. — ჩაილაპარაკა ნინო მასწავლებელმა.

ბოღმა მხეთქავდა. რაში მჭირდებოდა ეს ტყუილი? სამუდამო განშორების წინ რათ ვატკინე გული იმ ადამიანს, ვინც ესოდენ შემაყვარა ქართული ლიტერატურა, ვინც მშობლიურად ზრუნავდა ჩემზე?

ცრემლი ყელში მომებჯინა, ლამის დამღრჩო.

— აბა, მშვიდობით, ბავშვებო! არ დაივიწყოთ თქვენი სკოლა და თქვენი აღმზრდელები, თუ როდისმე გვიწყენინებია, ისიც თქვენი თავისთვის...

ხმა აუთრთოლდა, კაბის პატარა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მოისვა.

მთელი კლასი განაბულიყო.

და უცებ საკუთარი თავისადმი აუტანელი სიძულვილი და ზიზღი ვიგრძენი.

— აბა, მშვიდობით, წარმატებას გისურვებთ ყველას!

— მშვიდობით მასწავლებელო!

ნელა, დინჯად და უხმოდ გადიოდნენ გარეთ. თითქოს ყველა უცებ დავაჟკაცებულიყო. თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა გადაჰკრა ცხოვრების გზა და სიცრუმაცისა და სიდარბაისლის შუა ზღვარი გადო.

რატომღაც ფეხი ავითრიე. უხალისოდ მივაბიჯებდი დერეფანში.

— ილო! — მომესმა ნაცნობი, ახლობელი ხმა.

შევჩერდი და ზანტად მოვბრუნდი.

— მოდი ჩემთან, საქმე მაქვს. — მითხრა ნინო მასწავლებელმა და სამასწავლებლოში შევიდა.

გული ამიბაგუნდა.

— ილო, ეზოში გიცდით, ჩქარა გამოდი! — მომაძახა კონსტანტინიძემ.

ნინო მასწავლებელი სკამზე ჩამოჯდა, ცხვირსახოცი სახეზე მოისვა და თითქოს სხვათაშორის მკითხა:

— მაშ საინჟინროზე აბარებ, ჰა?

ვდგევარ თავჩაღუნული და ტუჩებს ვიკვნეტ.

— მერედა, საინჟინროზე ხომ მათემატიკური საგნებია საჭირო. შეძლებ ჩაბარებას?

ცრემლი მერევა, მინდა გავბრუნდე და გავერიდო აქაურობას.

— ილო, რატომ ხმას არ იღებ? რა გემართება, დღეს პირდაპირ ვეღარა გცნობ.

— მასწავლებელო... — ხმა მითრთოდა და შევისვენე, რომ გული დამეწყნარებინა, — მოგატყუეთ, განა თქვენ არ იცით, რომ ფილოლოგიურზე უნდა ჩავაბარო?

— ასეც ვიცოდი, მაგრამ რაში დაგჭირდა ტყუილი? — უკვე ხმა დაიტკბო ნინო მასწავლებელმა, გაიღიმა, გაიბადრა.

— არ ვიცი...

მეტი არაფერი უკითხავს. ალბათ მიხვდა, რა მძიმე დღეში ვიყავი და შევენანე.

— ილო, ყველაზე დიდ იმედს შენზე ვამყარებ, თუ გაამართლებ, შენ უნდა გაამართლო, უსათუოდ ჩააბარებ, მე ეს მჯერა. აბა შენ იცი, ჩემო ბიჭო, ყოჩაღად მოიქეცი.

„ჩემო ბიჭო", ასეთი რამ არასოდეს გამიგონია ნინო მასწავლებლისაგან. ეს სიტყვა მთელ სხეულში სიტკბოდ ჩამეღვარა.

ხმა ვერ დავძარ მადლობით სავსე მოსიყვარულე თვალები მივაპყარ და ალბათ ჩემი თვალები გაცილებით ბევრს გამოხატავდა, ვიდრე ამას ათასი სიტყვა შესძლებდა.

— კარგად იყავით-მეთქი, ესღა წავილუღლუღე და გამოვბრუნდი. თითქოს ფრთები შემესხა. გავმხნევდი და საკუთარი თავისადმი რწმენა გამიათკეცდა. მისი ნათქვამი სიტყვა არასოდეს დამავიწყდება.

ეზოში გამოვედი, მზე უკვე სამუადღეოზე ანაცვლებულიყო და ულვთოდ აცხუნებდა. ირგვლივ საკვირველი სიჩუმე სუფევდა. დაბლა, შარაგზაზე, მიდიოდნენ მანქანები და მათი ხმა ყრუდ აღწევდა აქამდე. უფრო შორს კი, სოფლის მიღმა, ალაზნის ველზე, ყვითლად გადაჭიმულ მწიფე პურის ყანაში შავ წერტილად მოძრაობდა კომბაინი. უკვე დაეწყოთ ყანის გაჭრა და თითქოს ნიავს მოჰქონდა იქიდან ნამჯის მძაფრი, ცხელი სუნი.

სკოლას გვერდიდან შემოვუარე. ბიჭებს ვათვალიერებდი როცა პირველ ფანჯარას ჩავუარე, უნებლიედ შევჩერდი და საკლასო ოთახში შევიხედე. ეს ფანჯარა და ამ ფანჯარასთან მდგარი მერხი, ჩემთვის მეტად მახლობელი და ნაცნობი იყო. ამ ფანჯარასთან ამ მერხზე გავატარე თითქმის ორი წელი ზედიზედ, მეათე და მეთერთმეტე კლასი.

ფაჯარაში საკუთარ თავს მოვკარ თვალი. მკერდს ზევით ვჩანდი. მომეჩვენა, რომ ეს ფანჯარა ძალზე დადაბლებულიყო. სულ ორი-სამი წლის წინათ, მაღალი მეჩვენებოდა, ფეხის წვერებზე უნდა შევმდგარიყავი და ისე შემეხედა საკლასო ოთახში. მაშინ სკოლის შენობაც მაღალი მეჩვენებოდა. ახლა თითქოს ყველაფერი დაპატარავებულიყო, აივანიც და კედლებიც — ილო, აქეთ წამო!

ხევის პირას კაკლის ჩრდილში მწვანეზე წაყრილიყვნენ დათუკიშვილი, კონსტანტინიძე, გიგაშვილი, პატარაშვილი და მიცდიდნენ. გივი კონსტანტინიძეს ვყავდით მიპატიჟებული და პირდაპირ იქ უნდა წავსულიყავით.

5.

ტახტზე ვწევარ და ისტორიის წიგნს ჩავკირკიტებ, მაგრამ თავში არაფერი ჩადის. იქნებ იმიტომ, რომ გზაზე ვდგევარ? ყველა საბუთი ხელთა მაქვს და ამ საღამოს მივემგზავრები. დედაჩემი და ჩემი და ერთი ამბით მიუთოვებენ ტანსაცმელს, ფაქიზად კეცავენ და ისე ალაგებენ ჩემოდანში.

— დედი, რომელი საათია?

— შვიდი. ერთ საათში ჩამოივლის ავტობუსი, — მპასუხობს დედაჩემი მეორე ოთახიდან.

ისტორიის წიგნი დავკეცე და ჩემოდანში ჩავდე. ფანჯრიდან გავხედე ჩამავალ მზეს. დიდი, კაშკაშა და მოწითალო დისკო სევდიანად, მაგრამ დიდებულად ჩადიოდა. გეგონებოდათ ქვეყნიერებას სამუდამოდ ეთხოვებაო. ამ ჩამავალი მზის შუქზე, ისეთი წარმტაცი ჩანდა მთელი ალაზნის ველი, გული ამიჩუყდა. გაჭრილ ყანებს თითქოს მზის მტვერი ეყარა. შორს, კავკასიონის ძირას ყვითლად ელვარებდა გაუჭრელი ყანა და ამ ყანაში თაიგულივით მდგარ კორომს ისეთი ზღაპრული ელფერი ედო. თუნდაც ერთი წუთით, იქ ყოფნას ვენატროდი. სხვა დროსაც შემინიშნავს ეს სილამაზე, მაგრამ ასე არ ამჩუყებია გული. ამ ტიალმა ხომ არ იგრძნო, რომ აქაურობას მალე უნდა გავშორებოდი და თანაც, ვინ იცის, რამდენი ხნით?

აჰა, დადგა გაყრის წუთი, თერთმეტი წელი რომ ველოდი. აი ატესტატი უკვე ხელთა მაქვს, შიგ რუსულ-ქართულად სწერია: ამ ატესტატის მფლობელს უფლება აქვს შევიდეს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

რამოდენა უფლება მქონია!

ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს, როცა ჟურნალში ან გაზეთში თბილისის უნივერსიტეტის შენობას დავხედავდი, ჟრუანტელი დამივლიდა ხოლმე. ყველაზე ბედნიერ ადამიანებად ისინი წარმომედგინა, ვინც იქ სწავლობდნენ. დავწვებოდი და ვოცნებობდი, როდის დადგებოდა, ან დადგებოდა თუ არა ის დღე, ოდეს მეც იმ წმინდა ტაძრის მკვიდრი გავხდებოდი. ასე თანდათან იქცა ჩემს კერპად უნივერსიტეტი. ეს ოცნება ისე შემომეჩვია, ისე ჩამისახლდა ძვალსა და რბილში, რომ იგი ჩემს განუყრელ ნაწილად იქცა. უიმოცნებოდ ჩემი ცხოვრება ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც სულისა და ხორცის უერთმანეთობა, რომ მოხდეს და ვერ ჩავაბარო-მეთქი? გამკენწლავდა ეჭვი და

უფსკრულის პირას მდგარივით მყისვე უკუვიქცეოდი ხოლმე ამ საზარელ ფიქრისაგან. მაგრამ ეჭვი მაინც სახლობდა ჩემს გულში, თუმცა მიყუჩებული იყო, მტვერწაყრილი, თავს აღარც კი მახსენებდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემი საკუთარი სხეულით დამქონდა იგი.

გუშინ კონსტანტინიძესთან გვარიანად გადავკარით და შინ გვიან დავბრუნდით. სოფელს უკვე ეძინა. ეძინა ჩემს უმცროს დაიკოსაც. დედაჩემი ფხიზლობდა და ცოტა არ იყოს, შეცბუნებულიც გახლდათ.

— სადა, ხარ, შვილო, აქამდე. გული გადამელია შენს ლოდინში, რა აღარ ვიფიქრე...

— აი, აქა ვარ, დედა, შენთან. — მაგიდაზე ატესტატი დავაგდე და ნაჯაფარი კაცივით საწოლზე მივესვენე.

— მთვრალი ხარ, ბიჭო?

— ისე რა, ატესტატები დავალბეთ!

დედაჩემმა მიყურა, მიყურა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— დაწექი, შვილო, დაიძინე.

ამ ბოლო დღეებში როგორღაც შეიცვალა დედაჩემი. უფრო გულჩათხრობილი და მოალერსე გახდა. თითქოს უცებ მობერდა, მოტყდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნასვამი ვიყავ, ძილი არ მერეოდა. ალბათ ღვინო ჭარბად მომივიდა. უცებ დამწვარი სანთლის სუნი ვიგრძენი. თვალი გავახილე და რას ვხედავ: იქ, სადაც მამაჩემის გადიდებული სურათი ეკიდა, დედაჩემს სანთელი დაენთო და რაღაცას ჩურჩულებდა. ალბათ სალოცავებს ავედრებდა ჩემს თავს.

— დეიდაშენს უთხარი, — მეუბნება დედა და წერილს ოთხად კეცავს—ქვეყნის ხილია და ორი დღით მაინც ჩამოდითქო. წერილში კი ვწერ, მაგრამ პირადადაც უთხარი... აჰა, ეს ფული. ვიდრე გამოცდებს ჩააბარებ, გეყოფა. — ოც თუმანს მაძლევს დედაჩემი და უხმოდ ვიდებ ჯიბეში.

— არავინ ამოგაცალოს ბიჭო, წესიერ ადგილას ჩაიდე.

— ოლიას უთხარი — მეუბნება ჩემი და, — შვებულებაზე აქ ჩამოდითქო, გაიგე?

ოლია ჩემი დეიდაშვილია. შარშან უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა ახლა ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობს.

როცა გზაზე გამოვედით, ახალი შებინდებული იყო. მთელი ალაზნის — ველი და კავკასიონის მთებიც უკვე ლამის თხელ ნისლში იძირებოდა. შორიდანვე ვიცანი რკინიგზის ვაგზალზე მიმავალი ავტობუსი. მწვანე შუქი უციმციმებდა მარცხენა გვერდზე, ხოლო ფანჯრებიდან ყვითელი სინათლე გამოკრთოდა. იგი თავისი გარეგნობით უკვე ქალაქის განწყობილებას ქმნიდა. როცა ავტობუსში ავედი და დაიძრა, ფანჯრიდან გადმოვხედე დედაჩემს. იგი იდგა და სასოებით მაყოლებდა თვალს.

ოჰ, დედაჩემის მაშინდელი თვალები ალბათ სიკვდილამდე არც დამავიწყდება. რამდენს მეტყველებდა, რამდენი რამ შევნიშნე იმ თვალებში. იმედი, სიამაყე, სევდა და დიდი მოლოდინით გამოწვეული დაძაბულობაც.

„მშვიდობით, ჩემო კერავ, ჩემო სოფელო! “ — თითქოს ვიღაცამ ჩამისისინა ეს სიტყვები და მერე უცებ ყველაფერი გაქრა და გაიფანტა.

დეიდაჩემი ვაგზალთან ახლოს, დინამოს სტადიონის გვერდით ცხოვრობდა.

დილის შვიდ საათზე ჩემოდნით ხელში უკვე დეიდაჩემის სახლისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას მივუყვებოდი. ღრუბლიანი დილა იყო, ნაწვიმარი, მაგრამ ზაფხულის სიცხე მაინც იგრძნობოდა.

ტრამვაის პარკს ჩავუარე. ლიანდაგებზე უთვალავი ვაგონები ჩამწკრივებულიყო. ღამენათევი ტრამვაიები, თითქოს ღრმაძილგამოვლილნი, იმშვენებოდნენ და ქალაქში გასასვლელად ემზადებოდნენ. ერთი სიტყვით დიდი ქალაქი ფეხზე დგებოდა.

აი, ესეც გორის ქუჩა და ოცდაერთი ნომერი სახლიც.

რკინის ჭიშკარი ღრჭიალით შევაღე,

ხის კიბით მეორე სართულზე ავედი და დეიდაჩემის ერთოთახიან ბინას მივადექი.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ამ სამიოდე წლის წინათ. ან კი რა უნდა შეცვლილიყო ამ ხნის მანძილზე? ისევ ის ვიწრო ეზო, დეიდაჩემის ქმრის, ბიძია ამბროსის ხელით დარგული დიდი ალვის ხე და მაჯის სიმსხო სახეივნე ვაზი, ისიც ამბროსის დარგული, მთელ ეზოს რომ მოსდებოდა.

ყველაფერი ძველებურად იყო დეიდაჩემის ოთახშიც. ოღონდ კედელზე ამბროსის გადიდებული სურათი ეკიდა. მელოტი, ხანდაზმული კაცი პირდაპირ მე მომჩერებოდა. აი, რა შეიცვალა იმ ხნის მანძილზე, რაც მე აქ აღარ ვყოფილვარ.

სამი წლის წინათ, როცა ბენდელიანის სახელობის საფრენოსნო სკოლაში ვაპირებდი შესვლას, ამბროსი ცოცხალი იყო. ჯანმრთელად გახლდათ და სამსახურშიც დაიარებოდა. მერე, მოულოდნელად წნევა დააცხრა და საღსალამათი კაცი წუთში გაქრო.

ამბროსი უსწავლელი, მაგრამ ბრძენი კაცი იყო. რასაც იწინასწარმეტყველებდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად აცხადდებოდა. აი, სწორედ იმ ზაფხულს, როცა თბილისში ვიყავი ვაჟაფშაველას აკრიტიკებდნენ. დიდი მგოსნის ენას ტალახში სვრიდნენ, მხოლოდ თვით მგოსანს ნიჩაბზე დასადებად იმეტებდნენ.

— ეჰ, ბიძია, — ამოიოხრა ამბროსიმ — რა იციან მაგათ ვაჟას ფასი. დრო მოვა და ვაჟა ისევ იქნება. მე ვერ მოვესწრები, მაგრამ შენ მაინც გახდები მოწმე.

გავიდა სულ ცოტა ხანი და ბიძია ამბროსი ორმაგად მართალი აღმოჩნდა. ვაჟა ხელახლა აღზევდა, მაგრამ იგი ამ დღეს ვეღარ მოესწრო.

ახლა ეს კაცი მომჩერებოდა გადიდებული სურათიდან და თითქოს გუშინდელ დღეს მაგონებდა.

ოთახში დეიდა შემოდის და სურათს თვალს ვარიდებ. ოლია სამზარეულოში რაღაცას ფუსფუსებს. დეიდაც, ბავშვობიდან როგორიც მახსოვს, ისეთია: ტანდაბალი, ჭმუხი და შავგვრემანი. ოღონდ ეგ არი, შავებით შემოსილა. აი, ოლია კი, ძალზე გამოცვლილა, გავსილა და დამშვენებულა. მიუხედავად იმისა, რომ საშინაო ტანისამოსში იყო და თანაც ნამძინარევი გახლდათ, მაინც ავი თვალით არ ინახვებოდა.

სიხარულით აღტაცებულმა დეიდაშვილმა გადამკოცნა, მერე. მიყურა, მიყურა, მხარზე ხელი დამკრა და წამოიძახა:

— რამოდენა გაზრდილხარ, ჯოოვ!

ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა დეიდაჩემის სახლში. შემდეგ კი ჩვეულებრივი საუბარი დაიწყო: როგორ არის დედა, რა არის სოფელში ახალი, მოსავალს როგორი პირი უჩანს და სხვა.

— მაშ ფილოლოგიურზე აპირებ, ჰა? — მეკითხება ოლია და თან სარკეში იყურება. სამსახურში წასასვლელად ემზადება.

— ვაპირებ. კი.

— წელს დიდი კონკურსი იქნება.

— ნეტავ რა ჩაგიძვრა მაგ ფილოლოგიურში, — მსაყვედურობს დეიდა. — შესულიყავ აგრონომიულზე, მაგაზე კარგი რა არის. აფსუს!

— თუ ეგრე მოგწონს, რატომ არ გამაყოლე იმ აგრონომს? — ოლიამ ჩემსკენ მოიხედა თვალი ჩამიკრა და გამიღიმა.

— მეხი კი დაგაყარე, აჰა! — ყასიდად ბრაზობს დეიდა, — იმისთანა აგრონომს რა თავში იხლიდი.

ოლია საყვარლად, ლაღად კისკისებს, და თან მე მიყურებს, თითქოს მეუბნება, მერე აგიხსნი, რაშიც იყო საქმეო. გარდერობის დიდ სარკეში იყურება და გრძელი თეთრი თითებით კეფაზე თმას ისწორებს.

ცხრა საათისთვის დეიდაც და ოლიაც სამსახურში წავიდნენ.

ერთხანს ვიწრიალე შინ, წიგნის კითხვაც ვცადე, ძილიც, მაგრამ გული ვერაფერს დავუდე. რატომღაც სული მეხუთებოდა ავეჯით გამოტენილ ოთახ-

ში და გული გარეთ მიმიწევდა. ავიღე ჩემი საბუთები და უნივერსიტეტისაკენ გავწიე.

უკვე მოდღევებული იყო. სიცხე მძინვარებდა. დილანდელი წვიმის კვალიც არსად ჩანდა, ასფალტი ვარვარებდა და ბული ასდიოდა. სუნთქვა ჭირდა. დინამოს ბაღის წინ ვაკეში მიმავალი ტრამვაი გაჩერდა და ავედი. დეიდაჩემისაგან ვიცოდი, რომ ვაკეში პირველი ნომერი ტრამვაი დადიოდა. მეექვსე გაჩერება ზედ უნივერსიტეტთან გახლდათ. მივრახრახებდი და ყველა გაჩერებას ვითვლიდი. აჰა, როგორც იყო გავიარე მეხუთე გაჩერება და ჩემი ჩასვლის დრომაც მოაღწია. მაინც თავი დავიზღვიე და სიცხისაგან დაოსებულ ზონზროხა კონდუქტორს ვკითხე, უნივერსიტეტი შემდეგ გაჩერებაზე ხომ არის-მეთქი. რატომღაც გაოცებით შემომხედა და თავი დამიქნია, დიახო. აგერ გაჩერდა ტრამვაი, კონდუქტორმა შემომხედა და ხელი ზურგისაკენ გაიშვირა, ეგ არის უნივერსიტეტიო.

ჩამოვედი და ჭადრების ჩრდილში ტროტუარზე გადავედი. ჩემს წინ აღმართულიყო დიდი, ნაცნობი შენობა. ეს, რა თქმა უნდა უნივერსიტეტის შენობა გახლდათ. ჟრუანტელმა დამიარა და გული ამიძგერდა. ალბათ ასე ემართება მორწმუნეს, როცა მისთვის სათაყვანებელ წმინდა ტაძარში შედის ხოლმე.

უნივერსიტეტის ახლო-მახლო ხალხმრავლობა იყო. მოსულიყვნენ ბედის მაძიებელი ახალგაზრდები, იმედებითა და მომავალზე ოცნებით აღვსილნი, იდგნენ დიდი ჭადრის ქვეშ ტროტუარზე, ჩამომსხდარიყვნენ გალავანზე, გაფანტულიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად და სჯაბაასობდნენ, კამათობდნენ, მხიარულობდნენ. როგორც კი ამ ხალხში, შევერიე, მყისვე მარტოობის ნაცნობი, მწვავე სევდა დამეუფლა. ისე მომეჩვენა, თითქოს ისინი სრულიად უცხონი იყვნენ ჩემთვის, თითქოს რაღაც ამოუვსებელი უფსკრული მყოფდა იმათგან. თავი დავღუნე და პირდაპირ უნივერსიტეტის ვესტიბიულში შევედი.

პირველი, რაც ვიგრძენ, იყო ბენზინისა თუ სპირტის მძაფრი სუნი, იატაკს რომ დაჰკრავს ხოლმე დიდ დაწესებულებებში. პირველი, რაც ჩემმა თვალებმა იხილა, ეს გახლდათ ოდნავ ბნელი, იდუმალებით მოცული, სვეტებიანი დარბაზი და უცებ მომეჩვენა, მომეჩვენა, რომ ეს დარბაზი ოდესღაც მინახავს და ახლა მეორედ ვიყავ მისი მხილველი. არ ვიცი საიდან გამიჩნდა ასეთი შეგრძნება, იქნებ როდისმე დამსიზმრებია და ეს ყველაფერი იმ ძველი, მივიწყებული სიზმრის აცხადება იყო?

ვესტიბიულშიც ტრიალებდნენ ბედის მაძიებელნი, მაგრამ მაინც სიჩუმე სუფევდა. აქედანვე იწყებოდა ის მოკრძალება და რიდი, იქ შემსვლელთ რომ გააჩნიათ. ერთ ვეება მაგიდას რამდენიმე გოგონა მისჯდომოდა და ალბათ უნივერსიტეტში შესატან განცხადებას სწერდნენ. ხელმარცხნივ, კედელზე, პატარა სარკმელების თავზე, კინო-თეატრის სალაროებს რომ წააგავდა, წარწერები იყო ჩარიგებული. „ფილოსოფიის ფაკულტეტი“, „ბიოლოგიის ფაკულტეტი“, „ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი“... მეტი აღარ წამიკითხავს, ამ ბოლო აბრაზე შევაჩერე თვალი. სწორედ ამ სარკმელთან ხუთიოდე კაცი იდგა საბუთებით ხელში. ჩემდა გასაკვირად სხვა ფაკულტეტებთან კაკალი კაცი არ იყო. ოლიას ნათქვამი გამახსენდა, ფილოლოგიურზე წელს დიდი კონკურსიაო.

„ნეტა ვიცოდე, უკვე რამდენი კაცია“. — გავიფიქრე.

შუა ივლისი იყო. პირველ აგვისტომდე ვინ იცის, კიდევ რამდენი შეიტანდა საბუთებს. სარკმელს მივუახლოვდი და შიგ შევიჭყიტე. მაგიდასთან იჯდა ახალგაზრდა, ქერა ლამაზი ქალი და დინჯად, დაკვირვებით ათვალიერებდა ყოველ საბუთს. იქვე ორი ლაზათიანად ჩაცმული ბიჭი იდგა და თვალს წყალს ალევინებდნენ. მივედი და ვკითხე, თქვენც ფილოლოგიურზე ხომ არ აბარებთ-მეთქი. ერთმა ზედაც არ შემომხედა, ვიღაც გოგოს მიშტერებოდა. მე-

ორემ თავით ფეხამდე ჩამათვალიერა და ღიმილით მკითხა:

— შენ ფილოლოგიურზე აბარებ?

— დიახ.

— ყოჩაღ შენ! — ისევ გაიღიმა და ისევ ჩამათვალიერა. იმის ღიმილი გულში გველივით ჩამიძვრა და მთელ ტანზე დამბურძგლა ამ დამცირებას სხვა ადგილას არავის ვაპტიებდი.

ცივად გამოვბრუნდი და იმ მაგიდას მივუახლოვდი, გოგონები რომ მისხდომოდნენ და განცხადებებს სწერდნენ. იმ წუთას საშინელი მარტოობა ვიგრძენი, როგორ მინდოდა გვერდით ვინმე მეგობართაგანი მყოლოდა.

— უკაცრავად, დასაწერი ქაღალდი ხომ არ გექნებათ?

ოდნავ გრძელცხვირა, მაგრამ ლამაზი გოგო იდგა ჩემს წინ. ახალი რვეულიდან წყვილი ქაღალდი ამოვიღე და მივეცი. გმადლობთო, ლამაზი, ციმციმა თვალები შემომანათა და კეკლუცად გაბრუნდა უკან.

მაგიდას მივუჯექი და საბუთები კიდევ გადავსინჯე, რაიმე არ მაკლდეს-მეთქი. თან თვალი იმ ლამაზ გოგოსკენ გამირბოდა. ვატყობდი, განცხადების წერა უჭირდა. რაღაც შეეშალა ალბათ, დახია და სხვა განცხადების წერა დაიწყო. როგორც იყო დაწერა, ისევ მომიხადა მადლობა და წავიდა. მაგიდაზე დარჩა მისი შავად ნაწერი განცხადება. ავიღე და დაკვირვებით გადავიკითხე. ზუსტად ასე ეწერა:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

დალი იაკობის ასული ხაჭაპურიძის

განცხადება

ბოვშვობიდანვე დიდი სურვილი მაქ შევიდე ფილოლოგის ფაკულტეტზე რისთვისაც გთხოვთ მიიღოთ ჩემი საბუთები“

გამიკვირდა და გამეცინა. ამ განცხადების პატრონი ფილოლოგიის ფაკულტეტზე როგორ ბედავდა საბუთების შეტანას? განცხადების წაკითხვამ საკუთარი თავისადმი რწმენა შემმატა და გულში იმედი ჩამისახა. თუ ასეთი ხალხი შედის, დიდი კონკურსი რას დამაკლებს-მეთქი.

— ასორმოცდამეათე ვარ, შარშან მეორასე ვიყავ! — ვიღაცამ თითქოს ყურში ჩამძახა. ავიხედე. ჩემს წინ საxეჭორფლიანი, ტანთხელი ბიჭი იდგა. თვალებში ისეთი თბილი, ალალი ღიმილი ედგა. ჩემდაუნებურად ღიმილზე ღიმილითვე ვუპასუხე:

— მერამდენე ხარ?

— ასორმოცდამეათე. ეჰ, წელსაც თუ ვერ ჩავაბარე, ჯარში მიკრავენ თავს.

ხალისიანი, გულალალი ბიჭი ჩანდა, ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, წყაროს წყალივით გამჭვირვალეაო. ესე იგი, არაფერი დამალული და მიღმა იმას არა აქვსო, ხალასაა, ნაღდი. და უცებ. როცა ამ ბიჭის მომღიმარე თაფლისფერ თვალებს ვუყურებდი, სასწაული მოხდა. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა თითქოს ეს ბიჭი ჩემი ძველი მეგობარი და ახლობელი ყოფილიყოს.

— რომელ ფაკულტეტზე შედიხარ?

— ვკითხე და ზეზე წამოვდექი. ჩემზე ორიოდე გოჯით დაბალი იყო.

— ფილოლოგიურზე, შენა?

— მეც.

— შეიტანე უკვე საბუთები?

— არა. აგერ ახლა ვაპირებდი.

— მოდი, დაწერე განცხადება და შეიტანე, ერთ ჯგუფში მოვხვდებით. შენ ასორმოცდამეთერთმეტე იქნები. კალამი გაქვს?

— კი.

— განცხადება ხელად გამოვაცხე, საბუთები ერთხელ კიდევ გადავათვალიერე და ორივენი მივედით იმ სარკმელთან, სადაც ქერა ლამაზი ქალი იჯდა და საბუთებს ღებულობდა.

— რა გქვია? — მკითხა ჩემმა ახლადგაცნობილმა მეგობარმა.

— ილო.

— მე ანზორი მქვია.

ქერა ქალს საბუთები გადავაწოდე. ყურადღებით, სათითაოდ ათვალიერებდა ყველა საბუთს. გულში შიშმა გამირბინა, ვაი თუ რაიმე, აკლდეს და

უკან გამაბრუნოს-მეთქი. მაგრამ აგერ ბოლომდე გავიდა, მერე ყველა საბუთი თანმიმდევრობით დაალაგა, სამაგრი გაუკეთა და გვერდზე გადადო. შვებით ამოვისუნთქე.

— ოცდახუთში მოხვალთ და საგამოცდოს მიიღებთ. — მითხრა ქერა ქალმა, პატარა ქაღალდი გადმომცა და ამით მორჩა ჩემთან ყველაფერს.

ნომერს დავხედე. მართლაც ასორმოცდამეთერთმეტე ვიყავი.

— ესეც ეგრე! — მივუბრუნდი ახალგაცნობილ მეგობარს და გავუღიმე, ისანაც გამიღიმა და მის თვალებში ერთხელ კიდევ დავინახე უჩვეულო სითბო და სიყვარული.

— რა ვქნათ ახლა, სად წავიდეთ? — მკითხა ანზორმა და ისე მომაჩერდა, თითქოს ჩემგან ელოდა ხსნას.

— სადაც გინდა!

— წამო, ბაღში დავსხდეთ. ცოტა გრილა იქ.

— რომელ ბაღში?

— აქვე, უნივერსიტეტის ბაღში, არ ყოფილხარ?

— აბა! პირველად ვარ უნივერსიტეტში.

— მე შარშანაც ვაბარებდი მაგრამ... ხელი ჩაიქნია, განზე გაიხედა და ერთი წუთით დაუსევდიანდა მომღიმარე, კეთილი თვალები.

— შარშან რაზე აბარებდი?

— ფილოლოგიურზე.

— ჩაიჭერი?

— ქართულ წერაში ოთხი მივიღე, ზეპირში ხუთი, ისტორიაში ხუთი.. ყველას ეგონა, რომ ჩავირიცხებოდი, წინასწარ მილოცავდნენ, მაგრამ უცხო ენაში დამავაჟკაცეს. სოფლიდან ჩამოსულები უცხო ენაში ვფლავდებით. შენ როგორ გაქვს საქმე, გადურჩები?

თითქოს ნაიარევზე დამადგეს ფეხი, ისე შემაცბუნა ამ კითხვამ. კვლავ გაიღვიძა ჩემს სულში მთვლემარე შიშმა და შემაძრწუნა, მაგრამ ამაზე ფიქრი ხელს არ მაძლევდა და მყისვე უკუ ვიქეცი.

— რა ვიცი, მაინცა და მაინც კარგად არ გვასწავლიდნენ.

უნივერსიტეტის შენობიდან გამოვედით თუ არა, მარცხნივ, ბაღისაკენ ჩავუხვიეთ, მაგრამ მოულოდნელად ისეთი სასიამოვნო, მადისაღმძვრელი სუნი მეცა, ფეხი ამათრევინა. საიდანღაც მოხარშული სოსისის ოხშივარი გამოდიოდა. ახლაღა ვიგრძენ, რომ მშვიდად თვალწინ დამიდგა წითლად დაბერილი ტკაცუნა სოსისი. ცივი, ქაფქაფა ლუდი და კუჭი ამიფორიაქდა.

— ანზორ!

ოდნავ წინ მიმავალი ანზორი შეჩერდა და ჩემკენ შემობრუნდა. და ერთბაშად თვალში მომხვდა მისი გამხდარი, ვიწრო და ოდნავ შეღუნული ბეჭები. ასეთი აღნაგობის ბავშვებს დუხჭირი ცხოვრება აქვთ ხოლმე გამოვლილი. არც მე მქონია ბავშვობა დალხენილი. მაგრამ ჯიშისა და ჯილაგის წყალობით, ან ეშმაკმა იცის, რის შემწეობით, ფიზიკურად არა მიჭირდა რა.

— ანზორ, აქ სადღაც სასადილოა, არა?

— აგერ არის უნივერსიტეტის სასადილო. — ხელი გაიშვირა იმ ღია კარისაკენ. საიდანაც ის მადის ამღძვრელი ოხშივარი გამოდიოდა

— მოდი, ცოტა შევჭამოთ რამე, დღეს ლუკმა არ ჩამიდვია.

— სიამოვნებით.

სასადილოში ორიოდე ადამიანი იყო და სადილობდა. ალბათ ჩვენსავით ჩამოსულები იყვნენ.

— სამი სოსისი და ორი ლუდი დავუკვეთე დახლიდარს.

— მოიცა. შენ მაგიდასთან დაჯექი. — მხარზე დამადო თავისი გამხდარი და დაძარღული ხელი ანზორმა.

გავჯიუტდი, მე დაგპატიჟე-მეთქი. როგორც იყო დავიყოლიე და ღარიბულ სუფრას შემოვუსხედით.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — ჭიქა მომიჯახუნა ანზორმა.

— გაუმარჯოს.

— გვარები არ ვიცით ერთმანეთისა.

— ჩემი გვარი ღულულაშვილია.

— სადაური ხარ?

—კახელი, მაჭარაულია ჩემი სოფელი, ახმეტის რაიონში.

—კეთილი. მე სისაური ვარ. ატენიდან. გორის რაიონიდან.

ჭიქები უხმოდ გამოვცალეთ. ლუდი ცივი იყო და მეგემრიელა, მადა გამიხსნა. ორი ბოთლი რომ გამოიცალა, ანზორი წამოხტა და ორი კიდევ მოატანინა. ის ორიც გამოვცალეთ და ახლა ოთხი შემოვდგი. ლუდმა გაგვაბრუა, ერთი სიტყვით, კარგ გუნებაზე დაგვაყენა და ენა გაგვიხსნა.

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! — მეუბნება ანზორი და თვალებში კეთილი ღიმილით მომჩერებია — თუ გაგვიმართლა და მოვეწყვეთ, ატენში წავიდეთ. იცი რა სოფელია?

— რაღა ატენში, კახეთში წავიდეთ, ბახტრიონი გინახავს? ალავერდი გინახავს? შუამთა, გრემი, სულ მოგატარებ...

ანზორს სიამით ეღიმება და თავს მიქნევს, არაო, არ მინახავსო, მაგრამ გამიგიაო.

— იქაც წავიდეთ და იქაც. ჩვენი ნება არ არის, რა დაგვიშლის.

აგერ იყოს-მეთქი, მხრებს ვიჩეჩავ. მერე ორივენი ვდუმვართ.

— მე თვალწინ მიდგას ჩემთვის უცხო სოფელი ატენი, ჩვენი მომავალი მეგობრობა, სტუდენტობა და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ნეტარების ზღვაში ვცურავდე. ვიცი ანზორიც სწორედ იმაზე ოცნებობს, რაზედაც მე, მას ალბათ კახეთი ელანდება ბახტრიონი, გრემი, ალავერდი, ლექციები, აუდიტორია და მომავალი მეგობარი, ისეთი ჭეშმარიტი მეგობარი, როგორზედაც სიყრმეში გვიოცნებია , როგორიც რომანებში შეგვხვედრია.

— ილო — მეუბნება იგი და მაჯაზე თავის გამხდარ ხელს მადებს, — იცი რა, თუ ერთ-ერთი ვერ მოვეწყობით, მაინც ნუ დავკარგავთ ერთმანეთს.

— ეგ არც მიფიქრია.

— იცით, რათ გეუბნები? ზოგი, რაკი უმაღლესში მოეწყობა, ძველ მეგობარს დაკარგავს ხოლმე.

— მაგაზე ნუ ფიქრობ, ორივენი მოვეწყობით.

— დავუშვათ და ვერცერთი ვერ მოვეწყეთ

— მოვეწყობით. მოვეწყობით!

— მარტო შენ რომ მოეწყო?

— მაინც არ დაგივიწყებ.

— მე ჯარში წამიყვანენ.

— ჯარიდან რომ ჩამოხვალ მაშინაც შეიძლება... თუმცა, მოდი, მაგაზე ნუ ვიფიქრებთ.

ანზორმა ამოიოხრა. კუთხეში მსხდომ ბიჭებს მიაჩერდა, მაგრამ შევატყე, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, სხვაგან იყო იმისი აზრი და გონება

— ილო, მამა ხომ გყავს?

— არა, ჯარში დამეღუპა. პოლკოვნიკი იყო, არტილერისტი.

— გახსოვს?

— სიზმარივით. ოთხი წლისა ვიყავი. ჩემი და უფრო პატარა იყო, ორი წლისა.

— მართლა პოლკოვნიკი იყო?

— კი სიკვდილის წინ გახდა პოლკოვნიკი. შენა გყავს მამა?

— მე მყავს. დედაცა მყავს, მამაც და ერთი ცოლ-შვილიანი ძმა.

— რას აკეთებს მამაშენი?

გლეხი კაცია... სულ იმას ნატრობდა, ნეტავ ამან მაინც გამიმართლოს და ნასწავლი გამოვიდესო.

— ნუ გეშინია, გაუმართლებ.

ანზორმა ჩემს ბოლო სიტყვას ყური ღარ ათხოვა. ჭიქა აილო და... მოდი, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოსო. გაუმარჯოს-მეთქი, კვერი დავუკარ, მაგრამ თავი გაიქნია, მაგრე არაო, ფიცი დავდოთ რომ ერთმანეთს არ დავივიწყებდით. დავდოთ-მეთქი ხელი მოიტაო და ერთმანეთს ხელი მაგრად ჩავჰკიდეთ. იმ წუთს ორივეს გვჯეროდა, რომ ამ ფიცის შესრულება ისეთივე იოლი იყო, როგორც ამ ერთი ბოთლი ლუდის გამოცლა.

ბინდი ეფინებოდა ქალაქს ქუჩაში რომ გამოვედით. აქა-იქ ინთებოდნენ ლამპიონები. ლამაზად ღამდებოდა დედაქალაქში. მე და ჩემი ახალი მეგობა-

რი შეზარხოშებული ფეხით მივყვებო-დით რუსთაველისაკენ მიმავალ განათებულ ქუჩას და ორივეს გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი საოცნებო, მომავალი სამყარო ლამპიონებით განათებულ ამ ქალაქივით ლამაზი და კაშკაშა იყო.

7.

„სად დაიკარგა ის ბიჭი, დღესაც თუ არ გამოჩნდა, იმის თავს კარგი ამბავი არ იქნება“.

გაღვიძებისთანავე ეს გავიფიქრე.

მთელი ერთი კვირა ისე გავიდა, ანზორ სისაური აღარ გამოჩენილა. არც კონსულტაციაზე გამოცხადებულა, არც იმ დღეს მოსულა, რა დღესაც საგამოცდოები დაგვირიგეს. თითქმის დილიდან საღამომდე უნივერსიტეტთან ვტრიალებდი, აუარებელ ხალხში ვეძებდი სახეჭორფლიან ქერა ბიჭს, მაგრამ ამაოდ, დამაწყდა თვალები.

ცალად დარჩენილი დავღერღეტობდი ქალაქში და სულის ტკივილამდე ვგრძნობდი უანზორობას. როგორ მინდოდა. როგორ მჭირდებოდა ახლა ამ ვეება ქალაქში, ძნელბედობის წინ იმისი ხალასი გული და გამამხნევებელი სიტყვა. ერთავად თვალწინ მედგა იგი, მახსენდებოდა, როგორ შლიდა თავის გრძელ, გამხდარ ხელებს და როგორ ხალისით მელაპარაკებოდა პოეზიაზე, მომავალზე, სიცოცხლეზე, ყველაფერზე, რაც კი ლამაზია ამ ქვეყნად.

ქუჩაში როცა მივდიოდით, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, შეწყვეტდა ლაპარაკს და ვინმე გამვლელს დააკვირდებოდა. მერე ჩამჩურჩულებდა, აი, ეგ კაცი, მავანი და მავანი მწერალიაო. ან მავანი და მავანი მეცნიერიაო. თითქმის ყველას იცნობდა შორიდან, ვინც ცოტა თუ ბევრად სახელიანი დაიარებოდა ქალაქში.

და აი უცბად სადღაც გაქრა ანზორ სისაური, ვერც ასავალი გავიგე მისი, ვერც დასავალი, ნეტავ ერთხელ მაინც მეკითხა, სად და ვისთან ცხოვრობდა.

წუხელ დამესიზმრა, ვითომ უნივერსიტეტის ბაღში მოსულიყო, ჩემს წინ იდგა ტანსაცმელჩამოგლეჯილი, სახემიფერმკრთალებული და შეუზნებოდა... ზოოპარკიდან გამოვიქეციო. თან ხელს დაბლა იშვერდა, სადაც საზხეცე მღებარეობს. მერე ხელი გადამხვია და უნივერსიტეტის აუდიტორიაში შემიყვანა.

ისე ცხადლივ, ისე მკაფიოდ ვიხილე იმის სახე, როცა გავიღვიძე, კარგა ხანს ვერ გავარჩიე, ცხადი იყო თუ სიზმარი.

უკვე გარიჟრაჟებულიყო. გარეთ სიოც არ იძვროდა, მაგრამ ღია ფანჯრიდან მაინც შემოდიოდა დილის სიგრილე. ჯერ კიდევ ეძინა, ჯერ კიდევ ჩაყუჩებული იყო ქალაქი. მეეზოვე ქუჩას გვიდა და ასფალტზე ისე ფხაჭუნობდა ცოცხი, თითქოს ვიღაცა ქვევრს საროცხით ხეხავსო. ხანდახან მატარებელი შეიკივლებდა და ლიანდაგებზე ბორბლები აძაგძაგდებოდა. დეიდაჩემის სახლი რკინიგზის სადგურიდან სამასიოდე მეტრით იყო მოშორებული და მატარებლების ხმა მთელ ღამეს ისმოდა. მეორე ოთახში საწოლმა გაიჭრიალა. არ ვიცი დეიდაჩემმა, არ ვიცი ოლიამ, გვერდი იცვალა. ლოგინიდან ფრთხილად წამოვდექი და კარადაზე შემოდგმულ საათს შევხედე. ექვსი ხდებოდა. მერე ოლიას მოვკარ თვალი, პირი კედლისაკენ ექცია და მივხვდი, რომ წეღან სწორედ იმის საწოლმა გაიჭრიალა. ოლიაზე თვალი ჩამიშეშდა. საბანი მხოლოდ ბეჭებამდე ფარავდა და შიშველი ზურგი მოუჩანდა, მოუჩანდა აგრეთვე მარცხენა მხარი და ნაზი, ქათქათა მკლავი. შავად მბზინავი, მოკლედ შეკრეჭილი თმა თეთრ ბალიშზე დაეფინოდა. ყოველივე ამის დანახვაზე მთელი არსებით შევიგრძენი რაოდენ დიდ, თავბრუდამხვევ სილამაზეს ეძინა ახლა ტახტზე. ვიდექი და თვალი ვერ მომეწყვიტა ოლიასთვის. ავაზასავით ტანმოქნილი, ოდნავ მოკუშმული იწვა თხელი საბნის ქვეშ.

გადმოვიღე რვეული, სადაც ქართული ლიტერატურის თემები ეწერა და გადავშალე.

დღეს, ესე იგი ორ აგვისტოს, უნდა წარვმდგარიყავი პირველ დიდ გამოცდა-

ზე ქართულ წერაში და თვალწინ დამიდგა ზაფხულის მზით განათებული ჯევბა აუდიტორია. ქალარა ლექტორი და... ანზორ სისაური.

სად დაიკარგა ის ბიჭი? ერთ მერხზე უნდა დავმსხდარიყავით დღეს. ასეთი პირობა გვქონდა დადებული.

გუნება წამიხდა. რვეული გვერდზე გადავდე და თვალები დავხუჭე. ალბათ უძილობის გამო, თავი მტკიოდა. ერთსა და იმავე ადგილას ხანგამოშვებით ნემსით ტვინს მიბურღავდა უჩინარი.

„ჯერ ადრეა, უნდა გამოვიძინო, რომ სალი გონებით გამოვცხადდე“ გავიფიქრე. თვალებდახუჭული ვიწექი და ვერც კი მივხვდი, ძილი როგორ წამოვეპარა. ღრმად ჩამძინებოდა.

თვალები რომ გავახილე, თავს ოლია მედგა. სიყვარულით დამღიმოდა. დაკუთხული, ლამაზი, წითლად მოხასხასე ბაგეებიდან ქათქათა კბილები მოუჩანდა.

— რა ძილქუში დაგაწვა, ბიჭო, ადექი თორემ გამოცდაზე დაგაგვიანდება. რვა საათი ხდება — თავზე ხელი წამომისვა და სამზარეულოში გავიდა.

ლოგინიდან წამოვხტი და ტანსაცმელი სწრაფად გადავიცვი. ოლიას სუფრა გაეწყო. დიდ ჭიქებში ცხელ ჩაის ასხამდა. დეიდაჩემი როგორც ჩანდა, უკვე წასულიყო. იგი დილაადრიანად გადიოდა ქალაქში. დაძრწოდა გასტრონომებში, ორგან და სამგან იჭერდა რიგს, რომ ყველაფერი ცოტა იაფად და ხელსაყრელად ეშოვნა.

სახელდახელოდ ვისაუზმეთ და ქუჩაში გამოვედით. ოლიამ ტაქსი გააჩერა.

უნივერსიტეტთან! — უბრძანა შოფერს.

ახალგაზრდა, ბრგე შოფერმა თავი მოაბრუნა, ჯერ ოლიას დააკვირდა, მერე მე და უხმოდ დაძრა მანქანა.

ტაქსი უნივერსიტეტთან გაჩერდა. ვიდრე კარს გამოვაღებდი და გადმოვიდოდი, შარვლის ჯიბეში ოლიამ ჩამიყო ხელი და გაოცებით გადავხედე:

— დაგჭირდება, გქონდეს. ამაზე ნაკლები ნიშანი არ მოიტანო. აბა, ყოჩაღად იყავი. არ დაიბნე. — მითხრა უკვე დაძრული მანქანიდან.

გაოგნებული და აწითლებული ვიდექი. ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ოლიას ნაჩუქარი ხუთმანეთიანი ამოვიღე. გული ამიჩუყდა. თვალებზე ცრემლი მომადგა. ჯერ ჩემთვის ფული არავის უჩუქებია, არავის, დედაჩემის გარდა. ახლა რომ ოლია ჩემს გვერდით ყოფილიყო, გადავეხვეოდი, გულში ჩავიკრავდი. რა საყვარელი და დიდსულოვანი იყო ახლა ჩემს თვალში ჩემი დეიდაშვილი.

ვიღაცამ მხარი გამკრა და ფეთიანივით შეიჭრა ალაყაფის კარებთან შეგროვილ ხალხში.

„ამაზე ნაკლები ნიშანი არ მოიტანო.“

გამახსენდა ოლიას ნათქვამი და ჯიბიდან საგამოცდო ამოვიღე.

სადარბაზო კართან ვიღაც ქალარა კაცი იდგა და ყვიროდა;

— ფილოლოგები, მეორე ჯგუფი, ოცდამეხუთე აუდიტორიაში! სწრაფად! მეორე სართულზე ავედი და ოცდამეხუთე აუდიტორიის ძებნას შევუდექი.

უცებ ვიღაცამ მკლავზე ხელი ჩამავლო და როგორც კი მოვბრუნდი გადამეხვია. ჩემს წინ ანზორ სისაური იდგა სახეგაბადრული.

— ანზორ! სად ხარ, ბიჭო!

მარჯვენა ბეჭზე თითები მაგრად მოვუჭირე და სახეზე მივაჩერდი. იგი იღიმებოდა. უფრო გამხდარი და ფერმკრთალი მეჩვენა, თითქოს ჭორფლიც მოხშირებოდა და მკვირცხლ მხიარულ თვალებში სევდის ნაპერწკალი ჩავარდნოდა.

— საავადმყოფოში ვიწექი. ექიმებს ძლივს გამოვუსხლტი, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო.

— ოპერაციაო?

— კი. კუჭის წყლული აღმომაჩნდა.

— კუჭის წყლულიო?

ანზორ სისაურმა ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, მხარზე ხელი დამადო და დინჯად, თითქოს სხვათაშორის მითხრა:

— გამოცდების შემდეგ აუცილებლად

უნდა გაიკეთო ოპერაციაო... შევიდეთ თორემ გამოცდა იწყება.

აუდიტორიაში შევედით. თავისუფალი მერხი ვნახეთ და დავსხედით.

აუდიტორია გაინაბა. ორმა ლექტორმა, ქალმა და კაცმა, შტამპიანი ფურცლები ჩამოარიგეს, მერე ორჯერ თუ სამჯერ გაგვიმეორეს საგამოცდო წერის წესები და დაფაზე, თეთრით შავზე, ჩამოწერეს თემები.

მე „ალუდა ქეთელაური“ ვირჩიე. ანზორმა — გალაქტიონ ტაბიძის პოეზია.

8.

ოთხ აგვისტოს წვიმდა. შუაღამისას ელვა-ქუხილით მოვარდა შხაპი და ხვატისაგან შეღონებულ მთელ ქალაქს ღვთის თვალი დაადგა.

დილით ისევ მოღრუბლული იყო, მაგრამ აღარ წვიმდა. ხეთა გაულენთილი ფოთლებიდან ლეშხი და ჟვავი ცვიოდა. ნაწვიმარ ქუჩებში შხივილით მიმოდიოდნენ მანქანები და ტროტუარს წუწავდნენ.

ასეთ ამინდშიც თავისებური და ლამაზია თბილისი. მშვენიერი მანდილოსნები, აქაოდა ამინდი ანაზდეულად შეიცვალაო, უფრო ლამაზად გამოეწყობიან, გაეხვევიან ლაბადებში, ნაფტალინის სუნი რომ დაჰკრავს ხოლმე, ან მონატრებულ კოსტუმებს გადაიცვამენ და, ალბათ უამინდობის გამო, მოწყენილ მერცხლებს დაემგვანებიან.

დილის ცხრა საათი ხდებოდა. იმ დღეს წერითი ნიშანიც უნდა გამეგო და ზეპირი გამოცდაც ჩამებარებინა.

დერეფნის ბოლოში მოსაწევი ოთახის ფანჯარასთან ვიდექი, სიგარეტს ვაბოლებდი და უაზროდ მივჩერებოდი ღრუბლიან ცას. ცაზე სწრაფად მისრიალებდა უკვე დაწრეტილი, ამჩატებული ღრუბლები და გამჭვირვალე ცისფერ კვალს სტოვებდა. ამ ფანჯრიდან ჩანდა აგრეთვე უნივერსიტეტის უკანა ეზო, სადაც ფრენბურთის მოედანი მდებარეობდა. მოედანი ახლა ღვთისანაბარა მიეტოვებინათ. დაჭიმული ბადეები მზისაგან და წვიმისაგან ჩაყვითლებულიყო.

დერეფანში ხალხი ზიმზიმებდა. რამდენიმე წუთში აქ ღვთის განკითხვა დაიწყებოდა. ბევრი სიცილი დაიფრქვეოდა და ბევრი ცრემლი დაიღვრებოდა. დღეს, როგორც წერო გამოაკლდება ხოლმე თავის გუნდს და ფრთებდაკეცილი მოსწყდება საყვარელ ლაჟვარდოვან ცას, ისე მოსწყდება რამდენიმე კაცი უნივერსიტეტის საოცნებო კედლებს და დაბოლმილი დაკეცავს ფრთებს.

გუშინ წერაში ჩაჭრილთა სია გამოაკრეს და ორმოცდაათკაციანი ნოტო მოწყვიტეს დიდ ფარას.

არც მე, არც ანზორ სისაური ჩაჭრილთა სიაში არ ვყოფილვართ. მაგრამ ეს არ იყო გადამწყვეტი. ქართულ წერაში მიღებული სამიანი იგივე ჩაჭრას ნიშნავდა, რადგან კონკურსი დიდი იყო და მხოლოდ მაღალ ნიშნიანებს ჩარიცხავდნენ. ახლა, სულ რამდენიმე წუთში, დაიწყებოდა გამოცდა და ყველაფერი ნათელი გახდებოდა.

სიგარეტი გადავაგდე და დერეფანში გამოვედი. სისაური მოვათვალიერე, მაგრამ ჯერ არსად ჩანდა. მთელი დერეფანი თითქმის სავსე იყო. ზოგი აუდიტორიის კარებთან მიზლვავებულიყო, ზოგნი აქა-იქ გაფანტულიყვნენ, წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ. ეტყობოდა, გამოცდა უკვე დაწყებულიყო.

უცებ აუდიტორიის კარი გაიღო და ვიღაც ქალიშვილი გამოვიდა. სახე აჭარხლებოდა, თმა ოდნავ ჩამოშლოდა შუბლზე. აბიტურიენტები შემოესივნენ, მაგრამ იმ ქალიშვილმა მარჯვედ გაარღვია ხალხის ტალღა და გველნაკბენივით გავარდა.

— ალბათ ჩაიჭრა! — თქვა ვიღაცამ

ქალიშვილს თვალი გავაყოლე და დავინახე, რომ დერეფნის ბოლოში ანზორ სისაური წამოეწია და კიბეზე ჩაცილებათან ხელებით რაღაცას ელაპარაკებოდა.

დერეფანი გავიარე და კიბის თავში დავდექი. ხუთიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა ანზორი. შორიდანვე გამიღიმა, გრძელი ხელი გამომიწოდა და მაგრად ჩამომართვა, როგორც იცოდა ხოლმე.

— რაო, იმ გოგომ?

— დამინახე? — ღიმილით მკითხა.

— კი.

— მესამე წელია თურმე აბარებს. წერაში სამიანი დაუწერიათ. სირცხვილით შინ აღარ მიმესვლებაო.

— საწყალი გოგო!..

— ილო, ყველანაირად ეცადე გენრიხ აბდულაძესთან არ მოხვდე. ამბობენ, მკაცრი გამომცდელიაო. გესმის?

— რა ვიცი, ვეცდები.

— კომისიის თავმჯდომარე სარჯველაძე ყოფილა.

— სარჯველაძე?

ამ გვარის ხსენებაზე ჩვენი სკოლის დირექტორი გამახსენდა. თვალწინ დამიდგა ცოტა მოსულელო და ცოტა გაიძვერა კლიმენტა.

გამეღიმა და თავი გადავიქნიე.

— ჰო, სარჯველაძე, რა იყო?

— არაფერი, ჩვენი სკოლის დირექტორიც სარჯველაძე იყო.

— იქნებ იმის ნათესავია?

მხრები ავიჩეჩე, რა ვიცი-მეთქი.

ამ დროს აუდიტორიის კარი გაიღო და ოთხი გვარი ამოიკითხეს. მათ შორის სისაურიც იყო. ანზორმა ერთი შემომხედა, დაბნეულად გაიღიმა და აუდიტორიაში შევიდა.

— აბა შენ იცი! — ესღა მივაძახე და თვალს მიეფარა.

## 9.

როცა ჩემი გვარი ამოიკითხეს და აუდიტორიაში შევედი, ყურმა გამწივლა და თვალები ამიჭრელდა. დაახლოებით ნახევარ წუთს გაგრძელდა ასე, მერე თანდათან მოვიკრიბე ძალა, თანდათან შევეგუე ჩემთვის უცხო გარემოს და კვლავ დამიბრუნდა სადი, ნათელი აზროვნება. მე რომ შევდიოდი, ანზორ სისაური გამოდიოდა. გამიღიმა, მკლავზედ მაგრად მომიჭირა ხელი, გელოდებიო ჩამჩურჩულა, მერე გაშლილი თითები დამანახვა და გავიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემმა მეგობარმა ზეპირში ხუთიანი გაირტყა.

— აქეთ მობრძანდით! თქვენ გეუბნებით, თქვენ! — მივიხედე და ჩემს წინ. მაგიდასთან იდგა მაღალი, მელოტი კაცი.

„ალბათ ეს არის გენრიხ აბდულაძე მაღალი, მელოტი კაციაო, მეუბნეოდა სისაური".

და ერთი წამით აუდიტორიას გადავავლე თვალი. ორი გამომცდელი სხვა იყო. ერთი ხუჭუჭთმიანი, ახალგაზრდა კაცი, ერთიც დაბალი და ჯმუხი, ჭაღარით შემოსილი.

— თქვენ გეუბნებით, აიღეთ ბილეთი და აი აქ დაბრძანდით! — მერხზე მიმითითა აბდულაძემ. მე პირდაპირ შევხედე, სახე ასწითლებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცხედართან დგასო.

„რას გადამეკიდა ეს კაცი... მორჩა, ამას ბრჭყალებიდან ვეღარ დავუძვრები". — გავიფიქრე და ბილეთისაკენ გავწიე. ჩემზე წინ ერთმა ქალიშვილმა და ერთმა ვაჟმა აიღეს ბილეთები და დასაკლავი საქონელივით მიიზლაზნენ გამომცდელთან. ბილეთებით დაფარულ მაგიდას თვალი მოვავლე და ერთერთ მათგანს ხელი წავატანე, მაგრამ უკანასკნელ წამს გადავიფიქრე, მეორე ბილეთი ავიღე. ნომრისთვის არც დამიხედია. თამამად და მხნედ გავწიე გამომცდელისაკენ და მერხზე ჩამოვჯექი.

— ბილეთის ნომერი? — მკვახედ მკითხა აბდულაძემ.

მაშინღა დავხედე ბილეთს, მეათე ნომერი იყო.

მერხზე კოხტად მოვიკალათე და მთელი გულისყური ბილეთში ჩავაქციე.

ბოლომდე რომ ჩავედი, შვებით ამოვისუნთქე. უცებ ჩემს ირგვლივ მთელი სამყარო განათდა და გულში რაღაც მხიარული ჰანგი აჟღერდა. თამამად შევხედავ აბდულაძეს. იგი წელში ოდნავ მოხრილი იჯდა, ლოყა ხელის გულზე დაებჯინა და ოდნავი, ირონიული ღიმილით მისჩერებოდა აბიტურიენტ გოგონას. გოგონა ხშირად ჩერდებოდა და ხატივით შეჰყურებდა გამომცდელს თვალებში, რასაც ვამბობ, სწორად ვამბობ თუ არაო, მაგრამ აბდულაძე არც დასტურს აძლევდა და არც უარის თქმა ნებავდა. გაშეშებული იჯდა. მარტო თვალებს ახამხამებდა და ათასში ერთხელ სეტყვასავით გადმოაგდებდა ერთსა და იმავეს:

— მერე?

მე კვლავ ჩემს ბილეთს დავუბრუნდი. თითოეული საკითხი დაწვრილებით ამოვბოჭე მეხსიერებიდან და გონების თვალით თავიდან ბოლომდე გადავიკითხე. ყველაფერი რიგზე იყო. ყველაფერი ზუსტად მახსოვდა და ისევ ვიგრძენი ჩემს გულში როგორ აჟღერდა მხიარული ჰანგი. როგორ გავამაყდი, როგორ აღმიზევდა რწმენა და რა საოცარი ფერებით განათლდა მთელი სამყარო. აი, ამ ყოფაში ვიყავი, ამ ნეტარ ოცნებაში დავცურავდი, როცა ჩემს გვერდით ქვითინი შემომესმა. აბიტურიენტი გოგონა ტიროდა.

— აქ ტირილის ადგილი არ არის! — თითქოს თვითეულ სიტყვას ცოხნისო, ისე ჩაილაპარაკა აბდულაძემ და მერე დასძინა, — თავის დროზე არაფერს ჩაიყრიან გოგრაში და ცრემლით უნდათ თავი შეგაბრალონ.

გოგონამ ერთი კიდევ ამოიფშულკუნა და აუდიტორიიდან გავიდა. სხვა გამომცდელებმა თვალი გააყოლეს, მერე აუდიტორია თავის საქმეს დაუბრუნდა. აბდულაძემ ჩვენ გადმოგვხედა. მე თვალი გადავკარ დანარჩენებს. დაჩიავებულები და გამტკნარებულნი ისხდნენ. ეტყობა, გამომცდელის რისხვამ და სიმკაცრემ უარესად დათრგუნა და დააბეჩავა ისინი. იმ წუთს, არ ვიცი რა ძვრა მოხდა ჩემს სულში, შურისძიების გრძნობამ შემიპყრო თუ რა იყო, მთლად დავკარგე ყოველგვარი შიში და განცდა, ისე გავდიადდი, ისე გავიზარდე ბუზივით მომეჩვენა ეს მკაცრი გამომცდელი.

— აბა, ვერ მოიფიქრეთ? ვის გაქვთ გამოსვლის სურვილი? — ამოცოხნა აბდულაძემ და ეგრევე წამოვდექი. დანარჩენებმა შვებით ამოისუნთქეს და მადლიერების თვალით გადმომხედეს. გამომცდელს ბილეთი წინ დავუდე.

— რა გვარი ხარ?

— ღულულაშვილი.

— რა გვარიო? — ცივი თვალები მომაპყრო. — ბულულაშვილიო?

— ღულულაშვილი, პატივცემულო.

— რანაირი გვარია! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და მერე უფრო ხმამაღლა მკითხა, — სადაური ხარ?

— კახელი.

— ჰო... გასაგებია. — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა, მერე თხელი ტუჩები მაგრად მოკუმა, ჩემი საგამოცდო ფურცელი მონახა და გადაშალა.

— წერაში ოთხი მიგიღია, ვნახოთ ახლა ზეპირში...

— ოთხი? რატომ ოთხი?

— აბა ახლა ხუთიანი გინდოდა? ხუთი არავისთვის დაგვიწერია და შენ რა წითელი კოჯი ხარ?

— საერთოდ არავისთვის დაგიწერიათ?

— არა — ცივად მომიჭრა.

ამ პასუხმა უცებ ამყარა ფარხმალი და დამამშვიდა. გულშიც არ გამივლია ეჭვი თუ გამომცდელი ცრუობდა.

— აბა დაიწყე. მამათა და შვილთა ბრძოლაა არა, პირველი საკითხი.

— და მეც დავიწყე. ყველაფერი ზუსტად და ნათლად გადმოვულაგე გამომცდელს. ვინ იყვნენ მამები, ვინ იყვნენ შვილები, რაზე წარმოიშვა მათი დავა, ვისკენ იყო სიმართლე...

აბდულაძე ხანდახან შემომხედავდა, თვალდაუხამხამებლად დამაშტერდებოდა და მერე დიდხანს თავჩაღუნული უძრავად იჯდა. ბოლოს ორიოდე შეკითხვა მომცა და იმაზედაც ჩემის აზრით რიგიანი პასუხი გავეცი, ოღონდ ვერ კი გავიგე, რამდენად კმაყოფილი **დარჩა.**

მერე სამანიშვილის დედინაცვლის ამბავს შევუდექი. მოკლედ ვყვებოდი შინაარსს, ვლაპარაკობდი ნაწარმოების მიზანდასახულობაზე, მწერლის ოსტატობაზე, მაგრამ გამომცდელი ხშირად მაჩერებდა და მიბიძგებდა, მხოლოდ შინაარს მივყოლოდი თანამიმდევრულად და დაწვრილებით, აბულაძემ კალმის ტარი მაგიდაზე რამდენჯერმე დააკაკუნა და წამოდგა.

— აბა მითხარი, ვისგან ითხოვა პლატონმა ცხენი, სადედინაცვლოს საძებნელად რომ მიდიოდა?

— მეზობლისგან.

— რა ერქვა იმ მეზობელს, ან იმ ცხენს რა ერქვა. არ უწერია კლდიაშვილს სახელები?

ორიოდე წამით ჩავფიქრდი და გულახდილად ვუთხარი: არ მახსოვსმეთქი.

— აბა რაღა გახსოვს?

ერთხანობა შევყოყმანდი და მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოვღერღე:

— ნაწარმოების საერთო შინაარსი... თემა, იდეა...

— მოიცა მოიცა... გადადი მესამე საკითხზე, ზღაპრებს თავი დაანებე. — მკვახედ **მითხრა.**

გალაქტიონის „მე და ღამე“ ზეპირად მათქმევინა. ერთ-ორ ადგილას შემეშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთხიანი!

ამის თქმა იყო და როგორღაც, ისე რომ იქით არც მიმიხედია, ჩემს გვერდით მერხზე მსხდომ აბიტურიენტების სახეზე გაოცება შევნიშნე.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო.

აბდულაძემ ჩაიცინა.

— ვითომ რატომ არ შეკადრება?. ლექსი ზეპირად ვერა თქვი, სამანიშვილის დედინაცვალი ვერ მოჰყევი... — ორ თითს შუა კალამს ატრიალებდა და ქვეშ-ქვეშ მიყურებდა. — კიდეც მევაჭრები? იქნებ ხუთიანი გინდა?

— დიახ, ხუთიანი მინდა.

დიდი წარმოდგენა გქონია თავზე. — **აბდულაძემ ისევ ჩაიცინა.**

— მე არაფერი არ შემშლია. მედავითნე კი არა ვარ, ყველა წვრილმანი ზეპირად ვიცოდე... — ამის თქმა იყო და ყურებმა წივილი დამიწყო. თვალები ამიჭრელდა და გულში მწუხარედ დარეკა რაღაცამ. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა და იდუმალი ძალა საიერიშოდ მიბიძგებდა.

— რაო, რაო? მაშ შენი აზრით მედავითნე სხვა არის? — ზიზღით ჩაილაპარაკა და თეთრი პერანგის საყელოზე წაჭერილი ჰალსტუხი ოდნავ მოუშვა. მაგრამ სახეზე მაინც წამოწითლებული იყო.

— სხვა კი არა, თქვენა ხართ.

აბიტურიენტებმა თავი ჩაჰკიდეს. აბდულაძემ მეჩხერი, მოკლე წამწამებიანი თვალები დაახამხამა და რისხვით მომაჩერდა. დაძაბული დუმილი ჩამოვარდა. აფეთქების წინ რომ ჩამოვარდება ხოლმე ისეთი. მე თვალს არ ვაშორებდი. ვგრძნობდი, ნიკაპი როგორ მიცახცახებდა და წონასწორობას როგორ ვკარგავდი. არ ვიცი, რა შემატყო, რა მეწერა სახეზე ისეთი; ჩემდა მოულოდნელად აბდულაძე სკამზე დაეშვა, საგამოცდო მომიგდო და მშვიდად, მაგრამ ბოღმით მითხრა:

— მე ნიშანს არ გიწერ, მიჩივლე სადაც გინდა.

— სად არის კომისიის თავმჯდომარე?

— გარეთ გავიდა. ახლავე გეახლებათ! — ნიშნის მოგებიო მითხრა და დანარჩენებს მიუბრუნდა, — აბა, შემდეგი. მობრძანდით!

ადგილიდან არვინ იძროდა.

— თქვენ გეუბნებით, დროს ნუ მაკარგინებთ.

ამ დროს აუდიტორიის კარი გაიღო და ხანდაზმული, ჭაღარით შემოსილი კაცი შემოვიდა. აბდულაძე ისევ მე მომიბრუნდა:

— აგერ კომისიის თავმჯდომარე. მიბრძანდით.

საგამოცდო ავიღე და წელმოწყვეტილი გავემართე კომისიის თავმჯდომარესთან. ეს საშუალო ტანის მეტად სათნო, ფერმკრთალი სახის კაცი არაფრით არ გავდა თავის მოგვარე კლიმენტა სარჯველაძეს, ჩვენი სკოლის დირექტორად რომ დანიშნეს.

— რაშია საქმე? — დაღლილი, ქუთუთოებშეშუპებული თვალები მომაპყრო სარჯველაძემ.

— აბდულაძე ნიშანს არ მიწერს.

— რატომ?

— ოთხიანს მიწერდა და... — აქ კი ნერვებმა მიღალატეს. გული ყელში გამეჩხირა და სიტყვა ველარ დავძარ.

— დაწყნარდი, შვილო. მითხარი რა იყო. — ამ თბილად და ალერსიანად ნათქვამმა სიტყვებმა უარესად ამიჩუყა გული, თვალებზე ცრემლი მომადგა და გვერდზე შევბრუნდი.

კომისიის თავმჯდომარე წამოდგა და აბდულაძესთან მივიდა. ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა, თავისი სუსტი, შემჭკნარი ხელი მხარზე დამადო და მითხრა:

— აბა დაწყნარდი და დაჯექი. მეათე ბილეთი იყო შენი არა? — ეტყობოდა კბილები აკლდა. ოდნავ ჩიფჩიფებდა.

— დიახ! — მერხზე ჩამოვჯექი და სული მოვითქვი.

— ნუ აღელდები. აბა დავიწყოთ.

ორიოდე წუთის შემდეგ შემაჩერა.

— კარგია, ყოჩაღ! მეტი არ მინდა, აბა მითხარი, რაზე ჰქონდათ დავა მამებსა და შვილებს?

—ენის სიწმინდეზე. ერთნი, კერძოდ მამები გრ. ორბელიანის მეთაურობით იცავდნენ მაღალფარდოვანი, არისტოკრატიული ენის სტილს...

— კმარა, კმარა... სწორია, რატომ ჩქარობ. შენ როგორი კახელი ხარ... ალერსით გამიღიმა.

— აბა სამანიშვილის დედინაცვალზე რას იტყვი. შინაარსი არ მინდა. მოკლედ გამირჩიე.

ორიოდე წუთში ყველაფერი, ნაწარმოების თემაც და იდეაც, ზუსტად ჩამოვუყალიბე. „მე და ღამე“ ზეპირად აღარ მათქმევინა, ორიოდე სიტყვით გავურჩიე, რატომ დაწერა პოეტმა ეს ლექსი: როდის, რა პერიოდში, რას გულისხმობდა და ამით ამოიწურა მესამე საკითხიც, გრამატიკაში დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი ქცევის ირგვლივ, თითქმის ჩამაცივდა, მაგრამ ყოველ ჩემს პასუხზე ვატყობდი, სიხარულსა და კმაყოფილებას ვერ მალავდა. დასტურის ნიშნად თავს მიქნევდა და სიტყვასაც აშველებდა:

— სწორი ხარ, მართალია... ოღონდ ნუ ჩქარობ!

როცა ყველაფერი ამოიწურა, სარჯველაძე ცოტახანს ჩაფიქრდა და მერე ღიმილით შემომხედა.

— რაკი ხუთიანი გინდა, ერთ დამატებით შეკითხვას მოგცემ, თუ არ გეწყინება.

— როგორ გეკადრებათ.

— აბა მითხარი, რა არის რომანტიზმი?

არ დავაყოვნე. ვუთხარი სად წარმოიშვა რომანტიზმი. როგორ წარმოიშვა, რა იყო საქართველოში რომანტიზმის წარმოშობის მიზეზი. ვინ იყვნენ რომანტიკოსი მწერლები...

ყურადღებით მისმენდა. არ გავუჩერებივარ. ბოლოს, ვიდრე მე ლაპარაკს მოვრჩებოდი, ჩემი საგამოცდო გადაშალა, შიგ ჩაიხედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— წერაში ოთხი მიგიღია, ეგ არაფე-

რი. თუ ასე ჩააბარებ სხვა საგნებსაც, მოხვდები. მე კი მინდა რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი გახდე... რომელი სკოლა დაამთავრე?

— მაჭარაულის საშუალო სკოლა.

— ვინ გასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას?

ვუთხარი ვინც მასწავლიდა.

— აჰა. უცხო ენაში როგორ გაქვს საქმე?

— რა ვიცი, ვნახოთ.

სარჯველაძემ ჩემი ბოლო პასუხი მგონი ვეღარ გაიგონა, აბდულაძეს გადასძახა, ცოტახანს მობრძანდითო და ხელში კალამი აიღო. აბდულაძე ზანტად მოვიდა.

— თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ამ ყმაწვილს ხუთიანს ვუწერ.

კომისიის თავმჯდომარემ საგამოცდოში ხუთიანი ჩამიწერა და ღიმილით მითხრა, წარმატებას გისურვებო.

10.

აკი თავიდანვე მოგახსენეთ, ოცნება მიყვარს-მეთქი. მართლაცდა, რა სჯობია ოცნებას. მარტოდმარტო ხარ შენს თავთან, აჰყვები შენს ფიქრს, აჰყვები და თავს ამოჰყოფ შენს სასურველ სამყაროში, სადაც ყველაფერი უცნაურად კაშკაშებს და გხიბლავს.

დეიდაჩემი შინ არ დამხვდა. კედლის სამალავიდან გამოვიღე გასაღები და შევედი. ოთახში სულისშემხუთველი ბუღი იდგა.

მზეზე გავარვარებული შიფერის სახურავიდან მთელი სიმხურვალე ოთახს შეეწოვა. მაშინვე ფანჯრებს ვეცი და ყუნწამდე დავაღე. ორპირმა ქარმა აბლაბუდასავით ნაქსოვი გამჭვირვალე ფარდები ააფრიალა.

საშინელ დაქანცულობას ვგრძნობდი. შარვალი და პერანგი გავიძრე, საგამოცდო ფურცელი მაგიდაზე დავდე, მივწექი დივანზე და ჩემს საყვარელ ოცნებაში სიამით შევცურე. აჰა, ესეც ქართული წერა და ზეპირი. ორი გამოცდიდან ცხრა ქულა. უკვე ორი საფეხურით ავინაცვლე იმ ტაძრის კიბეზე, ბავშვობიდანვე რომ შევნატროდი.— ეს სწორედ ახლა, როცა უფრო დავუახლოვდი. სანუკვარ მიზანს, გაცილებით უფრო შემიპყრო სასიამოვნო გრძნობამ და ოცნებასაც გამოესხა ფრთები. უკვე თვალწინ მედგა ყველა ახლობელი და ნაცნობი, რომელნიც სულ მალე გაიგებდნენ ჩემი ჩარიცხვის ამბავს და რომელთა თვალში უფრო ავმაღლდებოდი და გავდიადდებოდი. თვალწინ მედგა დედაჩემი, ჩემს ბედსა და მომავალზე სასოებით მლოცავი, ჩემი ალიწუწია, ახტაჯანა და, ჩემი სათნო და საყვარელი ნინო მასწავლებელი.

ექვს აგვისტოს, ესე იგი ზეგ, გერმანულ ენას ვაბარებდი. ეს იყო ერთადერთი ბარიერი, რომლის დაუძლევლობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც ბუდობდა თავზარდამცემი შიში. ეს შიში და ეჭვი მე თვითონ დავიმარხე და მივეც დავიწყებას, რადგან მისი არსებობა ყველაფერს მიცამტვერებდა. აი, ახლაც, ამაზე ფიქრი უკუვაგდე და თვალებდახუჭული, ორპირი ქარით შეგბამოსილი ოცნებას მივენდე: უკვე სტუდენტად წარმოვიდგინე თავი, უფრო შორსაც წავედი, მეცნიერების ძნელ, მაგრამ დიდებულ შარაზე გავაბიჯე. ო, რა უზენაესი ნეტარებაა, როცა სამყაროსგან მოწყვეტილი ძილბურანში ხარ და ოცნებობ. ამ დროს, დამერწმუნეთ, სული სტოვებს სხეულს და დროებით გადასახლდება ხოლმე შენს სასურველ სამყაროში. ამ დროს, თუ ტახტზე მდებარე ნივთად გადაქცეულ შენს ხორცს არ ჩავთვლი, ოცნებასა და სინამდვილეს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშლილია. აქ უკვე მხოლოდ ერთმა, ღმერთმა იცის, ამ უსასრულო სამყაროში რომელია ოცნება და რომელია სინამდვილე.

..როდის ჩამეძინა, ან რამდენხანს მეძინა, ვერაფერი გავიგე.

თვალები როგორც კი გავახილე, დავინახე, რომ ჩემი და, მათიკო მედგა თავზე. ღიმილით დამცქეროდა და რაღა-

ცას მეუბნებოდა. ერთხანს ჩემი თავი შინ მეგონა. მერე, თანდათან რომ დამიბრუნდა მეხსიერება და გამოვგონდი. გავიცადი, საიდან და როგორ გაჩნდა აქ ჩემი და-მეთქი.

— ადექი, შე ძილის გუდავ, ადექი! — იცინებოდა და ხელებს შლიდა.

— მათიკო!..

მომეხვია და გადამკოცნა.

— მომილოცავს ხუთიანი, ყოჩაღ!. უჰ, როგორ გაოფლილხარ!

ისე ვიყავ ძილისაგან და სიცხისაგან დათენთილი, ლაპარაკის თავიც აღარ მქონდა.

— რა ქარმა გადმოგაგდო, გოგო?

ის კიდევ მეუბნება:

— რამდენი ხანია გიყურებ, ან ახლა გაიღვიძებს ან ახლა-მეთქი, მაგრამ ღრმად გეძინა, მერე ვეღარ მოვითმინე და გაგაღვიძე! — სხაპასხუპით ლაპარაკობდა, თან ხელებს იშველიებდა. ფერმკრთალი სახე ზაფხულის მზით გარუჯოდა და ცოტა კიდევ გამხდარიყო. ალბათ დედას ეხმარებოდა ვენახის დამუშავებაში. ლამაზად შეკერილი შიფონის კაბა ეცვა, თეთრი დაკბილულ საყელოიანი და ძალზედ შვენოდა მის კოხტა კაფანდარა ტანს. თმაც ლამაზად დაევარცხნა. ერთი სიტყვით, შეხედვა გესიამოვნებოდათ, მაგრამ რაღაცით, ზუსტად ვერ გეტყვით რით, მაინც შეიმჩნეოდა მის გარეგნობაში, მის ჩაცმულობაში, რომ ღარიბი ოჯახის შვილი იყო.

— შინ რა ამბავია, გოგო, ხომ მშვიდობაა?

— კი. დედაჩემს გულმა აღარ მოუთმინა და გამომგზავნა, ჩადი ერთი გაიგე, ის ბიჭი რასა იქსო. დღესვე უნდა გავბრუნდეთ უკან. როგორ გაუხარდება დედას შენს ამბავს რომ ჩავუტან.

— გაიღვიძე, თავადიშვილო?! — დეიდაჩემს ასეთი გამოთქმა უყვარდა ხოლმე. იგი დოინჯშემოყრილი დადგა შუა ოთახში და ღიმილით მომაჩერდა. — ყოჩაღ, ყოჩაღ, აბა შენ იცი, შვილო, შენ მაინც გაახარე დედაშენის გული. საწყალი ამბროსი, სულ იმას ამბობდა, ამ ბიჭისაგან კაცი დადგებაო. არ ვიცი, რას გატყობდა.

ეს რომ თქვა დეიდაჩემმა, ჩემდაუნებურად თვალი გამექცა კედელზე დაკიდებული სურათისაკენ. მეტყველი, ცოცხალი ადამიანის თვალებით მომჩერებოდა სურათიდან ბიძია ამბროსი, თითქოს ცდილობდა სულში ჩაეხედა. დეიდას თვალებზე ცრემლი მოადგა, ერთი ამოიოხრა და მერე, ხუთიოდე წამის შემდეგ, როცა მწარე მოგონების სევდამ გადაუარა, მშვიდად თქვა:

— უთო არ გადამეწვას, მივხედავ. ამაღამ შენი დეიდაშვილი სოფელში მიბრძანდება და უნდა გავამწყო.

— სოფელში?

— კი, ერთად მივდივართ. როგორც იყო დავითანხმე, მერე დეიდაც ჩამოვა, ხომ ჩამოხვალ, დეიდა? — დეიდაჩემს მიუბრუნდა მათიკო.

— რა ვიცი, შვილო, წანწალის თავი აღარა მაქვს, მაგრამ ვნახოთ.

ოლია სოფელში მიდის.

თითქმის შვიდი წელია ჩვენთან ალარ ჩამოსულა. ჩავა ეხლა და ჩვენს მყუდრო, მოწყენილ ეზო-ყურეს აახმაურებს, დაამშვენებს. ადრე, როცა ის სოფელში ჩამოდიოდა, მთელი გოგობიჭობა იმის ირგვლივ იყრიდა თავს. მიყრუებულ, შრომით დაქანცულ სოფელს გამოაცოცხლებდა ხოლმე, კარნავალებს მართავდა და მეზობელი სოფლიდანაც კი მოდიოდა ახალგაზრდობა. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, იმათ მარაქაში ვერ ვერეოდი, მაგრამ ოლიას ჩამოსვლა მაინც უზომოდ მიხაროდა.

წამოვდექი. ცივი წყლით გავგრილდი და ტანს გადავიცვი.

მათიკო სულ კუდში დამდევდა, ხან სოფლის ამბებს მიყვებოდა, ხანაც აქაურს მეკითხებოდა, საშველი არ დამაყენა, ვიდრე დაწვრილებით არ მაამბობინა ჩემი გამოცდების ამბავი.

— მაშ ნინო მასწავლებლის გვარი გკითხა კომისიის თავმჯდომარემ? როგორ გაუხარდება ნინო მასწავლებელს ამ ამბავს რომ გაიგებს. გუშინ შემხვდა და

მკითხა, ილოსი ხომ არაფერი გაგიგიათო.

ღამის თერთმეტ საათზე ოლია და მათიკო ვაგზალზე გავაცილე. თელავის მატარებელში დავაბინავე და დავემშვიდობე.

ვიდრე ვაგონიდან ჩამოვიდოდი, მათიკო წამომეწია.

— ილო, კინაღამ დამავიწყდა, ეს დედამ გამომატანა და დამაბარა, არ იშიშილოო, დეიდაშენს ძაან ნუ შეაწუხებო. — ჯიბეში ფული ჩამიდო და სწრაფად გაბრუნდა უკან, მერე შეჩერდა, ერთი კიდევ მოიხედა, გამიღიმა და პატარა, გარუჯული ხელი დამიქნია. მე ვიგრძენი მის თვალებიდან რაოდენი სიყვარული და მზრუნველობა გამოსჭვიოდა.

თორმეტი საათი ხდებოდა. ისეთი სასიამოვნო, გრილი ღამე იყო, შინ დაბრუნება დამეზარა და ვიფიქრე, ერთხანს ბაქანზე ვისეირნებ-მეთქი.

ლამპიონებით გაჩახჩახებული ვაგზალი ხალხით იყო სავსე. თითქოს მთელი ქალაქი აყრილა და სადგურს მოსწყდომიაო. ლიანდაგებზე კი განრთხმულიყვნენ სხვადასხვა მხარეს მიმავალი მატარებლები და ყოველი მათგანი თავის მგზავრს ელოდა. სადგური ცოცხლობდა და ბობოქრობდა...

ყოველ ადამიანს თან დაჰყოლია თავისებური უცნაურობა. ამ ქვეყნად ზოგს რა იტაცებს, ზოგს-რა. პირადად მე ბავშვობიდანვე სამი რამ მხიბლავდა: გაზაფხული, მუსიკა და მატარებლები. გაზაფხულზე, როცა ტყე გაიფოთლებოდა, როცა იასამნები აყვავდებოდა, როცა დედამიწა ნაზად მორთულ სურნელოვან ქალწულს დაემგვანებოდა, მაშინ ვიგრძნობდი ხოლმე სიცოცხლის მძაფრ წყურვილს, მაშინ გამახსენდებოდა, რომ ტიალი სიკვდილიც არსებობდა. მუსიკა კი, აი თუნდაც ძველი ქართული სიმღერები, ძვალ-რბილიანად მშლიდა და მისი მოსმენისას ყველა ძარღვი მითრთოდა. რაც შეეხება მატარებლებს, უცნაურ გრძნობას აღმიძრავდნენ. როცა მყუდროებით სავსე ღამეში მატარებლის თანაბარ შორეულ ხმაურს გავიგონებდი, ჟრუანტელი მივლიდა. მე არ ძალმიძდა ზუსტად გავრკვეულიყავ და გამეგო რაში იყო არსი ჩემს სულში აღძრული ამ მღელვარებისა. მეჩვენებოდა, რომ ეს იყო თრთოლვა იმ ძარღვისა, მთელ ქვეყნიერებასთან რომ მაკავშირებდა. საით მიდიან ის მგზავრები, რომელი ცის ქვეშ ან რა ფიქრები მიაქვთ, რა სიხარული და რა მწუხარება. და უეცრად თვალწინ დამიდგებოდა ლიანდაგებით დაფარული ვეება დედამიწა, რომელზეც გრუხუნით მიემართებიან ზუსტად განწესებული მატარებლები. ისინი არსად არ ჩერდებიან თუ არ განაწესში მითითებულ სადგურებზე. მიდიან მატარებლები და მიჰყავთ სხვადასხვა ხელობის ადამიანები, ამ ადამიანებს თან მიაქვთ სიხარული და დარდი. ისინი ივლიან დღეც და ღამეც, გადაუვლიან ბევრ მდინარეს, მწვანედ აჯეჯილებულ მინდვრებს, გვერდზე ჩაუქროლებენ აყვავებულ იასამნებსა თუ ცაცხვებს და ვაგონებიც ხან ამ იასამნებისა და ცაცხვის ყვავილის სურნელს შეიტაცებენ, ხანაც ჯეჯილში გაბნეული ველური ქინძის სუნს.

ახლა მგზავრები ისვენებენ, სძინავთ. მარტო მემანქანეები ფხიზლობენ. პროჟექტორით განათებულ გზას დაძაბული თვალებით გაჰყურებენ და სიბნელეს ჰკვეთენ.

როგორ მეხარბებოდა იმათი ბედი. როგორ მინდოდა იმ წუთს მეც ან იმ მატარებლის მგზავრი ვყოფილიყავი, ან მემანქანე, მევლო ქვეყნის კიდემდე, მენახა სხვა ცა, სხვა მიწა, უცხო მდინარეები და ზღვები, ვრცელი ტრამალები.

აი ახლაც მარტოდმარტო ვდგევარ დიდ ვაგზალში და თვალს ვადევნებ ზღვა ხალხს. აგერ პირველ ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებელი მგზავრებით გაივსო. გამცილებლებმა დატოვეს ვაგონები, გამყოლებმა კიბეები დახურეს და კარებში დადგნენ. მატარებელი ნელა იძვრის,, თავისი გრძელი ტანით მი-

იზლაზნება და თანდათან ინთქმება სიბნელეში. ცივად მოელვარე ორი ლიანდაგი ხელებგაწვდილი რჩება იმ ადგილას, სადაც მატარებელი იდგა. მოდის მეეზოვე და თავისი გრძელი ცოცხით ფხოჭნის ბაქანს. ვაგზალზე მყუდროება დგება, კანტი-კუნტადღა დადიან ადამიანები. მატარებელი მთლად იყვინთება სიბნელეში და წერტილად მოჩანს მისი წითელი სინათლე.

გულდაწყვეტილმა გავაყოლე თვალი და გავიფიქრე:

„თუ ცხოვრებაში ხელი მომეცარა, რომელიმე მატარებელს შევეკედლები და სხვა და სხვა მხარეში ვივლი.“

სადგური იცლებოდა. აქაური ბობოქარი ცხოვრება ნელ-ნელა კვდებოდა, ხოლო ქუჩები მთლად გაუკაცრიელებულიყო. ქალაქი ძილს მისცემოდა. მაღაზიების წინ მარტო ღამის დარაჯები გადი-გამოდიოდნენ.

ნელ-ნელა გავყევი დეიდაჩემის სახლისკენ მიმავალ ქუჩას და წარმოვიდგინე ხვალ დილას ოლია და მათიკო დედაჩემს როგორ გაახარებდნენ, როგორ გავარდებოდა ხმა, ილომ ხუთიანი მიიღოო. ამის გაფიქრებამ მომწყვიტა ქუჩას და ჩემს საოცნებო სამყაროში გადამტყორცნა. ყრუანტელმა დამიარა ტანში და ისევ აჟღერდა ჩემს სულში ის ნაცნობი ჰანგი. ახლა ერთი სული მქონდა შინამდე დროზე მიმეღწია, დავწოლილიყავ და ჩემს ტკბილ ოცნებაში გადავშვებულიყავი.

უკვე ვგრძნობდი, რომ ლამაზი ოცნების ტაძარში ვსახლობდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი თუ სამი დღის შემდეგ ეს სასოებით ნაგები ტაძარი თავზე ჩამომემხობოდა.

ეს მოხდა შვიდ აგვისტოს, როცა უცხო ენის გამოცდაზე გავედი.

11

— გერმანულ ენაზე წარმოდგენაც არა გაქვთ. ნიშანს ვერ დაგიწერთ. მიბრძანდით.

ყურეში ჯერ დამიგუბდა, მერე სისხლის შხივილი ვიგრძენი.

ბავშვობაში ჩემი თვალით მინახავს, ქარიშხალს როგორ გადმოუპირქვავებია რცხილის ჯაგზე შესკუპებული ბუჯითად ნაგები ჩიტის ბუდე. ჯერ კიდევ დაუბუმბლავ ბარტყს მიწაზე ზღართანი მოუდენია და მხოლოდ წამით გაუღვიძია, რათა იმავე წამს საუკუნოდ დაეძინა.

ქარიშხალმა იმ ბუდესავით წამოამხო ჩემი ოცნება და იმ ბარტყივით ძირს დამახეთქა.

გაოგნებულმა ჩამოვიარე უნივერსიტეტის კიბე, გამოვედი ეზოდან და ქუჩაში აღმოვჩნდი. მარტო ის მახსოვს, სისაური რომ სევდიანი, სასოწარკვეთილი თვალებით მომჩერებოდა.

როცა ტროლეიბუსში ვჯდებოდი, თვალი მოვკარ რომ უნივერსიტეტის კორპუსი შეირხა, თითქოს სადაცაა უნდა წამოიქცესო.

„როგორ გავამხილო ჩავიჭერი-მეთქი“? აი ეს იყო პირველი აზრი, გაყინულ გონებაში რომ დამებადა. არავინ ელოდა, არავის წარმოედგინა თუ მე ჩავიჭრებოდი და ალბათ ამიტომაც ახლა სირცხვილის გრძნობა უფრო მაწუხებდა. ამქამად ახალი საზრუნავი გამიჩნდა, როგორ დამქცვარა სირცხვილი.

„რა ვუთხრა ნაცნობებს“?

და მივაგენი გამოსავალს. სიცოცხლეში პირველად მოვიგონე ტყუილი, ჩემის აზრით დიდებული და სარწმუნო.

„გერმანულში სამიანი დამიწერეს, გაბრაზებულმა საგამოცდო დავხიე და აუდიტორიიდან გამოვედი“.

ჩემი მოგონილი ტყუილი ფრთებს შეისხამს, ქვეყანას მოედება. ილოსთვის უსამართლოდ დაუწერიათ სამიანი, საგამოცდო თავზე გადაუხევია გამომცდელისათვის და წამოსულაო.

ყველაფერი რიგზეა. აი ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება სირცხვილი ჩამოვირეცხო. ამ გამოგონებამ ცოტა შვება მომცა.

ტროლეიბუსი ელბაქიძის დაღმართში მიაკანტურებდა თავს. ვიღაცამ მაჯაზე მომიჭირა ხელი. მოვიხედე. კონდუქტორი უხმოდ მომჩერებოდა თვალებში,

რაღაცას მანიშნებდა, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი, გამოლენჩებულივით ვიყურებოდი, რა მოხდა-მეთქი. და იმავე წამს საკუთარ მარჯვენა ჯიბეში სხვისი ხელი შევიგრძენი. გამახსენდა, რომ დედაჩემის გამოგზავნილი ოცი მანეთი კიდევ მქონდა შავი დღისთვის გადანახული. ჯიბეზე ვიტაცე ხელი და ვიგრძენი, რა ცივად და სწრაფად გასხლტა ვიღაცის თითები. ფული ჯიბის პირამდე იყო ამოჩოჩებული. სისხლი ამივარდა თავში და მთელ ტანზე ჭიანჭველები აფუტფუტდნენ. გაავებულმა მივიხედე. ჩემს უკან თეთრ პერანგში გამოწკეპილი შავტუხა ბიჭი იდგა, ასე ოცდახუთიოდე წლისა. თხელი ტუჩები მაგრად მოეკუმა და ალმაცერად მიმზერდა.

— ჩაეთრიე ახლავე! — კბილები გავაღრჭიალე.

— მოკეტე, შე ხიხოვ! — და ცალი ხელი ჯიბეში ღრმად ჩაიყო.

ეგებ სხვა დროს ყურადღებაც არ მიმექცია, ან შიშს დავეთრგუნე, მაგრამ ახლა, ამ წამხდარ გუნებაზე, როცა დასაკარგი თითქმის აღარაფერი მქონდა, უკან რა დამახევინებდა. თავისთავად დამეკუმშა სხეული და ყველაფერი უცებ დასრულდა. ზუსტად ერთი წამის შემდეგ მარტო მგზავრების ყაყანი მესმოდა და ვხედავდი ითხად მოკეცილ შავტუხას როგორ მიათრევდნენ ტროტუარისკენ. გონებაში მერე აღვიდგინე, რაც მოხდა. მარჯვენა ხელის გული ნიკაპში ვკარი, ხოლო მუცელში ისე მარჯვედ და მძლავრად მივაზილე წიხლი, ადგილზევე ჩაიკეცა.

— წადი შენ, წადი. მაგას მოუვლიან! — დაუძახა ვიღაცამ ტროლეიბუსის მძღოლს და მერე ჩემს გასაგონად თქვა: — იხაროს შენმა მარჯვენამ, აგრე უნდა.

ტროლეიბუსი დაიძრა. ფანჯრიდან დავინახე იმ შავტუხასთან ორი მილიციელი რომ გამოცხადდა. კონდუქტორმა ფანჯრიდან თავი გადაჰყო და მილიციელებს ხელით რაღაცა ანიშნა. მერე ხმამაღლა თქვა:

— იქ დაუმატებენ მაგას!.. რომ განიშნებდი, ვერა ხვდებოდი? — მე შემომხედა.

მხრები ავიჩეჩე. ვერა-მეთქი, ვგრძნობდი, მგზავრები როგორ მომჩერებოდნენ ღიმილითა და მოწიწებით.

— როგორ გაბედე, ჰა, ყოჩაღ შენ, არ შეგეშინდა? — ვიღაც მგზავრს ბილეთი მოუხია კონდუქტორმა და ღიმილით დამაცქერდა, რაღაც მშობლიური, დედობრივი გამოკრთოდა მის იერსა და გამოხედვაში.

ისევ მხრები ავიჩეჩე, აბა რა უნდა მეპასუხა. მაგრამ ახლა, როცა ჩავუკვირდი ჩემს საქციელს, თვალწინ დამიდგა სიფრიფანა, ბასრი სამართებელი. წარმოვიდგინე, როგორ გადამისერავდა თვალებს და შიშით გამზრზნა.

— მოდი, დაჯექი! — თავისუფალ სკამზე მიმითითა კონდუქტორმა.

მოწყვეტით დავეშვი რბილ სკამზე და ჩემს ფიქრს დავუბრუნდი.

„მაშ ასე, სამიანი უსამართლოდ დამიწერეს და საგამოცდო თავზე დავახიე გამომცდელს... თვალებზე რომ გადაესვა სამართებელი იმ ბიჭს! გადამისვამდა კიდეც. მაგრამ აღარ ვაცალე... რა მიმიყვანს ახლა შინ, ნეტავ სადმე შორს გადამკარგა, ფული რომ მქონდეს. გავემგზავრებოდი სადმე, გავექცეოდი ამ სირცხვილსა და ტანჯვას“.

— ბოლო გაჩერებაა, შვილო! — კონდუქტორმა გვერდზე ჩამიარა და ამჯერად ეჭვით თუ თანაგრძნობით დამაცქერდა. მივიხედ-მოვიხედე. მგზავრებისაგან დაცლილი ტროლეიბუსი უკვე დინამოსთან ჩამომდგარიყო. წელმოწყვეტილივით ჩამოვედი მანქანიდან. სტადიონის წინ, სვეტზე დაკიდებული მრგვალი საათის ისრები დატყუპებულიყვნენ. სიცხე უფრო-და-უფრო მატულობდა. პატარა მოედანი გადავჭერი და მეორე მხარეს, გაჩერებასთან დავდექი. უაზროდ მივჩერებოდი გამვლელ-გამომვლელს. ის ბედნიერნი, არხეინად, ლაღად მისეირნობდნენ, ყველას თავისი მიზანი ჰქონდა, ყველა თავის საქმეზე მიდიოდა. ერთადერთი მე ვიყავი ამ ხალხში მიტოვებული ნავი,

მდინარე რომ თავის ნებაზე აბურთავებს. სულ ერთი იყო ახლა ჩემთვის სად წავიდოდი, სად ვიქნებოდი, აღარაფრის ხალისი აღარ გამაჩნდა. ჭადრის ჩრდილში, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ტკბილ წყალს ჰყიდდნენ და როგორც კი დავინახე, მაშინღა ვიგრძენი, რომ წყურვილი მკლავდა. ორი ჭიქა ზედიზედ დავლიე, მერე სიგარეტი ვიყიდე და ცეცხლს რომ ვუკიდებდი, მარჯვენა ხელმა სადრეკში ტეხვა დამიწყო. ალბათ იმ შავტუხას ნიკაპზე მელრძო..

როგორ არ მეწადა ახლა შინ მისვლა. ჩემი მშფოთვარე სული, ბოღმისაგან გასიებული ჩემი გული და სხეული ოთახში ვერ დაეტეოდა. მით უფრო. რომ დეიდა შინ არ მეგულებოდა.

—იქნებ ცოტახნით ბაღში დავჯდე?“ — გავიფიქრე, როცა დინამოს მოპირდაპირე ბაღს ჩავუარე და მივხვდი, რომ თავს დატეხილი მეხი ჯერ კიდევ მთლიანად არ მქონდა შეცნობილი, ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი. ეტყობა, ადამიანს თავდაცვის ინსტინქტი არ აძლევს ნებას ერთბაშად გაერკვეს უბედურებაში, ვიდრე მისი სხეული და სული არ გამოიწრთობა და წინაალმდეგობის უნარს არ შეიძენს.

ბაღი ახალი მორწყული იყო. გრილოდა კანტი-კუნტად გაფანტულიყვნენ ხანდაზმული ადამიანები ამ ბაღში. ისინი დილიდანვე მოდიან. სიცხეს აფარებენ თავს, ლაყბობენ, იგონებენ წარსულ დღეებს.

თითქმის ყველა სკამი დაკავებული იყო. ორი-სამი ადამიანი ყველგან იჯდა. ერთგან, ვეება ჭადრის ჩრდილოვანში, კენტად ჩამომჯდარიყო მსუქანი კაცი და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებდა. გვერდზე დაგრაგნილი გაზეთები ეწყო, ალბათ უკვე მოესწრო ძირ-ფესვიანად გადაკითხვა. გრძელი, როგორღაც წვეტიანი სახე ჰქონდა იმ კაცს, ცალი ლოყა და ყბა ოდნავ გამობერვოდა. ცნობისმოყვარე, ჭრუტა თვალებშუა კეხიანი ცხვირი მეტიჩრულად წამოსკუპებულიყო და მის პატრონს ცნობისმოყვარე კაცის იერს უფრო მატებდა. როცა მივუახლოვდი, დამაშტერდა და მუჭაში ჩაახველა.

— უკაცრავად, შეიძლება დავჯდე?

— როგორ არ შეიძლება, ეს სკამი საერთოა. — ჩაიხითხითა და ისე დამაცქერდა, გეგონებოდათ სულში ჩახედვა სწადიაო.

გრილი სიო სასიამოვნოდ მელამუნებოდა სახეზე, მაგრამ როგორც კი მუხლი ჩავიკრიფე, მაშინვე ვიგრძენი, რომ ერთ ადგილას მაინც არ გამიჩერდებოდა გული.

„აბა შენ იცი, შვილო,“ უცებ ყურებში დარეკა დედაჩემის ნათქვამმა და თვალწინ დამიდგა იგი.

დედაჩემი...

მთელი ცხოვრება ისე გაატარა, სიმწრის მეტი არაფერი უნახავს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მამაჩემი ომში რომ გაიწვიეს და კისლავოდსკიდან ავიყარენით. დედის ანაბარა დავრჩითმე და ჩემი და. დედა დღისით კოლმეურნეობის კანტორაში აღმრიცხველად მუშაობდა, ღამით შარფებს ქსოვდა. კვირაობით თელავის ბაზარზე ჰყიდიდა და ასე თუ ისე ლუკმა პურის ფულს შოულობდა. რიგრიგობით, ხან ერთ, ხან მეორე მეზობელთან შეიყრებოდნენ ქალები და ზამთრის გრძელ ღამეებს რთვასა და ქსოვაში ათევდნენ. კვირით კვირობამდე შვიდიოდე ცალს მოქსოვდნენ და კვირა დღით გროშებად ჰყიდიდნენ. ერთხელ დედაჩემმა ბაზარზე მეც წამიყვანა. სუსხიანი ნიავი თოვლ-ჭყაპს ალმაცერად ჰყრიდა მიწაზე. ზურგზე შარფებმოხვეული, სიცივისაგან აძაგძაგებული დედაჩემის გვერდით ვიყავ ატუზული და გულში ვნატრობდი, თუნდაც იაფად, ოღონდ კი გაეყიდა შარფები, რომ შინ დროზე დაბრუნებულიყავი. ის დღე ჩემი მეხსიერებიდან აღარ ამოიშლება, არც ის სქელი, ენაბლუკუნა კაცი. იმისი ჩაწითლებული, მზაკვრული თვალები ახლაც წინ მიდგას. ორჯერ ჩაგვიარა, ორჯერ დააფასებინა დედაჩემს შარფი, თან მგელივით უყურებდა. მერე ეგრე უთხრა, ასეთი ანგელოზი ამ ყინვაში

ვინ გამოგიშვაო. მე რომ შენი ქმარი ვიყო, შინიდან ფეხს არ გამოგადგმევინებდიო. სიბრაზისაგან ლამის ცეცხლი წამომცვივდა თვალებიდან, გული ყელში მომებჯინა. დედაჩემი აწითლდა და ამ ავყიას ზურგი აქცია. თან ცალი თვალით მე გადმომხედა.

ოო, მაშინ როგორ ვინატრე, ნეტავ დიდი ვიყო, რომ იმ გაბერილს ჭკუა ვასწავლო-მეთქი...

„გერმანულში არაფერი იცით, ნიშანს ვერ დაგიწერთ“.

ნუთუ ამ სიტყვებით დასრულდა ყველაფერი?

უნებურად დამცდა ოხვრა და თვალები დავხუჭე, რომ მოწოლილი ცრემლისთვის გზა გადამეკეტა.

მსუქანი კაცი შეტოკდა, ისედაც წვრილი თვალები უფრო მოხუჭა და დამაცქერდა. მივხვდი, გამოლაპარაკება უნდოდა და იმ სიტყვას ეძებდა, რითაც უნდა დაეწყო.

— რაღაც დარდი გაწუხებს, ხო ასეა? — ისე ჩვეულებრივ მაუწყა ეს ამბავი, თითქოს ძველი ძმაკაცები ვყოფილიყავით.

გაკვირვებით შევათვალიერე. ასე სამოცი წლისა იქნებოდა. უბრალოდ ეცვა. თეთრი გადაღეღილი პერანგის საყელოდან გაჭაღარებული ბალანი მოუჩანდა.

— თქვენ საიდან იცით?

— ხე, ხე, ხე! — ჩაიხითხითა და დიდი ცალი ყბა უფრო ჩამოებერა,

— თუ გინდა ისიც გითხრა რა გაწუხებს.

—თქვენ რა იცით, ძიავ, რა მაწუხებს ?

— ხე, ხე! — ისევ ჩაიხითხითა და ხმა დაიწვრილა. — მაგას რა ცოდნა უნდა. ალბათ უმაღლესში აბარებდი და ჩაიჭერი... რა გაკვირვებით მიყურებ, ეგრე არ არის? ახლა წახვალ და იტყვი, ფული არა მქონდა და ჩამჭრესო!

— იქნებ ფულიცა მაქვს და არც ჩავჭრილვარ?

— ფული საიდან გექნება, პატიოსანი კაცის შვილი ჩანხარ. სადაური ხარ, კახელი?

ამან სულ გადამრია, ვინ იყო ეს გულთამხილავი კაცი?

გულში გამოუცნობი იდუმალი შიში ჩამიდგა.

—კახელი ვარ. როგორ გამოიცანით?

— ხე, ხე — ჩაიქირქილა. მერე ჩაფიქრდა, თვალები უფრო მოჭუტა და დამაშტერდა, — გეტყობა, ძალიან დარდობ. ეგრე არ შეიძლება, ახალგაზრდა კაცი ხარ, გული დაგიბეჩავდება, ჯერ შენ ჩიტივით გული გაქვს.

თანაგრძნობით ნათქვამი მისი სიტყვები ჩემს გულს მალამოდ ეცხო და გადავწყვიტე ამ უცხო კაცისთვის გული გადამეშალა.

— ეხ, ბიძაჩემო, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო. აბა თქვენ იყოთ ჩემს ადგილას!

— რაო, რაო? ხე, ხე, რა განებივრებულები ხართ ახლანდელი ახალგაზრდები! რომ ვერ მოეწყვე, ვითომ რა დაშავდა ამით?

— თქვენთვის არაფერი, მაგრამ...

იგი სკამზე შეტოკდა და კეხიანი, მეტიჩარასავით დასკუპებული ცხვირი დამიმიზნა.

— ბიჭოს! შენთვის რაღა დაშავდა კითომა?

— რა დაშავდა და ყველაფერი წყალში ჩამეყარა, თავს მოვიკლავდი, დედა რომ არ მენანებოდეს.

ისევ შეტოკდა. ისევ დამაშტერდა უფრო დაკვირვებით და მერე კარგა ხანს ხითხითებდა. რა უცნაური ვიღაცა ჩანდა. ასეთი ყაიდის კაცს ჩემს სიცოცხლეში არ გადავყრივარ.

— უი, ღმერთო კი მომკალი, ეს რა მესმის,— მუხლებზე დაირტყა სქელი, მოკლე ხელები, — ყმაწვილო, ეგრე ვინ დაგიმახინჯა სული, ვინ შთაგაგონა, რომ უმაღლესის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება. ვაი ჩვენი ბრალი. როგორა ვზრდით ბავშვებს... შენ ახლა ისე გგონია, თუ უმაღლესში არ შეხვედი, კაცი ვერ გამოხვალ და ქვეყანას სარგებელს ვერ მოუტან. ვაი, ვაი, ვაი! — კვლავ მუხლებზე აატყაპუნა ხელები. მერე

უცბად გაშეშდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, დამაკვირდა, დამაკვირდა და დინჯად მკითხა:

— აბა მითხარი, ყმაწვილო რისთვის შედიხარ, რომ შედიხარ უმაღლესში?

— „ეს კაცი ან ძალიან ჭკვიანი უნდა იყოს, ან გიჟი." — გამიელვა თავში.

— რისთვის შევდივარ? რისთვის და სწავლა მინდა, მე ჩემი მიზანი მაქვს.

—ხე, ხე, ხე!—კვლავ ჩაიხითხითა, — სწავლა უნდა!

ისედაც დაბოღმილ გულზე ბრაზი მომაწვა, ამ გუნებაზე მყოფს რაღა მასხარად აგდება მინდოდა. ცრემლი მომერია და ლამის ავცახცახდი.

— იცი რა გითხრათ, მასხარად თავი აიგდეთ. — ამის თქმაზე სახე შეეცვალა, დამაკვირდა, დამაკვირდა და თავი გადაქნია. თვალებმოჭუტული მიყურებდა, დაქანებულ შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა. მერე უცებ შეტოკდა და მსხვილი კოტიტა ხელი ფრთხილად დამადო.

—ნუ გეწყინება, ყმაწვილო, — ლმობიერად მითხრა, დინჯად, — შენ იქნებ მართლა სწავლა გინდა, მაგრამ უმეტესობა დღეს უმაღლესში იცი რატომ შედის? პატივმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და დიპლომი, რომ ცხოვრება სხვაზე უკეთ მოიწყოს. ნეტავ შენი ტოლი ვიყო, ინსტიტუტზე არც ვიფიქრებდი. თქვენ, დღევანდელ ახალგაზრდებს ისე გგონიათ, თითქოს ცხოვრება აუცილებლად ინსტიტუტიდან უნდა დაიწყოთ. საშუალო სკოლიდან პირდაპირ იქ შეყოფენ ცხვირს, ხუთი წლის განმავლობაში დაყიალობენ თბილისის ქუჩებში, ეჩვევიან ფუქსავატურ ნებიერ ცხოვრებას, ხვეწნითა და მუდარით, პროტექციითა და ჯახირით გადადიან კურსიდან კურსზე, მერე ჩაიდებენ დიპლომს და ცარიელა თავით მიადგებიან პოლიკლინიკებს, მეურნეობებს, სამშენებლო სამმართველოებს, ქარხნებს, რაიკომებს, მე ნასწავლი კაცი ვარ და თანამდებობა მიბოძეთო, თან გაიყინჩებიან. მერწმუნე, ასეთი ვაიინტელიგენტები და ვაინასწავლები ქვეყანას დაღუპავენ... — მე რომ უფლება მომცენ, იცი რას ვიზამდი? ბავშვობიდანვე მივაჩვევდი ადამიანებს შრომასა და კაცურ ცხოვრებას. ბავშვობიდანვე სიყვარულს, სამართლიანობას, ადამიანის მოსარჩლეობას, სიმართლის თქმას, პირდაპირობას... აბა რა უნდა ელაპარაკო იმ ინტელიგენტს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცრუობს, ორპირობს, მლიქვნელობს, ადამიანს გულგრილად ეპყრობა, ქრთამს იღებს. ვაი, ვაი, ჩვენი ბრალი! — ისევ მუხლზე დაირტყა ხელი, — მერწმუნე, ყმაწვილო, ორი დიდი ბოროტება არსებობს ამ ქვეყანაზე: ერთი მოინტელიგენტო რომ გამდიდრდება და მეორე მოინტელიგენტო, რომ თანამდებობაზე დაჯდება. სიმდიდრისთვის და თანამდებობისათვის ყველა როდია მზად. შენ ღარიბი ოჯახის შვილი ჩანხარ, განა არ გეტყობა, ღუხჭირი ბავშვობა გამოგივლია. ნუ დაიჩაგრავ თავს, ნუ იდარდებ, რომ უმაღლესში ვერ მოხვდი. აბა გაიხედე, ეს ქვეყანა რამოდენაა, სულ გზებითა და ბილიკებით არის დასერილი. თუ შენ ჭეშმარიტი ნიჭი გაქვს, ის მაინც სადმე გამოჟონავს და სასახელო კაცად გაქცევს, რა პროფესიასაც არ უნდა მოჰკიდო ხელი. შრომა, შრომა აკეთილშობილებს ადამიანის სულს. იცოდე, ცუდი და კარგი პროფესია არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ცუდი და კარგი ადამიანები, ან ცუდი და კარგი სპეციალისტები. ამ ქვეყანას ვინ უფრო ძალიან სჭირდება დღეს, ვინ უფრო დიდ სარგებელს მოუტანს, მწყემსი თუ ლექტორი ეგ კაცმა არ იცის. არც ის იცის კაცმა, იმ მწყემსს უფრო ძალიან უყვარს თავის ქვეყანა, თავისი მოძმე, თუ რომელიმე მოინტელიგენტოს. ნეტავ ახლა შენი ტოლი ვიყო, მე ვიცოდი როგორც დავიწყებდი ცხოვრებას. აი, აბა შეხედე — და მან გვერდზე დაწყობილი გაზეთებიდან ერთ-ერთი აიღო — რამდენი სასწავლებელი აცხადებს მიღებას. სასოფლო ტექნიკუმი, საალმშენებლო... აგერ ჰა, რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი აცხა-

დებს მიღებას. კვება და ბინა სახელმწიფოსია. განა ცუდი პროფესიაა რკინიგზელობა? მომავალი წინა გაქვს, ყმაწვილო. გამოიწრთობი, ჩაწვდები ცხოვრების ავსა და კარგს და თუ სწავლის გაგრძელებას კიდევ მოგთხოვს გული, წინ რა დაგიდგება. დამიჯერე, ყმაწვილო, დარდი ფარ-ხმალს დაგაყრევინებს და დაგაბეჩავებს, ან ცუდ გზაზე დაგაყენებს. დაიმახსოვრე დღევანდელი დღე, მე ბევრჯერ გამიხსენებ. თუ რაიმე გაგიჭირდეს, მოდი როგორც შვილი მამასთან, საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობ ათ ნომერში. კარგად იყავი. შენდობილები ვიყოთ ერთმანეთთან.

მკვირცხლად წამოდგა, გაზეთები ჩაბღუჯა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას. ცალი ფეხით კოჭლობდა.

— ძიავ, ერთი წუთით!

შეჩერდა, ჯანსაღ ფეხს დაეყრდნო და გამომხედა.

— რა იყო ყმაწვილო?

— გვარი და სახელი მითხარით. ვინიცობაა დამჭირდეთ, როგორ მოგაგნოთ?

—არ გინდა. — მტკივან ფეხზე დაიხედა. ასეთ-ასეთი კაცი-თქო და ყველა მიხვდება.

და ისევ კოჭლობით გაუდგა გზას, თვალს მიეფარა.

გაოგნებული ვიდექი, ვინ იყო ეს უცნაური კაცი, მოჩვენება იყო თუ სინამდვილე?

ეჰ, რა ადვილად გაცამტვერდება ხოლმე ჭაბუკური ოცნებები. სიყმაწვილეში ყველა დიდებით გაცისკროვნებულ მწვერვალზე ოცნებობს, იმედიანად ილტვის იქითკენ, მაგრამ იმ მწვერვალზე მხოლოდ ერთეულებისათვის არის ადგილი და ისიც ღვთის ნებით თუ ავლენ იქ.

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩაფიქრებული მქონდა

დეიდაჩემი შინ დამხვდა და კიბეზე ამავალს როგორც კი თვალი მკიდა, გაშეშდა, ფერ-ფური წაუვიდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, პირი ამარიდა, წელში მოიკუზა და სამზარეულოში შევიდა.

ოთახში შევედი და სკამზე მოწყვეტით დავეშვი. ცოტა ხნის შემდეგ დეიდაჩემიც შემოვიდა. ფერნაშემოყრილი დადგა, დამაშტერდა და მეუბნება:

— რა ჰქენი ბიჭო?

— არაფერი-მეთქი, ჩავიბუტბუტე.

დეიდაჩემს ხელები ჩამოუვარდა და სკამზე დაეშვა

— ჩაიჭერი.?

— სამიანი დამიწერეს, საგამოცდო დავხიე და წამოვედი.

—უი, მომიკვდეს თავი. — ლოყაზე იტკიცა ხელი,— ეგ რა გიქნია, შვილო. მერე და, ახლა როგორ იქნება?

— არც როგორ, ყველაფერი მორჩა. სამიანი მაინც არაფერს მიშველიდა.

დეიდაჩემი დამაშტერდა, მიყურა, მიყურა, მერე ამოიოხრა და დაასკვნა:

—ოხ, ეგ ულმერთოები. ეგრეა, კაცო, მე არ ვიცი?! თუ პატრონი არა გყავს, არაფერი გამოვა. — იგი წამოდგა ერთხელ კიდევ ამოიოხრა და სამზარეულოში გავიდა, იქიდან გამომძახა, მათიკოს წერილი მოვიდა და სადღაც მანდ, კარადაზე დევსო.

მათიკოს წერილიო? ამის გაგონებაზე ისევ ვიგრძენი ყურებში სისხლის შხივილი, კვლავ თვალწინ დამიდგნენ დედაჩემი და ჩემი და. რა იციან ახლა იმათ, რომ ჩემი მისია დღეს უკვე დასრულდა.

გამარჯობა ილო,—მწერდა მათიკო,— ჩვენ კარგად ვიმგზავრეთ. დედაჩემმა ძალზე გაიხარა, შენი ამბავი რომ ჩამოვუტანეთ. მთელ სოფელს გაუგია, ილომ ხუთიანი მიიღოო. დღეს თქვენი კლასელები შემხვდნენ, ლენა ბიწკინაშვილი და სიდონაშვილი. ეგრე მითხრეს, მედლის ღირსი იყო და სხვას კი მისცესო. აბა შენ იცი. დედაჩემი დიდ მოკითხვას გითვლის. შენი წარმატება ძალიან უხარია. მაგრამ არ იმჩნევს. ოლიამაც მოგიკითხა, შენზე ძალიან დარდობს, განსაკუთრებით უცხო ენისა ეშინია. მე და ოლია გრემში ვიყავით, შუამთაც ვნახეთ. ისეა გახარებული აქ ჩამოსვლით, რომ პირდაპირ ენით ვერ ასწერ.

ჰო, მართლა, დათუკიშვილი თელავში

აბარებდა და ისტორიაში ჩაიჭრა. კონსტანტინიძე საარტილერიო სკოლაში ჩაურიცხავთ. გიგაშვილი სასოფლოზე აბარებდა და ვერ მოხვედრილა. სხვებისა არაფერი ვიცი.

დიდი სიყვარულით მომიკითხე დეიდა. უთხარი, ჩამოვიდეს. აქედან მოკითხვას გითვლიან მეზობლები.

გწერს შენი და მათიკო ღულულაშვილი.

1954. წ. 5 აგვისტო.

„განსაკუთრებით უცხო ენისა ეშინია ოლიას... დათუკიშვილი ისტორიაში ჩაიჭრა.... ისტორიის მეტი არაფერი იცოდა, როგორ ჩაიჭრა? კონსტანტინიძე მამის კვალს გაჰყოლია. იმის მამაც არტილერისტი იყო. მეც შევიდოდი საარტილერიო სკოლაში, მაგრამ იქ რომ შეხვიდე, მათემატიკა ზედმიწევნით უნდა იცოდე. კონსტანტინიძემ კარგად იცოდა მათემატიკა“...

— რა მოგივიდა, ბიჭო?

დეიდაჩემი წამომდგომოდა თავზე. მაშინღა ვიგრძენი, რომ ცრემლი ჩამომდიოდა.

— აბა ჰე, გაიხეთქე გული. იმეცადინე და მომავალ წელს ჩააბარებ. მიდი ხელები დაიბანე და ისადილე. — გაწყრა დეიდა.

დეიდაჩემის ნათქვამმა ბაღში შეხვედრილი ის უცნაური კაცი გამახსენა. როგორ მეუბნებოდა? „თავს ნუ დაიჩაგრავ, ნუ იდარდებ, რომ უმაღლესში ვერ მოხვდი, აბა გაიხედე, ეს ქვეყანა რამოდენაა, სულ გზებითა და ბილიკებით არის დასერილი, თუ შენ ჭეშმარიტი ნიჭი გაქვს, ის მაინც სადმე გაჟონავს.“

— დეიდ, დღევანდელი გაზეთები მოვიდა?

— გაზეთები? რა გაზეთი გინდა?

—„კომუნისტი“.

— კი. აგერ ტახტზე აწყვია ყველა გაზეთი, არის რამე საინტერესო?

— არა, ისე...

„ კომუნისტი“ მეოთხე გვერდზე გადავაბრუნე და წავიკითხე:

„თბილისის № 31 რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მიღებას 1954-1955 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ელმავლის მემანქანეები, ელმავლის მემანქანის თანაშემწეები, ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები. სპეციალობებზე მიიღებიან ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები არასრული საშუალო ან საშუალო განათლებით და იქნებიან მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე. სამჯერადი კვება, ჩაცმა-დახურვა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება. საშუალო განათლების მქონეთაგან სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებულებს მიენიჭებათ უფლება მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში. სასწავლებელში მყოფი მოსწავლე სარგებლობს ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებით, ამავე დროს რკინიგზის შეღავათიანი ბილეთებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება და საკითხების გარკვევა წარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა 9 საათიდან საღამოს 5 ს. 30 წუთამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სასწავლებლის მისამართი, თბილისი, საბჭოს ქუჩა № 134“.

დეიდაჩემისთვის არაფერი მითქვამს, გაზეთი დავკეცე, თავისივე ადგილზე დავდე და საათს შევხედე. ხუთი ხდებოდა. დღეს ველარ მოვასწრებდი თორემ წავიდოდი საბჭოს ქუჩაძე, რკინიგზის სასწავლებელში და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებდი. რა მენაღვლებოდა, ისე მაინც ავხედ-დავხედავდი საქმეს. ეგეც არ იყოს, დაბოღმილ გულს ცოტათი გავიქარვებდი, მაგრამ ახლა რაღას მოვასწრებდი.

ორიოდე ლუკმა უგერგილოდ გავღეჭე და ეგ იყო. ჭამის თავი სადღა მქონდა სულიან-ხორციანად დაქანცული ვიყავი. ახლა ჩემთვის ცოტა შვება ისლა იქნებოდა, დავწოლილიყავ, დამეხუჭა თვალები და მეფიქრა, მეფიქრა იმაზე, რაც მოხდა, მეფიქრა წარსულსა თუ მომავალზე.

შებინდდა თუ არა, დეიდაჩემს ვუთხარ ლოგინი გამიშალე-მეთქი და დავ-

წექი. დავწექი და დამაცხრა ფიქრი. უნივერსიტეტი დამიდგა თვალწინ; ის ხანდაზმული, დარბაისელი ლექტორი, რომელმაც მითხრა, გერმანულში ნიშანს ვერ დაგიწეროო. გამახსენდა სისაურის თვალები, რა თანაგრძნობითა და სიბრალულით მომჩერებოდა. მე კი ისე გამოვედი აუდიტორიიდან, იმისკენ ერთხელაც არ გამიხედავს. ნეტავ სისაურმა რუსულ წერაში რა ნიშანი მიიღო? მოეწყობა თუ ვერ მოეწყობა?

ის დღე გამახსენდა, როცა მე და ანზორ სისაურმა სამუდამო ძმობა აღვუთქვით ერთმანეთს და მივხვდი, რომ ამის აღსრულება იოლი არ იყო. თითქოს იმ წუთასვე, როცა ორიანი გამომიცხადეს, გაჩნდა ჩვენს შორის უფსკრული და გაგვთიშა. მე გამოღმა დავრჩი, ის — გაღმა. ნეტავ საით წავა ჩვენი ცხოვრების გზები? კიდევ შეიყრებიან თუ სამუდამოდ დასცილდებიან ერთმანეთს? რათა ხდება ასე, რათა. გადაეყრები ადამიანს, შეიყვარებ და მერე, არვიცი რათა, ცხოვრება ნელ-ნელა დაგაცილებს მას. ათასში ერთხელ წამით თუ გაგახსენდება, უცხო ცდომილივით გამობჟუტუნდება მეხსიერებაში და ჩაქრება.

უეცრად მატარებელმა შეჰკივლა, მოძალებული ფიქრი გამიფანტა და მთელი ჩემი გულის ყური თავისკენ მიიტაცა. მძიმე ვაგონების ქვეშ ძაგძაგებდნენ ლიანდაგები. გამახსენდა, რომ ხვალ რკინიგზის პროფტექნიკურ სასწავლებელში უნდა მისულიყავი და ყველაფერი დაწვრილებით გამეგო.

„მართლა რომ შევიდე იქ, ნეტავ დედაჩემი რა გუნებაზე დადგება, რას იზამს? ავდგები და შევალ, რაც უნდა ქნას, ერთ წელში მეელმავლე ვიქნები, თავსაც შევინახავ და ოჯახსაც დავეხმარები... როგორ მითხრა იმ უცნაურმა კაცმა? აბა გაიხედე, ეს ქვეყანა რამოდენააო, სულ გზებითა და ბილიკებით არის დასერილიო, რა პროფესიასაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, თუ ნიჭი გაქვს მაინც სადმე გაჟონავს და სასახელო კაცად გაქცევსო. ავდგები და შევალ, ვისაც რა უნდა, ისა თქვას, დამცინონ და გამკიცხონ. ბოლოს — გამოჩნდება ბოლოს“...

და ჩემისთანა მეოცნებეს მეტიც არ უნდოდა. ეგრევე ავალაჯე ელმავლის კაბინაში და მატარებელი გავუყენე შორეულ გზას. იმ გზის პირას სულ აყვავებული ხეებია ჩარიგებული, შორს მოჩანს მწვანე სინათლე, ხოლო შორს დიდი, ჩემთვის უცხო ქალაქი, რომელზედაც მატარებელი უნდა გავატარო.

...უკვე ცნობილი მემანქანე ვარ. შორიდანვე ვამჩნევ თუ რამ ხიფათია წინ და ბეწვის ხიდზე შეგდებულ მგზავრების სიცოცხლეს მოსალოდნელ საფრთხეს ვაცილებ.

...საკმაოდ დიდ ხელფასს ვიღებ, დედასთვის და ჩემი დისთვის საჩუქრებს ვყიდულობ, ოჯახი უკაცობას აღარ გრძნობს, თან ვმუშაობ და ვსწავლობ, მემანქანეც პირველი ვარ და სტუდენტიც.

მინდოდა როგორმე გავსხლტომოდი ამ სულელურ ფიქრებს და ძილისთვის მიმეცა თავი, მაგრამ ის ოხერი, ეტყობოდა, მსიამოვნებდა და ამაოდ ვბორგავდი, ვერასდიდებით ვერ ვაღწევდი თავს. ფიქრმა დამქანცა და დამთენთა. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ყორანი იქნევდა ფრთას, იმ ფრთაზე მე ვიჯექი და ხან მაღლა მახტუნებდა, ხან დაბლა დამიშვებდა.

სულიან-ხორციანად დაქანცულს როდის ან როგორ ჩამეძინა, ვერაფერი გავიგე.

— გაიღვიძე, შვილო? შენ რა გითხარი, წუხელ ლამის გული გადამიტრიალე.

დოინჯი შემოეყარა დეიდაჩემს და თავზე ისე დამდგომოდა.

შემაღლებული, გავარვარებული ზაფხულის მზე, ფანჯარას მოსდგომოდა და თავისი საქმე უკვე მოესწრო, — მთელი ოთახი სულისშემხუთავი სიცხით აევსო.

—როგორ თუ გული გადაგიტრიალე? — გაკვირვებით ვკითხე დეიდაჩემს.

— რა გესიზმრა წუხელ ამისთანა, ვილაცას ხმამაღლა ედავებოდი.

— მე?

— დიახ შენ. ადექი ახლა ვისაუზმოთ, უკვე თერთმეტი საათია — დეიდაჩემი სამზარეულოსაკენ წავიდა.

„რა დამესიზმრა წუხელ?“ — გავიფიქრე, როცა მარტო დავრჩი და თითქოს ცა გაიხსნაო, ისე ერთბაშად გამახსენდა წუხანდელი სიზმარი. ჯერ ის ბიჭი დამესიზმრა, ტროლეიბუსში ჯიბიდან რომ ფულს მაცლიდა, მერე... მერე ვითომ იმ ორმა მილიციელმა მეც მტაცა ხელი. წამიყვანეს და ერთ ვეება შუაზე გატიხრულ ოთახში შემაგდეს. იმ ოთახში სულ შმორის სუნი ტრიალებს და სუნთქვა მიჭირს. ჩემს წინ ულვაშიანი მილიციელი ზის და მეკითხება, ქალაქში რისთვის ჩამოხვედიო. მეც ვეუბნები, რისთვისაც ჩამოვედი, მაგრამ არ მიჯერებს. მიჰქარავ შე მამაძაღლოო. საჯიბგიროდა ხარ აქ ჩამოთრეულიო. ვეფიცები და მაინც არ მიჯერებს. მერე იმ მილიციელმა ცარცის ნატეხი აიღო და შავ დაფაზე ვეება სამიანი დაწერა. ვითომ იმ ხულიგნობისთვის რაც შენ ჩაიდინე, სამი წელი გეკუთვნისო. არა ვტყუივარ-მეთქი, ქვითინით ვემუდარები.

ის ბიჭი ფულს მაცლიდა და იმიტომ დავარტყი-მეთქი. კარგი, აგრე იყოსო, ამ ერთხელ გაპატიებო, ოღონდ თუ კვლავ დაგიჭირეთ, ციხე არ აგცდებაო, მეუბნება ის ულვაშა მილიციელი და მეორე ოთახში გადის. ამ დროს კი ვითომ ისევ ჯიბეში მიყოფენ ხელს. მივიხედე და რას ვხედავ: ის შავტუხა ბიჭი მიდგას გვერდით და ხელში ჩემი ფული უჭირავს. მერე ის ბიჭი უცებ მილიციელად იქცა. დგას და ხარხარებს, ისე ხარხარებს ლამის ჭერი ჩამოაქციოს...

რა უცნაურია სიზმარი. რამ დამასიზმრა ახლა ასეთი სისულელე? იქნება სისულელე არც იყო და ის მილიციელები მართლა მეძებდნენ?

დეიდაჩემისთვის არაფერი მითქვამს. უხმოდ ავდექი, პირი დავიბანე და ტანსაცმელი გადავიცვი. სუფრა უკვე გაწყობილი იყო.

საუზმის შემდეგ დეიდაჩემს ვაუწყე, ცოტა ხნით ქალაქში გავალ და მალე დავბრუნდები-მეთქი.

— მაინც სად მიდიხარ ამ სიცხეში, არ გეზარება?

— ერთი ამხანაგი უნდა ვნახო, საქმე მაქვს.

აღარაფერი უთქვამს. ამხედ-დამხედა და კიბემდე ეჭვიანი მზერით მიმაცილა. დღეს, საუზმეზედაც და ამ წუთშიც, ისეთი შეგრძნება დამეუფლა. თითქოს დეიდაჩემის სახლში უკვე ზედმეტი, მოსაბეზრებელი სტუმარი ვიყავი. „თბილისში საქმე აღარაფერი დაგრჩენია, შინ როდის დაბრუნდები“. მეჩვენებოდა, რომ დეიდაჩემი გუნებაში ასე ფიქრობდა.

სადგურისაკენ მიმავალ მყუდრო და ვიწრო ქუჩას დავადექი. მივდიოდი თავჩაქინდრული და ვფიქრობდი:

„სად მივდივარ, რომ მივდივარ? ნუთუ მართლა გადავწყვიტე, პროფტექნიკურ სასწავლებელში შევიდე?... ამას რომ ჩემი ნაცნობები გაიგებენ, რას იტყვიან?... თუმცა მივალ, რა მენაღვლება, ვნახავ მაინც რა სასწავლებელია.“

სული მეხუთებოდა. ცხელი ჭავლი ალმურივით მივლიდა სხეულში.

რკინიგზის ვაგზალზე უცებ აღმოვჩნდი და როგორც კი ლიანდაგებისა თუ სადგურის ნაცნობი სუნი ვიგრძენი, ოი, ღმერთო, უცებ ბარტყივით შემიტოკდა გული. თითქოს დაზიანებული ბუდიდან სხვა ბუდეში გადაინაცვლა და იქ საიმედოდ მოკალათდაო. და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს წინაშე ლამაზი და თითქოს მახლობელი სამყარო იშლებოდა, რომ ჩემი საოცნებო ტაძრის ნანგრევებზე, ახალი ოცნების ტაძარი შენდებოდა.

თერთმეტ ნომერ ტრამვაიში ჩავჯექი და ნაძალადევისაკენ გავუტიე. ხალხი ბევრი არ იყო. ამ სიცხის გულზე უსაქმოდ რომელი ჭკვათამყოფელი გამოვიდოდა!

ტრამვაი გულისგამაწყალებლად მიდი-

ოდა. თან ისე ღრჭიალებდა და ჯაყჯაყებდა, საიქიოში მიცვალებულებსაც კი დაუფრთხობდა მყუდროებას.

„ნეტავ როგორ მგზავრობენ ამ ბითური ტრანსპირტით? ან ვატმანს რა გული უთმენს, ეგრე რომ მიაზოზინებს?!“ — გავიფიქრე და კონდუქტორს გადავხედე. ზვინივით კაცი იყო, დათვს მოერეოდა და ტრამვაის ბილეთებს კი ჰყიდიდა. მშვიდი იერი ჰქონდა, ალბათ არც ტრამვაის ზოზონი აღარდებდა, არც ეს ულვთო სიცხე. მივედი და ვკითხე, რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი სად არის-მეთქი. ტუჩები მაგრად მოკუმა და თვალები მოჭუტა, როგორც ჩანდა გაჩერებას ითვლიდა.

მესამე გაჩერებაზე ჩახვალო, ჩახლეჩილი ხმით მითხრა.

მადლობა გადავუხადე და ისევ ჩემს ადგილას დავჯექი, ფიქრს მივეცი თავი.

მათიკოს წერილი დამიდგა თვალწინ და გულში გლოვის ზარი აგუგუნდა მთელ სოფელს გაუგია შენი ხუთიანის ამბავი, აბა შენ იცი“...

ჰმ მთელი სოფელი მალე იმასაც გაიგებს, გერმანულში როგორ ვითაფე... თუმცა მე ხომ არ ჩავჭრილვარ, სამიანი დამიწერეს და საგამოცდო დავხიე, ვინ არის მოწმე? ნეტავ მაცოდინა, დედაჩემს ეჭვი ხომ არ ეპარება ჩემს ნათქვამში. იქნებ არცა სჯერა და განგებ იბრიყვებს თავს?!

— ჩვენი ძმა, აი ეგ არის რკინიგზის სასწავლებელი! — ზვინივით კონდუქტორმა ხელით მანიშნა ერთ მოზრდილ შენობაზე. ვაგონიდან ჩამოვხტი და ქუჩა გადავჭერი. ჩემს წინ აღმართულიყო რკინიგზის მესერით შემოღობილი ორსართულიანი სახლი. ღია ჭიშკართან შევჩერდი და იქაურობა მივათვალ-მოვათვალიერე. ეზოს სიღრმეში ვიღაც ბიჭებმა გაიარეს და თვალს მიეფარნენ, სხვა არავინ გამოჩენილა.

„გამარჯობათ, საბჭოთა ახალგაზრდებო!“ იქვე დარჭობილ აბრაზე რუსულ-ქართულად ეწერა ეს სიტყვები, ხოლო შენობაში შესასვლელი კარის თავზე დაკიდებული ლოზუნგი იუწყებოდა: სასწავლებელდამთავრებულნო, გისურვებთ წარმატებას თქვენს დამოუკიდებელ შრომაშიო. ლოზუნგის ქვეშ ერთი მოზრდილი ნახატი ეკიდა. ჩამავალი, ცხელი მზის შუქზე კაშკაშებდა რომელიღაც ბაქანი, ვინ იცის რომელი. ბაქანზე ელმავალი ჩამომდგარიყო და იქვე ხელებდაკაპიწებული ორი კაცი, რა თქმა უნდა, რკინიგზელები, ერთმანეთში საქმიანად საუბრობდნენ.

შორს მოჩანდა მეორე ელმავალი. იგი უკვე თვალს ეფარებოდა (თავის გზაზე მიდიოდა), უფრო შორს კი თვალუწვდენელი სივრცე.

ეს ორი ელმავალი, რკინის ბოძებზე გაბმული ელექტროხაზები და ორი მოსაუბრე ადამიანი ისეთ შთაბეჭდილებასა ქმნიდა, თითქოს მართლაცდა რომელიმე ჩემთვის უცხო ბაქანს მივჩერებოდი და არა ნახატს. ამ სურათის დანახვამ გული შემიტოკა, ნეტავ სად, რომელ კუთხეში იყო ის ბაქანი, ან ასეთი მეწამული ცა და ასეთი შეღამება სად იცის?

კარგი ნახატი იყო და თვალი ძლივს მოვწყვიტე.

შენობის კარი შევაღე და შევედი. ისეთი სასიამოვნო სიგრილე იყო, შვება ვიგრძენი.

მეორე სართულზე ვიღაცა გულდახრუკული მთელი ეშხით ღიღინებდა: „ჩემი გული შენი გულიი, ჯაჭვით არის გადაბმულიი“... მერე ღიღინი შეწყვიტა და .

— ბიჭოია, — დაიძახა, — დაგეძინა, შე უპატრონოვ?! მოიტა გაჯი!

ალბათ მლესავები მუშაობდნენ.

მოკლე, ფართო საფეხურებიან კიბეს ავყე და მეორე სართულზე ავედი. დიდი დარბაზის კედლები სურათებით იყო სავსე, ვის სურათს აღარ ნახავდით აქ: ილია თუ შოთა, აკაკი თუ პუშკინი; მწერლები და მეცნიერები, გმირები და პედაგოგები, ყველა სახელოვანი ადამიანისთვის აქ მოეყარათ თავი. კიბის პირდაპირ, ისე რომ თვალში მოგხვედროდათ, დიდი ასოებით ეწერა: „ვინც თავის ნაშრომს არა სჭამს, ის

სხვას ქურდავს." ამ წარწერის გვერდით, ილიას სურათთან, ერთ სტროფიანი, ჩემთვის უკვე ნაცნობი ლექსი მოეყვანათ:

დედავ, ისმინე ქართლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული
რომ წინ უძღვოდეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული.

ეს ლექსი მეშვიდე თუ მერვე კლასში გვასწავლეს, მაგრამ ასე არ ჩავკვირვებივარ. მაშინ ვერ მივხვდი, რამოდენა აზრი იყო შიგ. მაშინ რა, ახლა გავუგე მას მადლი და მარილი.

დერეფნის ბოლოში რომელიღაც კარი ყუნწამდე ღია იყო და მეც სწორედ იქითკენ ავიღე გეზი. ვიწრო და გრძელ კაბინეტში შუახნის თმაშეთხელებული კაცი იჯდა და გაზეთებს ათვალიერებდა. კარებზე მოზრდილი ასოებით ეწერა „დირექტორი".

„იქნებ დირექტორთან არც არის შესვლა საჭირო" — გავიფიქრე და ის იყო უკან გამობრუნება დავაპირე, რომ ამ დროს მან თავი აიღო და თავისი ზორბა აღნაგობისათვის შეუფერებელი ხმით მითხრა, მობრძანდითო.

მოწიწებით შევედი. ოთახში ორპირი ნიავი უქიქინებდა და ნამდვილი სამოთხე იყო.

ბოდიში, მე მინდოდა გამეგო...

იგი წამოდგა, გამარჯობა შენიო, ხელი ჩამომართვა და სკამზე მანიშნა, დაჯექიო. მრგვალი თვალები ღიმილისგან უციმციმებდა. ნეტავ კარგ გუნებაზე იყო და იმიტომ იქცეოდა ასე თუ საერთოდ ასეთი ხასიათი ჰქონდა?

— გისმენ, ჩემო ბატონო.

— საბუთები მინდა შემოვიტანო თქვენთან.

— სასიამოვნოა, რა ხელობა გნებავთ?

— ელმავლის მემანქანეობა.

მოკლე სახელოებიანი პერანგი ლამის მხრებზე ასკდებოდა. სულ დაკუნთული იყო, მაგრამ სახე ქალივით ნაზი ჰქონდა. თავით-ფეხამდე ჩამათვალიერა, თან მკრთალი, ძლივსშესამჩნევი ღიმილი არ შორდებოდა. ვერ მივხვდი ეს ღიმილი კეთილი კაცობის ნიშანი იყო თუ დამცინავი კაცის ფარი და მახვილი.

— ჯარში ნამყოფი ხომ ხარ?

შინაურივით და თანატოლსავით მელაპარაკებოდა, თან იმ ღიმილს არ იშორებდა.

— ჯარში ჯერ არ წავსულვარ.

— მართლა? — გაოცდა — რომელ წლიანი ხარ?

— ოცდათექვსმეტიანი.

— ბიჭოს. — მე უფრო დიდი მეგონე, ალბათ ულვაშმა მომატყუა.

— სხვებსაც ასე ჰგონიათ ხოლმე.

ის კაცი მართალი იყო. ულვაში ადრე დამეძრა და შეიძლება ამიტომაც ან მარტო ამიტომ არა, ყველას უფრო დიდი ვეგონე, ვიდრე ვიყავ.

— ჰოო, მაშ ეგ საქმე... შენი სახელი?

ილო-მეთქი, ვუპასუხე.

— აი რა, ილო. მემანქანის სპეციალობაზე მხოლოდ ჯარმოვლილებს ვიღებთ. სერიოზულ, უკვე დადინჯებულ ახალგაზრდებს. თქვენ... საშუალო გაქვთ დამთავრებული ხომ?

— დიახ.

— მემანქანის თანაშემწის სპეციალობაზე მიგიღებთ თუ გნებავს.

გუნება წამიხდა. ჯერ საერთოდ აქ შესვლაზე ვჭოჭმანობდი და ახლა მემანქანეობაზედაც უარს მეუბნებიან. გული დამწყდა. ასეა, რაზედაც უარს გეუბნებიან, ის უფრო ფასდება და გულიც მეტად მიგიწევს.

— ისე, სულ ერთია. — მითხრა მან, სახეზე ჭმუნვა რომ შემატყო. — დიდი მნიშვნელობა კი არა აქვს. თუ იყოჩაღებ, სამ თვეში მემანქანედ გადაგიყვანენ. ეგ შენზეა დამოკიდებული. ზოგი ელმავლის მემანქანეობას ამთავრებს და თანაშემწედ მუშაობს, ზოგი — პირიქით. ისე, საგნები ერთნაირი ისწავლება. ეგ ნუ გაფიქრებს.

— რა ვიცი, რაკი ეგრეა... — მხრები ავიჩეჩე.

— ხომ იცი, რა საბუთებია საჭირო?

—დიახ. გაზეთში წავიკითხე. ხვალვე მოვიტან საბუთებს.

— როდის დაამთავრე საშუალო?

— წელს.

— არსად აბარებდი?

ერთი წუთით შევჭოჭმანდი და ბოლოს ვუთხარი. არა-მეთქი. რა ღვთის წყრომა იყო ჩემს თავს, ორიოდე კვირაა რაც თბილისში ჩამოვედი და უკვე მეორე ტყუილი დავახეთქე. იგი ეჭვით მიყურებდა, მე თვალები მოვარიდე და სირცხვილის ოფლმა დამაყარა. ველოდებოდი რას მეტყოდა, მაგრამ ამ დროს ჩემს იღბლად ვიღაცა ჩამოდგა კარებში და დირექტორმა იქით გაიხედა

— მობრძანდი, შალვა.

ტანთხელი დაბალ-დაბალი შავგვრემანი ბიჭი შემოვიდა ხელში ორი ვეება წიგნი ეჭირა.

— გაიცანი, ეს ყმაწვილი შენი მომავალი მოსწავლეა.

კეთილიო, იმ ახალგაზრდა კაცმა ხელი ჩამომართვა და გაშიღიმა. ოდნავ ელამი, მაგრამ ჭკვიანი თვალები ჰქონდა. მერე დირექტორს მიუბრუნდა. ერთი წიგნი მაგიდაზე დაუდო და ღიმილით დასძინა, როგორც იქნა გამოვიდაო. ყდაზე დიდი ასოებით ეწერა: **ელექტრომავალი.**

— მომილოცავს, ჩემო შალვა, — დირექტორს თვალები გაუბრწყინდა. — მაშ ქართულად უკვე გვაქვს სახელმძღვანელო ჰა? სამნი ხართ ავტორები?

ამის გაგონებაზე ყურები ვცქვიტე. როგორც საუბრიდან ჩანდა, ეს ახალგაზრდა კაცი ამ სქელი წიგნის ერთ-ერთი ავტორი იყო. იგი ყურადღებითა და მოწიწებით შევათვალიერე.

— კარგია, კარგი შე და ჩემმა ღმერთმა! — ამბობდა დირექტორი და წიგნსა ფურცლავდა ყურადღებით ათვალიერებდა. მერე მე მომიბრუნდა — აი ეს წიგნი იქნება თქვენი სახელმძღვანელო. ერთ-ერთი ავტორი შალვა გახლავთ.

რომელიღაც გვერდზე თვალი მოვკარ ორ ელმავალს. ერთს ქვეშ ეწერა: Нб 21 სერიის ელმავალი. ხოლო მეორეს: Пл 23 სერიის ელმავალი. თითქმის ყველა გვერდზე ელმავლის ნაწილები და სქემები იყო დახაზული.

მე უკვე ზედმეტად ვიგრძენი თავი.

— კარგად ბრძანდებოდეთ. ხვალ მოვიტან საბუთებს.

დირექტორმა გადმომხედა და ღიმილით დამემშვიდობა, კარგად იყავიო.

ფრთებშესხმული გამოვედი კაბინეტიდან. რატომ ვიყავი ესოდენ კმაყოფილი და გახარებული? იმიტომ ხომ არა, რომ იქ ასე თბილად და ადამიანურად მომეპყრნენ?

ჭიშკარში რომ გავედი, კვლავ დავაკვირდი იმ ნახატს, ელმავლები რომ იყო ზედ გამოსახული. რა ახლობელი და ნაცნობი იყო ახლა ის ჩემთვის.

მზე ცის თავანზე ასულიყო და ქალაქი სიცხით გაეთანგა.

ფეხით გავყე ფართო ქუჩას და ახლა აღარც სიცხეს ვგრძნობდი, აღარც ვინმეს ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ. თვალწინ მხოლოდ ახალი, ჩემთვის უცხო სამყარო მედგა და იქითკენ მივილტვოდი.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ბარტყი ვიყავ ბუდიდან ახლად აფრენილი, სამუდამოდ რომ ეთხოვება დედას და თავისი სარჩო თვითონ რომ უნდა იშოვნოს. მეც ხომ ისე ვეთხოვებოდი ჩემს სიყრმეს? და იმ წამს რაღაც ძალა ვიგრძენი, მეჩვენებოდა რომ უფრო მყარად ვიდექი დედამიწაზე.

ხიდზე რომ გადავდიოდი ვაგზალს გადავხედე. უთვალავი მატარებელი ჩამწკრივებულიყო იქ. ნარბენი, შორიგზაგამოვლილი ცხენებივით იდგნენ ისინი და ისვენებდნენ, რომ ღამით ისევ გზას გასდგომოდნენ.

სადღაც აღმოსავლეთით შუქნიშანი წვანედ ციმციმებდა და მეც იქით გამიწია გულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ვასაძე

# ყინულის მარწუხებში

თინათინ ლავრენტის ასული წერონძე, — წინათ, პირველი ქმრის გარდაცვალებამდე დავლიანი, ხოლო დაბადებით მუშკუდიანი, — იმ ბარათის მიღებიდან ერთი კვირის თავზე სულმთლად გაჭაღარავდა. თმის სითეთრე მოუხდებოდა კიდეც მისი მკაცრი სილამაზის სახესა და ცოცხალ, კრიალა თვალებს; ოღონდ, გაჭაღარავებასთან ერთად, ისედაც მოგრძო ნაკვთები ნაღვლიანმა იერმა კიდევ უფრო ჩამოუგრძელა, შემართული მკვრივი ტანი მოუდუნდა და, საერთოდ, ქალბატონი თინათინის გარეგნობას შემგუებლური, ბედის მორჩილი, უკმაყოფილებისა და გაუგებარი მორიდებულობის დაღი დაეტყო, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით ამოიკითხებოდა ნაცნობებსა თუ მეზობლებთან შეხვედრისას, მის თითქოს შემკრთალ წამიერ ღიმილში.

იმ ბარათმა ქალბატონი თინათინის მეორე ქმარი, ალმასხან წერონძეც ფრიად შეაწუხა. თუმცა, ამ უკანასკნელს გარეგნულად ისევე მკვეთრად არ დასტყობია სულიერი ამღელვარება. როდესაც ალმასხან წერონძე სამსახურიდან დაბრუნდა და დაინახა სკამზე მიყუდებული, ღაწვებაწითლებული და უკვე უცრემლო ტირილისაგან თვალებდასიებული მეუღლე, შეშფოთებით მიმოიხედა და მაშინვე თვალი ჰკიდა მაგიდაზე ლაქასავით გაკრულ მოყვითალო ქაღალდს. რაღაც უსიამოვნო ბუნდოვანმა გრძნობამ აჰბურძგლა, სასწრაფოდ სათვალე მოირგო ოდნავ მიჭყლეტილ, ფართონესტოებიან ცხვირზე და ხმამაღლა წაიკითხა:

„გატყობინებთ, რომ თქვენი შვილი, ლარბი დავლიანი, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა. ყველანი ულრმესად ვწუხვართ და გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას. გეოლოგიური ექსპედიციის კოლექტივი.“

ალმასხან წერონძემ ისე უცებ დასდო ბარათი მაგიდაზე, თითქოს ხორკლიანი ქაღალდის მოყვითალო ზედაპირმა ხელები დაუსუსხაო. თითები მოისრისა, სათვალე მოიძრო, განზე გაიხედა,—თვალი მოარიდა ცოლის შეჭმუხნილ სახეს, დასიებულ ტუჩებსა და სასოწარკვეთილებისაგან უმწეოდ გაბოროტებულ მზერას, თუმცა, ქალბატონი თინათინი მას არც უყურებდა.

უსიამოვნო ამბის გაგებას კი ელოდა ალმასხანი, მაგრამ ეს, ეს აზრადაც არ მოსვლია. „უბედურება... კიდევ ერთი უბედურება!“ უნებურად ჩახრინწული

ხმით ამოილუღლუღა, თუმცა ამ უბედურების მსგავსი რამ, ოჯახში აქამდე არაფერი მომხდარა. „წარმოუდგენელია! პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია!“ წამით შეჩერდა, გრუზა წარბებს ქვემოდან ცერად გახედა თინათინს. „ეეჰ, რას არ უნდა ელოდეს კაცი. მაგრამ, ხომ გაგიგია, ჭირსა შიგან გამაგრებაო... ასეა, ყველანი სიკვდილის...“ ეს ორი უკანასკნელი მოარული ჭეშმარიტება შუაგზაზე ისე შეკვეცა, თითქოს ენა მოეკვნიტაო. უეცრად თვითონ მიხვდა მათ უადგილობას, შეტრიალდა და სხვაფრივ რომ ველარ გამოსთქვა საკუთარი წუხილი, მკლავები განზე აიქნია და ამოიოხრა. ოღონდ ხელების აქნევა ზედმეტად ძლიერად მოუვიდა, და ასე ხელებგაშლილი, გაღიზიანებულსა და თმენადაკარგულ კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე შეურვებულსა და უბედურებით თავრეტდასხმულს.

ალმასხან წეროძემ მკლავები დუნედ ჩამოჰყარა. ერთხანს ცოლ-ქმარი სდუმდა. ასე მდუმარედ პირისპირ ყოფნა უხერხული შეგრძნებით ახევებდა გაყუჩებულ ოთახს, რომელშიც ერთადერთ ამოძრავებულ სხეულად მაგიდაზე ლაქასავით მიკრული ბარათიღა დარჩენილიყო. ბარათი ერთდროულად იმყოფებოდა მაგიდაზეც, მარცხენა კედელთან ჭერამდე ატყორცნილ სარკეშიც, მარჯვენა კედელთან მდგარი კარადის სქელ მინაზეც, ბროლის ჰაღზე კი გაასკეცებულიყო და ფერადოვნად ირეკლებოდა.

— დასაფლავებას ვერ მივუსწრებდით? — მეტისმეტად ენერგიულად, უცებ იკითხა ალმასხანმა, ხოლო მისი სახე უტყუარად ამას მეტყველებდა: დასაფლავებას, რა თქმა უნდა, ვერ მივუსწრებთ. ალბათ, უკვე დასაფლავებულიცაა.

— რა ვიცი, აბა, არაფერი აღარ ვიცი, ასე უმწეოდ არასოდეს ვყოფილვარ. ღმერთო, რა დამემართა, ღმერთო...

— ჰო, მართალია. ჯერ, სანამ ეს ბარათი მოვიდოდა. მერე, თვითმფრინავითაც... თვითმფრინავითაც ორ-სამ დღეს მოვუნდებოდით. სად ჩვენ და, სად ვორკუტა! ჰმ, საიდან სად და ხიდაფურსა სადაო?!

— ახლა... ახლა რაღას ვუშველით. ჩემი ბიჭი... ჩემი დატანჯული... ჩემი ამაყი ბიჭი... ღმერთო, — ქალბატონ თინათინს სრულიად არ ესმოდა მეუღლის სიტყვები და მხოლოდ თავისთვის ბუტბუტებდა, მხოლოდ თავის გამგუნებულ, ცრემლებდაცლილი თვალებივით ამოშრეტილ ფიქრებში იყო ჩაფლული.

— ხო, ახლა მართლაც... ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, იმისათვის... მიწა ხომ ყველგან ნელთბილია, — უაზროდ დაურთო ალმასხანმა. უნდოდა ეს ბოლო სიტყვები მწვავედ, ნაღვლიანად წარმოეთქვა, მაგრამ ხმამ ისევ უღალატა. ხელმეორედ მოიკვნიტა ენა და შემცბარმა გახედა ცოლს. მერე, ყოველივე ამით გაშმაგებულმა ძლიერად დაარტყა ხელი მაგიდას, გაურკვევლად წამოიძახა რაღაც სიტყვები და საძილე ოთახში შევიდა.

მარტოდ დარჩენილი კიდევ უფრო შეაწუხა გერის სიკვდილის ამბავმა. თუნდაც იმიტომ, რომ ათასგვარი მივიწყებული მოგონება ხელახლა გაუღვივა. ამას გარდა, უეცრად იგრძნო გულისმომწურავი სიბრალული „უხეში, ჯიუტი, ქარაფცა“ ლარბისადმი; უნებურად გაიაზრა, რომ პირველად ახლა იგრძნო ასეთი სიბრალული, და თითქოს სინდისის ქენჯნამ შეაცბუნაო. ბედი უსინდისოდ კი მოექცა იმ ბიჭს, — წრფელად, ნაღვლიანად გაიფიქრა და გაყუჩდა. მაგრამ მაშინვე, ანაზდად, იმ ლიზღინა აზრმაც გაუელვა, ვითომ ლარბის ბედიღბალს თვითონაც განაგებდა. ვითომ, ოდნავ მეტი ოსტატობა, გულისხმიერება და სიფაქიზე რომ გამოეჩინა, — ის სიფაქიზე, რომლის არა მარტო გამოხატვა, ხსენებაც არ უყვარდა ალმასხან წეროძეს, რადგან სიფაქიზე კაცისათვის შეუფერებელ თვისებად მიაჩნდა ყოველთვის, — ოღონდ, ლარბის ბედის ჩარხთან ყველაფერი ეს რომ გამოეჩინა, ვითომ მაშინ... მაგრამ მან მხოლოდ წამიერად ჩაიბრუნა თვალი, თავი მხო-

ლოდ წამიერად გაითვალისწინა. მეორე წამს კი, აღშფოთებულმა მტკიცედ გადასწყვიტა, ყოველივე თვით ლარბის ბრალი იყოო. კაცი საკუთარი ბედის ჩარხს ხომ თვითონ ატრიალებს და, ესეც რომ არა, განა ცდა და ღონე დააკლო? არც სწავლას უშლიდა, არც ჭამასმას ამაღლიდა. პატარაობისას საჩუქრებსაც ყიდულობდა, ასეირნებდა... იცოდა — ვალდებული იყო და, რასაც ზნეობა ჰკარნახობდა, ყველაფერს აკეთებდა. მაგრამ რა გამოვიდა? ვერასგზით ვერ დაიახლოვა, ვერასგზით ვერ მოიგო იმისი გული. როგორ არ შემოუარა, როგორ არ შემოუბრუნდა, — ის კი მაინც ტყისაკენ იყურებოდა და ყოველთვის შეუთვისებელი იყო. „ჰო, შეუთვისებელი!“ ზუსტად ასეთი, დიახ, შეუთვისებელი!“ აბა, ამ ომში ვის არ დაღუპვია მამა? რამდენის დედა გათხოვილა მეორედ?! თითოეულს ასე ბოლომდე ჯანყი რომ გამოეცხადებინა, რა გამოვიდოდა?! ის კი ბოლომდე ბრაზობდა, ბოლომდე ვერა და ვერ ეგუებოდა. ვის უბრაზდებოდა? ვის? მთელ ქვეყანას?! კარგი, მაგრამ რომ გაიზარდა, რაღაზე გარბოდა?!

ლარბის უკუღმა დატრიალებულ ბედ-იღბალში საკუთარი მონაწილეობის ამ ჯიუტ უარყოფასთან ერთად, ალმასხან წეროძე უჩუმრად, როგორღაც შემპარავად იმასაც უმხელდა თავის თ..ა, რომ თვითონაც ვერასგზით ვერ შესძლო ლარბი შეეყვარებინა, — თვითონაც გულთან ვერა და ვერ მოეზიდა იგი ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, როდესაც ლარბი შიშნარევი სიბრაზით, ფარულად უთვალყურებდა ყოველ მის მოძრაობას, ყოველ მის სიტყვას. და ალმასხანიც იმ იჭვიანად გამომცდელი მეთვალყურის წინაშე ბორგავდა, ვერ ისვენებდა. თან, ისიც ეხამუშებოდა, რომ თინათინის პირველი ქმრის ბინაში ცხოვრობდა. მართალია, გარეგნულად არასდროს იმჩნევდა ამას. მაგრამ ერთხელ, ლარბის გადაკარგვამდე ორიოდე წლით ადრე, მისი მორიგი უხეშობით გაღიზიანებულმა ვეღარ მოითმინა და ცოლს მიახალა:

— მე იმიტომ მექცევა ასე, რომ ძალად შემოსახლებულივით — მიყურებს, მაგას ჰგონია...

— ალმასხან! — თინათინმა მკაცრი მუდარით შეაწყვეტინა სიტყვა, — როგორ გეკადრება, ალმასხან. ლარბი ხომ ასეთი არ არის. იქნებ უხეშიცაა, იქნებ ჯიუტიც, მაგრამ ასეთი არა! უნდა გაუგო, გესმის, უნდა გაუგო. თანაც, ბავშვი აღარაა...

ალმასხანმა ტუჩზე იკბინა. მაგრამ გვიანი იყო,—მომიჯნავე ოთახში, უკვე ლოგინში მწოლარე ლარბიმ მის ამ სიტყვებს ყური მოჰკრა და მეორე დილას, სკოლაში წასვლის წინ, მხოლოდ გაკვრით ჩაიდურდურა ისე, როგორც იცოდა ხოლმე, — თითქოს უმისამართოდ, თითქოს უმიზეზოდ, თითქოს გულგრილად და კილოაგდებულად:

— შენ მართალი ხარ, ადამიანს უნდა გაუგო,—ერთხანს შეყოვნდა და ღიმილით დასძინა,—მაგრამ ეს, როგორც ჩანს, საშინლად ძნელი ყოფილა, საშინლად ძნელი.

...საძილე ოთახში განმარტოებული ალმასხან წეროძე ახლა იმასაც უმხელდა თავის თავს, რომ ლარბისადმი უნებურ, გაუცნობიერებელ მტრობასაც კი გრძნობდა. სწორედ ეს გრძნობა ბოჭავდა და ახევებდა მის წინაშე. არა, მტრობა კი არა, უფრო სწორად — არაკეთილგანწყობა, რომელიც, სხვა მიზეზებთან ერთად, მათი ბუნების სხვადასხვაობიდანაც გამომდინარეობდა.

მაგრამ ასეთ გულწრფელ გათავისწინებას ალმასხანმა დროულად დაუდო ზღვარი. ნება არ მისცა გრძნობას სულ მთლად დაეპყრო მისი ფიქრი, რადგან საკმაოდ წინდახედული, გულდაპყრობილი კაცი იყო და იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა, ამგვარ თავშეუკავებლობას. ამიტომაც, მტკიცედ მოხუჭა თვალები, კრიჭა შეჰკრა და რამდენიმე წუთში, თავის სურვილისამებრ, კიდეც ჩასთვლიმა.

ქალბატონი თინათინი კი კიდევ დიდხანს იჯდა იმავე სკამზე. ხანაც მოუსვენ-

რად აწრიალდებოდა, უაზროდ დაივლიდა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახებს. შემდგომ, ღამღამობით ასე ბორიალი ჩვევად გადაექცა. გათენებისას თუ ჩაიძინებდა, მაგრამ ისიც რა ძილი იყო, — გატანჯული და კურდღლის ძილივით მფრთხალი. ცხადი წუხილი ბუნდოვან სიზმრებშიც ჩაჰყვებოდა და, გამოღვიძებული, ერთმანეთისაგან ველარ ანსხვავებდა ზმანებასა და მოგონებას.

თვითონაც არ იცოდა, გულში რისთვის სთხოვდა პატიებას. თან, თითქოს ჰკიცხავდა კიდეც ასეთი უეცარი სიკვდილისათვის. ეს სიკვდილი იმის ნაცვალგებადაც ესახებოდა, რისთვისაც პატიებას სთხოვდა, — თუნდაც იმის ნაცვალგებად, რომ პირველად მხოლოდ ახლა შეიგრძნო, რამდენად სანუგეშო ყოფილა ლარბის დაკარგული არსებობაც კი; და არა მარტო სანუგეშო, არამედ თურმე ყველაზე მეტად საჭიროცა და საიმედოც. ქალბატონი თინათინი ახლა იმასაც ხვდებოდა, რომ ყოველთვის აფორიაქებული და ჯიუტი ლარბი, თურმე ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ყოფილა,—იმგვარადვე ახლობელი, განუყოფელი და სისხლხორცეული, როგორც მისი გარეგნულად მშვიდი, განმტკიცებული საფარის ქვეშ მიჩქმალული, უკმაყოფილო და მუდამ მღელვარე პირადი ცხოვრება. მეტიც, ლარბიმ თავისი სიკვდილით თითქოს უკანასკნელი საყრდენიც გამოაცალა, თითქოს ჩამოურღვია ის უაღრესად პირადი კედელი,—თვით ქმრისა და დანარჩენი შვილებისათვისაც ხელმიუწვდომელი და შეუვალი, — რომელსაც თუმცა არც არასდროს ამოფარებია, მაგრამ რომლის არსებობა მაინც აიმედებდა და დამოუკიდებლობის მსგავს თვითშეგრძნებას არ უკარგავდა. ყველაფერი ეს როგორ აგონებდა ლოგინს მიჯაჭვული მამის გარდაცვალებით გამოწვეულ განცდას,—თითქოს უაღრესად მოჭირნახულე და, უცნაური, მაგრამ მაინც მფარველი არსება დაჰკარგვოდა.

საკუთარი ღირსების დიდებულებით გამომაჩინებელ იმ თავმომწონეობას, იმ მეტისმეტ სიდინჯესა და სიმკაცრეში გაზრდილ ხასიათის სიმტკიცეს, რაც წეროძეთა გვარისათვის დამახასიათებელი და ბუნებრივი იყო, ქალბატონი თინათინი წლების მანძილზე შეეგუა და შეეთვისა. ლარბი კი ბავშვობიდანვე, ვითომც ჯიბრზე, თავს განისხვავებდა ამ სავალდებულო დიდებულებისაგან და წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ფიცხი, ურჯუკი ხდებოდა. არა, მეტისმეტად თვალში საცემი სიდარბაისლე წეროძეთა გვარისათვის გარედან მიტმასნილ, მოჩვენებით საბურველს არ წარმოადგენდა, — ეს იყო იქნებ ყალბიც, მაგრამ უკვე სისხლსა და ხორცში გამჯდარი თვისება. და ალმასხანისგან შეძენილ შვილებს აკვანშიაც დაჰკრავდათ იგივე იერი. ხუთი წლის ასაკში ისინი არა იმდენად ზანტნი, რამდენადაც თავშეკავებულნი იყვნენ და მათი მზერა ღრმად ფიქრიანი თუ არა, სამაგიეროდ ბეჯითად დაკვირვებული და გამომცდელად მომლოდინე იყო. მათ არ აკლდათ არც სიკეთე, არც გულისხმიერება, არც ალერსიანობა, — ოღონდ, ყოველივე ეს გარკვეულად მტკიცე, გადაულახავ ჩარჩოში ემწყვდეოდა და იქ იკუმშებოდა. ლარბი კი, თავისი სიფიცხისა და პირქუშობის გამო, ზოგჯერ შმაგიც და უგლიმიც ჩანდა. იგი თითქოს ძალით ცდილობდა გარშემო არსებული სავალდებულო სიმშვიდე და წესრიგი დაერღვია. მერედა როგორ პირდაპირ იცოდა თვალებში ჩაშტერება, როდესაც რაიმე დანაშაულისათვის ჰკიცხავდნენ, — ჩაგაშტერდებოდა და შავად მოქუფრული თვალების შიგნიდან უფრო შავად ამოანათებდა შეკავებული წყენა და სიბრაზე. სწორედ ამ „თვალებში ჩაშტერებას“ გამოჰყავდა მოთმინებიდან ალმასხან წეროძე. ჩვეულებისამებრ დინჯი საუბრის მოყვარულსა და ზრდილი წესების მტკიცე დამცველს, თანდათან გაუფითრდებოდა სახე, ტუჩები აუთრთოლდებოდა და როგორღაც უნებურად აბორგდებოდა. მერე, სულიერი წონასწო-

რობა მთლად რომ არ დაეკარგა, მტკიცედ შეტრიალდებოდა და ლანძღვა-გინებით გაეცლებოდა. ხელი კი ერთხელაც არ დაუკარებია. ეს, რა თქმა უნდა, მის კეთილშობილებაზეც მეტყველებდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელი რომ დაეკარებინა, ამით იქნებ მეტ სიახლოვეს და გულახდილობას გამოავლენდა. საკუთარი შვილების განსაწვრთნელად კედელზე ხომ ჩამოეკიდა სანადირო მათრახი, რომელსაც მართალია იშვიათად თუ დასწვდებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც გულწრფელად აათამაშებდა და, დიახ, წამიერად მაინც აჰხდიდა სარქველს ყელში მობჯენილ სიბრაზეს. ალმასხანის გულწრფელი წყრომა და ლარბის თუნდაც ბოლომამორეული სიმწრის ცრემლი, ალბათ უკეთ შეავსებდა მათ შორის ჩაღრმავებულ უფსკრულს, რომელიც წლიდან წლამდე იზრდებოდა და, თანდათან, ოჯახის დანარჩენი წევრებისკენაც ვრცელდებოდა, — თვით ქალბატონი თინათინის მიმართაც. მაშინ იქნებ ეს უბედურებაც თავს აღარ დასტყდომოდა და მის ისედაც მძიმე ცხოვრებას, — მართალია, უკანასკნელ დროს გამყარებულსა და ზოგიერთთათვის შესაშურსაც, — უფრო მეტად აღარ დაამძიმებდა. მაშინ ასე მტკივნეულად აღარ დატანჯავდა ის დანაშაული, რომელსაც ლარბისადმი წინათაც გრძნობდა, მაგრამ ყოველთვის თვალს არიდებდა ან უგულვებელყოფდა, — ქალბატონი თინათინი უნებურად და სრულიად კანონზომიერად, შეუმჩნევლად ინაცვლებდა უფსკრულის მეორე მხარეს, იქ, სადაც ალმასხანი და მისგან შეძენილი ქალ-ვაჟი რჩებოდნენ. ჰო, უნებურად, სრულიად უნებურად და განუზრახველად... მაგრამ განუზრახველობა დანაშაულს ხომ ვერ გააქარწყლებდა? ის არსებობდა, არსებობდა უჩუმრად და, მხოლოდ დროდადრო, ყუვილივით თუ ახმიანდებოდა. ახლა კი ისეთი გვირინი დაეყენებინა, რომ ქალბატონი თინათინი ორთავე ხელს ყურებზე აიფარებდა და ქუჩაში გავარდებოდა ხოლმე.

ლარბის სიკვდილმა პირველი ქმრის, ბახვა დავლიანის სიკვდილიც გაახსენა. მაშინაც ასეთივე მოყვითალო ბარათი მოუვიდა და ისიც დიდხანს იდო მაგიდაზე. ისიც ამ ბარათივით სულს უწუხებდა და არ ასვენებდა. მაგრამ ბახვა ხომ ომში დაიღუპა და მწარე, გამომფიტავი სასოწარკვეთის გარდა არაფერი შეუგრძვნია,—არც რაიმე დანაშაული, არც უსიამოვნო და შემაწუხებელი რამ გახსენებია; არაფერი გარდა იმისა, რომ აგრე მცირე ხნით მოუწიათ ერთად ყოფნა. ზედიზედ ორი წელიწადიც ვერ მოასწრეს მშვიდად გაეტარებინათ და მაშინ თინათინი არა მარტო ბახვას დაღუპვაზე, არამედ მომავალ სიმარტოვეზეც გლოვობდა. იმაზეც სწუხდა, რომ ოცი წლისას რვა თვის ბავშვი ხელთ შერჩენოდა. ჰო, ალბათ ბუნებით იყო ამტანი და მიუხედავად გარეგნული სინაზისა და სილამაზისა, იმ ადამიანთა ბედნიერ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ყოველგვარი გასაჭირი აკაჟებს და თავის დაღწევის ჟინს უმძაფრებს. ზოგჯერ, მოგონებებში წასულს, თვითონაც უკვირდა, როგორ ახერხებდა იმ მძიმე წლებში სწავლასაც, მუშაობასაც და ბავშვის მოვლა-პატრონობასაც. მაგრამ ყველაფერი ალბათ თავისთავად, შეუმჩნევლად ხერხდება ცხოვრებაში, — თვით უსაშინლესი გასაჭირიცა და ბედნიერებაც შეუმჩნევლად, თან თავბრუდამხვევად ტრიალებს მღვრიე დღეებისა და წლების მორევში. იმ მძიმე წლებში, საკუთარი არსებობის შეგრძნება თითქოს დაჰკარგვოდა. ოღონდ, ომის დამთავრებისთანავე, როდესაც ხალხის ერთობლივ შვებით ამოსუნთქვაში მანაც ღრმად ამოიოხრა,—მაშინ კი ცხადად აღიქვა დაღლილობა და სიმარტოვე. მართალია, ცდილობდა, წუხილი გულში ჩაეკლა, გამხნევებულიყო, — თავს განგებ იტვირთავდა სამსახურში, სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ მუშაობაშიც ჩაება,—მაგრამ როდესაც ქუჩაში მიმავალ მომღიმარ ახალგაზრდა წყვილებს ან ერთმანეთს შებერებულ კმაყოფილ მოხუცებს დაინახავდა, ასე ეჩვე-

ნებოდა, რომ ადამიანები ბეჯითად ცდილობდნენ, სახიდან უკვალოდ ჩამოეცილებინათ ნაღვლიანი იერი და განვლილი ტანჯვის ჯიბრზე ემხიარულათ. და მაშინ, გულს მოწოლილ შურსა და პირადი სიმარტოვით გამოწვეულ ბრაზნარევ მწუხარებას თინათინი ვეღარ იოკებდა. ასეთ დროს, შინ მისული, სარკესთან დაჯდებოდა, შეაშტერდებოდა საკუთარ ანარეკლს, შეშფოთებით გადაითვლიდა თავზე აქა-იქ უდიერად გამორეულ თეთრ თმას, და მაინც გაიფიქრებდა, რომ მიუხედავად ღრმად ჩაცვენილ თაფლისფერ თვალებთან გაჩენილი სიფრიფანა ნაოჭებისა, მიუხედავად გულში ჩაღვენთილი ამდენი ტკივილისა, ჯერაც არ იყო სხვებზე ნაკლები და უფლება ჰქონდა, მოეპოვებინა ის ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ თურმე უაღრესად მნიშვნელოვანი ბედნიერება, —ის მშვიდი ბედნიერება, რომლის მქონენიც მას აინუნშიაც არ აგდებდნენ ან უბრალოდ ვერც ამჩნევდნენ. მერე უცებ გაახსენდებოდა მეზობელთან მიბარებული ლარბი, სასწრაფოდ შინ შემოიყვანდა, მკერდში ჩაიკრავდა და ისეთი გაცხარებით მიეფერებოდა, თითქოს პატიებას სთხოვდა წამიერად დავიწყებისა და სარკესთან აკვიატებული იმ ფიქრებისათვის.

როდესაც ალმასხან წეროძეს შეხვდა, თინათინს უკვე ოცდაათი უსრულდებოდა და თითქმის შეგუებოდა კიდეც მომავალში მუდმივი სიმარტოვისადმი გულში უნებურად ჩაბუდებულ მთრთოლვარე შიშსა და ნაღველს. მეხუთე კლასში გადამდგარ ლარბის, საულვაშეზე გინგლი ნაადრევად ამოზრდოდა,—სახის ნაკვთები გაუხეშებოდა, წაგრძელებოდა ძვლიანი კიდურები და ამღვრეული ფიქრიანი თვალებით როგორღაც უცნაურად გამოიყურებოდა. თინათინს ეჩვენებოდა, რომ გამუდმებით აწრიალებული, იგი ნაადრევად დავაჟკაცებულიყო და თანდათან დაშორებოდა კიდეც, განრიდებოდა. „ბავშვს დროზე სჭირდება მამა, კაცის ზრუნვა და პატრონობა, კაცის!“—გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ მეზობლები,—„ესეც რომ არა, გეიზრდება, შე ქალო, თავის გზას ეწევა და ასეა მაი ცხოვრება...“ და როდესაც ალმასხან წეროძემ მისთვის დამახასიათებელი გამოზომილობითა და რიხიანი სიდარბაისლით, — რომელიც თინათინს არც თუ დიდად ხიბლავდა, მაგრამ რომლის წინაშე როგორღაც სასიამოვნოდ დაბნეულად და უმწეოდ გრძნობდა თავს, — როდესაც ალმასხან წეროძემ პატიოსან ცოლქმრულ ცხოვრებაზე პირდაპირ ჩამოუგდო სიტყვა, თინათინმა უარი ვეღარ გაბედა. ომმა ცოტა, ძალიან ცოტა კაცები და ძალიან ბევრი სიმარტოვე დასტოვა ქვეყანაზე, ასე ხელაღებით ზურგი რომ შეექცია ალმასხანისათვის. მხოლოდ ერთი აწუხებდა: საჩუქრებით დატვირთულ სტუმრად მისულ საქმროს, ლარბი პირქუში თავაზიანობით ხვდებოდა ხოლმე. შუა საუბარში სრულიად უადგილოდ დაიწყებდა მამაზე საუბარს და ნაღვლიანი კი არა, უფრო ცბიერი მზერით შეაცივდებოდა თინათინს. ნაღველი ერთადერთხელ, მხოლოდ შემოდგომის იმ კვირა ღამით ჩაეღვენთა თვალებში, როდესაც თინათინმა გამომშვიდობებისას ალმასხანს ნაზად აკოცა და ფარულად ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ტკივილმა გულზე მათრახივით გაუტყლაშუნა ლარბის, სიბრაძემ და იჭვმა ჯერ გაკენწლა და აღრია, სული შეუხუთა; თითქოს ვერაფერი შენიშნაო, ლოგინს მიუახლოვდა და დასაწოლად მოემზადა. მაგრამ როდესაც თინათინი ოთახში მხიარულად შემოვიდა, ვეღარ მოითმინა და ყელში მიბჯენილი ცრემლისაგან გაგუდული ხმით ძლივს ამოილუღლუღა:

— ის გიყვარს შენ?

თინათინი შეცბა და მხიარული ღიმილი სახეზე შეახმა. ამის მსგავს შეკითხვას ლარბისაგან დიდი ხანია ელოდა. გულში ემზადებოდა კიდეც პასუხისთვის. და მაინც რა მოულოდნელი გამოდგა მისი შეკითხვა, როგორი შეკავებული და სევდიანი, როგორი მწარე და პირდაპირი, როგორი მოკლე და მრავლისმეტყველი. მაგრამ არა მარტო ამან

შეაცბუნა თინათინი. ეს ზუსტად იგივე კითხვა იყო, ზუსტად იგივე სიტყვებისაგან შემდგარი. და არა მარტო სიტყვები, ლუღლუღიც იმდაგვარი ეჩვენებოდა; და არა მარტო ლუღლუღი, არამედ მტკიცედ შეჯავშნული წყენა, იჭვი, უმწეობა, ნაღველი, სიბრაზე... ყველაფერი ეს საოცრად ეცნაურა თინათინს,—მისთვის ოდესღაც უკვე ეკითხა ვიღაცას ამგვარივე ნაღვლიანი ლუღლუღით: „ის გიყვარს შეენ?“. მან უცებ მიიხედა ლარბისაკენ და თითქოს მოინუსხა შვილის ისედაც შავი, მაგრამ ახლა უფრო გამუქებული თვალების მორიდებული, მწუხარე და სასოწარკვეთილი მზერისაგან. თვალები თითქოს უხმოდ კიოდნენ და თინათინი ადგილზე გახევდა, კრინტი ვერ დასძრა. მხოლოდ მაშინ შეირხა,—შეირხა კი არა, შეტორტმანდა,—როდესაც მოგონება ხვლიკივით ამოსხლტა გარეტიანებულ გონებაში და ძარღვებში ცივად გასრიალდა. ჰო, ეს ზუსტად იგივე სიტყვები იყო, იმ მეზობელი ბიჭის სიტყვები... როდესაც თინათინმა ბახვა დავლიანთან ჩუმად დაიწყო სეირნობა და, მერე, როდესაც მათი მშობლები საქორწინო სამზადისს აშკარად შეუდგნენ,—იმ მეზობლის ბიჭმა სწორედ ასევე ჩურჩულით ჰკითხა: „ის გიყვარს შეენ?“—და სწორედ იმგვარივე სასოწარკვეთილი, მოქუფრული, მორიდებული, მომკივანი თვალებით მიაჩერდა. ამ უნებურმა მიმსგავსებამ თავი უხერხულად, როგორღაც დამნაშავედ შეაგრძნობინა თინათინს. და როგორც მაშინ, ახლაც ძალა მოიკრიბა, ღრმად ამოიოხრა და ალერსიანად უპასუხა:

— შენ ბევრი რამ გესმის, ჩემო მეგობარო, მაგრამ ბევრიც არ იცი. ჩემო კარგო ბიჭო, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, ცხოვრებაში ბევრი რამ ისეთი ხდება, რაც აუცილებელია, საჭიროა და, თითქმის შენგანაც დამოუკიდებელი. გესმის? თუმცა, კარგად მეც არ გამეგება, რა არის ეს აუცილებლობა და საჭიროება. ეს ყოველთვის ასე იყო და, ალბათ, მუდამ ასე იქნება. ჩემთვისაც და შენთვისაც. ყველასათვის... — თინათინი მცირე ხნით შეყოვნდა. მერე შემპარავად ჰკითხა: — რა, განა ალმასხანი ცუდი ადამიანია?

ლარბი ჯერ სდუმდა. მერე უცებ, ბრაზითა და ზიზღით გამოლეჭა:

— ის ძალიან ყოყლოჩინაა. ზუსტად ისეთი, როგორც ჩვენი ბუტია დუდუ, იზოში საჭმლით პირგამოტენილი რომ ჩამოდის და ფეხბურთსაც გაბღენძილი თამაშობს. ფუ, ქონიანი სიფათი აქვს...

— ლარბი, რა სიტყვებს ამბობ! ახლავე გაჩუმდი!

— არ გავჩუმდები! იმიტომ რომ არ მიყვარს ქონიანი სიფათები, გაბუშტულცხვირიანი სიფათები. ხო, ქონიანი, ქონიანი! იმ ბატონ თათარხანს...

— თათარხანს კი არა, ალმასხანს! ალმასხანს, ალმასხანს, გესმის?!

თინათინმა მოქნეული ხელი ჰაერში ვეღარ შეაჩერა. ლარბის ლოყამ ხელისგული აუწვა. წყენის, მწუხარებისა და შეშფოთებისაგან აქვითინდა და ლოგინზე დაემხო. ლარბის კი დუნედ ჩამოყროდა მკლავები, თვალები გაფართოებოდა, კრიჭა შეკვროდა და განწირულის გაშმაგებით აღელვებინა თავი. მერე ადგილს მოსწყდა, ლოგინზე მიგდებულ თინათინს მიეხალა და ცრემლისგან ჩახრინწული ხმით ძლივსძლივობით ამოემარცვლა.

— მე ასე არ მინდოდა... ნუ სტირი, ნუ. როგორც შენთვის უკეთესი იქნება, დედი...

თინათინი კი პატარა ბავშვივით ზლუქუნებდა და ისე მინდობოდა ლარბის მკლავებს, როგორც მასზე უფროსისა და მისი მფარველის მხარს მიენდობოდა.

წეროძეთა ოჯახში ლარბის სიკვდილმა თინათინისა და ალმასხანის გარდა როსტომიც — ალმასხანის მკვიდრი ვაჟიშვილიც ააფორიაქა. რაც შეეხებოდა უმცროს ქალიშვილს, მას სახითაც აღარ აგონდებოდა ლარბი. როსტომს კი ცხადად ახსოვდა თავისი ნახევარ-ძმა. როდესაც მაგიდაზე დადებული ბარათი გადაიკითხა, კრიალა მსუქან ლოყებზე ცრემლი ღარებად ჩამოედინა და ისე

მოიბუზა, როგორც არასდროს მობუზულა და როგორც, იცოდა, არასდროს არ უნდა მობუზულიყო. როსტომი უკვე თოთხმეტი წლისა იყო და გარეგნობითაც თანდათან ემსგავსებოდა ბატონ ალმასხანს. მას ყოველთვის უყვარდა ლარბი. ოღონდ თავისებურად, — როგორღაც მორიდებულად, თავისთვის და შორიდან. ლარბისადმი სიყვარულის მორიდებულობას, ერთის მხრივ, იმის ცოდნა განაპირობებდა, რომ ისინი ნახევარ-ძმები იყვნენ (რაც როსტომმა ადრევე შეიტყო, რადგან ლარბი მამას არ უწოდებდა ალმასხან წეროძეს და დავლიანის გვარით იწერებოდა), ხოლო მეორეს მხრივ — ის ფარული შური, რომელსაც როსტომი მტკივნეულად განიცდიდა ნახევარ-ძმის მიმართ. ლარბი ბევრად უფროსი იყო და არა მარტო ეზოს, არამედ მთელი უბნის ბიჭები პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ. ღონიერი, ასხლეტილტანიანი და სწრაფი ლარბი ტოლებში თავკაცად ითვლებოდა. ის კი არა, ვითომ ამხანაგებისადმი ზედმეტ გულთბილობას იჩენდა; პირიქით, უმეტესად უხიაგიც, გოროზიც და გულჩათხრობილიც იყო. მაგრამ გასაჭირში თავგადადებულსა და უღალატოს, ყველა ენდობოდა. თანაც ყველაფერში, რაც გარშემო უცნაური და ყბადასაღები მოხდებოდა, აუცილებლად ლარბის ხელიც ერია და იქაურ მაცხოვრებლებს, დიდსა თუ პატარას, ავად თუ კარგად, პირზე ლარბის სახელი ეკერათ.

ტანად ზორბას, ოღონდ მოუქნელ, ზანტ და პატარაობიდანვე მეტისმეტად მოუხერხებელ როსტომს, მისი ტოლი ბიჭები იშვიათად თუ გარევდნენ „სახიფათო და საიდუმლო“ თამაშობებში. მაშინაც კი, როდესაც ლარბი ქალაქიდან გადაიკარგა, ბიჭები მისი ხსოვნით ხელს არ აკარებდნენ და, თუ რაიმეს ზედმეტს დააშავებდა, გაბრაზებითა და ზიზღიანად მიაძლიდნენ: ეეჰ, ერთი, ლარბის ძმა არ იყოო... როსტომი ხშირად ჩაფიქრებულა, თუ რა იყო ლარბისადმი მათი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. იმ დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ გულთბილ სიყვარულს ვერ დაარქმევდა. მას თან ერთვოდა კიდევ რაღაც სხვა გრძნობა, რაღაც მორიდებულობისა, სიფრთხილისა და პატივისცემის მსგავსი. და ყველაფერი ეს, როსტომი შემდგომ თანდათან ხვდებოდა, ლარბის არა იმდენად გარეგნული ცხოვრებით იყო გამოწვეული, რამდენადაც თვით მისი ბუნებით, — როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე გარშემო მყოფ ადამიანთა მიმართ რაღაც უცნაურად უბოდიშო, საბურველახდილი ურთიერთობით, რასაც ყოველთვის დაჰკრავდა შეკავებული ტკივილის, მოუდრეკელობისა და თავზეხელაღებულობის ელფერი. მასში თითქოს ჯიუტად აღმართულიყო მტკიცე კედელი, რომელზეც ვერავის მიუწვდებოდა ხელი და ვერავინ ჩამოარღვევდა.

ახლა, მისი სიკვდილით შეძრწუნებულს, უნებურად ახსენდებოდა ის ღამეებიც, როდესაც სულ პატარა იყო და ლარბი ძილის წინ „საშინელ ზღაპრებს“ უამბობდა ამერიკელ ინდიელებზე, აფრიკელ კაციჭამიებზე, უზარმაზარ ძაღლებზე და შავ ხელზე. ყოველი მათგანი ლარბის ფანტაზიის და წაკითხული წიგნებიდან დამახსოვრებული შინაარსის ნაზავს წარმოადგენდა. ახსენდებოდა, ქუჩაში მეზობლის გოგოს ატორღიალებულ გამომტყვრალ აყლაყუდას ყბა როგორ მოუქცია. ისიც ახსენდებოდა, ვიღაც პატარა ბიჭი მდინარეში დახრჩობას რომ გადაარჩინა. დანარჩენი მისი „ამბები“ კი როსტომმა ყურმოკრულად, სხვებისაგან გადმოცემით იცოდა. მათ შორის, განსაკუთრებით, „სახრჩობელას“ და „ნამდვილი კატის“ ამბავი ჩარჩენოდა გულში.

## სახრჩობელას ამბავი

„სახრჩობელას“ ამბით დაზარალებული ბორის ჭინჭველაშვილი ახლაც იმავ სახლში ცხოვრობდა, უკვე ცოლ-შვილის პატრონი კაცი იყო და ლარბის გამოისობით როსტომს აქამდე ვერ იტან-

და. თუმცა, მარტო როსტომს კი არა, ბორის ჭინჭველაშვილი საერთოდ მთელ იმ სახლს და, არა მარტო სახლს, მთელ იმ უბანს ვერ იტანდა, და რა ხანი იყო, ცდილობდა, ქალაქის სხვა კუთხეში გადასულიყო საცხოვრებლად. მაგრამ ამ საქმისთვის თავი ვერა და ვერ მოება. ბორის ჭინჭველაშვილს საშინლად აწუხებდა, რომ ძველუბნელები ბავშვობიდან იცნობდნენ და მათ თვალში სამარადჟამოდ ბორიკუნად დარჩენილიყო მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სამმართველოში მუშაობდა, სამსახურში უფროს-უმცროსები პატივისცემით ეპყრობოდნენ და გამჭრიახი მუშაობისათვის სიგელებითაც დაეჯილდოვებინათ. ერთხელ, პირველი სიგელის აღსანიშნავად რესტორანში გამართული ქეიფის შემდეგ, გალღრევებული ბორისი სანამ შინ ავიდოდა, სახლის წინ ამპარტავნულად აიჯგიმა, თვალი შეავლო იქვე სალაყბოდ შემოკრებილ მეზობლებს და მთელი ხმით, გაშმაგებით დაიყვირა:— არა ვარ, იცოდეთ, აღარა ვარ ბორიკუნა ჭინჭველაშვილი! — რაზედაც „ძველმა მეგობრებმა“ ფარულად ჩაიფრუსტუნეს, ხოლო იმათში ყველაზე მატაროცა ჰყირტად შეეპასუხა:— აბა ვინ ხარ, შე კისერწაგძელებულო? არსენა ვარო ოძელაშვილი, არ გვითხრა, თორემ, ხო იცი, მაინც არ დევიჯერებთ!“ — და ისე უტიფრად ჩაიღინცილა, რომ ბორისს ნირი წაუხდა, უწინდელი თვითკმაყოფილება და ამპარტავნობა უმალ ჩაელვლეფა და ულაზათოდ აჩოლფოტდა კიბეებზე. ყველგან და ყველასთან ბატონკაცურად ეჭირა თავი ბორის ჭინჭველაშვილს, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებული ბატონკაცურობითაც; მაგრამ აი, თავის უბანში ვინმე ძველ ნაცნობს თუ შეხვდებოდა, როგორღაც ნერვიულად წაიგრძელებდა და შეატრიალ-შემოატრიალებდა კისერს, მისალმების ნიშნად რამდენჯერმე სწრაფად დაიქნევდა თავს და მაჭიკი სახიდან ცერად, იჭვიანად მიაპყრობდა მრგვალ გადმოკარკლულ თვალებს. მერე ისე სწრაფად განშორდებოდა, თითქოს ეშინოდა, ნაცნობს ზურგში არ მიეძახა, ჩამოხრჩობილოო.

მის ტოლებს მართლაც კარგად ახსოვდათ ბორისის ჩამოხრჩობის ამბავი. მაგრამ მათ უკვე მხოლოდ ჩამოხრჩობის ფაქტი, მხოლოდ იმ ამბის გარეგნული მოვლენებიღა თუ მოაგონდებოდათ, მხიარულად გაიცინებდნენ, და მეტი აღარაფერი. ხოლო ბორის ჭინჭველაშვილის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილიყო არა მარტო კისერზე მტკივნეულად შემოჭდობილი მარყუჟი, არამედ ის მიზეზიც, რისთვისაც ბაწარში ამოაყოფინეს თავი და, რაც მთავარია, ლარბის ულმობელი სიტყვები. ის სიტყვები ბორისმა ვერასგზით ვერ დაივიწყა, თუმცა თავისთვის არაერთხელ გაუმეორებია დაჟინებით: — კაი ახლა, ბორის! რა სისულელეა, ბორის! რას მიჰქარავ, ბორის! იყო და გათავდა. რაღა დროს მაგეებზე წუხილია?! მაგრამ ასეთი თვითდარწმუნებით ვერას ხდებოდა. უხამსი მოგონებები დროდადრო არ ასვენებდა, რადგან, მიუხედავად გარეგნული გადასხვაფერებისა, იგი გრძნობდა, რომ სადღაც გულის კუნჭულში უწინდებურად ბორიკუნა ჭინჭველაშვილად დარჩენილიყო და აშკარად არ ამხელდა, თორემ, ძალაც არ ჰყოფნიდა საკუთარი თავისაგან თავი დაეძვრინა. სწორედ ის გულის კუნჭული არ ასვენებდა და მტკივნეულად სტანჯავდა ხოლმე.

როდესაც ლარბის სიკვდილის ამბავი ეზოში გახმაურდა და ამ ცნობამ მის ყურამდეც მიაღწია, ჭინჭველაშვილი გაოგნებული ავარდა თავის ბინაში, ოთახში ჩაიკეტა და შეიშმუშნა. ლარბის სიკვდილი უცებ წარმოუდგენლად მოეჩვენა. ლარბი ყოველთვის ცოცხლად ახსოვდა ბორისს და ახლა ვერც იჯერებდა მის გარდაცვალებას. „ტყუილია, ხვანჯი და ტყუილი... ნამდვილად გვამასხარავებს!“ შლუდ წაიყიბარჩა, წამით თვალხმიერად წარმოესახა ლარბის ღონიერი, აქნილი ტანი, მისი პირდაპირი უხეში გამოხედვა და ამ ცხოველმა ხილვამ ზოზლინა იჭვი უფრო განუმტკიცა. მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ასეთ რამეზე მასხრო-

ბა შეუძლებელი იქნებოდაო და უცებ ნაღველმა და წუხილმა კი არა, სასოწარკვეთილების მსგავსმა გაოცებამ შეიპყრო. „რაო? მოკვდაო? კი მაგრამ რატომ? აბა, როგორ, როგორ მოხდებოდა ეს?“ სრულიად უაზროდ დუდღურებდა. რადგან გონებაში მაინც ვერასგზით ვერ იმკვიდრებდა, ვერ იგუებდა მიწაში გამომწყვდეული ლარბის სახებას. მერე, გელიქაშივით აედევნა ამ ფიქრს, ახლოს მიეპარა, შეეცადა მისწვდომოდა, — ბოლომდე წარმოესახა, როგორი იქნებოდა ლარბი ჯერ კუბოში და, შემდეგ, მიწაში. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიეპარა ამ ფიქრს. თანდათან დაიმორჩილა, შეითვისა, და როცა ძლივს მიღწეული ცხადი წარმოსახვით შეძრწუნდა, რა უეცრად, რა უნებურად, რა ჩუმად აუჩქროლდა გულში მშიშარი კმაყოფილება, რომ თვითონ არ იყო მკვდარი. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა ბორისი მომკვდარიყო იმ დროს, იმ სახრჩობელაზე, და მის მაგიერ ლარბის ესუნთქა და მისთვის ჩვეული დაუდევრად ღონიერი ნაბიჯებით ევლო მიწაზე. მაგრამ მაშინვე ამ ჩუმმა, მორცხვმა კმაყოფილებამაც შეაშფოთა. მეტიც, შეაძრწუნა კიდეც. და მან, როგორც ასეთ წუთებში სჩვეოდა, მხრებში კისერი გამრუდებულ საცობელასავით დაატრიალა, თვალ-წარბი აბლატუნა, დაბალთულივით ამოილუღლუღა: „ჩემმა ცოდვამ უწია საცოდავს!“ მაგრამ ამ გულწრფელად ნაღვლიან სიტყვებშიც, თვითონაც გაუკვირდა, ცბიერი ნიშნისგება და, ერთი შეხედვით, გაუცნობიერებელი ბრაზი მაინც რომ ერია. ისიც გაუკვირდა, ლარბის მიმართ სიტყვა „საცოდავი“ რომ იხმარა. ისევ შეძრწუნდა ბორისი და ახლა უკვე ძალით ჩაიხშო ამ მდგომარეობისათვის შეუფერებელი, გარდაცვლილი ლარბის მიმართ საკუთარი სიცოცხლით გამოწვეული უპირატესობის შეგრძნება. მერე ისე უეცრად აწრიალდა, ისე გააზრზოლა, თითქოს ლარბი ახლა იმავე ოთახში ზურგს უკან ამოსდგომოდა, მისი გაამპარტავნებული ფიქრები ამოეკითხა და, გაბრაზებული, შავი თვალების ბასრი მზერით კეფას უბურღავდა. ბორისმა უკან მიხედვაც ვერ გაბედა, კეფაზე მოისვა ხელი, დანაშაულზე წასწრებულივით კედელ-კედელ კუთხისკენ მიჩოჩდა და ასე, პირით კედლისკენ, იქვე კუთხეში მდგარი სავარძლის კიდეზე მიცუცქდა.

უხამსმა ფიქრებმა საკუთარი თავი შეაჯავრა ბორის ჭინჭველაშვილს. თუმცა ეს გრძნობა არც თუ ისე უცხო იყო მისთვის. იმ დღის შემდეგ, როცა ის ამბავი მოხდა, არაერთხელ შეჯავრებია თავისი თავი, რაიმე წვრილმან, სხვებისთვის შეუმჩნეველ დანაშაულს თუ ჩაიდენდა. საცდუნებელს მაშინვე ელდანაკრავივით განერიდებოდა, რადგან იმავე წამს თითქოს აშკარად გაიგონებდა ლარბის ულმობელ სიტყვებს და კისერთან მარყუჟის მოახლოვებას წარმოიდგენდა. საკუთარი თავისთვის არაერთხელ გაუმხელია ისიც, რომ მთელ მის „პატიოსან საქმიანობას“, რომლისთვისაც სამსახურში სიგელებს ღებულობდა, სხვების წინაშე სწორედ ის გაუმხელელი შიში და წარსულში განცდილი სასჯელი განაპირობებდა. ამის შეგრძნება, შიგნიშიგან, თავმოყვარეობას უკარგავდა და ისეთ უმწეობას აგრძნობინებდა ხოლმე, რომ მზად იყო ყველა სიგელი ერთად დაებრუნებინა უფროსებისთვის და გამომტყდარიყო: „არა, მე კი არა ვარ ამის ღირსი, არამედ ის, გესმით, ის... ის... ის!“ აი ახლაც, როდესაც ლარბისადმი უხიაგ ფიქრებზე გამოიჭირა თავი, ბორის ჭინჭველაშვილი უმწეოდ აიძურწა და უნებურად, შემაძრწუნებელი სიცხადით წარმოესახა ხუთი ლოყაწითელი მბზინავი ვაშლი.

...კვირა დღისთვის ბიჭებს უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა დაენიშნათ. საბრძოლო გეგმას დიდ ხანს საიდუმლოდ ამუშავებდნენ. გეგმა საბოლოოდ პარასკევს ჩამოაყალიბეს და უდაო გამარჯვებაში დარწმუნებულნი დაიშალნენ.

ხოლო შაბათ დილას, ნავთის რიგში უთენია ჩამდგარი ბორისა, ორი ბიდონით დატვირთული, სიმძიმისაგან მხრებ-

ჩამოგლეჯილი, დაღლილი, მშიერი და მწყურვალი შინ ბრუნდებოდა. როდესაც მეტოქე ბიჭების სახლს ჩაუარა, მორიდებით ცერად გაიხედა იქითკენ. უცებ დაინახა, რომ ისინი ეზოს ჭიშკართან იდგნენ და, თითქოს მის გამოჩენას ელოდნენო, თითქოს მასში მოწინააღმდეგე კი არა, თანამებრძოლი შეიცნესო, მეტისმეტად გულკეთილად გაუღიმეს, ბიდონებიც ფაქიზად ჩამოართვეს,—ე ბიჭო, მკლავები ჩამოგაწყდება, მოგეხმარებით, შეისვენეო, და გარშემო მეგობრულად მოეხვივნენ. ბორისამ თავიდანვე იგრძნო, რომ რაღაც საშინლად მაცდუნებელი და ტკბილი იხატებოდა მათ მეგობრულ მზრუნველობაში. ხუთნი იყვნენ და უცებ ხუთივეს ხელში საიდანღაც ხუთი ლოყაწითელი მბზინავი ვაშლი აღმოუჩნდა. ისევ ისე ტკბილად ებაასებოდნენ, მაგრამ ხელისგულზე ნამდვილად გამომწვევად, გამაღიზიანებლად ათამაშებდნენ უზარმაზარ კრაჭუნა ვაშლებს. ბორისას უნებურად მოადგა ნერწყვი და ხარბად გადაყლაპა. როგორ არ ცდილობდა ვაშლებისთვის არ შეეხედა, მაგრამ მზერა თავისთავად ეტმასნებოდა წითელ, გლუვ, კრიალა ზედაპირს მთელი პირის ღრუ მომჟავო ნერწყვით ამოევსო ბორისას და ისე გაბრუვდა, რომ აღარც იმათი და აღარც საკუთარი კითხვა-პასუხი ესმოდა. მერე, ხუთივე ვაშლი როგორღაც მისი მაისურის უბეში გაჩნდა და ბორისა ქურდულად, სწრაფი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ. გზად კი თავის თავს ბიჩვერივით უმეორებდა: „არაფერია, მაინც მოვიგებთ ბრძოლას. ბრძოლის გეგმა? სისულელეა! მაინც ვაჯობებთ!“ ჩურჩულებდა და თან დროდადრო ჩაიხითხითებდა, რადგან სირბილისას მუცელთან ათამაშებული ვაშლები უღიტინებდა...

— ვიღაცამ გაგვყიდა! — კბილების ღრჭენით, გაშმაგებულმა წამოიყვირა ლარბიმ, როდესაც კვირა დღეს, ბრძოლის დაწყებისთანავე, მოულოდნელად ალყაში მოემწყვდნენ და, რადგან სხვა გზა არ იყო, ტყვედ ჩაბარდნენ.

ათასგვარი დამცინავი და დამამცირებელი ოინბაზობის შემდეგ, იარაღაყრილი ტყვეები უკანვე გამოაბრუნეს. რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. ტყვეობიდან დასახსნელად დამარცხებულებმა სამი ტყავის ბურთი, ათი საუკეთესო ჩიკორი, ამდენივე სალახტე ქამარი და ოცი ჯილა კოჭი გადაუთვალეს. მთელი ეს ხარკი ლარბიმ ტომრით წაუღო მეზობელ ეზოს ბიჭებს და, როცა დაბრუნდა, ბიჭების წრეში მორიდებულად მდგარმა ბორისა ჭინჭველაშვილმა, — ლარბისკენ არც გაუხედავს, თავიც არ აუწევია და ისე იგრძნო, რომ ლარბი მისკენ მოემართებოდა.

— ის კრაჭუნა ხუთი ვაშლი სადაა, ბორისიკუნა? მარტოკამ შეხანხლე?—კბილებში გლისპად გამოსცრა ლარბიმ, ჯერ გარშემო შემოკრებილ ბიჭებს ნიშნისმოგებით თვალი ჩაუკრა და მერე პირდაპირ ბორისას ზიზღიანად შეაშტერდა, —ორიოდე მაინც შემოგენახა, ამ გამწარებულზე პირს ჩავიტკბარუნებდით.

ტანად ისედაც პატარა, გამხდარი ბორისა სულ დაპატარავდა და მიილია, ფერმკრთალი მოყვითალო სახე კიბორჩხალასავით წამოეჭეხა. დააპირა მოებოდიშასავით, მაგრამ ხახა ისე ამოუშრა, რომ ენა ძლივს დაატრიალა. შიშისა და დაბნეულობისაგან ამობურცული მრგვალი თვალები უფრო დაუმრგვალდა და აქეთ-იქით გააცეცა.

— ახლა ეგრე ე, იქ დადექი, შუბლი კედელს მიადე და არ გაინძრე, სანამ მოვითათბირებდეთ,—თქვა ლარბიმ და ეზოს კუთხისკენ მიანიშნა.

ბორისა მორჩილად შებრუნდა, კუთხისკენ გასწია. გზად სიმწრის ცრემლი ღაპაღუპით წამოსცვივდა. შუბლი კედელს მიადო კი არა, აჭარხალებული გახურებული სახე ხორკლიან კედელს მიაჭყლიტა და გამშრალი ენით აღლოშნა ცრემლისგან დასველებული აგური. ის ახლა არაფერზე არ ფიქრობდა,—არც თავის დანაშაულზე და არც მომავალ სასჯელზე. მხოლოდ გამომფიტავ უსუსურობას, სინდისის ქენჯნას და საკუთარი თავისადმი ზიზღნარევ სიბრალულს გრძნობდა. ეს შეგრძნება ჰლი-

და, თანდათან აცლიდა ღონეს. განზე შეჯგუფებულ ბიჭებს კი ბჭობა გაუგრძელდათ, გაცხარებით კამათობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ლარბის ხმა მოესმა:

— ბორისა ჭინჭველაშვილო! შემობრუნდი და მოისმინე ჩვენი გადაწყვეტილება.

ბორისამ სახე ძლივს მოაშორა კედელს,—აგურის ხორკლები კანსა და ხორცში ჩასობოდა, და თითქოს ჩაწებებოდა. როგორც იქნა, ზანტად შეტრიალდა და გამოცარიელებული, ბნდუ მზერით მიაჩერდა მეგობრებს, რომლებისაც რატომღაც აღარც ეშინოდა და აღარც ერიდებოდა.

—რომ გვიღალატე და გაგვყიდე, მგონი, თვითონაც ვერ იუარებ.

დაიწყო ლარბიმ და ერთხანს შეჩერდა, გამომცდელად შეათვალიერა ბორისას გამწლეული ტანი და ცრემლით შეზელილი მტვერით გატალახიანებული სახე, საიდანაც ტირილისგან ამღვრეული გრემანი თვალები, მოყვითალო შუშის ორ ბურთულასავით, თითქოსო არსაით არ იყურებოდა, თუმცა ნამდვილად მისკენ იყო მიპყრობილი.

ბორისა სდუმდა.

—საშინელი და თაღლითური ღალატი ჩაიდინე, რაც არც ერთ ქართველ კაცს არ ეპატიება,—უფრო ბრაზიანად განაგრძო ლარბიმ, რადგან ბორისას დაცარიელებული უმეტყველო მზერა თანდათან აღიზიანებდა,—ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საველე სასამართლომ სიკვდილი მოგისაჯა. ვინაიდან დავმარცხდით და მტერმა იარაღი აგვყარა, ყველაზე იოლი საშუალება, დახვრეტა, გამორიცხულია. დარჩა სიკვდილით დასჯის ერთადერთიღა საშუალება—ჩამოხრჩობა! მარტო მე რომ მეკითხებოდეს, სწორედაც ჩამოხრჩობის ღირსი ბრძანდები. მაგრამ საველე სასამართლოს რამდენიმე წევრმა მოითხოვა, ნება მოგეცეს თვითონ გამოესალმო მაგ სამარცხვინო სიცოცხლეს. უნდა წახვიდე და ჩვენს თვალწინ, ხიდიდან მდინარეში თავით გადახტე. თუ გადარჩი, ხომ კარგი. ჩვენ ყველანი გადავმხტარვართ იმ ხიდიდან. მაგრამ შენი სიმამაცის ამბავი რომ ვიცით, დარწმუნებულები ვართ, მდინარემდე სული გადაგეყლაპება.... ესაა და ეს. არჩევანის მოსაფიქრებლად ხუთი წუთი გეძლევა.

ბორისას ბანგმორეულივით, თითქოს საიდანღაც შორიდან ჩაესმოდა ლარბის სიტყვები. გარს შემოკრებილი დანარჩენი მეგობრების სახეებიც ფერმკრთალ ლანდებად გადაქცეულიყო. შლუსავით თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ყველას ერთად. აბა, სად შეეძლო რაიმე მოეფიქრებინა ან გადაეწყვიტა? სრულიად დაცარიელებულიყო და აღარც არაფერი ესმოდა. გაუნძრევლად იდგა მხრებჩამოყრილი, განზე თავწაგებული.

უცებ ცრემლისგან დასველებული მისი თვალები ლარბის გაღეღილ, ამობურცულ, კრიალა, ღონიერ მკერდს მიეჯაჭვა; ბორისას კისერი გაუსწორდა, მოდუნებული ტანი დაეძაბა, სახეზე რაღაც უცნაური ღიმილი გამოუკრთა და მოულოდნელად, თვითონაც არ იცოდა რატომ, მოუნდა ამ ფართო კრიალა მკერდს მიყრდნობოდა და მიალერსებოდა. ჰო, თვითონაც ვერ გაეგო, რატომ დაებადა ლარბის მოფერების სურვილი. ამ გრძნობით შეპყრობილმა მორიდებულად, სათნოდ შესცინა და თვალებში ახედა. ლარბი შეცბა. მცირე ხანს ასე თვალებში ჩაჰყურებდნენ ერთმანეთს. ლარბიმ ფეხი შეინაცვლა, უხერხულად იგრძნო თავი. მაგრამ, მეორე წამს, თითქოს რაღაც საბოლოოდ გადაწყვიტაო, ხელი აიქნია და მტკიცედ წარმოსთქვა:

— ხუთი წუთი გავიდა. ხელები შეუკარით!

რამდენიმე ბიჭი მანჭვა-გრეხით მივარდა ბორისას, ხელები უკან გადაუწია და თოკით შეუბოჭა. ისინი თან ხითხითებდნენ. მაგრამ ბორისას არც სწყინდა მათი დაცინვა და აღარც თვითონ ეცინებოდა. არ იცინოდა ლარბიც. უწინდებურად თვალებში მისჩერებოდნენ ერთმანეთს და სრულიად არ ეხუმრებოდათ. სინამდვილეში, ამ ორის გარდა, ყველასათვის თანდათან ხუმრობად

გადაიქცა ეს ამბავი. როდესაც ეზოში თუთის ხის ბორჯალზე სახრჩობელა გაამზადეს, ლარბიმ ბორისას მკლავში ჩასჭიდა ხელი და ძალით წაათრია; თუმცა, რომ ეთქვა, ის თვითონაც მორჩილად გაჰყვებოდა.

ბორისა ჯერ გაოგნებულივით მიჰყვებოდა ლარბის, თითქოს ყველაფერ ამას შორიდან ადევნებდა თვალყურს. შიში მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც ლარბიმ სკამზე აიყვანა და მარყუჟში თავი გააყოფინა. თოკი მოკლე გამოდგა და ბორისა თითის წვერებზე აიწია. მაგრამ მარყუჟი მაინც მჭიდროდ შემოეჭდო ყელზე, — ყურებს ქვემოთ ჯირკვლებზე აწვებოდა, სუნთქვას უშლიდა და თითის წვერებზე დგომაც კი უჭირდა ბორისას.

— მეყოფა! ჩამომიყვანეთ! აღარ მინდა!—ძლივს ამოიხრიალა ბორისამ. გამწარებულმა ჩამოხედა სკამთან მდგარ ლარბის.

— მართლა არ დაიხრჩოს, ბიჭო!

— ეყოფა, ჩამოიყვანე!

— უყურეთ, უყურეთ, თვალები რა გადმოეკარკლა?!

სახრჩობელას გარშემო შემოკრებილი ბიჭები ხორხოცებდნენ და გადამეტებული სიცილისგან იგუდებოდნენ.

ბორისამ ახლა მათ გადახედა და, უცებ, უსაზღვროდ შეჯავრდა, მეტიც, შეეზარა თითოეული მათგანი.

— ვირებო! სინდისგარეცხილებო! იცინით, ხო?! — ხრიალებდა ბორისა და ცდილობდა, ზურგსუკან შებოჭილი ხელები გაენთავისუფლებინა. მერე ისევ ლარბის ჩაჰხედა. უნდოდა, ისიც ზიზღიანად მიელანძღა, მაგრამ ენა დაება. ლარბი უწინდებურად არც იცინოდა და არც ხუმრობდა. პირიქით, ლარბის თვალებში იმაზე მეტი ზიზღი და სიბრაზე იხატებოდა, რაც ახლა ბორისას უდუღდა გულში. და ბორისა გახევდა. შიში ხელახლა დაეუფლა. ტანში გააჟრჟოლა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— გეყოფა, რა? მეტს აღარ ვიზამ! — მუდარით ხმოსთქვა ბორისამ.

— კარგი, მართლა ეყოფა...

— ეყოფა კი არა! ის კარგი იყო, ხუთი ვაშლი რომ შეახრამუნა.

— დაგვიბრუნოს ჩვენი ბურთები და ქამრები.

— ჩიკორები? კოჭები? მერე რა ჯილა კოჭები?!

— მიდი, მიდი, ერთი ფეხებიც ააფართხალოს!

ბორისას მმუდარე თვალებმა ლარბი წამით გაახევა. შუბლი მოეჭმუხნა. ოდნავ უკან დაიხია კიდეც. სახეზე აშკარად დაეტყო ყოყმანი. ეზოში რომელიღაც მეზობელი ქალის კივილი მოისმა. პირველს მეორე ქალის ხმა შეუერთდა, მეორისას მესამე... ეზო ახმაურდა, აჩოჩქოლდნენ ბიჭებიც. ლარბი და ბორისა კი ისევ ისე უხმოდ მიშტერებოდნენ ერთმანეთს. უცებ, ბორისა აიჭიმა, აკანკალდა, — მან დაინახა, როგორ მტკიცედ გადმოაბიჯა ლარბიმ, როგორ ჯიუტად აჰხედა და როგორი გამეტებით მოუქნია სკამს ფეხი.

— დედაააა!—ამოიკვნესა ბორისამ და ყელზე შემოჭდობილმა მარყუჟმა კვნესა გაუგუდა.

— გაგიჟდი ბიჭო?!

— რა ქენი, რა?!

— შვილოოო! მომიკლეს! მიშველეეეთ... შვილს მიკლავენ!

ბორისას დედა შორშოფით შემოვიდა ეზოში და შვილის აფართხალებულ წვრილ ფეხებს შემოეგო, შემოეშველა. ყველა მეზობელი გამოცვივდა ეზოში.

— დანა! ჩქარა, დანა! თოკი გადაჭერით!

და მერე, როდესაც ძლივს მოსულიერებული, გონს მოსული ბორისა ფეხზე წამოაყენეს; და მერე, როდესაც, როგორც იქნა დააშოშმინეს აკრჩხიალებული დედამისი; და მერე, როდესაც მეზობლებმა სათითაოდ გაკიცხეს და გალანძღეს ლარბი; და მერე, როდესაც ამ საქმეში წამქეზებელი მეგობრებიც განუდგნენ; და მერე, როდესაც ბორისამ ულონოდ შემოატრიალა კისერი და თავის დამსჯელს ნაღვლიანად, მწარედ და მაინც შიშით შეხედა, — ლარბიმ კოპე-

ბი შეიკრა და უწინდებურად ბრაზიანად, მტკიცედ წარმოთქვა:

— მაშ, აბა, ხუთი ვაშლისთვის მოღალატე სიცოცხლის ღირსია?!

— უყურეთ ერთი რაებს მიჭქარავს!? კი მარა, მეგობრები არა ხართ? მართლა ომი ხომ არ იყო... დასწყევლა ეს ომი ღმერთმა, ბალღებიც რომ გადაგვირია... ხო თამაშობდით, არა? — გაფოთებით შეეპასუხა ვიღაც მეზობელი.

ლარბიმ კი ისევ ისე ჯიუტად, ფარული სიშმაგითაც მიახალა:

— მერე რა რომ ვთამაშობდით? მერე ხომ ნამდვილი იქნება?! — მის თვალებში უცებ იფეთქა ცრემლმა. კურცხალი კი არ წამოსცვივდა, ცრემლმა შიგ თვალებში ერთდროულად იფეთქა, იქვე შეჩერდა, შეგუბდა და მზერა აუმღვრია. მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი, ისე, თითქოს ყელში მოწოლილი სიბრაზე უკან ჩაიბრუნა და უნებურად გამჭახებული ხმით დასძინა: — მამაჩემიც ხომ ნამდვილად ველარ დაბრუნდება..· იქნებ იმიტომ ველარ დაბრუნდება, რომ ასეთი გამყიდველები იქაც იყვნენ, ჯარშიაც... რამდენია ასეთი გამყიდველი!

მისმა სიტყვებმა, და უფრო მეტად იმ დაუოკებელმა სიბრაზემ და შეუპოვრობამ, იმ იქნებ უხეშმა, იქნებ გაუსაძლისმა, მაგრამ მაინც განუხრელმა სიმართლემ, რომელიც მის ნათქვამში გამოსჭვივოდა; იმ ტკივილმა, რომელიც ჯერ არ განელებულიყო თვით მეზობლების ცხოვრებაშიც მავან ახლობლის დაკარგვის გამო, — ყველაფერმა ამან ალიაქოთი ჩაახშო და ეზოში წამიერად ჩამომდგარი დუმილი შეაბორძიკა. მხოლოდ ბორისას დედას უწინდებურად კივილ-კივილით შინ აჰყავდა თავისი გატარული შვილი.

...ახლაც, ოთახში აწრიალებულ და უხამსი მოგონებებით უნებურად ატანილ ბორის ჭინჭველაშვილს, მიუხედავად დაკაცებისა, მიუხედავად წიგნების კარადაში თვალსაჩინოდ გამოკრული სიგელებისა, მიუხედავად ოჯახში ბავშვებთან მოფუსფუსე შთამბეჭდავი გარეგნობის მეუღლისა; მიუხედავად იმისა, რომ მის გარდა ოთახში არავინ იმყოფებოდა და ლარბი მართლაც უკვე მიწას იყო მიბარებული, — ბორის ჭინჭველაშვილს მაინც ცხადად მოესმა ის ულმობელი სიტყვები, უწინდებურად წამით შიშმა შეიპყრო და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მაგრამ ახლა, როდესაც ლარბი სადღაც გადაკარგულში გარდაცვლილი ეგულებოდა, ბოლოს და ბოლოს როცა დაიჯერა, რომ იგი მოკვდა, — მეტიც, ბორის ჭინჭველაშვილს იმ აზრმაც გაუელვა, აზრმა კი არა, გუმანმა მეტისმეტად ნაგვიანებად უკარნახა, რომ ლარბი არც შეიძლებოდა არ მომკვდარიყო, — ახლა ამ ამბის გახსენებაზე მას უწინდებურად წყევლა-კრულვა აღარ შეუთვლია თავისი ულმობელი მსაჯულისთვის. პირიქით, ახლა იგი პირველად მიხვდა, რომ მაშინ მართლაც დამნაშავე იყო.

ამ მიხვედრამ როგორღაც უეცრად გაანთავისუფლა მხრებზე მძიმე ტვირთივით დაწოლილი შიშისაგან, როგორღაც უეცრად დაამშვიდა, როგორღაც უეცრად გაუთბო გული და ძვლებში გამჯდარი ყუვილი განუქარვა. კუთხეში სავარძლის კიდეზე მიყუჟული ოდნავ გასწორდა, შემობრუნდა, სკამის ზურგს გადააწვა, ცრემლმორეული თვალები მილულა, ღრმად ამოიოხრა და ამოილუღლუღა:

— შენ რატომ უნდა მომკვდარიყავი, ბიჭო?!

## „ნამდვილი კატის“ ამბავი

რაც შეეხება „ნამდვილი კატის“ ამბავს, ისიც კარგად ახსოვდათ მეზობლებს. დიდედო კესარიას კი — პატრონს და აღმზრდელს სახურავებზე, ლავგარდნებზე, აივნებზე, ხეებზე და სარდაფებში მობორიალე სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფერის კატებისა, — დიდედო კესარიას,

დარწმუნებული ვარ, საფლავშიაც ჩაჰყვა თავისი ფისოების დარდი.

ამ ამბის მიზეზი კი ჩვენი სკოლის ბოტანიკისა და ზოოლოგიის მასწავლებელი იყო, რომელმაც შინაურ ცხოველებზე საუბრისას კატა ასე დაახასიათა: „ბავშვებო, კატა ყველაზე საყვარელი, ყველაზე თვითნება და ამპარტავანი, ყველაზე მოქნილი და მოხერხებული შინაური ცხოველია. ასე მაგალითად, იმდენად მოხერხებულია, რომ საიდანაც არ უნდა გადმოაგდო, მაინც ოთხ ფეხზე დახტება...“ კატების ამ საოცარმა მოხერხებულობამ განსაკუთრებით ლარბი დააინტერესა და, მეორე დღესვე, გაკვრით ჩამომიგდო სიტყვა კატების „გამოცდის“ თაობაზე. პირველად უარზე დავდექი, შემეცოდა დიდედო კესარიას გამოზრდილი კატები. მაგრამ ლარბი სულ უფრო და უფრო ამიკინჩილდა და, ბოლოს, დამიყოლია კიდეც.

ერთხელ, როდესაც ეზოს ბიჭები გასართობად შევკრებილიყავით, დიდედო კესარიას თერთმეტივე კატა ლარბიმ ტომარაში ჩაჰყარა და სახურავზე აათრია. ამ ამბავს ყველანი მორიგი გასართობივით ვადევნებდით თვალყურს, თუმცა ტომარაში გამომწყვდეული კატების წკნავილი გულსაც გვიკაწრავდა. გარეგნულად ვითომ ლარბიც ხუმრობდა. იქნებ მართლაც ხუმრობდა. მაგრამ ახლა ასე მგონია, რომ ლარბისთვის ეს ამბავი მხოლოდ გასართობს არ წარმოადგენდა. ცხადად მახსენდება მისი დაძაბული და ორჭოფი გამოხედვა, როდესაც მიმტკიცებდა: „რისი გეშინია, ბიჭო? რას სწუხხარ? მასწავლებელმა ხო თქვა, ოთხივე ფეხზე დახტებიანო... ხოდა, ვნახოთ როგორ დახტებიან!“ „მერედა, მართალი რომ არ გამოდგეს? არ შეგეცოდება?“ „როგორ არ შემეცოდება, ბიჭო! მაგრამ, გულახდილად გითხრა, ძალიან მაინტერესებს. შეუძლებელია, შენც არ გაინტერესებდეს, მართალი თუ გამოდგა ეს ამბავი. ბოლოს და ბოლოს, კაცმა სიმართლე უნდა იცოდეს და გაიგოს, ხომ ასეა?“

რაღაც შემზარავი გამოსჭვივოდა მის ამგვარ უთნო ცნობისმოყვარეობაში, მის დაეჭვებაში, მის გამოცდა-შემოწმებაში. აბა, რა საჭიროა ყოველივე იმის გამოცდა, რაც დადგენილია. განა შეიძლება, ყველაფერს იჭვის თვალით ზომავდე და სცდიდე. ჰო, იჭვმა, რა თქმა უნდა იჭვმა და არა ზოგიერთათვის დამახასიათებელმა სადისტურმა ვნებამ ააყვანინა კატები მეხუთე სართულზე და იქიდან სათითაოდ გადმოაყრევინა; რა თქმა უნდა იჭვმა, რადგან ისიც კარგად მახსოვს, როგორი ნაღვლიანი სახე გაუხდა, სახურავიდან ეზოში რომ ჩამოვიდა და მიწაზე დაყრილ კატებს თვალი შეავლო.

ამაზრზენი იყო ჰაერში დატრიალებული, ფეხებგაფშეკილი კატების ყურება, გაგონება ზემოდან წყევლასავით ჩამოღწეული მათი ხრინწიანი კნავილისა, დანახვა მათი გაფართოებული მბზინავი თვალებისა, წამიერად ანთებული ორი ნაპერწკალივით რომ გაიელვებდნენ ჰაერში და, ბოლოს, უნუგეშო ამოოხვრასავით გულისმომწურავი, ყრუ, მძიმე დარტყმის ხმა გვაბრუებდა.

პირველად თუ ვიცინოდით, თანდათან სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა ეზოში. იძულებით მიყვანილი მოწმეებივით თავჩაქინდრულები უკმაყოფილოდ ვიდექით და წამიწამ გვაცბუნებდა სხეულების მიწაზე დანარცხება.

მხოლოდ ერთადერთი, მეთერთმეტე კატა დახტა ფეხებზე, შეშინებულმა და თითქოს გაკვირვებულმაო დაფეთებული თვალებით შემოგვხედა და შეეცადა გაქცეულიყო. მაგრამ ვერ შესძლო. წინა კიდურებზელა წამოიწია. უკანა ფეხები ბრტყლად, უმოქმედოდ გაკვროდა მიწას. მცირეოდე მანძილზე გაფორთხდა და ჩვენ დავინახეთ, თან როგორ წაათრია უკანა კიდურებს შორის მტვერში ამოთხვრილი სისხლიანი ნაწლავები.

როდესაც ლარბი სახურავიდან ჩამოვიდა, დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ჩემსავით უნდოდა ესაყვედურა. მაგრამ რატომღაც კრინტი არ დაგვიძრავს. მთელი ჩვენი ყურადღება ერთადერთ გადარჩენილ კატას მიეპყრო და არ კი ვიცოდით, რა გველონა, რით გვეშველა. ლარბიც ამ კატას შეაშტერდა. წამით შეყოვნდა. მერე უცებ შებრუნდა, ეზოს კუთხეში მიყუდებულ ლომს დაავლო ხელი, გამოიქცა და კატას თავში ჩასცხო. ამან სულ დაგვაბნია, ბოლომით აღვივსეთ. მან კი ყრუდ ჩაიჩურჩულა: „ასე სჯობს. იწვალებდა“. მერე, თითქოს თავს ძალა დაატანა და გამოფხიზლდაო, შეცბუნებულ და განლიგებულ ბიჭებს როგორღაც უმისამართოდ, შეკავებული სიბრაზით მოგვმართა:

— ხომ დაინახეთ? კატებს შორისაც ყველა კატა, კატა არ ყოფილა.

დაბნეულები მივაჩერდით.

ლარბის სიტყვა აღარ გაუღია, გვამები თავისივე ხელით აკრიფა და ნაგვის ყუთში ჩაჰყარა. მხოლოდ „გადარჩენილი“ კატა, რომელსაც ლომით თვითონ მოუღო ბოლო, ჩვრებსა და ქაღალდებში სათუთად გაახვია, თასმებით შეკრა და ისე, რომ ჩვენთვის აღარ მოუმართავს, მდინარისაკენ გაემართა. ჩვენ შორიახლო მაინც ავედევნეთ.

ლარბი მდინარის პირას შემაღლებულზე შეჩერდა, მიმოიხედა, კატის გვამი ფრთხილად განზე დასდო და ორმოს ამოთხრას შეუდგა. დიდხანს თხრიდა, კატისთვის ზედმეტად ფართოსა და ღრმას. როდესაც ეს საქმე მოათავა, კატა განიერ ხაროში ჩაასვენა, გულხელდაკრეფილი ზემოდან მჭმუნვარედ დააცქერდა და უცებ მოგვიხმო:

— აბა, ახლა მიწა დავაყაროთ!

რატომღაც მორჩილად შევუდექით ბრძანების შესრულებას.

გულწრფელად შეწუხებული, ჩაფიქრებული სახე ჰქონდა ლარბის იმ წუთებში და, როდესაც ხარო ამოვავსეთ, საფლავზე თვალებმიშტერებულმა ხმამაღლა გვითხრა:

— ეს ერთ-ერთი ყველაზე ნაღდი კატა იყო კატებს შორის. ნამდვილი კატა ყოველთვის ფეხზე უნდა კვდებოდეს. ეს ნამდვილი კატა იყო და მან იმ დანარჩენი ათი საცოდავისა და უნიათოს არაკატური არსებობა გაამართლა. პირადად მე არასოდეს დამავიწყდება ეს კატა.

ერთხანს შეყოვნდა. მერე საფლავს მოაცილა მზერა, გაიხედ-გამოიხედა, იქვე დაგებულ უზარმაზარ ლოდს ჩაეჭიდა, მარტოკამ აზიდა და საფლავს დაადო.

— ამის შემდეგ ვინც კატებს ხელს ახლებს, შურდულს ესვრის ან წიხლს გაჰკრავს, ჩემი მტერი იქნება და პასუხსაც მე გავცემ.

...ეზოში ისევე უჩუმრად, პირქუშად და მწუხარედ დავბრუნდით, როგორც მივასაფლავეთ მდინარის პირას „ნამდვილი კატა“.

ვინმეს იქნებ ოინბაზობადაც მოეჩვენოს კატის დასაფლავების ამბავი. ოღონდ ჩვენ, ვინც მაშინ მდინარის პირას ვიყავით, ვისაც დაგვინახავს ლარბის სახე ან გაგვიგონია მისი უცნაურად აღელვებული ხმა, — ამის გახსენებაზე ოდესმე თუ გაგვღიმებია, მხოლოდ ნაღვლიანი და მიუმხვდარი ღიმილით. პირადად მე ახლაც არ მაცინებს არც მისი ქცევა და არც მისი იქნებ ზედმეტად მაღალფარდოვანი სიტყვები. პირიქით, მაღელვებს და უფრო მეტად ჩამაფიქრებს. თუმცა, ლარბი თვითონაც ისეთი იყო, — თუ არ ეხუმრებოდა, აღარც სხვებს დაანებებდა ხუმრობას. ამასთან დაკავშირებით ისიც მახსენდება, რომ მასთან ერთად მეგობრებიც კი რაღაცნაირად დაძაბულები ვიყავით, თითქოს რაღაცის გვერიდებოდა, რაღაც გვეხამუშებოდა. ვგონებ. სწორედ ეს იყო იმ უცხოობის მიზეზი, რასაც ალბათ ყველა აშკარად ვგრძნობდით მის მიმართ და რასაც გადაჭარბებული ერთგულების ნიღბით ვფარავდით ხოლმე. ჩვენს გვერდით მდგარი, იგი თითქოს მაინც შორს იყო ჩვენგან, — მხიარუ-

ლების დროსაც, თამაშობის დროსაც საკუთარ თავში გამომწყვდეული და, ამ განცალკევებულობით, იქნებ გაბრაზებულიცა და გაღიზიანებულიც, — და ერთგულების ნიღბითაც არასდროს არ ირთვებოდა.

ახლა, როდესაც სიკვდილით კიდევ ერთხელ გამახსენა თავისი არსებობა, მე მეჩვენება, რომ როგორც „კატების“ ამბავში, საკუთარი თავის და გარშემო მყოფი ადამიანების მიმართაც იგი ზედმეტად დაეჭვებული, ზედმეტად მომთხოვნი, და იმ სინამდვილეზე მეტი სინამდვილის მსურველი და მძებნელი იყო, ვიდრე ცხოვრებაშია, — იმ გულწრფელობისა და ერთგულების მომთხოვნი, რომელიც ჩვენში არის კიდეც და არც არის, რადგან მას ყოველთვის ვგრძნობთ, მაგრამ იშვიათად თუ განვახორციელებთ. ახლა მე ასეც მეჩვენება, რომ გარშემო არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც თავად გადაიშლებოდა მის წინაშე და საკუთარ თავს მეგობრად შესწირავდა. ბოლოს და ბოლოს, რატომ მაინცა და მაინც მას პირველს უნდა შემოეთავაზებინა თავისი ცხოვრება, თუ ჩვენ თავად ვიჩქმალებოდით, — რატომ მას უნდა გადმოედგა პირველი ნაბიჯი, როდესაც ჩვენ, უკვე უამრავ ნაბიჯ გადადგმულნი, სინამდვილეში და გულის სიღრმეში მაინც ერთსადაიმავე ადგილს ვტკეპნიდით. და განა მას თავის მხრივაც არ შემოუთავაზებია თავისი თავი? განა ეს ლარბიმ არ მითხრა სკოლის დამთავრების შემდეგ, თეონა ზამბახიძის დღეობაზე, ოდნავ შემთვრალმა და ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზით აგზნებულმა:

„არაფერი არ მინდა, ბიჭო, ერთი ჩემი წილი მშვიდი ბედნიერების გარდა. თუნდაც პატარა, ოღონდ ჩემი საკუთარი ბედნიერების... რომ არავინ არც გამყიდოს, არც გამომეცალოს... რომ ვიცოდე, ის ნამდვილად ჩემია და არასდროს არ გამოიცვლება. გესმის? ის, ვინც შენს გვერდითაა, შენი უნდა იყოს და, რომც მოკვდე, შენი უნდა დარჩეს.“

ჰო, ეს სიტყვები მან ჩამჩურჩულა ყურში და მე კი შევცბი. მე დავიბენი. მეტიც — მე შემეშინდა. შემეშინდა ისევე, როგორც მრავალ ჩვენთაგანს ეშინია სხვისი წუხილის ზურგზე ტვირთად აკიდება, როგორც მრავალ ჩვენთაგანს ეშინია, დიახ, ეშინია სხვისი გულწრფელობისა. და მე, მოჩვენებითი თანაგრძნობით, მხარზე ჩამოვადე ხელი და ვითომ გამგებიანად გავუღიმე. და ის, რომ მან მაშინ უხიაგად მოიშორა ჩემი ხელი, ახლა აღარა მწყინს, აღარც ვადანაშაულებ, რადგან უკვე ვიცი, რომ მართალი იყო: რადგან უკვე თვითონ გამოვეცალე მხარზე მოჩვენებითი თანაგრძნობით ჩამოდებულ უამრავ ხელებს.

. . . . . .

თეონა ზამბახიძეს თოჯინების თეატრიდან მოჰყავდა თავისი ტყუპი ქალვაჟი, როდესაც ბორის ჭინჭველაშვილი სახლის კიბეებზე შეეჩეხა. მან უკანასკნელ წამს, უკვე პირისპირ დამდგარმა შენიშნა თეონა, — განზე გაიწია, შემცბარივით გაუღიმა და ენის ბორძიკით ჰკითხა:

— შენც გაიგე, თეო, გაიგე?

თეონა ზამბახიძეს ყოველთვის ეხამუშებოდა ბორისის გადმოკარკლული თვალების შემოხედვა, მაგრამ ახლა ამ თვალებმა ჩვეულებრივზე მეტად შეაკრთო.

— რა უნდა გამეგო, ბორის?

— ლარბი, — ბორისმა კისერი დაატრიალა და ამოიოხრა, — მაშ, არ გაგიგია ლარბის ამბავი?

— ლარბის? — თეონას დიდი ხანი იყო არც წარმოუთქვამს და არც გაუგონია ეს სახელი. საერთოდ გადავიწყებოდა მისი არსებობა. ახლაც, უნებურად წამოსცდა და თითქოს ენაზე იკბინაო, ისე დადუმდა.

— ხო, მომკვდარა ლარბი.

ამ სიტყვებზე, ისე რომ აღარც გამომშვიდობებია თეონას, ბორისი კიბეებზე დაეშვა.

თეონა ზამბახიძე ერთხანს კიდევ გაუნძრევლად იდგა, ოდნავ დაბნეული. შემდეგ უცებ დახედა ბავშვებს, რატომღაც შეშფოთებული მზრუნველობით გადაუსვა ხელი კოხტად თმაშეკრეჭილ თავზე, პუტკუნა ლოყებზე აკოცა და მათთან ერთად სწრაფად აირბინა დარჩენილი ორი სართულის კიბეები. ასეთივე აჩქარებით გააღო კარი და სასტუმრო ოთახში შეიხედა.

კვირა დღე იყო და თეონას მეუღლე, დიმიტრი მელქაძე, სუფთად პირგაპარსული, გამოძინებული, დასვენებული სახით, სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. დიმიტრის არ მიუხედავს ცოლისკენ, მაგრამ თეონა მაინც მიუახლოვდა და მასაც იმგვარივე შეშფოთებული მზრუნველობით მიეალერსა. მიალერსების დროს, დიმიტრის სათვალე ცხვირზე წამოედო და უსიამოვნოდ გამოაფხიზლა. თეონამ გაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, დიმიტრი უსათვალოდ ყოფილიყო. ისედაც მეტისმეტად სერიოზული გარეგნობის კაცი იყო. სტუდენტობის დროსაც ასეთივე სერიოზული გარეგნობა ჰქონდა.

თუმცა, სწორედ ამან მოხიბლა თეონა ზამბახიძე. მართალია, როდესაც დაუახლოვდა, თავაშვებულობის წამებში დიმიტრი ბავშვურად მიამიტ სიცუღლუტეს ავლენდა ხოლმე, მაგრამ თეონა ამას აწერდა სიყვარულის სიწრფელეს და სინაზეს. ხალხში ყოფნისას კი ყოველთვის მოსწონდა მისი სათვალეც, დინჯი იერიცა და ტუჩებმოკუმული ზუსტი საუბარიც. ქალური ალღოთი თავიდანვე მიხვდა, რომ დიმიტრი მომავალში თავის საქმეს ხერხიანად გაუძღვებოდა. და აკი ასეც მოხდა. ოღონდ ახლა სწორედაც რომ არ ესიამოვნა ცხვირზე დიმიტრის სათვალის წამოდება.

თეონა საწოლ ოთახში შევიდა, კაბა გაიხადა და, სანამ საშინაოდ მოეწყობოდა, სარკეში პერანგის ამარამ საკუთარ ანარეკლს უნებურად ჰკიდა თვალი. წამით, თითქოს ეუცხოვა ეს უზარმაზარი სარკე, რომელშიც ყოველდღე უშფოთველად იხედებოდა. მაგრამ ახლა ეს კარგად ნაცნობი ძველი სარკე მეტისმეტად დიდი მოეჩვენა. მან ისე იოლად გამოიმწყვდია თეონას სხეული და ისეთი უტიფარი ს ი ზ უ ს ტ ი თ აღბეჭდა კრიალა ზედაპირზე; ისე გულგრილად გამოაჩინა თეონას ასხლეტილი ტანი, შიშველი, ლამაზი კანჭები და ყმაწვილქალურად მკვრივი თხელი მკერდი, რომელსაც მამაკაცის ხელი თითქოს არ მიჰკარებიაო... ყოველი ნაკვთი მასში ისეთი ცივი, თავის თავში გამომწყვდეული მოჩანდა; თვით სახეც — გაფერმკრთალებული და უმეტყველო; თვალებშიც ისეთი უკმაყოფილო ნაღველი უკრთოდა. ამ უეცრად გაუზარმაზარებულმა სარკემ თეონას სახება მხოლოდ უხალისო, ლამაზ ნივთივით არეკლა და თეონა დაიბნა. იმგვარად დაიბნა, ვითომც კარის ღრიჭოში, წამით, ბორის ჰინჭველაშვილს შემოეყო გრძელი კისერი, გადმოკარკლული თვალებით მისჩერებოდა და უჩუმრად ეკითხებოდა: „გაიგე, თეო, გაიგე? მომკვდარა ლარბი!“

არა, ის კი არა, ვითომ თეონა ზამბახიძე უკიდურესად შეეშფოთებინა ამ ამბავს. სინამდვილეში მძაფრი გულისტკივილი არ უგრძვნია. მაგრამ რაღაცამ კი შეაწუხა, რაღაც სინანულის მსგავსმა გრძნობამ, — დაკარგულის დაუბრუნებლობისა და ფარული დაუკმაყოფილებლობის მსგავსმა გრძნობამ თუ მოგონებამ, — ჩათბუნებულ, გაყუჩებულ ოთახში აბუჩი სტუმრის გარედან შემოყოლილი ზამთრის სუსხი რომ შეგაწუხებს, აი ისე შეწუხდა.

ის თითქოს ძალით მოსწყდა სარკეს, ხალათი გადაიცვა და სამზარეულოსკენ გაემართა. ჰო, სჯობდა სადილისთვის მიეხედა, თორემ ქმარ-შვილი აბუზღუნდებოდა. დიმიტრიმაც ხომ ბავშვივით ბუზღუნი იცოდა, ჭირვეული ბავშვივით. მის თანამშრომლებს ოჯახში ამგვარად აბუზღუნებული რომ დაენახათ, გაკვირვებისაგან ალბათ სახეები გაებუ-

ცებოდათ... ღმერთო, რამდენი საქმე ჰქონდა: ბაზარი, სადილი, სახლის დალაგება, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სტუმრები, მათი თავპატიჟი, გამასპინძლება და მოჩვენებითი თავაზიანობა. რამდენი, რამდენი საზრუნავი... თეონამ მაცივრიდან ქათამი გამოიღო და ონკანს მიუახლოვდა, საქმიანად შეუდგა წმენდას, ხელისგული გადაუსვა ქათმის დამზრალ, მოყვითალო, აბურძგლულ კანს და მიუხედავად იმისა, რომ შეეცადა უხიაგო ფიქრი და განწყობილება განექარვებინა, უცებ გაახსენდა ლარბის სიკვდილის ამბავი. ზიზღიანად ჩააგდო ქათამი ჯამში, ხელები გადაიბანა, გაიმშრალა, სამზარეულოს კარი მიხურა და თაროზე გადამალულ სიგარეტს მისწვდა. სიგარეტის მოკიდებისას თვალზე უნებურად მოადგა ცრემლი.

ახლა კი უკვე ნამდვილად მოეწურა გული თეონას და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა თუთუნის კვამლი. ოდნავ თავბრუ დაეხვა, ცხოვრების სამდურავი სიტყვები აეჩხორა გონებაში; რატომღაც მარტოდ, გარიყულად იგრძნო თავი და, მაშინვე, თავისი ადრინდელი გულგრილობა შეზიზღდა. რატომ თავიდანვე არ მოადგა თვალზე ცრემლი? რატომ თავიდანვე არ შეშფოთდა ლარბის სიკვდილით? ეს ზიზღნარევი გათავისწინება თანდათან უფრო და უფრო ზრდიდა ლარბის სიკვდილით გამოწვეულ ნაღველს. თეონამ სიგარეტი საფერფლეში მისრისა და თითები გადაისვა წამოჭეხებულ ლაწვებზე. წუხილი ხელახლა, ტალღასავით შემოაწვა და სულ მთლად აუჩუყა გული. ტუჩები აუთრთოლდა და ცრემლმა დაუნისლა მზერა.

თეონას მოულოდნელად და ერთბაშად გაახსენდა ლარბი: გაახსენდა მისი სახე, დაკუნთული მკერდი, მისი თვალები, — გაახსენდა არა ცალ-ცალკე, არა რომელიმე დროს, არამედ მთლიანად, ბავშვობიდან დაკაცებამდე მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებების სრული ერთობლიობით, — უმნიშვნელო, სწორედაც რომ უმნიშვნელო ცვლილებებისა, რადგან ლარბი თითქოს არც იცვლებოდა და ცხრამეტი წლის ასაკშიც თითქმის იგივე იერი დაჰკრავდა, თითქმის იგივე ხასიათი შერჩა, როგორიც ბავშვობისას ჰქონდა. ისიც გაახსენდა, რომ ლარბის უყვარდა იგი და თავისი უცნაური სიყვარულიც გაახსენდა მისდამი, — თუკი შეიძლებოდა ლარბისადმი აღძრული გრძნობისთვის სიყვარული ეწოდებინა. არა, რა თქმა უნდა, ის არ იყო სიყვარული. უბრალოდ, მოსწონდა. მოსწონდა შორიდან, — მაშინაც, როდესაც ლარბი ჟინიანი თავგამეტებით ეზოში ბურთს აგორებდა; მაშინაც, როდესაც ჭიდაობაში სჯაბნიდა ყველას, მაშინაც, როდესაც სკოლაში გადაჭარბებულ მფარველობას უწევდა და არავის აბედვინებდა მისდამი უდიერობას; მოსწონდა მისი მორიდებული სიყვარული, მისი ხან უზომოდ ნაზი, ხანაც გაპირქუშებული ჯიუტი სახე; მისი ღონიერი, უცნაურად სუფთა ტანი, რომელიც სხვა ბიჭებივით არ იყო ბალნით დაფარული და ყოველთვის უბზინავდა; მოსწონდა, რომ ყოველ „საშინელ ამბავს“ მას მიაწერდნენ ხოლმე და რომ ყველას, ავად თუ კარგად, პირზე ეკერა მისი მოყივნებული სახელი. ჰო, მას ნამდვილად მოსწონდა ყველაფერი ეს, მაგრამ აფრთხობდა კიდეც, აშინებდა; და მიუხედავად ამ ფარული შიშისა, არაერთხელ მოსდომებია მთელი სხეულით მიკვროდა და მიტმასნოდა; მეტიც, ზოგჯერ ნატრულობდა, ზმანებებშიც იწვევდა ლარბის დიდრონი, ფართო ტუჩების ალერსიან შეხებას. გამოფხიზლებულს კი რაღაც ისევ აფრთხობდა და აშინებდა, გუნებით შორშორ გარიყავდა. თითქოს ლარბისთან სიახლოვე ხიფათს უქადდა, თითქოს მის გვერდით სულ მუდამ ქროლვასა და ჭიდილში უნდა ყოფილიყო. მას ყოველთვის ეშინოდა ლარბისთან სიახლოვის და, გონებით ისედაც შებოჭილ საკუთარ გრძნობებს, წინაგანზრახული სიფხიზლით კიდევ უფრო

მტკიცედ ალაგმავდა. შემდგომშიაც, ყოველ ახლად აღმოცენებულ ლტოლვას მაშინვე ამოსდებდა ლაგამს. ოღონდ ლტოლვა, თუნდაც ლაგამამოდებული ლტოლვადვე რჩებოდა მის გულში, ფარულად მაინც არ ასვენებდა. ალბათ ამიტომ იყო, როდესაც ქალობა მოუმწიფდა და პირველად გამონახა დიმიტრი მელქაძე, — გონებით რომ გაეთვალისწინებინა, სწორედ ისეთი ყმაწვილი კაცი, — როდესაც პირველად დაუახლოვდა დიმიტრის და მასთან ჯერ გამოუთქმელი კავშირიც დაამყარა, თეონას მაშინაც მოსწონდა ლარბი, მაშინაც გრძნობდა მისდამი ლტოლვას და დროდადრო უწინდებურად ძლივს იოკებდა მისი მოალერსების სურვილს. დიმიტრი ზუსტად დამთხვეოდა წინასწარ გამიზნული საქმროს ყალიბს, — ზუსტად იმგვარად საიმედო და მყუდრო სიმშვიდის მომნიჭებელი იყო, როგორიც თავიდანვე უნდოდა ჰყოლოდა მაგრამ იმის მაგიერ, რომ დიმიტრის სიახლოვეს, მისდამი მინდობას გულში ყველა სხვა განცდა განექარვებინა, თითქოს ჯიბრზეო, თეონას უფრო მეტად სწყუროდა ლარბი. იმ ღამით კი, — იმ ღამით, როდესაც ლარბიმ უკანასკნელად მიაცილა სახლამდე, — იმ ღამით ლარბისადმი ეს უცნაურად მსურველი გრძნობა, სიძულვილად და ზიზღათ თუ არა, სიბრაზედ, საშინელ სიბრაზედ და შემდგომ გაგულგრილებად შეეცვალა.

იმ ღამის გახსენებაზე თეონა აილეწა, მივიწყებულმა სიბრაზემ წამით გაიღვიძა მასში და აამღელვარა. ცხადად წარმოესახა გვიანი შემოდგომის ის ღამე, როდესაც დიმიტრისთან ერთად მოსეირნობდა და ბალთან მოულოდნელად შეეჩეხა ლარბის.

...ლარბი ბალის კიდეზე ბიჭების წრეში იდგა და, როდესაც თვალი მოჰკრა დიმიტრისთან მომავალ თეონას, ამხანაგებს გამოეყო და პირდაპირ მათკენ წამოვიდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, რის გამოც ფართო ღონიერი მხრები ვიწრო სვიტერში უფრო დიდი მოუჩანდა; ტანით წინ გადმოქანებული, რიოშა ღიმილით მიუახლოვდა თეონას ისე, რომ დიმიტრისკენ არც გაუხედავს.

— სახლისკენ, თეო?

როგორც ყოველთვის ნაზად ჰკითხა, ოღონდ სახე ოდნავ მოჰმუხვნოდა და თვალებს, რომლებიც ტუჩებზე აღბეჭდილი ღიმილისაგან განსხვავებით არავად უკრთოდა, ჩვეულებრივზე ხშირად ახამხამებდა.

მის გამოჩენაზე თეონა, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა.

— ჰო, შინ მივდივარ.

ლარბის აღარაფერი უკითხავს, უწინდებურად მათ წინ აღმართულიყო ოდნავ წინ გადმოქანებული და იმგვარად მხრებაძურწული, თითქოს შეამცივნაო, და როგორღაც ბეუტად იმზირებოდა. წამით, უხერხული დუმილი ჩამოვარდა და თეონამ უთხრა:

— გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, დიმიტრი მელქაძე.

— ესე იგი, უბრალოდ რომ მივმართოთ მომავალში, ჩვენებურად დიტო ან მიტო, არა?

ამ სიტყვებზე ლარბიმ გადაჭარბებული თავაზიანობით გაუღიმა დიმიტრის. ოღონდ, ხელები ჯიბიდან არ ამოუღია, მხოლოდ წამით მიუბრუნდა და. მერე ისევ თეონას შეაცქერდა ისე, როგორც იცოდა თვალებში ჩაშტერება — პირდაპირ და ჯიუტად.

ახლა უკვე აშკარად შეშფოთდა თეონა.

— ხო, რა თქმა უნდა, მიტო. ახლობლები დიტოსაც ვეძახით, — ნაძალადევად ხმამაღლა გაიცინა და სასწრაფოდ მიმართა დიმიტრის, — ლარბი ჩემი მეზობელია და მეტს აღარ შეგაწუხებ. ისედაც დაგღალე, ფეხით გამოგატარე ამხელა გზა. მადლობთ, ხვალ დამირეკე...

დიმიტრი აიბუზა, გამგუნებით აჰხედა მის წინ აღმართულ ტანს. უგერგილო შეგრძნებამ და იჭვმა გაკენწლა, მაგრამ მისთვის ჩვეული წინდახედულობით აწონ-დაწონა უეცრად შექმნილი არასა-

ხარბიელო მდგომარეობა და უფრო არასახარბიელოდ რომ არ გადაექცია, დადუმება არჩია. თეონაც დროზე შეეშველა, მკლავზე თითები მოუჭირა, სათნოდ გაუღიმა და დასძინა:

— იმ საკითხზე კი ხვალ მოვილაპარაკებთ, რომ დარეკავ, მაშინ.

დიმიტრიმ თანხმობის ნიშნად რაღაც ჩაიდუდრდურა. თეონა კი მაშინვე შეტრიალდა, სახლისაკენ სწრაფად გაემართა და თან ლარბიც წაიყოლია.

მცირე მანძილი რომ გაიარეს, თეონამ ნაბიჯი შეანელა, ღრმად ამოისუნთქა, ტუჩებმოკუმულმა ჩაიფრუსტუნა და ლარბის ჩასჩურჩულა:

— უი, დედა, გული კინაღამ გამიხეთქე.

— რატომ?

— უუჰ, რა ვიცი. თავს ისე წამომადექი რომ... იმასაც ისე გადახედე...

თეონა ყველაფერ ამას სიცილით ამბობდა, თუმცა შეშფოთება ჯერაც არ გაქრობოდა. იმასაც ხედავდა, ლარბი უწინდებურად ამრეზილი იყო, და სახეზე იმგვარი იერი გადაჰკრავდა, თითქოს ცდილობდა რაღაც მოეფიქრებინა თუ მიმხვდარიყო. თეონამ ისიც იგრძნო, რაზედაც ახლა ფიქრობდა ლარბი და უნებურად გაყუჩდა, გაიტრუნა.

— სად იყავი? — მოულოდნელად და უკმეხად წამოსცდა ლარბის.

— ისე, გამოვისეირნეთ.

ლარბი ისევ დადუმდა. მერე, ფიქრებში გართულმა დასძინა:

— ხო, მართლაც, სულ შინ ხომ არ იჯდები. მე აქამდე ამას ყურადღებაც ვერ მივაქციე...

— რას?

— უბრალოდ, ვერ შევნიშნე, რომ გაიზარდე. ესე იგი, რომ გავიზარდეთ, შენც და მეც. და პატარები რომ აღარ ვართ.

— რა სასაცილოდ ლაპარაკობ, ლარბი?

— ეს შენთან. შენთან ყოველთვის სასაცილოდ გამომივა... მაგრამ მე მართლა ვერ შევამჩნიე ეს და, როგორც წინათ, ისე გიყურებდი.

— მერედა, ამაში რა არის ცუდი?

— არა, ცუდი არაფერი. მაგრამ... სხვა რამეც გამომრჩა.

ლარბი ერთ ხანს თვალს არიდებდა, თითქოს ვერ ბედავდა მისკენ მიეხედა. თეონას კი ჩუმი კმაყოფილებით ავსებდა ლარბის ასეთი მორიდებულობა და, კმაყოფილებასთან ერთად, უეცრად უჩვეულო სითბო და სიახლოვე იგრძნო მისდამი.

— რა გამოგრჩა, ლარბი?

— ალბათ, თვითონაც იცი.

ლარბი შეჩერდა, მიუბრუნდა და პირდაპირ თვალებში ჩააცქერდა.

— ამიტომ ლაპარაკიც არ ღირს. არა, კი არ ღირს, უბრალოდ, ზედმეტია, მიძნელდება კიდეც. სხვა რომ იყოს შენს ადგილას... მაგრამ შენ ხომ ძალიან ახლობელი ხარ. თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე ახლობელი ყოფილხარ, მე რომ მეგონა. როგორიც მინდოდა ყოფილიყავი. იქნებ, ყველაფერი სწორედ ამ შორებელ-ახლობლობის ბრალიცაა?

ლარბის გულწრფელობამ თეონა თითქოს გაარეტიანა, გააბრუა და უნებურად წარმოათქმევინა:

— ხო, ალბათ ამის ბრალიცაა...

—მაგრამ მე ხომ შენთვის ახლობელი ვარ, თეო, ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ვიყო. და იქნებ, როგორიც არ უნდა ვიყო.

— ვიცი.

— იცი?

— ხო, ვიცი. თითქმის ყველაფერს ვხვდები. წინათაც ვიცოდი...

— იცოდი და, მაინც? — თავი ვეღარ შეიკავა ლარბიმ და ბრაზიანად მიახალა, — ის სათვალებიანი ვინლა ბრძანდება?!

— არა, არ გინდა. ყველაფერი როგორღაც შეუმჩნევლად მოხდა, ამ ზაფხულს, ზღვაზე, ასე რომ, მისი ბრალიც არ არის. თუმცა, ბრალი რა შუაშია. დიმიტრი ისეთი წყნარია, ისეთი მორი-

დებული, — თეონამ უცებ ხმამაღლა გაიცინა და ეშმაკურად ამოხედა, — წარმოიდგინე, შენზე უფრო მორიდებულიცაა.

ლარბის აღარაფერი უთქვამს, თითქოს თეონას გამიზნულ სიტყვებს ვერ მიუხვდაო. ოღონდ, სახეზე უეცრად იმგვარი დაბნეულობა აღებეჭდა, რომ თეონას გული მოეწურა და ალერსიანი რიდით განაგრძო:

— რომ იცოდე, როგორ მიმძიმს, ყველაფერი აგიხსნა. ვიცი, ამის თქმა არც შეიძლება, მაგრამ... თვითონაც არ ვიცი, რატომ მინდა აგიხსნა. თვითონ არ ვიცი, რატომ გეუბნები იმას, რასაც ჩემს სიცოცხლეში არავის ვეტყოდი... ხო, მე მინდოდა. აბა, დიმიტრი რას მოახერხებდა... და, იცი, რატომ? დიმიტრი სწორედ ისეთია, როგორიც ყოველთვის მინდოდა, გვერდში მყოლოდა.

თეონამ შენიშნა, რომ ლარბი გაფითრდა და ფართო ტუჩებზე დამცინავი ღიმილი თითქოს ამოეტვიფრაო. თეონა შეჩერდა. თვითონაც ეუცნაურა, რომ შიშთან ერთად რაღაც საოცარი ჟინიანი კმაყოფილება თუ სიხარული ჩაეღვარა ძარღვებში. მორჩილი მზერით შეაშტერდა ლარბის ჯერ თვალებში, შემდეგ ტუჩებზე და შემდეგ, მკერდზე. წამით, მოუნდა მთელი ტანით აკვროდა და ამ სურვილმა უმალ აამღელვარა. ლარბი ახლა ისეთი კარგი იყო, თეონას ისე არ უნდოდა მისი სიყვარულის, მისი მორჩილების დაკარგვა. არა, აქამდე არავის მიმართ აღძვრია ამგვარი მიტმასვნის სურვილი. და თეონამ ფრთხილად, უნებურად აზიდა ხელი, მხარზე ჩამოადო. მერე, მკერდზე ჩამოუცურა და იქ შეაჩერა. მერე, როცა უკვე კარგა ხანს უსიტყვოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს, როცა მოლოდინი ყველა ზღვარს გადასცდა, თეონამ თმენადაკარგულის სისწრაფით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩასჩურჩულა:

— იქნებ ვერც გამიგო, რადგან ბოლომდე მაინც ვერ აგიხსნი ყველაფერს. ხო, ამიტომაც ვერ გამიგო... მაგრამ როგორ მინდა მიმიხვდე, არც კი იცი, როგორ მინდა... თუმცა, თვითონაც ვერ გავრკვეულვარ. ის კი არა, ვითომ არ მიყვარს დიმიტრი. მაგრამ, გეფიცები. შენც მიყვარხარ. ხო, მიყვარხარ... უცნაურია, არა? ისე არ მინდა გაწყენინო, უფრო სწორად, არ მინდა დაგკარგო, დამშორდე... როდესაც არ მთხოვ, ერთად გავისეირნოთო უარს არასდროს არ გეტყვი, გესმის? პირიქით, გამეხარდება კიდეც. გამეხარდება კიდეც, ძალიან გამეხარდება... ოღონდ, დიმიტრიმ არ გაიგოს! არა, დიმიტრის დაკარგვაც არ მინდა. უკვე გადავწყვიტე... მე ის არ უნდა დავკარგო! მაგრამ, იცი, მე ახლა ისიც კი მინდა, რომ მაკოცო და გათენებამდე შინ არ მივიდეთ. ჩემს სიცოცხლეში გათენებამდე პირველად არ მივიდე შინ და შენთან ერთად ვიყო...

სამზარეულოში ბავშვები შემოცვივდნენ და ფიქრი შეაწყვეტინეს თეონას, რომელსაც იმ მოგონებებისგან გუნება ამღვრეოდა, ლოყებზე წებოსავით შეშრობოდა ცრემლი და, როდესაც იქ დიმიტრიმაც შეიხედა, ველარ მოითმინა და წამოიყვირა:

— რა, აღარ მომასვენებთ?! წუთითაც არ დამანებებთ თავს? არ შეიძლება სადილი მშვიდად, ჩემთვის, მარტოკამ გავაკეთო??!

გაკვირვებული დიმიტრი მელქაძე მხოლოდ წამით შეაშტერდა მეუღლეს. მეორე წამს კი რაღაც ჩაიბუზღუნა, ბავშვები სამზარეულოდან გარეკა და თვითონაც გაუჩინარდა.

თეონამ მეორე სიგარეტი ჩამოიღო თაროდან. ხანმოკლე და უეცარი გამოფხიზლების შემდეგ, აღარ უნდოდა უწინდელ ფიქრს დაბრუნებოდა. მაგრამ ლარბის უკანასკნელი სიტყვები, უკვე აღკვეცილი ხსოვნის სივრციდან მცხუნვარე სუნთქვასავით შემოეხალა, მონუსხა და ისევ დაატყვევა, — აუნთებელი სიგარეტით ხელში გააშეშა.

— გასაყოფი არაფერი არ მიყვარს, თეო. მე შენ გაცილებით უფრო მიყვარხარ, რომ ამაზე დაგთანხმდე, —

ჯერ ნაზად, ნაღვლიანად უთხრა ლარბიმ, როდესაც უკვე ეზოს ჭიშკართან იდგნენ. მაგრამ შემდეგ, უეცრად, გამკიცხავი და შმაგი გაუხდა სახე და ამღელვარებისას როგორც სჩვეოდა, თვალები გაეყინა: — ვითომ არც გამიგია შენი შემოთავაზება, გესმის?! თითქოს არც გითქვამს! შენ, ალბათ, საკუთარ თავს ვერ ხედავ... უცნაურია, უცნობივით გახდი. თითქოს შენ კი არ მიყვარდი, არამედ სხვა, რომელიც შენ გგავდა. არა ,აღარაფერი მესმის, სრულიად არაფერი, — როგორღაც ყრუდ ამოიძახა და იმის მაგიერ, რომ შინ ასულიყო, ისევ ქუჩისაკენ გაბრუნდა გამოუმშვიდობებლად, სწრაფად და თავგამეტებით...

თეონა თითქოს გამოფხიზლდაო, ისე გაიქნია თავი, გასწორდა. წამით დამუნჯებული სახის ნაკვთები ხელებით მოისრისა. უეცრად მომსკდარმა ცრემლმა აუწვა ლოყები და თეონა შეძრწუნდა. გული აუფორიაქდა, აწრიალდა. მოუნდა ქმარ-შვილთან გასულიყო, მაგრამ თითქოს მოერიდაო.

არა, ახლა მას არავინ აღარ უნდოდა, სრულიად აღარავინ. აღარც არაფერს გრძნობდა იმის გარდა, რომ იყო თბილ სამზარეულოში. და უცებ, გონებაში ცივად გაუელვა, რომ, რადგან იქ იმყოფებოდა, მაშასადამე, იქ ყოფნის ვალდებულებაც უნდა აღესრულებინა. ამ აზრის ერთადერთი გამოსავალივით ჩაებღაუჭა, მორჩილად შეტრიალდა, მიუახლოვდა ჯამში ჩაგდებულ ქათამს და მთელის ძალით მოჟღლიმა უკვე დამბალი, ხორკლიანი ყვითელი სხეული.

## II

ქალბატონი თინათინი ბარათის მიღებისთანავე რომ გამგზავრებულიყო შორეულ ჩუკოტკაში, ლარბის დასაფლავებას მაინც ვერ მიუსწრებდა. იმ გეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა, რომლებთანაც ლარბი ტექნიკოსად მუშაობდა, გვიან გაიხსენეს მისი მშობლების არსებობა, ამოქექეს პირადი საქმე და თავისი უკანასკნელი მოვალეობაც შეასრულეს, — სასწრაფოდ გაგზავნეს მშობელთან სამწუხარო ცნობის მაუწყებელი ბარათი.

შუა ხნის ბუღალტერმა ქალმა, -- მას ძალიან უყვარდა ლარბი, რადგან წარმოსადეგი, მომხიბვლელი გარეგნობის გარდა, უზადოდ თავაზიანი იყო ახალგაზრდა ქართველი კაცი და ჯამაგირის მიღებისას ხურდა ფულს ხელისგულზე არასდროს არ ჩაიმარცვლავდა და ხარბად არ ჩაიყრიდა ჯიბეში, — ბუღალტერმა ქალმა თვითონ შეადგინა დეპეშა, თვითონ გაემგზავრა დაბაში და ტელეგრაფისტის ჩხუბის მიუხედავად, არც ერთი სასვენი ნიშანი არ ამოშალა; თითქოსდა ამით გულს მოიოხებდა და გარდაცვლილის მიმართ ახლა მაინც გამოავლენდა საპასუხო გულუხვობას.

...როდესაც ლარბის სხეული იმდენად გალღვა რომ ტანსაცმელზე მიკრული ყინული ჩამოაცილეს; როდესაც განზე გაშლილი ხელები მკერდზე დაუკრიფეს და სხეული გაუსწორეს; როდესაც ძლივს ჩაატიეს ნაძვის ფიცრებისაგან სახელდახელოდ გამზადებულ კუბოში მისი ზორბა ტანი და, იქიდან, თითქოს ამოანათაო მისმა ხმელმა ქათქათა სახემ, რომელზეც მტკივნეულად მიმტევებლური ღიმილი სულყველასადმი ერთბაშად იყო მიპყრობილი, გარს შემოკრებილთ გული შეეკუმშათ და მორცხვად, სინანულით, დამნაშავეებსავით ჩაჰქინდრეს თავები.

ყველამ თითქოს ერთდროულად გაიფიქრა, რომ არავის სრულიადაც არ სჭირდებოდა ლარბის სიკვდილი; თუმცა, იმ აზრმაც გაუელვა, რომ მისი მთე-

ლი იქ ყოფნის მანძილზე არც ერთს ისიც არ უგრძვნია, რომ ლარბის არსებობაც ვინმესთვის რაიმე საჭიროებას წარმოადგენდა. მათ ურთიერთგადაჭდობილ ცხოვრებას, ხან ძნელსა და ნაღვლიანს, ხანაც იოლსა და მხიარულს, ლარბი ვითომც გარედან მიტმასნოდა და აჰყოლოდა. ის თითქოს გარედან მიტმასნილი იყო იმ მუშაობაშიც, რომელსაც არავისზე ნაკლებად არ ასრულებდა. იგი თითქოს გარიყულად ატორღიალებოდა დღესასწაულებზე მათ საერთო დროსტარებასაც მიუხედავად იმისა, რომ სხვებსავით გულახდილად, ლაღად და გატაცებით მხიარულობდა, და ყველაზე მეტ არყის ბოთლს ფეშქეშად სდგამდა მაგიდაზე. ისინი კი მიჩვეულნი იყვნენ „საკუთარი ჭიქებით“ მოლხენას და, ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდათ და აღიზიანებდათ კიდეც ლარბის ხელგაშლილობა. სამაგიეროდ, იქაურ გოგოებს ლარბის დარდიმანდული დაუდევრობა ხიბლავდა და ეს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა კაცებს.

არა, რა თქმა უნდა ლარბი უცხო იყო მათი ცხოვრების ნირისათვის, მათი ადათ-წესებისათვის, — იგი ისევე მიაჩნდათ, როგორც გემის ეკიპაჟში შემთხვევით ჩარიცხული „მფრინავი თევზი“, რეისის დამთავრების შემდეგ ქუდს რომ წყალში გადაისვრის და გადიკარგება. ოღონდ „მფრინავ თევზებს“ ყოველთვის სხვაგან ეგულებათ თავიანთი მუდმივი ადგილსამყოფელი, რომლისგან დაშორებაზეც ზღვაში უთავბოლოდ წუწუნებენ და სწუხან. ლარბის „ადგილი“ კი სად იმყოფებოდა, არავინ უწყოდა ზუსტად და დაწვრილებით, რადგან ის არასდროს იხსენებდა სახლ-კარს და არც წუწუნებდა. იქაური ქალები ამიტომაც ეკიდებოდნენ უნდოდ მის უგულწრფელეს გაარშიყებასაც. თუკი ერთხელ ვერ გაუძლებდნენ ლარბის შემოტევას, — მისი მცხუნვარე სუნთქვის, შავი თვალების, მისი ძლიერი, ასხლეტილი ტანის სიახლოვეს; თუ კი ვერ გაუძლებდნენ მისი გარეგნულად ნატიფი და ძარღვიანი ხელების შეხებას და რამდენიმე დღეს მთელის თავდავიწყებით გაატარებდნენ მასთან, სამაგიეროდ შემდგომ, დაშოშმინებული ვნებისაგან დამშვიდებულნი და წამსვე გამოფხიზლებულნი, მაშინვე შეშფოთებით განშორდებოდნენ და თავს ძალას ატანდნენ, რომ აღარ ენახათ. ლარბის ხომ ჭრელ კატასავით სცნობდნენ მახლობელ დაბებში და მასთან სხვებისთვის შეუმჩნეველი, ფარული ახლობლობა შეუძლებელი ხდებოდა. ისინი კი, როგორც თითქმის ყველა ქალი, მზრუნველად უფრთხილდებოდნენ გარეგნულად, ახლობლების თვალში შეუბილწავი სახელის შენარჩუნებას.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ლარბის გასვენებაზე ყოველი მათგანი გულამომჯდარი ქვითინებდა, — ჩუმი, ტუჩმოკვნეტილი ქვითინით; ისეთი ქვითინით, რუსის დედაკაცებმა რომ იციან, — გულწრფელად, ცხარედ, თავშეკავებულად, არტისტიზმის გარეშე. და არა მარტო ქალები, კაცებსაც მოსდგომოდა ცრემლი და ამღვრეულ თვალებს არიდებდნენ კუბოში გაჭიმულ ლარბის. იმათაც კი, ვისაც ლარბი სიცოცხლეში არ ეპიტნავებოდა, იმათაც აჩუყებოდათ გული. ექსპედიციის ყოველი წევრი რაღაც გამარეტიანებელმა სევდამ აიტანა. ზოგ მათგანს, ფარულად, სინდისი ქენჯნიდა საკუთარი თავისადმიც გაუმხელელი სხვადასხვა მიზეზის გამო, და როდესაც ექსპედიციის წევრებს შორის ლოთობით ცნობილმა „ჩურჩუტა სტეპკომ“, გასვენებაზეც გალრევებულმა, უნებურად წამოიძახა: — ეჰე, აი თურმე რა კარგი და რა საყვარელი ყოფილა! — დანარჩენებმა რისხვით, გაღიზიანებული რისხვით ხმა გააკმენდინეს. მაგრამ „ჩურჩუტა სტეპკოს“ დადუმება არც თუ იოლი საქმე გახლდათ და სანამ მოაშორებდნენ იქაურობას, მან კიდევ მოასწრო წამოეძახებინა: — მაშ რა! ვითომ ვსტყუი, ხომ?! აბა, ვინ იტყვის, მასთან გულდაგულ ვიყავიო, ვინ?! ეეჰ, საბრალო შე ჩემო მარტო სულო, ძმაო

ჩემო, გულდაგულ ვის უყვარდი, ვიის?!

„ჩერჩეტა სტეპკოს“ გულწრფელმა, ხრინწიანმა ყივილმა ქალები უფრო მწარედ ააქვითინა, ხოლო კაცებს ბოლმიანი ცრემლი მჯიღით ჩამოაწმენდინა თვალთაგან; იმ ზოგიერთთა დაფარულ სინდისის ქენჯნას საბურველი აჰხადა და გამძაფრებული წუხილის მიზეზი ცხადად გამოუჩინა. ამგვარმა სიცხადემ ისინი შეაცბუნა, წამით დააბნია კიდეც; უხერხულადაც აგრძნობინა თავი და მაინც, ყველაზე მეტად იგნატი დრობინინს აუფორიაქდა გული, სტეპკოს ყივილმა ყველაზე მეტად იგი შეაცბუნა და დააბნია.

ლარბის გასვენების დღეებში იგნატი დრობინინი გულმხურვალედ ჭირისუფლობდა, დაუზარებლად დაფუსფუსებდა და ზრუნავდა, რომ გარდაცვლილი რაც შეიძლება „ღირსეულად“ მიებარებინათ მიწას. მისი ჭირისუფლობა არც არავის გაჰკვირვებია, რადგან იგნატი დრობინინი ტექნიკოსთა ბრიგადების უფროსი ოსტატი იყო. ლარბის საძებრადაც თვითონ წავიდა, მერე სამი დღე არ მოსცილებია გვამს, ერთგულად თავს დასტრიალებდა და კუბოს ფიცრებიც თვითონ გაამშალაშინა. სხვებს გულს უჩუყებდა მიცვალებულისადმი იგნატი დრობინინის ფეთიანი მოამაგეობა. მართლაც და, წუხილისაგან გაოგნებულივით ირჯებოდა, თითქოს ცდილობდა, მოსასვენებლად ფეხი არ მოეცვალა. მაშინაც, ჩერჩეტა სტეპკოს ხრინწიან ყივილამდე, გოროზა მწუხარებასავით აღმართულიყო ჭირისუფალთა პირველ რიგებში. მაგრამ სტეპკოს ყივილმა მოუსვენრად ააწრიალა, — ის სხვებზე უფრო ღვარძლიანი მზერით შეაცივდა მომთვრალეს და, მერე, შემცბარივით ცერად გაჰხედა კუბოში მწოლარეს,- უკან-უკან რიდით დაიხია, საფლავის გარშემო შემოჯარულ ხალხს განერიდა და მოშორებით მარტოკა აიბუზა თავჩაქინდრული.

როდესაც ლარბი მიწას მიაბარეს, ქალები ბარაკებში მიმოიფანტნენ, კაცებმა კი ჯგუფ-ჯგუფად მიაშურეს სასადილოს, რომ იქ ლარბის შესანდობარი გადაეკრათ.

იგნატიმ უკანასკნელმა დასტოვა სასაფლაო. ყურადღება აღარავის მიუქცევია, მარტოკა როგორ მიუახლოვდა ახლად ამოყორილ ხაროს, თეთრად გადაგლესილ თოვლიან მიწაზე შავი კუზივით რომ ამობურცულიყო; ერთ ხანს როგორ შედგა, როგორ ჩაიჩურჩულა რაღაც, როგორ ზანტად ჩამოიფხატა ქუდი და უწინდებურად თავჩაქინდრული როგორ გამოვიდა შარაზე. მანაც სასადილოსაკენ გაუხვია. მარტო მიაბიჯებდა, მარტო შევიდა სასადილოში და, თუმცა აქეთ-იქიდან ამხანაგები ეპატიჟებოდნენ, თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. ბოთლი არაყი წინ დაიდგა, ჭიქა შეივსო, მიაშტერდა და ჟინიანად შესვა. მეორე ჭიქაც მაშინვე მიაყოლა, ხელისგული ხარბად შეიყნოსა და ისე, რომ ხელი აღარ ჩამოუშორებია პირიდან, ისე, თითქოს ყელში მოწოლილ ყვირილს იკავებსო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დაგუდული ხმით წამოიძახა:

— ყველაფერში ხომ მე, მე, მე ვარ დამნაშავე!

სასადილოში ყაყანი იდგა და მისი სიტყვები არავის გაუგონია. მაგრამ იგნატი დრობინინი სხვის გასაგონად ხომ არც ამბობდა ამას. ვინმეს რომ გაეგონა კიდეც და იჭვიანად შემოეხედა, ესეც არ შეაშფოთებდა. ბოლმამორეულს აღმოხდა ეს სიტყვები, წუხილისაგან შეძრწუნებულს. მერე, ის დღე გაახსენდა, როდესაც ლარბი მოძრავი კბილანას მოსატანად გაუშვა მეზობელ დაბაში და, ამ გახსენებაზე, უფრო აიმღვრა. მწარე ღიმილით გადახედა უკვე გალრევებულ კაცებს და უმისამართოდ დაუყვირა:

—სწორია ჩერჩეტა სტეპკო! აბა განსაჯეთ, სწორი თუ არაა?! თავისი სიჩერჩეტითაც სწორი გამოდგა, გინდა ალთას ეცი და გინდა ბალთას, მაინც სწორია!

არც ახლა მოუხედავს ვინმეს. მისი

ეს წამოძახილიც გაიგუდა საერთო ყაყანში. მხოლოდ თვითონ იგნატიმ გაიგონა საკუთარი სიტყვები, მეტისმეტად ცხადად, ცივად ჩაესმა ყურში და და გაარეტიანა. ასე გარეტიანებულივით გვიან ღამემდე იჯდა სასადილოში მარტოკა და წამდაუწუმ იმ დღეს იხსენებდა.

...იმ დღეს ლარბი მორიგეობდა მბურღავ მანქანასთან, — ლარბი და კიდევ ორნი, მისი დამხმარე ბიჭები. — სტეპკო და დანილა. ისინი უთავბოლოდ ლაზღანდარობდნენ და მალიმალ შერბოდნენ ჯიხურში გათოშილი კიდურების შესახურებლად და მდუღარე ჩაის მოსახვრეპად. ლარბი კი ოდნავ განზე გამდგარიყო, საუბარში არ ერეოდა. დილიდანვე სრულიად უმიზეზოდ იდგა ნაღვლიან გუნებაზე, — ისეთ გუნებაზე, როდესაც არავის და არაფერს არ შეუწუხებიხარ და მაინც სწუხარ. ხათრით თუ გასცემდა პასუხს მათ ერთფეროვან, უკვე გაზეპირებულ ოხუნჯობებს და, უსაგნო ფიქრებით გართულს, წამიწამ გაუელვებდა ის აზრი, რომ ყოველივე, რაც გარშემო, აი, უკვე რა ხანია, იყო და ხდებოდა, უმიზნო და მოსაწყენ ამბავს წარმოადგენდა.

მბურღავი მანქანის ძრავა მონოტონურად გუგუნებდა და უზარმაზარ, საგნებით ზუსტად მოწესრიგებულ სივრცეში, ჯიხურისაკენ გაქცეული ბიჭები, სქელ ჯუბებსა და ბომბორა ჩექმებში გამოწყობილნი, უნებურად ემსგავსებოდნენ მოუწესრიგებლად, ჩქამად ამოძრავებულ სხეულებს. თუმცა, ლარბის ახლა ისიც ეჩვენებოდა, რომ მათი მოუწესრიგებლობაც შინაგანად ემორჩილებოდა გახევებული სივრცის საერთო წესს. ამას გარდა, ლარბის ისინი პატარა და უმწეო, უფრო სწორად, დაკარგულ სხეულებად ეჩვენებოდა, — თავისთავად, განცალკევებულად მოძრავ სხეულებად, — რადგან ახლა, იმ უზარმაზარ სივრცეში, იგი თვითონაც განცალკევებულ და უმწეო არსებად აღიქვამდა თავს. „ისე, კაცი რომ დაუფიქრდეს, რა ვართ? რა და, პატარ-პატარა ხრახნილები, პატარ-პატარა ნაწილები! ზოგი ვარგისი, ზოგიც უვარგისი, — მიგახრახნიან მანქანას და გაუძელი, სანამ ძალა შეგწევს. მანქანა კი ცახცახებს, ღმუის, ხმაურობს... ძნელია, შემაძრწუნებელიცაა ასე თითო-თითოდ ჩახრახნა... თითო-თითოდ, თითეული ცალ-ცალკე, და მხოლოდ საბოლოო ჯამში, მხოლოდ ვიღაც სხვის თვალში მოჩანს კავშირი... თუ გაიცვითე, თუ მოდუნდი, — ჯანდაბამდისაც გზა გქონია, ჯართი გახდები და გადაგადნობენ. ვითომ რამე შეიცვლება? შენც არ მომიკვდე! ისევ ხრახნად გამოგიყვანენ, ფხი", — რატომღაც მოაგონდა ლარბის ჩერჩეტა სტეპკოს სიტყვები და ჩაიცინა. ჩერჩეტა სტეპკოს უყვარდა წაფილოსოფოსება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეთვრებოდა და ვინმეს დაიმარტოხელებდა სმაში. ძნელი იყო ასეთ დროს სტეპკოსგან თავის დაძვრენა. ის კი არა, ვითომ ძალას გატანდა და თანამეინახობას გთხოვდა. უბრალოდ, იმ წამებში სტეპკოს მთელი არსება გადაიქცეოდა აშკარად ხელშესახებ განსხეულებულ ტკივილად, — სიფხიზლეში მოდუნებული, მელანქოლიურად გულკეთილი, ყოველგვარი დავალების მორჩილად შემსრულებელი, შექეიფიანებულზე უეცრად აღივსებოდა მძაფრი უკმაყოფილებით და თვალამოკიდული ისე მოგაშტერდებოდა, როგორც შენივე ბრალდება, როგორც შენივე დანაშაული და უნებურად დაგატყვევებდა. ატანილივით ჩაგჩურჩულებდა საკუთარ საეჭვო ჭეშმარიტებებს და შენც, მის ტკივილს აყოლილი, უნებურად დაუქნევდი თავს, უნებურად დაეთანხმებოდი, უნებურად გადაგედებოდა მისი თვალებიდან გადმოღვრილი ჭრელი წუხილი. ლარბიც სხვებსავით შეუპასუხებლად უსმენდა ხოლმე სტეპკოს. ბევრი მისი ნათქვამი ჭკუაშიც მოსვლია. მაგრამ ახლა, ამ სიტყვების გახსენებაზე უცებ აიმრიზა, ცერად ახე-

და მბურღავ მანქანას და ბრაზიანად გაიფიქრა, რომ სტეპკო მართალი არ იყო. არა, რა თქმა უნდა, სტეპკო სცდებოდა, რადგან ხრახნი ხომ არ გრძნობს, რომ ის ხრახნია. მითუმეტეს არც ფიქრობს ამაზე. კაცი კი გრძნობს, გაიაზრებს, რომ ის კაცია, თუნდაც ხრახნად ქცეული კაცი... თუ ყველაფერს მაინცა და მაინც გარკვეულად ვერა გრძნობს, იმას ხომ გაიაზრებს, რომ რაღაცას წარმოადგენს. და რადგან გაიაზრებს, უკვე აღარ არის ხრახნი. ისე კი, იქნებ აჯობებდა კიდეც, მანქანის რაიმე ნაწილი იყო და უმტკივნეულოდ, დაუფიქრებლად იცვითებოდე; ბოლომდე უმტკივნეულად გაიცვითებოდე და არ გრძნობდე იმას, რასაც სტეპკო წამოიყრანტალებს ხოლმე.

ლარბიმ ღრმად ჩაისუნთქა ყინვისაგან გამკვრივებული ჰაერი, თვალები მოჭუტა და ჯიხურიდან გამოსულ ბიჭებს მიაჩერდა.

— ჩაი დატოვეთ? — ჰკითხა, თუმცა სულ არ უნდოდა ჩაის დალევა, და როცა იმათ უპასუხეს, დავტოვეთო, მაინც გაემართა ჯიხურისაკენ.

ჯიხურში შესულმა სქელი ჯუბა შეიხსნა და ფიცრის ტახტზე გულაღმა გაწვა. ვიწრო სარკმლიდან მიაშტერდა რძესავით თეთრ უმზეო ცას. დიდხანს უყურებდა ასე გარეტიანებულივით და თანდათან ეუფლებოდა სიცარიელის, უძირო სიცარიელის გრძნობა. გარეთ ჩვეულებრივი, ჩრდილოეთის თეთრი ამინდი იდგა და ყოველი ხე, ყოველი საგანი უმეტყველოდ გაშეშებულიყო. ეს უმოძრაობა ისედაც უზარმაზარ სივრცეს ცისა და მიწისა, კიდევ მეტად ზრდიდა და ხდიდა თვალხმიერს.

სიცარიელე უცებ მოიწურა, შეიკუმშა მასში და ლარბიმ უნებურად ხმამაღლა იკითხა: „არა, მაინც რა მინდა მე აქ? რატომ ვარ აქ?“ მერე, რატომღაც შეწუხდა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, დედასთან წერილი არ გაეგზავნა. მაგრამ იმისაგანაც ხომ ასევე დიდი ხანია, წერილი არ მიუღია. თუმცა, აბა როგორ მიიღებდა, როცა ახალი მისამართი არ იცოდა... ლარბი უწინდებურად გაუნძრევლად იწვა, უყურებდა ცას და სიცარიელე, რომელიც აქამდე მასში იყო, ახლა ნაღველნარევმა სიმშვიდემ შესცვალა. ისევ წერილებზე გაიფიქრა და თავისთვის დასძინა: — ჩერჩეტა სტეპკო ამაზე მეტყოდა, „რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო კარგო, ბარათებსო? ვიღაცისთვის საკუთარი არსებობის შეხსენებაა და მეტი არაფერი.“ „არსებობა კი რა არის?“ „არსებობა? ჰმ, არსებობა ის არის, რომ ცოცხალი ხარ.“ „ცოცხალი ხარ, რაღას ნიშნავს?“ „ჰმ, ცოცხალი ხარ, იმას ნიშნავს, რომ დადიხარ, სჭამ, მუშაობა და სხვა ამდაგვარი... მეტი არაფერი, საუბედუროდ, მეტი არაფერი!“ როგორ თუ მეტი არაფერი?! მაშ, აბა, სიყვარული, სიძულვილი, სწრაფვა... თუმცა, კაცი რომ დაუკვირდეს, ჩვენ ხომ ისინიც გვიყვარს და გვძულს, ვინც უკვე მოკვდა. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება, გარდაიცვალო და ვიღაცას მაინც უყვარდე, სძულდე, ვიღაცას მაინც აწუხებდე შენი, თუნდაც გარდაცვალებული, არსებობით. ესე იგი, შეიძლება მაშინაც ცოცხლად ეგულვებოდე. აი, ახლა, მე რომ უკვე მკვდარი ვიყო, დედაჩემს ნამდვილად ცოცხალი დავეგულებოდი, რა თქმა უნდა, თუკი ვერ გაიგებდა, რომ მოვკვდი. ხვალვე მივწერ ბარათს და ვაცნობებ, რომ ამის შემდეგ წერილს ნუღარ ელის ჩემგან... ან იქნებ ეს უარესია? იქნებ ჯობდეს გაიგოს, რომ მოვკვდი. რამდენიმე ხანს იწუხებს და მერე მოისვენებს. აკი სულ მწერს, შორს რომ ხარ, ვერ ვისვენებო. მეც ვერ ვისვენებ. მეც იმიტომ ვერ ვისვენებ, რომ შორს ვარ. მისგან? არა, მარტო მისგან კი არა, ყველაფრისაგან, სულყველასგან, რაც ჩემად მეგულებოდა, ჩემივე თავისგანაც შორს გავირიყე... ჰოდა, რომ მოვკვდე, ალბათ ორივენი მოვისვენებთ და საერთოდ, ყველა რომ მოკვდეს, რა სანუკვარი მოსვენებულობა გამეფდებოდა დედამიწაზე?! ყოველივე ასე გაშეშებული

იქნებოდა, გაშეშებული და მდუმარე, მდუმარე და თეთრი, როგორც ეს ამინდი.

ლარბის უცებ დაუარა ჟრუანტელმა და ტახტიდან სწრაფად წამოდგა. მხრები შეათამაშა და მჭახედ, ჯიუტად გაიცინა. მის არსებაში თითქოს რაღაც აბორგდა, აიმრიზა, მკაცრი უარი განუცხადა უმოძრაობისადმი მორჩილებას და მან ბეუტად გაჰხედა სარკმელში მომწყვდეულ თეთრ გაყინულ სივრცეს. მერე, თვალში შეეჩხირა თხუთმეტი მეტრი სიმაღლის მბურღავი დანადგარი, რომელიც გაშიშვლებულ ტრიალ მიდამოში აყინჩული კერპივით აღმართულიყო.

აი, უკვე სამი თვე სრულდებოდა, რაც ბურღავდნენ გალინჭყულ მიწას. კიდევ სამი თვეც მალე გაირბენს და საწურველ მიზანს იქნებ ვერც მიაღწიონ. მაშინ სხვაგან გადაინაცვლებენ და იქ თავიდან შეუდგებიან ჯერ დანადგარების გაწყობას, ბურღვას, ძიებას. ბოლოს და ბოლოს, სადაც იქნებოდა, მიაგნებდნენ ოქროს და მორიგეობაში ჩამდგარ ოსტატს სიხარულის ბღავილი აღმოხდებოდა. ეს ბღავილი სივრცეს გაკვესავდა და შუაღამეც რომ ყოფილიყო, ყველანი გარეთ გამოვარდებოდნენ და აროკვდებოდნენ, აკუნტრუშდებოდნენ, აწორხოცდებოდნენ ერთმანეთს გადაჭდობილნი. რაღაც გიჟური, შმაგი და გაუაზრებელი გამოსხლტებოდა მათი სიხარულიდან. მერედა, რა ახარებდათ? ოქრო? არა, რომ იპოვნეს, რომ იპოვნეს ის, რასაც ეძებდნენ. მთავარი იყო, ეპოვნათ, ხოლო თვით ოქრო მათთვის, აბა, რას წარმოადგენდა?! დიდი ხნის სწრაფვაში მიზანი იკარგებოდა, ილეველფებოდა, ჰკარგავდა მნიშვნელობას. მართლაც-და, რას წარმოადგენდა მათთვის ოქრო, თუნდაც, როგორც მიზანი, კონკრეტული მიზანი? არაფერს, გარდა ფულისა. ფული კი რაღას წარმოადგენდა? არაფერს, გარდა მაძღრად ჭამა-სმისა, მერყევი კმაყოფილებისა, დროებითი უზრუნველობისა და თავდავიწყებით დროსტარებისა...

ჰო, ყველაფერი ეს იყო და იქნებოდა, — მაგრამ არა ცხოვრება, რადგან ცხოვრება ჭამა-სმა არ არის, არც უზრუნველობა და არც დროსტარება. და ვერც თვითკმაყოფილება ღავსებს პირაშკმულ ნაპრალს. თუკი გაჩნდა ის ნაპრალი და შენ ქარაფის პირას დადექ... და თუ ეგ აგრე მოხდა, ოქროც აღარაფერი აღარ არის და, ღმერთმა უწყის, რისთვის წვალობს ამდენი ხალხი, რად იკლავს თავს, რომ ფულად გადასაქცევი ოქრო აღმოაჩინოს. თუმცა, ხალხი რა შუაშია. ხალხი დაძრწის, ხალხი ეძებს ცხოვრებას და არა ოქროს, ხალხი ბორგავს. ოქრო კი სჭირდება არა ვინმეს, არამედ რაღაცას, რისთვისაც ზუსტი სახელი აქამდე ვერ გამოუძებნიათ. ის რაღაც იქნებ სულაც არარსებულია და მხოლოდ ლანდივით იტყუებს ჩემსავით ცხოვრების მძებნელსა თუ ცხოვრებისგან გამოქცეულს. ის რაღაც — უაზრობაა! ნამდვილად უაზრობაა!.. მაგრამ მაშინ, რაღა მინდა? რა მინდა მე აქ? თუმცა ახლა, იქაც რომ ვყოფილიყავი, ასევე ვიტყოდი: — რა მინდა მე აქ?! ან, საერთოდ, სადმე ყოფნა კი მინდა?! და თუ მინდა, სად? ბოლოს და ბოლოს, სად მინდა ვიარსებო?! უუუჰ!

ლარბიმ სასწრაფოდ შეიკრა ჯუბა და გარეთ გავიდა. ახლა უკვე მარტო ყოფნა აღარ უნდოდა. ახლა უნდოდა, შეერთებოდა ბიჭებს, გასაუბრებოდა და მათი სიახლოვე ეგრძნო. მეტიც, მას სურდა ეგრძნო იმათი სითბოც, სიყვარულიც, რადგან უეცრად შეზარდა წინანდელი ფიქრიცა და გათოშილი მიდამოს სიცარიელეც, რომელიც თითქოს გულს უწურავდა. ახლა მას ისიც მოუნდა, შინ წერილი მიეწერა და ახლობლებისთვის ეცნობებინა თავისი არსებობა, — რომ ახსოვდა ყველა, და არა მარტო ახსოვდა, არამედ უსაზღვროდ უყვარდა, ენატრებოდა, უყვარდა და სჭირდებოდა თუნდაც მათი შორეული ცხოვრება.

მაგრამ ამ წამიერმა გულჩვილობამ ლარბი შეაცბუნა, მაცდური ეჭვი წამიერად ხელახლა აღუძრა, ისევ გაუღიზიანა ფიქრი. „მაშინ, სიყვარულიც, იქნებ, მართლაც საჭიროებაა, იმის საჭიროება, რომ აღიარონ შენი სიცოცხლე... ჰე, საჭიროება და მეტი არაფერი!“

— უუუჰ! — ჭიუტად აიმრიზა ლარბი და სქელი ხელთათმანები მთელი ძალით დაატლაშუნა.

— რაო, შეგახურა, ლარბი?! პატივცემული ყინვა, ალბათ, ოცდაათს უკაკუნებს, — შეეხმიანენ ბიჭები.

— აბა, ბიჭო, საშინელი ყინვაა.

— თქვენთან კი, კავკასიაში, თბილი შემოდგომა დუღუნებს... იფ, როგორ დუღუნებს. შავი ზღვის ნაპირზე ახლაც მზეზე გაშავებოდა კაცი. ამ ხუთი წლის წინ, საგზურით მწვანე კონცხზე ვიყავი. რა დავისვენე, რა ვიბანავე, რა ვიჭყუმპალავე ტალღებში?!

— ჰო, ცივი შემოდგომაც რომ იყოს, ამასთან შედარებით ხვატი მოგეჩვენება, — დაურთო ლარბიმ და ჩაფიქრდა.

— ეეჰ, რამსიგრძეა ეს დაწყევლილი გრძელი მანეთი. სად არ გადაიყოლებს კაცს, — ღმეჭით კბილებში გამოსცრა დანილამ,

— გადაიყოლებს კი არა, გაიტყუებს, — ჩაიქირქილა სტეპკომ, — მაგრამ უბედურება ისაა, იმის კუდს რომ დასწვდები და არყის ჭიქაში ამოავლებ, საოცრად დამოკლდება, დაპატარავდება, სულ ერთი ციცქნა გახდება. არყის სტერილიზაციას ვერ უძლებს. ხი, ხი, არაყი უებარი მასტერილიზებელი საშუალებაა, უტყუარი რეალობა, რასაც შეეხება — რეალურს გახდის. არაყში „გრძელი მანეთის“ ფერადი, უსასრულო მირაჟი, მისი ჩრდილოეთის დიდებული ხანგრძლივი ნათება ჰქრება და ხდება ჩვეულებრივი, სრულიად მიწიერი და ხანმოკლე. ხი. ხი, სასაცილოა, არა? ხანმოკლე გრძელი მანეთი...

— ისევ შენს შემნახველ სალაროსკენ გაუხვიე, ჩემო სტეპკო? ჩვენ კი აბანოში მივდიოდით, — ჩაიროხროხა დანილამ.

— შტერო, მე იქაც ვარ და აქაც, და ორივეგან სული მეხუთება. ბოლოს და ბოლოს, რა განსხვავებაა აბანოსა და შემნახველ სალაროს შორის? არავითარი, ორივეგან ბული დგას: ერთში ფულის, მეორეში ცხელი წყლის. და ზოგიერთი ბედნიერი ორივეში დროულად იხრჩობა.

— ეეჰ, ისევ აუყვა თავის გაბრუჟულ ფილოსოფიას, — უხეშად შეაწყვეტინა დანილამ, — მე იმას ვამბობ, გაჭირვებას მოუკვდეს პატრონი თორემ, აგერ, ჩვენი ლარბი, ჩაის მაგიერ ყურძნის ცინცხალა წვენით ჩაიკოკლოზინებდა ყანყრატოს.

— მე კი ჩემი გაბრუჟული ფილოსოფიით მოგახსენებ, რომ მარტო გაჭირვებაში არაა საქმე...

— ჰო, მოუკვდეს პატრონი გაჭირვებას! — მოკლედ მოუჭრა ლარბიმ, რადგან სტეპკოს და დანილას საუბარმა ისევ შორ-შორ გარიყა, გააგალგალა და ისევ მარტოობა აგრძნობინა. ისევ ჩაჰკიდა მზერა ცარიელ სივრცეში და შეჭირხლულ, დახუხლულ ხეებს შეაშტერდა.

ყურძნის წვენით პირის ჩასველებამ გაახსენა სახლი და, ახლა, ნოემბრის მოთენთილი მზით ოდნავ შემთბარი ბიცი, ღადარა მთა-გორები, მის ქალაქს რომ შემოთარჯოდა; შემოდგომის კაპრაშა ბუჩქები, ქუჩების უნებური მდუმარება და სიმყუდროვე; გაახსენდა ხაფხაფა მაჭრის ენაზე პწკენა და კახური ჩურჩხელის სინოყივრე. უცებ, თავისი ეზოც მოენატრა, განათესავებულებივით მეზობლები, პატარა ბიჭების ყიჟილხივილი; მოენატრა როსტომიც და თვით ალმასხან წეროძეც, თავისი გამაღიზიანებლად დიდებული იერითა და ზანტი საუბრის კილოთი. „არა, მეტისმეტად იჭვიანი და გულღრძო ბრძანებულხარ, ჩემო ლარბი. და არა მარტო იჭვიანი, მეტისმეტად კუდაბზიკაცა და ამპარტავანიც. თვითონ გაურბოდი ყველას, თვითონ ცდილობდი განცალკევებოდი. განა ვინმე აპირებდა შენს დამცირებას?

არავინ, სრულიად არავინ! ჰე, ჰე, ახლა კი მიხვდი, მაგრამ მაშინ...“ ფიქრებში გართულს და ადგილზე გახევებულს, ყინვა მიეძალა, დასუსხა და შეაჟრჟოლა. ლარბიმ ხელები გაიქნ-გამოიქნია; მხრები შეათამაშა, ცდილობდა შეხურებულიყო და თან ფიქრს განაგრძობდა: „უმაღლესში რომ ჩაგებარებინა, ყველაფერი სხვაგვარად აეწყობოდა. შენ კი არ ჩააბარე. მერედა რატომ? იმიტომ რომ ბატონ ალმასხანს ცხელ გულზე წამოცდა, შენხელა რომ ვიყავი, თავს თვითონ ვირჩენდიო... შეგეშვა ერთ ყურში და მეორეში გამოგეშვა! შენ კი გაიბერე, გასივდი სიბრაზისგან და იმასაც ცდილობდი, სახლში აღარ გესადილა. გამოცდებისთვის მზადების მაგიერ იმაზე დაიწყე ფიქრი, როდის და სად გავიპაროო. ჰმ, ახლა, ეზოს ბიჭები დიპლომით ჯიბეში დახუნცრუკობენ. ის ბიჭები, შენზე ტუტუცები და უნიათოები რომ იყვნენ...

აბა, აბა, ისევ ნუ გაიბლინძე! ვინც ამ ქვეყნად ტუტუცია, ყველას ხომ ვერ აჯობებ და გაუსწორდები. ამ ხნის მანძილზე რამდენი ტუტუცი ნახე, ხომ ვერ გაუსწორდი? ხომ ითმენდი? იქ რატომ ვერ მოითმინე? ახლა ისინი ბატონკაცურად დასეირნობენ, არხეინად ცხოვრობენ, შენ კი იყინები, წვალობ. მერედა, ვისი ბრალია? შენი, ჩემო ლარბი, მხოლოდ და მხოლოდ შენი! ახლაც, ახლაც რა არ განებებს შინ დაბრუნებას? განა გვიანია, თავიდან დაიწყო ყველაფერი?! ვითომ არ მიგიღებს სახლი? არა, სახლს რა უფლება აქვს, არ მიგიღოს. ადამიანები მიდიან, დაყიალობენ, ეძებენ, — სახლი კი დგას, ერთსა და იმავ ადგილზე დგას და ვალდებულია, დაბრუნებული მიიღოს. მაგრამ შენ ხომ არ დაბრუნდები! შენ ხომ მაინც არ წახვალ, რადგან ვერ დასძლევ საკუთარ სიჯიუტეს. აი, თითქოს ყოველივე აწონ-დაწონე, ყველაფერს თითქოს მიხვდი, და მაინც არ წახვალ. რატომ? იმიტომ რომ იგივე ხარ, ზუსტად იგივე, როგორიც იყავი. უწინდებურად არ ეგუები იმას, რაც არის და როგორც არის. საკუთარ თავსაც ვერ ეგუები, ჰო, გამოტყდი, ხომ ვერ ეგუები?!“

ლარბის ხელახლა შეაჟრჟოლა სიცივისგან, ხელახლა შეხტა ადგილზე. სხეული შეიხურა და დანადგარს მიუახლოვდა. მზრუნველი თვალი გადაავლო ძრავას, უკვე ასოცი მეტრის სიღრმეზე ჩასული მბურღავი ღერძის ტრიალს დააკვირდა და ის იყო, აპირებდა კვლავ თავის აბნეულ ფიქრებს აჰყოლოდა, რომ საბურღ ჩარხში რაღაც ახრიალდა, ატკაცუნდა, აწივლდა და, მეორე წამს, მბურღავმა, ღერძმა ტრიალი შესწყვიტა.

ლარბიმ ძრავა გამორთო. დანადგარში ხრიალ-წივილი შეწყდა და გარშემო მაშინვე ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. ჯიხურში ახლახან შესული სტეპკო და დანილა გამოცვივდნენ და ლარბის შორიდან გასძახეს, რა მოხდაო. ლარბი კი უკვე ხუფს ჰხდიდა დანადგარს, ძრავას სინჯავდა და თავისთვის იგინებოდა. მერე, იმ სიჩუმეზე ბარაკებიდან სხვებიც გამოცვივდნენ, დანადგარს შემოეხვივნენ და როცა თითოეული ნაწილი ათასგზის შეამოწმეს, როცა სათითაოდ დახსნეს ჰანჭიკები და ჩარჩო გააშიშვლეს, მიაკვლიეს, რომ მოძრავი კბილანები გაცვეთილიყო. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც და უფროსმა ოსტატმა, ინჟინერმა იგნატ დრობინინმა ბიჭები თავისთან მიიწვია მოსათათბირებლად.

იგნატ დრობინინი ხვდებოდა, რომ რისი თქმაც უნდოდა ბიჭებისთვის, მათ ისედაც წინასწარ იცოდნენ. ამიტომაც ფართო ოთახის ერთი კუთხიდან მეორისკენ მოუსვენრად აბანდალდა, ნერვიულად შუბლს ისრესდა და თითებს აჭკანტუნებდა. მერე, ანაზდეულად შეჩერდა კედლის თაროსთან, არყით სავსე ლიტრიანი გადმოიღო, მაგიდაზე დადგა და მაინც თქვა:

— ცუდი საქმე დაგვემართა, ბიჭებო.

ბოთლს ძალით აგლიჯა საცობი, ჭი-

ქები შეავსო და ხარბად გადაკრა არაყი.

— არ გეგონოთ, ვინმეს ვადანაშაულებდე. აბა, ვისი ბრალია?! რა თქმა უნდა, არავისი. იმ კბილებგაცვეთილი, დახრონგილი მანქანის გარდა, რა თქმა უნდა, არავისი. ეჰ, თუმცა, იმასაც. რაღას ვერჩით, რამდენი წელია, თახთახებს და იმხელა ღერძებს ატრიალებს.

ბიჭები უწინდებურად გაბუცებულები ისხდნენ. გარეთ, ყინვაში დიდი ხნის ტრიალის შემდეგ ოთახის სითბომ ისინი გააბრუა და განაბა. იგნატ დრობინინი კი ბრაზობდა. იგი მეტისმეტად გააბრაზა ამ მოულოდნელმა, გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ, რომელიც აფერხებდა როგორც საკუთარ, ასევე სამუშაო გეგმებსაც, და რადგან არ იცოდა, ვის თავზე გადაეტეხა სიბრაზე, რადგან აშკარად ხედავდა, რომ ამ შემთხვევაში არავის ედო ბრალი, თავს უხერხულად გრძნობდა, დაბორგავდა და თვალამოკიყვით გახედავდა მაგიდასთან მიმსხდარ ბიჭებს. იგნატ დრობინინს ისიც აბრაზებდა, რომ ყოველი მათგანის სახეზე რაღაც გულუბრყვილო ნაღვლიან უდარდელობას ამჩნევდა. მათ სახეებზე აღბეჭდილი ეს გულუბრყვილო უდარდელობა არ ანებებდა, რომ ჯერ კიდევ გარეთ, გაცვეთილი კბილანების დანახვისას თავში მოსული აზრი პირდაპირ ეთქვა ან, უბრალოდ, რომელიმე მათგანისთვის დაევალებინა დანაკლისის გამოსწორება. „ამ რეგვენებს არაფერი არ აწუხებთ, სრულიად არაფერი!“ უგლიმად გაიფიქრა და ხელმეორედ შეავსო ჭიქები.

— თავისი ხელების გარდა, ყველაფერი უმტყუნებს მუშა კაცს. მანქანაც, ამინდიც, მიწაც, და ყველაფერი, ყველაფერი თავის ნებაზეა, აი, ამ ხელების გარდა.

იგნატ დრობინინს ახლა მათი მდუმარებაც აღიზიანებდა. „ფუ, არაფერი ენაღვლება ამ ყეყეჩებს!“ ხელმეორედ შეიგინა იგნატ დრობინინმა და, უცებ, კუთხეში განცალკევებით მდგარ ლარბის ჰკიდა მზერა. ლარბი ცალი მხარით კედელს მიყრდნობოდა, იყურებოდა სარკმელში და თითებით უაზროდ ატრიალებდა ახალხან გამოცლილ ჭიქას. იგნატ დრობინინმა ვეღარ მოითმინა და გლისპად წამოიძახა:

— ბოლოს და ბოლოს, ამ მიყრუებულ ადგილას ხომ იმისთვის წამოვეხეტეთ, რომ ცოტა უფრო გრძელი მანეთიანისთვის ჩაგვევლო კუდში ხელი. ამას წინათ, სამი დღე, საბურღი ღერძის შეკეთებას მოვუნდით. ახლა კიდევ, ეს კბილანები! ჩვენი მანეთიანი კი მოკლდება და მოკლდება! ფუი, ეშმაკმა წაიღოს ამ კბილანების ძვალიც და ტყავიც!

— ეშმაკს კბილანები კი არა, ჩვენი ჯანი და მანეთიანის კუდი სჭირდება, იგნატ პროხოროვიჩ, — ღინცილით ჩაურთო სტეპკომ და თვალწარბი დააბლატუნა.

— იმას იქნებ ბევრი რამეც სჭირდება, მაგრამ მე რაც მჭირდება, თქვენ რაც გჭირდებათ, ეს კარგად ვიცი! — იგნატ დრობინინი წამით დადუმდა, თითოეულს თვალებში ჩაჰხედა და დამარცვლით წარმოთქვა, — ორი კბილანა! მხოლოდ ორი კბილანა! მეტი არაფერი.

იგნატ დრობინინმა, როგორც იქნა, მიაღწია საწადელს. მაგიდასთან შემომსხდარი ბიჭები აჩოჩქოლდნენ. მისმა ჟინიანმა სიტყვებმა, ქცევამ და ზედიზედ გადაკრულმა არაყმა გული და ტვინი შეუხურა გაგულგრილებულებს.

— მოვიტანთ, იგნატ პროხორიჩ, ორი კბილანა რა არის, რომ საქმე გავიჭიროთ! — წამოიყვირა დანილამ.

სხვებმაც კვერი დაუკრეს.

მაგრამ ამ დროს, ჩერჩეტა სტეპკომ უწინდებური ხუმრობით წამოისროლა:

— გულიანი ბიჭები ხართ, გულიანი! დაბამდე ოცდაათი კილომეტრია. სახუმარო საქმეა, ოცდაათი კილომეტრი...

— სახუმარო ახლა არაფერი გვჭირს, — შეეპასუხენ ბიჭები.

მაგრამ სტეპკომ ერთხელაც წამოიყვილასავით:

— ქარბუქი? რა, დაგავიწყდათ, გულიანებო, რომ არ დღეებში სინოპტი-

კოსები ქარბუქს ელიან?! აკი ასე არა სთქვეს, ამ ორ-სამ დღეში ქარბუქს ელოდეთო?

— სტეპკო მართალს ამბობს, — ჩაურთო იგნატ დრობინინმა და ხელის აწევით შეაჩერა აყაყანებული ბიჭები, — სინოპტიკოსებმა მართლაც გამოაცხადეს ამ დღეებში ქარბუქი. ეს სწორია და, უნდა მივიღოთ კიდეც მხედველობაში.

მაგრამ დანილა, რომელიც სხვებზე მეტად შეახურა არაყმა და მანეთის დამოკლების საშიშროებამ, აღარ სცხრებოდა. ის გაშმაგებით წამოიჭრა და სტეპკოს ზიზღნარევად გადაჰხედა:

— სტეპკო, ეხ, სტეპკო, მაგათ აბა რა იციან?! ქარბუქს ზეგისთვის რომ აცხადებენ, ერთი კვირის თავზეც არ ახდება ხოლმე. ზოგჯერ კი განზეც ჩაიელის. რა, განა ასე არ მომხდარა?

დანილას ისევ ერთხმად შეეხმიანენ ბიჭები და დრობინინმაც დროულად ჩასძახა:

— სწორედ ეს მაფიქრებს, ბიჭებო. დანილასი არ იყოს, სინოპტიკოსებს ხანდახან ჩემი მტერი ენდოს. სულ იმათ რომ დაუჯეროს კაცმა, ნახევარი ცხოვრება შინ გამოიკეტება და დათვივით თითს დაუწყებს ლოღნას.

მან სასწრაფოდ ჩამოიღო თაროდან მეორე ბოთლი და ჭიქები შეავსო.

— ყველაფერი, ყველაფერი მაფიქრებს, ბიჭებო. ეს ქარბუქიც, ეს კბილანებიც... ისიც მაფიქრებს, ქარბუქი ამ დღეების მაგიერ, მართლა ერთი კვირის შემდეგ რომ გამოგვეცხადოს. მერე, შენ გეტყვი, მალე დაცხრება თუ რა? გააგრძელებს ზუზუნს რამდენიმე დღეს. ხოდა, დრო უქმად დაგვეკარგება.

— სისულელეა, სინოპტიკოსებს არაფერი დაეჯერება, — არ ცხრებოდა დანილა.

— მანეთიც დაგვიმოკლდება.

— მარტო მანეთი? შინ დაბრუნებაც დაგვიგვიანდება...

ოთახში ისეთი ალიაქოთი შეიქმნა, რომ გარკვევით აღარაფერი ისმოდა და დრობინინმა მთელი ძალით დაიყვირა:

— სიჩუმე! მშვიდად მოვილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ ეს საქმე. აბა, რას იტყვით, როგორ მოვიქცეთ? ყველამ სათითაოდ გამოსთქვას აზრი, ყველამ სათითაოდ და გულწრფელად.

წამით დუმილი ჩამოწვა. იგნატ პროხორიჩი დაჟინებით მისჩერებოდა ისევ მაგიდასთან მიმსხდარ ბიჭებს და უკვე წინასწარ იცოდა, რასაც ისინი იტყოდნენ. მაგრამ ყველაზე უწინ, მოულოდნელად, ისევ სტეპკომ ჩაილინცლა:

— არა, რა უნდა ვთქვათ სათითაოდ? ან რა აზრი აქვს სათითაოდ ლაპარაკს? მაღლიდან ხომ უკეთ ჩანს ყველაფერი?

— როგორღაც ნიშნისმოგებით დასძინა სტეპკომ და ბეუტად აჰხედა უფროს ოსტატს.

— ეეე, შენ ოღონდ გაოხუნჯოს კაცმა და, მეტი არაფერი არ გადარდებს!

— როგორ არ მადარდებს, იგნატ პროხორიჩ! ძალიანაც მადარდებს! ხოდა, ერთის მხრივ, კაცი რომ დაუკვირდეს, ამ საქმეში არავითარი რისკი არ არის; მეორეს მხრივ კი... ხოდა, თვითონ გადასწყვიტეთ, ვინ წავიდეს იმ საჯანდაბო კბილანების მოსატანად. განა ამათ სახეებზე ვერა კითხულობთ, რა გულიანი ბიჭებია?! მაგათ ქარბუქიც ვერას დააკლებს, ფხი...

— ხმა გაიკმინდე, სტეპკო, სანამ ეგ მყრალი სალეჭელი შეგრჩენია! — დაუღრიალა დანილამ და მერე, ისევ იგნატ დრობინინს მიუბრუნდა, — მართლაც იგნატ პროხოროვიჩ, აქ ლაყაფით საქმეს არაფერი შეემატება. ყველა იმ აზრზე დავდექით, რომ ჯობია დროზე მოვიტანოთ კბილანები. ხოდა, თვითონ თქვით, ვინ წავიდეს? — წამით შეჩერდა. მერე ყოყმანით დასძინა, — გინდათ, მე წავალ. გინდათ, ვინმე სხვა. სულ ერთია... ჯობია, ისევ თქვენ დაასახელოთ.

იგნატ დრობინინმა იმ ხნის მანძილზე პირველად ამოიღო სიგარეტი ჯიბიდან, მოუკიდა და ხარბად შეისუნთქა თუთუნის კვამლი. რაღაც უსიამოვნო შე-

გრძნება დაებადა და ისევ უხერხულად იგრძნო თავი. „დავასახელო? რავარია, ავიღო და დავასახელო, ვინ წავიდეს!“ ამაზე კი აღარ ჩაფიქრებულა იგნატ პროხოროვიჩი და მან ფარულად, ცერად გახედა ბიჭებს: აი, თვითონ დანილა, გულღია, მხიარული დანილა. ოცდაათ კილომეტრს საღამომდე თავისუფლად გაივლის და გულიც არ აუჩქარდება .მაგრამ... არა, მაგის გარმონს ვინღა გასწელავს ისე მოხდენილად. იქნებ, სერიოგა? არა, სერიოგა არა. სერიოგა ყველაზე ნაზი და სათნო ყმაწვილია. სტეპკო? ეჰ, სტეპკო, რა თქმა უნდა, ვერ ივარგებს. არყისაგან გაბიყვინებული აქვს გული და შუაგზაზე გაუსკდება. მაშინ, იქნებ, პავლიკა წავიდეს? არც ჯანი აკლია და, აქაური გზებიც კარგად იცის. ჰო, პავლიკა ყველაზე ნაღდია... ოღონდ, სამი შვილის პატრონია მაინც. მაინც სარისკო საქმეა და... ან იქნებ ჯობდეს, მართლა დაველოდოთ ქარბუქის გადავლას? — ამ ფიქრზე გულმა წაუყიბარჩა პროხოროვიჩს, ოდნავ შეშფოთდა კიდეც და ხელახლა შეათვალიერა ბიჭები, რომელთაც არყისა და მღელვარებისაგან სახეები დაწითლებოდათ და თვალები უჟუჟუნებდათ. მერე, ანაზდეულად, შემთხვევით, მისი მზერა კედელთან განცალკავებულად მდგარ ლარბის მიეჯაჭვა.

იგნატ დრობინინი შეცბა. ლარბი როგორღაც მომლოდინედ მისჩერებოდა მას და ბინდბუნდიდან თითქოს უღიმოდა კიდეც. მერე, სანამ იგნატ პროხოროვიჩი უკვე ყელში მოწოლილ სიტყვას ბურთივით ამოაგდებდა, სანამ გაიაზრებდა იმას, რაც გულმა უცბად უკარნახა, ლარბი გასწორდა, მაგიდას მიუახლოვდა, ჭიქა ზანტად დასდო და როგორღაც ხელჩაქნეულად, თან მტკიცედ, ყრუდ ამოსთქვა:

— კბილანების მოსატანად მე უნდა წავიდე. წესით, მე უნდა წავიდე. მანქანა ხომ ჩემი მორიგეობის დროს გაფუჭდა.

„წესით, მართლაც მაგ უნდა წავიდეს,“ გაიფიქრა იგნატ დრობინინმა და ჭიქაში ჩარჩენილი არაყი მოწრუპა.

## თავი III

მეორე დღეს, ალიონზე, ლარბი მარტოკა გამოვიდა ბარაკიდან. უჩუმრად მიხურა კარი, საიდანაც სითბო ოხშივარივით შეეფრქვია გაყინულ ჰაერს, როგორც ორთქლმავლის მილიდან ბოლქვად ამოგდებული კვამლი. მელნისფერ ფოშფოშა ნისლთან ერთად, გარშემო, დაგუდული სიჩუმე ჩამოღვენთილიყო, და მის ფეხქვეშ თოვლის კრაჭუნი შორიდან მოღწეულ ექოსავით ისმოდა.

ოთხიოდე საათი თუ ეძინა ლარბის. იგნატ დრობინინის ოთახიდან წამოსულები სტეპკოსთან შეიყარნენ და გვიანობამდე ლაშლაშობდნენ და არაყს სვამდნენ. მაგრამ ლარბი ახლა მაინც ფხიზლად ირჯებოდა. ყოველი მისი მოძრაობა დაძაბული და გამოზომილი იყო ისევე, როგორც გუშინდელი დროსტარება, — შეურვებული, თავისთავში გამომწყვდეული და ნისლში ლანდადქცეული მდუმარე საგნებივით განცალკევებული. მართალია, გაცილებით ერჩია იმ საგნებივით გაშეშებულიც და უზრუნველიც ყოფილიყო, რადგან ეზარებოდა ყინვაში ფორთხიალი და დაბაში გამგზავრებაც. ოცდაათ კილომეტრიანი სავალდებულო მგზავრობის წარმოდგენაც კი გუნებას უმღვრევდა; ოღონდ, ფხიზელი შეურვეობა იმ ფარულ უგუნებობასაც სძლევდა. და არა მარტო ფხიზელი შეურვება. ლარბი იმასაც გრძნობდა, რომ თითქოს რაღაცის თუ ვიღაცის ჯიბრზე მოქმედებდა ასე გაჯიქებულად. და არა მარტო დღეს, არამედ გუშინ ღამითაც, როდესაც შეორჭოფებულ დრობინინს გამომწვევად აეტუზა და წასვლა შესთავაზა.

რაღაც ნაღველნარევმა შეგრძნებამ შეიპყრო ლარბი და სიცივისაგან ტანში გააჟრჟოლა. წამით, ბჟუტად გახედა ფიტულივით აყინჩულ მბურღავ დანადგარს. რიჟრაჟდებოდა, ზანტად იცრი-

ცებოდა ნისლი და სივრცეში გამოკვეთილი დანადგარის გაფშეკილ ფეხებთან, მან თვალი ჰკიდა უდიერად მიგდებულ კბილანებს.

„არა, ჩაის დალევა აღარ ღირს“, ჩაიჩურჩულა ლარბიმ, ბარაკში შებრუნდა, წყლით სავსე მათარა და ქაღალდში გახვეული ღორის ქონიანი პური გამოიტანა, ზურგჩანთაში ჩასდო. თხილამურები დაიმაგრა ჩექმებზე, ზურგჩანთა მხარზე მოიგდო. ერთხელაც შეავლო მზერა ბრტყლად განლაგებულ ბარაკებს , რომლებიც ჯერ კიდევ სთვლემდნენ და მერე უცებ, ძლიერი ბიძგით დაიძრა, — თითქოს ძალით მოსწყდა ადგილს და გაყინულ მშრალ თოვლზე გასრიალდა.

ერთ ხანს სწრაფად მისრიალებდა. როდესაც შეხურდა, თანდათან სიჩქარეს უკლო და უკვე გამოზომილად ამოძრავებდა ხელ-ფეხს. ოცდაათი კილომეტრი ხუმრობა საქმე არაა, ღონე გამოიზოგე, — თავისთვის ჩაილაპარაკ და კუნთები მოადუნა, სხეული შეიმსუბუქასავით. უწინდელი მყარი ქაშანთოვლს დაეფარა და გზისთვისაც ფხიზლად უნდა ედევნებინა თვალყური. არა, აქაურ ადგილებს კი კარგად იცნობდა, მაგრამ მაინც... ასეთ დროს ფხიზლად უნდა ყოფილიყო. „რა არ შეიძლება მოხდეს? ზოგიერთს სახლის გზ ეშლება და, ამ ტრიალ მიწაზე ხომ გზაც ტრიალია.“

მცირე დაღმართის დასაწყისში ლარბი შედგა და უკან მიიხედა. ბარაკები ასანთის კოლოფებს დამსგავსებოდა და ბრტყელი სახურავებიდან უკვე ძაფივით იკლაკნებოდა მოლურჯო კვამლი. „იფ, ახლა ღუმელს უსხედან და ჩაის წრუპავენ. თან, ალბათ, ჩემზე მასლაათობენ, ასე უჩუმრად როგორ გაგვეპარაო... კარგი კია ახლა ცხელი ჩაი,...“ ლარბიმ ბრაზიანად დაჰკრა ჯოხები, ნაბიჯიც მიაშველა და დაღმართზე დასრიალდა. „აი, სულ ასე რომ ყოფილიყო დაბამდე, რა აჯობებდა. მაგრამ, საუბედუროდ, ყველა დაღმართს აღმართი მოჰყვება და ყველა აღმართს — დაღმართი. ჰე, რა უფრო მეტია, აღმართი თუ დაღმართიო, ერთხელ — რომ გვკითხა მასწავლებელმა — ვატარებს. ზოგმა აღმართი თქვა, ზოგმა დაღმართი... მასწავლებელს კი არაფერი უთქვამს. თვითონ მიხვდებითო. ბოლოს მართლაც თვითონ მივხვდი, რომ ორივეს არსებობა გაწონასწორებულია... მაგრამ ახლა იმასაც ვხვდები, რომ წონასწორობა მხოლოდ მთლიანობაშია დაცული. ცალკეულად კი, ზოგ ადგილს მეტი აღმართი მოსდის, ზოგს მეტი დაღმართი... სწორედ ისევე, როგორც ადამიანების მიმართ. ზოგს მეტი გასაჭირი ზოგს ნაკლები, — მთლიანობაში კი საოცარი წონასწორობა იქნება დაცული“.

ამ ფიქრში გართულმა ჩაათავა დაღმართი. იქ ბილიკი მკვეთრად ჩაიზნიქ და მერე ამაღლდა. ლარბი ჯოხებს დაეყრდნო და ფრთხილი ნაბიჯით აუყვ შეღმართს. „აი, ახლა, ცოტა იმათზე მეტს თუ გავწვალდები, სამაგიეროდ მეტადაც ვისიამოვნებ დაბაში. კბილანებს ჩანთაში რომ ჩავყრი, ხელებს ჯიბეებში ჩავიწყობ და ნაცნობი გოგონებისკენ გავწევ. დავიჯერო, ერთსაც არ მოვენატრებოდი ამ სამ თვეში? რა თქმა უნდა, მოვენატრებოდი! ხოდა, გამოვიტან ფულს სალაროდან და მთელ ღამეს გემოზე მოვულხენ.“ ამის გახსენებაზე ლარბი გახალისდა და თითქმის ერთი ამოსუნთქვით აათავა აღმართი. დაბამდე უკვე სულ სწორი გზა იწყებოდა, ლარივით პირდაპირი და სწორი.

აღმართის სწრაფმა ავლამ ოდნავ დაუმძიმა სუნთქვა და ხელახლა შედგა. უკან მიიხედა, მაგრამ სივრცეში აღარც ბარაკები ჩანდა და არც საბურღი დანადგარი. სივრცეში საერთოდ აღარაფერი ჩანდა მიწის ტალღისებრი თოვლიანი ზედაპირისა და გზიდან მოშორებით ფარჩხატად მდგარი ხეების გარდა. ლარბიმ თვალი მოავლო გადათეთრებულ გარემოს, რაღაც გამოუცნობი სიმშვიდის თეთრ მდუმარებაში გაშეშებულ ნივთებს, თოვლით დახუნძლულ, ზოგან შეჭირხლულ ტოტებს და უცებ მოეჩ-

ვენა, თითქოს ყველაფერი ეს დახატული იყო, იმდენად ხელუხლები ჩანდა ბილიკის შემოგარენი. თითქოს ვიღაცას უზარმაზარი ნახატები ცამდის აეყუდებინა და თვითონ კი გამქრალიყო. ამ უეცარმა შეგრძნებამ ლარბის თავისი თავიც წარმოასახვებინა იმავე ტილოებზე აღბეჭდილი, მოძრაობაში გაშეშებული საკუთარი თავი, ისევე გაშეშებული, როგორც ამ უქარო ამინდში ეს შეჭირხლული ტოტები, — ოღონდ, შეჭირხლული ტოტებისაგან განსხვავებით ერთადერთი, გამოცალკევებული, გამოყოფილი თავისი ფერითაც და მდგომარეობითაც, ერთადერთი და თითქოს გადაკარგული.

ამ შეგრძნებამ გულში ფარული შიში თუ შეშფოთება ჩაუსახა და მან როგორღაც უმისამართოდ ჩაიცინა. „არა, ქარბუუქი მაინც სად ბრძანდება?“ ხმამაღლა ჩაილაპარაკა და ისევ ჩაიცინა, თუმცა ახლა უკვე ეხამუშა ეს ნაძალადევი ჩაცინება.

კიდევ ხუთიოდე კილომეტრის გავლისას, ლარბიმ მკერდთან და მუცელთან ტკივილი იგრძნო, სუნთქვაც გაუჭირდა. მაგრამ მაინც არ შეჩერებულა. მხოლოდ ნაბიჯი შეანელა. იცოდა, მცირე ხანში ეს ტკივილი გაუქრებოდა და უფრო თავისუფლადაც ისუნთქებდა. ამ გაფიქრებამ ლარბის ბაკურიანი გაახსენა. სკოლაში სწავლის დროს, ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანში ასული ბიჭები სათხილამურო სპორტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ, ათკილომეტრიანი დისტანციის გადარბენისას, აი, ასევე შეეკრა სუნთქვა და ფილტვები ასტკივდა. მაგრამ ლარბის უფრო მთიდან სწრაფდაშვება უყვარდა. ეს უკვე სულ სხვა რამ იყო. დაძაბული, ერთ ძარღვადქცეული, დაგეშილივით რომ ეშვები და ცივი ჰაერი სამართებელივით რომ გისერავს სხეულს; როდესაც სუნთქვა გეკვრება არა დაღლილობისაგან, არამედ თავბრუდამხვევი ქროლვის მოლოდინის, სიამოვნებისა და ზოგჯერ შეკავებული ფარული შიშისგანაც. ხანდახან კი, თოვლი საკმაო რომ არ იყო, ოთახში თავმოყრილი ბიჭები მალულად ყიპიტაურს სვამდნენ, ცდილობდნენ კაცებივით რიხიანად ესაუბრათ და რაც შეიძლება მეტი პაპიროსი მოეწიათ.

ლარბის ახლა შავ ზღვაზე გატარებული დღეებიც ახსენდებოდა, როდესაც ამხანაგებთან ერთად ცხელ სილაში ნებივრობდა და კოხტა, მოქნილ ტანიან გოგონებს მათთან ერთად მსუნაგ მზერას აყოლებდა. მერედა, რამდენი კოხტა გოგონა ჩაუვლიდათ თვალწინ, რამდენი მზე იყო, რამდენი სიცილი და ოხუნჯობა. ჰო, ბევრი, ძალიან ბევრი.. მაგრამ მაინც, იმ სიცილის და ოხუნჯობის დროსაც, საიდან გაუჩნდებოდა ხოლმე რაღაც უხიაგი შეგრძნება, — ის სიბრაზის მსგავსი უხიაგი შეგრძნება, რომელიც წამიერად სულს შეუხუთავდა და შორ-შორ გარიყავდა. საიდან და რატომ გაუჩნდებოდა ხოლმე იმგვარი შეგრძნება, თითქოს იმ საერთო მხიარულებაშიც არც ერთს არავისთვის არ ცხელოდა და ყველა გარიყული და განცალკევებული რჩებოდა თავისი მომღიმარი ნიღბითა და ფარული ზრახვებით. რატომ არ შეეძლო, ვინმე გოგონას რომ მიაჩერდებოდა, დაენახა მხოლოდ ის, რასაც ხედავდა და არ დაეწყო რაღაც მიჩქმალულის, დაფარულის გამოძიება, რათა წინასწარ აკვიატებული იჭვისათვის დასტური გამოეძებნა და სიფრიფანა მოქნილ არსებებში თუნდაც უსაბუთოდ აღმოეჩინა რაღაც გახევებული, უმოძრაო და უთნო...

ლარბი ანაზდეულად შეჩერდა, ჯოხები თოვლში ჩაასო და მხრებიდან ზურგჩანთა ჩამოიხსნა. მათარა ამოიღო ხარბად მოსვა წყალი და ღრმად ამოისუნთქა. მწყურვალე მზერა გადაავლო მიდამოს და უცებ მტკივნეულად იგრძნო თოვლის სილამაზე... დიდებული სიზუსტის იერი გადაჰკრავდა ყველაფერს, — სიზუსტის, მარტივი სილამაზისა და სიმშვიდის იერი. სიამოვნებით წამოწვებოდა აი აქვე, თოვლში, და თვალებგახელილი გაიტრუნებოდა. ლარბიმ ზურგჩანთა ისევ მოიგდო მხარზე, მაგ-

რამ კიდევ დიდხანს იდგა გაუნძრევლად და ჯოხებზე დაყრდნობილი თოვლიან მდუმარე თეთრ სივრცეში იყურებოდა. ასე იდგა მანამ, სანამ სუსტმა ნიავმა არ გამოაფხიზლა და ოდნავ არ შეეყონა მისი სქელი ჯუბის ქვეშ. ლარბი გასწორდა და საათს დაჰხედა. ჯერ მხოლოდ ორი საათი სრულდებოდა. მერე თავისთვის გამოიანგარიშა, ოციოდე კილომეტრს გავივლიდიო და ისევ წინ გაიხედა, სადაც თოვლში ვიწროდ, ფერმკრთალად იკლაკნებოდა გამკვრივებული ქაშანის კვალი.

სამ საათში დაბაში ვიქნები, — გაიფიქრა ლარბიმ და უკვე აპირებდა ადგილიდან დაძრულიყო, რომ ნიავმა ხელმეორედ ჩამოიქროლა და უფრო ცივად შეეყონა ტანსაცმელში.

— ეს ნიავი რაღა ბედენაა.

მან იქით გაიხედა, საიდანაც ნიავი ქროდა. არა, ჰაერი ყველგან კრიალა და გამჭვირვალე იყო. ცაც სუფთა ჩანდა. მაგრამ ლარბის მზერა უცებ მიეჯაჭვა სამხრეთისაკენ ცის კიდურს, სადაც პაწაწინა ლაქასავით მოლანდა მუქი ღრუბელი. ის შავი ლაქა სრულიად უადგილო და მოულოდნელი აღმოჩნდა გადაფითრებულ ცაზე.

„ასე გამოდის, პატივცემული სინოპტიკოსები მაინც და მაინც დღეს არ შემცდარან“, — ჩაიჩურჩულა ლარბიმ და გული უნებურად შეუჩქროლდა. „თუმცა, იქნებ უკეთესიც იყოს, და დაბაში ერთი დღის მაგიერ მთელ კვირას გავატარებ. ჰე, აი ეს კი კარგი იქნება. ოღონდ, დროზე ჩავიდე“. მან ჯოხები მოიმარჯვა და მთელი სისწრაფით გასრიალდა თოვლზე.

...ახლა უკვე აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. ან კი რა უნდა მოეფიქრებინა? ყველაფერი ისედაც ცხადი იყო, იმდენად ცხადი, რომ თავის მოტყუებაც არ ღირდა. შავი ლაქა სრულიადაც არ ჰგავდა თვითმფრინავს. პირიქით, თითქოს უტიფრულადაც ააშკარავებდა თავის ნამდვილ სახებას, თანდათან იზრდებოდა და შორიდანვე აფრთხილებდა, როგორც უპირატესობაში თვითდარწმუნებული ყოველი მტერი. ნიავიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა და როდესაც ლარბის სუნთქვა გაუხშირდა სწრაფი სირბილისაგან, ბრაზიანად კბილებში გამოსცრა: „ნუთუ ვერ გავუსწრებ?“ ცერად, გამომცდელად გაჰხედა ღრუბელს, რომელსაც მართალია ჯერ კიდევ ძალიან შორს, მაგრამ სამხრეთის ცის თითქმის ნახევარი უკვე დაეპყრო. „უნდა გავასწრო, აუცილებლად უნდა გავასწრო!“ ბრაზიანად ხმამაღლა წამოიძახა და სასოწარკვეთილად, გაშმაგებით გაიწია. „უნდა გავასწრო, უნდა გავასწრო!“ მისრიალებდა, დროდადრო წამოისროდა ამ სიტყვებს და გულში თავის დაღწევის სურვილის გარდა აღარაფერს გრძნობდა. გული უკვე ყელში ებჯინებოდა, სუნთქვა ეკვროდა და ნაბიჯიც ერეოდა „არა, ასე არ შეიძლება. უფრო მშვიდად, უფრო მშვიდად უნდა ირჯებოდე... ...ძალა არ გეყოფა“, შეაგონებდა ხოლმე თავის თავს, მაგრამ მის არსებაში უნებურად დაბუდებული შიში და მღელვარება მაინც თავგანწირვით მიაქანებდა. შიში და კიდევ მოლოდინი, იმის მოლოდინი, რომ მალე აუცილებლად მოახლოვდება რაღაც, რაღაც თავბრუდამხვევი და სულისშემხუთავი, რასაც დროულად თუ ვერ გაექცეოდა, ველარასდროს ვეღარ დააღწევდა თავს და ისე დაატრიალებდა, როგორც ქარისაგან ახიაწებული თოვლი. ჰო, თუ დროულად ვერ გაექცეოდა ან სადმე თავშესაფარს ვერ გამონახავდა. მაგრამ აქ სად უნდა მიეკვლია თავშესაფარისთვის. თოვლით გალიპული მიწა ბრტყლად გაშოტილიყო და უმოწყალოდ შიშველი ჩანდა მისი ზედაპირი. ფარჩხატი ხევნარიც უკვე კარგა მანძილით ჩამოეტოვებინა და, უკან, ქარისგან ატეხილ მქრქალ ბუერში, თვალმისაწვდომი სივრცე რუხ ფარდად გადაქცეულიყო. ლარბი შეუჩერებლად მისრიალებდა ქაშანზე და იყურებოდა წინ, იქით, სადაც ჯერ კიდევ გადათეთრებული სიმშვიდით გამოცალკევებულიყო სივრცის

მონაკვეთი. ისე მიიწევდა, თითქოს სურდა მზერას გადევნებოდა; მაგრამ სამაგისო ღონე აღარ ყოფნიდა და სიშმაგესთან ერთად სასოწარკვეთა იპყრობდა. სასოწარკვეთას უმძაფრებდა ის ფარული შიში უცხო შემოტევისა, უეცარი თავდასხმის, რომელსაც ელოდა და რომელსაც, იცოდა, ვერ გაუძლებდა. რაღაც დამამცირებელიც კი ეჩვენებოდა ახლა ამ გაქცევაში. ამ მოშიშარ თავის დაღწევაში. ლარბის უცებ შეჯავრდა ყველა და ყველაფერი, რამაც აიძულა აქ ყოფნა, შეჯავრდა საკუთარი თავიც, ასე უმწეოდ ქცეული, და უხმოდ, უმისამართოდ უთვლიდა წყევლაკრულვას მოახლოებულ ქარბუქს, თავის ბედს, გაცვეთილ კბილანებს...

მერე, ისევე მოულოდნელად, როგორც სამხრეთის ცისკიდურზე აკრული ღრუბლის ლაქა, წინ, თეთრად გამოცალკევებულ სივრცის ნაგლეჯში, მან წამიერად მოლანდა დაბის საზღვარი, სიხარულმა თავშეუკავებელ მღელვარე ნაკადად დაუარა ძარღვებში და ყვირილი კვნესასავით აღმოხდა. მეორე წამს კი, თითქოს მთელს სხეულზე სილა გააწნესო, ყინულიანმა ქარმა ვეება ფრინველის ფრთასავით გაუტყლაშუნა და განზე შეაბაზმურა. ძლივს შეიმაგრა თავი, გასწორდა და ისევ წინ წაიწია. მაგრამ პირველ ძლიერ ნაკადს ქარისა მეორ ემოჰყვა, როგორც შეუწყვეტელი ბიძგი, შეუსვენებელი მოწოლა. ლარბიმ სახეზე ხელი აიფარა და გაიხედა იქით, საიდანაც ქარის ნაკადი ეხლებოდა. ცაზე შავად განრთხმული ღრუბელი მიწაზე ჩამოზნექილიყო. ქარი თოვლს ახიაწებდა და ტრიალ-ტრიალით მოაგორებდა ყინულის მტვერისაგან შექმნილ უზარმაზარ დაღვარჭნილ ბორბლებს.

ლარბიმ ისევ დაბისკენ გაიხედა, მაგრამ იქ, სადაც დაბა ეგულებოდა, იქაც აღარაფერი ჩანდა რუხი კორიანტელის გარდა. ერთადერთი სივრცის თეთრი ნაგლეჯიც შთაენთქა მბრუნავ ბუერს და გარშემო საერთოდ აღარაფერი ჩანდა. ქარი ახლა სახეშიც აყრიდა თოვლს და ლარბის გაახსენდა, რომ სათვალის წამოღება დავიწყებოდა. ამ წვრილმან უმნიშვნელო გახსენებაზე, უნებურად გაეღიმა და თვითონაც იგრძნო, რა მწარედ გაეღიმა. ზედ ყურთან თითქოს ვიღაცამ მჭახედ დაიძახა — მორჩა! ამ მჭახე ძახილმა ლარბი გამოაფხიზლა და დაძაბა. მაშინვე გასწორდა, ღონე მოიკრიბა. უცებ შემოენთო შებრძოლების შმაგი სურვილი და იმ ძახილის საპასუხოდ კბილებში გამოსცრა: — ვნახოთ, ჯერ ვნახოთ! მთავარია, გეზს არ ავცდე.

ქაშანის კვალი სულ გამქრალიყო, ქარს ადგილ-ადგილ ხან ხიაწი, ხანაც ნამქერი შეექმნა და ლარბიმ გაიაზრა, ქარმა თავდაპირველად მარცხნიდან დაჰბერაო. მაშასადამე, ისე უნდა ევარა რომ სულ მარცხნიდან ექროლა ქარს. და მან ფრთხილად წინწინ გაიწია. აი ასე, ფრთხილად, გამოზომილი ნაბიჯებით უნდა მიახლოებოდა დაბას. ბოლოს და ბოლოს, ალბათ ხუთ კილომეტრზე მეტი აღარ დარჩებოდა გასავლელი. ჰოდა, მთავარი იყო, გეზი არ შეშლოდა, წონასწორობა შეეკავებინა და გაეძლო. ეგებ, მცირე ხნით მაინც დაცხრებოდა ქარი და მაშინ ეშველებოდა კიდეც. მიუხედავად იმისა რომ იცოდა, ეს შეუძლებელი რამ იყო, მაინც ჰქონდა ქარის შესუსტების იმედი და წინ მიიწევდა. ზურგჩანთა, რომელიც ახლა მოძრაობაში ხელს უშლიდა განზე ისროლა, შმაგად ჩაბღაუჭებოდა ჯოხებს და მთელი ტანით წინ გადაზნექილი ძლივს მიბობღავდა.

თვითონაც აღარ იცოდა, რამდენ ხან მიდიოდა ასე ბორძიკ-ბორძიკით და მერე, როგორღაც უცებ იგრძნო დაღლილობა. როგორღაც უეცრად შეიგრძნო, რომ სხეულის ყოველი ნაკვეთიდან ღონე გამოსცლოდა და ოდნავ თავბრუც დაეხვა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, წაფორხილდა, მუხლზე დაეცა და ჯოხებს ჩამოებღაუჭა. უეცარ გამოფიტვასთან ერთად, გამომშრალ ყიაში წვეტიანი ძვალივით გაეჩხირა ბოღმიანი მწარე სიბრაზე. უბრალოდ

ღონე აღარ ჰქონდა, ყვირილით ამოაგდო, თუ რა უნდოდა მისგან ამ ქარბუქს; ან თვითონ რატომ მოხვდა ამ ქარბუქში; ან, საერთოდ, რისთვის აიჩემა დაბაში წასვლა; ან ყველაფერი ეს რისთვის ხდებოდა, რისთვის ტრიალებდა, რისთვის ბორგავდა და ბარბაცებდა. ან თვითონ, ახლა, ამ წუთში, ამ წამს რისთვის წვალობდა! განა რა მნიშვნელობა ჰქონდა ხანმოკლე, თუნდაც ხანგრძლივ გაჯიქებას?! რომ გადარჩენილიყო? რომ შეენარჩუნებინა? თოვლი? ცა? მიწა? ან იქნებ საკუთარი სხეული, რომელიც აგრე სუსტი აღმოჩნდა, აგრე უმტყუნა და დაუძლურდა სწორედ მაშინ, როდესაც დაუშრეტელი ძალით უნდა აღვსილიყო? არა, ახლა ყოველივე ეს მისთვის უეცრად სულერთი გახდა. ყოველივე ამან მის გონებაში უნებურად დაჰკარგა აზრიც და მნიშვნელობაც. ასე ჩამუხლული და ჯოხებს ჩამობღაუჭებული, იგი თითქოს დამშვიდდა კიდეც. მოულოდნელად საოცარი სიმშვიდე იგრძნო, საოცარი გულგრილობა იმის მიმართ, რაც გარშემო ხდებოდა ან რაც საბოლოოდ უნდა მომხდარიყო. ქარბუქი მას თითქოს აღარ ეხებოდა, თითქოს თავისთვის ბრუნავდა და ზუოდა.

ლარბიმ წამოიწია, გასწორდა და უჩვეულო გულბრიყველობით, თითქოს ცნობისმოყვარეობითაც ჩაიხედა ირგვლივ გამძვინვარებულ კორიანტელში. თოვლის მტვერისაგან დაგრეხილმა, ჰაერში მბრუნავმა უზარმაზარმა ბორბლებმა, გავეშებულმა ზუილმა ყინულიანი ქარისა, რომელმაც უკვე თავიდან ფეხებამდე გათოშა და თითქოს განუძარცვაო სხეული, ბრუნვის სისწრაფემ და სიღრმის უსასრულობამ, წამით მოაჯადოვა ლარბი. ირგვლივ ამტყდარ ქროლვაში, სწრაფ ძრაობაში, მან უეცრად რაღაც დიადი, უძრავი და უძლეველი განჭვრიტა. „ყველაფერი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სულერთია. უაზრობაა... თვითონ იგონებ, ყველაფერს თვითონ იგონებ. საკუთარ ცხოვრებსაც... და მერე, სულელური სიჯიუტით მისდევ და გსურს, აღასრულო. სხვებისთვის კი, ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მეტიც, სხვებმა არაფერიც არ იციან ამის შესახებ. შენ კი ემორჩილები, ჯიუტად მისდევ და შენივე გამოგონილი გზით გაირიყები მაშინ, როდესაც სულაც არ გჭირდება და არც გინდა გარიყული და მარტოკა დარჩე. შენ თვითონ მიიწევ სიცივისაკენ, — რაც გეჯავრება. რაც გზარავს, რაც გაშინებს, — და მერე, უკვე სიცივეში მყოფი, სითბოს ნატრულობ. ან არაფერს. სრულიად არაფერს...“

ლარბის უცებ აუმჩატდა სხეული და მოუნდა გაერბინა. უბრალოდ, გაერბინა ისევე, თითქოს მწვანე კორდზე ყოფილიყო. ანაზდეულად ჯოხებს ხელი უშვა და მსუბუქად გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი. მაგრამ უკნიდან შემოხლილმა ქარმა შეატორტმანა, აიტაცა, დაატრიალა და, მერე, მოცელილი ნაძვივით თოვლში დაანარცხა. მიწაზე განრთხმულს უწინდელი სიმშვიდის გრძნობა უფრო თბილად ჩაეღვარა ძარღვებში. სიმშვიდესთან ერთად მან შვებაც იგრძნო. თვალები მილულა, ხელები თავისთავად გაეშალა განზე და დაინახა, რომ ირგვლივ ცარიელი იყო ყველაფერი — მშვიდი, უქარო და ცარიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მიქავა

# ჟამი დიდებისა

## ნოველა

მარტში რუსის ჯარი პარიზში შევიდა.

ნაცრისფერ ნისლში გახვეულ ვეებერთელა ქალაქში სიცოცხლე თითქოს ჩამკვდარიყო. არმიელთა კოლონებმა უხმოდ გაიარეს სენტ-ანტუანის სანაპიროს უკაცრიელი ქუჩები და ცენტრისაკენ გაემართნენ. ჭრაჭუნით მიდიოდნენ ოთხთვალები, გუგუნებდნენ ქვემეხები და ბრძანების სიტყვებს ნესტიან ჰაერში ახშობდნენ.

მაგრამ ქალაქმა თანდათანობით იწყო გამოცოცხლება. ფრანგული ლაპარაკი მხოლოდ აქა-იქა გაისმოდა. ბიჭუნები, ღარიბთა უბნების ეს ცნობისმოყვარე გავროშები და მისი უშიშარი ბინადარნი ქუჩებს მოედვნენ. ვეტერანები, ბოროდინო და ბერეზინა, ვილნო და ლაიპციგი რომ გაიარეს, ჰალარა ულვაშებში უნდილად იღიმებოდნენ.

რუსეთის არმიის ოფიცერთა რიგებში იმყოფებოდა ოცდაექვსი წლის ქართველი პოეტი, ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე — მაღალ-მაღალი, გამხდარი, თავმომწონე, მის ფერმკრთალ სახეს, თხელ ტუჩებსა და მაღალ, გახსნილ შუბლს (თმა უკან ქონდა გადავარცხნილი) თითქოს ამპარტავნობის იერი გადაჰკრავდა, მაგრამ ლამაზი, ოდნავ მოჭუტული თვალები იმდენ სითბოსა და შინაგან ძალას ამჟღავნებდნენ, რომ პირველი შთაბეჭდილება უმალ ქრებოდა. — ოდნავ კოჭლობდა. ჭრილობა, რომელიც ოდესღაც სამშობლოში მიეღო, ჯერაც არ შეხორცებოდა მთლიანად, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს ხარბად დასწაფებოდა ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ფრანგული მან მშობლიურ ენაზე ნაკლებად როდი იცოდა და ამიტომ თავისუფლად გრძნობდა თავს.

ადრეული გაზაფხული ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა პარიზის ქუჩებში: ფრანგები თავს იკავებდნენ, ამჯერად არ ლაღობდნენ მათთვის დამახასიათებელი მხიარული მახვილსიტყვაობით — ამაყად და უხმოდ იტანდნენ დამარცხების მთელ სიმძიმეს.

ნაპოლეონი ჯერ კიდევ არ ურიგდებოდა დამარცხებას. თავის გენერლებთან და ერთგული არმიის ნაწილებთან ერთად ფონტენლებლოში იდგა. იმ დროის მაკიაველი — ტალეირანი დახელოვნებულ ოსტატთა სიმარჯვით ამზადებდა სენატს იმპერატორის ხელისუფლების ამოფხვრისათვის. ჰაერში ტყუილად როდი ტრიალებდა ნუშის და ტყვია-წამლის სუნი.

ახალგაზრდა პოეტმა ყველაფერი დაივიწყა ამქვეყნად და ნოტრდამში ცისკრის ლოცვაზე გაემართა, სადაც მოწიწებით უსმენდა ბახის მუსიკას; მას ადრე არასოდეს განეცადა სიამოვნების ასეთი იშვიათი ღვთაებრივი გრძნობა. მოეჩვენა, რომ ეს ციური, მომჯადოებელი ბგერები მას უკვდავებასთან წილდებულს ხდიდნენ, არაამქვეყნიურ ძალას მატებდნენ; ეს ბგერები შლიდნენ ყოფისა და უსასრულობის შორის არსებულ ზღვარს. სადღაც შორს იკარგებოდა ყოველდღიურობის წვრილმანები, ყველა ამქვეყნიური საზრუნავი.

ამ ტაძარში, რომელიც ხუროთმოძღვრული ხელოვნების უკვდავ ქმნილებას წარმოადგენდა, ყველაფერი ერთ მიზანს დამორჩილებოდა. ეს მიზანი იყო ადამიანის დაახლოება წარმოსახვით შექმნილ ღვთაებასთან. ტაძრის ცადაბჯენილი გუმბათები და თვით ქვებიც თითქოს ამღერებულიყვნენ ორღანთან ერთად. „შემთხვევითი როდი ყოფილა, რომ კათოლიკურ

ეკლესიას ასე დიდი გავლენა აქვს თავის მრევლზე“, — გაიფიქრა ალექსანდრემ.

საღამოს კი სპექტაკლი ნახა პარიზის უძველეს თეატრში — „კომედი ფრანსეზში“, თამაშობდა დიდებული ტალმა. დღეს მაინც განსაკუთრებული იყო საფრანგეთის სცენის ღვთაება.

ახალგაზრდა ოფიცერი, პოეტის მეგობარი, შირხანოვი კარგად იცნობდა პარიზულ ცხოვრებას და ჩურჩულით უყვებოდა ალექსანდრეს ანეკდოტებს სახელგანთქმული ტრაღიკოსის ცხოვრებიდან.

— ერთხელ ტალმამ სთხოვა ნაპოლეონს, გამოეთქვა აზრი მისი თამაშის შესახებ. იმპერატორი დიდხანს დუმდა. შემდეგ კი აი, რა უთხრა მას: „ტალმა, გამოიარეთ ხოლმე ჩემთან სასახლეში დილაობით. თქვენ იქ იხილავთ პრინცესებს, რომელთაც დაუკარგავთ გულის სატრფო, ხელმწიფეებს, რომელთაც უკვე აღარ გააჩნიათ სახელმწიფოები, ყოფილ მეფეებს, რომელთაც ომმა მაღალი ღირსება დააკარგვინა. გამოჩენილ გენერლებს, რომლებიც იმედოვნებენ გვირგვინის მიღებას ან ითხოვენ მას. ჩემს ირგვლივ თავმოყრილია მოტყუებული პატივმოყვარეობა, მწვავე მეტოქეობა, კატასტროფაა ჩემს ირგვლივ, ნაღველი, გულის სიღრმეში ჩამალული მწუხარება, რომელიც თავს იჩენს დრო და-დრო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ტრაგედიაა; ჩემი სასახლე ტრაგედიითაა სავსე და თვითონ მე ჩვენი დროის ყველაზე ტრაგიკული პიროვნება ვარ. და მერე რა, განა ჩვენ ვიმტვრევთ ხელებს და ვწევთ მათ მაღლა? განა საკუთარ ჟესტებს ვსწავლობთ, პოზებს ვღებულობთ? რასაკვირველია, არა! ჩვენ ვლაპარაკობთ ისევე ბუნებრივად, როგორც ყოველი ადამიანი, რომელსაც რამე მისწრაფება ან ინტერესები ალაპარაკებს, ასევე იქცეოდნენ ის პირებიც, რომელთაც ჩემამდე ეკავათ მსოფლიო სცენა და ასევე თამაშობდნენ ტრაგედიას ტახტის ირგვლივ. აი მაგალითები, რომლებზედაც საჭიროა დაფიქრდეს ადამიანი“.

— პასუხი სწორედ რომ ნაპოლეონის საკადრისია... — შენიშნა ალექსანდრემ.

აქ ყველაფერი განსაცვიფრებელი იყო ამ ზღაპრულ ქალაქში, — ქალაქში, სადაც შუბის წვერზე წამოეგო და თავი მოიკლა თავად კონდეს მეტრდოტელმა, როცა დარწმუნდა, რომ მეფის სუფრისათვის შეკვეთილი თევზი იგვიანებდა; ქალაქში სადაც საფრანგეთის რევოლუციის მრისხანე დღეებში ხალხი ასამართლებდა და სჯიდა მეფეებსა და პრინცებს. აქ შეხვდებოდით ფრანგებს, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და ფრანგებს, რომლებიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ თავიანთი იმპერატორისათვის.

მართლაც რომ გასაოცარ წინააღმდეგობათა ქალაქი იყო პარიზი. ჭავჭავაძე მთელი დღეობით დაეხეტებოდა ქუჩებში. შედიოდა პოეტების კაფეებში, ფერწერის მუზეუმებში. დიდხანს იდგა პუსენის სურათის, „დავითის ტახტზე ასვლა“-ს წინაშე, უსმენდა ბერლიოზსა და როსინის, უყურებდა სახელგანთქმული რაშელის თამაშს, აღტაცებაში მოჰყავდა ის ლუვრისა და ვერსალის ხელოვნებას.

ვერსალი!... აქ ხომ მისი თანამემამულე, სულხან-საბა ორბელიანი ეწვია „მეფეთა მზეს“ და დახმარება სთხოვა თავისი სამშობლოსათვის!

ალექსანდრეს მოსწონდა სენის უჩვეულო ნაპირები, ზოგჯერ საათობით იდგა სანაპიროზე, ღამე კი თარგმნიდა ლაფონტენს. კორნელს, რასინს და... ვოლტერს, ამ კეთილ ცინიკოსს.

პოეტს ხშირად ეჩვენებოდა, რომ თითქოს ისინი სტუმრად იყვნენ ძველ, განათლებულ მეგობართან, რომელთანაც ჯდომა საუბარი და ერთი ფინჯანი მაგარი ყავის დალევა ჭეშმარიტი სიამოვნების მომგვრელი იყო. მისთვის პარიზში ყოფნას ამჟამად ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პეტერბურგში ცხოვრებას და ჩრდილოეთის სატახტო ქალაქის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან მეგობრობას.

ისტორია კი თავის გზით მიდიოდა, ახალ-ახალი ამბები ერთმანეთს ცვლიდნენ. ექვს აპრილს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა გადადგომის აქტს.

ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ გაივლიდნენ წლები და პოეტის თანამედროვე კ. ა. ბოროზდინი, რომელიც ამ დროს თბილისში ცხოვრობდა, დაწერდა: „ალექსანდრე ჭავჭავაძის მთავარი დამსახურება იმაშია, რომ მან თავისი სახლი ქართველი საზოგადოებრიობისა და კავკასიაში მომუშავე განათლებულ რუსებს შორის დამაკავშირებელ რგოლად აქცია... თავადი ალექსანდრე დიდ ღონისძიებას ახმარდა მამის მიერ დაწყებულ საქმეს. განსვენებულმა, საქართველო პოლიტიკურად დაუკავშირა რუსეთს, მისმა შვილმა კი თავისი განათლებითა და იშვიათი ხასიათის წყალობით დააახლოვა ერთმანეთთან ქართველები და რუსები.

ყოველი რუსი, რომელიც გამოგზავნილი იყო ამ შორეულ ქვეყანაში ჭავჭავაძის ოჯახში მშობლიური ჰაერით სუნთქავდა. ყოველი ქართველი თავისუფლად მიდიოდა მასთან; აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველები და რუსები და იქვე ინერგებოდა მათში ერთმანეთის სიყვარული და ურთიერთგაგება“.

ხოლო კავკასიის მთავარსარდალი თავის საიდუმლო პატაკში კი პეტერბურგს ასე აცნობებდა: „თავადი ჭავჭავაძე განსწავლულია პაჟთა კორპუსში, შემდეგ მსახურობდა ჩვენთან, სადაც მიიღო და შეითვისა ევროპული განათლება და იყო რა აწ გარდაცვლილი გრიბოედოვის

სიმამრი, შესაძლებლობა ჰქონდა შეეთვისებინა თავისუფალი აზრები.“

***

...ტაძრის წინ მდებარე პატარა მოედანი დილიდან ხალხით იყო გაჭედილი. გრძლად ჩამწკრივებულიყვნენ ეკიპაჟები.

არ გასულა ნახევარი საათიც და ქუჩაში კარეტა გაჩერდა, საიდანაც გადმოვიდა იმპერატრიცა ეკატერინე მეორე.

ეკლესიაში უკვე მოემზადებინათ ემბაზი, თავად გარსევან ჭავჭავაძეს, ერეკლე მეორეს სრულუფლებიან მინისტრს რუსეთის მეფის კარზე ნათლობის მოლოდინში ხელში ეჭირა ჯანსაღი, შიშველი ბიჭუნა.

ბიჭუნას, რომელიც 1786 წელს დაიბადა პეტერბურგში, ალექსანდრე დაარქვეს. ნათლიად კი იმპერატრიცა ეკატერინე II იყო.

ჩვილის მონათვლა იმ განსაკუთრებული ყურადღების ნიშანი იყო, რომელსაც იჩენდა იმპერატორი საქართველოს მინისტრისადმი მისი განსაკუთრებულ დამსახურებისათვის: 1783 წელს თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ გეორგიევსკში ხელი მოაწერა ეგრეთწოდებულ ტრაქტატს მეგობრობაზე, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის პროტექტორატი მიიღო.

იმ დროის მემატიანეებმა, რუსეთთან საქართველოს შეერთების საწინააღმდეგო განწყობილება დავით ბაგრატიონმა და მისმა ძმებმა 1811 წელს ასე ჩაწერეს თავიანთ მატიანეში: „აპრილის თვის მეხუთე დღეს პეტერბურგში გარდაიცვალა გარსევან ჭავჭავაძე მეფის მოღალატე და სამშობლოს ერთგული.“ ასე გამოხატეს მათ თავიანთი გაბოროტება, თუმცა გარსევანი ტრაქტატს რომ ხელს აწერდა, მოქმედებდა მეფე ერეკლეს სურვილითა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ასეთი შეხედულება შავ ჩრდილად დააწვა პოეტის ცხოვრებას, თუმცა ის გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობის საქმე გააკეთეს მისმა წინაპრებმა და მეფემ. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრი ეროვნულ საკითხზე შორსმხედველობითა და სიღრმით განირჩეოდა. დიდად განათლებულს, რუსეთის, საფრანგეთისა და ირანის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილ პოეტს, რომელიც კარგად იცნობდა გერმანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას, მშვენივრად ესმოდა, რომ საქართველოს ჰირდება ახალი, პროგრესული კულტურა, ფართო განათლება და ამისათვის ის ყველაფერს აკეთებდა ქართველი და რუსი მოწინავე საზოგადოების დასაახლოებლად, მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ეს მეგობრობა, მხოლოდ ეს ერთობა თუ გაიყვანდა მის სამშობლოს ფართო შარაგზაზე.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს უყვარდა რუსეთი და ოდნავადაც არ ფარავდა ამას. მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო რუსებისათვის, განსაკუთრებით იმ თავისუფალ მოაზროვნეთათვის, რომლებიც „ველურ კავკასიაში“ იყვნენ გადასახლებული.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგობრობა გრიბოედოვთან, პუშკინის, კიუხელბეკერის, ოდოევსკისა და ლერმონტოვის გულწრფელი მიღება.

პოეტს ეპიკურელს უწოდებდნენ, ვარდისა და ბულბულის მომღერალს... მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე დახასიათებაა ადამიანისა, რომლის ცხოვრება და შემოქმედება, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომელიც აერთიანებდა ძველ პოეტურ კულტურასა და ახალ მიმართულებას პოეზიაში.

***

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცამეტ წლამდე პეტერბურგში ცხოვრობდა. ადრეული ბავშვობიდან შეათვისა მას დედამ მშობლიური ენა, ხოლო მოგვიანებით ასწავლიდა ბიძა გიორგი ავალიანი, რომელმაც ჩაუნერგა მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული.

1799 წელს ჭავჭავაძეების ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ, ცამეტი წლის ყმაწვილი სამყაროს ღრმად და მწვავედ აღიქვამდა, მაგრამ ფილოსოფიური განზოგადობისათვის ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა იყო, თუმცა უკვე შეეძლო ფაქტების გაანალიზება და ამიტომაც თანამემამულეთა ცივ, თითქმის მტრულ დამოკიდებულებას მამისადმი გულისტკივილითა და მწუხარებით განიცდიდა. დროდადრო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და თავს მოვალედ გრძნობდა „გამოესყიდა დანაშაული“, რომელსაც ბრალად სდებდნენ გარსევანს.

1804 წელს 18 წლის ჭაბუკი პოეტი მიემხრო მთიულების აჯანყებას, რომელსაც სათავეში უფლისწული ფარნაოზი ედგა. აჯანყების მონაწილეებს ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა სურდათ. საინტერესოდ მოგვითხრობს, ამის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი:

„აჯანყების მონაწილეთა შორის იყო ახალგაზრდა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მამამისმა, ირაკლი მეფის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირმა საქართველო რუსეთს გადასცა, ხოლო მისმა ჭაბუკმა ვაჟმა სისხლი დაღვარა, რათა ისევ დაეპყრო საკუთარი სამშობლო“, რომ გავიგოთ თუ რა მძიმე პირობებში ყალიბდებოდა მომავალი პოეტის მსოფლმხედველობა, ამისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის წინააღმდეგობები, რომელთაც ადგილი ჰქონდა მის შემოქმედებაში.

ახალგაზრდა მეამბოხეს შეუნდეს აჯანყებაში

მონაწილეობა და პაჟთა კორპუსში გაგზავნეს. აქ მან მიიღო ბრწყინვალე განათლება, უფრო ღრმად შეისწავლა ფრანგული, გერმანული და სპარსული ენები. ბევრი რამ ხელახლა გაიაზრა, ბევრი რამ უფრო ფხიზლად შეაფასა და დარწმუნდა, რომ ბევრ რამეში ცდებოდა. შეიგნო, რომ სხვა გზით უნდა დახმარებოდა სამშობლოს.

1809 წელს ჭავჭავაძემ დაამთავრა პაჟთა კორპუსი, საერთო განათლებით, აღზრდით, ენების ცოდნით ის დიდად გამოირჩეოდა ბევრი თანატოლისაგან.

ჩრდილოეთის ქალაქში გატარებულ წლებს ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია, ეს წლები დაეხმარენ მას ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. სწორედ რუსეთში, თავის მეორე სამშობლოში, დაუახლოვდა ის მოწინავე რუსულ კულტურას. საკმარისია ითქვას, ალ. ჭავჭავაძემ ერთერთმა პირველთაგანმა თარგმნა პუშკინის ლექსები და ეს იმ დროს, როცა დიდი პოეტის სახელს მაღალ საზოგადოებაში სიფრთხილით ახსენებდნენ. პუშკინის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველ პოეტებზე.

1811 წელს ალ. ჭავჭავაძე მარკიზ პაულუჩის ადიუტანტია; 1812 წ. ის მონაწილეობას ღებულობს კახეთის აჯანყების ჩაქრობაში, სადაც მძიმედ იქნა დაჭრილი. გამოჯანმრთელების შემდეგ, იმავე 1812 წელს მას ვხედავთ ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტად. ორი წლის შემდეგ კი მოკავშირეთა კოალიციურ არმიასთან ერთად შედის პარიზში.

ახალგაზრდა ქართველი არისტოკრატი ამ დროისათვის უკვე სავსებით იზიარებს თავისი დროის განმათავისუფლებელ იდეებს, რომელთა რევოლუციური მისწრაფებები ასე ღრმად შეიჭრა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პარიზში მყოფ მოწინავე, რუს ოფიცერთა რიგებში. კოალიციურმა საკითხებმა, რომლებიც პოეტს აღელვებდნენ, თავი იჩინეს მის შემოქმედებაშიაც.

***

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნეს კახეთში მდგომი ნიჟნინოვგოროდის ცხენოსანი პოლკის მეთაურად. მისი სახლი თბილისში ბრწყინვალე სალონად იქცა, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები — რუსები და ქართველები; მწერლები, ფილოსოფოსები, არტისტები, ბედნიერნი და უბედურნი, თავისუფლად მოაზროვნენი და ლტოლვილნი.

აქ კითხულობდნენ თავის ნაწარმოებებს გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. აქვე უზიარებდა მსმენელებს ახალ საინტერესო აზრებს ახალგაზრდა ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი.

აქ იკრიბებოდნენ გრიბოედოვი, პუშკინი, კიუხელბეკერი, დენის დავიდოვი, ლერმონტოვი, ბოროზდინი, მხატვარი გაგარინი და ბევრი სხვა, რომელთათვისაც მუდამ ღია იყო ამ სტუმართმოყვარე სახლის კარები. ადვილი შესაძლებელია, რომ პირველად აქ წაიკითხეს და ოჯახურ წრეში დადგეს კიდეც „ვაი ჭკუისაგან“, აქ მღეროდნენ გლინკას რომანსებს, ასრულებდნენ მის ვალსებს. ამ ოჯახში პირველად გაისმა ქართულ ენაზე ბაირონის მღელვარე სტრიქონები და იჟღერა „ტყის მეფის“ იდუმალებით მოცულმა მერანმა. აქვე ორიგინალში არაერთხელ ჟღერდა ომარ ხაიმის, ჰაფიზისა და საადის პოეზია.

ყველას იზიდავდა ეს სახლი, მისი პატრონი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, პოეტის ქალიშვილები: ჭკვიანი, ქალური მომხიბვლელობით აღვსილი ნინო და ამაყი, მზეთუნახავი ეკატერინე ჭავჭავაძე — სამეგრელოს მომავალი დედოფალი.

ამ წლებში გაიფურჩქნა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური ნიჭი. იგი, უცილოდ, პირველი წარმომადგენელი იყო ახალი, რომანტიული მიმართულებისა პოეზიაში. ა. ჭავჭავაძე გახდა რომანტიზმის ფუძემდებელი საქართველოში.

მის შემოქმედებაში შეიძლება მოიძებნოს ირანული პოეზიის კვალიც. მხოლოდ კვალი არსებითად მისი შემოქმედებისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტური კულტურის სინთეზს წარმოადგენდა. ის თაყვანს სცემდა ეპიკურეს, მაგრამ არასოდეს არ მისდევდა მის დევიზს — „იცხოვრე შეუმჩნევლად“. პირიქით, მღელვარე ცხოვრებას ეძებდა, ეძიებდა ბრძოლას, გამარჯვებას. ალექსანდრე ერთერთი ფუძემდებელია პატრიოტული ლირიკისა, რომელმაც ფართო განვითარება ჰპოვა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

...პოეტის სატრფო საქართველოა. ა. ჭავჭავაძე ცენზურული მოსაზრების გამო არ ლაპარაკობს ამაზე პირდაპირ, მაგრამ ყოველ მკითხველს მშვენივრად ესმის, თუ ვინ ჰყავს პოეტს მხედველობაში.

ალ. ჭავჭავაძის „სატრფო“ — ეს მისი სამშობლოა.

აღსანიშნავია, რომ სამშობლო სატრფოს სახით გახდა სიმბოლო ქართული პოეზიისათვის უფრო გვიანაც: ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის პოეზიისათვის.

ალ. ჭავჭავაძე ღრმა ჰუმანური პოეტია. მისი შემოქმედების ტრადიციული თემაა: ცხოვრება, სიყვარული, სიკვდილი, ამქვეყნიური მისწრაფებები, რომელთაც პოეტი კეთილის ბოროტზე გამარჯვების თვალსაზრისით გადაწყვეტს. ამ

ქვეყნიური ცხოვრება მისთვის დიდ ღირებულებასა და სიხარულს წარმოადგენს, მაშინაც კი როცა მისი გზა საკმაოდ მძიმეა:

შენი გულისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი თუმცა ოდეს გვეძლევის,
განა ცუდია, თუ მაშინ სიბნელეც არსით ერევის!

ადამიანს უნდა გააჩნდეს ყოველივე: ახალგაზრდობა, მეგობრობა, სიყვარული.

ალექსანდრეს პოეზია პოეტური დასაბუთებაა ადამიანის უფლებისა, რომ ისარგებლოს ცხოვრების ყველა სიკეთით, ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია „მშვენიერების თავისებური კულტი“. ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: ცხოვრების სიხარული და ადამიანის ურთიერთობანი. სილამაზის უნარი, მისი შემჩნევა ცხოვრების ყველა სფეროში, ამდიდრებს ადამიანის სულს. და ეს უნარი მწვერვალია ადამიანის სიცოცხლეში, იგი თოვლივით უმწიკვლოა და შეუბღალავი.

ქართველ რომანტიკოსებს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში არა ჰქონდათ მტკიცე ხაზი. ერთის მხრივ, მწვავედ განიცდიან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას, მეორის მხრივ, კარგად ესმით რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, კარგად ესმით, რომ რუსული კულტურა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საქართველოზე.

ამ გარემოებამ თავი იჩინა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაშიაც. მის ლექსში „კავკასია“ XIX საუკუნის დასაწყისის ისტორიულმა მოვლენებმა ახალი გაშუქება ჰპოვა. ის ამ ნაწარმოებში გვევლინება ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის მსოფლმხედველობის გამომხატველად. იმ საზოგადოებისა, რომელიც დარწმუნებულია რუსეთთან ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობის ნაყოფიერებაში, რომ რუსეთთან კავშირი საქართველოსთვის პროგრესისაკენ სწრაფვას ნიშნავს:

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომ მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ღრმა, საოცრად მუსიკალური ლირიკა თავისი შინაარსით შორსაა ირანულ პოეზიისაგან და მხოლოდ ლექსის ფორმით თუ წააგავს სპარსული პოეტების ლირიკას. რეალობის შეგრძნება მის შემოქმედებაში უფრო კონკრეტული, მისაწვდომი და ახლობელია.

***

არა, გრიბოედოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შეუძლია სიცოცხლე უთბილისოდ. არაგვის ნაპირების, უძველესი მცხეთის, ამ ქუჩების გარეშე, ასე წარმტაცად რომ მიიკლაკნებიან მაღლა, ამ ლამაზ აივნებიანი მცხუნვარე ქალაქის სამუდამოდ დაშორებით.

ის საქართველოს კოლუმბად თვლიდა თავს, აბა რომელმა რუსმა აღმოაჩინა ეს ზღაპრული სილამაზე, ეს მთებში ჩაძირული სამოთხე, მასზე ადრე?

„საქართველოს ბუნებას ვერ აღწერ, არავითარი სიტყვებით არ შეიძლება მისი სილამაზის გამოხატვაო“! — ხშირად იმეორებდა ის.

არასოდეს არ დაავიწყდება დარიალის ხეობის ნახვით მიღებული პირველი შთაბეჭდილება. გასაოცარია ეს ვიწრო ხვრელი ცადაზიდულ კლდეებს შორის. აქ ძლივს აღწევს დღის სინათლე, ადამიანის თვალი ვერც კი წვდება უფსკრულს. დაუოკებელი მდინარის ხმაური და ტაძარი ყაზბეგის მთაზე. ჯვრის გადასასვლელიდან კაიშაურის ხეობაზე თავქვე დაშვებულ, მიხვეულ-მოხვეული გზა, ანანურის ციხე-სიმაგრე, აბობოქრებული არაგვის სათავეები, რომლის სარკესავით გამჭვირვალე ტალღებში კალმახები მიმალულან.

აქ მართლაც ყველაფერი ადამიანისთვისაა შექმნილი, სიხარულისათვის, ბედნიერებისათვის. ჭაბუკური ინტერესით ეწაფება გრიბოედოვი ამ ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, კულტურას. მან უსაზღვროდ შეიყვარა ეს კუთხე, „სადაც ბნელი ღამეები ზღაპარს წააგავდნენ, ხოლო დღეები სამოთხეს“. განსაკუთრებით უყვარდა აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი, სადაც ცხოვრობდა მისი მეგობარი და შემდეგ სიმამრი, ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მართალია, ალექსანდრე მასზე უფროსი იყო ცხრა წლით, მაგრამ ეს მხოლოდ აძლიერებდა მათს მეგობრობას, რადგან, ა. ს პუშკინის სიტყვებით თუ ვიტყვით, გრიბოედოვი „ეპოქის ერთერთი უგანათლებულესი ადამიანი ხშირად ვერ პოულობდა საერთო ენას თავის თანატოლებთან.“

აი, ახლაც იგი მიისწრაფოდა თავის მეგობართან, რათა ესაუბრა პეტერბურგზე, მოსკოვზე, პარიზზე... პარიზი! მას ხომ ძალზე უნდოდა ამ ქალაქში ყოფნა!

1856 წლის ივლისის დღე ძალზე მცხუნვარე იყო. ხალხი ბინდის დადგომას ელოდა, ისხდნენ თავიანთ გრილ დარბაზებში და რიკულებიან აივნებზე, რომლებიც ვაზის ტოტებში იძირებოდნენ, ხოლო ჯერ კიდევ მწვანე, მაგრამ მზედაკრული მტევნები ოქროს შემოდგომის დადგომას წინასწარმეტყველებდნენ.

— ბატონო ჩემო, იყიდეთ ყვავილების მიწა,

კარგი მიწაა! — გრიბოედოვი უცებ გამოფხიზლდა ფიქრებისაგან.

მის წინ კინტო იდგა ყვავილების მიწით დატვირთული ვირით. ეს აშკარა ხუმრობა იყო! რად უნდა გრიბოედოვს ყვავილების მიწა?

— მიწას მერე ვიყიდი, წასვლისას რათა მუდამ თან მახლდეს საქართველო. ჯერ კი ყვავილებს შევიძენ. რამდენისაა? — იკითხა მან და მეწამული ფერის ყვავილებზე მიუთითა.

— ყვავილები რაა, მათ ყველა ყიდულობს. მიწაა რაც არის... ბუზღუნებდა კინტო და დარდიმანდული მოხდენილობით ურჩევდა ყვავილებს.

აი, გრიბოედოვი, უკვე ნაცნობ სახლთანაა. კარი გაუღეს, შვეიცარს შლიაპა და ხელთათმანი გადასცა. დიასახლისს ვარდები მიართვა და მდიდრულად, დიდი გემოვნებით მორთულ დარბაზში შევიდა. აქ ნამდვილად გრილოდა.

— როგორაა საქმე? რა მოხდა იქ?... — შეშფოთებით იკითხა ოჯახის უფროსმა.

— ნურაფერს მკითხავ... — კარგი განწყობილება გაქრა. ჰროლა, ჭკვიან თვალებში ცრემლი აკიაფდა.

თბილისში ახლახან გაიგეს დეკაბრისტების ამბავი და ჭავჭავაძე ძალზე წუხდა.

— მე კი ვიმედოვნებდი... — სუნთქვა ჰირს!

— ვიზიარებ მათს აზრებს, იდეებს, მაგრამ...

— შენ მუდამ სკეპტიკურად იყავი განწყობილი მათი წამოწყების მიმართ.

— გაიგე, საშა, ასი პროპორშჩიკი ვერ შესცვლის სახელმწიფოებრივ წყობილებას... მათ საქმეში ხალხი არ მონაწილეობდა, მათთვის ხალხი თითქოს არც არსებობდა... ხალხის გარეშე კი ასეთი საქმე არ კეთდება...

— შენ როგორა ხარ? ყველაფერი რიგზეა? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— სასწაულია, ჩემი გადარჩენა ძვირფასო, სასწაული, — ჩემს ნათესავს, კავკასიის პროკონსულს, — ასე უწოდებდნენ ისინი გენერალ ერმოლოვს, — რომ არ გავეფრთხილებინე და ზომები არ მიმეღო, ციმბირში მიკრავდენ თავს... მართლა, გახსოვს ოფიცერი იაკუბოვიჩი?

— შენ რომ დუელი გქონდა მასთან? — იკითხა თავადმა. რა თქმა უნდა, მახსოვს — ამ დუელმა ხომ დიდი ხმაური გამოიწვია თბილისში. ხელში დაჭრილი გრიბოედოვი აქ ჩამოიყვანეს, მის სახლში, ავადმყოფს ალექსანდრე და მისი მეუღლე უვლიდნენ.

— სწორედ ის დეკაბრისტი ყოფილა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ პარიზიდან ჩამოტანილი საათის ხმა არღვევდა.

— პეტერბურგში უკვე აღარ მივსდევდი მხიარულ ცხოვრებას მაღალი წრის ახალგაზრდობასთან, ჩემი ახალგაზრდობაც ხომ დიდი ხანია გათავდა. მგონია ღრმა მოხუცი ვარ და სიკვდილის აჩრდილი დამდევს ყოველ ფეხის ნაბიჯზე...

ალექსანდრე ჭავჭავაძე [illegible] ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ თავისი ფიცხი ხასიათის მიუხედავად, მღელვარება მოჩვენებით სიმშვიდეს დაუმორჩილდა.

— რატომ მოვისწრაფი მე აქეთ ასე ძლიერ, რატომ მიყვარს ასე ძლიერ საქართველო? — ჩაფიქრებით თქვა გრიბოედოვმა.

— იმიტომ, რომ შენ აქ უყვარხართ, გელიან.

— მე მიყვარს მრავალწამებული ქართლი და ზენი ქვეყნის მუსიკა, აქ თითქოს იოლად სუნთქავს ადამიანი. მინდა სამუდამოდ აქ გადმოვსახლდე. ნეტავ შემეძლოს გავხსნა სამაზრო და აღმოსავლური ენების სასწავლებელი, კომერციული ბანკი, საჯარო ბიბლიოთეკა, გამოვცე გაზეთი „თბილისის უწყებანი".

— შენი გეგმები თბილისის გარდაქმნის შესახებ?, — ოდნავ ირონიით შენიშნა ჭავჭავაძემ.

— ნუ იცინი იქნება ეგეც...

უცებ კარები გაიღო, ოთახში გოგონა შემოვიდა. გასაოცარი გრაცია, ქალურობა, ყველაფერი მის სინორჩეზე ლაპარაკობდა და მხოლოდ თვალები, დიდრონი, ლამაზი, ჭკვიანი თვალები ამჟღავნებდნენ მასში ასაკზე უფრო განვითარებულ ქალს. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ნინოა, ერთი ციცქნა გოგონა, რომელიც გრიბოედოვს ხელში აუყვანია, ეალერსებოდა, ეთამაშებოდა?! სწორედ ეს ის პატარა ნინო იყო და გრიბოედოვმა უხერხულობის დასაფარავად მამამისს მიმართა ფრანგულად:

— ასეთი მშვენიერი მედეასათვის ჩრდილოეთიდანაც მოვიდოდი ფრენით...

— თქვენ დაგაგვიანდათ, ბატონო ჩემო; ვაი, რომ ჩვენი დროის მედეები უკვე აღარ არიან ოქროს ვერძის მფლობელნი, — უპასუხა ქალიშვილმა ფრანგულადვე.

— იმიტომ, რომ ისინი თვითონ ქცეულან ოქროს ვერძად, — თქვა გრიბოედოვმა უკვე რუსულად და ხელზე აკოცა ქალიშვილს.

ნინომ მსუბუქი რევერანსით უპასუხა. მის მოძრაობაში იმდენი ძალდაუტანებელი გრაცია იყო, რომ გრიბოედოვს თავბრუ დაესხა.

— გასაგრილებელს ხომ არ მიირთმევთ, ალექსანდრე სერგის ძევ? — შესთავაზა ქალიშვილმა, — ლიმონადი ყინულზე...

— მხოლოდ წინანდალისას, — თქვა გრიბოედოვმა ღიმილით.

— ერთი წუთიც არ გასულა, რომ ნინომ დიდი ხონჩით ღვინით სავსე ხელადა შემოიტანა და ორი მაღალი ჭიქა, რომლებზედაც ასო „ე" და გვირგვინი იყო გამოსახული. ჭავჭავაძემ სულმოუთქმელად გამოსცალა, გრიბოედოვი კი ნელა სვამდა, გემოს ატანდა.

— ასე მგონია, თითქოს მზეს ვსვამდე! —

თქვა, ჭიქა ხონჩაზე დადგა და ფორტეპიანოს მიუჯდა .

— ახალი რაიმე ხომ არ ჩამოგიტანიათ? — კითხა ნინომ.

— დაუკარი საკუთარი, რომ დაგვპირდი „იქ, სადაც ალაზანი მიიკლაკნება“, — შეახსენა ჭავჭავაძემ.

—გლინკას ახალი რომანსი ჩამოვიტანე, მე დავამღერე, მან კი ჩაწერა. „ო, ნუ იმღერებ, ლამაზო ჩემთან“...

გრიბოედოვი უკრავდა ისე, როგორც მხოლოდ ავტორს შეეძლო დაეკრა. და უცებ ნინომ დაიწყო სიმღერა ლამაზი, დაბალი ხმით. გეგონებოდათ, დაბადებიდან მღეროდა ამ რომანსს.

შემდეგ დენის დავიდოვი მოვიდა ბოროზდინთან ერთად, გაიხსენეს კიუხელბეკერი, რომელიც სხვებთან ერთად გამოიყვანეს სენატის მოედანზე. ამ ოჯახისა და მთელი საქართველოს დიდ მეგობარს, მასთან უყვარდა „ცოფიანი, მდუღარე თერგი“, „ზღაპრული მტკვრის ნაპირები“ და მისი „ცოცხალი კუნძულები“ (ორთაჭალის ბაღები), „მაღალქვიანი თბილისი“ და ანანურის ციხე... სად არის ახლა ის, საყვარელი კუხლია, მეგობარ ლიცეელებს თავს რომ ერჩიათ?

გრიბოედოვმა თხოვა ჭავჭავაძეს თავისი ახალი ლექსები წაეკითხა. ალექსანდრე ადგა, ხელში ყანწი აიღო და ნახევრადმღერალი ხმით წაიკითხა. გრიბოედოვი კი ნელა უთარგმნიდა ლექსის შინაარსს იქ მყოფ რუს მეგობრებს:

სიყვარულო ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?...
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და პულბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!
სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა.
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

— პოეტი ჭავჭავაძის სადღეგრძელო იყოს, — წარმოსთქვა გრიბოედოვმა, სულმოუთქმელად გამოსცალა ყანწი და დავიდოვს გადაულოცა, — ალავერდი შენთან, დენის, — და მის მიერ ოდესღაც თარგმნილი ჭავჭავაძის ლექსის ორი სტრიქონი წაიკითხა:

„ვისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!“

დავიდოვი და ჭავჭავაძე სუფრასთან დარჩნენ, სვამდნენ, საუბრობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ახალგაზრდა დიასახლისი და გრიბოედოვი კი აივანზე გავიდნენ.

ბინდი ჩამოწვა. მთაწმინდის სილუეტი ადამიანთა ბედნიერების მოდარაჯე ბუმბერაზს წააგავდა. მის კალთაზე თეთრად ჩანდა მონასტერი. ოთახიდან მუსიკის ხმა ისმოდა — ალექსანდრე ჭავჭავაძე უკრავდა დუდუკზე.

გრიბოედოვი მთაწმინდას გასცქეროდა.

— რა კარგი იქნებოდა მთაწმინდაზე, დავითის მონასტერში დასახლება სამუდამოდ, — ოცნებით წარმოთქვა მან.

— ჯერ ძალზე ადრეა ამაზე ფიქრი, პოეტო?! — მოესმა ნინოს ხმა.

ალექსანდრე სერგის ძე გამოფხიზლდა, ქალიშვილს შეხედა.

„ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია!...“ გაიფიქრა მან.

„ვნახე ალაზნის პუნება,
მდინარე გულგასახარი,
ჭალარა-როგორც თქმულება,
როგორც სიმღერა — ახალი“

ასე წერდა ნიკოლოზ ტიხონოვი თავის ლექსში „წინანდალი“. ასოცდაათზე მეტი წლის წინათ ასევე „გადაიარა ალაზანი“ ალექსანდრე გრიბოედოვმა და მთელი გულით შეიყვარა კახეთი. 1826 წელს ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ისევ ჩამოვიდა წინანდალში.

„ რა თვალწარმტაცი ადგილი აურჩევია სამოსახლოდ თავად ჭავჭავაძეს!“. გრიბოედოვის მეგობრის მამული ის ადგილი იყო, სადაც ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა საოცნებოდ ეჩვენებოდა მას.

— ეშმაკებს წაუღიათ სამსახური ო, როგორ მეჯავრება! ჩემი ყველაზე დიდი სურვილი აქ ყოფნაა, შენს გვერდით, ჩემო ძვირფასო... აქ მოასწრო მან „საქართველოს ღამის“ დამთავრება, მეორე ნაწარმოების დაწყება... შეყვარებულები იყვნენ და სეირნობდნენ წინანდლის ბაღში.

ნამდვილი მეოცნებენი.

მას შეუყვარდა ეს ნაზი, სათნო ქალიშვილი და ვერ წარმოედგინა უმისოდ სიცოცხლე. ნინოს გადაუხსნა მან თავისი გული, ყველასათვის დახურული; გაუმხილა აზრები, რომლებიც სხვებს საშიშრად ეჩვენებოდათ. უზიარებდა თავის ოცნებას... და ეს იყო ის გრიბოედოვი, რომელიც არავისთან არ იყო გულახდილი, ეს იმიტომ, რომ — ამ ხუთმეტი წლის გოგონას კარგად ესმოდა მისი.

მწუხრი დაეშვა დედამიწაზე. მთვარე ანათებდა ალაზნის ველსა და ცივ გომბორის მთებს. თითქოს ღმერთს თავისი კალთა დაებერტყა ამ

მხარისათვის, ამ ღვინისა და სიმღერების კუთხისათვის.

ისინი წამოდგნენ სკამიდან, რომელიც ვეებერთელა კაკლის ქვეშ დაედგათ (გადმოცემით კაკლის ხე მონღოლების შემოსევის დროინდელი ყოფილა) და გაემართნენ კვიპაროსების ხეივნებისაკენ. საღამოს სიგრილე იგრძნობოდა. ისინი ბაღის ბოლოს მდგარ სამლოცველოსაკენ წავიდნენ. ეს პატარა ეკლესია განმარტოებით იდგა და რაღაც იდუმალების იერი დაჰკრავდა მას. თითქოს სიჩუმისაკენ მოუხმობდა ადამიანს.

ასულმა თავი მიაყრდნო გრიბოედოვის მკერდს. გრიბოედოვს გაახსენდა, რომ რამდენიმე თვის წინათ მას არ უნდოდა ცხოვრება, შესჩიოდა თავის მეგობარს — სტეპან ბეგიჩევს მოწყენილობასა და ზიზღს გამოხატავდა სიცოცხლის მიმართ, სულის სიცარიელეს უჩიოდა.

— რატომ ხარ მოწყენილი, ჩემო ძვირფასო? ფამუსოვისა და სკალოზუბის შემქმნელი მხიარული უნდა იყოს — შემპარავი ხმით წარმოსთქვა ნინომ.

— მართალია, შეწუხებული ვარ ,მოწყენილი, საშინლად განწყობილი: და მხოლოდ შენ, ჩემო ნორჩო ღვთაებავ, მაწვდი სიცოცხლის ძალას, მიღვიძებ შემოქმედების სურვილს. შენ და წინანდალი... სულ ახლახან ვამბობდი, რომ დროა მოვკვდე! მე თვითონ ვერ ამეხსნა საკუთარი სევდის მიზეზი... არ ვიცოდი, როგორ დამეღწია თავი სიგიჟისა და თვითმკვლელობისათვის, ვგრძნობდი ერთ-ერთი მათგანი არ ამცდებოდა... და აი, ჩემს წინაშე ნათელი სხივი აკიაფდა... და — ეს შენ ხარ, ჩემო ბედნიერებავ!... ახლა მე ისე მწყურია სიცოცხლე, როგორც არასოდეს!...

მან შეამჩნია, რომ ქალის თვალებში ცრემლი აკიაფდა... და გაჩუმდა. ისინი დუმდნენ ერთმანეთს გადახვეულები... დუმდა ეკლესიაც, სიმშვიდისა და სიჩუმის ეს პატარა სავანე.

— შენს გვერდით, — განაგრძობდა ის, — მე ვგრძნობ სხვა შინაგან ცხოვრებას, მაღალზნეობრივსა და დიდებულს, გარე სამყაროსაგან სრულიად დამოუკიდებელს...

შემდეგ ისინი წავიდნენ იმ მხარეს, სადაც ვეებერთელა მარანში ოქროსფერი წინანდლით სავსე ასწლიანი ქვევრები იყო ჩამარხული. ძველმა მეღვინემ მამუკამ, რომელსაც პატარა თექის ქუდი ეხურა, გრძელ ჯოხზე წამოცმული ორშიმოთი ამოიღო ღვინო და მიართვა მათ. გრიბოედოვმა ჯერ ნინოს მიაწოდა, მერე თვითონ იგემა.

მოხუცს დასაყოლებელი მზად ჰქონდა — დარჩეული კაკალი.

— მე წავალ, — ნინომ დატოვა გრიბოედოვი მამასთან, რომელიც ის-ის იყო მოვიდა და მსუბუქი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ.

— როგორც ვხედავ, შენ განწყობილება გაგიუმჯობესდა, მეგობარო — შენიშნა ჭავჭავაძემ.

— სწორი ხარ, საშა... გამიუმჯობესდა... ბედნიერი ვარ. და იცი რატომ? —

— ნინოს გამო... უკვე რამდენიმე დღეა, მინდა გამოგიტყდე...

— არაა საჭირო, — ხელის აწევით შეაჩერა ალექსანდრემ, — მე ყველაფერი მესმის და შენზე ნაკლებ ბედნიერი როდი ვარ. გულახდილად გეუბნები, როგორც მეგობარს...

***

1828 წლის გაზაფხულზე გრიბოედოვმა ახალი დანიშნულება მიიღო — ირანში იგზავნებოდა ელჩად. თავის ახალ სამსახურს ის ირონიით „პოლიტიკურ გადასახლებას“ უწოდებდა. „მე ვემსახურები მეფეს, რათა ბავშვების გამოსაკვები ვიშოვო“, ხუმრობდა იგი.

იმავე წელს, ოქტომბერში წინანდლის პატარა სამლოცველოში გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ნინო ჭავჭავაძეზე.

იმ წელს კახეთში შემოდგომა განსაკუთრებით კარგი იყო. წინანდლის ბაღი შესანიშნავი მხატვრის ტილოს მოგაგონებდათ ფერების ვაკხანალიით შემკულს.

გზა სამლოცველოდან სახლამდე ვარდებით იყო მოფენილი. ნინო და ალექსანდრე გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ მიდიოდნენ, რომლებიც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ჭაბუკებს ეჭირათ ხელთ.

იმ საღამოს წინანდალში შეიკრიბა თბილისის ბრწყინვალე საზოგადოება, არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები, მთელი მაღალი ჩინოვნიკობა, პოეტები, მწერლები...

ალექსანდრე ჭავჭავაძე, მართლაც რომ ბედნიერი იყო, საყვარელი მეგობარი შვილად რომ გაუხდა. სუფრას თვითონ თამადობდა, გულიანად მხიარულობდა, მღეროდა. შემდეგ ხელში აიღო ღვინით სავსე აზარფეშა და თავის ახალი ლექსი წაიკითხა.

თასი დასცალა და თავის სიძეს ალექსანდრე გრიბოედოვს გადაულოცა.

ერთი კვირის შემდეგ კი გრიბოედოვი ცოლით, საელჩოს წარმომადგენლებითა და კაზაკების ამალითურთ სპარსეთში გაემგზავრა.

***

ალექსანდრე ჭავჭავაძეს შემოქმედებითი მოწიფულობის ხანა დაუდგა. სულ უფრო და უფრო მჟღავნდება მისი ორიგინალური შემოქმედების ძალა. ამ დროს ეკუთვნის მისი განთქმული ლექსი „გოგჩა“. ამ პოეტურ შედევრში ის გვევლინება როგორც ფილოსოფოსი. პოეტური ენით გამოხატავს ცხოვრებისა და მისი

 

კანონების შესახებ ღრმა აზრებს. პოეტი თავისი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა და საზოგადოებრივი ყოფის რთულ სურათებს გვიხატავს ამ ლექსში.

ამ ლექსებში პესიმისტური მოტივიც გაისმის, მაგრამ პოეტის პესიმიზმი, ნაღველი მისი სატრფოს — სამშობლოს მდგომარეობითაა გამოწვეული, ეს პატრიოტის პესიმიზმია. პატრიოტული მიზეზების გარდა, ეს სევდა სოციალური უთანასწორობითაცაა გამოწვეული, ადამიანის მონური მდგომარეობით, ქართველი იქნება ის თუ რუსი .

მის შემოქმედებაში მკაფიოდ ისმის სოციალური მოტივები. ეს პროტესტია არსებული წესწყობილების და მონობის წინაალმდეგ. ეს გვაროვნული უთანასწორობის უარყოფაა.

დეკაბრისტების გავლენა, მეგობრობა გრიბოედოვთან, ბაირონის ამბოხი და სენ სიმონის იდეები, საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილი და ნიკოლოზ პირველის შემაძრწუნებელი რეაქცია — ყველაფერი აფიქრებდა მგოსანს.

ამ ფიქრებმა წარმოშვა ალბათ იმ დროისათვის სავსებით უჩვეულო ლექსი:

„...რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.

. . . . . . . .

მდაბლათ ჩაგვრით, მტაცებლობით და
ხვეჭით!“

ეს თამამი, გაბედული ლექსი მთელი თავისი სიღრმით გამოხატავს ალ. ჭავჭავაძის მღილარ სულიერ სამყაროს.

ტყუილად როდი მეგობრობდა მგოსანი ემიგრანტებს, გადასახლებულებს, რუსი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. მისი სახლი თავისუფალი აზრების არსენალს წარმოადგენდა, სადაც იარაღებივით ინახებოდა ახალი იდეები, აზრები, განწყობილებები. ტყუილად როდი გახდა ის გრიბოედოვის ნათესავი, პუშკინის, ლერმონტოვის, კიუხელბეკერის და დენის დავიდოვის მეგობარი.

***

დღეს ჩვეულებისათვის ეღალატნათ — არ იყო განათებული ორთაჭალის ყველაზე საუკეთესო ბაღი. 1829 წლის მაისის ღამის სიბნელეს მხოლოდ ციცინათელების ფოსფორული ნათება თუ არღვევდა, რომელიც ზოგჯერ სხივს ფენდა მდინარის კუპრივით შავ, ხავერდოვან ზედაპირს.

წყალიც თითქოს არ ირხეოდა. დროდადრო ამ სიბნელესა და სიჩუმეს არღვევდა ნიჩბების განზომილი ხმაური და მეთევზის ნავის კიჩოზე მოციმციმე ალი, რომელიც ქარონის ფარანს წააგავდა.

ზედ მტკვრის პირად გაშლილია ფართო სპარსული ხალიჩა.

აშუღთა პრინცი, როგორც თბილისში უწოდებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, აქ მოელოდა დღეს კავკასიაში გადმოსახლებულ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს.

მოხუცი ვანუა დაუზარებლად ფუსფუსებდა და მზად იყო ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, რათა ესიამოვნებინა საყვარელი აშუღის და სახელოვანი სტუმრისათვის. მან გააფრთხილა თავისი თანაშემწე საქო და რამდენიმე ყარაჩოღელი, „რომ ამ ქეიფის შესახებ ბევრს ნუ ილაპარაკებთო, თავადი უმასპინძლდება რუს აშუღს, რომელსაც თავის სიმღერაში თურმე ცუდად მოუხსენებია რუსთა მეფეო“ და ეს იდუმალება სხვაგვარ, მიმზიდველ იერს ჰფენდა ნადიმს.

სტუმრები ვაზის ტალავერში ისხდნენ.

ფქვილში ამოგანგლულმა ახალგაზრდა რაჭველმა მზარეულმა სუფრაზე დააწყო ცხელი თონის პურები, რომლებიც ნამგალა მთვარეს წააგავდნენ. იქვე, შორიახლოს ვეებერთელა კაკლის ხეზე ახლად დაკლული ცხვარი ეკიდა და ვანუა მას სამწვადეს აჭრიდა. მაგიდაზე ცხვრის ყველის მოთალის დიდი თავები და ნამიანი მწვანილი ელაგა: სურნელოვანი ტარხუნა, გაზაფხულის წიწმატი, ქინძი, ნიახური, პრასი...

ხის ჯამი ჯონჯოლით იყო სავსე. სტუმრების თვალწინ აიღეს გავარვარებული კეცებიდან შემწვარი წიწილები და ყოველ სტუმარს ჩამოურიგეს ვაზის დიდ ფოთლებზე. იქვე ხალიჩაზე ეწყო მოწნული კალათები, რომლებიც სავსე იყო გასული წლის ხილითა და ყურძნის მტევნებით. ტიკებიდან მოწანწკარებდა სისხლივით წითელი ყვარელი და მაღალ ყანწებს ავსებდა ვარდისფერი კახური და ქარვისფერი წინანდალი.

სუფრის თავზე მჯდომი ამაყი შესახედაობის ლამაზი ყაცი ლექსს კითხულობდა, თითქოს მღეროდა, დანარჩენები კი უსმენდნენ აშუღების პრინცს, როგორც მენესტრელს, რომელმაც ექვსი საუკუნით დაიგვიანა ამ ქეიფზე. გვერდით ალვის ხესავით ამოდგომოდნენ მშვენიერი ჭაბუკები; მათ თავი აზარფეშებზე დაეხარათ და წითელ ღვინოს დასჩერებოდნენ...

„შენ ნარგიზი ახალი ხარ თავსა შენსა
სტრფობ და პევარობ და
მაგრამ წყალში ჰვრეტის ნაცვლად წითელ
ღვინოს სარკედ ჰხმარობ;
სახე შენი მას ღვინოში ჰჩანს, ვით ვარდი
ზედ ხარობ,
მერე ეშხი აღნატაცი, თავსა შთანთქმად
აღარ ხარობ“.

ის იყო ამ ახალგაზრდობის ჰიმნის წაკითხვის შემდეგ სტუმრებმა თავიანთი აზარფეშები დასცალეს, რომ ღამის სიბნელიდან აიმართნენ ყარაჩოღელთა სილუეტები, მათ ხელებში ფიალები აენთნენ, სუფრაზე ცოცხალი თევზები გადმოყარეს ოდნავ გასაგონი სიმღერაც წარმოსთქვეს.

ეს სტუმრის პატივსაცემი სიმღერა იყო.

პუშკინი ფეხზე წამოდგა, სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა, ჭავჭავაძემ მას ღვინით სავსე ყანწი გაუწოდა.

...თურმე ტყუილად არ იზიდავდა პუშკინს საქართველო, ეს მისთვის ჯერაც უცნობი „პარნასი“, ქვეყანა, რომლის „საუკეთესო კლიმატი ვერ ანაზღაურებდა მის მიერ გადატანილ უბედურებებს. მოწონებითა და სიხარულით გამოიარა მან საქართველოს სამხედრო გზა და კავკასიამ მიიღო ის თავის საკურთხეველში. „აქ რამდენიმე დღეს დავრჩი თავაზიან, მხიარულ საზოგადოებაში. რამდენიმე საღამო გავატარე ბალებში მუსიკითა და ქართული სიმღერებით გარემოცულმა...“ — წერდა იგი.

და აი, ეს იყო ერთადერთი საღამო, როცა მას ალექსანდრე ჭავჭავაძე უმასპინძლდებოდა.

...ყველანი გაჩუმდნენ, ფეხზე წამოდგნენ და ისე უსმენდნენ პუშკინს:

— მე მუდამ ვამბობდი, რომ ჩემი მეგობარი გრიბოედოვი ერთ-ერთი უჭკვიანესი კაცია რუსეთში, დღეს ერთხელ კიდევ ვრწმუნდები ამაში და მესმის, რატომ დაუმეგობრდა და დაუნათესავდა ის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ჩემთვის გასაგებია სულთა ეს ნათესაობა. გრიბოედოვმა შექმნა თავისი: „ვაი ჭკუისაგან“, ჭავჭავაძემ კი შექმნა თავისი შეუდარებელი ლექსები... ამიერიდან ეს ორი ადამიანი ჩემს წარმოდგენაში განუყოფელი იქნება...

აბა რა იცოდნენ მათ, რომ ორი თვის უკან გაბოროტებული ბრბო თეირანის ჭუჭყიან ქუჩებში დაათრევდა გრიბოედოვის დამახინჯებულ ცხედარს... რა იცოდნენ, რომ სპარსეთისა და აზერბაიჯანის უკაცრიელ, მტვრიან გზებზე ზოზინით მოემართებოდა ურემი, რომელზედაც პოეტის უსულო სხეული იდო...

გრიბოედოვის ნორჩმა ქვრივმა შეასრულა ქმრის ანდერძი: „ნუ დატოვებ ჩემს ძვლებს სპარსეთში, თუ იქ მოვკვდი, ჩამომასვენე თბილისში და დავითის მონასტერში დამასაფლავეო...“

***

გრიბოედოვის დაღუპის შემდეგ გლოვამ დიდი ხნით დაიმკვიდრა ფეხი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. თვით პოეტი გულჩაწყვეტილი გახდა, ხალხს არ ეკარებოდა, უმეტეს დროს წინანდალში ატარებდა, სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა ბედის უკუღმართობაზე, ხალხის ბედზე, მომავალზე.

ერთ საღამოს, როცა ის თავის აივანზე იჯდა და ალაზნის ველის სილამაზით ტკბებოდა, ალაყაფის კარებთან მხედარი შეჩერდა. ლუარსაბ ორბელიანი იყო, მისი ამხანაგი, თავადებს გამოეგზავნათ და ითხოვდნენ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში. რუსეთის წინააღმდეგ. აჯანყებულნი საქართველოს განთავისუფლებას ელტვოდნენ.

ალექსანდრეს დიდხანს არ უპასუხნია, ფიქრები აწამებდა, ჩქარი ნაბიჯებით ბოლთასა სცემდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე, ახსენდებოდა გრიბოედოვის სიტყვები დეკაბრისტების შესახებ: „ისინი თავიდანვე განწირულნი იყვნენ — რადგან ხალხი არ იყო მათთან“, თუმცა დეკაბრისტთა შეთქმულება უცილოდ პროგრესული მოვლენა იყო. აქ კი! აქაც არ არის ხალხი, ერთი მეფე მეორეთი შეიცვლება, თუნდაც საკუთარი მეფით, მაგრამ ნუთუ ეს ქართველების მდგომარეობას გააუმჯობესებს? პატარა ქვეყანა ისევ ყოველმხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდება. მას კი სჯეროდა, რომ საქართველოს ბედნიერება ასე თუ ისე რუსეთთანაა. მაგრამ მას, ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეს, არ შეეძლო თანაგრძნობა არ გაეწია შეთქმულებისათვის.

1832 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძეს ბრალი დადეს ქართველ თავად-აზნაურთა აჯანყებაში და დააპატიმრეს. დაკითხვაზე მას თავი ისე ღირსეულად ეჭირა, არავინ გაუცია, არ უარყოფდა აჯანყებაში მონაწილეობას, თუმცა ეს არ დასტურდებოდა.

1834 წლის იანვარში გამოძიებისა და გასამართლების შემდეგ ის ტამბოვში გადაასახლეს. ორი წლის შემდეგ აპატიეს და სამშობლოში დააბრუნეს. მიუხედავად იმისა, რომ თვალყურს ადევნებდნენ, მან მიიღო თავის სახლში ლერმონტოვი, ოდოევსკი, ამ წლებში ის თითქოს თვითონ იყო „დემონი, დევნილი სული, ჯვრის მონასტერში გამომწყვდეული მწირი“.

1838 წელს ალექსანდრე დანიშნეს საბჭოს წევრად კავკასიის მთავარმართებლის კარზე, 1841 წელს კი მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მაგრამ უბედურმა შემთხვევამ შეწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის ენერგიითა და შემოქმედებითი შრომით აღსავსე სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტები

## სოლომონ იბნ გებიროლი
(1021-1055)

მე ვდგავარ ლოცვად; სად არის მრევლი?... შემოღამების ღაღადისი
მიწყნარდა ტაძრად...
აქ სასიმღეროდ ხმობდნენ მხევლები
და ცათა მიმართ სათნოებად მიიკმეოდა
კვამლის ღრუბლებად დახვეული აღსაკმევლები.
აწ კი ვის ჰყვედრი... ნგრეულა ვანი, წყალში ლივლივებს ლიბო სახლისა,
დადის სიკვდილი — უნდო და ფიცხელ...
მზემ სასოება მოგინაკლისა, თუ სიხარული გაფრინდა ცისკენ?...
გამოვედ მზისკენ, დააგდე სორო,
მოეც ნაყოფი სიკეთის მარცვლით,
ძეო კაცისა, — უხანო მძორო,
ამძუვნებულო ვნებათა ღვარძლით!
ვიწროა ქოხი? — ღმერთია მაღლით,
ასწორებს დისკო ქოხსა და ციხეს...
სურვილის ტყვე ხარ, მეტყველებ ბაგით,
გარნა ზნეობით პირუტყვად იქეც.
ჟამით ლიზღობ და ჟამად იურვი,
ძალი უბოძე რომელმან ძალვას,
რომელმან ბოროტება არჩიე კრძალვას,
ხვეჭე ცოდვის პური, განძი მოიხვეჭე...
გარნა ვინ ჰპოვოს ნეტარება მარადიული
მზისა ამას ქვეშე?...
— მზე გარდახდების, წარმავალ წარვალს, კვლა მომავალიც
მოვალს და წარვალს.

მზე გარდახდების... მიდგები შენაც, ძალი მიმდგარა სადაც ძლეული, ყრუდ ეწირება წამების დენას წამისყოფა, თუ ათასწლეული.

ჰა, ლოფორთქინა... აღახვენ თვალნი, ვაჲ, შებილწულო სისხლო და ხორცო: იყო, რა იყო? — წაშლილა კვალი, ბრწყინავს ეწერში ბინძური ლორწო.

თვლემდა უჩუმრად, არჩევდა სარჩოს, მზეს თუ მიენდო,
ანუ სჯეროდა
ცისა და მიწის... მსაჯულმან საჯოს ესევითარი განუსჯელობა...

. . . . . . . . . . . . .

...მე კვლავ მუნ ვდგავარ, — აღსავლის კარად, ჰოი, მოიღე რამე ნიშატი,
ცას — სასოებად, სიკეთეს — ფარად, მზეს სიხარულად მოგვინიშნავდი.
გესავ,
გევლები,
გენუკვი მყოვარ, —
ლაფში მოთხვრილნი დავალთ მღილები,
დავიხშობ ხმას და უსიტყვოდ მოვალ, ბაგემდუმრიად გაგემხილები.
და ძრწოლვით გარქმევ — შევბილწეთ რარიგ,
ვითარ დავამხეთ წმინდა კედელი.
ძირს ქვესკნელია, ღრუბლებში — მარიხ, წინ — სამუდამო
წარსაწყმედელი.
მძიმეა, მძიმე მიგების ტვირთი,
საბედისწერო — სიმრუდე გზათა...
სად ხმობ, სად დაძრწი, საითკენ ილტვი,
გადმოხვეწილო საიდან სადა!...
ვის ემუქრები: ჩაქრა სანთელი... რას მოგძახიან ბნელში ლანდები;
ამაოება მოგელის ბოლოდ,
რამეთუ ხორცის ზეციური შარავანდედი
სულისმიერი ნიჭია მხოლოდ.
სული მზე არის, გასცქერის ცარგვალს, მზეს ეზავება — მზისად მლოცველი,
ხორცი მოვალს და მტვერივით წარვალს —
წარმავალი და წარსახოცელი.
მარქვი, რად ბორგავ, რუდუნებ მაინც, სად მიგაქროლებს უნდო ფიქრები,
გარნა ისა ხარ, იყავი რაიც, რაიც იყავი, იგივ იქნები:
აღმოუტევებ სინათლეს მზისას, —
ცისკენ ილტვიან მიწყივ სულები,
შენ, მიწიერი, მიმართავ მიწას, კვლავ მიწიერად აღესრულები...
მძიმეა, მძიმე მიგების ტვირთი,
საბედისწერო-სიმრუდე გზათა,
სად ხმობ, სად დაძრწი, საითკენ ილტვი,
გადმოხვეწილო საიდან სადა...
ძირს ძნიად დახვალ, მიელტვი მზეს და
გწადს, ლაჟვარდების მიჯნას მიადგე?
— შეუვალია, მწვალებელო, საუფლო ზესთა,
დუმს შორეული მეხვაშიადე.
მე კი მოგძახი, გენუკვი, გესმას, გეჰენიაში გმინავენ დაბლა,
სამარადისოდ მიუგდე ეშმას ფარისევლობით ნაკურთხი ტაბლა.
თორემ მზე მიდრკეს, ჟამი გალიოთ,
ბოლოს დაცხრებით ზმით და ქადებით,
მიდგებით მუნ და სალიტანიოდ ყრუ სიმძიმილით განემზადებით.

## მოსე იბნ ეზრა
(1055–1139)

ბიბლიოთეკა

* * *

განუზომელი ფერების ზოლი...
ზოგი ზღვას მოსავს, ბილიკებს — ზოგი, სამკაულია
ზოგი ახოსი...
მზემ ლაჟვარდებში მოისროლა ალმასის ზოდი
და უზრუნველად შემოიქცა ზოდიაქოში...
ჰოი, მოსულხარ საიდან სადა, შენ, გაზაფხულის მწვანე სამოსო,
ცით რომ იღვრება, ზეთია ცათა, თუ სურნელია სავალსამოსო...
ყვავილთ აღავსეს მთების უბე და
ტყე — გათოშილი ზამთრის სიცივით,
ზარს არისხებენ... მოაღლუმეთა ხმა აღავლინეს პარაკლისივით...
ტყე იმოსება — კეთილი ნიმფა, ხმობს ნაკადული — ცელქი ნინველი,
ხე — საკვირველი, ხეზე ფრინველი, დღე — ხარებისად
მოსახილველი...
...მე მოვალ მაღლით, ბარში ვეშვები, მთით მომაქროლებს ჩემი იაბო,
რომ ლალისფერი აზარფეშები მზის სინათლეზე ავაკიაფო.
სერზე შველი ხმობს... ხმაურობს წყარო, ბაღში ბილილა ყვავილობს სადღაც,
დროა, მოყვასო, შენც რომ ზრუნავდე,
განუკითხავად აღავსებდე კათხაზე კათხას
დასაბამიდან აღსასრულამდე.
თორემ დრო მოვალს — თაფლიან ბარძიმს
გესლით აღავსებს მეყვსეულად
ჟამი უნასი...
ხარებაც თოვს და ცრემლებიც გაწვიმს მზის უთავბოლო
ნათელბრუნვაში...
მეც ამად ვილტვი, მაღლით ვეშვები, მთით მომაქროლებს ჩქარი იაბო,
რომ მთვარეული აზარფეშები მზის სინათლეზე ავაკიაფო.
ჰა, ჭალებიდან გამორბის რემა, ცეცხლი გაიღეს კლდეზე კაჟებმა,
თვალს ზარხოშების უხარის თვლემა, ჯამს — იაგუნდის
მოზარქაშება...
აწ განვედ ჩემგან, მთვარეო, ლიზღო,
შენც აღიგავე, ბნელო ღამეო, შენი მისნობით და
უგვანი მოგვით,
ცას ერკინება ნათელი დისკო და ერკემლები მოდიან როკვით.
მოიქეც, მზეო, მოდექ სვიანო, კვლავ მოგვესარკე შენი ოქროთი,
მზედ ბობოქრობდი, ვაშად მოქროდი, თუ ტოლუმბაშად
მოჯადოქრობდი...
მოდიხარ მაღლით, მოაპობ მიჯნებს, ცას მოარღვევ და
გვიხმობ, სვიანო,
რომ დღე მოიღო, მოგვაგო სითბო და სიხარული მოგვიმზიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იეჰუდა ჰალევი
(1075-1141)

## მეგობრისადმი

მზის მიდრეკისას ამეტყველდა ჩემი წარსული,
მოგონებებით შეჭირვებას სული მინებდა:
...ცხოვრება ჩემი — უსიამოდ შემოძარცული,
ყრუ ზმანებათა საუფლოში მირონინებდა.

ვის მოვუხმობდი, დავდიოდი საიდან სადა,
ეჰა, ვინ უწყის, მაურვებდა სევდა რაზომი!..
რისად დამიხშე, სასურველო, კარები სრათა,
რად დამიგმანე დიდებულთა სადარბაზონი!...

მე ვდგავარ ველზე ვდუმვარ და ვდუმდი... მწირს რა მებადა, ან ახლა რა მაქვს,
ტრაპეზობიდან ბრუნდება გუნდი, გვამს საკმეველი,
გუნდრუკი — სტვამაქს...
ქანაობს ქარვა, ვცერავ და ვცერავ, ჰოჲ, ნებიერნო, იშვებდეთ ესრეთ,
მე კი გამწირა უღმერთო წერამ, მეხამლედ მყო და დამაგდო მეზვრედ.
მიაფრიალებს ნიავი აფრას
და მე რას ვაქნევ — ქროლვას მოვეშვი,
ყრუდ გადავცქერი სევდიან საფლავს ჩემს საღამეულ სიმარტოვეში.
ბაღში ალვების ჩამდგარა ჩერო, სულში წარსული მოწვეთავს შხამად,
შენც... დაკარგულო მოყვასო ჩემო, შენც მოგიგონებ ჟამიდან ჟამად.
სად ხარ, სად გალობ, დაგნათის საით მზე, სანატრელი და აბეზარი, —
შენ ზი მზვარეში, ერთობი ნაით-ნაღვინევი და ნატრაპეზალი.
იშვებ ვარდებით და საფირონით, გარნა ვინ უწყის, სანამდე გასტან...
იყო სერობა და ჩვენ ვტიროდით და ვიყრებოდით ნისლიან გზასთან.
იყო სერობა... მღეროდნენ სადღაც, ცა მუქდებოდა, დუმდა ქვეშეთი,
მე სევდიანად გაწვდიდი კათხას,
შენ უზრუნველად მანუგეშებდი.
ჰოი, მოყვასო, ლიზღობდი ისე, თითქოს ტანჯვის წილ შვებას ვთესავდით,
ჟღერდა პირობა — ფიცივით მტკიცე და შეუვალი —
სიმართლესავით...
ბოლოს მზე შედგა, შებრუნდა სვეტი... მე შემოგარენს შევერთე ვაით,
შენ კი გარდახველ, გარდავლე ქედი, გარდაიხვეწე საით და საით...
...აწ კი ძმა დამშთა სიკეთის ფარად, ძმა — მოკითხვა და ტკბილი ბარათი,
მე კი მეგონა, ჟამიდან ჟამად შენც ღირსეულად დამიფარავდი...
სადა ხარ, სადა!.. ხმობს თებერვალი, დუმს საწისქვილე... დაცლილა ვარცლი...
სული გქონდა, თუ სულის ბერვარი — ღველფივით გენთო უღონო ღვარძლი...
მზეს ვფიცავ, ვფიცავ, ვფიცავარ მთვარეს, ვერ მომალხენდა შენი ხავერდი,
ვერც ქსოვილებით მომჭრიდი თვალებს, ვერც სამკაულით
დამაბრმავებდი.
გარნა, რომ აღჩნდეს სასოდ გუმანი, — მოდის უსტარი, მოფრინავს ტრედით,
მე, ნამარხი და ნალუსკუმარი, კვლავ აჩრდილივით აღვდგები მკვდრეთით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამიდან ჟამად გიგონებ ასე, გარნა სად არის შენი ბარათი,
რარიგ მეგონა, სიბერის გზაზე შენც ღირსეულად დამიფარავდი.
აწ კი... რა დამშთა — ცრემლების თქეში,
შენ დამიფარე, ღმერთო ციერო!
გზა მიიქცევა ნისლოვან წრეში,
გზა — უმზეო და უხორციელო.
აჰა, მთა იძვრის, ირყევა თხემი, გაღმით ხმა მესმის დასალიერთა,
ცავ, შეიწყალე ვენახი ჩემი, თუ საწყაული დაცარიელდა.
ვინ არის, ვინა!... ქვითინებს ბაო...
ეჰა, მომძახის ჟამი უხანო,
მშვიდობით, ტყეო,
მშვიდობით, გზაო,
ნავარდალო და ნათავთუხარო!...
ესე სიზმარი ესრე გასრულდა,
უკვე ფარული ბინდით ვივსები
და მომიხმობენ ჟამგადასულთა მზედაბინდული
საბრძანისები...
...შენ კი შემოხვალ... ეზოში მრევლი კვლავ შემოგყვება ნელი რონინით
და ლაჟვარდების ციმციმა ცრემლი ცით ჩამოწყდება საფირონივით.
წინ ბზა დაგხვდება,
ბაღში — სათარჯე,
ატირდებიან გზებზე რცხილები
და მეგობრობის ნაგუმბათარზე კვლავ უგუნებოდ აღებრწყინები...

თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

---

პწკარედები ისაკ დავითაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ქუთათელაძე

# ლენინური ეტაპი ესთეტიკაში

ახალი ეტაპი მარქსისტული ესთეტიკის განვითარების ისტორიაში დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელთან.

ვ. ი. ლენინი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა კაპიტალიზმის უმაღლესი ფაზის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში.

ვ. ი. ლენინის გენიალობა ის არის, რომ მან არა მარტო შემოქმედებითად გამოიყენა მარქსიზმი ახალ რთულ პირობებში, არამედ ბიძგი მისცა შემდგომი განვითარებისათვის და გაამდიდრა იგი ახალი დებულებითა და ფორმულებით თავის პარტიულ — პრაქტიკულ საქმიანობაში, შრომებში, სტატიებში, მოხსენებებში, საუბრებში. ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრული კულტურის განვითარების საკითხებს.

ვ. ი. ლენინის აზრით, ჭეშმარიტების შემეცნებაში ხელოვნებას ისეთივე ფუნქციის შესრულება შეუძლია, როგორიც მეცნიერებას. ხელოვნება სინამდვილის ასახვის თავისებური ფორმაა. ამდენად, ხელოვნების არსისა და დანიშნულების გარკვევაში ძლიერ გვეხმარება ასახვის ლენინური თეორია, რომელიც წარმოადგენს მარქსისტული მატერიალისტური გნოსეოლოგიის (შემეცნების თეორია) საფუძველს. გაანადგურა რა სინამდვილისადმი ადამიანის ცნობიერი დამოკიდებულების იდეალისტური თვალსაზრისი, ლენინმა საბოლოოდ დაამკვიდრა ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მატერიალისტური გზა. ასახვის ლენინური თეორია თანამედროვე რეალისტური ხელოვნების მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა. შემეცნების ეს მეტად მნიშვნელოვანი დებულებები ლენინმა განავითარა თავის კაპიტალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ (1908 წ.) ვ. ი. ლენინის მტკიცებით, მთავარია არა მარტო ის, რომ ჩვენი ცნობიერება გარესამყაროს სახეა და რომ პირველადია სამყარო და არა ცნობიერება, არამედ ისიც, რომ ჩვენი შემეცნება არის ჭეშმარიტება, შემეცნება თავისთავად რთული პროცესია. იგი არის არა პასიური სარკისებრი ალბეჭდვა, ფოტოგრაფიული პირი სინამდვილისა, არამედ გარკვეული მიზნის შემცველი, ობიექტურ სინამდვილესთან აზრის დაუსრულებელი მიახლოვების პროცესი. ამავე მეცნიერულ თეორიაზეა დამყარებული ხელოვნების მიერ სინამდვილის მხატვრული ასახვის პრინციპი. მხოლოდ მეცნიერულისაგან განსხვავებით ხელოვნება სინამდვილიდან არჩევს ისეთ მოვლენებსა და ობიექტებს, რომლებიც ფასდადებულია ესთეტიკურად ე. ი. არიან მშვენიერნი, ამაღლებულნი და სხვ. ადამიანურობის შინაარსობრივი თვალსაზრისით არიან გრძნობად აღქმადის უნარის მქონენი და იმსახურებენ შემოქმედის ყურადღებას მხატვრული განზოგადოებისათვის. ჭეშმარიტად მეცნიერული და მხატვრულ-რეალისტური ასახვის საბოლოო მიზანია შეგვიქმნას რწმენა ასახული სინამდვილის შესახებ. ამ მხრივ ხელოვნება უნივერსალურია (მრავალმხრივია, ყოვლისმომცველია). გრძნობად აღქმადი მხატვრული სახე „ტიპიური ხასიათები და ტიპიური ვითარებანი“ უფრო მეტს გვაგებინებენ და მეტსაც გვაამებენ და გვატკბობენ. მხატვრული სახის უნივერსალობა ემოციონალურისა და რაციონალურის დიალექტიკურ ერთიანო-

ბაშია. ასახვის ლენინური თეორია იძლევა გასაღებს ჭეშმარიტი მხატვრული სახის ბუნების თავისებურებათა გახსნისათვის. ცხადია არსებობს ასახვის ყალბი ფორმები (რელიგია) ან არარეალისტური, შეგნებულად დამახინჯებული „მხატვრული“ ასახვა (ფორმალისტური ხელოვნება), მაგრამ სწორი მატერიალისტური თეორია გვეხმარება გავარკვიოთ საზოგადოებრივი ცნობიერების რომელი ფორმაა ჭეშმარიტი და რომელია ყალბი, გვეხმარება გავიგოთ რეალისტურია ხელოვნება თუ ფორმალისტური. ასახვის ლენინური თეორიის მიხედვით შემეცნება გაივლის სამ საფეხურს: პირველია ცოცხალი განჭვრეტა, მეორე აბსტრაქტული აზროვნება და მესამე პრაქტიკა. ხელოვნებაში სინამდვილისადმი მხატვრის დამოკიდებულების, ადამიანი-მხატვარის მიერ რომელიმე მოვლენის რაობის გამოხატვის განსაკუთრებული ფორმა, ასახვის კონკრეტული შედეგი მხატვრული სახეა. ამიტომ ხელოვნებისა და ასახვის ლენინური თეორიის დამოკიდებულების თავისებურებათა გარკვევა ნიშნავს მხატვრული სახისადმი მისი მისადაგობის შინაარსის გარკვევას. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი მხატვრული სახე უნივერსალურია, რადგან გვევლინება ემოციონალურ და რაციონალურ მთლიანობაში. მხატვრული სახე ჯერ გვაგრძნობინებს (ცოცხალი ჭვრეტა) და შემდეგ კი გვაფიქრებინებს (აბსტრაქტული აზროვნება) პირველს სხვანაირად ჩვენება ჰქვია. ხელოვნება მსჯელობებს კი არ მიმართავს, არამედ გვიჩვენებს გარკვეულ ერთ-რომელიმე პიროვნებას საზოგადოებისათვის საერთოდ დამახასიათებელი, თვისებებითა და ნიშნებით გამდიდრებულს — მხატვრულ სახეს, ტიპს და შესაბამის ვითარებათა მორევში მისი ჩართვით. იმით, თუ რა ვითარებაში როგორ გამოსავალს გამონახავს, როგორი იქნება მისი ქცევა-მოქმედებანი შესაბამის ან კონკრეტულად მოცემულ ვითარებაში, ჩვენ ვგებულობთ არა მარტო პერსონაჟის ხასიათის თავისებურებას, მის კლასობრივ მისწრაფებას და სხვა, არამედ ვგებულობთ მთელს ეპოქას, საზოგადოების მაჯისცემას, ცალკეულ ადამიანებს. ცოცხალი ჭვრეტა შემეცნების პროცესში გულისხმობს კონკრეტულ, გრძნობად-ინდივიდუალურ საგანს ან მოვლენას, ხელოვნებაში იგი ერთი, რომელიმე კონკრეტულად გარკვეული ინდივიდია. აზროვნება კი საერთოდ თავისი ბუნებით აბსტრაქტულია, როდესაც ვამბობთ — ადამიანი, ჩვენ კონკრეტულად არ წარმოვიდგენთ რომელიმე ინდივიდს, ან გარკვეულ პიროვნებას (ქალს, კაცს, ხნიერს, ახალგაზრდას, მაღალს, დაბალს, მუშას, გლეხს და ა. შ. )ჩვენ ვფიქრობთ ადამიანზე საერთოდ. ხელოვნება ხომ ადამიანებზე ყოველგვარ ზემოქმედების ძალას დაჰკარგავდა, რომ განუზოგადებლად, აბსტრაგირების გვერდის ავლით გვიხატავდეს მხატვრულ სახეებს. მაშინ ეს იქნებოდა მხატვრის სუბიექტური თვალსაზრისის პასიურ-ნატურალისტური დემონსტრირება და არა მხატვრული ასახვა, ეს იქნებოდა ასახვის იგივე უაზრო, ფორმალისტური გზა. ნატურალიზმი—დეტალების განუზოგადებლად ჩვენება, იგივე ფორმალიზმია ხელოვნებაში. რაც შეეხება პრაქტიკას, როგორც ასახულის ჭეშმარიტების მაკონტროლებელ ფაქტორს, ხელოვნებისადმი მისადაგობის თვალსაზრისით იგივე შინაარსი აქვს. ასახვისათვის, მხოლოდ მხატვრული შემოქმედების თავისებურებიდან გამომდინარე ყოველთვის ვერ გამოდგება მხატვრული სახის ჭეშმარიტების დამადგენელ საშუალებად. სინამდვილის მხატვრულ-რეალისტური ასახვის ხერხი თავისთავში ყოველთვის გულისხმობს მხატვრის ფანტაზიას, შემოქმედის პრიზმით დანახულ სინამდვილეს ცხოვრების ჩვენებას არა ისე, როგორც არის, არამედ როგორც უნდა იყოს. ისე როგორადაც აუცილებელია, მაგრამ შესაძლებელი. ამ ფანტაზია-ოცნებას, რომელიც ხალხის სულიერ მისწრაფებას გამოხატავს სხვანაირად ვუწოდებთ იდეალებს. ამიტომ ვამბობთ, რომ რეალისტური ხელოვნება იდეალების გამომხატველი უნდა იყოს. დარეჯანი, თინათინი, ტარიელი, ავთანდილი, გიორგი, ოთარაანთ-ქვრივი, კესო, არჩილი, ლუარსაბი, და ა. შ. რეალისტ-მხატვართა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. მათი ზუსტი პროტოტიპები სინამდვილეში არ არსებობდა, არსებობდნენ მხოლოდ მათი მსგავსნი. „ნაცნობი უცნობი“ როგორც ბელინსკიმ უწოდა მათ. საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, შრომამ ადამიანს გამოუმუშავა მხატვრული გემოვნება. მხატვრული ნაწარმოების აღქმისათვის, გაგებისათვის ადამიანებს სჭირდებათ ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება. ცხოვრებამ, პრაქტიკამ მიაწოდა მასალა მხატვარს ნაწარმოებისათვის და იმავე ცხოვრებამ, პრაქტიკამ მოამზადა ადამიანი (მაყურებელი, მკითხველი, მსმენელი) რომ სწორად აღექვა ხელოვნების ნაწარმოები და შეემეცნა მისი შინაარსი (იდეა). ასეთია ასახვის ლენინური თეორიისა და ხელოვნების, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. ჩვენ ვიბრძვით პროგრესული ხელოვნებისათვის, მოვითხოვთ ცხოვრების სინამდვილის ჭეშმარიტ, დაუმახინჯებელ შემეცნებას. ჩვენ ვიცავთ რეალიზმს ხელოვნებაში, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის ერთად-ერთ შემოქმედებით საშუალებასა და მეთოდს.

ლენინის მოძღვრება რეალისტური ხელოვნების შემეცნებითი ძალისა და მნიშვნელობის შესახებ ძირითადად გამანადგურებელი დარტყმაა, რომელიც მან აგემა ყველა ჯურის ანტირეალის-

ტურ მიმდინარეობათა თაყვანისმცემლებს. ლენინმა საბოლოოდ დაგმო ე. წ. „იეროგლიფების თეორიის“ განყენებული ცნება. ლენინი მომხრე იყო ფანტაზიისა და ოცნებისა, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში. მაგრამ, მისი აზრით მხოლოდ ჯანსაღ მეოცნებეს შეეძლო ენერგიის დარაზმვა, მოვლენათა წინასწარ განჭვრეტა და სინამდვილის ობიექტურ კანონთა მომარჯვებით მისი რევოლუციური გარდაქმნა. სიმბოლოებისა და „იეროგლიფების თეორიის თანახმად ჩვენი შეგრძნებანი და წარმოდგენები სამყაროს საგნებისა და ნივთების ანარეკლი როდია, არამედ მხოლოდ პირობითი ნიშნები და იეროგლიფებია, მათ არ მოეთხოვებათ ემსგავსნონ იმას, რის ნიშანსაც ისინი წარმოადგენენ. სიმბოლოებისა და იეროგლიფების სუბიექტური იდეალიზმის თავისებური სახესხვაობა წარმოადგენს თეორიულ საფუძველს თანამედროვე აბსტრაქციონისტ მხატვართათვის, რომელთა აზრით „შემოქმედი“ ქმნის არა მხატვრულ სახეს, არამედ მხოლოდ პირობით სიმბოლოს მოდელისა, რომ არ შეიძლება ვენდოთ ჩვენს აღქმებსა და შეგრძნებებს. მათი სურათი წარმოადგენს ტილოზე უაზროდ მითხაპნილ ლაქებს, ხაზებს, გაურკვეველ კონტურებს და სხვ.

ვ. ი. ლენინის ბრძოლა „იეროგლიფების თეორიის“ წინააღმდეგ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს იგი საერთოდ წინააღმდეგია ან უარყოფს სიმბოლური ნიშნების გამოყენებას მეცნიერებაში თუ ხელოვნებაში, პირიქით, ლენინი მხარს უჭერს ასახვის პირობით ფორმებს, მხოლოდ ეს ნიშანი, სიმბოლო თუ იეროგლიფი არ უნდა იყოს თავისთავადი, მოწყვეტილი რეალურ შინაარსს, რეალურად არსებული სამყაროს ასახვას.

ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ასახვის რეალისტურ ფორმებს ხელოვნებაში. არ შეიძლება სამყაროს დაყვანა სუბიექტის აღქმებამდე, რასაც გარდუვალად მივყევართ სამყაროს შეცნობის შეუძლებლობასთან, ხელოვნების დაცემასთან, მისი მაორგანიზებელი უჯრედის რეალისტური მხატვრული სახის დაშლასთან. ამის მაგალითებს ჭარბად იძლევიან ბურჟუაზიული ხელოვნების თანამედროვე რეაქციული მიმდინარეობანი: სიმბოლიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, სიურეალიზმი, აბსტრაქციონიზმი და სხვ.

სუბიექტური იდეალიზმის საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინმა ასახვის თეორიის დიალექტიკურ-მატერიალისტური დებულებანი და პრინციპები გამოიყენა ურთულეს პირობებში შექმნილ მსოფლიო დიდ მწერალთა ნაწარმოებების კრიტიკული გაანალიზებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის თვალსაზრისს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ, რომელსაც მიუძღვნა სტატიები: „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ (1908), „ლ. ნ. ტოლსტოი“ (1910), „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ (1911).

ვ. ი. ლენინმა მთელი რელიეფურობით გამოკვეთა ტოლსტოის შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათი და ის დაპირისპირება, რაც სუფევდა მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებსა და გენიალურ რეალისტურ შემოქმედებას შორის. ის რაც ტოლსტოიზე ვთქვით, ბალზაკზეც ითქმის. ბალზაკმა მიუხედავად მემამულეებისა და ფეოდალური მონარქიის მიმართ თავისი სიმპათიებისა, როგორც რეალისტმა, თავის ნაწარმოებებში მთელი გულღვარძლიანობით დასცინა მათ, ხოლო მხატვრული აღფრთოვანებით აღწერა თავისი აშკარა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. რეალიზმმა, როგორც ბალზაკი, ისე ტოლსტოი იძულებული გახადა საკუთარ შემოქმედებაში თავიანთ კლასობრივ სიმპათიებისა და პოლიტიკურ შეხედულებათა სრულიად საპირისპირო იდეები გამოეხატათ.

„თავის ნაწარმოებებში, — წერს ვ. ი. ლენინი. — ტოლსტოიმ გასაოცარი გამოკვეთილობით განასახიერა — როგორც მხატვარმა და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურებების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე“.

ვ. ი. ლენინმა განავითარა გ. ვ. პლეხანოვის საპირისპირო აზრი იმის შესახებ, რომ ლ. ნ. ტოლსტოი არის არა „მოწუწუნე მემამულეთა“ კლასის წარმომადგენელი, არამედ მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხობის იდეოლოგიის გამტარებელი, რაც საერთოდ მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციის სოციალურ საფუძველს შეადგენდა. ლენინმა განმარტა და დაასაბუთა გენიალური რუსი მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების წინააღმდეგობა, როგორც ძველი პატრიარქალური წყობის ნგრევისა და კაპიტალისტურზე გადასვლის ეპოქაში გლეხთა მასების იდეოლოგიის წინააღმდეგობრივი ხასიათის ანარეკლი. ერთ მხარეზეა ტოლსტოი — ცხოვრებისაგან განდგომის, ბოროტებისადმი წინაღუდგომლობის იდეის მომხრე, ხოლო მეორე მხარეზე — „რუსეთის რევოლუციის სარკე“, თვითმპყრობელური პოლიტიკური სახელმწიფოს წინააღმდეგი, უსამართლობით განაწამები ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი და მათი ჩაგვრის სოციალური მიზეზების მამხილებელი.

ანალოგიური შემთხვევები გამონაკლისი არ არის სხვა დიდ შემოქმედთა მიმართაც. მაგალითად, დიდი ფრანგი რომანისტი გ. ფლობერი მთელ თავის შემოქმედებაში ამხელდა ბურჟუაზიას, ხოლო ცხოვრებაში მტრულად მოეკიდა პარიზის კომუნარებს. ასეთივე მაგალითს გვაძლევს დიდი რუსი მწერალი ფ. დოსტოევსკი. იგი შეუდგა თავის სამწერლო მოღვაწეობას, რო-

გორც თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობის აშკარა მოწინააღმდეგე. ამის გამო იგი კატორღაში გაამწესეს. გადასახლებიდან დაბრუნებული დოსტოევსკი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების დამცველ რეაქციონერთა პოზიციაზე. დგება. მაგრამ იმდენად დიდია დოსტოევსკის მხატვრული სიტყვის ძალა, მისი ნიჭი ადამიანთა ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნაში, სოციალურად მნიშვნელოვანი თემებისა და კონფლიქტების ჩვენებაში, რომ ცხოვრებისეული სიმართლის ძლერადობით ყოველთვის ინარჩუნებს მაღალ საზოგადოებრივ შეფასებასა და აღიარებას.

ხელოვნების კლასობრივი ხასიათისა და ტენდენციურობის შესახებ მარქსისტული თვალსაზრისის შემდგომ გაღრმავებასა და დაგვირგვინებას წარმოადგენს ლენინის მოძღვრება ხელოვნების პარტიულობის შესახებ. ცხადია კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნება ყოველთვის კლასობრივია და აქედან გამომდინარეობს მისი პარტიული ხასიათიც. პარტიულობა განუყოფელია იდეურობისაგან, იდეურობა არ არსებობს გარკვეული მსოფლმხედველობრივი პოზიციის, გარკვეული კლასობრივი პლატფორმის გარეშე, პარტიული ხელოვნება არ არსებობს ასახვის რეალისტური ხერხების გარეშე. მსოფლიოს ყველა გენიალურ შემოქმედთა ქმნილებანი იდეური იყო. მაგრამ მათში მოთხოვნის იმ ძალით როდი იყო გამოხატული პროგრესული პარტიის აშკარა პოლიტიკური თვალსაზრისი, როგორც ამას ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი მოითხოვს. მხატვრის მთელი შეგნება, იდეოლოგიური მსოფლმხედველობა სრულ შესაბამისობაშია მის შემოქმედებით მეთოდთან. გამორიცხულია წინააღმდეგობა მსოფლმხედველობასა და შემოქმედებას შორის, რასაც ადგილი ჰქონდა ტენდენციური ხელოვნების დროს. ბალზაკის, ფლობერის, ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვათა შემოქმედებაში. ვ. ი. ლენინის გენიალურ მინაკვლევს წარმოადგენს აგრეთვე ხელოვნების ხალხურობისა და პარტიულობის იგივეობრივობის პრინციპი. ხელოვნების პარტიულობის პრინციპის იგივეობრივობა მტკიცდება შემდეგნაირად. პარტიის პოლიტიკა გამოხატავს ხალხის სანუკვარ სურვილებსა და მისწრაფებებს. ხალხის სამსახური, ხალხთა მასებთან მჭიდრო კავშირი პარტიის უპირველესი ამოცანაა. თუ მხატვარი თავის შემოქმედებაში გამოხატავს პარტიის პოლიტიკას, იგი იმავე დროს ხალხის მისწრაფებებისა და ინტერესების გამომხატველიცაა. ეს აზრი შესანიშნავად დაასაბუთა მ. შოლოხოვმა 1954 წელს სტოკჰოლმში ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებულ თავის გამოსვლაში. თანამედროვე საბჭოთა ეპოქის დიდმა მწერალმა ამხილა დასავლეთში ავგული მტრების მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში მხატვრული ლიტერატურა იქმნება პარტიის მინიშნებით. შოლოხოვის აზრით, მინიშნება მართლაც არის, ოღონდ გულის მხრივ და საბჭოთა მწერლის გული კი პარტიას, ხალხს ეკუთვნის. მაშასადამე, პარტიულობის ლენინური პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება როგორც პროლეტარიატთან და მის პარტიასთან მხატვრის აშკარა კავშირის აღიარება. თავის გენიალურ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (1905), რომელიც ხელოვნების პარტიულობის პრინციპების დამუშავებას მიუძღვნა, ვ. ი ლენინი ამბობს. „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“. ლენინს არაერთხელ უთქვამს, რომ ხელოვნების არაპარტიული იდეის ქადაგება ბურჟუაზიული პარტიულობის ფორმაა. საბჭოთა ხელოვნების პარტიულობა კი ეს არის არა ფარული, ნიღაბაფარებული, არამედ აშკარად აღიარებული კავშირი შემოქმედისა კომუნისტური პარტიის პოლიტკასთან.

„არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე, — წერს ვ. ი. ლენინი, — და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან“.

ლენინი ებრძვის ბურჟუაზიულ ზეკლასობრივი შემოქმედებისა და მხატვრის აბსოლუტური თავისუფლების იდეას. შემოქმედებითი თავისუფლების ბურჟუაზიული ლოზუნგის უკან მოფარებული იყო ინდივიდუალისტური-ანარქიული თავისუფლება. ანარქიზმი, ლენინის განმარტებით იყო, უკუღმა გადმობრუნებული ბურჟუაზიულობა და არათავისუფლება. კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, შეუძლებელია ლაპარაკი მხატვრის სრულ თავისუფლებაზე. ინდივიდუალური ხელოვნება არ არსებობს. შემოქმედი ყოველთვის ხალხის საერთო მისწრაფებებსა და სურვილებს გამოხატავს. თუ თავისუფლებას გავიგებთ, როგორც ნებართვას, ვისაც რა უნდა და როგორც უნდა ისე სწეროს, მივიღებთ ინდივიდის ანარქიულ თავისუფლებას. მხატვარი მაშინ იქნება თავისუფალი, თუ იგი თავისი შემოქმედებით გამოხატავს იმ პარტიის პოლიტიკას, რომელმაც თავის ღვიძლ საქმედ გაიხადა ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახური. თავისუფლება არ ნიშნავს აღვირახსნილობას შემოქმედებაში. ის, რომ აკეთო საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე, რომ შენი შემოქმედებითი მოღვაწეობით არ იდგე განზე იმ საზოგადოებისგან რომელმაც შენ გაგზარდა. აი როგორ უნდა გვესმოდეს შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპი. ეს კი შეუძლია გააკეთოს ისეთმა შემოქმედმა, რომელიც თავის მოწოდებით, გულით და გონებით სრულად მომხრეა პროლეტარული მსოფლ-

მხედველობისა და ცხოვრების მოვლენების მხატვრულ ასახვისას იყენებს რეალიზმის ნაცად შემოქმედებით მეთოდს. თითქმის ყველა დიდი ქმნილება ხელოვნების სფეროში შექმნილია დაკვეთით, მაგრამ ისინი სიდიადეს, საკაცობრიო აღიარებას ვერ მოიპოებდნენ, რომ მათში არ იყოს გატარებული უსაზღვრო რწმენა და თავდადება იმ საქმისდმი, რასაც ისინი ემსახურებოდნენ თვიანთი შემოქმედებით, ნიჭითა და ოსტატობით. უსულგულო ხელოვნება მიზანს ვერასდროს ვერ მიაღწევს, როცა იგი შემოსავალზე და მოგებაზეა აგებული. ლენინმა ხელოვნების პარტიულობის მოთხოვნით გაილაშქრა სწორედ ამ ბურჟუაზიული, ვაჭრული დამოკიდებულების წინააღმდეგ და სურდა მხატვრის განთავისუფლება ბატონყმური ცენზურის ბრჭყალებისაგან. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძვლებში გაურკვევლობამ, პროგრესული ჩანაფიქრისათვის მხატვრული ფორმების მიგნების უუნარობამ, ნიჭის სინაკლულემ შეიძლება მიგვიყვანოს ჩვენი სინამდვილის მხატვრულ-პრიმიტიულ ასახვასთან. ვ. ი. ლენინი ხელოვნების პარტიულ პრინციპში გულისხმობს არა მხატვრის შემოქმედებით საქმეებში ჩარევას ან გარედან რაიმე ძალდატანებას, არამედ ორგანიზებულმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა თვალყური უნდა ადევნოს, კონტროლი გაუწიოს ხელოვნების მუშაკთა მთელ შემოქმედებით საქმიანობას. „უდავოა, — ამბობს ვ. ი. ლენინი, — ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა, მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“. მწერალი თავისუფალია შემოქმედებითად მაშინ თუ მისი პირადი თაოსნობა, ინდივიდუალური მიდრეკილება, აზრი და ფანტაზია, ნაწარმოების ფორმა და შინაარსი ხალხის ინტერესებს ემსახურება, ხელს უწყობს მის წინსვლას. ეს უდავო ჭეშმარიტება იმასაც ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივეოთ პროლეტარიატის პარტიული საქმიანობის სხვა ნაწილებთან. არც იმის გაგება შეიძლება შაბლონის წესით, რომ შემოქმედი უსათუოდ პარტიული ორგანიზაციის წევრი უნდა იყოს. ხელოვანის პარტიულობა თავისთავად ვერასდროს იმის გარანტიას ვერ მოგვცემს, რომ შემოქმედება უსათუოდ იქნება პარტიული, ანდა პირიქით. მხატვარი შეიძლება ფორმალურად არ იყოს პარტიის წევრი, მაგრამ მთელი არსებით იყოს პარტიული ხელოვნებაში. ამის მკვეთრ მაგალითს გვაძლევენ ისეთი დიდი შემოქმედები ჩვენი ეპოქისა, როგორიც იყვნენ სოციალისტური ხელოვნების ფუძემდებელი ა. მ. გორკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი. მ. გორკის მთელი შემოქმედება განმსჭვალული იყო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მგზნებარე პათოსით, ხოლო მაიაკოვსკი თავის პოეზიას პარტიული მუშაობის მხატვრულ ასახვად თვლიდა. ამ ორი დიდი საბჭოთა მწერლის ხელოვნება როდი იყო საერთო ჭეშმარიტებათა დეკლარაცია, ხელოვნების იდეური მიზანსწრაფვის უბრალო ზოგადპოლიტიკური ფორმით ქადაგება. მათ შემოქმედებაში გენიალურად შეირწყმებოდა მაღალიდეურობა მხატვრულ ოსტატობასთან.

ვ. ი. ლენინის ნააზრევში პარტიულობის გვერდით ცენტრალური ადგილი უჭირავს ხელოვნების ხალხურობის იდეას. ლენინი მოუწოდებს მეცნიერებს, მხატვრებს, მწერლებს, ახლოს დადგნენ ხალხთან, რადგან ხალხია ჭეშმარიტი შემოქმედი საზოგადოების ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებებისა. ხალხურობის ღრმა მეცნიერულ განმარტებას იძლევა ვლადიმერ ილიასძე კ. ცეტკინთან საუბარში 1912 წელს: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი ულრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.

ხალხურ ხელოვნებას ვ. ი. ლენინი წარმოგვიდგენს როგორც უდიდესი საზოგადოებრივი და შემეცნებითი ძალის მქონეს, რომელსაც შესწევს უნარი გააერთიანოს მილიონთა გრძნობა, მისცეს მას სასურველი მიმართულება, ყველას ჩაუნერგოს ერთი გარკვეული იდეა-აზრი, გააერთიანოს ადამიანთა ფიქრები და ბოლოს შემართოს ხალხის რწმენა, აამოქმედოს ხალხი ერთი სულისკვეთებით (აერთიანებდეს ნებისყოფას), ყოველგვარ უსამართლობათა წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით. ამ დიდი პრაქტიკულ-შემეცნებითი ფუნქციის გარდა ხალხურ ხელოვნებას უნარი აქვს წარმოშვას მხატვარი ხალხთა ფენებში, შემოიკრიბოს თავის გარშემო ხალხის წრიდან გამოსული კადრები. ვ. ი. ლენინი ხელოვნების ხალხურობის პრინციპით ანადგურებს ბურჟუაზიულ-იდეალისტურ შეხედულებას მხატვრის „ზეკლასობრივი“ ბუნებისა და შემოქმედებითი პროცესის რაობის შეუცნობლობის შესახებ, რომ თითქოს ჯერ დამოუკიდებელი პიროვნება ქმნის ხელოვნებას და შემდეგ ხდება იგი ხალხური და ა. შ. ხელოვნების ხალხურობის შემფასებელ მომენტთა შორის მნიშვნელოვანია ხელოვნების ეროვნული სპეციფიკის საკითხი. ბურჟუა თეორეტიკოსები ცდილობენ დაასაბუთონ ბურჟუაზიული კულტურის დემოკრატიულობა, რომ არსებობს ერ-

თი ბურჟუაზიული კულტურა, რომელიც ზოგადეროვნულ ამოცანებს ემსახურება და თითქოს ექსპლოატატორული კლასების კულტურა გამოხატავს მთელი ერის ინტერესებს. ხალხთა მასების მოტყუების გზით, კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის მიზნით ბურჟუაზია ხშირად მიმართავს მტკიცებას ერისა და ხალხის იგივეობის შესახებ. ბურჟუაზიულ სამყაროში ყველაფერი ფორმით ეროვნული როდია ხალხური, თუ იგი არ არის გამომხატველი ერის საუკეთესო თვისებებისა. ჭეშმარიტად ხალხური, პროგრესული კულტურის გვერდით არსებობს რეაქციული, თავისი არსებით ანტიხალხური კულტურაც. ვ. ი. ლენინმა სინათლის სხივი მოჰფინა და სიცხადე შეიტანა ეროვნული კულტურის საკითხის გარკვევაში. თავის სტატიაში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ (1913) ლენინი წერს: „თითოეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თითოეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“. როგორც ლენინი მიუთითებდა, სოციალისტურ ეპოქაში მუშათა კლასის კულტურა უნდა ემყარებოდეს ეროვნული კულტურის დემოკრატიულ ტრადიციებს. „თითოეულ ნაციონალურ კულტურიდან, — წერს ვ. ი. ლენინი, — ჩვენ ვიღებთ მხოლოდ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მხოლოდ და უთუოდ თითოეული ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ“.

ვ. ი. ლენინმა განავითარა თვალსაზრისი წარსულის დიადი შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი, ეროვნული კულტურისადმი რევოლუციური კლასობრივი მიდგომის შესახებ. ცნობილია ვ. ი. ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე 1920 წელს, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა პროლეტარული კულტურის თავისებურება იმ მხრივ, რომ იგი კი არ წარმოადგენს იმ ადამიანების გამონაგონს, რომლებიც თავს თვლიან პროლეტარული კულტურის სპეციალისტებად, არამედ ეს კულტურა უნდა მოგვევლინოს ცოდნის იმ მარაგის კანონიერ გამგრძელებლად, რაც კაცობრიობამ გამოიმუშავა კაპიტალისტური, მემამულური თუ მოხელეთა საზოგადოების ჩაგვრის პირობებში. კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის მეთაურობით, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სასტიკად დაჰგმო ე. წ. პროლეტკულტის (პროლეტარული კულტურის წარმომადგენელთა) იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც უარყოფდა კლასიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობას ახალი სოციალისტური კულტურის შენების საქმეში. პროლეტკულტელთა იდეოლოგია ემყარებოდა ცნობილი რუსი მახისტის ბოგდანოვის იდეალისტურ მსოფლმხედველობას. ამიტომ თავიანთ მოღვაწეობას ისინი თვლიდნენ მუშათა მოძრაობის ახალ, დამოუკიდებელ ფორმად და იცავდნენ პრინციპს „ლაბორატორიული“ გზით, წარსული კლასიკური შემოქმედების უარყოფით, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის გვერდის ავლით პროლეტარული კულტურის შექმნისა. ვულგარულ-სოციოლოგიური აზრით იყო გაგებული ცნებები „ბურჟუაზიული“ და „პროლეტარული“, „ბურჟუაზიულად“ აცხადებდნენ ყველა ხელოვნებას, პირველ ყოვლისა კლასიკოსთა შემოქმედებას, რომელიც შექმნილი იყო კაპიტალისტურ ეპოქაში, ხოლო პროლეტარული იყო ის ხელოვნება, რომელსაც უსათუოდ მუშათა კლასის რიგებიდან გამოსული პიროვნება ქმნიდა. ამას გარდა პროლეტკულტელები მოითხოვდნენ „ფედერაციას“, სახელმწიფოსაგან გამოყოფას, მათი მუშაობა დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ორგანოებისაგან „როგორც წმინდა კლასობრივი იდეოლოგიის ლაბორატორია“.

ვ. ი. ლენინის მოთხოვნა წარსულის კლასიკური შემოქმედებითი ტრადიციების მიმღეობის შესახებ როდი ნიშნავდა ხელაღებით ყველაფრის გადმოღებას ან ეპიგონობას, ბრმა მიმბაძველობას. ტრადიციების დაცვა, ლენინის აზრით, ნიშნავდა მათ განვითარებას თანამედროვე ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. ტრადიციებისადმი მხატვრის თავდადება უნდა გამოიხატოს თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ იდეათა ნოვატორულ მხატვრულ ხორცშესხმაში. ვ. ი. ლენინი სასტიკი წინააღმდეგი იყო ცრუ ნოვატორობისა. მას მხედველობაში ჰყავდა ფუტურისტების ფანდები. მათ მიერ შემოთავაზებული რაღაც განყენებული ფორმები, რასაც ისინი „ნოვატორობისა“ და ორიგინალობის მარკით ასაღებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეს ცრუ, ფორმალისტური მიმდინარეობანი ზოგიერთების აზრით მოდურ გამოვლინებად ითვლებოდა ხელოვნებაში. ლამაზი, ლენინის აზრით, უნდა გადმოვიღოთ როგორც ნიმუში, თუნდაც „ძველი“ იყოს იგი, ხოლო უნდა დავგმოთ „ახალი“ თუ კი იგი უუნაროა ადამიანებს განაცდევინოს ესთეტიკური სიხარული და ამით შეუძლია დამალოს ხელოვნება.

მხატვრული მემკვიდრეობის ათვისება-განვითარებისათვის პარტია ეწეოდა ბრძოლას ორი მიმართულებით: იმათ წინააღმდეგ, ვინც ნიჰილისტურად (უარყოფითად, სიძულვილით) ეკიდებოდა კულტურული მემკვიდრეობის როლს საბჭოთა საზოგადოების წინსვლისათვის და იმათ წინააღმდეგ, ვინც წარსულის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებას წყვეტდა თანამედროვე მოთხოვნათა სფეროსაგან, თავს იზ-

ღუდავდა ძველი კულტურისადმი პასიური მიდგომითა და ბრმა მიმბაძველობით.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას, პარტიის წინაშე მთელი სისრულით დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ხელოვნება ხალხის მშრომელი მასების სამსახურში ჩამდგარიყო. ვ. ი. ლენინის მოძღვრება ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის შესახებ მხატვრული კულტურის სფეროში პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და დადგენილებების ქვაკუთხედი გახდა. ჯერ კიდევ 1920 წელს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტორგანიზაციებისადმი შემუშავებულ თავის წერილში გადაჭრით დაჰგმო „პროლეტკულტელთა" მავნებლური საქმიანობა — „ცარიელ" ნიადაგზე, კარჩაკეტილი „ლაბორატორიული" ხერხებით, კლასიკური მემკვიდრეობის დაგმობითა და გვერდის ავლით, ახალ პროლეტარულ სახელმწიფოსაგან „ავტონომიური" გამოყოფის პირობებში „წმინდა" პროლეტარული კულტურის შექმნის ცდები. მშრომელთა ფართო ფენებისათვის გათვალისწინებული ახალი მხატვრული კულტურის შექმნის აუცილებლობა მოცემულია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის რეზოლუციაში — „მხატვრული ლიტერატურის სფეროში პარტიის პოლიტიკის შესახებ". ამ ისტორიულმა დოკუმენტმა არამარტო თავი მოუყარა მწერლებს პარტიის წინაშე დასახული იდეოლოგიური ამოცანების პრაქტიკული განხორციელების გარშემო, არამედ ხელი შეუწყო სინამდვილის მხატვრული ასახვისას სწორი რეალისტური მეთოდის ათვისებაში.

სოციალისტური მხატვრული კულტურის შენებას შემდგომში ბარიერებად გადაეღობა ცალკე ჯგუფებად არსებული საბჭოთა მხატვრული ორგანიზაციების არაორგანიზებულობა, დაქსაქსულობა და ერთი მონოლითური მსოფლმხედველობის უქონლობა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებით ბოლო მოეღო დაჯგუფებებსა და დაქსაქსულობას. პარტიამ ერთ მიზანს დაქვემდებარებულ ფართო კავშირებად გააერთიანა ცალკე ჯგუფებად არსებული შემოქმედებითი კადრები, დაუსახა მათ თანამედროვე ეტაპზე ხალხის მოთხოვნათა შესაბამისი პრაქტიკული ამოცანები და საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებით მეთოდად აღიარა სინამდვილის ჭეშმარიტი მხატვრული ასახვის ყველაზე ნაცადი ხერხი — სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

პარტია განუხრელად ატარებდა ხელოვნებაში რეალისტური მეთოდის დაცვის ლენინურ პრინციპს და არასდროს არ შეჰგუებია ასახვის რეალისტურ გზიდან გადახრის ოდნავ გამოვლინებასაც კი. ამის აშკარა დადასტურებაა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 — 1948 წლების დადგენილებანი.

საბჭოთა ხელოვნებამ განვითარების რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო. მას შემდეგ, რაც სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება ჩვენს ქვეყანაში მომავალი დიადი ეპოქის მშენებლობის პერსპექტიული გზები, იმპერიალისტური კაპიტალიზმი აძლიერებს თავდასხმებს იდეოლოგიური მუშაობის ფრონტზე ჩვენს წინააღმდეგ. მოცემულ ეტაპზე კომუნისტური პარტია განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდება საბჭოთა ხელოვნებას, მის როლს ჩვენი საზოგადოების წინსვლის საქმეში. სკკპ პარტიის XXII ყრილობაზე გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში მიუთითა იმ უდიდეს როლზე, რასაც ასრულებს ჩვენი ხელოვნება საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, ზნეობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში. ხელოვნების პარტიულობის შესახებ ლენინური მოძღვრების სახელმძღვანელო პრინციპების მომარჯვებით ლ. ი. ბრეჟნევი აანალიზებს ხელოვნებაზე პარტიული ხელმძღვანელობის უნარს გაიტაცოს ხელოვნება ხალხისადმი სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი თოფურია

# კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია

## ორი რომანის მიხედვით

თანამედროვე ქართული პროზის პრობლემური საკითხების განსახილველად ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქციამ 1970 წლის დამლევს მოაწყო რუს და ქართველ კრიტიკოსთა შეხვედრა „მრგვალი მაგიდის“ გარშემო. ამ შეხვედრაზე წარმოთქმულ შესავალ სიტყვაში ბესარიონ ჟღენტი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ „ადამიანის პირადი ბედით გამძაფრებული დაინტერესება, ადამიანისადმი თანაგრძნობა ცხოვრების ყოველგვარი სირთულისა და სიძნელის შემთხვევებში მძლავრად მკვიდრდება თანამედროვე ქართულ პროზაში... და, ამასთან ერთად, ჩვენს მხატვრულ პროზაში თანმიმდევრულად ძლიერდება კრიტიკული პათოსი — დაუზოგავი მხილება სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეებისა, წარსულის მახინჯი გადმონაშთებისა, მანკიერი ადამიანებისა, რომლებიც წინ ეღობებიან და აფერხებენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლას მისი მაღალი საბოლოო მიზნისაკენ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1971, № 4).

კრიტიკული პათოსი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული პროზის ერთ-ერთი მთავარი ნიშანდობლივი თვისება იყო. განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა ეს თვისება ე. წ. „რევოლუციურ-დემოკრატიული“ მწერლობის შემოქმედებითს ნიმუშებში. ეროვნული და სოციალური ხასიათის მწვავე კონფლიქტები, კლასობრივ უთანასწორობაზე აგებული ანტაგონისტური დაპირისპირებები და წინააღმდეგობანი — აი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის წარმოშობის ძირითადი საფუძვლები. კონკრეტულ-ისტორიული ეპოქების თვით ლიტერატურულმა პრაქტიკამ წარმოშვა და განსაზღვრა კრიტიკული რეალიზმის, როგორც გარკვეული გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების, თეორიულ-ესთეტიკური პრინციპები. კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დადებითი, გმირი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას არსებული სინამდვილის მიმართ, არსებული სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის მიმართ. ამ გამოხატვის ფორმა მრავალნაირი იყო, შედეგი კი ყოველთვის ერთი: დადებითი გმირის მარცხი, განწირულება, ტრაგიზმი. სწორედ ამაში ვლინდებოდა შეურიგებელი წინააღმდეგობა დადებითი გმირის მებრძოლ, პროგრესულ იდეალებსა და არსებულ კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს შორის. კრიტიკულ რეალიზმს თავისთავად უნდა გამოსცლოდა ნიადაგი მისი წარმომშობი ეკონომიური ბაზისის ძირფესვიანი მოსპობის შედეგად. და ასეც მოხდა.

სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ეპოქამ მთელ ჩვენს მრავალეროვან ლიტერატურაში ჰეგემონიური როლი მიაკუთვნა სინამდვილის გამოსახვის ახალ მეთოდს, რომელსაც სტალინმა 1931 წელს, გორკის ბინაში მწერლებთან შეხვედრისას, სოციალისტური რეალიზმი უწოდა. სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური პრინციპები ჩვენი ლიტერატურის პრაქტიკის, მისი ისტორიული გამოცდილების ღრმა თეორიული განზოგადების საფუძველზე შემუშავდა. ამ პრინციპებისათვის, როგორც ტრადიციის გაგრძელება, არასოდეს არ ყოფილა უცხო კრიტიკული ელემენტები, შემტევი,

მამხილებელი ტენდენცია. სოციალისტური რეალიზმის ყოველ კლასიკურ ნიმუშში უეჭველად პოულობდა გამოხატულებას დადებითისა და უარყოფითის, ბოროტებისა და სიკეთის — ცხოვრების ამ მარადიული ორი სუბსტრატის დაპირისპირების ნიშნები. მაგრამ ამ დაპირისპირებაში, კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, ყოველთვის დადებითის სიდიადე, გაბატონებულ სოციალურ სისტემასთან მისი ჰარმონიულობა და პერსპექტიული განვითარება ჩანდა. პირველ ხანებში, 1920-30-იანი წლების სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში, კონფლიქტს კვლავ კლასობრივი წინააღმდეგობები ასაზრდოებდა. შემდგომ ჩვენს ქვეყანაში ანტაგონისტური კლასობრივი ძალების ლიკვიდაციამ მოხსნა კონფლიქტების კლასობრივი ხასიათი და იგი კლასიფიცირებულ იქნა ახალი გაბატონებული საზოგადოებრივი ფორმაციის ზრდისა და განვითარების სიძნელეებით განპირობებულ წინააღმდეგობებად. ერთხანს ამ წინააღმდეგობების თითქოსდა გაქრობის საფუძველზე „უკონფლიქტობის“ თეორიაც გავრცელდა. ამჟამად არსებულ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს უმთავრესად „ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა ურთიერთობის მორალურ-ეთიკურ სფეროს“ უკავშირებენ და სავსებით სამართლიანად აქცევენ მას თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათა ორბიტში.

როგორი სქემატურიც არ უნდა იყოს კონფლიქტების ხასიათის შესახებ ეს მცირე ექსკურსი, უცილობელი და შეუვალი ფაქტია, რომ განვლილი ხუთი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) მხატვრულ ლიტერატურაში კრიტიკული პათოსი და მწერლის მამხილებლური ტენდენცია არასოდეს გამოჩენილა ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც დღეს, როცა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლების შექმნის გზაზე ესოდენ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. ტექნიკური პროგრესისა და კოსმოსური საოცრების ეპოქაში ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჯანსაღი და მოწინავე ტრადიციების განმტკიცების გვერდით, როგორც ჩანს, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი მიდრეკილებებისა და ინსტინქტების, პირადულის და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთშეხამების ზოგიერთი მახინჯი, ეგოისტური ფორმა და გამოვლინება.

უკანასკნელ ხანებში ძველი და ახალი თაობის ჩვენმა მოწინავე მწერლებმა: კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოთხრობაში — „გაუმარჯოს დონკიხოტს“, გრიგოლ ჩიქოვანმა პუბლიცისტურ მოთხრობაში — „მშვიდობით, არჩილ“, რევაზ ჯაფარიძემ „ვერცხლის აბლაბუდაში“, არჩილ სულაკაურმა „აბელის დაბრუნებასა“ და „ოქროს თევზში“, ნოდარ დუმბაძემ „ნუ გეშინია, დედაში“, თამაზ ჭილაძემ „აჰა, მიიწურა ზამთარში“, ედიშერ ყიფიანმა „წითელ ღრუბლებში“, ლადო მრელაშვილმა „ყაბახში“, ვანო ურჯუმელაშვილმა „ჰიამაიასა“ და „ფერიცვალობაში“, ელიზბარ მაისურაძემ „დაკარგულ ოცნებებში“, რეზო ჰეიშვილმა „დალიში“ და სხვ. სცადეს აესახათ და მოეცათ ჩვენს სინამდვილეში მომხდარი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ცვლილებები და ამის შედეგად წარმოშობილ ადამიანურ ხასიათთა მეტად უჩვეულო, მეტამორფოზული, ქამელეონისებური ნაირსახეობა.

ასე დაგროვდა საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა სერიოზული დაფიქრებისა, თეორიულ-სოციოლოგიური განზოგადებისა და დასკვნებისათვის, რომელთა მიზანი უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების სწორი მიმართულების დასახვა ლიტერატურის პარტიულობისა და სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური პრინციპების პოზიციებიდან. გაკვრით შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ომისშემდგომი პერიოდის ჩვენს პროზაში, კრიტიკული პათოსის დამკვიდრების თვალსაზრისით, უპირველესად, სახსენებელია მწერალი ოთარ ჩხეიძე, რომელმაც ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში თანამედროვეობის ბევრი მტკივნეული პრობლემა წინა პლანზე წამოსწია და ის მხატვრული გამოსახვის საგნად აქცია. მისმა დაკვირვებულმა თვალმა და ალღომ, წინააღმდეგ იმ ხანებში გავრცელებული „უკონფლიქტობის“ ყბადაღებული თეორიისა, დადებით ნიშნებთან ერთად, მზის სინათლეზე გამოიტანა მანკიერებები ჩვენი ცხოვრებისა. ასე წარმოდგება ჩვენს წინაშე ოთარ ჩხეიძის რომან „ჯებირიდან“ ერთი რაიონის ორი კოლმეურნეობა.

„მანქანები დაესია ორბისს, — ვკითხულობთ რომანში. — ერთბაშად გამოცოცხლდა, ახმაურდა ორბისის მინდვრები. გამხნევდნენ, უფრო გულმოდგინედ აფუსფუსდნენ ბრიგადირები, მერგოლეები, თესლის მიმტანები. ხოდაბუნები გადაითესა და გამხნევდა ყველა, ვისაც აწუხებდა თესვის ჩამორჩენა; გამხნევდნენ მებაღეები, მევენახეები, მებოსტნეები, ბარაქა მიემატა მათ შრომასაც. ერთიდან მეორეს გადაედო მხნეობა და იმედი... პირველ ყოვლისა ლადო სვანელი გამხნევდა. მისი ხალასი ბუნება უცებ მორჩილდებოდა იმედის მცირე გამოვლინებასაც. გაეფანტა დილანდელი დაბნეულობა, შიში, წელში გასწორდა, გათამამდა“ (ქართული პროზის ალმანახი, 1953, გვ.473).

ხომ არ აჭარბებს მწერალი, როცა ასეთი პათეტიკური სიტყვებით გვიჩვენებს მდგომარე-

ობის უეცარ გამოსწორებას? იქნებ მეტი დრო და მანძილია საჭირო? არა, ამ შემთხვევაში მწერალი არ სცილდება ზომიერების საზღვარს. ორბისში მომხდარი სახეცვლილება ნაწარმოებში მოცემულია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, პარტიის რაიონული კომიტეტის კონკრეტული, საქმიანი, ოპერატიული ხელმძღვანელობის, ირაკლი შუბითიძის ორგანიზატორული ნიჭის დამაჯერებლად ჩვენების ფონზე. ეს უკანასკნელი თავიდანვე იხატება ჩვენს წინაშე როგორც მბორგავი, დაუღალავი ენერგიის, შეუდრეკელი ხასიათის პარტიული მუშაკი, რომელიც მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნებულობით წყვეტს ყოველ საკითხს, ყოველ პრობლემას; მისი წარმატების ძალა, უწინარეს ყოვლისა, ხალხთან, ადამიანებთან ცოცხალ კავშირშია. იგი ებრძვის ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ მეთოდებს, მხარს უჭერს და ნერგავს ყოველ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებას, რასაც სიკეთე მოაქვს თვით ხალხისათვის, მაგრამ ამ ბრძოლაში შუბითიძე გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. ეს წინააღმდეგობანი თანდათან რთულდება, ღრმავდება და ნაწარმოებში სიუჟეტის დრამატული განვითარების საფუძველი ხდება.

ხალხის უფლება, ხალხის ნება მაღლა დგას ყოველგვარ ნებაზე და უფლებაზე — ასეთია ნაწარმოების მთავარი აზრი. ამ უფლებას და ნებას ემყარება ირაკლი შუბითიძე, როცა ის, მიუხედავად წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის, გაბიუროკრატებული და მლიქვნელი აპოლონ კორკოტაძის ხელშემშლელი მოქმედებისა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სათავეში უდგება ხალხისავე ინიციატივას, ქედს არ იხრის დაბრკოლების წინაშე და იბრძვის დასახული მიზნის ბოლომდე განხორციელებისათვის.

ასე უპირისპირდება ნაწარმოებში გაბედული, ინიციატივიანი რაიონული პარტიული მუშაკი — ერთ-ერთი რესპუბლიკური სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, რომელიც მოწყვეტილია ხალხს და კანცელარიულ მიმოწერაში ახრჩობს ცოცხალ საქმეს. ამ დაპირისპირებაში იყო ცხოვრების რეალური კონფლიქტების სიმართლე, მაგრამ ნაწარმოებში იგი ვერ ამაღლდა მხატვრული სიმართლის დონემდე, რამაც მას ვერ მიანიჭა მამხილებელი ძალა და პათოსი.

ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა ძალოვიანი ქართული სიტყვის მფლობელის, მწერალ ლადო მრელაშვილის ვრცელი რომანი „ყაბახი“, რომელშიც თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის მრავალმხრივ საინტერესო, დამაფიქრებელი და მეტად პირუთვნელი პანორამაა გადაშლილი. ამ რომანის მთავარი ამოცანაა უჩვენოს სოფლის კომკავშირული ახალგაზრდობის ძალა, მისი როლი და დანიშნულება კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების, სოფლად კულტურული მშენებლობის საქმეში. ნაწარმოების მთელ ლეიტმოტივს განსაზღვრავს ცნობილი ხალხური ლექსის დასაწყისი ორი ტაეპი „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“, რომელსაც ღიღინით წარმოსთქვამს ლაღ ოცნებაში გართული მისი მთავარი გმირი პირველი წიგნის მესამე თავში. თვით ასეთი აქტუალური, სადღეისო პრობლემის დასმა ჩვენი ნიჭიერი მწერლის სწორ ორიენტაციაზე მეტყველებს.

იგი გვევლინება არა როგორც „მეთვალყურე“ იმ ფაქტებისა და მოვლენებისა, რომლებიც რომანშია ასახული, არა როგორც მათი რეგისტრატორი და ემპირიული აღმწერი, არამედ ამ ფაქტებისა და მოვლენების თითქოსდა უშუალო მონაწილედ, მათ განმსჯელად და ანალიტიკოსად, მახინჯი მხარეების დაუზოგველ მხილებლადაც და წინსვლის გზაზე ხელშემშლელი ფაქტორების გამოსწორებისათვის ბოლომდე მებრძოლადაც. ეს ორი ნიშანი — დანაშაულებათა მხილება და ქმედითი ბრძოლა მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესებისათვის — ლადო მრელაშვილის „ყაბახის“ ერთ-ერთი უპირველესი ღირსებაა.

ამ ფონზე ნაწარმოებში დახატულ სახეთა შორის ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებულად იქცევს სწორედ ის მთავარი მოქმედი გმირი, შავლეგო შარმელაშვილი, რომელიც უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მიღების, არქეოლოგიის დარგში საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის მიუხედავად, არათუ კავშირს წყვეტს თავის მშობლიურ სოფელთან, არამედ სათავეში უდგას ჭალისპირის კოლმეურნეობის მთელ ახალგაზრდობას, რაზმავს და განაწყობს მათ კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, იჩენს პრინციპულობას და შეურიგებლობას საკოლმეურნეო დოვლათის მტაცებლებთან, გამნიავებლებთან და წამგლეჯებთან ბრძოლაში და ხალხის მხარდაჭერით თვით ხდება თითქმის დაშლის კარამდე მისული თავისივე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ერთი შეხედვით თითქოს საქმე გვაქვს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის კარიერისტულ მიდრეკილებასთან — ნიკოს შეცვლაში შავლეგოს მიუძღვის გადამწყვეტი როლი — მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება სრულიადაც არ გამომდინარეობს თვით შავლეგოს ხასიათის შინაგანი ბუნებიდან, მისი სულიერი და საზოგადოებრივი მისწრაფებებიდან, იმ იდეალებიდან, რომლებისთვისაც იგი იბრძვის და სხვებსაც აიძულებს იბრძოლონ. ეს არის თავისი მშობლიური სოფლის წინსვლისა და ამაღლების, პატიოსანი შრომის დაფასების, მხოლოდ ამ გზით ადამიანის ღირსების განდიდების, იმ და-

კარგული რწმენის აღდგენისა და ადამიანთა გულებში კვლავ მტკიცედ ჩაბუდების იდეალი, რის შედეგადაც ჭალისპირელებს ნიკოს თავმჯდომარეობის ადრეულ წლებში „ურმებით მიჰქონდათ ხოლმე სახლში პურ-ღვინო“.

მაშასადამე, შავლეგოს მიზანია არა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, არამედ ამ ძალაუფლების გამოყენებით საერთო, სახალხო, საზოგადოებრივი საქმის წინ წამოწევა, მისი გამართვა, მოწინავეთა რიგებში ჩადგომა, კოლექტიური შრომის სიდიადის კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით ჩვენება. ეს თვისება— ჩამორჩენილობასთან, მომხვეჭველობასთან, შეურიგებლობა და მოთხოვნილებად ქცეული დიდი და ფართო მასშტაბის საქმეებით გატაცება — თანამედროვე კეთილსინდისიერი ადამიანის ერთ-ერთი განუყრელი თვისებაა. ამ თვისების დანახვასა და მის მხატვრულ წარმოსახვაშია საძიებელი მწერლის აქტიური პოზიციის, მისი ტენდენციის და არსებული მახინჯი მოვლენებისადმი დამოკიდებულების ნიშნები.

რომანის მეორე წიგნის უკანასკნელ მეცხრე თავში ლადო მრელაშვილი ჩვენ გვიჩვენებს ჭალისპირის კოლმეურნეობის ამ ახალი თავმჯდომარის მოქმედების ფართო სარბიელს, მის გეგმებს და ოცნებებს, მის პრაქტიკულ-ორგანიზატორულ ნაბიჯებს და იმ პირველ შედეგებს, რომლებიც მოყვა ახალგაზრდობის გამარჯვებით დაწყებულ ახლებურ საქმიანობას. შავლეგოსა და მისი თანამებრძოლების — შაქროს (ჩასაბერას), ერმანას, რევაზის და სხვ. მოქმედების მთავარი დევიზია — მამა-პაპათა წმინდა საქმის წმინდად გაგრძელება. მწერალი პერსპექტიულად გვახედებს ამ გაგრძელების შესაძლებლობაში. რაიკომის ერთ-ერთ მდივანთან თეიმურაზთან საუბარში თავის ძალებში ღრმად დარწმუნებული შავლეგო ასე აყალიბებს კოლმეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის კონკრეტულ გზებს:

„—ოო, რწმენა, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზ, განა ეს შენ გესწავლება? თუ კოლმეურნეს არ სჯერა, რომ მისი შრომა ნაყოფს გამოიღებს, ის არასოდეს მუყაითად და გულდადებით არ იმუშავებს. თუ არ სჯერა, რომ მისთვის ზრუნავენ, ის ყოველთვის მაგიერითვე მიაგებს. რატომ ხდება, რომ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე გაცილებით მეტი მოსავალი მოჰყავს გლეხს, ვიდრე იმავე ზომისა და წონის საკოლმეურნეო ნაკვეთზე? მხოლოდ იმიტომ, რომ საკარმიდამოთი დაინტერესება უფრო დიდია. ეს მისი პირადი ინტერესებიდან გამოდის. იქ, სადაც ნაკლებ ეხამება საზოგადოებრივი ინტერესები პირად ინტერესებს, შრომის ნაყოფიც ნაკლებია. გლეხს უნდა სწამდეს: რაც მეტს აწარმოებს, მით უფრო მეტს მიიღებს! სადაც შრომის ნაყოფით მატერიალური დაინტერესება არ არი, იქ ინიციატივა ჩაკლულია, ხოლო სადაც ინიციატივაა ჩაკლული, იქ შრომის ნაყოფი ნაკლებია“ („ყაბახი“, წიგნი II, 1969, გვ. 334-335).

რამ დაუკარგა ეს რწმენა ჭალისპირელ კოლმეურნეებს? მარტოოდენ მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულვებელყოფამ? რატომ გაურბიან ისინი საკოლმეურნეო შრომას? რამ მიიყვანა ეს კოლმეურნეობა დაშლის კარამდე? აი ამ კითხვების ამოხსნაში ჩანს ნაწარმოების კრიტიკული პათოსი და მკვეთრი მამხილებლური ტენდენცია. ამიტომ მისი მთავარი ღირსება ამ ტენდენციის პირუთვნელ გამოსახვაში უნდა დავინახოთ. ლადო მრელაშვილი ვარდებს არ აჩენს იქ, სადაც მიდამო დროებით „ეკალ-ბარდებითაა“ დაფარული.

ამ „ეკალ-ბარდებში“ შეხედვის საშუალებას იძლევა შავლეგოს პაპა მოხუცი გოდერძი, რომელიც შვილიშვილთან საუბარში პირდაპირ და მოურიდებლად ააშკარავებს საკოლმეურნეო წესდების დარღვევის უხეშ ფაქტებს. ეს ის გოდერძია, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, რომელიც პირველი შევიდა ჭალისპირის კოლმეურნეობაში მთელი თავისი „ავლადიდებით“, რომელსაც არავისზე „ნაკლები შრომადღეები“ არა აქვს გამომუშავებული და მაინც წლის ბოლოს შრომადღეზე შვიდასი გრამი პურის მიღებით ცხოვრება ვერა და ვერ მოუწყვია. მას საკარმიდამო ნაკვეთად ნორმით გათვალისწინებული „ჰექტარის ოცდახუთმეტი მეასედი“ მიუზომეს, ხოლო „ნიკოს ცოლისძმებს იმოდენა ვენახები აქვთ, რომ ძლივს უვლიან... აბა რომელი მათგანი გამოვა კოლმეურნეობაში სამუშაოდ მანამდე, სანამ თავის საკუთარ მიწას არ დაამუშავებს... თვითონ „პობედით“ დაბრძანდებიან და მე კი ღორი რომ არ ვიყოლიო, ზამთარ-ზაფხულ უქალამნოდ დავრჩებოდი... ეს ჩვენ მოვახდინეთ რევოლუცია და მენშევიკების გარეკვაც, მაგრამ მარჯვენას ვფიცავ, რომ მცოდნოდა, ამ სოფლის წურბელების ხელში მოვხვდებოდი, თითსაც არ გავანძრევდი. აბა, ჯეილო, მითხარი, სად არის აქ თანასწორობა?“ („ყაბახი“, წიგნი 1, 1965, გვ. 98).

შავლეგოსადმი მიმართულ გოდერძის ამ გაბრაზებულ, პირადი უკმაყოფილებით გამოწვეულ უკიდურესად ცალმხრივ სიტყვებში მაინც გარკვეულად იგრძნობა სიმართლის ნიშნები, მასში გარკვეული სოციალური აზრია ჩამარხული. ეს აზრი აწუხებს და აღელვებს არა მხოლოდ შავლეგოს, არამედ ჭალისპირის მთელ მოწინავე, შრომისმოყვარე, მაგრამ იმედდაკარგულ ახალგაზრდობას.

მაგრამ ჭალისპირის კოლმეურნე ახალგაზრ-

დობაში ოპტიმისტური რწმენის აღდგენამდე ნაწარმოები კვლავ მოურიდებლად გვიჩვენებს გოდერძის მიერ დახატულ ნეგატიურ სურათებზე კიდევ უფრო მუქ ფერებს. მეფუტკრე თომა სოფლის ექიმთან და შავლეგოსთან საუბარში „შინაურ ტურებად“ და „გარეულ მგლებად“ ნათლავს ყველა მათ, ვინც კოლმეურნეთა ნაშრომ-ნაოფლარს თავისი პირადი კეთილდღეობისათვის იყენებს. მათი რიცხვი კი არც ისე მცირეა. ესენი არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნასყიდა, მეცხვარეობის ფერმის გამგე ნაბია, კოლმეურნეობის ღვინის წერტის გამგე ვახტანგი, საკოლმეურნეო სასადილოს გამგე კუპრაჭა და სხვა, ამათთან ბნელი და საეჭვო გზებით დაკავშირებულნი არიან რაიონული მასშტაბის მთელი რიგი „გავლენიანი“ ხელმძღვანელი მუშაკები. კოლმეურნეობაში შექმნილია მეჭურჭლეობის, მექოთნეობის და მედურგლეობის კერძო სახელოსნოები და საამქროები. ამ მოჩვენებითი „საზოგადოებრივი საწარმოების“ საშუალებით ჭალისპირში აშკარად საგრძნობი გახდა ერთი, შედარებით „მაღალი ფენის“ იოლი გზით გამდიდრება, ხოლო მეორე, შედარებით „დაბალი ფენის“ (როგორც მაგალითად, გოდერძია) თანდათანობით გაღარიბება. რის შემდეგ დაიწყო ასეთი თავაშვებულობა კოლმეურნეობაში? რამ გამოიწვია ნიკოს ასეთი გადაგვარება?

მწერალი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ მიზეზებზე, რომლებმაც წარმოშვა ესოდენ დიდი კონტრასტი ნიკოს ხელმძღვანელობის ადრინდელ და უკანასკნელ პერიოდებს შორის, „— შენ მაშინ ბალღი იყავი, — ეუბნება თომა შავლეგოს, — მაგრამ ნიკოს თავმჯდომარეობა მაინც გეხსომება. პაპაშენს ურმებით მიჰქონდა ხოლმე სახლში პურ-ღვინო. თვითონ თავმჯდომარე არ ჭამდა და არც სხვას უშვებდა საჭმელად. მერე კი დრომ თავისი გააკეთა. ვერც კი შეამჩნია, როდის დაიწყო, და დღეს უკვე ველარ გაუნებებია თავი. მოსწყინდა მაგასაც კაიკაცობა, ხედავდა, რომ მაინც ვერ შეაკავებდა და თვითონაც დაიწყო“ („ყაბახი“, წიგნი I, 1965, გვ. 482).

აქედან აშკარად ჩანს, რომ როცა ნიკო ადრე თურმე მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას, როცა მასში მომთხოვნელობა შეხამებული იყო ადამიანებისათვის ზრუნვის დიდ საზოგადოებრივ ინტერესებთან, როცა მისი მუშაობის „სტილი“ ეთანხმებოდა და ეფარდებოდა საერთოდ დანერგილ ერთიან, მტკიცე ხელმძღვანელობის სტილს, მაშინ კერძო მესაკუთრული ინსტინქტების თანდათანობით აღმოფხვრის საფუძველზე ასევე თანდათანობით ძლიერდებოდა საზოგადოებრივი დოვლათი, რაც მის შემქმნელთა შორის შრომითი დამსახურების მიხედვით თანაბარი განაწილების შედეგად მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას უქადდა კოლექტივის თითოეულ წევრს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მუშაობისა და ხელმძღვანელობის ეს „ერთიანი სტილი“ დაირღვა, მას შემდეგ, რაც „არ წყენინების“, „შენც სუ და მეც სუს“ პოლიტიკამ თვით რაიკომის პირველი მდივნის ლუარსაბ სოლომონიჩის გარშემოც კი გაზარდა საეჭვო საქმოსანთა რიცხვი, ნიკომ შეატყო, რომ „ვენახის ერთი ქურდის“ უკან მისი ხუთი მფარველი იდგა, რომ ამ ერთი ქურდის დაჭერით მაინც „ვერ შეაკავებდა“ საზოგადოებრივი ქონების დატაცების პროცესს და თვითონაც „ახლა მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ მეოთხე მსუბუქი მანქანა ახლა მეხუთით როგორ შეცვალოს“.

ნაწარმოებში იმარჯვებს რევაზის სიმართლე და შავლეგოს თანმიმდევრული შეუდრეკელი პოზიცია ხალხის ინტერესების დასაცავად. ამით მწერალმა სავსებით სწორად გვიჩვენა ჩვენი სინამდვილის არა მხოლოდ მახინჯი მხარე, არამედ მისი დაძლევის რეალური შესაძლებლობაც. კოლმეურნეობის ახალგაზრდა, გამჭრიახი ხელმძღვანელი შავლეგო ერთგვარი „პარტიზანული“ მეთოდებით იწყებს მუშაობას. მას გვერდით უდგას სასოფლო საბჭოს ასევე ახალგაზრდა თავმჯდომარე ერმანა, რომელიც მანამდე ჭალისპირის კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მათი პირველი ნაბიჯები მიმართულია საკოლმეურნეო შრომითი დისციპლინის განმტკიცებისაკენ, წესრიგისა და კანონიერების აღდგენისაკენ სოფლად, იმ უყაირათობის უმსგავსების და თვითნებობათა აღმოფხვრისაკენ, რომლებიც ნიკოსა და ნასყიდას „ხელმძღვანელობის“ წყალობით კოლმეურნეობიდან გაქცევის პირობებს უქმნიდა გამრჯე და პატიოსან გლეხებს.

შავლეგოს ხასიათსა და მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ ხანებში სოფლად წარმოშობილი „სპეკულანტური“ ელემენტების მრისხანე და ულმობელ მსაჯულს. ერთი ასეთი პერსონაჟთაგანია ვახტანგ ჭარხალაშვილი — ჭალისპირის საკოლმეურნეო ღვინის წერტის გამგე თელავში, რომელსაც რატომღაც უფრო ახლო კავშირი აქვს რაიკომთან, ვიდრე იმ კოლმეურნეობასთან, რომელსაც იგი ექვემდებარება. ამიტომ შავლეგოს მრისხანება კოლმეურნეობის მრისხანებაა და მისი გადაწყვეტილება ვახტანგის ქონების კონფისკაციის შესახებ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ხალხის მრისხანების, „კანონების შემქმნამდე“ თვით ხალხის მიერ შექმნილი დაუწერელი „კანონის“ გამოხატულება.

„... თქვენ აქ, ჩვენს სოფელში, — ეუბნება შავლეგო რაიკომის მდივნის თეიმურაზის თანდასწრებით თავის სამუშაო კაბინეტში გამოძახებულ ვახტანგს კოლმეურნეობის თავმჯდო-

მარედ არჩევის მეორე დღესვე, — ჭალისპირში საშრობის გამგედ ყოფნისას კოლმეურნეობიდან მითვისებული ქონებით შეიძინეთ ერთი ორსართულიანი სახლი — დაბლა-მაღლა რვაოთახიანი და სათავსოებიანი. ეზოში ათასხუთას ძირიანი ვაზის ახალშენია და ოცდაშვიდძირიანი ახალნარგავი ხეხილი... — შავლეგომ უჯრა გამოსწია და რამდენიმე სუფთა თაბახის ფურცელი დაუდვა წინ.— თქვენ ახლა ორ განცხადებას დაწერთ: ერთი იქნება ჭალისპირის კოლმეურნეობიდან გასვლისა, მეორე... მეორე განცხადებაში აღნიშნული იქნება, რომ ჭალისპირში თქვენ მიერ შრომითი დანაზოგით აშენებულ, თქვენდამი კუთვნილ სახლს ეზოკარითა და უძრავ-მოძრავი ქონებით საჩუქრად აძლევთ თელავის რაიონის სოფელ ჭალისპირის „წითელი ვარსკვლავის“ სახელობის კოლმეურნეობას.., საბავშვო ბაღისათვის. — მელანი და კალამი მიუწია. — ეს, როგორც საჭიროა, სათანადოდ გაფორმდება და ყველა შედგენილი საბუთი მე გადმომეცემა... დღესვე! ახლა ერთიც და საბოლოო: რაც თქვენ ჭალისპირის კოლმეურნეობის სახელით ფულადი თანხა შეგიძენიათ, იქიდან მყვლეფელთა დაუწერელი კანონის ძალით, ამ კოლმეურნეობას ეკუთვნის პროცენტები მისი სახელის გამოყენებისათვის. ამ პროცენტების მინიმუმის მინიმუმს — ათი ათას მანეთს გადასცემთ ჭალისპირის კოლმეურნეობას წყალსაქაჩის შესაძენად!“ („ყაბახი“, წიგნი მეორე, 1969, გვ. 346).

სიხარბე და გაუმაძღრობა ყოველთვის მძვინვარებს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის სული იცლება წმინდა და ფაქიზი იდეალებისაგან და ივსება და იბურება „მუცლის გაზრდის“ ცხოველური ინსტინქტებით. რაკი ვახტანგის, ისე როგორც კუპრაჭას, ცხოველური არსება ამით არის გაჟღენთილი, შავლეგოს ისღა დარჩენია უმტკივნეულოდ, პროკურატურისა და მილიციის ჩაურევლად. „მყვლეფელთა დაუწერელი კანონის ძალით“ სოფელს დაუბრუნოს სოფლის სახელით მიტაცებული ქონება. შესაძლოა აქ, თეიმურაზის შენიშვნისა არ იყოს, „პარტიზანულ გამოხდომებთან“ გვქონდეს საქმე, მაგრამ იგი ნაკარნახევია სოფლად შექმნილი, მეტად დაძაბული, კრიტიკული სიტუაციის მიერ და, გარკვეული გამართლება აქვს კანონმდებლობის ამგვარ ცხოვრებისეულ შესწორებებს და მცირე „კორექტივებს“.

მართალია, ლადო მრელაშვილის „ყაბახში“ სოფლის ცხოვრების სინამდვილიდან აღებული უარყოფითი მოვლენების გამოსწორების ტენდენციები პერსპექტიულად სავსებით მკაფიოდ არის ნაჩვენები, მაგრამ მათი ძირფესვიანი აღმოფხვრის შესაძლებლობა პერსპექტივაში მწერლის მიერ დამაჯერებლად არ არის დანახული და განჭვრეტილი. ის ფაქტი, რომ ნაწარმოების მიხედვით რაიონული პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ლუარსაბ სოლომონიჩი, მისი სააღრიცხვო სექტორის გამგე ვარდენი და სხვ. ბნელი და საეჭვო ძაფებით არიან დაკავშირებულნი საქმოსანთა წრეებთან, მოწმობს, რომ ჭალისპირში არსებული ფაქტები და დამახინჯებები ცილდება ვიწრო „ტერიტორიულ“ ფარგლებს და უფრო ღრმა, ფართო მასშტაბის ხასიათს იღებს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მარტოოდენ შავლეგოს ძალებით საეჭვოა საკმარისი აღმოჩნდეს.

მთელს იმ ზემოდასახელებულ მასალებს შორის, რომლებიდანაც ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ, მოკლედ და ზოგადად მიმოვიხილეთ ლ. მრელაშვილის რომანი ჩვენს მიერ დასმული პრობლემის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ნიჭიერი მწერლის გურამ ფანჯიკიძის მწვავე პუბლიცისტური და კრიტიკული პათოსით გაჟღენთილი ახალი ნაწარმოები „თვალი პატიოსანი“, რომელიც ჯერ ჟურნალ „ცისკრის“ 1970 წლის მე-12 და 1971 წლის პირველ ნომრებში გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ, მიმდინარე წელს, შესწორებული სახით ცალკე წიგნად გამოიცა. ამიტომ შედარებით ვრცლად უნდა შევჩერდეთ მასზე.

თუ ზოგადი ასპექტით ვიმსჯელებთ (და არა კონკრეტული მიმართებით), მხოლოდ სულით სპეტაკ, გრძნობებით ფაქიზ და მთელი არსებით კეთილსინდისიერ ჭეშმარიტ მწერალს შეუძლია **პატიოსნების** იდეალი აქციოს ისეთივე ამაღლებულ **ესთეტიკურ** იდეალად, როგორიც წინათ, რევოლუციამდელ ჩვენს ლიტერატურაში, თავისუფლების იდეალი იყო. ამ იდეალმა გაიმარჯვა, ეს იდეალი დამკვიდრდა ჩვენში. სოციალისტურმა დემოკრატიამ თავისი მაღალი ჰუმანისტურობით ცხადყო ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალების არნახული გაშლა და განვითარება, ჩვენი ქვეყნის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმტკიცე და ძლიერება. მაგრამ ჩვენი საერთო მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა და ამაღლების პროცესს, უპირატესად განსაკუთრებით უკანასკნელ ორ ათეულ წლებში, ამასთან ერთად, როგორც ეს ახლა ყველასათვის ცნობილია, წამოეზარდა ზოგიერთი ისეთი არაჯანსაღი, დამაფიქრებელი ნიშნები და ტენდენციები (მექრთამეობა, ინდიფერენტიზმი, კარიერიზმი, ეგოიზმი, სიყალბე და სხვა), რომლებიც

ზიანს აყენებენ ჩვენს საზოგადოებას და ხელს უშლიან მის „წინსვლას დასახული საბოლოო მიზნისაკენ". მათი გამოსწორებისათვის ერთობლივი ქმედითი ბრძოლა ჩვენი საერთო გადაუდებელი ამოცანაა.

გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვალი პატიოსანი", უპირველეს ყოვლისა, ამ ამოცანის სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებია და პირველ რიგში მხოლოდ აქეთკენ რაზმავს და განაწყობს მკითხველს. სოციალურ-ზნეობრივი დანიშნულების ეს ლეიტმოტივი არის, ჩვენი აზრით, მისი ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულების, მისი იდეური შინაარსის, ღირსებებისა და წარმატება-წარუმატებლობის მთავარი განმსაზღვრელი პარომეტრი.

თუ ამ სწორი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი იდეურ-ესთეტიკური პოზიციიდან განვიხილავთ ნაწარმოებს, მაშინ, ჩვენ მიერ დასმული პრობლემის თვალსაზრისით, მასში ორი ადგილია ყველაზე საყურადღებო, მრავლისმეტყველი, პოლემიკურიც და შთამაგონებელიც.

მეცამეტე თავში ოთარ ნიქარაძე — რომანის ეს ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი გმირი, თავის უახლოეს მეგობარს თამაზ იაშვილს, ნამდვილი ვინაობის გაუმჟღავნებლად, თითქოსდა გამოსაცდელად, უყვება იმ თავგადასავალს, რაც მას წინა დღეს გადახდა დილმის სასადილოში საქმოსანთა ერთ ჯგუფთან შეხვედრისას (მე-12 თავი). ამ ჯგუფს მეთაურობს დავით თავწვრილა, რომელმაც ოთართან, ექსპერიმენტული ფილმების სტუდიის მუშაკთან და ჟურნალისტთან ნაცნობობა მოხერხებულად გამოიყენა თავისი „ძმაკაცის" ანზორ ხელაძის დასახსნელად. მაგრამ მოულოდნელად იგი და მისი ჯგუფი — ხელაძის ძმა გიზო და არჩილი ოთარის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ვერ გასჭრა ფულის „ეშხმა" და „სურნელებამ", რომლის იმედით ეს ჯგუფი ოთარის გაბრუებას, მის მოსყიდვას ლამობდა. უფრო მეტი: ოთარი იერიშზეც კი გადადის და ქრთამის ცდუნებას თავის სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეს უპირისპირებს. „არ გაინძრეთ, თორემ აგზილეთ ერთმანეთში". — მუქარის ტონით ეუბნება იგი ნირწამხდარ საქმოსნებს, ზიზღით ტოვებს მათ და ქალაქისაკენ მიეშურება. და აი საკუთარ ბინაში დაბრუნებული, თამაზს უყვება წინა დღეს თავს გარდახდილ ამბავს. ვითარების მკაფიოდ წარმოსადგენად მოვიტანთ აქ ოთარის და თამაზის დიალოგის ერთ დამახასიათებელ, მეტად საგულისხმო ეპიზოდს.

„— ...გუშინ ერთმა ჩვენმა მეგობარმა იმოდენა სისულელე ჩაიდინა, ჯერაც ვერ მომინელებია და ალბათ სიკვდილამდე ვერ მოვინელებ.— ეუბნება ვითომდა სხვის შესახებ ოთარი თამაზს.

—... რა ჩაიდინა ასეთი?

— ...იმ ვაჟბატონმა, იმ დიდი ჭკუის კოლოფმა გუშინ უარი თქვა ორმოცდაათი ათას მანეთზე, ორმოცდაათი ათას მანეთზე ახალი ფულით ... მოგეხსენება, საქმოსანი ხალხი კარგა ხანია ძველ ფულზე აღარ ლაპარაკობს.

— ვინ აძლევდა ამდენ ფულს?

— ერთი ქურდი და მამაძაღლი.

— რაში აძლევდა?

— ერთ სიტყვაში.

— რა სიტყვა იყო ისეთი?

—გრძელი ისტორიაა, მაგრამ მოკლედ გიამბობ: ერთმა საქმოსანმა მანქანით გაიტანა კაცი და მოკლა. მან განაცხადა: საჭესთან მე არ ვმჯდარვარ, ვილაცამ ჩემი მანქანა გაიტაცა და ის უბედური იმან გაიტანაო. იპოვეს ერთი კაცი, რომელმაც თავის თავზე აიღო ჩადენილი დანაშაული. ალბათ, ეს იმისათვისაც ხელსაყრელი იყო, თორემ დამეთანხმები, მხოლოდ ქველმოქმედებისათვის ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. ჩემი მეგობარი გახლდათ ერთადერთი მოწმე, რომელმაც ყველაფერი იცოდა. მას უნდა დაედასტურებინა, რომ მანქანის საჭეს უჯდა არა ნამდვილი დამნაშავე, არამედ ის კაცი, რომელიც დანაშაულს თავის თავზე აიღებდა. ეს იყო და ეს. ორმოცდაათი ათასი მანეთი ისე ჰქონდა ჯიბეში, როგორც ორმოცდაათი კაპიკი. მან კი, მან კი, იცი, რა გააკეთა? სიმართლეზე თავი დადო და ფულზე უარი თქვა. თანაც ისინი ფაქტზე გამოიჭირა, დანარჩენი უკვე უნდა წარმოიდგინო, რაც მოხდება.

— თუ ძმა ხარ, გამაცანი, ვინაა ეგ ღვთისნიერი კაცი.

— ნეტა მეც არ ვიცნობდე.

— როგორ, შენ დაეთანხმებოდი, რომ ასეთი საზიზღარი სიცრუე ეთქვა და ფული ჩაეჯიბა?

— რასაკვირველია. — უდასტურებს ოთარი და ამ პასუხით დაეჭვებულ თამაზს შემპარავად მიმართავს:

— ...შენ მათემატიკოსი ხარ და ჩემზე უკეთ იცი ციფრების ყადრი. ორმოცდაათი ათასი მანეთი, ე. ი. ნახევარი მილიონი ძველ ფულზე. ეს თანხა რომ შენთვის დაედოთ წინ, თანაც რისთვის, მხოლოდ ერთი სიტყვისათვის! განა გაუძლებდი ცდუნებას? განა სული არ წაგძლევდა? მით უმეტეს, რომ დალუპული ამხანაგისათვის სულერთია, ვინ ჩაჯდება ციხეში. კიდევ გეკითხები, გაუძლებდი ამ ცდუნებას?

— ჩემი მეგობარი რომ არ იყო, ამ შეკითხვასაც კი შეურაცხყოფად მივიჩნევდი.

— ესე იგი გაუძლებდი. მე კი მეგონა,

მარტო ის ჩემი ძმაკაცი იყო ასეთი ჭკუის კოლოფი.

— ეგ ძალიან იოლი დასაძლევი ცდუნებაა პატიოსანი კაცისათვის („თვალი პატიოსანი", „მერანი", 1972, გვ. 208-210).

ამ რამდენადმე ვრცელ ამონაწერში, ერთი მხრივ, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი დროის ზოგიერთი მანკიერება და უმსგავსოებაა გამოსახული, ხოლო, მეორე მხრივ, მასში ნათლად ჩანს მართლაცდა უდიდესი სულიერი ცდუნების წინაშე ორი თანამედროვე ახალგაზრდის მორალური სისპეტაკის საუკეთესო შთამაგონებელი მაგალითი, თამაზისა და ოთარის „ღვთისნიერობის", მათი ბუნების შინაგანი თვისებებით არგუმენტირების ძალა, ყოველი სინდისიერი ადამიანისათვის ამგვარ ცდუნებათა „იოლად დაძლევის" თვით სინდისის არსსა და მცნებაში მოცემული შესაძლებლობა, ყოველივე ეს კი მკითხველზე გარკვეულ იდეურ-აღმზრდელობითი და ესთეტიკურ-ემოციონალური ზემოქმედების როლს ანიჭებს მთელს ამ ცხოველმყოფელ ეპიზოდს, რომელსაც მისი შინაარსიდან გამომდინარე ასეთი განმაზოგადებელი სათაური შეიძლება მიეცეს: პატიოსნება ადამიანის უმაღლესი ღირსებაა. არა ფული, ნივთი და საგანი უნდა ბატონობდეს მასზე, არამედ სინდისი, რომელიც მუდამ უნდა ანათებდეს სულში, როგორც უწმინდესი და უზენაესი სანთელი.

ზოგს შეიძლება ირონიული ხითხითის მადა გაეღვიძოს ამ სიტყვებზე. პატიოსნება ზეცაშია, — ამბობენ ერთნი. პატიოსანი დღეს ტრაქტორია, — ჩურჩულებენ მეორენი და ასე ვრცელდება ობივატელურ-მეშჩანური სენი. და როგორც მავნე ვირუსების წინააღმდეგ მთელი სახელმწიფო ირაზმება, ისე უნდა დაირაზმოს ჩვენი ხალხის მთელი სულიერი ძალები ამ მავნე, სახიფათო და საშიში სენის წინააღმდეგაც, რადგან ერის უბედურება, როგორც ცნობილია, მისი ეთიკური საყრდენის მოშლიდან და მორღვევიდან იწყება. ამ ეთიკური საყრდენების დაცვისა და განმტკიცებისაკენ არის მიმართული იდეოლოგიური მუშაობის მთელი არსენალი, რომელსაც იყენებს პარტია ხალხის ფართო მასების მორალურ-ზნეობრივი აღზრდისათვის. აქეთკენ გვეძახის და მოგვიწოდებს გურამ ფანჯიკიძის რომანიც „თვალი პატიოსანი".

რომანში კონფლიქტები სწორედ ასეთ მორალურ-ეთიკურ საწყისებზე იშლება და ვითარდება. ეს საწყისი უდევს საფუძვლად წინააღმდეგობას მამასა და შვილს შორის — გრიგოლ იაშვილის სახლიდან თამაზის წასვლას და საცხოვრებლად მარტო გადასვლას საიდუმლოებით მოცულ ბინაზე. შეცდომა იქნებოდა, აქ მხოლოდ თამაზის ფენომენალური ნიჭის, მისი უცნაური გამოვლინებების შეუთავსებლობა დაგვენახა მშობლიური ოჯახის კერასთან. არც მამისა და შვილის ხასიათების სხვადასხვაობა მიიჩნევა სახლიდან თამაზის წასვლის ძირითად მიზეზად. მწერალი ამ კონფლიქტს უკავშირებს მისთვის უფრო მტკივნეულ და მღელვარე საკითხს — ოჯახის გამდიდრების იმ ბნელ და საეჭვო წყაროს, რომლითაც გრიგოლ იაშვილმა, როგორც „ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციის სამნეო ნაწილის გამგემ", ხელი მოითბო და თითქოსდა ზომიერად „გაიმასქნა".

სასკოლო მერხიდანვე, მერვე კლასიდანვე „თამაზის ნათელი გონება, — ვკითხულობთ რომანში, — კარგად ხედავდა, რა წუმპეშიც ცხოვრობდა მთელი ოჯახი". განსაკუთრებით უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მან მწვავედ იგრძნო სახლში გამეფებული „რუტინა", მამამისის საქმოსნობა და „შიშით გამოწვეული ღვთისმოსაობა". „ბევრჯერ გადაწყვიტა მშობლებისათვის ყველაფერი ეთქვა, ბევრჯერ დააპირა გაქსუებული ძმისათვის პირში მიეხალა, თავით ფეხებამდე ჭაობში ხარ ჩაფლულიო, მაგრამ იცოდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა, უსიამოვნებისა და ახალი გულისტკივილის მეტი, ბოლოს თითქოს იპოვა გამოსავალი — სახლიდან წავიდა" („თვალი პატიოსანი", 1972, გვ. 58.).

მაშასადამე, თამაზი, მსგავსად დათოსი, არჩილ სულაკაურის რომანიდან „ოქროს თევზი" და განსხვავებით გივისაგან ნ. დუმბაძის რომანიდან „ნუ გეშინია, დედა", თაღლითობისა და ქურდობის გზით გამდიდრებულ გრიგოლ იაშვილის სახლიდან მიდის პირველ რიგში ამ ქურდობისა და თაღლითობისადმი პროტესტის, მისდამი შეურიგებლობისა და შეუთავსებლობის ნიშნად. მაშასადამე, შვილი გმობს და ზურგს აქცევს მამის ცხოვრების უსინდისო გზას, და ამას იგი ჩადის პირველ რიგში იმის გამო, რომ მას „დიდი ცხოვრება სწყუროდა, დიდი აღმოჩენებით, სიფაქიზითა და სისუფთავით სავსე დღეები" (იქვე, გვ. 43).

სიფაქიზითა და სისუფთავით სავსე დღეებზე თამაზის წრფელი ოცნება ემყარება საკუთარი ძალების რწმენას, ინტელექტს, დაძაბულ შემოქმედებით შრომას და არა ფულს, რომელიც „გრიგოლ იაშვილს ბევრი ჰქონდა, თუმცა იმდენი არა, რამდენის გაკეთება შეეძლო" (იქვე. გვ. 42). ეს ერთი სიტყვა „გაკეთება" აქ ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს იმ დიდ სხვაობას, რომელიც წარმოიშვა დღეს ფულის შრომით მომპოვებელ და მის ყალბი გზით მომხვეჭელთა, მშოვნელთა და მკეთებელთა შორის. გრიგოლ იაშვილის გამდიდრების გზა კომბინატორობის ვიწრო და ბნელი ბილიკებით უერთდება ომარ მელქაძის და მისი ამფსონების მოლიპულ გზებს, რომლებზედაც გარეგნულად ეს „მონტელიგენტო", ცხვრებისა და ბატკნების ქურქში გახვეული თითქოსდა „კეთილი ადამიანები" მგლე-

ბის კბილებით დანავარდობენ. ზოგჯერ ისინი შემდგომ „სახელისა და დიდებისაკენ“, „ძალაუფლებისაკენაც“ კი მიილტვიან და გვევლინებიან როგორც ვითომდა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველნი. — ხაზს უსვამს მწერალი.

როცა 30-იანი წლების ჩვენი განვლილი ეპოქიდან გვადი ბიგვას ფსიქიკას ვაკვირდებით, ვგრძნობთ და ვხედავთ, რომ იგი ნამდვილად იყო დამძიმებული ძველი დროის მახინჯი გადმონაშთებით. მაგრამ გვადის არსებაში კერძომესაკუთრული ინსტინქტის ერთ-ერთი გამოვლინება ბოლოს და ბოლოს იმაში მდგომარეობდა, რომ კოლმეურნეობაში შეყვანილი გოჩა სალანდიას ფურ-კამეჩის ერთი „კათხა“ რძე მიითვისა და მისი „წვრილმანი“ ქურდობაც კი არ დარჩენილა შეუმჩნეველი და გაუკიცხავი. მაშინდელი საზოგადოებრივი გარემო ვერ ურიგდებოდა საუკუნეების მანძილზე ადამიანის სულში ჩაგუბებულ ეგოიზმს და მისი შხამისაგან წმენდდა და ასუფთავებდა მას. განა პიონერ მოსწავლე ბარდღუნიას ალღომ და მოსაზრებულობამ არ გაუღვიძა სულ პირველად გვადის სინანულის, დანაშაულის შეგრძნების, საკუთარ სულში ჩახედვის, სინდისის ქენჯნის გრძნობა?!

დღევანდელი „მსხვილმანი“ ქურდობის, „კერძომესაკუთრული ინსტინქტების“ ზღვრები და მიჯნები, შედარებით 30-იან წლებში შემორჩენილ „გადმონაშთებთან“ წყნეთის სამარხებისა და სხვათა სახით, არსებითად თითქოს წაშლილია და 70-იანი წლების მიჯნაზე ეგოიზმის შხამი, სამწუხაროდ, ჯერ ისევ წამლავს ბარდღუნიას და მის მომდევნო თაობას. ამავე დროს, ასეთ სიმახინჯეთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი, მიუხედავად სათანადო ღონისძიებების გატარებისა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მაინც არასაკმაოა მისი რადიკალურობის თვალსაზრისით.

ჩვენმა ლიტერატურამ უკვე ასახა, და რაკი ლიტერატურულ ფაქტად იქცა, ცხადია და ნათელი, რომ საზოგადოებრივი დოვლათის მითვისების თუ ფულის „მარცხენა ილეთებით გაკეთების“ ხარჯზე ცალკეული ინდივიდების უზომო გამდიდრების ტენდენცია დღეს ისეთ ფაზაშია შესული, რომ ჩვენს ცხოვრებას იგი აშკარად დაეტყო. მოვიგონოთ თვით მწერლის მიერ ამ ფაქტზე გაკვრით მინიშნებული ერთი სიმპტომატური ადგილი განსახილველი ნაწარმოების მეთერთმეტე თავიდან. „ზოგს მშობელი მანქანებით აკითხავს (ლაპარაკია მოსწავლეებზე — ა. თ.), ზოგიერთები კი გულდაწყვეტილი გააყოლებენ თვალს მანქანით მიმავალ, გალაღებულ თანატოლებს და გულისტკივილით შეხედავენ საკუთარი მშობლების უბრალო, მოდაგადასულ ტანსაცმელს, მუშაობით დაკოჟრებულ ხელებს“ („თვალი პატიოსანი“, გვ. 184). კონტრასტული ხასიათის ასეთი ცხოვრებისეული სურათები, საფიქრებელია, გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდი თაობის მორალურ-ეთიკურ აღზრდაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ისტორიულად ყოველთვის თვით სოციალურ გარემოს ნაყოფს წარმოადგენდა.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სავსებით კანონზომიერია თამაზის ფაქიზი სულის ამბოხება მამისეული ხერხებით პირადი გამდიდრების წინააღმდეგ. იგი უნდა შეფასდეს როგორც ჩვენი კომუნისტური იდეოლოგიის მრწამსის, ამგვარ ხერხებთან მისი შეურიგებლობის გამოხატულება, რაც თავისთავად ცხადია, თამაზის სახეს ამ მხრივ კიდევ უფრო მეტ ზნეობრივ-ესთეტიკურ და იდეურ-სოციალურ ფუნქციას ანიჭებს.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ თამაზ იაშვილი ტოვებს პროტესტის ნიშნად ოთარის მიერ საგანგებოდ ორგანიზებულ ქეიფს ქალაქგარეთ, თეთრ დუქანში, სადაც ჩვენი დროის ფულით გაზულუქებული ნაძირალები ჩადიან თვითნებობის ისეთ აქტს, რომლის წარმოდგენა თვით ტარიელ მკლავაძის ფსიქიკასაც კი გაუძნელდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მამხილებელი ფუნქცია ენიჭება რომანის მეხუთე თავს, რომელიც ერთ და იმავე დროს მკითხველში მწარე სინანულსაც იწვევს და ზიზღით სავსე აღშფოთებასაც. სინანულს იმის გამო, რომ მოქეიფეთა ორგიების აღწერაში, „ყოვლად ბანალურ და გულისამრევი ცრუპატრიოტობით, ცრუკეთილშობილებით აღსავსე სადღეგრძელოებში“ ერთბაშად გრძნობ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რა „უზარმაზარი ეროვნული ენერგია“ იფლანგება ყოველდღიურად რესტორნების ასეთ მაგიდებთან იმათ მიერ, ვინც უზრუნველად ხარჯავს „ასევე უზრუნველად და უპატიოსნოდ ნაშოვნ ფულს“. ხოლო ზიზღსა და აღშფოთებას იმის გამო, რომ ომარ მელქაძის, დავით თავწვრილას, მიშას და სხვა საქმოსნების სულიერი დაცემა სათანადო რეაგირების, სათანადო დასჯის გარეშე რჩება.

ეს არამზადები თუ „უთოფო ყაჩაღები“, „სუფრას მოუსხდნენ თუ არა, — ვკითხულობთ რომანში, — თანაც თბილისის ყველაზე მოდურ და ყველაზე ძვირ რესტორანში, თავი საკუთარ სტიქიაში იგრძნეს. აქ ფულს უზარმაზარი გასავალი ჰქონდა. ფული კი ყოველ მათგანს ჩეჩქივით ჰქონდა. ამიტომაც თავის ნება-სურვილებს ყველაზე ფართო ასპარეზი დაუთ-

მეს, მთელი თავისი სულიერი სამყარო მზეზე გამოტანილი ქვეშაგებივით გარეთ გამოაფინეს" („თვალი პატიოსანი", 1972, გვ., 59).

თამაზ იაშვილი ყურადღებით აკვირდებოდა თითოეული მათგანის ქცევას. „იგი ამ ადამიანებში ვერ ხედავდა ვერცერთ საპატივცემლო, დასაფასებელ თვისებას — პატიოსნებას თუ ნიჭს, კეთილშობილებას თუ ვაჟკაცობას" (იქვე, გვ. 61). ოცდარვა წლის თამაზს ახსოვს და აგონდება ის ახლო წარსული დრო, „როცა ფულის უპატიოსნო გზით მშოვნელები მოწიწებით შემოგვცქეროდნენ... ისინი იმითაც დიდად იყვნენ ბედნიერნი, თუ იკადრებდი, გვერდით მოისვამდი და ფულის დახარჯვის საშუალებას მისცემდი. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ისინი ახლა დამამცირებელი მფარველობითაც კი გექცევიან" (იქვე). დაღონებისა და წუხილის როგორი ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით არის ნათქვამი ეს ბოლო სიტყვები! ხოლო დასაღონებელი და შესაწუხებელი კი მართლაც ბევრი რამ არის თვით ამ სიტყვების მიღმა.

და აი როცა ერთი მოქეიფეთაგანი — სახელად მიშა ოფიციანტს ათი ათასი მანეთის ფასად დიდ ტაფაზე შემწვარ ნეკს მოსთხოვს და ფეხზე ამდგარი მთელი დარბაზის გასაგონად ცინიკურად გაჰყვირის კიდეც: „—ხალხი ფეხებზე მკიდია, მე ნეკი მინდა" — თამაზ იაშვილი განრისხებით ტოვებს სუფრას და გზაზე წამოწეულ მეგობარს მთელი ულმობლობით მიახლის:

„— ვთქვათ, ის კაცი დათანხმებულიყო ნეკის გაყიდვას, შენ ოთარ ნიჟარაძე, მწერალი და მოაზროვნე ადამიანი, დაანებებდი ვიღაც მათხოვარს, ფულით გალაღებულ უსინდისოს, ჩვენს თვალწინ ასეთი თავხედობა ჩაედინა, დაეცინა ყველასათვის და ყველაფრისთვის?

— უდიდესი სიამოვნებით! — ირონიული ცბიერებით უპასუხებს ოთარი და ამ პასუხით გაოცებული და გაოგნებული თამაზის დასამშვიდებლად ბოლოს დაუმატებს:

— ...მე უბრალოდ მაინტერესებდა, სანამდე შეიძლება, დაეცეს ადამიანი, ან კი საერთოდ აქვს კი ზღვარი ადამიანის სულიერ დაცემას?" (იქვე, გვ. 68).

ორაზროვნად და შორსგამიზნულად გაისმის ეს ბოლო კითხვა, რაც პირველ რიგში იმაზე მიგვითითებს, რომ ახლა გვიან არის კამათი იმის გარშემო, შესაძლოა თუ არა ასეთი შემაზრზენი და შემაძრწუნებელი ფაქტი მომხდარიყო. საერთოდ ზრდის ტენდენცია დადებითსაც აქვს და უარყოფითსაც. ფული და უზომო სიმდიდრე ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის სულიერი გახრწნილების ბაზა და საფუძველი. ამიტომ მწერალი თავისი მახვილი თვალით არა მხოლოდ იმაში გვახედებს, თუ რა ხდება დღეს, არამედ იმაშიც, თუ რა შეიძლება მოხდეს ხვალ უარყოფითი მოვლენების ასეთი გზით განვითარების შედეგად. ასეთია განსახილველი რომანის ერთი დადებითი ხაზი.

მაგრამ მის მნიშვნელობას არა მხოლოდ პატიოსნების იდეალის ასე ხელშესახებად დასახვა განსაზღვრავს, არამედ, ამასთან ერთად, სიმართლისა და უანგარო მეგობრობის იდეალების ქადაგება. ეს სამი საუკეთესო იდეალი კი, როგორც ვიცით, კომუნისტური მორალის საუკეთესო ნიშნები და თვისებებია. სწორედ ეს მაღალი იდეალები, ნიშნები და თვისებები დაუპირისპირა მწერალმა იმ უმსგავსოებებს, რომლებიც მასშია გამოსახული.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე პროფესორი ნიკო კაკაბაძე აიძულებს უნიჭიერეს ახალგაზრდა მათემატიკოსს თამაზ იაშვილს დატოვოს კათედრა მხოლოდ იმისათვის, რომ მან სიმართლე თქვა, დაახასიათა კათედრაზე ასისტენტად ასაყვანი აბუთიძე, როგორც სრულიად შეუფერებელი ამ საქმისათვის, როგორც აბსოლუტურად უცოდინარი, რომელიც „ცხრილის უბრალო ელემენტარულ ინტეგრალებსაც კი ვერ ამოგიხსნით". თამაზ იაშვილის პრინციპული გამოსვლა კათედრის სხდომაზე ნაკარნახევია მეცნიერული კეთილსინდისიერების გრძნობით, მაგრამ „ბინძურ ხლართებში" გახვეულ პროფესორ ნიკო კაკაბაძის კონსერვატიზმი ვერ ეგუება მას.

ასე ჩნდება კონფლიქტი კათედრის წევრსა და კათედრის მთელ კოლექტივს შორის. ინდივიდის სიმართლეს უპირისპირდება კაკაბაძის გავლენის ქვეშ მოქცეული მლიქვნელი ადამიანების სიმხდალე. და ამნაირად მეცნიერებისაკენ გზა ეხსნება კიდევ ერთ უღირსს. მწერალი ამ ფაქტზე ყურადღების ფიქსირებით სიმპტომატურად მიგვანიშნებს იმ ატმოსფეროზე, რომელიც სამეცნიერო წრეში სუფევს ზოგჯერ დისერტაციების დაცვის „ორგანიზაციასთან" დაკავშირებით. შემთხვევითი არ არის, რომ ნოდარ დუმბაძის ზემოთ ხსენებულ ახალ ნაწარმოებში ერთი პერსონაჟი ქარგონული გადაკრულობით რომ ამბობს „ცა და ქვეყანა, ძალლი და მამაძაღ-

ლი დისერტაციებს იცავსო“. მეცნიერებას ადამიანები უქმნიან და უტეხენ სახელს. რატომ უნდა აძლევდეს დისერტანტი თავის თავს უფლებას წარადგინოს სამეცნიერო საბჭოში საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მისდამი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს?

აქ მამოძრავებელი ფაქტორი ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის მაგიურობის იმედებია. პრინციპულ, ობიექტურ, პირდაპირ და შეუვალ პოზიციას ამ სფეროში ზოგჯერ ცვლის ზერელე, კაზიონური დამოკიდებულება ღირსეული, ნიჭიერი და საიმედო სამეცნიერო კადრების აღზრდის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმისადმი. სად არის გამოსავალი? საითკენაა მიმართული ზოგად ასპექტში თამაზ იაშვილის კათედრაზე გამოსვლის მთავარი აქცენტი?

არა სიმპათია-ანტიპათია, არა პირადი ინტერესები და ვნებები, არამედ მაღალი მორალურ-ეთიკური ღირსება, შრომა და მისი შედეგი, — აი კრიტერიუმი, რომლის წინაშე ყველა ადამიანური ცდუნება ბოლოს და ბოლოს უკან უნდა იხევდეს. ამ გაგებით დავა და კამათი მეცნიერებაში დებულებებთან და ფაქტებთან უნდა იყოს და არა პიროვნებასთან. სადისერტაციო ნაშრომის გარშემო მსჯელობა პირველ რიგში ყოველთვის თვით ნაშრომს უნდა ემყარებოდეს და არა იმ პირადულ განწყობილებას, რომელიც ამ ნაშრომის ავტორისადმი წინასწარ შეიძლება გვქონდეს შემუშავებული. და თუ შრომის ღირსება ამცირებს პიროვნების ღირსებას და ან პირიქით, ეს იმ პიროვნების საფიქრებელი მანამ უნდა იყოს, სანამ იგი მსჯელობის საგანი გახდებოდეს. სწორედ ამგვარმა მიდგომამ უნდა აამაღლოს და გაზარდოს ავტორის პასუხისმგებლობა პირველ რიგში *საკუთარი ღირსების* წინაშე. თუ ეს *მორალური* მრწამსი არ დაედო მტკიცე საფუძვლად დისერტაციების დაცვის ამჟამად ზოგან გავრცელებულ პროცედურას, რომლითაც სეტწილად „შუბლმაგრები“ და არაკეთილსინდისიერები სარგებლობენ, მაშინ სულ მალე მეტად სამწუხარო შედეგებთან გვექნება საქმე.

ასეთი მომთხოვნელობის პირველი ფაზა კი სწორედ კათედრაზე ასპირანტის, ასპირანტობიდან ასისტენტის აყვანიდან უნდა იწყებოდეს. და აი აქ დაეჯახა ახალგაზრდა ნიჭიერი თამაზ იაშვილის აბსოლუტურად სწორი პოზიცია აბუთიძის „ძალად გამეცნიერების“ ნიკო კაკაბაძისეულ მავნე ტენდენციას, მის „პროტექციონიზმს“, რომლის შედეგად მართლაც და აბუთიძის მსგავსი რამდენი უღირსებით არის დანაგვიანებული ჩვენი უმაღლესი სკოლა!

დღეს კაკაბაძე, დიდიძე თუ ენკელაძე „ამეცნიერებს“ უცოდინარ, უქნარა და საქმოსან აბუთიძეს, ხვალ აბუთიძე მეცნიერებათა დოქტორის ტიტულს მიაკუთვნებს მასზე კიდევ უფრო უღირს არამაძეს, ზეგ არამაძე დაფნის ამ გვირგვინს დაჰკიდებს ვინმე არდიანს, მას ზეგ არდიანი — კვახაძეს, კვახაძე — უნდაძეს და ასე იგრიხება ბალისტიკური რაკეტების ეპოქაში ზოგჯერ „ცრუმეცნიერთა“ ბალასტური თოკები, რომლებითაც ცხოვრების მდინარეთა ნაპირებიდან მათ ერთმანეთი გაჰყავთ და გამოჰყავთ.

განა ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ არ ილაშქრებს მთელი თავისი ახალგაზრდული მგზნებარებით, გულწრფელობითა და შეუპოვრობით თამაზ იაშვილი? განა ამის გამო არ „დაისაჯა“ იგი? განა ამ „დასჯას“ თავისებური დასაბუთება არ მოუძებნა იასე დიდიძემ ქვეშეცნეული, მაგრამ ჭეშმარიტებასთან სადლაც ახლო მდგომი ასეთი ფორმულით: „არავის არ უნდა კათედრაზე ჭკვიანი კაცი ჰყავდეს... პერსპექტიულ კაცს, როგორც გველს, ისე იშორებენ“. განა იგივე იასე დიდიძე არ ცდილობს თავისი პირადი ზრახვებისა და მიზნებისათვის „ჩაწიხლულ ახალგაზრდობაში“ კაკაბაძისადმი ზიზღი და შურისძიება ჩანერგოს?!

მაგრამ თამაზ იაშვილი შორს დგას ქვენა და ბილწი ატავისტური გრძნობებისაგან, დაბეზღებისა და დასმენის ხერხის გამოყენებისაგან. იგი პირდაპირია, მაგრამ ხალასი, უკომპრომისო, წმინდა. „მე თქვენ ვინ გგონივართ!“ — მთელი ძალით ჰყვირის შეურაცხყოფილი ჭაბუკი დიდიძის მზაკვრული დარიგებების მოსმენის შემდეგ და სიმწრისაგან ორივე მუშტს ასევე მთელი ძალით დაჰკრავს მერხზე.

სამსახურიდან უსამართლოდ გაძევებული და თავმოყვარეობაშელახული ახალგაზრდა ადამიანის ბედი მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ საუკუნეებში გამობრძმედილ ჰუმანიზმისა და მეგობრობის გრძნობებს მიანდო. იგი მან ისევ ახალგაზრდა ადამიანის სუფთა გულს დაუკავშირა. ასე შემოდის ჩვენს ცნობიერებაში ნაწარმოების ფურცლებიდან ოთარ ნიჟარაძე, როგორც უმწიკვლო მეგობრობის, გაუმხელი სიკეთისა და რაინდული ვაჟკაცობის განსახიერება. რომანში ოთარ ნიჟარაძე მწერლის მამხილებლური ტენდენციის მთავარი გამომხატველი ფიგურაა და ამდენად იგი ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტის განვითარებაში (თუ საერთოდ ამ ნაწარმოების ერთ სიუჟეტზე შეიძლება ლაპარაკი — ა. თ.) ყველაზე დადებით და უპირველეს როლს ასრულებს ნაწარმოებში.

ჩვენ გვხიბლავს ნიჟარაძის მშვიდი, დიდსულოვანი, ზოგჯერ ეგზალტირებული ბუნება. მისი ინტელექტუალური მიხვედრილობანი და სულიერი სიწმინდე, ცხოვრებისეული მახვილი

შეგრძნებები და დაკვირვების უნარი, მეგობრობისადმი უზადო პატივისცემა და თანაგრძნობა. თამაზ იაშვილი ოთარ ნიჟარაძისათვის არა მხოლოდ უბრალოდ სკოლისდროინდელი განუყრელი მეგობარია, არამედ ის ნიჭიერი, პატიოსანი და კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ბევრ ახალ აღმოჩენებს შემატებს თანამედროვე მათემატიკურ მეცნიერებას. პირველ რიგში ეს უდევს საფუძვლად მის მეგობრულ, უაღრესად ჰუმანისტურ დამოკიდებულებას თამაზ იაშვილისადმი. სწორედ ამან იხსნა ეს უკანასკნელი მძიმე და ურთულესი სულიერი განსაცდელების ჟამს სასოწარკვეთილებისა და დაღუპვისაგან.

მაშასადამე, გურამ ფანჯიკიძემ ოთარ ნიჟარაძის სახით ძნელ და უიმედო ვითარებაში ჩავარდნილ გულგატეხილ იაშვილს გვერდით ამოუყენა ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, სპეტაკი თანატოლი, რომელიც თავისი გაბედულებითა და შემტევი ხასიათით ახერხებს თამაზის სიმართლისა და ადამიანური ღირსების დაცვას.

ოთარ ნიჟარაძეა, რომ ამხელს პროფესორ ნიკო კაკაბაძის ვერაგული მოქმედების ფარული ძაფების კავშირს მისი საყვარლის ვაჟიშვილთან, რაც გახდა მიზეზი იაშვილის ითვალისწუნებისა და მის მიერ კათედრის დატოვებისა; ოთარ ნიჟარაძე უცხადებს კატეგორიული ტონით მეცნიერისათვის შეუფერებელ ქცევაში მხილებულ კაკაბაძეს: — „ნიჭიერ და პატიოსან კაცს უმუშევრად ვერ დავტოვებთ!“—და ამით ამ ტონს და ამ სამართლიან მოთხოვნას მან ფართო რეზონანსი და ხალხის მრისხანების ძალა მიანიჭა; სწორედ ნიჟარაძე აიძულებს დამფრთხალ კაკაბაძეს, უკან წაიღოს იაშვილის განცხადებაზე დადებული რეზოლუცია, ნაკუწ-ნაკუწად აქციოს იგი, რათა ვითომდა კეთილი კაცის პოზის შენარჩუნებით, ინსტიტუტში გადაიყვანოს მისგან შერისხული ასისტენტი; ნიჟარაძის წყალობით არის, რომ გამოყენებითი მათემატიკა ინსტიტუტში გადასულმა, ამ ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს დავით ბოცვაძის ყურადღებით მოხიბლულმა იაშვილმა „ბოლოსდაბოლოს იპოვა ის, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეძებდა, იპოვა სითბო, ყურადღება, სიწრფელე“ და „ახალგაზრდა მეცნიერი თავიდან ბოლომდე ჩაეფლო მათემატიკურ სამყაროში“.

სწორედ ოთარ ნიჟარაძე იცავს ღამე ქუჩაში მიმავალი ქალიშვილის ღირსებას ხულიგნების უტიფარი თავდასხმისაგან; ამავე დროს იგივე ოთარ ნიჟარაძე ვერ ურიგდება „ნიკოტინით აქოთებული ქალიშვილების“ მოდურ გატაცებებს, რომლებმაც სიგარეტი „თანამედროვეობის, ევროპელობის, ცივილიზაციის, კულტურისა და ინტელექტუალობის“ სიმბოლოდ აქციეს. ეს ოთარ ნიჟარაძე ახარისხებს ტყუილებს კატეგორიებად და ქვეშეცნეულად იქითკენ მიგვანიშნებს, თუ როგორ ექცევა ზოგჯერ ადამიანი ორპირობისა და მლიქვნელობის გარემოცვაში. ეს იგივე ოთარ ნიჟარაძე ააშკარავებს ხაჭმოსანთა ფსიქოლოგიას და სულმდაბლურ გამოვლინებას, მილიციის გამომძიებლის უკანონო მოქმედებას და ანზორ ხელაძის დანაშაულის ბოროტმოქმედ ხასიათს, და, ბოლოს, ეს იგივე ოთარ ნიჟარაძე ეუბნება სიმართლეს პირდაპირ და ვაჟკაცურად სიმართლის დამცველ თამაზ იაშვილს მისი საცოლის მედეა ზამბახიძის შესახებ, მაგრამ... „თურმე არავის არ სიამოვნებს სიმართლის მოსმენა“ და ამაში არც თამაზი აღმოჩნდა გამონაკლისი.

ასეთია, ძირითადად, ოთარ ნიჟარაძის სახის თანმიმდევრული განვითარების გზა. მაგრამ ეს გზა ნაწარმოებში მოულოდნელად წყდება, ისევე როგორც ახალ სამეცნიერო დაწესებულებაში თამაზ იაშვილის მიერ ხალისით და სიხარულით დაწყებული გზა. ამ დაწესებულებაში თამაზი ხდება თანამშრომელთა საოცარი უდისციპლინობის მოწმე. ამან ბოლოს თავი იჩინა დირექტორის რეფერენტის მიერ სამუშაო ოთახში დღისით, მზისით, სანადირო თოფის გასროლაში. მართალია, ამ გასროლას საბედნიეროდ რაიმე მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ სამაგიეროდ ამ ფაქტმა ძლიერ ააღელვა „მოხუცი და თმაგათეთრებული“ დირექტორი, კეთილშობილი მეცნიერი დავით ბოცვაძე. „— შეიძლება კაცი ჰკუიდან შეიშალოს. თოფი ინსტიტუტში! თოფს რა უნდა ინსტიტუტში. თანაც სროლა. ამას ვერ გადავიტან. არ გიკვირთ, კიდევ რომ ვარ ჩემს ჭკუაზე?“ („თვალი პატიოსანი“, გვ. 138). — ბობოქრობს იგი. და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ რეფერენტი თავისი განცხადებით წავიდა დაწესებულებიდან.

მწერალმა ამ ფაქტის ფიქსირებით ქვეშეცნეულად მიგვანიშნა იმაზე, თუ რა სავალალო შედეგი მოაქვს ზოგჯერ მომთხოვნელობის, მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვასთან ერთად დანაშაულისათვის დასჯის ფორმების უგულვებელყოფას, წესრიგისა და დისციპლინის შერყევას. ასეთი ქვეშეცნეული, ირიბული მინიშნებები ნაწარმოებში ხშირად გვხვდება.

ახალშერთული მეუღლის მედეა ზამბახიძის ღალატით თამაზ იაშვილი „ერთხელ კიდევ დარწმუნდა, არაფერი წმინდა არ ყოფილა ამ ქვეყანაზეო“ და მცდარად იხედება „საკუთარი პიროვნების არსებობის უაზრობაში“. თვითმკვლელობის ცდისაგან გადარჩენილი თამაზი ბოლოს თავს ანებებს ინსტიტუტს და თავის განუყრელ მეგობართან ოთარ ნიჟარაძესთან ერთად თბილისიდან სვანეთს მიემგზავრება. თვით ოთარიც იძულებით ტოვებს სტუდიაში სამსახურს და მძიმე სენით დაავადებული ერთხანს სიცოცხლის არარაობაზე ფიქრობს.

ნაწარმოების ტექსტიდან ლოგიკურად გამო-

დის დასკვნა, რომ ამ ორი ნიჭიერი, მართალი, პრინციპული და პატიოსანი ახალგაზრდის სამოღვაწეო ასპარეზიდან ასე ნაადრევად გასვლა მათ მარცხს, მათ კეთილშობილურ მისწრაფებათა ფრთების შეკვეცას ნიშნავს. მაგრამ ეს მარცხი სრულიადაც არ არის გამოწვეული ამ დადებითი გმირების ჩვენს სინამდვილეში გაბატონებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან წინააღმდეგობითა და დაპირისპირებით. მათი იდეალები ამ სისტემის კანონზომიერებიდან გამომდინარე იდეალებია და ამიტომ ორივე შეხარის ამ ცხოვრებას, ამ სინამდვილეს. მაგრამ ცხოვრების სინამდვილის ზოგიერთი უკუღმართობანი და მოუწესრიგებლობანი, ზოგიერთი ადამიანის ფსიქიკასა და ურთიერთობაში გამეფებული ყალბი მანერები და ფორმები დროებით ხელს უშლის მათ თავიანთი დიდი მიზნების განხორციელებაში. ამიტომ მათი ცხოვრების ბიოგრაფია დასრულებული არ არის ნაწარმოებში. სათქმელი და სამოქმედო მათ ბევრი რამ დარჩათ. ამაშია რომანის ეპილოგის მთავარი აზრი.

და თუ ეპილოგს, როგორც ეს მიღებულია საერთოდ, მოქმედების, გმირის ცხოვრების ისტორიის ხელახალი დაწყების მანიშნებელ კომპოზიციურ ხერხად მივიჩნევთ, მაშინ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე ეს მოქმედება უნდა გაგრძელდეს და ორი საყვარელი მეგობრის სახე უნდა დასრულდეს ბოლომდე მათი იდეალების სრული გამარჯვებით.

ამის საწინდარი რომანის ამ ნაწილშია მოცემული. ფრანგი მეცნიერების მიერ იუგოსლაველი ოთხი ფიზიკოსის სისხლის გათეთრების სენისაგან სავსებით განკურნების ფაქტი თავისთავად მეტყველებს ოთარის განკურნების პერსპექტიულ შესაძლებლობაზე. რაც შეეხება თამაზს, იგი ხომ დროებით „ცოტა ხნით“ გაეცალა აქაურობას, „სანამ ჭორები და მითქმა-მოთქმა მიწყდებოდა“. ამიტომ, მის მიერ თვითმკვლელობის ცდის წინა წუთებში მიღწეული ურთულესი მათემატიკური აღმოჩენა გადაუდებლად მოითხოვს ამ აღმოჩენის აღიარებას და მისი ტალანტის შესახებ რომანის ამ ნაწილში მიმოფანტულ მსჯელობათა შემდგომში მხატვრულ ხორცშესხმას და დადასტურებას. მაშინ, ორივე ნაწილის ერთად შეერთებისას, მთელ წიგნს სრული უფლება ექნება მწერალს ეპიგრაფად წარუმძღვაროს ერთი ასეთი პოეტური გამონათქვამი:

არა და არა! ჭრელ ნიღაბ-ქურქში
ნურავინ იგრძნობს თავს კმაყოფილად.
აანთეთ ყველგან სიმართლის შუქი
და მაშინ ნახავთ, ვინ რა ყოფილა!

ეს სურვილი და ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ „თვალი პატიოსნის“ გამოქვეყნებული ნაწილი უნაკლო და უშეცდომო იყოს. არა. მას აქვს მთელი რიგი მხატვრულ-კომპოზიციური და სხვა ხასიათის ნაკლოვანებანი, რომელთაგან ჩვენ საჭიროდ მივაჩნია აქ გამოვყოთ, ჩვენი აზრით, ასევე რამდენადმე არსებითი და ყველაზე ნიშნეული.

უპირველესად თამაზ იაშვილის სახის შესახებ. მწერალს იგი ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირად ჰყავს გამოყვანილი. მოქმედება ნაწარმოებში იწყება და მთავრდება ამ პერსონაჟის ქცევით, მოქმედებით, გარემო სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულებით. მაგრამ, შედარებით იმ დიდ იდეურ-ესთეტიკურ ფუნქციასთან, რომლის გამოხატვაც დაკისრებული აქვს მას, თამაზის პიროვნება ნაწარმოების ფურცლებიდან ყოველთვის როდი მოჩანს ისე მონოლითურად და მტკიცედ, როგორც ეს მის შემტევ ბუნებას და ცხოვრებაში არჩეულ ძნელ გზას უნდა შეეფარდებოდეს.

გარდა იმისა, რომ იგი ფიზიკურად სუსტია, ამავე დროს მეტწილად გამოიყურება როგორც მხოლოდ ლამაზი **მეოცნებე**, თავის უჩვეულო მეხსიერებაში მათემატიკურ ციფრებზე ფანატიკურად შეყვარებული ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლისათვის სრულიად არ არის მომზადებული. მას დაბნეულობა, უცნაურობანი და ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობანი უფრო ახასიათებს, ვიდრე ნებისყოფის სიძლიერე. ამიტომ მისი ცხოვრება მის სურვილებს არ შეესაბამება. რა არის ამის მიზეზი?

„თამაზ იაშვილს ნიჭიც საკმარისზე მეტი ჰქონდა და ნებისყოფაც, — ვკითხულობთ რომანში. — ოღონდ მეცნიერული ნებისყოფა. მას შეეძლო თვეების განმავლობაში დღედაღამე გაესწორებინა რომელიმე მათემატიკური პრობლემის გადასაჭრელად, სამაგიეროდ ბრძოლა არ შეეძლო, ბრძოლა, რაც ასე საჭირო ყოფილა ცხოვრებისათვის“ (გვ. 43). ეს ჩვევა და უნარი კი განსაკუთრებულად აუცილებელია სწორედ თამაზის ტიპის პიროვნებისათვის.

სიმართლის, პატიოსნების, პრინციპულობის, პატივმოყვარეობის დაცვა და ამ გზით საკუთარი ღირსების შენარჩუნება, ნიჭის განვითარება და დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ოცნებით (რა რომანტიკულიც არ უნდა იყოს ის), მხოლოდ საკუთარ, ინდივიდუალურ „მეში“ მომწყვდევით, მხოლოდ ერთ ადამიანთან მეგობრობით. სხვებისაგან კი თამაზი აბსოლუტურად გარიყულია. „მას საშინლად ღლიდა და აღიზიანებდა, — წერს მწერალი, — უამრავ ადამიანთან, უამრავ განსხვავებულ ხასიათთან ურთიერთობა“ (გვ. 15-16). სხვა ადგილას ეს აზრი მწერლის მიერ უფრო კონკრეტულად არის გამოხატული. „მას არ შეეძლო მრავალ ადამიანთან ურთიერთობა, ამისათვის თამაზს არც ენერგია ჰქონდა და არც სურვილი“

(გვ. 42). უამრავი ადამიანი უეჭველად ქმნის უამრავ განსხვავებულ ხასიათს და მათთან ურთიერთობა უბრალოდ ადამიანური მოვალეობაა, მაგრამ სულ სხვა საქმეა, თუ მას არ ჰქონდა სურვილი ახლო ყოფილიყო უამრავ სულმდაბალ, მხდალ, გაიძვერა ადამიანთან, რამაც განაპირობა კიდეც თამაზის ინსტიტუტიდან წასვლა.

ამის გარეშე, თუ მწერლის ზემოთ მოტანილ ფრაზებს დავემყარებით, განა შეიძლება რომელიმე ინსტიტუტში მუშაობდე და „უამრავ განსხვავებულ ხასიათთან“, უამრავ ადამიანთან კონტაქტი არ გქონდეს? დაკარგო ან საკუთარი სურვილით თავისთავში ჩაკლა ეს უნარი — ნიშნავს მოწყდე ადამიანთა კოლექტივს, ხოლო კოლექტივიდან მოწყვეტა პიროვნებას ყოველთვის უქადის გარდუვალ მარცხს.

ის ფაქტი, რომ თამაზმა არ იცოდა, მიუხედავად კათედრაზე ერთად მუშაობისა (და კათედრაზე იგი აყვანილი იქნა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე) კათედრის „არცერთი თანამშრომლის“ — თვით გამგისაც კი — „სახელი და გვარი“, ხოლო ამავე დროს მისი „ძლიერი მეხსიერება“ ერთბაშად „იტვირთებოდა სტუდენტების სახეებით, სახელებით და გვარებით“. მოწმობს, რომ ის ერთგვარ ქედმაღლურ, არაკოლეგიალურ, მედიდურ დამოკიდებულებას იჩენდა კათედრის ხელმძღვანელობის, მისი წევრების მიმართ. ამ ბრალდებისაგან თამაზ იაშვილს ვერ იხსნის მწერლის ასეთი რემარკული განმარტება: „უცნაურ საქციელს კათედრაზე პირველად მეტიჩრობად, პოზად უთვლიდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ იაშვილი არ პოზიორობდა. უცნაურ ახალგაზრდას თითქოს ალღო აუღეს. მას თავისი უშუალო საქმის გარდა არასდროს არაფერს არ ავალებდნენ“ (იქვე). ეს ჩანს რომანის პირველი ფურცლებიდანვე პროფესორ დავით თავზიშვილის სიტყვებიდანაც: „კვლევითი მუშაობისათვის ამდენ პირობას გიქმნით“. — ეუბნება იგი თამაზს.

მაშასადამე, მის ნიჭს კათედრაზე აფასებდნენ, ანგარიშს უწევდნენ, ალღოს ულებდნენ და ხელს უწყობდნენ. მით უფრო ასეთ ვითარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას მოეთხოვებოდა კათედრის კოლექტივთან უფრო ლოიალური დამოკიდებულება.

ასევე არაფრით არ არის გამართლებული თამაზის, როგორც პედაგოგის, ლექტორის საქციელი, აღწერილი მეექვსე თავში. სასწავლო წლის ბოლოს, სამუშაოდ სხვაგან გადასვლის წინა დღეს, თამაზს დანიშნული აქვს განმეორებითი გამოცდები ჩამორჩენილ სტუდენტებთან. პროტექციონიზმისა და გამოცდებისათვის სტუდენტების მოუმზადებლობისადმი გულისწყრომის ნიშნად იგი მიუტევებელ თავშეუკავებლობას იჩენს აუდიტორიაში, სადაც სტუდენტი ახალგაზრდობის მთელი ჯგუფია მოგროვილი „უნამუსოებო, უთავმოყვაროებო! იყვირა უცებ საშინელი ხმით, ფეხზე წამოვარდა და გიორგაძეს (ეს ის სტუდენტია, რომელზედაც მას „დახმარება“ თხოვეს — ა. თ). სილა გააწნა“ (იქვე, გვ. 92). ეს ფიზიკური შეურაცხყოფის მეთოდის უხეშ ფორმაში გამოყენების მეტად შეუფერებელი გამოხატულებაა, რაც არ შეიძლება ამ გმირის დახასიათებისას ყურადღების გარეშე დავტოვოთ.

ასეთი ეპიზოდები და ადგილები რამდენადმე ჩრდილს აყენებს თამაზის სახის მხატვრულ დამაჯერებლობას, კათედრიდან და თბილისიდან მისი წასვლის, და თვით თვითმკვლელობის ცდის მოტივებს, ეს გარემოება მწერლისაგან მოითხოვს მის შემდგომ დახვეწას იდეურ გამიზნულობასთან პერსონაჟის ქცევისა და ხასიათის ბუნებრივი შეფარდების თვალსაზრისით.

რომანში არის მწერლის მხატვრული აზროვნების, მისი უტყუარი ნიჭის დამადასტურებელი მთელი რიგი საუცხოო, ორიგინალურად მოფიქრებული ადგილები და პასაჟები, შედარებები და გამოთქმები, მოსაზრებები და მიხვედრები, ზომიერი იუმორის ნიშნები და მაგალითები. მიუხედავად ლაფსუსებისა, ავტორის განსწავლულობას მოწმობს ურთულეს ამოცანათა სფეროში თამაზის ოცნების ესოდენ თავისუფალი და ლაღი ნავარდი, გონების, ინტუიციის სამყაროში ციფრებთან მისი გასაოცარი გამუდმებითი ლიცლიცი, თითქოს იგი დაბადებულია მხოლოდ ამ ციფრებისათვის, მხოლოდ მეცნიერებისათვის.

აი, ზის თამაზი თავის ბინის ძველ სავარძელში თვალებდახუჭული და —„უცებ სადღაც შორს, ჰორიზონტზე, ციფრები ისე წამოიშალნენ, თითქოს ვიღაც მონადირემ უთვალავი ჩიტი წამოაფრინაო. ციფრები ჩიტის გუნდებივით მოფრინავდნენ. თვითეულ გუნდში რამდენიმე ათასი ციფრი მაინც იყო. თამაზი ყოველ მათგანს ხედავდა, ეალერსებოდა, ეფერებოდა. თეთრი ციფრები მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ, ერთმანეთს ეწეოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. მერე კვადრატებად, კუბებად, მეათე ხარისხებადაც კი იკუმშებოდნენ, მერე ისევ იშლებოდნენ და სადღაც მიისწრაფოდნენ“ („თვალი პატიოსანი“, გვ. 20).

აქ მშვენივრად არის ნაჩვენები თამაზის ნიჭის გასაოცარი და უმაგალითო სტიქია! ან ავიღოთ რომანის დასასრულს, მის ეპილოგში სვანეთის მთიან გზებზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სამარშო მგზავრობის აღწერა. შეუძლებელია ერთი წაკითხვისთანავე მეხსიერებაში ღრმად არ ჩაგებეჭდოს ამ მგზავრობის სურათი, რაც გადმოცემულია სულ უბრალო, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრის თვალით დანა-

ხული მეტად ორიგინალური შედარებით: „უზარმაზარი კლდით გადახურული მოსახვევიდან ასეული ისე გამოდიოდა, როგორც გვირაბიდან მატარებელი გამოდის ხოლმე“ (იქვე, გვ. 278).

მაგრამ მთელს რომანში შესამჩნევად იგრძნობა მსჯელობითი ელემენტების სიჭარბე, პუბლიცისტური ტონი და სიმახვილე, რაც მხატვრულ ჩვენებას ზოგჯერ ლოგიკურ მტკიცებად ცვლის. ეს განსაკუთრებულად იგრძნობა პირველ თავში, სადაც პროფესორ დავით თავზიშვილისა და თამაზ იაშვილის დიალოგია აღწერილი ამ უკანასკნელის კათედრიდან წასვლის თაობაზე. „მართალი და პატიოსანი გულის პროფესორი იტანჯებოდა“. — ვკითხულობთ აქ ერთგან. „მართალი არ იყო და ასე იმიტომ იტანჯებოდა“. — ნათქვამია მეორე ადგილას. „თავზიშვილი იტანჯებოდა, საკუთარ სინდისს ებრძოდა“. — სწერია მესამეგან. „ახლა კი გულწრფელად სწუხდა, რომ უშუალოდ მონაწილეობდა. მის ყოვლად უსამართლო გაძევებაში“ (იქვე, გვ. 14).

თამაზ იაშვილის კათედრიდან გაძევების უსამართლობა თვით მოქმედებაში, დიალოგში უნდა ჩანდეს (და ჩანს კიდეც) და ავტორის დამატებითი მსჯელობა ცნებითი კატეგორიებით კი არ ამაღლებს ამ ეპიზოდის მხატვრულ-ემოციურ იერს, არამედ ამცირებს და ადაბლებს მას. ამასთან ზედმეტად მოჩანს დავით თავზიშვილის პატიოსნებასა და სინდისის ქენჯნაზე ლაპარაკი, მაშინ როდესაც ეს პატიოსნება მხოლოდ სიმხდალით არის გამოხატული. პატიოსნება განუყრელია პრინციპულობისაგან, ხოლო სინდისის ქენჯნა პატიოსნებისაგან. მხდალსა და ლაჩარს ამის შეგრძნება რომ ჰქონდეს, მის არსებაში მაშინ ვერ დაისადგურებდა ეს თვისება. აქედან გამომდინარე, თუ პროფესორ დავით თავზიშვილს პრინციპულობა აკლია, მაშინ მას არც სინდისის ქენჯნა უნდა აწუხებდეს იმდენად, რომ მწერლის ასეთი ხშირი რემარკებით მდგომარეობის შემსუბუქება იყოს საჭირო.

თავისთავად ნაწარმოების პუბლიცისტურ-მსჯელობითი ტონი შესანიშნავად ეფარდება მის მამხილებლურ-კრიტიკულ პათოსს და ორგანულად არის შერწყმული რომანის საერთო სულისკვეთებასთან.

ნაწარმოებში გვხვდება პირობითობასა (საათების ერთობლივი გაჩერება), შემთხვევითობებსა და ბედისწერის პრინციპებზე აგებული ადგილები და პასაჟები, რომლებიც ზოგჯერ ბუნებრივად არ ექსოვება მის მხატვრულ-კომპოზიციურ ქსოვილს. მაგალითად, მეთორმეტე თავში ჩართული მეორე მოთხრობა გრიგოლისა და დავითის ურთიერთშემთხვევით შეხვედრებისა და ბოლოს დავითის მიერ „მოსკვიჩით“ გრიგოლის გატანის შესახებ არავითარ კავშირში არ არის მთელ მის არქიტექტონიკასთან, მის ძირითად სიუჟეტურ ხაზთან.

საერთოდ ნაწარმოებში ნაკლებად იგრძნობა სიუჟეტური ხაზის განვითარების ერთი გარკვეული მიმართულება. იგი ნაწილობრივ „დესიუჟეტიზაციის“ თეორიის ერთგვარ გამოხატულებადაც კი გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ პროლოგს ეპილოგთან გარკვეული შინაგანი კავშირი აქვს, ნაწარმოებში ცალკეული პასაჟები თითქოს ცალკეულ დაუმთავრებელ სიუჟეტებს ქმნიან. ამბები, სიტუაციები და მოვლენები ზოგჯერ რაღაც ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის ბურუსით იბურებიან და დეტექტივისებრ სახეცვლილებებს განიცდიან, რის გამო ძნელი ხდება გაგება, რა ძალა წარმართავს საზოგადოების განვითარებას, ადამიანების ბედს. სრულიად მიუღებელია ავადმყოფ ოთარის აზრები ამ ბედის შემთხვევითობაზე დამყარებისა და დასახული მიზნისაკენ ლტოლვის, მიზნისათვის ბრძოლის თუ ჭეშმარიტების ძიების უსაფუძვლობის შესახებ.

ასევე რამდენადმე გაზვიადებულად არის წარმოდგენილი ჩვენი სინამდვილის ზოგიერთი უარყოფითი მხარე. მეორე თავში ოთარი ასეთი ალეგორიულობით ეუბნება თამაზს:“... გინახავს, შუაგულ ჭაობში ერთადერთ ფოთოლზე შებობღებული ბაყაყი გაუთავებლად რომ ყიყინებს? — მინახავს, — ღიმილით დაუკრა თავი თამაზმა... — ჰოდა, აბა რას მაწვალებ. იმ ბაყაყმა რაც უნდა იყიყინოს, საბოლოოდ მაინც ისევ ჭაობში უნდა ჩახტეს.“ („თვალი პატიოსანი“, გვ. 33). გარდა იმისა, რომ აქ შემარიგებლური პოზიცია ჩანს, „ერთადერთ ფოთოლზე შებობღებული ბაყაყის“ ალეგორიაასოციაციით მართლის პირში მთქმელ თამაზს მოგვაგონებს, ხოლო ჭაობი გარემოს, რომელშიაც თამაზს უხდება ცხოვრება. მაშასადამე, გამოდის, რომ თამაზის მსგავსი გულწრფელი ადამიანები ირგვლივ მატყუარებისა და თვალთმაქცების „ჭაობით“ არის შემოგარსული და რამდენიც არ უნდა ილაღადოს მან სიმართლეზე, ბოლოს მაინც „ისევ ჭაობში უნდა ჩახტეს“. ეს ცალკეული მახინჯი მოვლენების ერთგვარი ტიპიური განზოგადებაა, რასაც თვით მწერალი აქარწყლებს თავისივე ნაწარმოებში აკადემიკოს დავით ბოცვაძის, ჟურნალისტ ოთარ ნიჟარაძის და სხვ. მიმზიდველი სახეების, მათი პირდაპირობისა და გულითადობის რეალისტური ჩვენებით. და განა ცოტაა ასეთები ჩვენს სოციალურ გარემოში?

* * *

რას გვიჩვენებს არსებული ლიტერატურული ფაქტებისა და მასალების ზოგადი ანალიზი?

უპირველეს ყოვლისა, იგი მოწმობს, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ლიტერატურაში გამ-

ლიერდა სინამდვილის უარყოფითი, მახინჯი მხარეების მხილების, მათდამი კრიტიკული, შეურიგებელი დამოკიდებულების ტენდენცია. ასეთი ტენდენცია შეინიშნება საერთოდ ბოლო დროის ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. თავისთავად ეს გარემოება დამაფიქრებელია მისი სოციალური საფუძვლების თვალსაზრისით, მაგრამ იგი არანაკლებ დამაფიქრებელია მისი ნეგატიურობის, უკიდურესობის, გადაჭარბებული ცალმხრიობის იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების ცდების თვალსაზრისითაც. ამიტომ კრიტიკული პათოსის ზემოგანხილული ნიშნები და ტენდენციები ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრებისა და აზრების აღძვრასთან ერთად გადაუდებლად აყენებს მათ ერთგვარ თეორიულ განზოგადებათა აუცილებლობის საჭიროებას, იმ მცდარ შეხედულებათა გადაჭრით უარყოფისა და უკუგდების საჭიროებას, რომლებიც, ნებით თუ უნებლიეთ, მიმართულია სოციალისტური რეალიზმის ნაცადი პრინციპების შერყევისა და შესუსტებისაკენ.

50-იანი წლების დამდეგიდან არაერთხელ ყოფილა ცდა ჩვენს ლიტერატურულ პრაქტიკაში კრიტიკული ელემენტების მეტწილად გამოჩენა გამოეყენებინათ საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით მეთოდად კრიტიკული რეალიზმის აღიარების არგუმენტად. ერთხანს დისკუსიებიც კი იმართებოდა ამ პრობლემის გარშემო საკავშირო პერიოდული ლიტერატურული პრესის ფურცლებზე. ზოგიერთმა (მაგალითად, მ. პარხომენკომ) „საბჭოთა კრიტიკული რეალიზმის“ ტერმინის შემოღებაც სცადა. თავისთავად თვით საკითხის ამ ასპექტით დაყენებაშიც კი მკაფიოდ იგრძნობა, თუ საითკენ არის გადახრილი დამიზნების წერტილი. ამ შემთხვევაში საქმე ეხება საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ინტერესებს, მის ძირითად საყრდენ საფუძვლებს, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებისა და სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნების შეცვლას, რასაც ვერასოდეს შეურიგდება ჩვენი პარტია, ხალხი, სახელმწიფო. სოციალისტური რეალიზმი იყო და რჩება არა მხოლოდ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის, არამედ მსოფლიო მასშტაბით მთელი პროგრესული ლიტერატურის განვითარების ქვაკუთხედად. „უნაპირო რეალიზმის“ გაროდისეულმა თეორიამ სრული კრახი განიცადა. ეს ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით არის აღბეჭდილი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მეხუთე ყრილობისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, თვით ყრილობის მასალებსა და რეზოლუციაში.

კრიტიკული რეალიზმის არსი, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ იგი ოპოზიციაში ედგა ექსპლოატატორულ საზოგადოებრივ წყობილებას, რევოლუციამდე არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. არსებული სინამდვილის ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მწერლისეული დაუნდობელი კრიტიკა მკითხველს ლოგიკურად განაწყობდა ამ სინამდვილის წინააღმდეგ, აღძრავდა მასში გაბატონებული სოციალური სისტემის უარყოფის იდეალს, რაც თავის მხრივ პროგრესულ როლს ასრულებდა თვით ამ ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით აღზრდისა და დარაზმვის საქმეში.

რევოლუციამდელი კაპიტალისტურ-მემამულური ეპოქის მოწინავე ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ეს არსებითი ნიშანი ზოგიერთს სურს მექანიკურად გადმოიტანოს სოციალიზმის ეპოქის ლიტერატურაშიც და ამ დროის ნაკლოვანებათა კრიტიკას მიანიჭოს იგივე ფუნქცია და რეზონანსი, რაც მას ჰქონდა ძველად, კლასობრივ საზოგადოებაში ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად.

ასე, მაგალითად, ავსტრიელი ერნსტ ფიშერი თავის წიგნში „ხელოვნება და თანაარსებობა“ ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს კრიტიკული რეალიზმის მსგავსად თანამედროვე კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილისადმი სოციალისტური რეალიზმის ოპოზიციურობის კანონზომიერებითი ხასიათი. შემოქმედის სულიერი ელიტა, ფიშერის აზრით, ყოველ ეპოქაში მუდამ კონფლიქტშია არსებულ სინამდვილესთან, გაბატონებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან და ამ მხრივ გამონაკლისს არც სოციალიზმის ეპოქა წარმოადგენს. ასეთივე აზრებს ვხვდებით დასავლეთ ევროპის რეაქციული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენლის (ჰერბერტ მარკუზეს, თეოდორ ადორნოს და სხვ.) შრომებში. ეს გარემოება, ბუნებრივია, გადაჭრით მოითხოვს კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპული საკითხების სწორ გარკვევას, ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების თეორიულ-ესთეტიკური გზების სწორ გაშუქებას. რა თქმა უნდა, ამ წერილს სრულიად არა აქვს პრეტენზია თუნდაც მიახლოებით გადაჭრას ესოდენ რთული პრობლემური საკითხები. მისი დანიშნულება მათი მხოლოდ დასმისა და აღძვრის მიზნებით არის შემოსაზღვრული.

იბადება კითხვა: რჩება თუ არა რაიმე სახით ჩვენი ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კრიტიკული რეალიზმის ნიშნები იმ უარყოფითისა და სიმახინჯის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც არა თუ არსებობენ ჯერ კიდევ ცხოვრებაში, არამედ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ვითარდებიან კიდეც.

ჩვენი აზრით, კრიტიკული რეალიზმის ნიშნები და ელემენტები არ შეიძლება სავსებით უკუგდებული და განდევნილ იქნეს ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის, ჩვენი ლიტე-

რატურის განვითარების არც დღევანდელი საფეხურიდან და ისინი შერწყმული და შეთავსებული უნდა იქნენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდთან ისევე, როგორც ეს გვქონდა 1930-იან და 40-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკაში, მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, პ. პავლენკოს, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, პ. კაკაბაძის, დ. შენგელაიას, ა. მირცხულავას და სხვ. ამ პერიოდის შემოქმედებით პრაქტიკაში. სოციალისტურ რეალიზმთან კრიტიკული რეალიზმის ელემენტების—კრიტიკული, მამხილებლური ტენდენციის შერწყმა და შეხამება დღესაც უნდა ხდებოდეს ისე, რომ პირველს ყოველთვის ჰქონდეს გაბატონებული, ჰეგემონიური ხასიათი. რატომ ვამბობთ „დღესაც“ და რას ნიშნავს „გაბატონებული, ჰეგემონური ხასიათი?

„კრიტიკული რეალიზმის ტრადიციები, — წერს პროფ. ლ. ტიმოფეევი თავის წიგნში „საბჭოთა ლიტერატურა“. —უკუგდებული კი არ არის, არამედ მემკვიდრეობად მიღებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მიერ. მაგრამ ისინი მასში შედიან ორგანიულად და არა გათიშულად, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული მიმდინარეობა“ (იხ. დასახელებული წიგნი, —მეთოდი, სტილი, პოეტიკა, 1964, გვ. 87). აქ სავსებით სწორად არის დასახული კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის გადაჭრის ძირითადი პრინციპი.

„კრიტიკული რეალიზმის განვითარების სტიმული ინდივიდუალიზმია“. — მიუთითებს ერთ თავის ადრინდელ სტატიაში „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხისათვის“ პროფ. დ. ბენაშვილი —ამის საპირისპიროდ სოციალისტურმა რეალიზმმა თავის ჭეშმარიტ იდეალად აქცია „კოლექტივიზმის დიადი გრძნობა“. „ხელოვანში ამ გრძნობის პოზიციებიდან, — წერს დ. ბენაშვილი, —უნდა განიდევნოს ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არსებული ინდივიდუალიზმის ნაშთები“ (დიმიტრი ბენაშვილი, ლიტერატურული ძიებანი, 1952, გვ. 268).

მაშასადამე, სანამ ადამიანთა შეგნებაში ინდივიდუალიზმის ნაშთები არსებობს (დღეს კი მათი არსებობა, ვფიქრობთ, უდავოა), სოციალისტურ რეალიზმში კრიტიკული რეალიზმის ელემენტების არსებობაც გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი კოლექტივიზმის დიად გრძნობას უნდა ექვემდებარებოდნენ, მასში უნდა გარდაისახონ და განიბნენ, ბუნებრივია, კრიტიკული რეალიზმის ელემენტები უნდა დაექვემდებარონ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებსა და კანონზომიერებებს, მათ ჰეგემონიურ, გაბატონებულ პოზიციებს.

როგორც ცნობილია, პირველ რიგში ეს ნიშნავს ცხოვრებაში არსებული მწვავე კონფლიქტების, უარყოფითი და დადებითი მოვლენების სიმართლით გამოსახვასთან ერთად დადებითის გარდუვალად გამარჯვების ჩვენებას, მისი პერსპექტიული ზრდისა და განვითარების ჩვენებას, ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური სისტემის, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომ განმტკიცებას, მკითხველთა ფართო მასების აღზრდას საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, ყველა იმ უარყოფითისა და სიმახინჯის აღმოფხვრის სულისკვეთებით, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი საზოგადოების წინსვლას დასახული საბოლოო მიზნისაკენ. ამ გაგებით, ჭეშმარიტი საბჭოთა მწერლის მსოფლმხედველობა შეუთავსებელია საბჭოთა სინამდვილისადმი მის ოპოზიციურ დამოკიდებულებასთან.

მაგრამ მწერალთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ გარკვეული იმაში, თუ როგორ გამოსახოს დადებითი ტენდენციები ზრდისა და განვითარების პერსპექტივაში, ისე, როგორც იგი ნამდვილად არის და ჩანს დღეს ცხოვრებაში, თუ ამაღლებულად, ხელოვნების, განზოგადებითს ფორმებში? ხომ არ უქმნის ეს ამაღლებულობა რაიმე საფრთხეს მწერალს, ხომ არ ნიშნავს ეს ცხოვრების შელამაზებულად, იდეალიზირებულად გამოსახვას? აკი ამ ბრალდებით, თითქოსდა განზრახ გამოგონებისა და ცხოვრების განზრახ შელამაზების ბრალდებით მიჰქონდათ იერიში ამ რამდენიმე ხნის წინათ სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცხოვრების შელამაზებული გამოსახვა მისი ყალბი გამოსახვაა და მას მართლაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ხელოვნებასთან. აქ ცნების უბრალო აღრევასთან გვაქვს საქმე. ამაღლებულობა თავისთავად გამორიცხავს შელამაზებულობას, რადგან პირველ რიგში იგი მხატვრულ დამაჯერებლობას ნიშნავს, ხოლო იქ, სადაც მხატვრული დამაჯერებლობა და სიმართლეა, გამორიცხულია სიყალბეც. ამ ორი ცნების გაიგივება და მეორის შიშით პირველის უგულვებელყოფა შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული.

ბოლო წლების ჩვენს ლიტერატურაში, სწორედ ამ შეცდომის ნიადაგზე, ტრადიციული ტენდენციის—ე.ი. დადებითის ამაღლებულობისა და მხატვრული განზოგადების უკუგდების ცდა გახდა მიზეზი კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისაკენ, ყოველივესა და ყველაფერში მხოლოდ უარყოფითის დანახვისაკენ სწრაფვისა. რევოლუციამდელი ხანის კრიტიკული

რეალიზმის ეპოქაში, როგორც აღვნიშნეთ, დადებითი, პროგრესული ტენდენციები გაბატონებულ სოციალურ სისტემას უპირისპირდებოდა, ებრძოდა და უარყოფდა მას, და, ამდენად, ამაღლებულობას და მხატვრულ განზოგადებას იქ სხვა სოციალური შინაარსი და ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ამის აღდგენა და გაცოცხლება, ბუნებრივია, ყოვლად დაუშვებელია და იგი ეწინააღმდეგება ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპების მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ასევე პირდაპირ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პიროვნების კულტის დაგმობის შემდგომი ხანა უკანასკნელ დრომდე მთელი საკავშირო მასშტაბით ერთგვარი ლიტერატურულ-თეორიული დაბნეულობის, წინააღმდეგობებისა და მერყეობის წლები იყო. ამან ცოტა უარყოფითი გავლენა როდი მოახდინა ჩვენს ზოგიერთ მწერალზე, განსაკუთრებით ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალზე, რამაც თავისი კონკრეტული უარყოფითი გამოხატულება ჰპოვა მათი გამოსახვის არასწორი გზებისა და ფორმების ძიებებში, მოდერნისტულ-ნატურალისტური ტენდენციების გამოვლინებებში, უსიუჟეტო, უმიზნო, ვიწროთემიანი ნაწარმოებების შექმნის მაცდუნებელ ცდებში.

გამოთქმა „წერა ყველაფერზე შეიძლება“ პირობითი გამოთქმაა და იგი უნდა შემოიფარგლოს ნაწარმოების შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობის საყოველთაოდ მიღებული კრიტერიუმით. ყოველ ნაწარმოებს, რა თემაზედაც არ უნდა იყოს ის აგებული, გარკვეული იდეურ-შემეცნებითი, მხატვრულ-ესთეტიკური და მორალურ-აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა დაეკისროს. საბჭოთა მწერლის ყოველი მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ ამ ასპექტით უნდა შეფასდეს, თუ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურას განვიხილავთ მისი საზოგადოებრივი ღირებულების, სინამდვილის არა მხოლოდ ასახვის, არამედ მისი წინსვლისა და განვითარების სწორი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან. და სხვა პოზიცია ჩვენ არც გაგვაჩნია.

არავითარი ნამდვილი ხელოვნება არ არსებობდა და არ არსებობს მხატვრული განზოგადებების, დიდი ადამიანური ხასიათებისა და ამაღლებულობის, მიზანსწრაფვებისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მღელვარე იდეალების გარეშე. უმიზნო და უიდეო, მხოლოდ ესთეტიკური ტკბობისათვის განკუთვნილ ლიტერატურას არასოდეს არ ჰქონია ფართო გასავალი და რაიმე დიდი ღირებულება. ჭეშმარიტ რეალისტურ ხელოვნებას აქვს თავისი უცვლელი კანონი, რომელიც შესანიშნავად აქვს გამოხატული ანტონ ჩეხოვს სუვორინისადმი 1892 წელს მიწერილ ერთ-ერთ ბარათში:

„გახსოვდეთ, — წერდა ჩეხოვი სუვორინს, — რომ მწერლებს, რომელთაც ჩვენ უკვდავებს ან უბრალოდ კარგებს ვუწოდებთ და რომლებიც ასე გვხიბლავენ, აქვთ ერთი საერთო და მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი. ისინი სადღაც მიდიან და თქვენც გიწვევენ იქითკენ. თქვენ გრძნობთ არა მხოლოდ გონებით, არამედ მთელი არსებით, რომ მათ აქვთ რაღაც მიზანი. საუკეთესონი მათ შორის რეალისტები არიან და აღწერენ ცხოვრებას ისეთად, როგორც ის არის, მაგრამ იმის გამო, რომ ყოველი სტრიქონი გაჟღენთილია მიზნის შეგნებით, თქვენ, გარდა ცხოვრებისა როგორიც არის, გრძნობთ აგრეთვე ისეთ ცხოვრებას, როგორიც უნდა იყოს, და თქვენ ეს გაჯადოებთ“ (ა. ჩეხოვი, სრული თხზულებანი, ტ. XV, მოსკოვი, 1949, გვ. 146).

აი ეს მიზანდასახულობა, მომჯადოებლობა, და მომხიბვლელობა დაკავშირებულია სწორედ სინამდვილის მხატვრულ ამაღლებულობასთან და განზოგადებებთან, უნდა განვასხვაოთ ამბის ემპირიული, ნატურალისტური მთხრობელი მისი მხატვრულ-განზოგადებითი ოსტატობით თხრობისაგან. სინამდვილის ამაღლებული და მხატვრული სიმართლით ერთგვარად იდეალიზირებული წარმოდგენა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას მისი ჩასახვის დროიდანვე გამოყვა. ამის კლასიკური ნიმუშებია რახმეტოვის სახე ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთ“ და პაველ ვლასოვის შთამაგონებელი მონუმენტური ფიგურა მ. გორკის „დედიდან“. ამაღლებულობა და მიზანსწრაფი იდეალიზაცია ცხოვრების მშვენიერებაში გამოსახვის გარკვეულად აუცილებელი ესთეტიკური კატეგორიებია და ამით სოციალისტური რეალიზმი ხელოვნების საუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებს.

მაგრამ ამ ტრადიციებს მან შეუერთა ახალი თვისება — კონკრეტული მიზანდასახულობა — სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებით ხალხის აღზრდის კეთილშობილური ამოცანა, ამიტომ პარტია ახლაც ისევე მტკიცედ და ურყევად მოითხოვს სოციალისტური რეალიზმის პრინციპების მტკიცედ და ურყევად დაცვას, როგორც წინათ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყოველივე ეს პლაკატურობის, ზედაპირულობის, პრიმიტივიზმისა და შიშველი სოციოლოგიზმის განვლილ ფორმებთან დაბრუნებას მოასწავებდეს. არა, ეს უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურის ახალი იდეურ-მხატვრული მიჯნების დაპყრობის, საკავშირო და მსოფლიო მასშტაბით მისი სახელის ახალი მძლავრი გახმიანების საფუძველი.

ასეთია დასმული საკითხის ზოგიერთი ზოგადთეორიული ასპექტი.

კონკრეტულად, ამ ასპექტიდან გამომდინარე, თუ ჩვენს ზემოთ დასახელებულ ლიტერატურულ მასალებს განვიხილავთ, როგორც სოცია-

ლური სინამდვილის უშუალო გამოვლენას, მაშინ ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილ ამ ნაწარმოებებში კრიტიკული ელემენტები, კრიტიკული პათოსი და მამხილებლური ტენდენცია ყოველთვის ზომიერად არ არის შეფარდებული მათ იდეურ-აღმზრდელობით ამოცანებთან, მხატვრულ-ესთეტიკურ და საზოგადოებრივ ფუნქციებთან. ასეთი ხასიათის ნაწარმოებების უმთავრესი ნაკლი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ მათ მეტწილად აკლია მოქალაქეობრივი ჟღერადობა, მხატვრულ-განმაზოგადებელი ძალა. ზოგჯერ არასაკმაოდ ჩანს თვით ავტორის, მწერლის პოზიცია მის მიერ გამოსახული მოვლენებისადმი. ამის შედეგად მის გაბედულ გამოსვლას ზოგჯერ მიზნობრივი მიმართება ეკარგება, ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მკითხველს ეფანტება შთაბეჭდილება, მასში არ იღვიძებს გარკვეული ზიზღი და სიძულვილი უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, არ ესახება გარკვეული საზოგადოებრივ-ესთეტიკური იდეალი, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს იგი, როგორც ახალი სოციალისტური ცხოვრების თანამონაწილე და აქტიური მშენებელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მეტად რთული, საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანები დასახა მთელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. ამ ამოცანებს შორის მთავარია ბრძოლა საბჭოთა ადამიანის ახალი სახის ფორმირებისა და ჩამოყალიბებისათვის. საბჭოთა ადამიანის ახალი სახე კი უნდა ჩამოყალიბდეს წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ და უკომპრომისო ბრძოლაში.

„კომუნისტური მორალი ვერ გაიმარჯვებს,— ამბობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე, — თუ მტკიცე ბრძოლა არ გამოუცხადა მის ისეთ ანტიპოდებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ცილისწამება, ანონიმური წერილების წერა, ჭორაობა — და სხვა ამგვარი. ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ წარსულის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებაში და ქცევაში,—არის საქმე, რომელსაც მუდმივი ყურადღება უნდა დაუთმოს პარტიამ, ჩვენი საზოგადოებრიობის მთელმა შეგნებულმა მოწინავე ძალებმა“.

ამით ჩვენს მწერლობას ფართო გასაქანი ეძლევა კიდევ უფრო მეტი გაბედულებით გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი არსენალი ჩვენს ცხოვრებაში არსებული მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისათვის საბრძოლველად, მაგრამ ამასთან ერთად იზრდება მისი პასუხისმგებლობაც, მის მიმართ წაყენებული მოთხოვნელობაც, რათა დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მოვლენების გამოსახვის სისწორე და სიმართლე გამსჭვალული იყოს მწერლის ნათელი, მიზანდასახული პოზიციის, ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებისა და სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური მოთხოვნების სულისკვეთებით.

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ სინამდვილის უარყოფითი, ჩრდილოვანი მხარეების გამოსახვა არამც და არამც არ უნდა გადაიზარდოს ამ სინამდვილისადმი ცილისწამებად, უარყოფითის განზრახ გაზვიადების ტენდენციად. სოციალისტურ რეალიზმის ლიტერატურის ფორმისა და სტილის მრავალფეროვნება სრულ შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა მწერალს მკაფიოდ გამოსახოს ჩვენი ცხოვრების დიადი, მაგისტრალური, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების გვერდით მისი ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგრამ ისე, რომ ნაწარმოებში მუქი ფერები არასოდეს არ უნდა ფარავდეს მზის ნათებას. ეს მზის ნათება კი კომუნიზმის გამარჯვების რწმენაა, რომელსაც გამუდმებით უნდა უნერგავდნენ ჩვენს მკითხველებს ქართველი საბჭოთა მწერლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

# სტილის პრობლემა 60-იანი წლების პოლემიკაში

ჩვენი მწერლობის არც ერთ მოვლენაზე ალბათ იმდენი არ დაწერილა, რამდენიც გასული საუკუნის 60-იანი წლების პოლემიკაზე, — ეს ხანა ენერგიულადაა შესწავლილი, მაგრამ გავრცელებულია აზრი, თითქოს, პოლემიკის მონაწილენი სერიოზულ ინტერესს არ იჩენდნენ წმინდა ლიტერატურული მოვლენებისადმი.

ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს ჩვენში რომანტიზმამდელ მიმართულებათა არსებობის უარყოფა, ახლა კი, კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ XVIII ს. მე-2 ნახევრისა და XIX ს. I-ლი ნახევრის ქართული მწერლობა კვალდაკვალ მიჰყვებოდა იმდროინდელ რუსულ-ევროპულ ლიტერატურას, სპეციფიკური ეროვნული ნიშანთვისებების შემცველი ერთი მიმართულება მეორეს სცვლიდა, ებრძოდა, ვითარდებოდა, მაგრამ რაკი პრესა და წიგნის გამომცემლობა არ გვქონდა, ეს ბრძოლა, მხატვრული სტილის ცვლა შეუმჩნეველი რჩებოდა, თითქოს, კულისებში მიმდინარეობდა; მოძველებულ მიმართულებებს თანაარსებობის საშუალება ეძლეოდათ, კონსერვატიული ნორმები შეგუების უნარს იძენდნენ, მხატვრულ სტილს სიჭრელე, ეკლექტურობა ეკიდებოდა და, როცა ეროვნულ თაოსნობაზე აღმოცენებული ისეთი პერიოდული გამოცემა გაჩნდა („ცისკარი"), რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ლიტერატურულ ცხოვრებაზე, მის ფურცლებზე ასპარეზი ჰპოვა არა მარტო სენტიმენტალიზმმა, რომანტიზმმა და რეალიზმმა, არამედ კლასიციზმმაც შემოაღწია და ყველამ ერთდროულად, თითქოს პირველად, დაიწყო გაფორმება, პროგრამის გამოცხადება, საკუთარი სახის ჩვენება.

„ცისკარს" დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მხატვრული მასალის ნაკლებობას განიცდიდა, ამიტომ ლიტერატურულ ძალთა გაერთიანების დროშით გამოდიოდა, თავს უყრიდა ყველა მწერალს, განურჩევლად მიმართულებისა, აგროვებდა ყველა გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს. მიუხედავად იმისა, თუ როდის იყო დაწერილი. 50-იან წლებში ეს ჟურნალი ლიტერატურული კადრების გამომწვევ, შემომკრებ და გამაერთიანებელ ორგანოს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე უდავოა, რომ ეს ჟურნალი ასახავს არა მხოლოდ 50-60-იანი წლების, არამედ მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ სინამდვილეს; ე. ი. ვრცელ პერიოდს, როცა მონაცვლეობით ჩვენს მწერლობაში კლასიცისტური, სენტიმენტალური ან რომანტიკული სტილი ბატონობდა. აღნიშნულ მონაკვეთში დაბეჭდილი ნაწარმოებების, სულ ცოტა, ნახევარი მაინც დაწერილია 20-30-იან წლებში. ასევე, თანამშრომელთა ნახევარიც, 20-30-40-ანი წლების მწერლები, მაშასადამე, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები არიან. „ცისკარი" XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურული ცხოვრების სარკეა და, ამიტომ, სრულებით არ უნდა გვიკვირდეს, რომ მასში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებია ასახული. ამას ემატება ჟურნალის მისწრაფება, შეავსოს ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ხარვეზი ევროპული მწერლობისა და აზროვნების კლასიკური მონაპოვარით (შექსპირი, დეფო, გოეთე და ა. შ.). ყოველივე აღნიშნულის გამო, „ცისკარი" ლიტერატურულ მიმართულებათა რთული და მწვავე ბრძოლის არენად იქცა. თუმცა, ესეც არ იყოს, კლასიციზმთან და სენტიმენტალიზმთან ბრძოლა არა თუ ჩვენში, ევროპულ და რუსულ ლიტერატურაშიც 40-იან წლებამდე გრძელდებოდა და 40-იანი წლების რუსული ლიტერატურული პრესა ჯერ კიდევ აჭრელებული იყო კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის ეპიგონებით.

მაშინდელი მოწინავე კრიტიკა თავიდანვე ამჩნევდა ამ გარემოებას, გადაჭრით ილაშქრებდა კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, იბრძოდა ჭეშმარიტად რეალისტური ლიტერატურისათვის. მოგვიანებით, ლიტერატურული პოლემიკის მიზეზად მხოლოდ რომანტიზმისა და რეალიზმის დაპირისპირება გამოცხადდა. მაგრამ, იმის დასამტკიცებლად, რომ თაობათა ბრძოლის შინაარსს მხოლოდ რეალიზმსა და რომანტიზმს შორის წინააღმდეგობა განსაზღვრავდა, აუცილებელი იქნებოდა ამ მიმდინარეობათა მხატვრული სტილის შეპირისპირება და ცხადყოფა, რომელი ლიტერატურული მომენტები იწვევდა დავას, აგრეთვე ჩვენება, რომ რეალიზმის მოპაექრენი ე. წ. „მამები“, ნამდვილად რომანტიკოსები იყვნენ. ჩვენი აზრით, ამ გარემოებისათვის ლიტერატურის ისტორიკოსებს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

ვინ არ იცის, რომ „სამი შტილის თეორია“ კლასიცისტური რეგლამენტის ქვაკუთხედია და რომანტიკოსები — მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, ამ რეგლამენტს, „ანტონ კათალიკოსის კატეგორიებს“ არ გამოექომაგებოდნენ. ამასთან, არც კამათის შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ რეალისტები (ახალთაობა) რომანტიზმს ებრძოდნენ, მოწინააღმდეგედ მას გულისხმობდნენ, სამაგიეროდ, როგორც სოციალურ, ისე „წმინდა ლიტერატურულ“ საკითხებზე ისინი კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმს აკრიტიკებენ, გმობენ და არაერთგან კიდეც ახსენებენ. რაც შეეხება რომანტიზმს, იგი მათი მოკავშირე იყო ამ ბრძოლაში; უდავოა, რომ ი. ჭავჭავაძის წერილს — „ორიოდე სიტყვა თ. რ. შ. ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომანტიკული პათოსიც ასაზრდოებს.

აქ რეალიზმისა და რომანტიზმის რაიმე დაპირისპირებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართულმა პროგრესულმა რომანტიზმმა მტკიცე ნიადაგი მოუმზადა რეალიზმს, ხოლო ე. წ. ფსევდორომანტიზმს ჩვენში არავითარი ძალა არ ჰქონდა, სტილის აღრევის გამო, გათქვეფილი იყო ეპიგონურ-ეკლექტიკურ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმში, კრიტიკულ რეალიზმს კი ელობებოდა უფრო საშიში დაბრკოლება — კლასიცისტური და სენტიმენტალური სტილი, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან მთლიანად აღმოფხვრილი, და ახლა, როცა პრესაში ასპარეზი იპოვეს, სრულებითაც არ აპირებდნენ პოზიციის დათმობას, ბორკავდნენ მხატვრული ლიტერატურის თავისუფალ განვითარებას. ისიც გავიხსენოთ, რომ რომანტიზმი „ცისკარში“ წარმოდგენილი იყო არა ეპიგონთა შემოქმედებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის ნაწარმოებებით, რომლებიც პირველად ქვეყნდებოდა, და ამ ვითარებაში რომანტიზმის კრიტიკა კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის წისქვილზე წყლის დასხმა იქნებოდა, მაშასადამე, კრიტიკულ რეალიზმს მხოლოდ ზიანს მოუტანდა.

ახალთაობის წერილები „ცისკარში“ გზას უკაფავდა კრიტიკულ რეალიზმს. მათი ძირითადი პრობლემა — რეალიზმის პრობლემა, ანტირეალისტურ მიმდინარეობებთან, დრომოჭმულ ესთეტიკურ დოგმებთან ბრძოლისა და ახალი ესთეტიკური იდეალების, რეალისტური პრინციპების დანერგვისათვის, შემოქმედებითი თავისუფლებისათვის, სახალხო ლიტერატურისათვის ბრძოლის პრობლემა იყო, რადგან, როგორც ბ. ბელინსკი ამბობს, სახალხო ლიტერატურისათვის ბრძოლა ხალხის განათლების, მისი გათვითცნობიერებისათვის ბრძოლაა, ხოლო ყოველივე ეს წარმოუდგენელი იქნებოდა კლასიციზმთან, სენტიმენტალიზმთან „წმინდა ლიტერატურულ მოვლენებზე“ კამათის გარეშე. თავიანთი რეალისტური ესთეტიკური იდეალი თერგდალეულებმა სწორედ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმთან პოლემიკაში ჩამოაყალიბეს: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ანტ. ფურცელაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე და სხვანი ამ გარემოებას, — კონკრეტულად: კლასიციზმთან და სენტიმენტალიზმთან ბრძოლას, — მუდამ ხაზს უსვამენ და ჩვენს მწერლობაში, კერძოდ „ცისკარში“, აღნიშნულ მიმდინარეობათა არსებობა რომ უარეყო, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ღრმაშინაარსიანი, მრავალფეროვანი, უაღრესად პროფესიული ლიტერატურული პაექრობა ქარის წისქვილებთან ბრძოლად, ანბანიდან რამდენიმეასოს განდევნის გამო შეხლა-შემოხლად ჩაგვეთვალა.

1832 წ. შეთქმულების დამარცხებამ ქართულ კლასიციზმს მსოფლმხედველობრივი წყარო დაუშრიტა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ჯერ კიდევ ასაზრდოებდა ერეკლესდროინდელ საქართველოზე ოცნება, მაშინდელი რაციონალისტურ-განმანათლებლური იდეოლოგია: კვლავ აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ კლასიციზმის ბურჯები: გ. ავალიშვილი, ალ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი, კოლხიდელი, ივ. ერისთავი, დიდი გიორგი ერისთავი და სხვ., რომელთაც დღეს რაღაც „არქაისტების“ გაურკვეველი სახელით ვიცნობთ; ფსიქოლოგიურ-ლიტერატურული ინერციით კვლავ ცოცხლობდა კლასიცისტური ტრადიციები, რასაც აძლიერებდა განათლების, განსაკუთრებით, ქართული საოჯახო-სამონასტრო განათლების კლასიცისტური ხასიათი, რომელიც ანტონისა და მისი მოწაფეების სისტემასა და სახელმძღვანელოებს ემყარებოდა. საგულისხმოა, რომ 1853 წ. პლ. იოსელიანმა პირველად გამოსცა ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, რომელიც ძველი წესების მიმდევარ ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. მერმე, ხელნაწერებზე რომ არაფერი ვთქვათ, კლასიციზმის პრინციპებს ემყარება და

თითქმის მხოლოდ კლასიცისტურ მემკვიდრეობას შეიცავს 1846 წ. გამოსული დავ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათიის“ ორი ტომიც. ეს იმ დროს, როცა რომანტიკოსთა მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ჯერ კიდევ არ ღირსებოდა დაბეჭდვა. ამ გამოცემებმა, უდავოდ, გამოაცოცხლა ქართული კლასიციზმი.

აქ, იმის შესახსენებლად, რომ ქართულ კლასიციზმს სხვა ცოცხალი წყაროც ჰქონდა, და იმ დროს კლასიციზმი ჩვენში რაღაც კურიოზულ ანაქრონიზმს არ წარმოადგენდა. აღვნიშნავთ, რომ საფრანგეთშიც კი კლასიციზმს მხოლოდ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გაუმართეს გადამწყვეტი ბრძოლა, ხოლო რუსეთში ეს პაექრობა 50-იან წლებამდე გრძელდებოდა და მის ბალჰსტსა და კონსერვატიულ ტრადიციებს ბ. ბელინსკიმ აუგო ანდერძი. 30-ან წლებში კი, უთუოდ, ჩვენს მწერლებამდეც აღწევდა ვიაზემსკის ჯიუტი ხმა: „კლასიციზმისა და რომანტიზმის დავა ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, კლასიციზმს ჯერ კიდევ ესაჭიროება ადვოკატები!“

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გ. ერისთავის „ცისკარი“ სრულებით არ იცნობს არც რეალისტურ პოეზიას, არც რეალისტურ პროზას, არც კრიტიკას, არც პუბლიცისტიკას და, სამაგიეროდ, რომანტიკულ ნაწარმოებთა გვერდით, იქ თავს უშფოთველად გრძნობს პ. კორნელის, დ. ბაგრატიონის, ალ. ორბელიანის, დავ. მაჩაბლის, ელ. წერეთლის, გრ. დადიანის, ივ. ერისთავის, დარ. ერისთავისა და სხვათა კლასიცისტური თხზულებანი.

1857 წელს დაარსებული ივ კერესელიძის „ცისკარი“ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ბრძოლის პირველი, გადამწყვეტი სარბიელი გახდა. 50-ანი წლების დასასრულსა და 60-ანი წლების დასაწყისში, სანამ კრიტიკული რეალიზმი ყველა ჟანრში მტკიცედ დამკვიდრდებოდა, ამ ჟურნალის ფურცლებზე გაბატონებული მდგომარეობისათვის იბრძოდა როგორც კლასიციზმი, ისე სენტიმენტალიზმი. მართალია, როგორც გარდამავალი ხანის მწერლობას შეჰფერის, და რაც ბეჭდვითი სიტყვის უქონელ ლიტერატურაში შეიძლება მომხდარიყო, სტილის აღრევისა და კონგლომერაციის გამო, ცალკეულ ნაწარმოებთა მიმართულების სრული დამაჯერებლობით განსაზღვრა ყოველთვის იოლი არ არის, ერთი მხატვრული სტილი მეორისაგან რაღაც უფსკრულით არაა გათიშული, — მოსალოდნელია, რომელიმე რეალისტურ, სენტიმენტალურ, რომანტიკულ ან კლასიცისტურ თხზულებაში სხვა სტილური ელემენტებიც აღმოვაჩინოთ (მხატვრული ლიტერატურის ზოგად, საერთო პრინციპებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), მაგრამ იმის მიხედვით, თუ რომელი ერთობითი ნიშანთვისებები სჭარბობს და როგორია ნაწარმოების საერთო სუნთქვა და სულისკვეთება,— განსხვავების დადგენა ამ შემთხვევაშიც ზუსტად ხერხდება, და კვლევაძიებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ 1857-61 წლების „ცისკრის“ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში, ჰეგემონია კლასიციზმს ეკუთვნის; რაოდენობითაც და გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რიცხვითაც, კლასიცისტები „ცისკრის“ პოეტთა უმრავლესობას შეადგენენ. ისინი წერენ აბსტრაქტულ სიყვარულზე, წუთისოფლის ამაოებაზე, ბუნების განსაზღვრულ მოვლენებსა და წარჩინებულ პირთა კერძო ცხოვრების, უმთავრესად საზეიმო შემთხვევებზე. ლექსი ჩნდება არა ჭეშმარიტი შთაგონების, პოეტური წვისა და ბუნებრივი მოწოდების შედეგად, არამედ ვიწრო არისტოკრატიულ-სალონური წრის დაკვეთით, მისი გემოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც პოეტიკის დადგენილი ნორმების დაცვას გულისხმობს და სხვას არაფერს.

ამ ლექსებში არ არის არავითარი განცდა, არავითარი მღელვარება, არავითარი შინაგანი წვა და წვდომა, ყველაფერი განხილული, აწონილ-დაწონილი და დახასიათებულია მოვალეობასა, ზნეობასა, ოფიციალურ დიდებასა და სოფლის ამაოებაზე დაკანონებული თვალსაზრისისა და ზნეობრივი კოდექსის მიხედვით. პოეტებს არ სჭირდებათ რისიმე აღმოჩენა, რისიმე მიგნება, თავიანთი ინტიმური დამოკიდებულების გამომჟღავნება და საკუთარი სულის ანთება, რადგან აუცილებელი და საკმარისია ზოგადი მხარეების აღნიშვნა, საერთო განყენებული თვისებების აღნუსხვა და მათზე „ფილოსოფიური“ მსჯელობა. ამიტომ, ესა თუ ის მიძღვნა, ხოტბა ან ეპიტაფია შეიძლება გამოდგეს ანალოგიური საზოგადოებრივი ფენის, რომელიც გნებავთ, წარმომადგენლის მიმართ, განურჩევლად იმისა, რუსი იქნება ის, ქართველი თუ ინგლისელი.

ანალოგიურადაა გააზრებული და განსახიერებული სხვა თემები და მოტივებიც — სიყვარული, ბუნება, სამშობლო. თვით მშვენიერი ქალის სახეც სავალდებულო, ნომენკლატურული თვისებების გულგრილი აღნუსხვით ყალიბდება. ამაოდ დაუწყებთ ძებნას სულიერ პორტრეტს. ცოცხალ შთაბეჭდილებებს, შინაგან იმპულსებს; ცივ გონებას გული ისე ჩაუხშვია, რომ მისი ფეთქვა სრულებით აღარ იგრძნობა. პოეტის მთელი არსება აზრობრივ სფეროშია მობილიზებული და მომართული, რათა არაფერი, რაც სავალდებულოა, არ გამორჩეს, „მოხდენილად“ გამოთქვას. პოეტს კონტაქტი აქვს არა უშუალოდ ობიექტთან, არამედ იმ ცოდნასთან, რომლის მიხედვითაც ეს ობიექტი უნდა შეფასდეს. ეკ. ერისთავს ლექსში „კნეინა მანანა ორბელიანის პორტრეთზედ“, თითქოს, დრო და

ადგილი არ რჩება იმ შთაბეჭდილების გადმოსაცემად, რომელიც, უთუოდ, მანანა ორბელიანის პორტრეტის ნახვას უნდა გამოეწვია: მისი რწმენით, ეს არც არის საჭირო და საინტერესო; მთავარია, სავალდებულო ატრიბუტებით შეამკოს ძვირფასი ადამიანი.

შეიძლება გვეგონოს, რომ ყოველივე ეს უნიჭო მიმბაძველობით იყოს გამოწვეული, და ამიტომ ასეთი, მწერლების შემოქმედებითს მიმართულებაზე ლაპარაკიც არ ღირდეს. მართლაც, აღნიშნული პოეტები რომ მიმბაძველები არიან, ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომელი მიმართულების პოეტებს ბაძავენ ისინი, — და ვფიქრობთ, იმ არსებითი ნიშანთვისებების მიხედვით, თუნდაც იმის გამო, რომ მათ შემოქმედებაში რომანტიკული გრძნობის ნატამალიც არ მოიპოვება, ისინი კლასიციზმის ეპიგონები არიან. ამასთან, მიმბაძველობა აქ გამოწვეულია არა კონკრეტულად რომელიმე პოეტის გავლენით, არამედ სავალდებულო კლასიცისტური დოგმებისადმი ბრმა მორჩილებით, ამ ნორმების მოძველებით, ეპოქის სულთან შეუთავსებლობით, სქოლასტიზმით. საგულისხმოა, რომ ეს პოეტები კლასიცისტურ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი, სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი მისი პრინციპები, და, რადგან ამ მიმართულებას იდეურ-ფსიქოლოგიური საფუძველი დიდი ხანია გამოეცალა, მათ ხელში შერჩათ მისი ფორმალური მხარეები, გაქვავებული ფორმები, რომლებიც ბოჭავდა შემოქმედებითს თავისუფლებას და, მაშასადამე, ტალანტსაც.

კლასიცისტური შტამპებისა და ტრაფარეტების ტყვეობაში მყოფი „ცისკრის“ პოეტების შინაარსისაგან დაცლილ ნაწარმოებებს ფართო მკითხველი არ ჰყავდა, მათი ფორმალური კოპწიაობა გასაგები და მისაღები იყო მხოლოდ კონსერვატიული არისტოკრატიის მცირე ნაწილისათვის, რომელიც ესთეტიკურ იდეალს აღნიშნული კანონების აღსრულებაში ხედავდა. რადგან ქართულმა რომანტიზმმა თავის დროზე 30-ან წლებში, ვერ შესძლო კლასიცისტური ესთეტიკის მთლიანად დაძლევა, მაღალ არისტოკრატიულ წრეებში შეფარებული კლასიციზმის ტრადიციები, მისი დოგმატიკური პოეტიკა, სქოლასტიკური ლიტერატურის თეორია, რომელსაც ი. ჭავჭავაძემ „პიიტიკა“ და „ანბანთ თეორეტიკა“ უწოდა, — 50-ან წლებშიც ზღუდავდა, ბორკავდა და ხელს უშლიდა ჩვენი ლიტერატურის განვითარებას. ქართველმა კლასიცისტებმა, ხელთ იგდეს რა ერთადერთი პერიოდული გამოცემა — „ცისკარი“, სცადეს მწერლობისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპები, აღორძინეს ანტონ კათალიკოსის მოძღვრება, ჩახრუხაძის კულტი, ხელი მიჰყვეს თავიანთ წინამორბედების ნაწარმოებთა პუბლიკაციას და განდიდებას და ეს გზა — კლასიციზმის გზა, დასახეს ჩვენი ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ ხაზად. ბესიკის („რუხის ომის ამბავი“), დავით რექტორის, ალ. ორბელიანის, სოლ. რაზმაძის, დავ. მაჩაბლის, ი. ერისთავის, ალ. ჩიქოვანის, ნაწილობრივ, ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებები, რომლებიც პირველად ამ ჟურნალში ქვეყნდება ნერგავს კლასიცისტურ სახეებს, რაციონალიზმს, „მაღალ სტილს“, პოეტურ ნორმატივებს.

მაგრამ „ცისკარში“ — ამ ერთადერთ ქართულ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც მიზნად ისახავდა ლიტერატურული ძალების გამოვლინებას, შემოკრებასა და გაერთიანებას, ცხადია, სხვა მიმართულების მწერლებიც მონაწილეობდნენ და, პირველ წლებში, მკვეთრად დაპირისპირებული ძალა სენტიმენტალური მიმდინარეობა იყო.

გასაკვირი არ არის, რომ კლასიციზმი, რომელიც პოეზიას, კერძოდ, სახოტბო პოეზიას, „მაღალ ჟანრად“ თვლიდა, ხოლო პროზას, კერძოდ, რომანს, სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, — „ცისკარში“, ძირითადად, პოეტური ნაწარმოებებითაა წარმოდგენილი, ხოლო სენტიმენტალიზმი, რომელიც ასეთ ჟანრობრივ შეზღუდვას დაუპირისპირდა, უმთავრესად — პროზით.

მაგრამ, როცა 50-ანი წლების ქართულ სენტიმენტალიზმზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს არა ეს მოტივები, არა ასეთი „აღრეული სტილის“ ნაწარმოებები, არამედ სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი თხზულებანი, რომლებშიც პირველად შემოდიან დაბალი ფენის წარმომადგენლები, ნაჩვენებია მათი სულიერი ცხოვრება, მაღალი ზნეობრივი თვისებები, მდიდარი გრძნობები, დაპირისპირებულია პრივილეგიური და უუფლებო კლასების მორალი, გამოხატულია „უმანკო უბედურთადმი“ მხურვალე სიმპათია, გადალახულია ჟანრობრივი რეგლამენტი, გამომჟღავნებულია ენისა და სტილის დემოკრატიზაციის ტენდენცია, ე. ი. სენტიმენტალიზმის ის ნაკადი, რომელშიც დომინანტურია არა რომანტიზმის, არამედ რეალიზმის ნიშნები, — ნიადაგს უმზადებს რეალიზმს, — რომელიც ეროვნული მიზეზების გამო, ძალიან სუსტად იყო გამოსახული XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სენტიმენტალიზმში, ხოლო ახლა, 50-ან წლებში, გამოწვეული იყო ბატონყმური წყობილების კრიზისითა და ბურჟუაზიული ურთიერთობის გაძლიერებით. სენტიმენტალიზმის ამ თვისებებმა თავი იჩინა 40–50-ანი წლების ე. წ. „ნატურალური სკოლის“ რუსულ მწერლობაშიც, მაგრამ, საქართველოსგან განსხვავებით, რუსულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის სოციალურ ნაკადს XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც ძლიერი

ხასიათი ჰქონდა, 40-50-ან წლებში კი უკვე რეალიზმი ბატონობდა და ამიტომ „ნატურალური სკოლის“ სენტიმენტალური ტენდენციები იოლად იქნა დაძლეული. რაც შეეხება ქართულ მწერლობას, სადაც კრიტიკული რეალიზმი ჯერ არ არსებობდა და კლასიციზმის გავლენაც იგრძნობოდა, სენტიმენტალიზმის სოციალურმა ნაკადმა ამ ვითარებაში ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა და გამოიწვია საერთოდ სენტიმენტალური მიმდინარეობის აღორძინება-გამოცოცხლება.

50-60-ანი წლების „ცისკრის“ პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაში დიდ ადგილს იჭერს დაჩაგრული, უბედური, დამცირებული ადამიანის თემა. ლექსებისა და მოთხრობების მთავარი გმირია ყმაგლეხი, ღლიური მუშა, მათხოვარი, ღარიბი მოხელე, — უუფლებო, დიდკაცებისაგან გამწარებული, პირუტყვად მიჩნეული უბრალო ადამიანი, რომელიც ბუნებისაგან დაჯილდოებულია კეთილი გულით, ფაქიზი გრძნობით, წმინდა ზნეობით და ყოველმხრივ იმსახურებს პირად თავისუფლებასა და თანასწორუფლებიან, ადამიანურ დამოკიდებულებას. მწერლები ცდილობენ, ჩაგვახედონ მათ მგრძნობიარე გულში, გადმოგვიშალონ მათი ღრმა სულიერი სამყარო, ტანჯვა და ტკივილები და აღგვიძრან სიბრალული, თანაგრძნობა და სოლიდარობა. „სოფლის ამაოების“ მოტივიც, ამ თვალსაზრისით, უკვე ახალ იდეურ ქღერადობას იძენს — გამოხატავს ჩანაფიქრს, რომ რაღგან ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია, დღეს ვართ და ხვალ არ ვიქნებით, მდიდარიცა და ღარიბნიც მოკვდავნი, და მაშასადამე, ღვთის წინაშე თანასწორი არიან, ამიტომ, ადამიანებმა ერთმანეთს არ უნდა აწყენინონ, ერთმანეთი არ უნდა დატანჯონ, მდიდრები შემწყნარებლურად უნდა მოექცნენ ღარიბებს და ა. შ. უცნაური იქნებოდა, XIX საუკუნის 50-იან წლებში, სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული, სულ სხვა იდეური გამიზნულობის ეს „კაცის აქაური ცხოვრების ამაოებაზე ჩივილი“, „წუთისოფლის მდურვა“, მექანიკურად ძველ ქართულ მწერლობაში სულ სხვა წარმოშობისა და ჟღერადობის ანალოგიურ მოტივთან რომ დაგვეკავშირებია.

მხატვრული სტილით, აღნიშნული ლიტერატურა უპირისპირდება კლასიციზმის „მაღალ შტილს“, საზეიმო პათეტიკას, ხელოვნურ აღმაღლებულობას, ღვლარჭნილობას და, ამ მხრივაც, ნიადაგს უმზადებს რეალიზმს.

ის მკვლევარები, რომლებიც უარყოფენ ქართულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის არსებობას, კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ 50-ანი წლების ქართულ მწერლობაში უკვე რეალიზმი (კრიტიკული რეალიზმი) იყო გაბატონებული, მაგრამ, როგორც ვთქვით, 50-ან წლებში არ არსებობს ქართული რეალისტური პოეზია, პროზა, კრიტიკა, დრამა, პუბლიცისტიკა, მაშასადამე, ლოგიკური იქნება, დავასკვნათ, რომ არ არსებობს საერთოდ ქართული რეალიზმი, რომ ამ დროს—50-ან წლებში პერიოდულ პრესაში („ცისკარში“) გაბატონებული მდგომარეობა უკავია ანტირეალისტურ მიმდინარეობებს (კლასიციზმს, სენტიმენტალიზმს) და მათი დაძლევის გზით, ნიადაგი მზადდება კრიტიკული რეალიზმისათვის.

50-ანი წლების „ცისკრის“ პროზა სენტიმენტალური პროზაა და, ეტყობა, ეს გზა აუცილებელი გამხდარა, თვით ჩვენი ლიტერატურის ვითარებას უკარნახია ან გამოუწვევია. ვიმეორებთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ სოციალურ ურთიერთობათა პრობლემატიკას ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით პროზაში, სათანადო ტრადიცია არ გააჩნდა.

ამგვარ თხზულებათა თემა, წერის მანერა და მოტივები იდენტური არაა, მაგრამ მათ აკავშირებს ისეთი პრინციპული იდეურ-სტილური ნიშნები, როგორიცაა: „გულის რელიგია“, დამცირებულთა და დაჩაგრულთადმი (არა მუდამ კლასობრივ-წოდებრივი მიზეზით) გულჩვილი, შემბრალებლური თანაგრძნობა, გრძნობებისა და ვნებების თავისუფლება, ცრემლიანი ინტიმურობა, ისტორიულ-ყოფითი რეალიზმი, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის მორალური ტენდენცია, „სენტიმენტალური ტონი“, უბრალო, თავისუფალი არსებობის იდილია, ოჯახური ცხოვრების (სიყვარულის) სოციალური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, ფარისევლური ეტიკეტის დაგმობა, მელოდრამატიზმი.

სენტიმენტალიზმმა — თავისი დროის მოწინავე იდეოლოგიამ, თანასწორობის, ძმობის, თავისუფლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების გავრცელებით დიდი როლი შეასრულა ლიტერატურისა და სოციალური აზროვნების განვითარებაში, ნიადაგი შეუმზადა როგორც რომანტიზმს, ისე რეალიზმს, ამიტომ ამბობდა ბ. ბელინსკი, რუსეთს თავისი ეროვნული ცხოვრების ისტორიაში სენტიმენტალიზმის ეპოქა არ გაუვლია, მაგრამ, რუსული ლიტერატურის განვითარებისათვის მით უფრო აუცილებელი იყო სენტიმენტალური მიმართულება, რომელიც კარამზინის შემოქმედებაში გამოვლინდაო.

თითქმის ყველაფერი ახალი, რაც 50-ან წლებში ქართულად შეიქმნა და გადმოითარგმნა, სენტიმენტალური ან სენტიმენტალიზმის გავლენას განიცდის. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ ორიოდე რეალისტური და რომანტიკული, ხოლო ათობით სენტიმენტალური ნაწარმოები გადმოითარგმნა, თავისთავად მეტყველებს, შემთხვევითი, „არაცნობიერი აქტი“ იყო ეს, თუ კანონზომიერი მოვლენა, რომელიც დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არავითარი მოთხოვნილება არ წარმოიშვება და, როგორც

ჩვენს მიერ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, 50-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში არათუ **მოსალოდნელი და შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც იყო სენტიმენტალიზმის გამოცოცხლება.** გარდა იმ მიზეზებისა, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ (ბატონყმობის კრიზისი და სოციალურ ურთიერთობათა ასახვის საჭიროება, ლიტერატურაში დაბალი ფენების შემოყვანა, დაჩაგრულთა, უბრალო ადამიანთა ყოფისა და ფსიქოლოგიის ჩვენება, მათი ადამიანური ღირსებებისა, გრძნობებისა და უფლებების დემონსტრირება და ა. შ.), ეს აუცილებელი იყო, აგრეთვე, კლასიცისტური ბალასტის, მისი გაქვავებული ნორმების დასაძლევად, აღმოსავლური მწერლობის ზეგავლენის აღმოსაფხვრელად, ხალხური ენის, განსაკუთრებით, პროზის ენის, გამოსამუშავებლად და, ყოველივე ამის წყალობით, რეალიზმისათვის უფრო მტკიცე ნიადაგის შესამზადებლად. ამ მხრივ, ევროპულ და რუსულ რეალიზმს სენტიმენტალიზმმა უდიდესი სამსახური გაუწია, ხოლო ჩვენში, ლიტერატურულ მიმდინარეობათა განვითარების თავისებურებების (თანაარსებობის) გამო, აღნიშნული პირობების შემზადება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ცხადია, გულუბრყვილობა იქნება, ვიფიქროთ, რომ ეს **ნიადაგის** შემზადება შეგნებულად, გეგმიანად მიმდინარეობდა, — არა, ეს იყო თვით რეალიზმის განვითარების პროცესი, რეალიზმის საფეხური, რომელიც სენტიმენტალიზმში სოციალურ ურთიერთობათა, უბრალო ადამიანთა ცხოვრების ასახვას, მათდამი თანაგრძნობას უკავშირდება. ამ ტენდენციამ, თუმცა გამოავლინა სენტიმენტალიზმის, როგორც პროგრესული ისე რეაქციული ფრთა, მაგრამ გარკვეულ მონაკვეთში, მას, საერთოდ, მაინც, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. დიახ, ეს აუცილებელი იყო კლასიცისტური სქოლასტიკისგან ლიტერატურის განთავისუფლებისათვის, იმ გაგებით, როგორც ამას ბ. ბელინსკი კარამზინის დამსახურებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს.

მართლაც, 50-იანი წლების ქართული სენტიმენტალიზმი გამოდის კლასიცისტური დოგმების წინააღმდეგ ბრძოლის, კლასიცისტური „პედანტიზმისა“ და „სკოლური წვრილმანობის“ აღმოფხვრის, ღვლარჭნილობისა და უსაქმურობის დაძლევის, ენის გახალხურების, შემოქმედებითი თავისუფლებისა და უბრალოების მოთხოვნებით. სამართლიანად ამბობენ, რომ კლასიციზმს სენტიმენტალიზმზე შეურიგებელი და უშუალოდ დამშლელ-დამარღვეველი მტერი არა ჰყოლია.

ყველა მოხსენიებულ ასპექტში, „ცისკრის“ სენტიმენტალისტები საკმაოდ ნათლად გამოხატავდნენ თავიანთ თეორიულ-ლიტერატურულ თვალსაზრისს, იცავდნენ და თავიანთ შემოქმედებითს პრაქტიკაში ხორცს ასხამდნენ მას; ამასთანავე, სენტიმენტალიზმის რეაქციული და პროგრესული ფრთის წარმომადგენელთა შორის განსხვავებაც თვალსაჩინოა. ჩვენი სენტიმენტალისტები კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ მხატვრულ ლიტერატურას ზნეობრივი როლი აკისრია და მისი მიზანი საზოგადოებრივი მორალის განწმენდაა, ხაზს უსვამდნენ ხელოვნების მორალურ-ეთიკურ ფუნქციას; რომ „მწერალი საკუთარი წარმოსახვის მონა უნდა იყოს და არა ტირანი“, ნაწარმოები უნდა იტაცებდეს მკითხველის გულსა და გონებას; რომ მწერალი მაშინ შეიცნობს სამყაროს, გმირებს, მათ ხასიათს, როცა თავის თავს შეიცნობს; რომ მწერალი მამაა ხალხისა, დამრიგებელი, აღმზრდელი; რომ ჟანრებს შორის ჩინური კედელი არ არსებობს და საზღვარი სულ უფრო იშლება; რომ ავგული, ზნეობრივად მანკიერი მწერალი კარგ ნაწარმოებს ვერ დაწერს.

„ცისკარში“ დაბეჭდილ კარამზინის კრიტიკულ-თეორიულ წერილებში ძირფესვიანად უარყოფილია კლასიციზმის ესთეტიკა, „ფროლ სილინის“[1] მიმართულებას განსაზღვრავს კლასიციზმის ლიტერატურული სტილის მკაცრი კრიტიკა ახალი ესთეტიკური მიმართულების — სენტიმენტალიზმის პოზიციებიდან. კლასიციზმის წინააღმდეგ საბრძოლო ჰიმნივით გაისმის ამ ნაწარმოების დასაწყისი, სადაც მწერალი, უპირისპირდება რა ვირგილიუსებს, რომლებიც ავგუსტებს განადიდებენ, ენამოშაქრულ მლიქვნელებს, წარჩინებულთა სულგრძელობას რომ ასხამენ ხოტბას, — ამაყად აცხადებს, რომ მას **სურს შეაქოს ერთი უბრალო სოფლელი კაცი** — ფროლ სილინი და ეს ქება იმით გამოხატოს, რომ **აღწეროს საქმენი მისნი, რომელნიც მას მოეხსენება. ეს არის პირდაპირი იერიში კლასიციზმის რჩეულ გმირთა წინააღმდეგ და ახალი, სენტიმენტალური გმირების დემონსტრაცია.** სენტიმენტალური უბრალოება, ბუნება აქ მკვეთრადაა დაპირისპირებული კლასიციზმის რაციონალიზმთან და სქემატიზმთან, უარყოფილია „მაღალი ჟანრები“ — ოდა, დითირამბი. სენტიმენტალისტმა მწერალმა დავ. თაზიშვილმა თავის რომანს — „ჩემი გული“, ასე ვთქვათ, სპეციალური ლიტერატურული მანიფესტი წაუმძღვარა, რომელშიც ცხადადაა გადმოცემული ჟან-ჟაკ რუსოს „გულის რელიგია“, დასაბუთებულია გრძნობის პრიმატი; სენტიმენტალიზმის პრინციპებით არის გაშუქებული ტალანტის, შთაგონების, ტრადიციისა და ნოვატორობის, მემკვიდრეობითობის პრობლემები.

სენტიმენტალისტები „ცისკარში“ აქვეყნებდნენ პაროდიებს, ბურლესკებს კლასიცისტური შაბლონის, ღვლარჭნილობის, ბანალური მოტივების, ცრუამაღლებულობის,—სპარსული პოეზიის მოშაქრული, უსაქმური, ნაძალადევი სტილის დისკრედიტაციის მიზნით; იმათ წინააღმდეგ, ვინც შთაგონებით კი არ ქმნიდა, არამედ

1 „ცისკარი“ 1857, № 7.

მზამზარეულ ყალიბებში აწყობდა სტანდარტულ გრძნობებსა და აზრებს, დაობებული წიგნებიდან ქაჩავდა უსულგულო მეტაფორებსა და შედარებებს.

დამახასიათებელია, მაგალითად, რევ. ბარათაშვილის პაროდია — „ოსეფას ისტორიამ მე დიდად შემაშინა“.

ღმერთო, ღირს ვარ შენდობის, ბევრი ცოდო
მჭერია,
სიკეთეც კი მიმიძღვის, ლექსი არ მიწერია.
ჭეშმარიტად, ეს დიდი მე ცოდვა ამცდენია,
ანეული ამ ცოდვითა, ვინ იცის, რამდენია?...

ასეთ გარდამავალ ხანაში, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ჭიდილის რთულ ვითარებაში, როცა სენტიმენტალიზმი გამოცოცხლდა და ძირითად სტილად იქცა, გრ. რჩეულიშვილის მოთხრობებმა და რომანებმა, უდავოდ, დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს პროზის აღორძინებაზე.

სენტიმენტალიზმის კრიტიკამ მკაცრი ხასიათი მიიღო „ცისკრის“ დაარსების შემდეგ, როცა ამ ჟურნალში, განსაკუთრებით, პროზაში, აღნიშნულმა მიმდინარეობამ გაბატონებული ადგილი დაიკავა.

1858 წლის აპრილის ნომერში ალ. ორბელიანმა ულმობლად გააკრიტიკა გრ. რჩეულიშვილის სენტიმენტალური მოთხრობა — „ქვრივის ლიმონები“, რომელიც 1857 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაიბეჭდა.

ალ. ორბელიანი გამოთქვამს არა პირად შეხედულებებს, არამედ მთელი ლიტერატურული სკოლის — ქართული კლასიციზმის თვალსაზრისს, — ფეოდალური არისტოკრატიის იმ ნაწილის მრწამსს, რომელიც აქამდე ერთგული იყო ერეკლე მეორის დროის პოლიტიკურ-კულტურული იდეოლოგიისა. სტატიის („ქვრივის ლიმონების“ განხილვა ანუ კრიტიკა“) დასაწყისში კრიტიკოსი აშკარად აცხადებს, რომ გარკვეული წრის სახელით გამოდის, ერთი ჯგუფის პოლიტიკურ-ესთეტიკურ აზრსა და გემოვნებას გამოხატავს: „უ. გრიგოლ რჩეულიშვილისაგან დაწერილ „ქვრივის ლიმონებზე“ შეიჭურნენ მრავალნი; ისე ფიცხად ლაპარაკობდნენ იმაზედ, რომ მეგონა, განხილვას დაუწერდა ვინმე, მაგრამ აქამომდე ამაზედ არა გამოიცა რა „ცისკარში“. **ამისთვის ისევ მე დავწერე**, რაოდენი რაიც ვიცი და განვიხილავ“.

ალ. ორბელიანი მწერალს ბრალად სდებს **ლიტერატურულ-ეთიკური რეგლამენტის** დარღვევას. იგი აღშფოთებულია, რომ გრ. რჩეულიშვილი მეფეზე ისე ლაპარაკობს, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავზე, უბრალო ადამიანზე; რომ მის ნაწარმოებში უარყოფილია ტრადიცია; გრ. რჩეულიშვილი **პატივს არ სცემს ავტორიტეტებს**, კვალდაკვალ არ მიჰყვება მატიანეს, არ იცავს ისტორიული მოვლენების ასახვის **დადგენილ პრინციპებს**; ეტიკეტზე, გონებრივ განსჯაზე, **სავალდებულო ზნეობრივ ნორმებზე** მაღლა აყენებს გულითქმას, გრძნობას, სუბიექტურ მისწრაფებებს; სასახლის კარის წესებს ანგარიშს არ უწევს; ხმარობს **მეფე — დიდებულთათვის შეუფერებელ** სიტყვა-გამოთქმებს. „უადგილოდ თქმულია“, მისი აზრით, კეკეს მორთვა-მოკაზმვა მეფესთან შესახვედრად, ბუნების ტრფიალით მოხუცი მეფის გახალისება, მეფის საალერსო სიტყვები, უშუალო, **ინტიმური** საუბარი კეკესთან; რომ ეკლესიაში კეკეს გამოჩენა „გულს დასწვავდა“ „სხვა გასათხოვარ ქალებს“. „უწინდელს დროში ეკლესიებში ყმაწვილკაცებისაგან კისრის გრეხა და ქალების ყურება როგორ შეიძლებოდა!“ „არა დარბაისელთან არ იქნებოდა ამგვარი ლაპარაკი,... არამც თუ მეფესთან“. „არავინ არ იტყოდა სიტყვას „გარყვნილოვო“, არამც თუ მეფეები“; ეს **„ზრდილობაში არ შემოდიოდა“**; „კიდევ იტყვით საგინებელ სიტყვას მეფეს ირაკლიზედ“? ერთი სიტყვით, კლასიცისტ კრიტიკოსს საშინელ დანაშაულად მიაჩნია ყოველგვარი მხატვრული გამონაგონი. ყოველგვარი კოლექტივი მატიანეებისა, ყოველგვარი შემოქმედებითი თავისუფლება, გრძნობებისა და ვნებების ისეთი გამოვლინება, რომელიც ადამიანს არა თუ თავის მოვალეობას დაავიწყებს, არამედ, თუნდაც, თავის მდგომარეობისათვის ერთ შეუფერებელ სიტყვას წამოაცდენინებს. თითქოს, დიდი მკრეხელობაა, რომ მწერალმა თავის გმირს, ივანე აბაშიძის ასულს, კეკე დაარქვა, ხოლო სინამდვილეში სამი ივანე აბაშიძე იყო იმ დროს და არც ერთის შვილს „არა რქმევია კეკე“.

ალ. ორბელიანს დაუშვებლად მიაჩნია ჟანრებს შორის საზღვრის წაშლა, რაც სენტიმენტალიზმის გავრცელებული ხერხი იყო და რასაც კლასიციზმი მომაკვდინებელ ცოდვად თვლიდა: „არ ვიცი, რა ნდომია ან რა გაუკეთებია უ. რჩეულოვს? — ისტორიისათვის? — უვარგია. რომანი? — რომანის აჩრდილი არ არის. — მოთხრობა? — არც მოთხრობად ითქმის“. ალ. ორბელიანს დაუშვებლად მიაჩნია ერეკლეს დროინდელ ეპოქაში პარტიკულარიზმის ტენდენციებისადმი არა თუ რაიმე სიმპათიის გამომჟღავნება, არამედ მისი ხსენებაც კი: „ქართლის მამინაცვალოვო და კახეთის მამაო“, — მართალია, თქმულია, მაგრამ რომელი გლეხკაცი გაუბედავდა ამ სიტყვას? თქმულია წინააღმდეგისა და მტრებისაგან, უ. რჩეულოვო!“ ვითომც ერეკლეს „ვერას ღონისძიებით კარგი ქცევა ვერ ესწავლებინოს რა კახელებისათვის... ესეც კახლების საწინააღმდეგოდ არის თქმული“.

ამრიგად, რეცენზენტი ვერ ითმენს მხატვრულ ლიტერატურაში ხალხური წყაროების, გადმოცემის, ანდაზების გამოყენებას, ხასიათების მყარ, დოგმატურ სისტემაში მწერლის ფანტაზიის შეჭრას, ინდივიდუალურ ფსიქოლო-

გიას, ისტორიული ჭეშმარიტებიდან მცირეოდენ გადახვევას; მოითხოვს „რჩეულ გმირებს“, რომელთაც არავითარი ადამიანური სისუსტე არ უნდა ჰქონდეთ; „რა არის უფ. რჩეულოვის თხზულება ესე? — არც უწინდელს ჩვენს **ზნეობაში შემოვა ესენი. არც ჩვეულებაში, არც ქცევაში, არც მართებლობაში, არც ხასიათში, არც ზრდილობაში** და სრულიად არაფერში“.

მაშასადამე, ალ. ორბელიანისათვის ისტორიული სინამდვილე შემოქმედის მხატვრული ფანტაზიის სარბიელი კი არაა, არამედ გაქვავებული მოდელია, რომელსაც გულმოდგინედ უნდა მიბაძოს.

კრიტიკოსის რამდენიმე შენიშვნა ისტორიულ ანაქრონიზმებზე სამართლიანია, მაგრამ, საერთოდ, მისი წერილი, თავიდან ბოლომდე, კლასიციზმის დოგმებს ემყარება, გამსჭვალულია სენტიმენტალიზმის საწინააღმდეგო სულით და რეალიზმის პრინციპებსაც ეწინააღმდეგება.

გრ. რჩეულიშვილის ნაწარმოებები კლასიცისტურ ტრადიციებზე აღზრდილი არისტოკრატიის წარმოუდგენელ პროტესტს იწვევდა. ისტორიული სიზუსტე, ისტორიულ-ყოფითი კონკრეტულობის იგნორირება, დაკანონებული გემოვნებისადმი დამორჩილება, „ზრდილობის დაცვა“, რასაც მისგან მოითხოვდნენ, კლასიცისტური მოთხოვნები იყო. წერილებში — „ანუკა ბატონიშვილის მოთხრობაზედ“ („კნ. ნინა ერისთავის“ ფსევდონიმით) და „უფალო რედაქტორო!“ („კახეთის მებუკის“ ფსევდონიმით) ბარბარე ჯორჯაძე ცხადყოფს, რომ გრ. რჩეულიშვილის ნაწარმოებები შეუთავსებელია ფეოდალური წყობილების, ძველი საქართველოს მსოფლგაგებასა, რელიგიასა, მორალსა, ესთეტიკასა და სტატუტთან. იგი იურიდიული კოდექსის შეუვალობას ანიჭებს ზნეობისა და ხელოვნების მამა-პაპურ კანონებს, გემოვნებას, სტილს, წარსულისადმი დამოკიდებულებას, მორალის ნორმებს და სხვ., ამის თაობაზე არავითარი კამათი არ შეიძლება, ყველაფერი ეს მტკიცედ განსაზღვრულია, და, ვინც ამ კანონებს არ დაემორჩილება, როგორც კრიტიკოსი ამბობს, უსათუოდ უნდა დაისაჯოს. „თავადიშვილთა“ ერთ ჯგუფს ნაწარმოები არ მოეწონა, მაშასადამე, ის მართლაც არაფრად ვარგებულა და ამას დამტკიცებაც არ სჭირდება. გემოვნება დოგმატურია. ერთ კერძო წერილში ბარ. ჯორჯაძე სიამოვნებით წერს, რომ თავადიშვილები გრ. რჩეულიშვილს მისცვივდნენ, „ეს რა დაგიწერიაო“, — და „კინაღამ დაახრჩეს, შენ როგორ გაბედე, რომ იმისთანა მოთხრობა დასწერე სიცრუითაო: ცემას უპირებდნენ, თუ არ გამოეტაცნათ“. ნუ ვიფიქრებთ, რომ ბ. ჯორჯაძე მართლა ასეთი ბოროტი ბუნების მანდილოსანი იყო, — არა, ლიტერატურულ-მორალური ნორმების შებღალვა მისთვის კაცის კვლაზე მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა. ამ დოგმების სიწმინდის დასაცავად ის არავის ინდობს; ერთადერთ ქართულ გამოცემას — „ცისკარსაც“ კი მოსპობით ემუქრება, თუ გრ. რჩეულიშვილის მოთხრობების მსგავს ნაწარმოებებს კვლავ გამოაქვეყნებს. ეს, შეიძლება ითქვას, კლასიცისტური ფანატიზმია. მერედა, რა დანაშაული ჩაუდენია გრ. რჩეულიშვილს? — შემოქმედებითი ფანტაზიისათვის ფართო გასაქანი მიუცია, სასახლის კარის შინაური ამბები აუწერია, ანუკა ბატონიშვილი — მეფის და, ვნებიან, მგრძნობიარე ქალად გამოუყვანია; შეყვარებულთა შორის წოდებრივ-ასაკობრივი რეგლამენტი გადაულახავს; გმირებს ზნეობის კოდექსი დავიწყნიათ და თავიანთ გულისთქმას აჰყოლიან, — და: „რადგან უფ. რედაქტორმა არ მიხედა ამას და ჩვენის მეფის და ბატონიშვილის სიცრუით პატიოსნების გინებაზედ შეიწყნარა უ. რჩეულოვის... „ანუკა ბატონიშვილი“... ქვეყნად ჩვენის თავის მოსაჭრელად, ამისათვის უმჯობესად ვჰრაცხთ, უკუვსდგეთ „ცისკარზედ“ ხელისმომწერისაგან, უკეთუ საკვლაოთაც გამოიცემა. ამავე წესით“.[1]

ბარ. ჯორჯაძის რწმენით, მწერალმა წარსული უნდა აჩვენოს „სამაგალითოს სახით“, გრძნობა და ვნება მოვალეობისა და „ზრდილობის“ წინაშე დაადუმოს, მეფე-დიდებულნი წასაბაძ ნიმუშად დასახოს, თუ რამ ცუდი იყო ძველად, არ უნდა გაამჟღავნოს, „უშვერი სიტყვები“ არ უნდა იხმაროს, — ერთი სიტყვით, კლასიციზმის მთელი კოდექსი ზუსტად უნდა აასრულოს. „იმ საუკუნეში, — წერს ის, — ამგვარ ლაპარაკს და ქცევას **ბატონიშვილთან** ვერცერთი პირი **ვერ** იკადრებდა გაებედნათ, როგორც **ვიღაც ტიტიკოს** და ყოველი საზოგადოება **ბატონისა და ბატონიშვილის ყოფაქცევის მიმბაძავნი ყოფილან, რომელიც** ეხლაც **შევნატრით იმ ძველს დაკრძალულებას და ზეციურს სიმშვიდეს...** თუნდა რომ ყოფილიყო **რამე შეცდომა კაცობრიობის ბუნებისა** იმ დროში, მაინც ისეთის **ფარდით იყო დაბურვილი წესდებულება,** რომ,... განა გამოიყვანდნენ ასე **საზოგადო საზღაპროთ?..** მერე ალექსანდრე **მეფე** და ისიც თავის დას?... **გრ. რჩეულოვი ხომ არ იქნებოდა იქ იმ დროს დამსწრე და რომლის ისტორიით მოგვითხრობს?...** რის ძალით ალაპარაკებს... ტიტიკოს... **ისიც მოსამსახურეს ბატონიშვილის** წინ **იმ ყოვლის უწესო ლექსებით...** წარმოიდგინეთ ამ სიტყვიერების და ამ საუბრის საშინელება... **გაებედნა ვიღაც უბრალო მოსამსახურეს** ტიტიკოს და **სიყვარულზედ გაეფიქრებინა რამ.** ყოველი ჭეშმარიტი მწერალი იმასა ფიქრობს, გამართოს ხალხში ზნეობა...“[2] (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ბარ. ჯორჯაძის („კახეთის მებუკის“) წერილს რედაქციამ ორი ქარაგმული, მაგრამ გამაღიზიანებელი შენიშვნა დაურთო, საიდანაც ნათლად

I „ცისკარი“, 1861, № 3.

2 „ცისკარი“, 1861, № 1.

ჩანს, რომ იგი გრ. რჩეულიშვილს უჭერდა მხარს. ამას ადასტურებს აგრეთვე 1861 წ. თებერვლის „სალაყბო ფურცელიც", რომელშიც ივ. კერესელიძე წერს: „ერთი ქართველი ლიტერატორი (გრ. რჩეულიშვილი, ა. კ.) ეშმაკათ და ქაჯათ კენჭში შემოვიდა, რა არის, მეც ვნახო, რა ამბავიაო. შენს მტერს დაადგეს, რაც ამას დღე დაუყენეს კახელებმა. ჩხაბა გისწავლია და რალაებსაც ჩხაპნიო. შენ როგორ გაბედე ჩვენზედ ავის დაწერაო. დიდი შფოთი მოხდებოდა, თუ მეორე ოთახში მშვიდობის მოყვარეთ არ გაეყვანათ. აი, საყვარელო, ჩვენში ლიტერატურას როგორი ღირსება სძევს".[1]

ლიტერატურულ მიმართულებათა შორის ასეთი შეხლა-შემოხლა დღითი დღე მწვავდებოდა, კლასიცისტები და სენტიმენტალისტები „ცისკარში" ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ, როცა, 1861 წლის მეოთხე ნომერში, გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა", — ქართული რეალიზმის ლიტერატურული მანიფესტი, პირველი დასაბუთებული სიტყვა როგორც კლასიციზმის, ისე სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც საბოლოოდ უნდა აღეგავა მათი ნაშთები და გზა გაეწმინდა ახალი მიმართულებისათვის.

ი. ჭავჭავაძის აღნიშნული წერილი და მისი მომდევნო „პასუხი" გარკვევით ადასტურებს, რომ ავტორს ღრმად ესმოდა ჩვენს ლიტერატურაში კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმთან ბრძოლის აუცილებლობა და იცოდა, რომ ამ მიმდინარეობებს შორეული, საკმაოდ მყარი სათავე ჰქონდა ქართულ მწერლობაში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ილია და მისი თანამოაზრეები ზედმიწევნით პროფესიულად განიხილავენ სხვადასხვა მიმართულებათა სტილის (კლასიცისტური, სენტიმენტალური, რომანტიკული, რეალისტური) პრინციპულ პრობლემებს, „წმინდა ლიტერატურულ საკითხებს".

ი. ჭავჭავაძის პირველი წერილი („ორიოდე სიტყვა"...), უმთავრესად, სენტიმენტალიზმის კრიტიკას შეიცავს და ეს სავსებით გასაგებია, რადგან, როგორც ვნახეთ, სენტიმენტალიზმი, რომელიც რეალიზმის ელფერით გამოდიოდა და ეუფლებოდა „ცისკარს", განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა ახალი სტილისათვის; ამასთან, რეალიზმის პოზიციებიდან სენტიმენტალიზმის კრიტიკა, ცხადია, კლასიციზმის უარყოფასაც ნიშნავდა.

ილიას წერილებში რომ სენტიმენტალიზმის კრიტიკას შემთხვევითი ან აბსტრაქტული ხასიათი არ აქვს, რომ ეს კრიტიკა უშუალოდ ეხმიანება ქართული მწერლობის განვითარების აქტუალურ ამოცანებს, იქიდანაც ჩანს, რომ ავტორი არაერთგზის მიუთითებს ჩვენს ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის აღორძინების ნიშნებზე („კარამზინის „უბედური ლიზა",... რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს „ცისკარში"; სარდ. მესხიშვილმა გადმოთარგმნა „სენტიმენტალური სკოლის მწერალი მარმონტელი"; „ახლა კაზლოვი გადაუთარგმნია თავად ერისთავს"; „უმაგისოდაც სენტიმენტალურ მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში" და ა. შ.).

მოკლე წერილში, სადაც სხვა საკითხებსაც ეხება, ილიას გამომჟღავნებული აქვს სენტიმენტალური სტილის მთავარი ნაკლოვანებები და მათ პროგრესული რომანტიკული სტილის ისეთ თვისებებს უპირისპირებს, რომლებიც რეალიზმმაც შეისისხლხორცა. ილიასათვის არაესთეტიკური, ორგანულად მიუღებელია სენტიმენტალიზმის — **„დაძალებული,** ცრემლიანი ლექსი"; **„ძალად მოყვანილი გრძნობა"; „ძალად მოყვანილი ცრემლი"** — სასაცილო, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად"; „პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი"; „უსულდგმულო, უსურნელო, უფერული" სურათები (სახეები); გმირები, რომლებიც „კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმემ"; რომლებიც „შეკედლებიან მონასტრის კედლებს მოსასვენებლად" (იდილია!); რომლებიც მირბიან „გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან"; „აი! უი! ოხ! უხ! და ამაზედ... უძლიერესნი შორისდებულნი"; რადგან რუსეთის საზოგადოება მაშინ „არ იყო ესთეტიკურად გახსნილი" და განვითარებული, „იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი გრძნობიანი, მტირალა, წირპლიანი მწერლები": „ბნელი სიუჟეტი"; ისმის **რაღაც უიმედო სიყვარულის ტანჯვა, რაღაც უგემური ჩივილი, კვნესა** და ოხვრა"; „ტანჯვა და ჩივილის მსგავსად კნავილი არც ტანჯვასა ჰგავს, არც ჩივილსა"; „შეშლილს" ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იამშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი" და ა. შ.

სენტიმენტალური სტილის ყველა აღნიშნულ ნაკლს ილია იქვე უპირისპირებს თავის იდეალს, რომელიც ახალი მიმართულების სტილს შეესატყვისება: „ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა"; „ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა"; „უმანკო, უცოდველი და ნამდვილი ბგერა გულისა"; „ქროლა პოეზიისა, რომელიც... ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა"; „მშვენიერნი სურათნი, რომელშიც... ნათლად გამოიხატება წუთის გრძნობანი"; „მეხი სიტყვა,... საკვირველი, ძლიერი სული... გენიისა"; „მორჭმული", მოუდრეკელი სული... ხასიათებისა"; „ისინი ისეთ აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედავენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა... იმათ სულ მოძრაობა უნდათ,... თავიანთივე გულის სიღრმეში და სუ-

[1] „ცისკარი". 1861, № 2.

ლის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა“; (ბაირონს) „ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია ჰსცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი“; „აბა, შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ... თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ... შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას, იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის,... **საქმიდამა ჩანს ყველაფერი**“; „**სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა,...** ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენსაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ... რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია,... ფანტაზიის შვილი, და არა **რუსის ცხოვრებისა**“; „ერთი ბეწო **დრამატიზმი და ხელოვნება** მაინც იყოს“; გრ. ორბელიანის „ო... დარდებს“ რომ წაიკითხავთ: „თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი ტფილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბადწამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს... **რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ... დარდებში, კვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტების, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა**“; **აქ ჩანს ენაც, მხატვრობაც, აზრიც და ის სურათი, რომლის წარმოდგენა ცხადად შეიძლება**“... (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აშკარაა, რომ რ. შ. ერისთავის თარგმანი ი. ჭავჭავაძისათვის მხოლოდ საბაბი იყო სენტიმენტალური სტილის წინააღმდეგ გამოსასვლელად და მის საპირისპიროდ რეალიზმის პრინციპების ჩამოსაყალიბებლად. აქ ანტირომანტიზმის ნატამალიც არ ჩანს, პირიქით, წერილის ანტისენტიმენტალური პათოსი, ერთდროულად, პროგრესულ-რომანტიკულიცაა და, მისგან გამომდინარე — რეალისტურიც. ეს, სხვათა შორის, ცალკეულ მწერლებისადმი დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება: „სენტიმენტალური, ყალბი გრძნობანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი **კარამზინი**“; „კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშულთა“; სამაგიეროდ: „**შენიემ...** პირველად დაანახვა ფრანციას და მის გამო ევროპასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა“; „სახელოვანი **მიცკევიჩის** „ყირიმის სონეტები“... ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი“; „მეხი სიტყვა, ძლიერი ხელი **ბაირონის** გენიისა“; „**პუშკინი და ლერმონტოვი** ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა“; „პუშკინიც მთელ თავის გენიითა ვერ გადაურჩა“ ბაირონის გავლენასა; „**პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი** როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიან კაზლოვსა?“ აბა, **შექსპირის** ოფელია აიღეთ“; „... დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები... **ალ. ჭავჭავაძემ**“; **ნიკ. ბარათაშვილმა...** ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და... ზეგარდმო შთაგონებული... ლექსები“; „აბა ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა (**გრ. ორბელიანის**) ურითმო ლექსებში“ და ა. შ.

კრიტიკოსი თითქმის ყველგან ხაზს უსვამს მხატვრული სტილის ბუნებიდან და არა ტალანტის ხარისხიდან გამომდინარე ღირსება-ნაკლოვანებებს; უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს, რომელ „ლიტერატურულ სხოლას“ ეკუთვნის ესა თუ ის მწერალი. სენტიმენტალიზმის ესთეტიკის, მისი ხელოვნური გრძნობის, იდილიურობის, მელოდრამატიზმის, პათეტიკის, შეფერვის, გაზვიადების, ნაძალადევი ტენდენციურობის გამოაშკარავება **მხატვრული სიმართლისა, სინათლისა, უბრალოებისა და ზომიერებისათვის რეალიზმის** ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო. ილიას შემჩნეული აქვს, რომ სენტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელია მიმბაძველობა (კოზლოვი „არასოდეს არ ყოფილა **თავისუფალი** — (ორიგინალური ა. კ. (მწერალი“), რაც ასუსტებს ნაციონალურ კოლორიტს, ეროვნულ სულს, თუმცა, წინააღმდეგია არა ყოველგვარი, არამედ „ბრმად მიბაძვისა“.

ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად ანსხვავებს სენტიმენტალურ და რომანტიკულ გრძნობას, მათი გამოხატვის მანერის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რომანტიზმის დამკვიდრების დროს, არამედ კრიტიკული რეალიზმის სტილის ჩამოყალიბებაშიც. პუშკინის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი მოითხოვს აზრებში —გრძნობას და გრძნობაში — გემოვნებას. გრძნობისა და აზრის დაწვრილმანების, პასიური მეოცნებეობის წინააღმდეგ მიმართული ილიას წერილი მაგალითად გვისახავს გმირულ ეპიურ პოეზიას, ძლიერ პერსონაჟებს, გარესამყაროსთან შეურიგებლობას, — და ეს არის ის ნიშანსვეტები, რომლებიც პროგრესულ რომანტიზმსა და რეალიზმს ერთმანეთთან აკავშირებს; ეს იყო სიტყვა, რომელიც რომანტიკოსების კრიტიკას უნდა ეთქვა სენტიმენტალიზმისა და კლასიციზმის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვერ თქვა, რადგან ჩვენში რომატიკული კრიტიკა არ არსებობდა. ამავე მიზანს ისახავს ილიას საინტერესო მსჯელობა შექსპირზე, რომელიც აქ, მართლაც, „რომანტიზმის დიდ მოქალაქედ“ წარმოგვიდგება და, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში, დაგვიანებით, ფაქტიურად, 50-იანი წლებიდან შემოვიდა, მთლიანად რომანტიკულ ასპექტშია გააზრებული ზერელე და ძლიერი ვნებების კონტრასტი. „აქ ისმის რაღაც უიმედო სიყვარულის ტანჯვა, რაღაც უგემური ჩივილი, კვნესა და ოხვრა, — ამბობს ილია, — რაღაც ჩივილის მსგავსი კნავილი, არც ტანჯვასა ჰგავს, არც ჩი-

ვილსა. აქ არ ისმის ის გულისგანგმირავი კვნესა მოტყუებულის გულისა...“ და ა. შ., საგულისხმოა, რომ დაახლოებით ასევე ახასიათებდა რომანტიკოსი კიუხელბეკერი სენტიმენტალისტურ გრძნობას: „ნაძალადევი გრძნობა არასოდეს ის არ არის, რაც გულიდან ამოხეთქილი, ძლიერი, ნაზი, ცოცხალი, ელვარე გრძნობა“.

ბუნებრივია, რომ ილიას ამ ხელოვნური, ნაძალადევი გრძნობის გამოხატვის არც სტილური საშუალებები მოსწონს (ემოციურად შეფერილი პეიზაჟები, განწყობილების გადმოსაცემად საგანგებოდ შერჩეული „მგრძნობიარე“ სიტყვა-გამოთქმები, მწერლის გაუთავებელი ლირიკული განდგომები, შინაგანი რეპლიკები, მოგონილი ფსიქოლოგიზმი, ემოციური მრავალწერტილი, შორისდებულები: „აი!“ „უი!“ „ოხ!“, „უხ!“ და ა. შ.).

მართალია, ილია აქ არცერთხელ არ ახსენებს „რომანტიზმსა“ და „რეალიზმს“ (ახსენებს მხოლოდ „სენტიმენტალიზმსა“ და „ცრუკლასიციზმს“), მაგრამ ნათლად იგრძნობა, რომ მათ შორის მჭიდრო გენეტიკურ კავშირს ხედავს, და ამის მიზეზიც, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ქართულ რომანტიზმს არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია რეალიზმისთვის და ჩვენმა ლიტერატურამ დროზე ვერ დასძლია ანტირომანტიკული და ანტირეალისტური მიმდინარეობანი.

„პასუხში“ ი. ჭავჭავაძე რევაზ ერისთავს მიმართავს, თქვენ ასეთი შეცდომები არ უნდა მოგსვლოდათ, რადგან **„ლერმონტოვი, ჟუკოვსკი და კოლცოვიც** გიკითხავთ“-ო.

ილიას კარგად ესმის, რომ ერთ დროს სენტიმეტალიზმიც დადებით როლს ასრულებდა ლიტერატურულ ცხოვრებაში და პოპულარობითაც სარგებლობდა („ბედნაია ლიზას“ პუშკინის დროსაც კითხულობდნენ, **თუმცა ახლა** კარგ რუსსა სატანჯავად მიაჩნია მისი წაკითხვა“). ილიას წერილები იმის ღრმა შეგრძნებითა და რწმენით არის შთაგონებული; რომ სენტიმენტალიზმი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ქართული მწერლობის განვითარებისათვის; იგი გარკვევით გრძნობს, რომ ქართულ სენტიმენტალიზმს რაღაც ტრადიცია, რაღაც საკუთარი ფესვები გააჩნია და კიდეც ცდილობს დაძებნოს ეს ფესვები. მაგრამ ილიას არ შეეძლო მაშინ სცოდნოდა არც „ველიზარიანისა“ და „ახალი შიხის“, არც ბატონიშვილთა პოეზიისა და „უბედური ლიზას“ ძველი თარგმანის არსებობა; არც ის იცოდა, რომ კაზლოვის პირველი მთარგმნელი რ. შ. ერისთავი არ იყო და მისი „Вечерний звон“, რომელსაც ვრცლად განიხილავს თავის წერილში, სამოცი წლით ადრე გადმოითარგმნა ქართულ ენაზე. ეს რომ სცოდნოდა, რა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელ და გაბედულ დასკვნებს გამოიყვანდა, მაგრამ თანამედროვე მწერლობაზე დაკვირვებით დარწმუნებული, რომ სენტიმენტალიზმს „რაღაც ტრადიცია“ უეჭველად ჰქონდა, „სენტიმენტალური მიმართულება“ უეჭველად არსებობდა, — სახელდობრ ასეთ ნაწარმოებებად თეიმურაზ პირველის „ვარდბულბულიანსა“ და „შამი — ფარვანიანს“ ასახელებს.

ზოგიერთმა მკვლევარმა თავის ნებაზე გაიგო და ლაღად განმარტა ილიას სიტყვები: „რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სხოლის მწერლების გაცნობა?.. იქნებ ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?“

მართლა „სენტიმენტალური სხოლის“ მწერალთა გაცნობის მეტი რომ არა ყოფილიყო რა, ცხადია, ასე უმნიშვნელო საქმეს ი. ჭავჭავაძე რამდენიმე საგანგებო წერილს არ მიუძღვნიდა, რასაც დაუზოგავი პოლემიკა მოჰყვა, და არც „გაცნობის“ მოტრფიალენი სენტიმენტალიზმისა და სენტიმენტალისტებისათვის ისე შეუპოვრად არ გამოიდებდნენ თავს, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ილიას სიტყვები: „ფიქრობენ, ჩვენი ლიტერატურა ისე არ აღსდგება, თუ არ განიმეორა... წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება“, — მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სენტიმენტალიზმი მას განვლილ საფეხურად, მოძველებულ ლიტერატურულ მიმდინარეობად მიაჩნდა და ლიტერატურაში ე. ი. პრესაში სენტიმენტალური ნაწარმოებების ბეჭდვას უსარგებლოდ და საზიანოდ თვლიდა; ჟურნალის რედაქციას, რაც შეიძლება რბილად, დიპლომატიურად აფრთხილებდა, ხელს ნუ უწყობთ ამ მიმდინარეობის ბეჭდვით გამოცოცხლებასა და აღორძინებასო. ილიას მშვენივრად მოეხსენებოდა,, რომ „ცისკარი“ ლიტერატურულ ძალთა და ნაწარმოებთა შემკრები ორგანო იყო, მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ სინამდვილეს ასახავდა და ამიტომ ურჩევდა ყველაფერი ხელაღებით კი არ ებეჭდა, არამედ არჩევით, თანამედროვე მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად. იქვე ილია გარკვევით მიუთითებს, სენტიმენტალიზმი ჩვენი ლიტერატურის განვლილი საფეხურია და ნუღარ მივუბრუნდებითო; „იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღდგება თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითაა დიდი, რომ გვიჩვენებს **ჩვენ წინაპართა** ცთომილებას... წინა კაცსა უკანა მიმდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს... რაც **მამა-პაპას უქნია**, ის ჩვენ უნდა ვქნათო, ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის“.

რადგან აღნიშნულ წერილში ი. ჭავჭავაძე

ძირითადად სენტიმენტალიზმს აკრიტიკებს, შეიძლება გვევარაუდნა, რომ, ან კლასიციზმის საშიშროებას ვერ ამჩნევდა ან რომანტიზმისა და რეალიზმის თვალთახედვით სენტიმენტალიზმის კრიტიკა კლასიციზმის კრიტიკადაც მიაჩნდა, საყურადღებოა, რომ „კავკაზიც“ სენტიმენტალურ ნაწარმოებებს უფრო მკაცრად გმობდა, ვიდრე კლასიცისტურს. ზოგიერთი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ კრიტიკოსები ერიდებოდნენ კლასიცისტ მწერლებზე, რომლებიც ჩვეულებრივ წარჩინებული, დიდი თანამდებობის პირები იყვნენ, აუგის თქმას. ნ. ბერძნიშვილი, მაგალითად, ძალიან ლიბერალურად განიხილავდა კოლხიდელის ლექსს — „კორსიკანელი“, თუმცა, ეტყობა, არ მოსწონდა: „კოლხიდელი საკმაოდ მოხერხებულად დაუფლებია არჩეულ თემას. სხვა ნაკლებ ნაცადი ავტორი განდიდებაში და მიმბაძველობაში გადავარდებოდა და არაფერი გამოუვიდოდა“.

ასევე შეფარული, მეტად ფრთხილი და მორიდებული კილოთი მსჯელობდა დიმ. ყიფიანი კოლხიდელის ერთ-ერთი იამბიკოს ნაკლოვანებებზე: „იამბიკო ვერ შეითვისა ჩვენმა ჰაერმა, ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ლექსთა წმახვნამ“.[1]

მაგრამ აშკარაა, ნ. ბერძნიშვილიცა და დიმ. ყიფიანიც გრძნობდნენ, რომ, საერთოდ, აუცილებელი იყო კლასიცისტურ სქოლასტიკასთან ბრძოლა. „ანბანთ-ქება“ დიმ. ბაგრატოვანისა, — წერდა ნ. ბერძნიშვილი, — ქართული ლიტერატურის სიძველეს გვაგონებს, როცა **სქოლასტიციზმი** იყო გამეფებული, და როცა ჩვენი მწერლები, თუ მაინცდამაინც არა ხელოვნურ გადმოცემას, —( დიდ მნიშვნელობას მაინც აკუთვნებდნენ აკროსტიხებს... **ამ სკოლის წარმომადგენელი არის კათალიკოს ანტონ I,** მისი „წვობილსიტყვაობა“... მთლად დაწერილია ბერძნული და ლათინური გამოთქმებით შერეული თეთრი ლექსით“.[2]

ცხადია, ასეთი შემთხვევითი და მორიდებული შენიშვნები ქართული კლასიციზმის ტრადიციებს ვერ შეარყევდა, ამ მხრივაც, გადამწყვეტი სიტყვის თქმა ი. ჭავჭავაძეს მოუწია. წერილში სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ („ორიოდე სიტყვა“...) მან მხოლოდ რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხზე, მაგრამ ეს მოსაზრებებიც გვიჩვენებს, რომ კრიტიკოსს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ქართულ კლასიციზმზე და მშვენივრად იცოდა, საიდან უნდა დაეწყო მისი იერიში. ამასთან, თუ ჩავუკვირდებით, არაჩვეულებრივი ტევადობისა და ორიგინალური გააზრების წყალობით, ილიას პირველივე წერილი, არსებითად კლასიციზმის ესთეტიკისა და სტილის საფუძვლიან კრიტიკას შეიცავს.

ანდრე შენიეს ლექსების კოზლოვისეულ თარგმანებზე რომ ლაპარაკობს, ილია, თითქოს სხვათა შორის, შენიშნავს: შენიემ „**პირველად** დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, **ჭეშმარიტი, ნამდვილი** პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა, და ამით, თუ არ დასცა **ზარი**, **შეარყია მაინც თავის საფუძველში ცრუკლასიკური მიმართულება** ფრანციის ლიტერატურისა“.

როგორც ციტირებული, ისე მომდევნო წინადადებებიდან ჩანს, რომ ილიას კლასიცისტური სტილის უარყოფით თვისებებად მიაჩნია არაბუნებრიობა, მწიგნობრულობა, პედანტიზმი, პირობითობა, ცივი რაციონალიზმი, რასაც ის უპირისპირებს „ჭეშმარიტ, **ნამდვილ** პლასტიკას“, „მშვენიერების ნაზ და **წრფელ** სიტკბოებას“, „გულის უმანკო, უცოდველ და **ნამდვილ** ბგერას“, „პოეზიის ქროლას“.

მერმე, ორიოდე მოსწრებული რეპლიკით, ილია ამხელს კლასიცისტური სტილის ხელოვნურობას, მოუქნელობას, უგრძნობლობას და მაგალითისათვის ასახელებს ცნობილ რუს კლასიცისტს ტრედიაკოვსკის. — „ერისთავის თარგმანის ლექსებითა დაჰსჯიან წარმართთა, როგორც... ტრედიაკოვსკის ლექსებითა ჰსჯიდნენ“.

ილია მწვავედ დასცინის კლასიცისტურ ფორმალიზმს, რითმების უმიზნო „რახარუხს“, მხატვრული ხერხების ნორმატიულ ერთფეროვნებას და ირონიულად კვლავ ტრედიაკოვსკიზე მიუთითებს: „ამისთანა ორიოდე ლექსი რომ წასცდენოდა ვინმეს, **აპოლონი, როგორც მარსიაზსა,** ფეხებიდამ თავამდი ტყავსააძრობდა და პირდაპირ **ტრედიაკოვსკისთან** ახტუნებდა ფერხულში“.

აღნიშნულ წერილში არის ერთი ადგილი, სულ რაღაც ნახევარი გვერდი, სადაც ავტორი კლასიციზმის სასიცოცხლო ნერვს სწვდება და აშიშვლებს, მისი კონსერვატიზმის თითქმის ამომწურავ დახასიათებას გვაძლევს. ეს არის ჩახრუხაძის განქიქება. ბევრს უკვირდა და დღესაც უკვირს, რატომ მაინცა და მაინც ჩახრუხაძეს ეცა ახალგაზრდა კრიტიკოსი და ისიც ასე დაუზოგავად, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული კლასიციზმის მესვეურებმა ჩახრუხაძე თავიანთ საამაყო წინამორბედად გამოაცხადეს, ანტონ პირველმა ის რუსთაველზე მაღლა დააყენა და მისი შემოქმედება კლასიცისტური გემოვნების ნორმად აქცია, მაშინ არა თუ აქტუალურად და ბრძნულად მივიჩნევთ ილიას გამოსვლას, არამედ გავვოცდებით კიდეც, რა კარგად სცოდნია მას ქართული ლიტერატურის ისტორია და იმ დროს, როცა სათანადო წყაროები თითქმის მიუწვდომელი იყო, რა გონებამახვილურად გამოუცვნია ქართული კლასიციზმის სათავეები.

1 „ცისკარი“, 1860, № 2.

2 ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. 1. გვ. 120.

ილია გმობს მხატვრული აზროვნების შეზღუდულობას, ფორმალისტურ კოპწიაობას, რიტორულ მეტყველებას, ღვლარჭნილ სტილს, რომელიც ხელს უშლიდა ლიტერატურაში ხალხური ნაკადის შემოჭრას და ბორკავდა შემოქმედის ფანტაზიას. მას არ მოსწონს ჩახრუხაძე, რადგან მის ნაწარმოებში ვერ ხედავს უშუალობას, ნათელ წარმოსახვას, შინაგან ცეცხლს, ამაღელვებელ ემოციებს; მას ვერ აკმაყოფილებს ეს მშრალი, უსულგულო, გონიერებით მოწესრიგებული სამყარო, სადაც ყველაფერი მეტისმეტად გაპრიალებული, პედანტურად დალაგებული და მორთულ-მოკაზმულია; ზიზღს ჰგვრის ჩაბნელებული, ირაციონალურ-მისტიკური ლაბირინთები, რომლებშიც გზის გასაკვლევად მკითხველმა თავი უნდა იმტვრიოს; რეალისტს, რომლისთვისაც უბრალოება, სინათლე და გამჭვირვალობა სტილის უძვირფასესი თვისებებია, ორგანულად ეუცხოება აღზევებული ტონი, პათეტიკა, რაღაც კასტურ-სალონური მანერა; არ შეუძლია ჭეშმარიტ პოეზიად აღიაროს ყალიბში ჩამოსხმული სახეები, ყურით მოთრეული ცნებები, შორეული და უადგილო ანალოგიები; ახალგაზრდა მწერალს, რომელსაც ლიტერატურის ამოცანად ძლიერი საზოგადოებრივი ტკივილების ასახვა, ცხოვრების მანკიერებათა მხილება მიაჩნია, ვერ მოუთმენია კლასიცისტური აბსტრაქტულობა, თემატური სიმწირე და „მაღლა ფრენა“; ჩახრუხაძის პოემაში ის ვერ გრძნობს ეპოქის სულს, ხალხის ყოფას, კონკრეტულ გარემოს; ყოველივე ეს, მისი რწმენით, ბუტაფორიას, უმიზნო „ზედშესრულებს“ შეუწირავს.

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ისტორიული და, თუნდაც, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, რამდენად სწორი იყო ჩახრუხაძის ამგვარი შეფასება, საინტერესო ის არის, რომ ყველაფერი ეს ილიას კლასიციზმის კრიტიკად, მის დაგმობად მიაჩნდა და ამას ძალიან დიდ როლს ანიჭებდა; რომ ყველაფერი ეს გამოთქმულია მოძველებულის უარყოფისა და ახლის დამკვიდრების უსაზღვრო პათოსით. დრომოჭმულისადმი მკაცრი სარკასტული დამოკიდებულებით. და, მკითხველისათვის რომ გაპროლის მიმართულება სავსებით გარკვეული ყოფილიყო, დასასრულ, ჩახრუხაძე ილიამ რუს კლასიცისტებს — ხერასკოვსა და სუმაროკოვს შეადარა. ჩახრუხაძის კრიტიკაში ილიამ კლასიციზმთან დამოკიდებულებით კრიტიკული რეალიზმის მნიშვნელოვანი პრინციპები ჩამოაყალიბა.

„ეს საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია; — წერდა ილია. — აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, **ზედშესრულით** **დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება.** რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით **მოგოგამს დავარდნილ** ცხენსავით მისი ოცმარცვლიანი **ტყვიასავით** მძიმე ლექსები!.. არც **აზრი, არც სურათი,** არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა, ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! **სადაც რუსთველს,** მაგ თითქმის გენიასა **ახსენებენ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც,** რომელსაც გვგონია, ფიქრათაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი. ეგ რად გინდათ, **აიღეთ, რუსეთში ხერასკოვი, სუმაროკოვი და სხვა მათებრ გაბერილები უნიჭობითა, რამდენს მკითხველსა და ტაშის** მკვრელსა შოულობდნენ...[1]“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

აქ ვერც იმ ფაქტს დავტოვებთ უყურადღებოდ, რომ როგორც ევროპელი, ჯერ, სენტიმენტალისტები და რომანტიკოსები, ხოლო შემდეგ რეალისტები, კლასიციზმს უპირისპირებდნენ შექსპირს, ილიამაც ქართულ კლასიციზმს რუსთაველი დაუპირისპირა.

მართალია, უფრო შეფარულად, მაგრამ მაინც, ილია კლასიციზმის კიდევ ერთ არსებით მხარეს შეეხო თავის წერილში, — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ანტონ პირველის როლის იგნორირებით, მან, ფაქტიურად, უარყო მისი „სამი შტილის“ თეორია და „მაღალი ფრასა“.

ანტონ პირველის ენობრივ კონცეფციაში კორექტივების შეტანა, ცოტა ადრე, თვითონ კლასიცისტებმა დაინახეს საჭიროდ; 1850 წელს პლ. იოსელიანმა გ. ერისთავის „გაყრის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ზოგადად წამოაყენა დებულება, რომ: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხვათა, არ იყო ჩვეულებითის საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა“. 1857 წელს, წერილში — „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კომედიაზედ“, ალ. ორბელიანმა შეახსენა პლ. იოსელიანს, რომ სასაუბრო ენით **კომედიის დაწერა** არ ეწინააღმდეგებოდა „სამი შტილის“ თეორიას და არავითარ სიახლეს არ წარმოადგენდა. „პლ. იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კომედიის წინასიტყვაობაში „შეუდევით მაგალითსა მისსაო“, რატომ თავის **წინასიტყვაობას** ერისთავის კომედიის წერას არ ამსგავსებს და სხვებს კი ურჩევს?.. გ. ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს ქართული, მაშინ გავარჩევთ, რა გვარი წერა არის იმისი, **თორემ იმის კომედიით არ შეიძლება შეტყობა**“...

მართლაც, პლ. იოსელიანი მანამდეც და შემდეგაც, ანტონის „მაღალი ფრასის“ უერთგულესი მიმდევარი იყო, გ. ერისთავის „ცისკარ-

---

I „ცისკარი“, 1861, № 4.

შიც“ ანტონის „სამი შტილი“ ბატონობდა და თვითონ გ. ერისთავსაც, გარდა კომედიებისა, „ახალი ენით“ არაფერი დაუწერია. ანტონის „სამი შტილის“ რევიზია ივ. კერესელიძემ („ცისკარი“, 1860 წ., № 2) და ალ. ორბელიანმა („ცისკარი“, 1860 წ., № 6— „ქართული უბნობა ანუ წერა“) სცადეს, მაგრამ, რამდენადაც **ჟანრობრივ პრინციპს** ისინიც ძალაში ტოვებდნენ, ვერც მათ შეხედულებებს მივიჩნევთ ანტონ პირველის კონცეფციის კატეგორიულ უარყოფად, პირიქით, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც სერიოზულ მოკრძალებას იჩენდნენ მის მიმართ.

ანტონის კლასიცისტური „სამი სტილის“ წინააღმდეგ პირველად ი. ჭავჭავაძემ გაილაშქრა, თუმცა, ჩვენს მიერ განხილულ წერილში მას არც ანტონი უხსენებია და არც „სამი სტილი“, მაგრამ, განსაზღვრა რა ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზი, მან, არსებითად, ხაზი გადაუსვა ანტონის „სამი სტილის“ თეორიას. „...ეგრეძ უენო ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, — ამბობდა ის. — ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა უკვდავმა **რუსთაველმა...** ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები... **ალექსანდრე ჭავჭავაძემ,..** ის ენა, რომელზედაც... **ნ. ბარათაშვილმა...** დაიმღერა „ქართლის ბედი“... რომ არა გვყავნდნენ **რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი** კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ **იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“**

როგორც ვხედავთ, ილიამ მთლიანად გვერდი აუარა ქართულ კლასიცისტურ ლიტერატურას, **ანტონის სკოლას,** ბესიკს, და, სხვათა შორის, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამჯერად არც გ. ერისთავი მოიხსენია, თუმცა, თვით „უმდარესი მწერლის“ დ. ბერიაშვილის ენაც კი შეაქო („ენა მაინც უვარგა“).

თითქოს უხალისოდ, მაგრამ გამომწვევად, ილიამ სქოლიოს ორ სტრიქონში გამოამჟღავნა ანტონ პირველის სკოლის გრამატიკის მიმართ თავისი დამოკიდებულებაც: „ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენს სტატიაში; თუ ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, **ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ** გავსცეთ პასუხი და გამოვუცხადოთ, რა მიზეზითაც არ ვხმარობთ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ენის საკითხს ი. ჭავჭავაძე მუდამ სტილის სიცხადესა, სინათლესა და გარკვეულობასთან დაკავშირებით განიხილავს, რაც, აგრეთვე, მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა კლასიციზმის ადეპტებს.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ილიასა და მის თანამოაზრე თერგდალეულებს არასოდეს არ უარუყვიათ ძველი ქართული, თუნდაც სასულიერო ძეგლების ქართული, — პირიქით, — დიდ პატივს სცემდნენ მას და გონივრულადაც სარგებლობდნენ მისი დაუშრეტელი საგანძურით. მათ უარყვეს, ბრძოლა გამოუცხადეს ანტონ პირველის სკოლის **ხელოვნურ ენას,** კლასიცისტური სამი სტილის თეორიას. საგულისხმოა, რომ ისინი, ვინც ილიას, თერგდალეულებს ძველი ქართული ენისადმი მტრობას ან გულგრილობას სწამებდნენ, — მსგავსად ანტონ პირველისა, ჩვენს დროში თვითონაც ცდილობდნენ რაღაც საკუთარი, ხელოვნური ენის, ღვლარჭნილი, პათეტიკური, ნაძალადევი, ვითომ აღზევებული სტილის შემოღებას, რასაც, როგორც მკვდრად შობილ ბავშვს, არც ლიტერატურაში, არც ცხოვრებაში მომავლის არავითარი იმედი არ შეიძლება ჰქონდეს.

ილიას წერილმა, რომელიც უმთავრესად სენტიმენტალიზმის კრიტიკას შეიცავდა, ხოლო კლასიცისტები, თუმცა უმოწყალოდ, მაგრამ მაინც სხვათაშორის იყვნენ გამათრახებულნი, — ორივე მიმდინარეობის წარმომადგენელთა და, განსაკუთრებით, სწორედ კლასიციზმის მიმდევართა მრისხანე პროტესტი გამოიწვია; დაიწყო ლიტერატურულ მიმართულებათა შორის შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც არც შინაარსით, არც სიმწვავით არ ჩამოუვარდება ანალოგიურ პოლემიკას ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში. ამ ბრძოლაში, რომელიც რეალიზმის დამკვიდრების ნიშნით მიმდინარეობდა და რამდენიმე წელს გაგრძელდა, თვალნათლივ გამოჩნდა ქართული კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის სახე, ისტორია, ტრადიციები და ავტორიტეტები. პოლემიკამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ აღნიშნულ მიმდინარეობებს კარგა ხნით და ღრმად ჰქონდათ მოკიდებული ფესვი ქართულ ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ აღსდგნენ კლასიცისტებიცა (ბ. ჯორჯაძე, გ. ბარათაშვილი, ექვთ. წერეთელი, ირ. ლორთქიფანიძე, თ. მაჭავარიანი და სხვ.) და სენტიმენტალისტებიც (რ. შ. ერისთავი, სარდ. მესხიშვილი, ივ. კერესელიძე და სხვ)., მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ახალთაობისადმი გაგულისებამ ისინი ზოგ რამეში გააერთიანა, თვითეულის დამოუკიდებელი ლიტერატურული კრედოც გამოვლინდა.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ „ცისკრის“ კლასიცისტებს მშვენივრად ესმოდათ, სისხლხორცეულად გრძნობდნენ თავიანთ ორგანულ კავშირს ქართული კლასიციზმის სათავეებთან (ანტონ კათალიკოსი, ჩახრუხაძე, ბესიკი, დავით რექტორი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.), ისევე, როგორც ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ მათმა ოპონენტებმაც (ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ანტ. ფურცელაძე, კირ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, სამს. აბაშიძე და სხვ.) და, ამის გამო, კლასიციზმის კრიტიკას მუდამ აღნიშნულ სათავეებზე შეტევით იწყებდნენ.

როცა ამ პოლემიკის მასალებს ვეცნობით, არავითარი ეჭვი აღარ გვრჩება, რომ „ცისკრის“ კლასიცისტებსა და სენტიმენტალისტებს, თავი-

ანთი ლიტერატურული სკოლის პოზიციის შესაბამისად, მტკიცედ ჩამოყალიბებული გემოვნება, თეორიული შეხედულებანი და მემკვიდრეობითი კავშირის შეგრძნება ჰქონიათ.

კლასიცისტები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ მხატვრული ხედვისა და განსახიერების სპეციფიკას. თემისა და მასალისადმი აბსტრაქტული დამოკიდებულებით, ჟანრობრივი რეგლამენტისა და ნორმატიული პოეტიკის კანონებით განსაზღვრავდნენ შემოქმედის როლსა და მოვალეობას. ისინი, არსებითად, უარყოფდნენ ხელოვნის თავისუფლებას, ფორმას შინაარსზე მაღლა აყენებდნენ, იცავდნენ გაყინულ დოგმებს, პირობით სახეებსა და ხერხებს, კლასიცისტურ სქოლასტიკასა და რიტორიკას.

ი. ჭავჭავაძისადმი პასუხს ბ. ჯორჯაძე სწორედ ასეთი კლასიცისტური სულისკვეთებით იწყებს: „ჩვენ მოვმდინარეობთ მამაპაპათ ჩვეულებაზედ და უმაღლესს პოეზიას, გინა ფილოსოფიას, ვპოებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში... ყოველის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა... ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაცა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს... ყოველი ამათ განხილვა, გამოძიება და ახალთ კანონთა დადება ჩვენი საქმე არ არის, რადგანაც ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩვენზედ ადრე... თუ ხელოვნების თეორეტიკა არა გრწამთ, გრამატიკისას რაღას იტყვით...“

ბარბარე ჯორჯაძე დარწმუნებულია, რომ ლიტერატურა შემოქმედება კი არაა, რომელსაც განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, არამედ ხელობაა, ცოდნაა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონების მიხედვით შეისწავლება. ყველას, ვინც სათანადო განათლებას მიიღებს, შეუძლია პოეტი გახდეს და რამდენადაც უფრო მაღალ სასწავლებელს დაამთავრებს, იმდენად უფრო დიდი პოეტი იქნება. ეს გულუბრყვილობა კი არ არის, არამედ კლასიცისტური ესთეტიკის პრინციპია.

„აბა, როგორც თამარ მეფეს... აღუზრდია ათინაში შვიდი ყმაწვილი კაცი და იმათი ქმნილება დღევანდლამდე იდიდებიან და ყოვლის ქართველისაგან კმაყოფილებით წაიკითხებიან,... ახლა მაგ ახალთ განათლებულთაგან მაღალთ სასწავლებლებში ერთ-ერთმა მოგვცეს ერთი უკვდავი ქმნილება; შვიდის მაგიერ შვიდასს აღარა ზრდის ჩვენი ხელმწიფე?.. იქნებ, როგორც უსწავლელში, მრავალი ნაკლულევანებაცა ჰპოვოს ჩემს ლექსებში, მაგრამ, რასაკვირველია, მეც რომ იმასავით მაღალ სასწავლებელში გაზრდილი ვყოფილიყავ, მაშინ შეცდომებს მორიდებული ვიქნებოდი...“

გ. ბარათაშვილი კლასიცისტური პოეტიკის ნორმატივებით მსჯელობს ი. ჭავჭავაძის ლექსებზე. მისი ფიქრით, ხელოვნებაში ყველაფერი ზუსტად არის განსაზღვრული და მწერალი არასოდეს არ უნდა გადასცდეს ამ საზღვრებს. პოეზია, უწინარეს ყოვლისა, აზრია და არა გრძნობა; ბუნების სურათი ავტორის აზრს უნდა შეესატყვისებოდეს; მეტაფორები, შედარებები, ალეგორიები დაკანონებულია, პირობითია, პოეტის ფანტაზია შემოფარგლულია და მას უფლება არ აქვს თავის წარმოსახვას ლაღი სარბიელი მისცეს. რაც ორიგინალური წარმოსახვის ნაყოფია, გაუგებარი და მიუღებელია. „საალბომო ლექსი უნდა იყოს მოკლე და დიდაზროვანი“; „გაზაფხულში პოეტი (ილია. ა. კ.) სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო მწვანე ხავერდივით ბიბინებს,“ „პოეტიკურ თხზულებაში აზრი გამოიხატება საგნებითა, არა იმ სიტყვებით, რომელიც მხოლოდ გვესმის და ვერ კი წარმოგვიდგენს მის ფორმას... პოეტიკურ აღწერაში ბუნება უნდა იყოს გამოსახული ცხოველათ, რათა უფრო ნათლად წარმოგვიდგეს თვალწინ **აზრი**, რომლის გამოხატვაცა ჰსურს პოეტს“.

გ. ბარათაშვილისათვის გაუგებარია პოეზიის **პატრიოტული გრძნობა**, რადგან ხელოვნება კოსმოპოლიტური სულის გამოხატულებად მიაჩნია; „ერთ სნეულებას ვპოულობთ მის (ი. ჭავჭავაძის, ა. კ.) ლექსებში. — სერიოზულად ამბობს ის. — ეს გახლავთ — მარად კვნესა და გულმტკივნეულობა მამულისათვის“.

კლასიცისტებმა უმალ იგრძნეს, საითაც იყო მიმართული ი. ჭავჭავაძის მახვილი და ერთხმად, გადაჭრით გამოექომაგნენ ჩახრუხაძესა და ანტონ კათალიკოსს, თავიანთ წინასწარმეტყველებად და მოძღვრებად აღიარეს ისინი; ბარ. ჯორჯაძე აღშფოთებულია ჩახრუხაძის ძრახვით, ხოლო გ. ბარათაშვილი ირონიულად წერს: ი. ჭავჭავაძე „პირქუე დაამხობს ჩახრუხაძეს,... თავისი „ტყვიასავით მძიმე ლექსებითა“, ვერ ჰპოვებს მათში ვერც აზრს, ვერც ხელოვნებას, ვერც მშვენიერებას, ვერც ჭკუას, ვერც გულს, ერთის ლექსით, არაფრისთანა არაფერს, გარდა ზედშესრულების რახარუხისა... **ამაოდ ამცრობს უ. ჭავჭავაძე ჩახრუხაძეს,** რომლის სახელი და დიდება აქამომდე არ გამქრალა“. აქ, თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, გ. ბარათაშვილი ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტს იშველიებს და განაგრძობს: „დიდი ან**ტონი**, რომელმანაც, ჰგონებ, ცოტაოდენ უკეთ იცოდა ქართული ენა, ვიდრე უ. ჭავჭავაძემ, აი, რას ამბობს ჩახრუხაძეზე:

ჩახრუხაძის ძე, უცხო პიიტიკოსი,
თამარ დიდის მკობი შაირებითა,
**შოთას შაირთა, თუ ვსთქვა უკეთესთაცა**
მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყვარე,
ყოვლად საქები, რიტორთ მესტიხთ გვირგვინი.“

დიახ, გ. ბარათაშვილისათვის ანტონი შეუვალ ავტორიტეტად რჩება და ჩახრუხაძეს ისაც რუსთაველზე მაღლა აყენებს. „ახლა ვკითხავ ე. ჭავჭავაძეს, — გამარჯვებულივით დასძენს ის. — თუ თვითონ ცხადად ვერ შეიძლო **„გადმოთარგმნა** სხვის **აზრებისა**, როგორღა გაბედა, რომ განკიცხა ერისთავი?..“

მაშასადამე, კლასიცისტების აზრით, მხატვრული ნაწარმოები მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო ძნელი გადმოსათარგმნი ე. ი. ძნელი გასაგებია. ჩახრუხაძისა და ანტონ კათალიკოსის გაკრიტიკებას გ. ბარათაშვილი ხატიპარიობად თვლის, ეროსტრატეს მიერ დიანას ტაძრის დაწვას ადარებს.

სარდ. ალექსი-მესხიშვილის რწმენითაც, კარგი ნაწარმოების გაგება რაღაც არაჩვეულებრივ განათლებას მოითხოვს; „თქვენგან ლიზლობით მოხსენებულს და საზოგადოდ ქართველთაგან სამარადისოდ პატივით სახსენებელს ჩახრუხაძეზედაცა ნეტა რაღა მოგახსენო. — მედიდურად მიმართავს ის ილიას. — ჩახრუხაძის ლექსების ღირსებას შეადგენს იმისი ჩახრუხაული... ჰაზრი იმისი არი **მაღალი,** ჭკუა დიდი და სიბრძნის ლამპრით განათლებული, გული მხურვალე; ამას ყოველსავე იმის ნიჭიერებას უწოდებთ თქვენ ზედშესრულების რახარუხად!!! იმის ზედშესრულებისა, **რომელთაცა დაფასება მოითხოვს სკითხველთაგან განათლებულსა მაღალით სწავლით გონებასა და ამის გამო სიტყვათ გამორკვევასა და ჰაზრთ გამოწვლილვასა...** ყოველი მწიგნობარი ქართველი ჰგრძნობს ამ სასიქადულოს მოლექსის ღირსებას“...

„ცისკარში“ გამოქვეყნებული კლასიცისტთა ნაწერები ანტონ პირველისა და მისი სკოლის უზომო აპოლოგიას შეიცავს. როგორც კანონმდებელი და პოეტი, იგი ყველაზე დიდ ავტორიტეტადაა აღიარებული. „ე. ჭავჭავაძე... ჰსწუნობს ნეტარხსენებულს ანტონი კათალიკოზის სიტყვიერებას. — შეძრწუნებით აცხადებს ექვთ. წერეთელი. **ოჰ, რა მესმის! ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალნიჭიერს სიტყვიერებას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილსიტყვაობას, მის აკროსტიხულებას და მის იამბიკოებს... მეორე ანტონი საქართველოშიდ გვიან იშობება“.**

რაღა თქმა უნდა, კლასიცისტებმა განგაში ატეხეს ალფაბეტის გამარტივების, ანტონის გრამატიკის რევიზიის გამო, გამოესარჩლნენ სახოტბო ჟანრს, ნორმატიულ პოეტიკას, მაგრამ ყველაზე მწვავე კონფლიქტი მაინც უშუალოდ **მხატვრული სტილის, მხატვრული ენის** პრობლემამ გამოიწვია; მათ ღვთის გმობად ჩათვალეს მაღალი ჟანრის თხზულებაში, რომელსაც ლიტერატურულ კრიტიკასაც მიაკუთვნებდნენ, და რომელიც ამაღლებული, რიტორულ-პათეთიკური ტონით, საგანგებოდ შერჩეული სიტყვა-გამოთქმებითა და „დარბაისლური“, ზეიმური გულგრილობით უნდა ყოფილიყო დაწერილი, — ხალხური თქმებისა, „აკრძალული“, „უუფლებო“ სიტყვების და ანდაზების გამოყენება. კლასიცისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის არა მარტო იდეები და ესთეტიკური შეხედულებანი, არამედ — სტილიც, გამოვნებაც, კილოც, ეტიკეტიც, ლიტერატურული ეთიკის ნორმებიც.

ბ. ჯორჯაძე კატეგორიულად აცხადებდა: „არა ლიტერატორს არ შეშვენის ამგვარის უშვერის ლექსებით მოხსენება. თუ ლიტერატორობაზედ თავსა ჰსდებს, **რატომ ის კი არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერებას... ზრდილობა-წერის სურვილით როგორ უნდა დავჰკარგოთ?...** როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყვნილს და ბიჭ-ბუჭების სიტყვებს: წირპლიანი, მორახუნეები, აგანგალა-განგალა... აი, კიდევ ეს სიტყვები: ისე ნაირად ჰრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც... მე მრცხვენიან ამ საძაგელის ლექსების განმეორება... (იგულისხმება: „როგორც გაუსაპნავი ურმის თვლები“ ა. კ.).

ასე იყო რუსეთშიც; შევირიოვი, რომელსაც პროზის ენად კარამზინის ენა მიაჩნდა, სასაცილოდ იგდებდა გერცენის გამოთქმებს: «Черты лица», «болезненная потребность», «бессистемно», «мотивировано», «совершеннолетие», «распущенность» და სხვ.

ალ. ორბელიანი ესთეტიკური თვალთახედვით განიხილავდა სტილის ავკარგიანობას; „გლეხურ ენაზე“ **„მაღალი საგანი** ვერ გამოვა ყურის საამოდო“, — წერდა 1861 წელს.

ასეთი ენობრივი კარდახშულობისა და „სტილისტური ტერორის“ ვითარებაში კრიტიკული რეალიზმის წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ლიტერატურის მომავლისათვის „ცისკრის“ კლასიცისტების დათრგუნვას. ხალხური სიტყვა-გამოთქმების, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გარეშე, კლასიცისტური სტილის არტახებში როგორ უნდა მოხერხებულიყო შეცვლილი, გართულებული სინამდვილის, ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვა?!.

გ. ბარათაშვილი **„ზრდილობის“**, ცრუ ეტიკეტის პუნქტებითა და არა სინამდვილის ასახვის პრაქტიკული მოთხოვნებით აფასებდა მხატვრული ენის ღირსებას. მისი რწმენით, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ მწერალი ხმარობს სიტყვებს: „წირპლიანი“, „რახარუხი“, „კუნტი“, „აღრინება“, „წამოკუნკულება“ და ა. შ. დაუშვებლად მიაჩნია ორიგინალური ფრთიანი გამოთქმები: „ცრემლიანი ლექსები“, „გაბერილი წიგნი“, „ბევრი ტალანტი გაიტაცა“,

„გაბერილი თავიდან ფეხებამდინ უნიჭოებითა", „თვალთაგან მდუღარე ტყვია ჰსცვივა და ა. შ.

სტილის ღირსებას გ. ბარათაშვილი ერთად ერთი საზომით განსაზღვრავს: **„კეთილშობილურადაა თუ არა აზრი გამოთქმული"**. კლასიცისტურ სიტყვიერ ფონდში ყველა ადგილი დაკავებულია, უკვე ყველაფერი დავარცხნილ-გამოსუფთავებულია და ახალი სიტყვებისთვის ადგილი აღარ არსებობს, — ყოველივე ახალი უკანონოა.

იქ სრული სიცხადით ჩანს, რომ სტილი იდეური კატეგორიაა, — რომ კლასიციზმი, რომელიც მხოლოდ მაღალი არისტოკრატიის, სალონების, **სამეფო კარისა და დიდებულთა ამბებს** თვლიდა ლიტერატურის საგნად, ხალხურ სიტყვა-გამოთქმებს იმიტომ კრძალავდა, რომ უბრალო ხალხის ცხოვრების ასახვა ლიტერატურის „მაღალი ჟანრების" მოვალეობად არ მიაჩნდა. გ. ბარათაშვილი სრულებითაც არ მალავს ამას; „ეს გუნდი ჩაივლის ნახშირის მეიდანზე, — ზიზღნარევი კილოთი ამბობს ის ილია ჭავჭავაძესა და მის თანამგრძნობებზე.— შუაბაზარში და იქ ჰკრეფს ნამდვილს ქართულს სიტყვებს, რომლითაც შეავსებს თავის ლექსიკონს... ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უგვანი სიტყვა აზრს ძალას არ უკარგავსო. ამის დასარღვევად ვიტყვი, რომ ვის იამება ჭკვიან კაცთან ლაპარაკი, თუ მას ამოსდის ნივრიშა და არყის სუნი".

ემყარება რა ანტონ კათალიკოსის თეორიას, სარდ. მესხიშვილი ილიას ბატონკაცური ტონით მიმართავს: „რასაკვირველია, კარგად იცით, რო **წერა არის სამგვარი:** მაღალი, საშუალო და მდაბალი. არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი?.. სადაცა იხმარება ნაცვალსახელი „იგი", ამ მაღალს სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს" და არა სრულიად მდაბიური ლექსი „როდესაც" და ა. შ.

მასაც ენის „ზნეობრივ შერყვნად", „დამახინჯებად", უხამსობად მიაჩნია სიტყვები: „აგანგალა-განგალა", „ეომეო" და სხვ. ყოველი ნაწარმოები, მისი სიტყვით, რიტორიკის წესებს უნდა იცავდეს.

კლასიცისტები არ სცნობენ თამამ, ცხოველმყოფელ, მოულოდნელ, კოლორიტულ გამოთქმებსა და სიტყვებს, რის გარეშეც რეალისტური სტილი წარმოუდგენელია. კურიოზულია ამ თვალსაზრისით ბარ. ჯორჯაძის მსჯელობა; მოჰყავს რა ილიას სიტყვები: „იყო ის ბედნიერი დრო, როცა ეს ლექსი თურმე მოსწონდათ მაგ თეორეტიკაში თვალებ ჩაწყალებულ პირთაო: არჩილ კახიებრ, ბალახანკინამოებრ" და სხვ", — მწერალი ქალი მშვიდად დასძენს: **„აქ რა არის ზნეობის შემარყეველი სიტყვა და არა სჯობია ბიჭბუჭების ლექსებს,** რომელსაც თქვენ აქებთ ხოლმე... ჩვენს მამაპაპათ დარბაისლურს ენას არც ამაღლება ეჭირვება, არც დამდაბლება,... **დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი... ეს პატიოსნური და დარბაისლური ენა".**

მხატვრული ენის გარშემო გაჩაღებულმა პოლემიკამ ასე გამოააშკარავა კლასიცისტურ და რეალისტურ სტილს შორის არსებული უფსკრული.

შედარებით, თავშეკავება გამოიჩინეს სენტიმენტალისტებმა, განსაკუთრებით, რევაზ ერისთავმა, რაც გაკვირვებას იწვევს, რადგან ილიამ სწორედ მისი თარგმანი და, საერთოდ, სენტიმენტალური მიმდინარეობა შემუსრა თავის წერილში.

რ. შ. ერისთავის პასუხი უთუოდ, ლოიალურადაა დაწერილი; შესამჩნევია, რომ კლასიცისტებს არ ესარჩლება, ამ მხრივ, თითქოს, კიდეც თანაუგრძნობს კრიტიკოსს, სამაგიეროდ, კატეგორიულად იცავს სენტიმენტალისტებს; **„საბრალო კარამზინი!** — ამბობს ის. — კაზლოვი და ჩახრუხაძე ხომ რაღა — საფლავიდან არიან ამოყრილნი; **სხვა კიდევ ჰო, კარამზინს კი ისე უპატიოთ ხსენება არ შეესაბამება, იმას იმისთანა უსაფუძვლო სიტყვებით ვერავინ მიუღებს თავისის შრომით, ჭკუით და განათლებით მოპოვებულს და დამკვიდრებულს ღირსებას გამოჩენილის მწერლისას რუსეთში, იმისის ლვაწლის შერყევას უბრალოთ ნურავინ ეცდება"** (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

უფრო კონსერვატიულად გამოიყურება „განმანათლებლური სენტიმენტალისტი" სარდ. მესხიშვილი, რომელიც პრინციპულად ადრეული სენტიმენტალიზმის პოზიციაზე დგას, მაგრამ კლასიციზმის დამსახურებასაც ხაზს უსვამს. ნიკ. ბერძნიშვილთან პოლემიკაშიც ის ქებადიდებას ასხამდა ფრანგულ კლასიციზმს: „საფრანგეთის სინდისი ბუალო, ენერგიული ბოსუეტი, ოქროპირი ფენელონი, შეუდარებელი მოლიერი, ომახიანი ჟან-რასინი და სხვანი მრავალნი, უკვდავნი არიან მადლიერი შთამომავლობის ხსოვნაში" — და აქედან გამომდინარე, ამტკიცებდა, რომ მარმონტელი არ იყო სუფთა წყლის სენტიმენტალისტი: „მარმონტელის ენა არაა მოკლებული საგნის სურათოვნების კოლორიტს. მის მოთხრობებში ზნეობა მბრძანებლობს ვნებებზე და არ ჩანს... მკვეთრი ანტიმორალურობა".

ილიასადმი პასუხშიც სარდ. მესხიშვილი ამ თვალსაზრისს ავითარებს. მისთვის მშვენიერია ის, რაც კეთილშობილი, გონივრული და ნათელია.

სარდ. მესხიშვილი მოხერხებულად იცავს თავის არჩევანს, მარმონტელს, კარამზინს, საერთოდ, „სენტიმენტალურ სხოლას" და ამტკიცებს, ისინი უსათუოდ გვჭირდებიანო, — „1847-სა წ. ვჰკითხულობდი მე მარმონტელის მოთხრობათა და იმათგან ერთი, **ჩემის გემოვნებისამებრ მომეწონა...** და გადმოვიღე ქარ-

თულს ენაზე, სახელდობრ „მეუდაბნოენი"... თქვენს კრიტიკაში, თავადო ჭავჭავაძე,... **უმიზეზოდ, უშვერით სიტყვით მოიხსენიებთ პატივცემულთა ავქსონთა მარმონტელს, კარამზინს...** ლუი მეთოთხმეტის მეფობაში ამაღლდა ყოველი შტო ხელოვნებისა და ჰსწავლისა და აღყვავდა ფრანციცული სიტყვიერება. ამ **საუკუნისა სხოლამ უკუდავჰყო მრავალნი მწერალნი**, რომელთაცა **ენამჭევრობა** დღევანდლამდინ პატივდებულია მრთელს ევროპაში. **ამ სხოლის** შემდეგი მწერალი იყო მარმონტელიცა. **კალამი მარმონტელისა არის მსუბუქი, მოთხრობანი გულწრფელნი, ბუნებითნი, საამონი. ამ სხოლას უწოდებთ თქვენ წირპლიანად და სენტიმენტალურად. ეს ორი ლექსი სრულიად შეუფერებელია და წინააღმდეგი ერთი მეორისა,** მაშინ როდესაც მჭევრმეთქვი მეორეს სიტყვას უნდა მოიხმარებდეს უძლიერესს პირველისა და იმავე მნიშვნელობისას, დასამდაბლებლად თუ ასამაღლებლად საგნისა. **სენტიმენტალური ჩვენებურად არი სათუთი, მგრძნობიარე. წირპლიანი და სათუთი სრულებით არ შეეხამებიან ერთი მეორეს და როგორ უნდა განმარტოთ და მივხვდეთ თქვენს ჰაზრს?** ჰო, ასე თუ არი: უთუოდ **მომეტებულის მგრძნობელობისაგან** იწირპლებოდნენ განსვენებულნი ჩვენი მწერლები! ამ სახელწოდების შემდეგ, თქვენს მსაჯულებრივს განსჯას გვიცხადებთ ქართველებს ასე: „იქნება ვჰფიქრობდეთ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღდგება, **თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში. წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება**" და სხვ." **ამას გვიგალობებ... მე და თ. ერისთავს.** მე ჩემს წილად გაძლევ ამ პასუხს: ლიტერატურის აღდგინება არ არის დამოკიდებული წარსულთა დროთა სიცრუესა და ცთომილებაზე... **ამას მოგახსენებ მე შესახებ ჩემთაცა „მეუდაბნოეთა". ამ მოთხრობაში სიცრუეს ვერ ჰპოებთ, ყოველივე აღწერილია მარტივად და ბუნებითად,** და თუ განიმჭვირვალუბის იმაში **წუთიერი ცთომილება გულისთქმათა, ეს თანადშობილი ჩვენს ბუნებასთან კაცობრივი სისუსტე ჩვენი,** ესეცაა ლა წარხოცილია ზნეობით. და **ამგვარი თარგმანი,** როგორც სჩანს, **უხამსი არ უნდა იყოს ჩვენის სიტყვიერებისათვის და მოკლებული საბატიოსა ადგილსა იმიის ფურცლებზედ.** დასასრულ, ვთქვათ **ორიოდე სიტყვა კარამზინზედაცა, ამ მწერალზე, რომელსაცა ძვირფასით შრომით მიუძღვის სამართალი პატივისცემაზე...** მიკვირს, ხელში არ ჩაგვარდნიათ **კარამზინის შრომათა გარკვევა...** პროფესორის პოგოდინისა და სენკოვსკისაგან... როგორც ჰსჩანს, „უბედური ლიზა" **კარამზინისა** შექმნილია საგნად სასტიკის განსჯისათვის ამ მწერლისა და იქამდინ დაუმცირებია ისი თქვენს თვალში, რომ უწოდებთ იმას „სენტიმენტალურ, ყალბ-გრძნობიან, მტირალა და წირპლიან მწერლად". აი, ყოვლად საშინელი კიცხვა! **როგორ შეიძლება, თავადო ილია, რო ყველანი ჩჩვილის გრძნობისანი და პირწმინდები იყვნენ და, მაინც მოკლებულნი ბუნებისაგან ამ ძვირფასთა სხეულის სამკაულთა, ღირსნი არ არიან ამისთანა სახელნართაულობისა... პატივცემულნი მწერალნი!...** მიკვირს, რომ... არ შეგიმცნევიათ იმისთვის (ბაირონისთვის. ა. კ.) არაფერი ნაკლოვანება და ხელთ არ გიგდიათ სასტიკი იმაზე გამოცემული ედინბურღში კრიტიკა. ეს დიდი მოლექსეც არ იყო თვინიერ ნაკლულოვანებათა: სამხატვრო კალამი იმისი ზოგან კამკამიერ ფეროვანია და ბრწყინვალე, ზოგან უკადრისად, უცხოველოდ მამკრთალებელი და უფერული, თითქოს შემოჰკლებბია წამლები და გაუცრეცია ხატული!" (ხაზი ყველგან ჩვენია. ა. კ.).

ასეთი პროფესიული გაწაფულობით, რწმენითა და ენთუზიაზმით იცავდა სენტიმენტალიზმს ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე სარდ. ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც ცალი ფეხი XVIII საუკუნეში ედგა. ზედმიწევნით ერკვევა ის ადრეული სენტიმენტალიზმის თავისებურებებში, რომლის ღირსებად თვლის ჩვეულებრივი ცხოვრების „მარტივად და ბუნებითად" ასახვას, „ჩვილ გრძნობას", „სათუთ გულს", „მსუბუქ, ბუნებრივ, გულწრფელ თხრობას", მაგრამ ისიც იცის, რომ მაშინდელ სენტიმენტალისტთა შემოქმედებაში რაციონალიზმი მთლიანად განდევნილი არ არის და „წუთიერი ცთომილება გულისთქმათა... წარხოცილია ზნეობით".

ამრიგად, „ცისკრის" კლასიცისტებმა და სენტიმენტალისტებმა მკაცრი პასუხი გასცეს ი. ჭავჭავაძეს, დაიცვეს თავიანთი ლიტერატურული პლატფორმა და „საბატიო ადგილი" მოითხოვეს ჟურნალში. უნდა ითქვას, რომ ყველა მოპაექრემ (ბ. ჯორჯაძე, გ. ბარათაშვილი, სარ. მესხიშვილი, რ. შ. ერისთავი) საკუთარი პოზიციის ღრმა გაგება, ლიტერატურული გემოვნება, ნიჭი და პოლემიკური უნარი გამოამჟღავნა ამ კამათში.

ილიასა და მისი თანამოაზრეებისათვის ნათელი გახდა, რომ დრომოჭმული ლიტერატურული მიმდინარეობანი ჯერ კიდევ არხეინად გრძნობდნენ თავს და აუცილებელი იყო ახალი სტილის, ახალი ესთეტიკური იდეალების დამკვიდრებისათვის თანმიმდევრული, პრინციპული ბრძოლა.

ი. ჭავჭავაძის მეორე წერილი („პასუხი") ძირითადად, ქართული კლასიციზმის კრიტიკას შეიცავს და მას წამძღვარებული აქვს ბ. ბელინსკის სტრიქონები: «...Энергию хотят заменить вежливостью чувство-приличием, мысль — модною фразою, изящество —

щеголеватостью, критику—комплиментами».

ეს ეპიგრაფი მკაფიოდ გამოხატავს ილიას წერილის დედააზრს, ულმობლად ამხელს კლასიცისტური პირობითობის სიყალბეს, დამყაყებული ნორმატივების უნიათობასა და მავნებლობას.

ილია დასცინის სქოლასტიკას, გაქვავებულ „ანბანთთეორეტიკას“, რომლის პარაგრაფებითაც მსჯელობდნენ შემოქმედებითს პროცესზე, გემოვნებაზე მხატვრული ნაწარმოების ავკარგიანობაზე. „თითონ თეორეტიკა, — ეგ სხოლასტიკობის ნაშთი რა არის, რომ მასზედ აშენებული განვითარება რა იყოს?... უბედურება ჩვენი ის არის, რომ შევბეჭდავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევსძინეთო... ხშირად იქნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე... ვისაც... ანბანთ თეორეტიკის გარდა სხვა რამეც უკითხავს,... რასაკვირველია, გაეგება, რომ ახლა მრთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის განმარტივებას, გაადვილებას...“

გაქვავებული ნორმებისა და შტამპების უარყოფით, კრიტიკოსი ცხადყოფს, რომ აზროვნებისა და ლიტერატურის პროგრესი საზოგადოების განვითარების ისტორიულ გაგებას მოითხოვს; ადრინდელი წარმოდგენები მოძველდა, ძველი ნორმატივები ბორკილებად იქცა, მწერლობამ ცხოველმყოფელობა დაჰკარგა და მხოლოდ ცოცხალ აზრსა და გრძნობას, თავისუფალ ფანტაზიასა და წარმოსახვას შეუძლია ახალი სული შთაბეროს ხელოვნებას. „ახლა ცარიელი ანბანის თეორეტიკით და ჩხავილით ნუ ცდილობენ იყოს ის ბედნიერი დრო, როცა ეს ლექსი თურმე მოსწონდათ მაგ თეორეტიკებზედ თვალებგაწყალებულ პირთა:

არჩილ, კახიებრ, ბალასანკინა მოებრ,
ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ,
რტო კიპაროსებრ, ია შამპასოსანებრ.

(ამ ლექსს, ამბობენ, გორის სასწავლებელში ასწავლიდნენო... ბარაქალა, მასწავლებელთ გემოვნებას!).

იქნება, ახლაც მოეწონოს ეს ლექსი, და მოეწონება კიდეც..., თუ ანბანის თეორეტიკა... ხელოვნების სწავლათა სწამს“.

ლიტერატურა, უპირატესად, შემოქმედებაა და არა სწავლა, შთაგონებაა და არა წესების დაცვა, ნიჭია და არა ცოდნა. „კაცმა რომ ჰსწეროს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს, ცოდნა და განათლება ისე აუცილებელნი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი... გაუნათლებელმა და უცოდინარმა კალცოვმა თავის ნიჭით ისეთი სახელი დაიგდო, რომ, როგორც სახალხო პოეტი, პუშკინზედაც მაღლა დასვეს რუსებმა... უნიჭო, ...უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას (უმაღლეს სასწავლებელში რომ გაზრდილიყავით). „მაინც კიდევ პოეტი ვერ შეიქნებოდით; გეტე ამბობს: „მხოლოდ ბუნება ჰქმნის პოეტსაო.“ „თუ ნიჭი არ გაქვსთ, ნუ გეშინიათ, („ცისკარში“) უნიჭოთაც გამოსჩნდებით... თუ ხელოვნება არ იცით, მაგის წამალიც ხელთა გაქვთ: ...ანბანთთეორეტიკა“.

ილია დამაჯერებლად ავლენს და აკრიტიკებს „ცისკარში“ კლასიცისტური სტილის ნიშნებს — „შემთხზველობას“, განყენებულობას, შტამპებს, ბუტაფორიულობას, ნაძალადევ პათეტიკას, რიტორიკას. და, უარყოფითი თუ დადებითი მაგალითების საფუძველზე, მკითხველს უჩვენებს, რამდენად უფრო შთამბეჭდავია „უბრალო აზრი, უბრალოდ გამოთქმული“, „ლაღი ფანტაზია“, ახალი იდეა, ცოცხალი წარმოსახვა, ძლიერი უშუალო ემოცია, შინაარსისა და ფორმის ერთობლიობა.

ილია დარწმუნებით აღნიშნავს, რომ „ცისკრის“ კლასიცისტები ჩახრუხაძის გზას მიჰყვებიან, ანტონ კათალიკოზის გემოვნებით ჰსჯიან და მისი ნორმატივებით თხზავენ, თუმცა, ისიც მშვენივრად იცის, რომ თავის დროზე ანტონ კათალიკოზმაც დიდი როლი შეასრულა ერის ცხოვრებაში: **„მე რომ სხვისი გემოვნებითა ვსცხოვრობდე, როგორც უფ. ბარათოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა,...** მოგიწონიბდით... მაგგვარ... განსახოვნებასა... („ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდ ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა. **მაგრამ ახლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევსცდებით. მაშინ სხვა რიგათ ესმოდათ, ეხლა სხვა რიგათ. მე ეგ უფ. ბარათოვის სტატიაზედ მომყავს, რადგანაც იმას ჩახრუხაძის პოეტობის დასამტკიცებლად ანტონ კათალიკოზის სიტყვები მოჰყავს, ის კი არ იცის,...** რომ:..

Гармоний стиха божественные тайны
Не думай разгадать по книгам
мудрецов.
(ა. მაიკოვი)

„პასუხში“ ილია სენტიმენტალიზმის დრომოჭმულობასა და მანკიერებაზეც ლაპარაკობს, მაგრამ ისე სასტიკად არა, როგორც პირველ წერილში, და როგორც აქ კლასიციზმზე. იგი რ. შ. ერისთავს განუმარტავს, რომ რომელიმე მწერლის დამცირება და შეურაცხყოფა კი არ სურს, არამედ **სენტიმენტალური მიმართულების აღმოფხვრა**, მისი გამოუსადეგრობის დამტკიცება; „მე... ჯერ კოზლოვის ნიჭიერება განვიხილე, მერე მისი პოეზიის **მიმართულება**... მე მეგო-

ნა, რომ ჩემს აზრებს დაარღვევდნენ, ან... სტატიის **მიმართულებას** დამიწუნებდნენ... მარტო თ. ერისთავი ცდილა ჩემი აზრების დარღვევას, მიმართულების დაწუნებას (ლანძღვა არისო) და, ...როგორც შეშვენის ლიტერატურული სტატიის განხილვას, გავუკენწლივარ სიტყვების ხმარებაში. სხვანი კი — **ანბანთთეორეტიკოსნი** მიჰსცვივნიან მარტო ჩემს სიტყვებს. ის კი არ იციან, რომ სიტყვა მარტო **გარეგანი სამოსელია აზრისა**"...

ილია სხვაგანაც ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს „ცისკრის" კლასიცისტები და სენტიმენტალისტები, — ერთი მხრივ, ბ. ჯორჯაძე, გ. ბარათაშვილი, მეორე მხრივ, რ. შ. ერისთავი და ამ მიზნით ხაზს უსვამს უკანასკნელის შემოქმედებაში რომანტიზმის ტენდენციებს, რაც მას სანუგეშოდ და მოსაწონად მიაჩნია. „ეგ ხელოვნებაა, რომელიც დაგვითმია კნ. ბარ. ჯორჯაძისათვის. — მიმართავს რევ. ერისთავს. — **ეგ იმათ მიეტევებათ, რომელთაც მარტო ანბანის თეორეტიკა და გალახოვის ქრესტომათია უკითხავს, და თქვენ კი არა. თქვენ, როგორც გვახსოვს თქვენი წვრილი ლექსები, ლერმონტოვი, ჟუკოვსკი და კალცოვიც გიკითხავთ, მაშასადამე, კაცმა თქვენგან არ უნდა მოიწონოს მაგგვარი ანბანთთეორეტიკული ხელოვნება**".

პოლემიკას ილია კიდევ უფრო დაურწმუნებია, რომ სენტიმენტალიზმი და კლასიციზმი ანგარიშგასაწევ საფრთხეს წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურაში, და აუცილებლად ჩაუთვლია, „პასუხის" დასკვნითს ნაწილში მოკლედ, მაგრამ გარკვევით ჩამოეყალიბებია თავისი თვალსაზრისი ყველა ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ. იგი ჯერ ზოგადად მსჯელობს ლიტერატურული მიმართულების რაობაზე, მერმე, ახასიათებს ლიტერატურულ მიმდინარეობათა ცვლას, როგორც განვითარების პროცესს, ასაბუთებს, რა ზიანი მოაქვს დრომოჭმულ მიმდინარეობებს, დაბოლოს, ღრმად დარწმუნებული, რომ ქართულ მწერლობაში კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმს უსათუოდ რაღაც სათავეები უნდა ჰქონდეს, სათანადო მასალის უქონლობის გამო, სახელდახელოდ ამ საკითხზეც გამოთქვამს ვარაუდს.

„უნდა კარგად ვიცოდეთ, — უმტკიცებს რ. შ. ერისთავს, — რომ ლიტერატურას სხვა და სხვა მნიშვნელობა ექნება: აზრით, მიმართულებით და ენის წარმატებით... ერთის ხალხის ლიტერატურას მეორე სხვა ხალხისათვის ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს მწერალს თავის ხალხისათვის ექმნება მნიშვნელობა: აზრით, მიმართულებით, ენის წარმატებით და მოქმედებით, როგორცა ვსთქვი. სხვა უცხო ხალხისათვის კი მარტო თავის აზრით და თავის მიმართულებით... რუსეთში (კარამზინის) თხზულების მიმართულებაც დაწუნებულია და მხოლოდ იმისთვის სიამაყით ახსენებენ მაგის სახელსა, რომ რუსული ენის აღდგინება... დაიწყო და პირველად მაგან დაამუშავა თავის ქვეყნის ისტორია... ჩვენთვის კარამზინს მარტო ხელოვნებითის სიტყვების მნიშვნელობა აქვს... მე კარამზინი... მხოლოდ მაგ მხრით გავსინჯე, ესე იგი, ხელოვნების მხრით, რომელსაც ჩვენს პოეზიაზედ გავლენა შეუძლიან, თუ ავყევით კარამზინის მიმართულებას... კაზლოვი იყო კარამზინის ცდომილი მიმართულების გავლენის ქვეშ...

როცა ცრუკლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმომადგენელი შეიქნა ბოლოს დიდი შილლერი, როცა გამოჩნდა გეტე თავის „ვერტერით", ბერნარდენ დე-სენპიერი თავის „პავლ და ვირგინიით", ჟან-ჟაკ-რუსო თავის „ელოიზით", მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა. ცრუკლასიკური მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი", ვერც „ელოიზა" ჟან-ჟაკ-რუსოსი და ვერც „პავლ და ვირგინია" ბერნარდენ დე-სენპიერისა. ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მიმდევართა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა, რომლის წარმომადგენელი რუსეთში შეიქმნა კარამზინი... მიმართულებით სენტიმენტალური სხოლისა იყო".

დღევანდელი მეცნიერული გაგებით, სენტიმენტალიზმის ისტორიასა და როლს ილია მთლად სწორად და ობიექტურად ვერ აშუქებს, — გოეთეს „ვერტერის ვნებებს", ბერნარდენ დე- სენპიერის — „პოლ და ვირჟინიას",ჟან-ჟაკ-რუსოს — „ახალ ელოიზას" ის სენტიმენტალურ ნაწარმოებებად კი არ თვლის, არამედ მხოლოდ იმ წყაროდ, რომელიც „კლასიცისტური მიმართულებით დათრგუნვილმა მწერლებმა" ყალბად აითვისეს, და, ამიტომ, „სენტიმენტალური სხოლა" დაბადეს. ამ მომენტს ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ილია გამოდიოდა არა როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, არამედ როგორც სენტიმენტალიზმის კრიტიკოსი და მიზნად ისახავდა სენტიმენტალიზმის დისკრედიტირებას. სენტიმენტალიზმს ის თავისი მიმართულების მოწინააღმდეგედ, ქართული ლიტერატურის სერიოზულ საშიშროებად თვლიდა და, ცხადია, მისი დამსახურებების ქება-დიდებას არ მოჰყვებოდა. —„წირპლიანი სხოლის" ისტორიას გოეთეს ბერ-

ნარდენ დე-სენპიერისა და ჟან-ჟაკ-რუსოს სახელს არ დაუკავშირებდა; პირიქით, ყოველნაირად ისწრაფვის, მკითხველს შთააგონოს, რომ სენტიმენტალიზმი „უნიჭო“ და უმაქნისი მიმართულებაა; სენტიმენტალური „თვისებების პატრონი არ იქნება თავის დღეში სახელოვანი მწერალი. — კატეგორიული ტონით განაგრძობს ის. — ეგ დამტკიცებულია ახლანდელ მიხედვით, რომ **სენტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც**“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

თანამედროვე ქართული მწერლობის მაგალითები ილიას თვალწინ ჰქონდა, მაგრამ, იმის დასამტკიცებლად, რომ ქარის წისქვილებს კი არ ებრძოდა, არამედ დარწმუნებული იყო, რომ ქართულ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმს უფრო შორეული და ღრმა წარსულიც მოეპოვებოდა, შეეცადა სათანადო მასალაც მოეშველებინა. ამ შემთხვევაში ილიას შეიძლება შევედავოთ, რომ მთლად შესაფერი ნიმუშები ვერ დაასახელა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ იმ დროს ყველაფერი ცნობილი არ იყო, — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მოიშველია სწორედ ყველაზე მისამსგავსი მაგალითები, და, რაც მთავარია, პრობლემის არსის სულისკვეთებით სწორად ახსნა მათი ხასიათი.

„უმაგისოთაც **სენტიმენტალური მიმართულების მაგალითები** გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში. — ამბობს ილია. — მაგალითებრ, „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“; რომანტიკული მიმართულებისაც გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითებრ, „ვეფხისტყაოსანი“; **„ცრუკლასიკურისაც“**, მაგალითებრ, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს „ვეფხისტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, **არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით**“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ყურადღება მივაქციოთ, რომ XIX საუკუნის ლიტერატურიდან ილია არათუ კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის, არამედ „რომანტიკული მიმართულების“ მაგალითებსაც არ ასახელებს.მაგრამ, როგორც უკანასკნელი სტრიქონებიდან ირკვევა, მის მიერ დასახელებული მაგალითებით თვითონაც არ ყოფილა მთლად კმაყოფილი და განზრახული ჰქონია ქართული მწერლობის ისტორიაში **მიმართულებათა პრობლემა** საგანგებოდ შეესწავლა, რათა უფრო დამაჯერებლად დაემტკიცებია, რომ არსებობდა ჩვენში კლასიციზმიც, სენტიმენტალიზმიც და რომანტიზმიც. „მაგრამ **ამაზედ მერე მოვილაპარაკებთ**, — ჰპირდებოდა ილია მკითხველს.— **როცა ლიტერატურა** (იგულისხმება მეცნიერული ლიტერატურის ისტორია ა. კ.) **წარმოგვიდგენს სხვა მაგალითებსაც ჩვენ წინადადებულ აზრის დასამტკიცებლად**“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

რა თქმა უნდა, „ცისკრის“ კლასიცისტებმა და სენტიმენტალისტებმა ილიას მიერ „შელანძღულ მიმართულებათა“ იარლიყები უუკადრისეს, და „სარედაქციო შენიშვნებში“, რომლებიც იაკინთე ალექსი-მესხიშვილის [illegible] ნახელავია, სცადეს თავიანთი თავი ყოველგვარი ლიტერატურული მიმართულების გარეშე დაეყენებიათ; „ქართული სიტყვიერება ჯერეთ არ დაფუძნებულა (?!), — ვკითხულობთ პირველსავე შენიშვნაში. — ჯერეთ არა რაი „მიმართულება“ მას არ მიუღია... მართალია, მარმონტელიც იყო დაბეჭდილი, კაზლოვიცა და სხუანიცა, მაგრამ იმათ გავლენა არავისზედა ჰქონიათ და არც ერთი „ცისკრის“ თანამშრომელი იმათ არ ჰბაძავს“. ამას სწერდნენ კლასიცისტური სულით გამსჭვალული ოცდაექვსი „შენიშვნის“ ავტორები.

მართალია, ილიამ დაპირებული გამოკვლევის დაწერა ვერ მოახერხა, მაგრამ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმთან ბრძოლა არ შეუწყვეტია, — „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი მისი წერილებიც, ძირითადად, ამ მიზანს ემსახურებოდა და, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, „ცისკრის“ ლიტერატურული პირნახულის შეფასებასაც ამ თვალსაზრისით განაგრძობდა.

ცნობილია, რომ 1863 წ. ილიას განზრახული ჰქონდა დაეწერა გამოკვლევა — „ცისკრის“ მნიშვნელობა 1857-1863 წლამდინა“[1].

აღნიშნული წერილის ფრაგმენტებში ილია ყურადღებას ამახვილებს დრომოჭმული მიმდინარეობების, განსაკუთრებით, სენტიმენტალიზმის მოტივებზე; „ლირიკული მიმართულება... ჩივილი, წუთისოფლის მდურვა: კაცის ამოება და ნუგეშით თვალშეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებასა და **მართლმსაჯულებას**. სიყვარული უფრო პლატონიკური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომლობა: თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს, ცაში და-ძმანი ვიქნებითო... **ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში**, რასაც უნდა იმას გამოსახავენ; **ბუნება-თუ არის, მშვენიერია იმათ გრძნობის მიხედვით**. ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის“ და სხვ.

კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის კრიტიკით, დიდ ინტერესს იწვევს „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილი, აგრეთვე ფელეტონები: „სხარტულა“ და „სფირადონისა და თადეოსის ბაასი“. აქ ილია დაწვრილებით განიხილავს და აფასებს სენტიმენტალურ ნაწარმოებებს („მილორდიანი“, „მხეცური შურისგება“, ივ. კერესელიძის „მგზავრის წიგნები“ და სხვ.), დრომოჭმულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა უნიადაგობის ჩვენებით, აყალიბებს კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს არასოდეს გაულაშქრიათ რომანტიზმის

---

1 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 49, გვ. 26.

წინააღმდეგ, პირიქით, რომანტიზმს ისინი თავიანთ მოკავშირედ თვლიდნენ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმთან ბრძოლაში (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი) და არც ერთ რომანტიკოსს მათ წინააღმდეგ პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს მიგვაჩნია ქართული რეალიზმის დამკვიდრების თავისებურებად. ილია უშუალო კავშირს ხედავდა პროგრესულ რომანტიზმსა და ახალთაობის ესთეტიკურ იდეალებს **შორის;** გრ. ორბელიანის ღირსებად, სხვათა **შორის,** იმასაც თვლიდა, რომ მან... „განდევნა... მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა“; — რომ ეს იყო „წინწაწევა და წარმატება“. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნიკ. ბარათაშვილი მას ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზის ნიშანსვეტებად და **ახალ**თაობის უშუალო წინამორბედებად მიაჩნდა. მხოლოდ ერთ პრინციპულ ხარვეზს ამჩნევდა მათს შემოქმედებაში და ვფიქრობთ, ამ მხრივ გარკვეულ როლს ანიჭებდა 50-ანი წლების სენტიმენტალისტებს. ასე გვესმის ჩვენ მისი დებულება: „სამოციან წლებამდე... ჩვენი პოეზია, თითოოროლა მაგალითებს გარდა, ისიც **ორმოცდაათიანი წლების ბოლო ხანებში,** ლაპუფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას... (მერმე) მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მაგალითები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულვბისა და სიყვარულისა“.

ილიას წერილებით დაიწყო ჩვენს მწერლობაში კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ საფუძვლიანი, თეორიულ ლიტერატურული ბრძოლა, რომელშიც მას მხარში ამოუდგნენ აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ანტ. ფურცელაძე, კირ. ლორთქიფანიძე, სამს. აბაშიძე, ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი, ალ. ცაგარელი და სხვ.

60-იანი წლების პოლემიკა ერთ-ერთი არგუმენტია, რომ ქართულ მწერლობაში, რუსულ-ევროპული ლიტერატურის მსგავსად, რომანტიზმს წინ უსწრებდა კლასიციზმი და სენტიმენტალიზმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ავალიანი

# საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში

გამოჩენილი ქართველი მწერლის რაჟდენ გვეტაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მისმა პროზაულმა თუ პოეტურმა ნაწარმოებებმა გარკვეული როლი ითამაშა ჩვენი ხალხის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

რაჟდენ გვეტაძე, როგორც თანამედროვეობისათვის მტკივნეული პრობლემებით მუდამ დაინტერესებული მწერალი, ნაყოფიერად გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თემას.

რაჟდენ გვეტაძის იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ომის თემაზეა დაწერილი, მკვეთრად ჩანს, თუ რა მწვავედ განიცდიდა მწერალი ფრონტის ავ-კარგს, რა ღრმად სწვდებოდა მის გულს ხალხის ტანჯვა, ფაშისტური ურჩხულების ხროვამ რომ დაატეხა თავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ომით გამოწვეულ განცდებს მწერლისთვის ამძაფრებდა მისი ვაჟის — ნოდარის სამამულო ომის ქარცეცხლში ყოფნაც. ძნელი მისახვედრი არაა, რომ „მართალი ნოველების“ მთავარი მოქმედი გმირის ნოდარის პროტოტიპი სწორედ მწერლის ვაჟი ნოდარ გვეტაძეა.

რაჟდენ გვეტაძის პროზაულ ნაწარმოებებში ომის თემა ძირითადად ორ ვრცელ მოთხრობაში — „ცხოვრება იწყება თავიდან“ და „მართალი ნოველები“ გვხვდება. — საბჭოთა კავშირის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრული ასახვის ფაქტებიც მწერლის ამ ორ ნაწარმოებში უნდა ვეძიოთ.

მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან“ ცენტრალური ფიგურა ექიმი ბააკა მინდელია და საბრძოლო თანამეგობრობის ფაქტებიც მინდელთან არის დაკავშირებული.

განათლებული, კეთილსინდისიერი, ფიზიკურად უზადო, მამაცი ქართველი ვაჟკაცი ბააკა მინდელი ყოველგვარ პირობებში ადვილად პოულობს გასაღებს ადამიანთა გულებისაკენ. ბააკა მინდელის მეგობრული დამოკიდებულების ფაქტები სხვადასხვა ეროვნების თანამებრძოლებთან, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ფრონტის ძნელბედ პირობებში მოთხრობის მთავარ ხერხემალს წარმოადგენენ.

ფრონტზე პირველად მოხვედრილი ბააკა მინდელი მალე უმეგობრდება უკრაინელ კოლეგას ექიმ კუზენკოს. მინდელისა და კუზენკოს მეგობრობა, მართალია, ხანმოკლე აღმოჩნდა. იმის გამო, რომ მთელი მედსანბატი შეტევაზე გადმოსული ფაშისტების ტყვეობაში მოხვდა, მაგრამ მაინც მათი მეგობრული ურთიერთობა ძალზე შთამბეჭდავია.

ტყვეობაში ბააკა მინდელი დაუმეგობრდა ებრაელ ქალს სარას. კეთილი რჩევითა და გამხნევებით ბააკამ სარა იხსნა დახვრეტისაგან. ქალმაც, საკუთარი სიცოცხლის აშკარა საფრთხეში ჩაგდებით, დიდი დახმარება გაუწია ბააკას სლავუტის ტყვეთა ბანაკიდან გაქცევაში.

ტყვეობიდან გაქცეული ბააკა ზამთრის მძვინვარე ყინვაში უღრან ტყეს აფარებს თავს. აქ იგი შემთხვევით გადაეყარა დედა-შვილს, უფრო სწორად, თავს წაადგა გაყინულ ქალს, რომელსაც თავისი ტანსაცმელი ჩვილი ბავშვისათვის შემოეხვია და თვითონ კი უნებლიეთ თოვლში ჩაძინებული გაყინულიყო. ბააკა გადაწყვეტს ბავშვის გადარჩენას და თან მიჰყავს იგი: „თუ დაღუპვა მიწერია — დეე ამ ობოლთან ერთად დავიღუპოო“. და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა ბააკამ თავს იდო ჩვილი ბავშვის პატრონობა.

საკუთარ ძალ-ღონით ვერც ბააკამ დააღწია თავი უღრან ტყეში მოთარეშე ყინვას. შიმში-

ლითა და სიცივით ღონემიხდილს, გონებაწართმეულს აშკარა დაღუპვისაგან სლავუტელი პარტიზანები იხსნიან.

მხატვრის ნაცადი ოსტატობითაა ასახული მოთხრობაში ბააკა მინდელის გონს მოსვლა პარტიზანთა მიწურში და სურათი, რომელიც ამ დროს მინდელმა ნახა: „მოზრდილ დარანში შუა ადგილას, ცეცხლი ანთია. ერთიმეორის პირდაპირ, ცეცხლთან, კუნძებზე ორი კაცი ზის, ერთის ზურგი ჩანს მარტო; მეორე წვერიანი, კუთხეში თივაზე მწოლიარე ბააკას მისჩერებია. დარანში სითბო და სიჩუმეა. ბააკას საბნად ცხვრის ტყავისაგან შეკერილი დიდი ქურქი აზურავს. სასთუმლად თივაწაყრილი მორი უდევს. წამოდგომას დააპირებს, უცებ ფეხს რაღაც თბილ საგანს შეახებს. ჯერ გაოცება იპყრობს, მაგრამ მალე მოაგონდება ტყეში ნაპოვნი ბავშვი. იგი მის ფეხებთან დაუწვენიათ. ბავშვს თავისი პატარა ხელები ბააკას ცალი ფეხისათვის შემოუხვევია და გულში ჩაუკრავს.

— როგორ გრძნობ თავს, მეგობარო? ძილში ძლიერ ბორგავდი! შეეკითხა წვერიანი კაცი. მას ჩალისფერი თმა და წვერი ჰქონდა, სწორი ცხვირი. თვალები, როგორც მოზვერს, ისე უბრწყინავდა ცეცხლის შუქზე“.[1]

მკითხველი ხედავს, რომ დასაღუპავად განწირულ ბააკა მინდელს და მის შვილობილს შემთხვევით გადაჰყრიან ვიღაც კეთილი ადამიანები, რომელთაც სათუთი ზრუნვა გამოუჩენიათ განსაცდელში ჩავარდნილისადმი და ისინი გადაურჩენიათ. ეს კეთილი ადამიანები სლავუტელი პარტიზანები — ტიმო კაშუბა და მისი ამხანაგები არიან.

სლავუტელი პარტიზანების მეთაური ტიმო კაშუბა მოთხრობაში დიდი სიმპატიითაა დახატული: „ეს წვერიანი კაცი, ტიმო კაშუბა, პარტიზანების მეთაური იყო, სლავუტის მკვიდრი. იგი ომამდე მემანქანედ მუშაობდა და არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა რკინიგზელებისაგან. პარტიზანად გასვლისთანავე, ეს მშვიდი და თავის საქმის მოყვარული ადამიანი სავსებით გამოიცვალა. არავის ეგონა თუ იგი ასეთი გამბედავი, უნარიანი და გამჭრიახი იქნებოდა მისთვის უჩვეულო გარემოსა და პირობებში. იერითაც უცხო კაცს დამსგავსებოდა. თუ ორთქლმავალზე ყოველთვის გაპარსული ადიოდა, ახლა, ტყეში გასულს, წვერი მკერდამდე სცემდა. თხელი, მუდამ წითელი ტუჩები სქელ ულვაშებში აღარც კი მოუჩანდა; თაფლისფერ, მრგვალ თვალებში სათნოების ნაცვლად მრისხანება ესახა. კალთებშემოკეცილ ქურქში უფრო მაღალი და მხრებგანიერი ჩანდა ორი ხელყუმბარა და რევოლვერი განუშორებლად ეკიდა ქურქს გარედან შემორტყმულ ტყავის ფართო ქამარზე. წინად ამოკლე ნაბიჯებით იცოდა სიარული, თითქოს რამეს ეპარებაო; ბოლოსდაბოლოს მტკიცედ და შორიშორს ადგამდა ფეხებს. ყველა ძიას ეძახდა, თუმცა რახანი გაცილებით ბევრი ხნიერებიც საკმაოდ იყვნენ“.[1]

ბააკა მინდელი, რომელიც პარტიზანთა რაზმში ექიმად გაამწესეს, დიდი მონდომებით ასრულებს თავის მოვალეობას, ცდილობს დაუმტკიცოს მის მხსნელ ადამიანებს, რომ იგი ღირსეული მამულიშვილია. მართალია, მოთხრობაში ნაკლებადაა ეპიზოდები ბააკა მინდელის პარტიზანთა რაზმში გამოვლენილი სიმამაცის შესახებ, მწერალი თითქოს გაურბის ფაქტების მოჭარბებით ფიქსირებას, მაგრამ, მკითხველი მაინც კარგად გრძნობს, რომ მინდელი პარტიზანთა ღირსეული თანამებრძოლია და მისი თანამეგობრობა პარტიზანებთან, განსაკუთრებით კი ტიმო კაშუბასთან, ცხადად გვესახება.

თვით ბააკა მინდელი ავტორმა მრავალ განსაცდელსა და უსიამოვნობაში გამოატარა. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი ადევნოს მინდელის სულიერ ზრდას, იცნობს მას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე; ყურადღებას იპყრობს ჯერ კიდევ ყმაწვილი ექიმის კეთილსინდისიერება, ოჯახისა და საქმის მოყვარულობა, შემდეგ კი მისი სიმამაცე ფრონტზე; ტყვედ ყოფნის პერიოდში მისი მოხერხებულობა და თავგანწირულება. განსაკუთრებით ნათელს ჰფენს მინდელის კეთილშობილებას მისი გულისხმიერება მოლდაველი ბავშვის ხავასადმი. გარდა ამისა, ზოგ რამეს მინდელის სიმამაცის თაობაზე ვგებულობთ მისივე მონათხრობიდან: „მედსანბატიც დაბომბვაში მოჰყვა. ამ დროს მძიმედ დაკოდილ ლეიტენანტს რთულ ოპერაციას ვუკეთებდი. ერთი სანიტარი-ღა შემრჩა მხოლოდ. სხვები ყველანი სახელდახელოდ გამართულ თავშესაფარში გაიხიზნენ. ცა იქცეოდა, მიწა ზანზარებდა. ამ საშინელ გრიალში ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ოპერაცია. როგორც კი საქმე დავამთავრე, სახლის ნახევარი დაინგრა ... და სანიტარმა დაჭრილი საკაცეზე დავაწვინეთ და განვიზრახეთ მისი წაყვანა მიწურში. ფრთხილად გავედით გარეთ. როდესაც მიწურამდე რამდენიმე ნაბიჯიღა დაგვრჩა, საიდანღაც თვალში ყუმბარის ნამსხვრევი მომხვდა“.[2] ქართველმა დოსტაქარმა ბააკა მინდელმა, ვინ იცის, რომელი ეროვნების საბჭოთა ოფიცრის გადარჩენას აშკარად შესწირა სიცოცხლე, მაგრამ, რაღაც ბედად, იგი გადარჩა. დაბრმავდა მხოლოდ. ათიათასობით მსგავსი

---

[1] რაჟდენ გვეტაძე, „ცხოვრება იწყება თავიდან“, თბილისი, 1949 წ., გვ. 83.

[1] იქვე, გვ. 86.
[2] იქვე გვ. 135.

გმირობა იყო სტიმული საბჭოთა არმიის უძლეველობისა დიდ სამამულო ომში და ყოველ ამგვარ შემთხვევაში, ძირითადად, საქმე გვაქვს მოძმე ერების საბრძოლო თანამეგობრობის ჭეშმარიტად ძალდაუტანებელ და ბუნებრივ ფაქტებთან.

მოთხრობაში მწერალი რატომღაც ქმნის ნაძალადევ კოლიზიებს, რომლებიც რამდენადმე აუფერულებს მინდელის ჰუმანურ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი. რაღაც უსიამოვნო განცდას აღძრავს მკითხველში ბავშვის გამოდავა, რომელიც სასამართლომდეც აღწევს. ასე გამწვავება საქმისა საჭირო არ იყო. მინდელს არ უნდა გამოეჩინა სიჯიუტე, პირიქით, უნდა გახარებოდა კიდეც, ბავშვის მამა რომ მოინახა. აქ მინდელის პიროვნებას ჩრდილი ადგება. ბავშვის მამა სიმო ლანდა სასამართლოზე აი რას აცხადებს: „ექიმი მინდელი, რომელმაც ლამის თავი შესწირა ბავშვს, რომელმაც საარაკო კაცთმოყვარეობა გამოიჩინა მისდამი, ახლა ამავე ბავშვს მტრად უხდება: მას სურს იგი სამუდამოდ მკერდიდან მოგლიჯოს მკვიდრ მამას“.[1]

მოთხრობის დასასრულს. მართალია, ხელოვნურად, მაინც ყოველივე თავის ადგილს თავსდება. ბააკა მინდელის, ამ გაწამებული და გატანჯული კაცის, კვლავ შემობრუნება, მისი ბედის დაკავშირება ახალგაზრდა ეთერთან, შემდეგ კი რუსთავის მშენებლებთან შრომის ფერხულში ჩაბმა, იყო ცხოვრების თავიდან დაწყება.

შემოსეულ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხების წარგზავნილთა მტკიცე თანამეგობრობის კიდევ უფრო მკაფიო ასახვა გვხვდება რაჟდენ გვეტაძის ვრცელ მოთხრობაში „მართალი ნოველები“.

მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი ქართველი ოფიცერი, ექიმი ნოდარია, რომლის საბრძოლო გზა აღსავსეა გმირულ შემართებათა შესანიშნავი მაგალითებით.

უნდა ითქვას, რომ ნოდარის მოქმედება ხდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერების შვილებთან ძმურ ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა კი აღსავსეა ერთმანეთისადმი იშვიათი თავდადებითა და ერთგულებით.

მოთხრობაში დიდ როლს თამაშობს ნოდარის ხელქვეითი უკრაინელი კორენკო. იგი რიგითი წითელარმიელია, სანიტარი. ომის ქარცეცხლიან გზებზე კორენკო ნოდარის მარჯვენა ხელია. სამხედრო ფიცითა და წესდებით დაწესებული უფროს-უმცროსობის სავალდებულო ტრადიცია ამ ორი სხვადასხვა ჩინის მეომარს შორის განმტკიცებულია კაცური კაცობითა და გულისხმიერებით.

[1] რაჟდენ გვეტაძე, „ცხოვრება იწყება თავიდან“. გვ. 167.

პოლკი, რომელსაც ნოდარის სანიტარული ქვეგანაყოფი ემსახურებოდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის მოძალებული მტრის შესაკავებლად. ნოდარი თავის სამეთაურო პუნქტზეა და იქიდან ხელმძღვანელობს დაჭრილთა ევაკუაციას. მას ტელეფონით უკავშირდება მისი თანაშემწე ექიმი რეჩკოვი, რომელიც იტყობინება წინა ხაზზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. რეჩკოვს ტელეფონით ელაპარაკება კორენკო, იგი ყოველივეს დაუყოვნებლივ მოახსენებს ნოდარს: „ამხანაგო უფროსო, ბატალიონებიდან დარეკეს, რეჩკოვმაც დარეკა — ყველა სანინსტრუქტორო და სანიტარი მწყობრიდან გამოვიდაო, — მღელვარე ხმით მოახსენა კორენკომ.

— ვიცი, არაყი მომეცი- მოკლედ უთხრა მან კორენკოს. სანიტარმა სწრაფად მიაწოდა მათარა. ნოდარმა სულმოუთქმელად თითქმის ნახევრამდე დაცალა იგი.

— შენც დალიე, — ნოდარმა მათარა კორენკოს გადასცა, თანვე დედაბოძიდან სანიტრის ჩანთა ჩამოიღო.

კორენკომ სწრაფად შეავლო თვალი უფროსის მხარზე გადაკიდებულ ჩანთას. მასზე გამოსახულ წითელ ჯვარს და მიხვდა მის გუმანს. მათარა მყისვე ტუჩებზე მიიყუდა; დაცლილი ლოგინზე ისროლა, მერე თავის ჩანთას დაავლო ხელი და მხარზე მოიგდო.

— წავიდეთ, დაჭრილებს შველა უნდა! უთხრა მშვიდად ნოდარმა კორენკოს.

— მესმის! მშვიდად უპასუხა მან უფროსს. თავის ხმის კილომ კორენკოს მეტი ძალა შეჰმატა. იგი მტკიცე ნაბიჯებით გაჰყვა ნოდარს.

მიწურიდან ამოსვლისას, როცა წელში გაიმართნენ, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს.

— კორენკო, ძმაო, მომეცი ხელი, — უთხრა ნოდარმა მის წინ გაჩერებულ კორენკოს.

— აი, ჩემი ხელი, ჩემი გულიც! მტკიცედ უპასუხა მან. ექიმი და სანიტარი ერთმანეთს მოეხვივნენ.“[1].

მდგომარეობა თანდათან უარესდება. პოლკის ქვეგანაყოფებმა ვერ გაუძლეს მტრის მოწოლას და უკან დაიხიეს. ნოდარის სანიტარული ნაწილის მებრძოლებიც უკან იხევენ. ყველაზე ბოლოს ნოდარი ტოვებს პოზიციას და ცხენით გაეშურება სამშვიდობოსაკენ. უკან მდინარე დნეპრია, რომელზედაც უნდა გადავიდნენ უკანდახეული ნაწილები. ასეთ მძიმე მომენტში ნოდარი გადაეყრება სანიტარ კორენკოს, რომელსაც ბრძოლის პროცესში დაშორდა. კორენკო დაჭრილია. მისთვის მტრის ყუმბარას მარჯვენა მკლავი მთლიანად მოეგლიჯა. კორენკო ნოდარს უამბობს: „ბედად, თავზე წამომადგა ერთი ნაცნობი სანიტარი, ჭრილობაზე მყისვე სისხლის

[1] რაჟდენ გვეტაძე, „მოთხრობები“, თბილისი 1949 წ. გვ. 207.

შემკავებელი ბამბა დამალვა და იარა გულდაგულ შემიხვია. მე გადამარჩინა, მაგრამ თვითონ იქვე დაეცა როყიო ტყვიით განგმირული“.[1]

ნოდარი ყოველ ღონეს ხმარობს კორენკოს გადასარჩენად, ცხენზე შეისვამს და დნეპრის მეორე ნაპირზე გაიყვანს. იქ გაღმა გასასვლელად გამზადებულ უკანასკნელ ნავში ჩასვამს და მეომრებს საგულდაგულოდ მიაბარებს დაჭრილს. აქ ნოდარმა კიდევ ერთი საგულისხმო სულგრძელობა გამოიჩინა, რაც მის რაინდულ ხასიათს კიდევ უფრო მიმზიდველობას აძლევს. მან ნავში ადგილი დაუთმო რუს ქალიშვილს მარინა რადუმცევას. რომელიც ფაშისტების ძიერ ალებულ სოფლიდან თავგანწირვით გამორბოდა. თვით ნოდარი კი ცხენით შეუყვა მოდიდებული დნეპრის თვალუწვდენელ დინებას; ცხენი დაეხრჩო და თვითონ სასწაულებრივად დააღწია თავი დნეპრის ტალღებს ეს ეპიზოდი დიდი განცდით აქვს აღწერილი მწერალს: „ნოდარმა აბგა იქვე დააგდო, მარინა ბავშვივით აიტაცა და ნავისაკენ სწრაფად გაეშურა.

— ამხანაგო კაპიტანო, მეტს ველარ ზიდავს ნავი, ყველანი ჩავიძირებით, — ნავთან მოსულს ერთხმად უთხრეს ჯარისკაცებმა.

— ეს წაიყვანეთ, მე როგორმე გამოვალ,— მიმართა მან ნავში მყოფთ.

საბჭოთა არმიელებმა სიტყვის შეუბრუნებლად ჩამოართვეს ცნობადაკარგული ქალი. შემდეგ ნოდარმა აბგა მოიტანა, გახსნა, ჯიბეებიდან ყველაფერი ამოიღო, შიგ ჩაყარა. ჩანთაც, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა, მხრიდან მოიხსნა და აბგაში ჩადვა.

— კორენკო, ეს აბგა შენ გებარებოდეს, — მიმართა მან ნავის ქიმთან ჩამჯდარ კორენკოს.

— ეგ შეუძლებელია, მე დავრჩები, არაფრის მაქნისი ვარ მაინც, შენ კი საჭირო ხარ. — კორენკომ წამოდგომა სცადა.

— როგორც გეუბნები, ისე მოიქეცი, — მტკიცედ უთხრა ნოდარმა და აბგა ხელში მიაჩეჩა. ტყეში ხშირი სროლა ატყდა.

— დაჯექი, ნავს მე გამოვაცურებ. აბა სწრაფად! უბრძანა ნოდარმა გვერდით გაჩერებულ საბჭოთა არმიელს.

— მესმის! უპასუხა მან და ნავში ჩახტა. ნოდარი წელამდე შეჰყვა ნავს მდინარეში.

— მაგ დაჭრილსა და ქალს უპატრონეთ! — გასძახა წასულებს, მაგრამ ნიჩბების ტლაშუნში მისი ნათქვამი არავის გაუგონია“.[2]

დნეპრზე ცურვით გადასული ნოდარი დაღლილობისაგან გონებამიხდილი ნაპირზე წევს. მარინა, თითქოს გულმა უგრძნო ნოდარის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა. იწყებს ნოდარის ძებნას იმ ადგილებში, სადაც მისი ვარაუდით ნოდარს შეეძლო გამოეღწია და მართლაც წააწყდება მას. ქალი გონს მოიყვანს ნოდარს და უსაზღვროდ მადლიერი ეუბნება მას: „ვიცი ჩემი გულისთვის გასწირე თავი. შენ რომ არა, ახლა ან ტყვედ ვიქნებოდი, ან სადმე მკვდარი ვეგდებოდი. ვეცდები სამაგიერო გადაგიხადო“.[1]

მარინა რადუმცევა მართლაც იხსნის ნოდარს სიკვდილისაგან. გააფთრებულ ბრძოლაში იგი სულზე მიუსწრებს დაჭრილს, სამშვიდობოზე გაიყვანს, ჭრილობებს შეუხვევს, სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. მარინა უსაზღვროდ კმაყოფილია, რომ ნოდარი გადარჩინა: „ახლა ბარდაბარ ვართ, შარშან დნეპრთან შენ გადამარჩინე, დღეს მე გიშველე“, — ეუბნება იგი მოსულიერებულ ნოდარს.

მოთხრობაში ხატოვნად არის ასახული ის მძიმე განცდა, რაც ადამიანს ეუფლება მეგობრის უეცარი სიკვდილის გამო ფრონტზე, როცა სიკვდილი მეგობარს მეგობრის მკლავებზე გამოასალმებს სიცოცხლეს.

უკანდახევისას ჩამორჩენილი მეომრებისაგან შემდგარ რაზმს რუსი ოფიცერი პეტრო რადუმცევი მეთაურობს, მისი თანაშემწე კი ქართველი ექიმი ნოდარია. ერთ-ერთ შეტაკებისას იღუპება პეტრო რადუმცევი: „უცებ პეტროს ხმა გაუწყდა, უცნაურად შეტორტმანდა. ქერათმიანი თავი ჯერ სწრაფად ასწია მაღლა, მერე ავტომატზე უღონოდ დაუვარდა.

— პეტრო, პეტრო! — ნოდარმა მხრებში სტაცა ხელები. ტყვიას კეფა გამოეგლიჯა. სისხლი თუხთუხით დიოდა. ნოდარის ცივმა ოფლმა დაასხა. მეგობარი მკლავზე გადიწვინა. ფართო ნათელ შუბლზე წითელი წერტილი ჰქონდა პეტროს. ხის ტოტებში ჩამოღვრილი მზის შუქი გაფითრებულ სახეზე მოეფინა. მძინარე ბავშვის იერი დაჰკრავდა. მხოლოდ სიმწრით ოდნავ მოკუმული ტუჩები, წინათ რომ მუდამ უღიმოდა, ახლა ქაფით დასველებოდა.

ნოდარმა მეგობარი სანგარში ნელა დაასვენა. მისი ავტომატი გადმოიღო. მერე ტყვიით გახვრეტილ შუბლზე აკოცა, სანგრიდან მყისვე ამოფრინდა და მთელი ტანით ამართულმა არაადამიანური ხმით იყვირა: — ისმინეთ ჩემი ბრძანება: ამიერიდან რაზმის უფროსობას მე ვკისრულობ“.[2]

აქ ავტორი ხატავს უაღრესად გულში ჩამწვდომ სურათს. ვხედავთ მკვდარი პეტროს სახეს, რომელიც უკანასკნელად გაამუქა მზის სხივებმა; პეტროს გაცივებული ცხედარი ნოდარის მკლავებზე ხატივით ასვენია. ნოდარი იღებს მეგობრის იარაღს მტრებზე შურის საძიებლად, სანგრიდან ამოსულა და არაადამია-

1 რაჟდენ გვეტაძე, „მოთხრობები“, თბილისი, 1949 წ. გვ. 207.

2 იქვე, გვ. 226.

1 რაჟდენ გვეტაძე, „მოთხრობები“ გვ. 233.

2 რაჟდენ გვეტაძე. „მოთხრობები“, გვ. 241.

ნური ხმით უხმობს თანამებრძოლებს შურისგებისაკენ. მტკიცე, მეგობრული სიყვარულის მთელი ძალა სწორედ ამ მოკლე, მაგრამ მძაფრად გავლებულ შტრიხებშია აღბეჭდილი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიამ იცის ათასობით მსგავსი მაგალითი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ერთსულოვნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არასდროს და არსად ისე მასობრივად და ღრმა შინაარსით არ გამოვლინებულა, როგორც ეს წითელ არმიაში გამოვლინდა ომის მძიმე წლებში. რაჟდენ გვეტაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოტანილი ეპიზოდი ამ დიდი მოვლენის საუკეთესო განზოგადოებას წარმოადგენს.

„მართალი ნოველების“ სიუჟეტის ვრცელ ნაწილს წარმოადგენს სამი მეგობარი ოფიცრის: ქართველების — ნოდარის და ალეკო ყიფიანის, და რუსი — კლუშკო-კამინსკის მრავალი განსაცდელით აღსავსე თავგადასავალის თხრობა, სადაც მოცემულია ამ სამეულის მტკიცე მეგობრობისა და ერთმანეთისათვის თავგანწირვის მკაფიო მაგალითები, მათი გმირობის, სიმამაცის, ურყევი ნებისყოფისა და დიდი პატრიოტული შემართების დამაჯერებელი ასახვა. ამ ეპიზოდებიდან განსაკუთრებით მიმზიდველია შემთხვევა, უკრაინელი მოხუცის ქოხში რომ გადახდათ. ნოდარი ავად ხდება. კლუშკო-კამინსკი და ყიფიანი გაჭირვებით ერთი მოხუცის ქოხში მიიყვანენ მას. ქოხის ბინადრები — მოხუცებული ცოლ-ქმარი — ყველა ღონეს იხმარენ ნოდარის გადასარჩენად. მკითხველს ხიბლავს ამ მოხუცების გულთბილი მოპყრობა ლტოლვილი ოფიცრებისადმი, განსაკუთრებით ნოდარისადმი, მაგრამ მალე იქმნება მეტად მძაფრი სიტუაცია, მოხუცის მოქმედება ეჭვს ბადებს, გამცემი ხომ არაა, რადგან სოფლის ახლოს გერმანელები იმყოფებიან; მკითხველი მოუთმენლად ელის, რა მოხდება. ნუთუ ასე ოსტატურადაა შენიღბული მტერი ჩვენი ქვეყნის შიგნით? ეს ფიქრები არ ასვენებს მკითხველს, სანამ ყოველივე არ გაირკვევა და რამდენ კმაყოფილებას გრძნობს, როცა საბოლოოდ ცხადი ხდება მოხუცი უკრაინელის ვინაობა, რასაც ჰფენს შუქს მისივე ხმლის ისტორია. „ეს ხმალი ერთმა ქართველმა მისახსოვრა. მაშინაც გერმანელები დათარეშობდნენ ჩვენს მიწაზე, — მოხუცმა ნოდარისაკენ იბრუნა პირი. ხატის წინ დანთებული სინათლის შუქი ხმალზე აციალდა, მოხუცსაც თვალებში შუქი ჩაღგომოდა, — დიახ, განაგრძო მან, — ერთმა ქართველმა მაჩუქა ეს ხმალი. ნამდვილი ვაჟკაცი იყო. ამ ხმლით სამოქალაქო ომის დროს არაერთი გერმანელი აუკაფავს მას, არც მე შემირცხვენია მარჯვენა.

— რა გვარი იყო, არ გახსოვთ? — მოუთმენლად კითხა ამდენხანს ერთსა და იმავე ადგილას უხმოდ გაჩერებულმა ალეკომ.

— მისი სახელი თქვენ უთუოდ გაგონილი გექნებათ, კიკვიძეს ეძახდნენ. ჩემი კამანდირი იყო. ძმასავით მიყვარდა, ძმასავით ვუყვარდი, — ამ სიტყვებით მოხუცმა მაგიდიდან ქარქაში აიღო, ხმალი ჩააგო, ხატისკენ წავიდა, ხმალი ძველ ადგილას ჩამოკიდა, იქვე ჯუბა გაიძრო.

თეთრი ხალათის საყელოზე, მაჯებთან და კალთების ბოლოებზე მომცროფოთლებიანი მიხაკები ჰქონდა ამოქარგული. ხალათში უფრო ფართობეჭებიანი გამოჩნდა.

— აღარ მეგონა, თუ კიდევ მომიხდებოდა ამ ხმლის ხელში აღება: რა გაეწყობა. ვეცდები სამშობლოს დაცვაში ახალგაზრდებს არ ჩამოვრჩეთ, — დინჯად თქვა, ჯუბაც კედელზე ჩამოკიდა და ნელა შემოტრიალდა. მკერდზე წითელი დროშის ორდენი უბრწყინავდა.“[1]

აქ მწერალს ოსტატურად გადაჰყავს მკითხველი წარსულის სიღრმეში, შეგნებულად მოაგონებს რა საბრძოლო თანამეგობრობის იმ დიდ ტრადიციებზე, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე აკავშირებდა დღეს საბჭოურ ძმურ ოჯახში შემავალ რუს, უკრაინელ, ქართველ, სომეხ და ზოგ სხვა ხალხებს და რომლებიც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და სამოქალაქო ომის ქარცეცხლმა კიდევ უფრო გაამდიდრა, გააძლიერა, უფრო მრავალფეროვანი გახადა და უფრო დიდი შინაარსი მისცა.

მოთხრობაში დიდი დამაჯერებლობითაა დახატული უკრაინელი დუმჩენკოსა და რუსი სოლოვიოვის საბრძოლო თანამეგობრობის სურათი.

ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებისმქონე ეს ორი პიროვნება ფრონტულმა ცხოვრებამ, სამშობლოს დაცვის წმიდა მოვალეობამ მტკიცედ დააკავშირა, შეადუღაბა სულიერად, ერთი მიზნითა და რწმენით განმსჭვალა. ამას მწერალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს: „სხვადასხვა ხასიათისა და იერის ამ ორ ადამიანს განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი. იმავე დროს წარამარა ჩხუბობდნენ. დუმჩენკო სიტყვაძუნწი იყო, დაფიქრებული. სოლოვიოვი კი ნიადაგ ენას აჭარტალებდა, სხვებზე უფრო დუმჩენკოს აბრაზებდა. როცა მეგობარს მოთმინება დაეკარგებოდა, მაშინვე სტვენას დაიწყებდა. „ლაწირაკი, ასე ბულბულივით გალობა არ იცოდეს. ვაჩვენებდი სეირს!“ იტყოდა დუმჩენკო და გასარტყმელად აწეულ ხელს ულვაშებზე გადაისვამდა.“

მკითხველის შთაბეჭდილებას განსაკუთრებით ამძაფრებს სოლოვიოვის დაღუპვა ფრონტზე და ამით გამოწვეული სულიერი ტრავმა დუმჩენკოსი: „პირველად დუმჩენკო ადგა. სისხლით თავპირშელებილი სოლოვიოვი ხელში ეჭირა. ზურგზე ჯვარედინად მისი და თავისი თოფები

1. რაჟდენ გვეტაძე, „მოთხრობები“, გვ. 288.

ჰქონდა მოკიდებული. მძიმე ნაბიჯით გაემართა. იგი გრძნობდა, როგორ თანდათან აცივდებოდა ხელში მეგობრის ტანი და გული ბოღმით ევსებოდა. დუმჩენკოს ზოგიერთებმა წინ გაუსწრეს. მინდორი დაცარიელდა. ყველამ ტყეს შეაფარა თავი. შუაგულ ტყეში შეჩერდნენ. დუმჩენკომ სოლოვიოვი ნეშოებზე დაასვენა, მხრებიდან შაშხანები გადმოიღო, ერთ თოჯს ხიშტი წააძრო და იქვე, ოთხი ნაძვის შუა, მიწის თხრა დაიწყო. სხვებიც მოეხმარნენ. ბოლოს დუმჩენკომ კვლავ მარტო აიღო მეგობრის ნეშტი და სახელდახელოდ გათხრილ სამარეში ფრთხილად ჩააწვინა. მებრძოლები კარგახანს იდგნენ ქუდმოხდილნი სოლოვიოვის საფლავის ირგვლივ.“[1]

რაჟდენ გვეტაძემ სამამულო ომის თემაზე დაწერილ მოთხრობებში გერმანელ ფაშისტთა მხეცობის, მათი კაცთმოძულე ბუნების გამომხატველი მრავალი მკაფიო სურათი დახატა, გავიხსენოთ თუნდაც ნოველა „ყინულის ქანდაკება“. მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს პატრიოტი ქალის ვასილისას საჯაროდ დასჯა გაყინვით. ეს პროცესი დიდი უშუალობითა და მხატვრის მახვილი ხედვითაა დანახული და განსახიერებული: „ერთმა მაღალმა ჯარისკაცმა ქარისაგან თმააშლილ ვასილისას მთელი კასრი წყალი, წარბშეუხრელად, თქეშად დაასხა თავზე. ქალმა ერთი საზარლად შეჰკივლა და გრძელწამწამებიანი თვალები მყისვე დახუჭა. ვასილისამ კიდევ სცადა ხმის ამოღება, მაგრამ ვეღარ შესძლო. ახლა წყალი ნელ-ნელა დაასხეს. ჩამოღვრილი წყალი ტანზე სწრაფად ეყინებოდა. მალე მთელი სხეული ყინულის ქერქმა დაუფარა. წყლის დასხმას განაგრძობდნენ. ყინულის ქერქი თანდათან სქელდებოდა და ქალის ტანის ნაკვეთების მკაფიო იერს იღებდა. სახეც ყინულის გამჭვირვალე ნიღბად ექცა. როგორც ბანგშესმულს ბურანი, მარადიული ძილი ნელა ეუფლებოდა. უკანასკნელად ერთმა ნათელმა წერტილმა გონებაში უეცრად გაუელვა და ყველაფერი ბნელმა მოიცვა. ცოტახანი და ყინულის ქანდაკებად ქცეული ვასილისა მარტო დარჩა შუა მოედანზე.“[2]

დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ რაჟდენ გვეტაძის მოთხრობების მხატვრული ღირებულების შესახებ თავის დროზე აღინიშნა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. ორიოდე სიტყვა „მართალი ნოველების“ კომპოზიციის შესახებ. ერთ ნაწარმოებად წარმოდგენილ ამ ნოველების სიუჟეტის მთავარი მოქმედი გმირი ნოდარი აერთებს. ეპიზოდურად, მართალია, ნოველები ერთმანეთს დაშორებული არიან, მაგრამ მთლიანობაში აღებული მაინც ერთ ვრცელ მოთხრობად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ნოველების კრებულად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნოველებში აღწერილი ამბები რამდენადმე სქემატურ ხასიათს ატარებს. შინაგანად შედარებით უფრო გახსნილია ნოდარის სახე. მის ირგვლივ მყოფი დანარჩენი გმირები, რომლებიც უფრო ეპიზოდური სახით არიან დახატული და ამდენად ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენენ.

მოთხრობაში სრულიად არა ჩანს სარდლობის როლი და იმ დიდი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითობა, რაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ყველა ფრონტზე დიდი სამამულო ომის დროს

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობას, იგი საკმაო დამაჯერებლობითაა დახატული, რაც ასე მკაფიოდ წარმოგვიდგება ზემოთ ციტირებულ ეპიზოდებში. სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის თემას რაჟდენ გვეტაძე პოეზიაშიც გამოეხმაურა. მწერალი ქართველ მეომარს საბრძოლო დიდების შარავანდედით მოსავს, პოეტური სიტყვითაც ცდილობს ოპტიმისტურად განაწყოს სამშობლოს დამცველნი, გამარჯვების ურყევი რწმენა ჩაუნერგოს გმირებს.

ლექსში „გმირულად დაღუპულ შალამბერიძის ხსოვნას“ გმირთან ლირიკულ საუბარში მწერალმა მამობრივი სითბო ჩააყენა. აქ მკითხველი მეტად ცოცხლად აღიქვამს პოეტური სიტყვის ძალასა და დამაჯერებლობას:

„გინდოდა, ისევ გჯეროდა,
სტალინის დროშა გაშლილი;
გინდოდა, თვითონ გენახა
მტერი მახვილით წაშლილი.

მაგრამ სიკვდილმა დაგძლია,
მჩქეფარე სისხლით ნამული,...
გჯეროდეს, რომ გაიმარჯვებს
ბრძოლაში შენი მამული.“

ომის თემაზე დაწერილი როგორც პროზაულ ნაწარმოებებში, ისე ლექსებშიც, რაჟდან გვეტაძე, ძირითადად, შვილისაგან მიღებული ინფორმაციებით ხელმძღვანელობს. ფრონტზე მყოფი შვილის წერილები მას ცხადად წარმოუდგენენ ომის საშინელებას, ფაშისტების მხეცობას, მტერთან ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების მონოლითურობას, თავგანწირულებას, სიმამაცეს, პატრიოტულ შემართებას. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. გვეტაძის ორი ლექსი: „შვილის წერილი“ და „ნოდარის მეორე წერილი“. ლექსი „შვილის წერილი“ დაწერილია ნოდარის ფრონტზე წასვლის ახლო ხანებში. ლირიკული გმირის სიტყვებში დიდი ოპტიმიზმი და საზეიმო იერი იგრძნობა. იგი განსაკუთრებული ძალით გვაგრძნობინებს საბჭოთა მეომრებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, განურჩევლად მათი ეროვნებისა, ამაყობს გმი-

1. რაჟდენ გვეტაძე, „მოთხრობები“, გვ. 263.
2. იქვე, გვ. 306.

რების მორალური სიწმინდით, ღრმად სწამს თანამებრძოლებისა, სჯერა მათი საქმის სამართლიანობისა და გამარჯვების საწინდარს, უპირველეს ყოვლისა, ამაში ხედავს:

„ვიცი, ყოველი დაჭრილი
გმირია თქმული არაკად,
სამშობლო მიწას ხელახლა
შეეწირება ზვარაკად".

ყოველი საბჭოთა მეომარი ქართველ დოსტაქარს უახლოეს ნათესავად წარმოუდგება, იგი ძმური სიყვარულით განიმსჭვალება ხოლმე დაჭრილებისადმი და ამისთვის სრულიადაც არა აქვს მნიშვნელობა მათს ეროვნულ სხვადასხვაობას: აქ ყველანი ძმები და მეგობრებია, ისინი ერთად უშვერენ გულმკერდს სამშობლოს ასაკლებად შემოსეული მტრის ცეცხლსა და მახვილს:

„ამიტომ მიყვარს, როგორც ძმას,
მათი სიცოცხლე ლამაზი,
თვითო მათგანი მგონია
ბაადური და რამაზი."

მაგრამ რ. გვეტაძეს მაინც არ ძალუძს დამალოს, რომ ქართველისათვის ქართულად დალაპარაკება მაინც სხვაა, რომ ქართული სიტყვის გაგონება განსაცდელის დროს მალამოსავით ედება ქართველი კაცის გულს და მწერალი, რასაკვირველია, აღიარებს ამას, როცა გმირს მიმართავს:

„მანდ ჩემი შვილიც ომშია,
იქნება შენთან იარა,
იქნება მძიმედ დაკოდილს,
მან შეგიხვია იარა;

როცა უეცრად დაეცი
ფიცხელ ბრძოლაში გართული,
ალბათ მალამოდ მოგეცხო
მისგან ნათქვამი ქართული."

ლექსში „ნოდარის მეორე წერილი" მწერალი უკვე გვესაუბრება ცხარე ომებგამოვლილი, მრავალჭირნახული ადამიანის პირით. ნოდარი ამ დროისათვის უკვე პირადად იყო ბრძოლის ცეცხლში, ერთხანს ტყვედაც ყოფილა, მაგრამ მალე დასძრომია ხელიდან ფაშისტ არამზადებს. — ამ ლექსში ომის სურათი სულ სხვაგვარად გვესახება, ვიდრე პირველ წერილში:

„ცა იძვრის, მიწა ირყევა
ჩვენგან ნატყორცნი მეხითა.
მეც გმირებს გვერდით ვუდგევარ,
ამას არა გწერ კვეხნითა".

აქ საინტერესოდ არის დახატული ქართველი ექიმების ნოდარ გვეტაძისა და ალეკო ყიფიანის რუს კაპიტანთან ერთად ტყვეობიდან თავდაღწევის სურათი. რუსი კაპიტანი დაჭრილი ყოფილა და ქართველ ექიმებს დიდხანს ზურგით უტარებიათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხან მე, ხან ექიმ ყიფიანს
ზურგზე გვეკიდა დაჭრილი,
ტყე-ტყე ვიდოდით მალულად,
როგორც ყაჩაღად გაჭრილი."

მერე კვლავ შეგვიპყრესო გერმანელებმა, მაგრამ ადგილობრივმა პარტიზანებმა გაგვათავისუფლეს და ძმურად ხელი გაგვიმართესო:

„ამ დროს უეცრად გამოჩნდა
პარტიზანელთა ლაშქარი,
ხმლები იშიშვლეს ვაჟკაცურ
ბრძოლებში ნაკაშკაშარი."

საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის მხრივ საინტერესო ნაწარმოებია რ. გვეტაძის პოემა „ლელა". პოემა. ნახევრადლირიკულ ხასიათს ატარებს და მოგვითხრობს ქართველი ქალიშვილის ლელას მეგობრობის ამბავს უკრაინელ ჭაბუკ პავლოსთან, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე. ლელა ქართველი ოფიცრის შვილია და ცხოვრობს მამასთან დასავლეთ უკრაინაში. ქალაქი, სადაც ისინი ცხოვრობენ, საზღვართან ახლოს მდებარეობს. ლელას დედა არ ჰყავს, არც დები და ძმები. მამის შემდეგ მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი მათი მეზობელი, უკრაინელი ჭაბუკი პავლოა. პავლო ნაკითხი ყმაწვილია, მას ვეფხისტყაოსანიც წაუკითხავს და რუსთაველის სამშობლოზე საკუთარი წარმოდგენა აქვს. რაც ლელა გაიცნო, პავლოს წარმოდგენაში საქართველო კიდევ უფრო წარმტაცი გახდა:

„პავლოს თვალწინ წარმოუდგა
საქართველოს მთა და ველი,
მყინვარწვერი თეთრი ზუჩით,
ქართლის ყანა და თაველი,
გაახსენდა ოქროს ყდაში
წაკითხული რუსთაველი."

პავლოსა და ლელას მეგობრობას თანაუგრძნობს ლელას მამაც, რომელიც დიდ პატივს სცემს უკრაინელ ჭაბუკს. იწყება ომი. ლელას მამა თავისი ნაწილით მაშინვე ბრძოლაში ებმება. პავლოს კი ლელა მიჰყავს ქალაქიდან იმ მიზნით, რომ სადმე უშიშარ ადგილას, სოფლად დატოვოს, თვითონ კი ფრონტს მიაშუროს. ერთ-ერთი სოფლის განაპირას პავლო ტოვებს ლელას, თვითონ კი სოფელში უნდა შევიდეს, დაზვეროს იქაურობა, დარწმუნდეს უსაფრთხოობაში რომ ლელა საიმედოდ დააბინაოს, ვიდრე პავლო დაბრუნდებოდეს, ლელას ფაშისტები წააწყდებიან და პატრიოტ ქალიშვილს დახვრეტენ. ლელას სიკვდილით გაოგნებული პავლო ჩვენი ჯარის ნაწილის ძებნას იწყებს, რათა მას შეუერთდეს და შური იძიოს ლელას მკვლელებ-

ზე. ამ ძებნაში პავლო სწორედ ლელას მამის ნაწილს წააწყდება. ლელას მამა ნაცადი მხედარია. შვილის სიკვდილის ცნობამ ვერ წაართვა სიმხნევე და მხედრული მოსაზრებულობის უნარი:

„ლელას მამას მისთვის დიდხანს
არაფერი არ უთქვია,
ბოლოს ჰკითხა, მტერი სად დგას,
ან იმ სოფელს თუ რა ჰქვია.“

შემდეგ ლელას მამამ მოამზადა სოფელზე თავდამხსმელი რაზმი, რომელსაც თვითონ უნდა წარუძღვეს წინ. ამასობაში პავლო ყუმბარებს იშოვის და რაზმზე ადრე გაეშურება იმ სოფლისაკენ, სადაც ლელას დამხვრეტი ფაშისტები არიან დაბანაკებული. იგი ჯაშუშის სახით მივა გერმანელ ჯარისკაცებთან და ეუბნება, უფროსთან მიიყვანონ; დაარწმუნებს, რომ მეტად სერიოზული ცნობა უნდა გადასცეს:

„შეიყვანეს, ვით მსტოვარი,
ქვეშ ფიცრები ერყევიან.
შტაბში ირგვლივ მთავარსარდალს
ოფიცრები ეხვევიან.
ვაჟი შედგა კართან ახლოს,
წარბი არც კი შერხევია.“

შურისგების დაუოკებელი სურვილით აღგზნებულმა პავლომ თავგანწირვა გამოიჩინა. როგორც კი ფაშისტების სარდალს მიუახლოვდა, მან ორივე ჯიბეში ყუმბარები ააფეთქა და:

„ნაფოტებად იქცა სახლი...
ნანგრევებში პავლოც კვდება.
ამ დროს მოჰქრის ლელას მამა,
იბრძვის, ხმალი არ უცვდება...
გაიმარჯვეს, მხნე გუგუნი
მოელვარე ცასა სწვდება.“

ქართველი ოფიცერი — ლელას მამა საკუთარი ქალიშვილის თანაბარ პატივს სცემს პავლოს ცხედარსაც და უკრაინელი და ქართველი ხალხების მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობის ნაშნად მათ ერთ სამარეში ჩაასვენებენ:

„ლელაც ნახა და ტყის პირად
თვითონ გაჭრა მიწა ბარით.
შიგ ორივე ერთად ჩადო,
ბედი ჰქონდათ თანაბარი
და ჩონგური იქვე ხეზე
ჩამოჰკიდა, როგორც ფარი.“

ასეთია, მოკლედ, საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრული ასახვის რაჟდენ გვეტაძისეული სურათი. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის აღნიშვნის თაობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შუქზე, კიდევ უფრო ნათელი ხდება რაჟდენ გვეტაძის შემოქმედების აქტუალობა, როგორც მწერლისა, რომელიც ყოველთვის დაჯერებულად მიაბიჯებდა დროის მოთხოვნილებათა მხარდამხარ და თავისი ნაცადი კალმით გულწრფელად ცდილობდა, რაც შეიძლება, ქმედითად გაპასუხებოდა სამშობლოსა და ხალხის წინაშე მდგარ ამოცანებს.

# მეცნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ლამბაშიძე

## ბერძენ და ლათინელ ავტორთა ამოუხსნელი ცნობები ძველ კოლხეთზე

**პომპონიუს მელას ცნობები.** ლათინელმა მწერალმა პომპონიუს მელამ[1] პირველი საუკუნის შუაწლებში დასახლებული მსოფლიოს ერთი მთლიანი, გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა შეადგინა, რომელიც „ქვეყნის აღწერილობის“ სახელით არის ცნობილი. ნაშრომს „გეოგრაფიასაც“ უწოდებენ.

პომპონიუსი მოგზაური და ბუნების მკვლევარი არ ყოფილა. თავისი ნაშრომი მან სხვადასხვა დროისა და სახის მრავალფეროვანი თხზულებებიდან ამოკრეფილი საინტერესო მასალებით შეადგინა. ცნობების ხასიათის მიხედვით ჩანს, რომ იგი ისეთი ძველი წყაროებითაც სარგებლობდა, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, პომპონიუსის ცნობები მოკლე და სქემატურია, ერთმანეთშია არეული და უთარიღოა. თარიღები მხოლოდ ცნობების ხასიათის მიხედვით შეიძლება დადგინდეს.[2]

პომპონიუსის შრომიდან ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ ის ცნობები, რომელთა შინაარსი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჯერ-ჯერობით გარკვეული არ არის.

ერთ-ერთ ასეთ ცნობას შეიცავს „ქვეყნის აღწერილობის“ პირველი წიგნის 108 და109 პარაგრაფები, სადაც მოცემულია კოლხური ტომის საბინადრო ადგილმდებარეობის აღწერილობა. აი ამონაწერი პომპონიუსის ტექსტიდან (პარ. 108): „იქ, სადაც თავდება ბოსფორიდან მომავალი სანაპირო ხაზი და იქიდან დაწყებული *სანაპირო კლაკნილი* წარმოქმნის პონტოს ყველაზე *ვიწრო კუთხეს*, ცხოვრობენ კოლხები. აქ ჩაედინება მდინარე ფაზისი,[3] აქ არის მდინარის მოსახელე ქალაქი თემისთაგორა მილეტელის[4] მიერ დაარსებული. აქაა ფრიქსეს[5] ტაძარი და ჭალა[6] სახელოვანი ოქროს საწმისის შესახებ ძველი თქმულებით.“ (პარ. 109): „*აღმართული აქედან მთების ქედები* გრძელდება რიპეის[7] მთების შეერთებამდე. ის ერთის მხრივ მიემართება ევქსინისაკენ,[8] მეოტიისა[9] და ტანაისისაკენ,[10] მეორეთი კასპის ზღვისაკენ და იწოდება კერავნისად, სხვა ადგილას ტავრისად, ამაზონელებისად, კასპიისად, კორაქსემისად. იქ მცხოვრები მისი მფლობელი ტომების მიხედვით, იწოდებიან ისინი სხვადასხვა სახელით...“ (ხაზი ყველგან ჩვენია).

ასეთი „ნატურალური ორიენტირებით“ მინიშნებული ტერიტორია, თავის დროზე უთუოდ ადვილი მისაგნები იქნებოდა, რადგან აქ წარმოდგენილი თითოეული ორიენტირი მნიშვნელოვან გეოტოპოგრაფიული პუნქტი იყო. სხვა მდგომარეობა გვაქვს დღეს, როცა ძველი ზედაპირული ლანდშაფტები არსებითად არის შეცვლილი.

გავარჩიოთ ზოგიერთი ორიენტირი.

„ვიწრო კუთხე“, როგორც ტექსტი გვამცნობს, ზღვის სანაპირო კლაკნილის მიერ ყოფილა შექმნილი, რაც გულისხმობს ზღვის ხმელეთში შეჭრას, ე. ი. ტექსტში მოცემული „ვიწრო კუთხე“ უბის წვერი უნდა იყოს. თუმცა ასეთი რამ კოლხეთში ისტორიულად ცნობილი არ არის. დღეს კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე უბეს ვერსად ვხედავთ თრაკიის ბოსფორიდან ქიმერის ბოსფორამდე,

---

**საკითხის დასმის წესით.**

აზიის სანაპიროს გაყოლებით, თუ კი სადმე შეიმჩნევა, იგი ფართო და ბლაგვია. მით უმეტეს, არ მოეპოვება იგი შავ ზღვას მდ. რიონის შესართავთან. პირიქით, აქ რიონის სადინარი თვითონაა შეჭრილი ზღვაში. ქობულეთიდან ოჩამჩირემდე, რომელთა შორისაც რიონი ზღვას ერთვის; 20 კმ-ის მანძილზე, სანაპირო თითქმის სწორი ხაზით არის გადაჭიმული. აქ კუთხეებზე ლაპარაკიც ზედმეტია. იქნებ პომპონიუსი სხვა სანაპიროს ორიენტირებს იძლევა და არა რიონის შავ ზღვასთან შესართავისა? ამას ეწინააღმდეგება შემდეგი ძირითადი ორიენტირი, 109-ე პარაგრაფში რომ ვკითხულობთ. „ალმართული აქედან მთების ქედები გრძელდება რიპეის მთების შეერთებამდე. ის ერთის მხრივ მიემართება ევქსინისაკენ. მეოტიისა და ტანაისიისაკენ, მეორეთი კასპიის ზღვისაკენ.“ ეს ეჭვმიუტანელი ორიენტირია, კავკასიის ქედების აღწერითურთ, მაგრამ როგორ შევუთანხმოთ მას ის ცნობა, რომ ზღვის „ვიწრო კუთხე“ ამ მთების ძირში ყოფილა? და ფაზისსაც შესართავი ზღვასთან ამ მთების ძირში ჰქონია? დღევანდელ ფოთს (თუ იგი ფაზისია) ხომ არც მთები ეახლოვება და არც ვიწრო კუთხე? ხომ არ არის პომპონიუსის ცნობებში შეუსაბამობანი ან ფანტაზიის ელემენტები? მითუმეტეს, რომ მრავალი მეცნიერი მას ფანტასტიკური ცნობების მოყვარულ ავტორადაც თვლის?[11]

მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ პომპონიუსი სწორია, მაშინ გამოდის, რომ ძველი ქალაქი, რომელზედაც პომპონიუსი გვესაუბრება, დღევანდელი ფოთი არ არის. დღეს, მთების დასაწყისი ფოთიდან, სულ ცოტა, 18-20 კმ-ით არის დაშორებული. ამრიგად, მთები, „ვიწრო კუთხე“ და ქ. ფაზისი ერთ ადგილას უნდა მოინახოს, ფოთიდან გარკვეულ მანძილზე მოშორებით. სწორედ მაშინ, პომპონიუსის ცნობა ფანტასტიკურ სამოსელს დაჰკარგავს და ქ. ფაზისს მიეცემა გარკვეული საძიებელი — ორიენტირები. ახლა, რაც შეეხება ფოთს, პომპონიუსის ცნობებში მოცემული ორიენტირები — ფრიქსეს ტაძარი, არესის ჭალა, ოქროს საწმისი და სხვა, ძვ. წ. აღ. XIII საუკუნის ძეგლებშია მოხსენებული. ისინი ჯერ კიდევ არგონავტიკაში გვხვდება. ფოთი კი ჩვ. წ. აღრიცხვის საუკუნეთა ქალაქია და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძვ. წ. II, I საუკუნეებში მისი ადგილსამყოფელიც კი არ არსებობდა ბუნებაში. ამრიგად, ჩვენ უნდა ვეძებოთ არა ფაზისი (ფოთი), გვიანდელი ხანის ქალაქი, არამედ უძველესი ქ. ფაზისი, რომელიც დაარსებული უნდა ყოფილიყო II და I ათასწლეულების მიჯნაზე, ან არადა, არა უგვიანეს ძვ. წ. აღრიცხვის VIII-VI საუკუნეებისა[12]. ძველი ფაზისი რომ დღევანდელი ფოთი არ არის, ეს პომპონიუსის ცნობებმა უკვე ცხადყო. ახლა საჭიროა დადგინდეს ძველი ფაზისის ლოკალური მონაცემებიც. ამასთანავე უნდა მოვახდინოთ მეორე დიქოტომიაც, ე. ი. ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ მდ. ფაზის-ზღვის შესართავი და მდ. რიონ-ზღვის შესართავი. რადგან სხვა არის ფაზისის შავ ზღვასთან შესართავი. და სხვაა რიონის შესართავი შავ ზღვასთან.

აი, ყოველივე ის, რასაც ჯერჯერობით პომპონიუს მელას ცნობები იძლევა. მაგრამ მხოლოდ ეს როდი კმარა შემდგომი ძიებისათვის. მხოლოდ ამით ძველ ფაზისსა და ძველ კოლხეთს ვერ ვიპოვით. საჭიროა დამატებითი ცნობებიც და ამ მხრივ, შემდგომი წინსვლისათვის მშვენიერ მასალას იძლევა ფსევდო სკილაქს კარიანდელი.

**ფსევდო სკილაქს კარიანდელის ცნობები**

კარიანდელი ყველაზე გარკვეულ და ზუსტ ლოკალიზაციას აძლევს კოლხური ტომების დასახლებას. მან კოლხების საბინადროს ღერძად მდ ფაზისი დაუდო. მარჯვენა ფრთა დაამაგრა შავი ზღვის სანაპიროზე საქვეყნოდ ცნობილი ქალაქით — დიოსკურიით, მარცხენა ფრთა კი — მდ აფსარონით (ჭოროხი). ამრიგად, კარიანდელის ცნობა ფანტავს ყოველგვარ ბურუსს, კოლხთა ადგილ-სამყოფელის ლოკალიზაციის გარშემო რომ იყრის თავს. მან ყოველგვარი შესაძლებლობა მოგვისპო, ვეძებოთ კოლხეთი ან ფაზისი მეოტიაში ან სკვითიაში, ანდა ხაზარეთში და სხვაგან. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი მკაცრი ორიენტირი მოგვცა პომპონიუს მელამაც კავკასიონის მთაგრეხილების სახით.

მაგრამ, ამავე დროს ფსევდო სკილაქსსაც აქვს დღემდე აუხსნელი ცნობა „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ შესახებ.

„მსოფლიოს გარსშემოვლის“ 81-ე პარაგრაფში კარიანდელი წერს: „კოლხები. ამათ შემდეგ არის ტომი კოლხები. მდინარე.. ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი, მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა.“

თუმცა ტექსტში ქალაქის სახელი მოხსენებული არ არის, მაგრამ ძველ მწერლობაში კოლხთა მეფის ასულის, მედეას ქალაქად ქ. ქუთაისი ითვლება[13]. ამის შესახებ მრავალი ავტორი ლაპარაკობს. მაგრამ ამგვარი ლოკალიზაციისგან ზოგიერთი დღევანდელი მკვლევარი თავს იკავებს. საქმე ის არის, რომ „დიდ ბარბაროსულ ქალაქსა და ზღვას შორის ავტორს მოცემული აქვს 180 სტადიონი, ანუ 33 კმ. მაშინ, როცა დღეს ფაქტიურად მათ შორის 95 კმ-ია. მეტწილად, სწორედ ამან განაპირობა მკვლევართა დაეჭვება „დიდ ბარბაროსულ ქალაქად“, ქუთაისის მიღებაში. ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ ლოკალიზაციის საკითხი ღიადაა

დატოვებული. ასეთია დღევანდელი სამეცნიერო ლიტერატურის აზრი ამ საკითხზე, რაც რეზიუმირებულია პროფ. თ. ყაუხჩიშვილის ბოლო ნარკვევში — „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (თბ., 1967 გვ. 36).

ანალოგიური გაგებით მიუდგა პლინიუსის ცნობაში მოხსენებული „აია“ ქალაქის ლოკალიზაციის საკითხს „ВДИ“-ის კომენტატორიც.[14] ამიტომაც იყო, რომ არც მას გაუმართლდა. რა არის უშედეგობის მიზეზი?

ცდომილების მიზეზი ის არის, რომ ცნობა დაწერილი „პერიპლუსის“ ჟანრზე, გარკვეულ მირაჟს ჰქმნის. მას მკვლევარი მცდარი გზით მიჰყავს.[15] სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ძველი მწერლების უნიკალური ცნობები დღემდე არ არის გარკვეული და შესწავლილი. რა ჰქმნის მირაჟს? დღევანდელი ფოთის მიდამოებში ათეული კილომეტრების რადიუსით რატომ ვერსად ვერ მოიძებნება რაიმე სერიოზული ნანგრევის ნაშთი? საქმე ის არის, რომ პერიპლუსის ტექსტი მკვლევარს კარნახობს მანძილი გაიზომოს ზღვის პირიდან ვინაიდან პერიპლუსის ჟანრის ავტორებიც ასე ზომავდნენ თავის დროზე. ამრიგად, პერიპლუსი მკვლევარს სთავაზობს ორიენტირს: „ზღვის პირიდან 180 სტადიონი,“ ან კიდევ „ზღვის პირიდან 15000 ნაბიჯი“ და ა. შ. პერიპლუსის ავტორთათვის ამოსავალი იყო ზღვის ნაპირი რადგან ქვეყნებს ზღვაზე, ნაპირნაპირ მოგზაურობისას სწავლობდნენ. ასევე ზომავდნენ მანძილს მკვლევარები ჩვენს დროშიც, ათასეული წლების შემდეგაც, რაც სწორედ ცდომილების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

როგორღა გამოვიყენოთ პერიპლუსის ცნობები?

ამისათვის საჭიროა წარმოვიდგინოთ შემდეგი: ვთქვათ, რომ კარიანდელმა ზღვიდან კი არ გაზომა მანძილი, არამედ იბერიიდან, ანუ ხმელეთიდან. როგორც ხმელეთით მომავალი, ის რომ „მედეას ქალაქში“ მოხვედრილიყო და ვინმესთვის ეკითხა: „აქედან ზღვამდე რა მანძილია და ქალაქი ფაზისი სად არისო?“ რა უნდა ეპასუხათ ქუთათურებს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, შემდეგ პასუხს მიიღებდა კარიანდელი: აქედან ზღვამდე, მდ. რიონის დაბლა დაყოლებით 180 სტადიონია. ქ. ფაზისი კი იქვე, დგას, მდ. ფაზისის ზღვასთან შესართავშიო.“ კარიანდელიც ამასვე ჩაიწერდა. ამრიგად, ამ მეორე წარმოდგენილ ტექსტში იგივე ობიექტური მოცემულობა გვაქვს, 33 კმ ზღვასა და ქალაქს შორის, მაგრამ მიმართულება და ძიების გზა სულ სხვანაირადაა დაყენებული. ამ უკანასკნელის საფუძველზე საჭიროა „მედეას ქალაქიდან“ 180 სტადიონზე ვეძიოთ ყოფილი ზღვის პირი და უძველესი ქ. ფაზისი.

ამრიგად, იმ პერიოდში, როცა კარიანდელის წყაროს ავტორი ცნობებს ელებდა „დიდ ბარბაროსულ ქალაქზე,“ ზღვა დიდი ბარბაროსული ქალაქიდან უფრო ახლოს ყოფილა, ვიდრე დღეს. ახლა მათ შორის 95 კმ-ია, მაშინ კი მდინარე ფაზისის (რიონის) მიყოლებით 33 კმ ყოფილა, ხოლო პირდაპირი ხაზით — დაახლოებით 22-25 კმ.

სად მივყავართ 180 სტადიონს ქ. ქუთაისიდან მდ. რიონზე დაყოლებით? — სოფელ ციხესულორთან! რა უპირატესობა აქვს გაზომვის ამგვარ ხერხს? ის, რომ ორიენტირების არჩევისას არჩეულია არა მერყევი, ცვლადი ორიენტირი (ზღვა), არამედ ურყევი, უძრავი ორიენტირი ქ. ქუთაისი, „დიდი ბარბაროსული ქალაქი.“ რომლიდანაც იყო მედეა. ამრიგად როგორც ირკვევა, კარიანდელის დროიდან ჩვენს დრომდე კოლხეთის გეოგრაფიული ზედაპირი დიდად შეცვლილა. ზღვის ნაპირი მაშინ სულორში მდგარა, დღეს კი ფოთის მიდამოებში დგას. პერიპლუსის ცნობის „გაყინულად“ მიღება, როგორც ვხედავთ, ჰქმნის მირაჟს. იგი არ იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ ამ ხნის მანძილზე მომხდარი ბუნებრივი ცვლილებები. პერიპლუსის ცნობის ჩვენ მიერ წარმოდგენილი წაკითხვა მირაჟის შესაძლებლობას დევნის და მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას უთმობს ადგილს.

ზღვისა და ხმელეთის ამგვარი ცვლილებანი ერთი შეხედვით, შეიძლება მოულოდნელი და უჩვეულო მოგვეჩვენოს, რადგან ისტორიულ დოკუმენტებში ფიქსირებული არ არის. იმ ცვლილებებთან შესაგუებლად, რომლებიც კოლხეთმა განიცადა და რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, გავეცნოთ რამდენიმე მსგავს შემთხვევას, რომელთაც ადგილი ჰქონდა შავ ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, აგრეთვე, მსოფლიოს სხვა მხარეებშიც.

**ტოპოგეოგრაფიული ცვლილებები.** ცნობილია, რომ მსოფლიოს ზედაპირი დროთა განმავლობაში უწყვეტ ცვლილებას განიცდის. ეს პერმანენტული ცვლილებანი განსაკუთრებით ზღვისპირა დაბლობებზე იჩენს თავს. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ზღვის დონის მატება (ტრანსგრესია) ან კლება (რეგრესია). ამისდა მიხედვით სანაპირო ხაზი ათეული კილომეტრობით იცვლის ხოლმე თავის მდებარეობას. ამასთანავე, ხშირად ხდება, აგრეთვე, სხვა მოვლენებიც, როგორიცაა ნიადაგის აწევ-დაწევა, რაც, აგრეთვე, იწვევს რელიეფურ ცვლილებებს მცირე თუ დიდი მასშტაბით. ამგვარი ცვლილებანი შეიძლება გამოიწვიოს კოსმიური რადიაციის ცვლამ, მტვეროვანმა ღრუბლოვანებამ, რომელშიც გაივლის დედამიწის სფერო, ამგვარ ცვლილებათა მიზეზად შეიძლება დასახელდეს თვით პლანეტარული მოვლენებიც: დედამიწის ბრუნვის სიჩქარის

შეცვლა, დედამიწის ღერძის დახრილობის შეცვლა და სხვ.

ზოგიერთ გეოგრაფიულ ცვლილებას ვხვდებით ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებზეც, აგრეთვე, სხვაგანაც. ამ მოვლენებმა ცხადია, კვალი დატოვა. ასეთი ცვალებადობის კლასიკური მაგალითია სერაპისის ტაძრის სვეტებზე აღბეჭდილი ზღვის დონის ცვლა უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში.16 სერაპისის მიცვალებულ სულთა ტაძარი აშენებულია იტალიაში, ნეაპოლის უბის სანაპიროზე, დაბა პოცუოლის მახლობლად ძვ. წ. აღ. მეორე საუკუნიდან დღემდე ტაძარმა ორჯერ აიწია და ორჯერ დაიწია. რხევის ამპლიტუდა უდრიდა 12, 13 და 9 მეტრს. ამჟამად ზღვის დონე აწეულია 2 მეტრით17. ზღვის დონის ასეთ მერყეობას მიაწერენ დედამიწის ბრუნვის ცვალებადობას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მზის რადიაციისა და ატმოსფეროს ცვალებადობაზე ან შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო სხვა რაიმე მიზეზით. საინტერესოა ამ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტიც. ნეაპოლის მეფე 1501-1503 წლებში იაფად ჰყიდდა ზღვისაგან დატოვებულ მიწებს. შემონახულია დოკუმენტიც, რომ ერთი დიდი ნაკვეთი მას უფასოდ მიუძღვნია პოცუოლის უნივერსიტეტისათვის,18 ანალოგიური ცვლილებები ფიქსირებულია სხვა ადგილებშიც. ვენეცია ყოველ ათ წელიწადში 5 სანტიმეტრით ძირს იწევს19; მდ. პოს შესართავთან ნიშნულმა 1902-1950 წლებში 18,7 სმ-ით დაიწია.20 ისტორიიდან ცნობილია ჩრდილოეთის ზღვის „შემოსევა," როცა კიმერიელებისა და კელტების მიწა-წყალი ზღვამ შთანთქა.21 ძვ. წელთაღრიცხვის X საუკუნიდან ა. წ IV საუკუნემდე არ შეჩერებულა ჩრდილოეთის ზღვის მოწოლა გერმანელთა ტერიტორიაზე და ამდენად არც კიმერიელების, კელტებისა, გველტების და სხვა ჩრდილო ტომთა (ბალტიის პირას მცხოვრებთა) ლტოლვა და შემოსევები აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისა და სამხრეთისაკენ ახალი მიწების მოსაპოვებლად. ამ ხალხების მებრძოლ სულს კი არ უნდა მიეწეროს მათი გალიაში, იბერიაში, იტალიაში, დუნაის შუა წელზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე და მეოტიის აღმოსავლეთ სანაპიროზე გალაშქრება მიწებისათვის, არამედ ზღვის შემოსევის შედეგად შექმნილ ვითარებას. ჩრდილოეთის ზღვის ეს შემოსევა იმდენად ფართო მასშტაბისა ყოფილა, რომ პირველი საუკუნის ცნობილ გეოგრაფ სტრაბონს არც კი სჯეროდა ეს ფაქტი და მას ზღვის ჩვეულებრივი მოქცევის გაზვიადებად თვლიდა.22 ხოლო ხსენებული ტომების ლტოლვას ახალი მიწების ასათვისებლად, მათ ყაჩაღურ ხასიათს მიაწერდა. ზოგჯერ ,ზღვა ზოგიერთ ადგილში ისე სწრაფად მოდიოდა წინ, რომ ხალხი ევაკუაციასაც ვერ ასწრებდა. ეფორეს გადმოცემის თანახმად, ზღვას შთაუნთქავს იმდენი ხალხი, რამდენიც არც ერთ ომში არ დაღუპულა. ზღვას მაშინ ცხენოსნებიც ვეღარ ასწრებდნენ თურმე23. რამდენადმე ამ მოვლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ გერმანელმა ლტოლვილმა ტომებმა, რომიც კი აიღეს IV საუკუნეში და აიძულეს რომაელები, რათა მიწები დაეთმოთ მათთვის.24

ანალოგიურ შემთხვევას ვხედავთ სკვითიაშიც. წყალმა ისინიც აყარა ადგილებიდან და აიძულა თავს დასხმოდნენ კიმერიელებს ხოლო ლტოლვილი კიმერიელები, თავის მხრივ, თავს ესხმიან ბალკანელებს, აგრეთვე სირიელებს25. თვით ქართული სიტყვა „გმირის" ივ. ჯავახიშვილისეული ანალიზი იმას ადასტურებს, რომ კიმერიელები მიწებისათვის საქართველომდეც მოვიდნენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მას შემდეგ, რაც კიმერიელებმა დაამარცხეს ქართველი ტომები, საქართველოში სიტყვა კიმირი გმირი დარჩა, როგორც სიმბოლო გმირისა.

ისტორიულ ხანაში, შუამდინარეთსა და მესოპოტამიაში ზღვის შესევამ წარღვნის ლამაზი ლეგენდა წარმოშვა: წარღვნას სინამდვილეში მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილებში (მსოფლიოს ერთდროულ და მთლიან წარღვნას ფიზიკური გამართლება არ ეძებნება). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაღალმთიან ადგილებში მცხოვრებ ხალხში ლეგენდები წარღვნის შესახებ ნაკლებად მოიპოვება ან სრულებით არ მოიპოვება.

წყლის ზემოხსენებულ მიმოსვლას ხშირად განიცდიდა რუსეთის ველებიც. ვაწყდებით ფაქტებს, როცა ერთი და იგივე ქალაქი რამდენჯერმე იქვე მახლობლად არის გადატანილი, იმისდა მიხედვით, წყალი ზევით იწევდა, თუ — ქვევით. (ნოვგოროდი, კიევი ,ხორეზმი და სხვ.) ამგვარი ვითარებაა ხმელთაშუა ზღვის ნაპირზეც (მილანი, კართაგენი და სხვ.).26

საინტერესოა ერთი ფაქტიც: ერატოსთენე ჰომეროსს ჰკიცხავს, ნილოსისა და მისი დელტების სახელი არ იცოდაო. იგი ამას ჰომეროსის უვიცობით ხსნის.27 ერატოსთენეს (276-194) თვითონვე მოსდის შეცდომა. ჰომეროსის დროს ნილოსს ეგვიპტე ერქვა, ხოლო დელტის სიგრძე მაშინ 55 კმ თუ აღწევდა (ახლა 180 კმ) და წარმოადგენდა ერთიან ტბას, რომელშიც დელტის ტოტები გამოვლენილი არ იყო. ამიტომაც მათ სახელწოდება არ ჰქონდათ.

როგორია ვითარება შავი ზღვის სანაპიროზე?

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე, 1804-1892 წლებს შორის, ქ. ფოთთან სანაპიროს 750 მეტრის სიგრძის ხმელეთი შემატებია, ხოლო 1576-1960 წლებს შორის — 2700 მეტრი. ბერძენი მწერლის აგათიას დროიდან (VI ს.) 1967 წლამდე შავი ზღვის სანაპიროს 7 კმ-ის სიგრძის ხმელეთი მომატებია.28

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კოლხეთის ველი ფოთთან ფართოა და ზღვა მის ნაპირთან ღრმა, და აქედან გამომდინარე იმას რომ ასეთ ვითარებაში აქ ყოველი გრძივი მეტრი მატერიკის წარმოსაქმნელად დიდი ოდენობის ნალექებია საჭირო, თუ მხედველობიდან არ გავუშვებთ იმასაც, რომ რიონს ადრეულ ხანებში დაახლოებით ათჯერ მეტი წყალი და კიდევ მეტჯერ დიდი ოდენობის ნალექი ჩამოჰქონდა, ალბათ, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ კოლხეთის ხევის ზემო წელში, სადაც იგი უფრო ვიწროა, რიონი მას უფრო სწრაფად ამოავსებდა დროის ერთნაირ ერთეულში ვიდრე ზღვის პირთან არსებულ ფართო და უფრო ღრმა სივრცეებს.

ამრიგად, პირველი ათასწლეულის დასაწყისში, დასაშვებია, რომ ფაზისის შესართავი ზღვასთან, ხოლო ქ. ფაზისი სწორედ რომ სულორთან, ან მის მახლობელ მიდამოებში ცოტა ზემოთ, მდ. ფერეთას, ან რამდენიმე ქვემოთ მდებარეობდა, როგორც ამას ფს. სკილაქს კარიანდელი გვეუბნება.

**„ქართლის ცხოვრების" ცნობების საიდუმლოება.** კოლხეთის მიწებისა და საზღვრების აგრეთვე ზღვის ყურის შესახებ. საინტერესო ცნობებს გვაძლევს საქართველოს მატიანე — „ქართლის ცხოვრება". ჩვენთვის საყურადღებოა ერთი ადგილი, სადაც თარგამოსი შვილებს უნაწილებს თავიანთ ხვედრ მიწებს. უმცროს შვილს ე გ რ ო ს ს სწორედ კოლხეთი ერგო „ხოლო ეგროსს მისცა ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ღ ვ ი ს ა ყ უ რ ი ს ა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვან ლიხი, დასავლეთით ზღვა, ჩრდილოეთით მ დ ი ნ ა რ ე მ ც ი რ ი ს ა ხ ა ზ ა რ ე თ ი ს ა, სადა წარუწყდების წვერი კავკასისა, ხოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი" (ოდიში).[29]

ჩვენს ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული ტერმინი „ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ღ ვ ი ს ა ყ უ რ ი ს ა" რომელშიც გამოხატულია კოლხეთის უბე და უბესთან მდებარე ქვეყანა დედაქალაქით — ეგრისი.

ამ ლოკალიზაციას კიდევ უფრო ეფინება ნათელი, მეორე მნიშვნელოვანი ცნობით. ეს უკანასკნელი იმითაცაა საინტერესო, რომ გარკვეულად თარიღის დადგენის საფუძველსაც იძლევა. „ქართლის ცხოვრების" მე-5 გვერდზე ვკითხულობთ: „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არ იყო ხვედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიათა ჩრდილოთ", ე. ი. მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა იგი თარგამოსს თუ არა, კავკასიის გადაღმა მხარეები დასახლებული არც კი ყოფილა. „უ მ კ ვ ი დ რ ო ი ყ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა ი გ ი კ ა ვ კ ა ს ი ი დ გ ა ნ ვ ი დ რ ე მ დ ი ნ ა რ ე დ მ დ ე დ ი დ ა თ, რ ო მ ე ლ ი შ ე დ ი ს ზ ღ ვ ა ს ა დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ს ა ს ა". მაშასადამე, დღევანდელი კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეში, მისი ქედიდან, ვიდრე „მდინარე დიდადმდე", მოსახლეობა არ არსებულა ამ ხანებში. თარგამოსს უფიქრია ამ მიწების შემოერთებაზე, მის დასახლებაზე. ამ მიზნით მას გამოუყვია „მრავალთა გმირთაგან" ორი გმირი, ლეკანი და კავკასი და მიუცია პირველისათვის „ზღვიდან დარუბანდისათ, ვიდრე მდინარემდე ლომეკისა," ანუ თერგისა, ხოლო „ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად", ანუ მდინარემდე დიდი ხაზარეთისად. „და მისცა კავკასს ლომეკის მდინარედან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა დასავლეთით", ე. ი. მდ. ყუბანის გაღაღმა ბოლომდე, აზოვის ზღვამდე (გავიხსენოთ რომ მდ. ყუბანის გაღმოღმა მხარეები მიცემული ჰქონდა ეგროსს).

საჭიროა ორიენტირების გარჩევა.

ჩრდილოეთის „მდინარედ დიდად" შესაძლოა ვიგულისხმოთ მდ. დონიც (ტანაისი), მაგრამ ის დარუბანდის, ანუ კასპის ზღვაში არ ჩაედინება. არის კიდევ ერთი მდინარეც, მდ. კუმა, კუმა-მანიჩის სადინარის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ჩაედინება კასპიის ზღვაში, მაგრამ ეს მდინარე მცირეა, ვიდრე მდ. ყუბანი ან მდ. თერგი და მას „დიდად" ეპითეტი არ შეესაბამება. აქეთ მხარეებში სხვა მდინარე, რომელიც დარუბანდის ზღვას ერთვის და „მდინარედ დიდად" შეიძლება იწოდოს—არ მოიპოვება. მდ. ვოლგის ხსენება, კი ძალიან გვიან იწყება როგორც ქართულ წყაროებში, ისე ბერძნულ და ლათინურში. მაშ, რომელ მდინარეზეა საუბარი ქართლის მატიანეში?

აქ საკითხის გადაჭრა შეუძლია ცნობის მიახლოებითი თარიღის დადგენას. ეს ცნობა იმ ძველ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს, როცა ჩრდილოეთის გამყინვარებები დნობას იწყებდნენ. ხოლო ნადნობი ნაკადები ავსებდნენ მდინარეთა სადინარებს და ჰქმნიდნენ დიდ მდინარეებს. მართლაც, ცნობილია, რომ კუმა-მანიჩის სადინარში ყინულებიდან დამდნარი წყალი ძლიერ ნაკადად მიედინებოდა და ერთ დროს ეს მდინარე ყველა სხვა მდინარეზე წყალუხვი ეგონათ. ეს მდინარე ერთი თავით აზოვის ზღვაში ჩაედინებოდა, ხოლო მეორეთი — კასპიის ზღვაში. საფიქრებელია რომ აზოვის ზღვაში ჩამდინარე თავი უფრო ადრე დაშრა რადგან აქეთა მხარე ყინულოვანი მასებისა ადრე დადნა, აქეთკენ მზის მეტი აქტიური მოქმედებით. ხოლო კასპიის, ანუ დარუბანდის ზღვაში ჩამდინარე ნაკადი კიდევ დიდხანს არსებულა ყინულის აქეთა მასივებზე. მზის სუსტი მოქმედების გამო. სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს „ქართლის ცხოვრების" ეს ცნობაც. მაშინ ისიც გასაგები გახდება თუ ეს ადგილები რად არ იყო დასახლებული. საქმე ისაა, რომ ნამდნარი ნაკადები ხშირად წალეკავდა ცივი წყლის მასებით ველმინდვრებს ზაფხულში, ხოლო ზამთრობით

ველ-მინდვრებს გამყინვარებულ მასივებად აქცევდა.

ამრიგად, „დიდად მდინარეში“ იგულისხმება ნამდინარი წყლების ნაკადები. ბერძნები ხან არაქსად, ხან ამუდარიად რომ ნათლავდნენ (შესაძლოა იმის ანალოგიითაც, რომ ერთ დროს ამუდარია კასპიისა და არალის ზღვაში ჩაედინებოდა სხვადასხვა ტოტებით).

კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობზე და მხარეებში, კუმა-მანიჩის ღრმულამდე, როგორც ჩრდილოეთ დაქანებაზე, ყინულის დნობა და მიწების ათვისება ყველაზე გვიან უნდა დამთავრებულიყო, რადგან ეს ადგილები უმზეო და ცივია.

ამრიგად, ცნობა ასახავს იმ ისტორიულ მომენტს, როცა ეს ყინულოვანი მასები დნებოდნენ ან უკვე დადნენ. მაგრამ მიწები ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო, ხოლო „დიდი მდინარის“ ერთი თავი, რომელიც კასპიაში ჩაედინებოდა ჯერ კიდევ საზრდოობდა გამდნარი წყლებით.

როგორც გაირკვა, თარგამოსმა შვილს ეგროს, მცირე ხაზარეთამდე — მდ. ყუბანამდე იმიტომ დაუწესა საზღვარი, რომ იმას იქით იმ ხანებში, ბუნებრივი პირობების გამო, ცხოვრება არ შეიძლებოდა. როგორც ითქვა, პირველად ჩრდილო-დასავლეთი მხარე გათავისუფლდა ყინულისაგან. ამას ხელი ერთგვარად კიდეც იმან შეუწყო, რომ შავი ზღვის თბილი ჰაერის, მასები უფრო ახლოს იყო ამ მხარეებთან, ვიდრე აღმოსავლეთით მდებარე კასპიის ზღვისა. მაშასადამე, თარგამოსის გავლენის ფარგლები ჩრდილოეთით დიდ მდინარემდე, ხოლო დასავლეთით მეოტიის ტბამდე ვრცელდებოდა. საფიქრებელია, ამ მდგომარეობამ წარმოშვა ბერძენი მწერლების თქმა, რომ კოლხები სკვითიაში ცხოვრობენო.

მომდევნო საუკუნეებში ვითარება შეიცვალა ტავრისა და მეოტიის მიწებს ჯერ სკვითები ხოლო უფრო გვიან კიმერიელები ფლობენ.

ყოველივე ზემოთქმული კოლხეთის უბის ანუ ზღვის ყურის გარშემო დასახლებული კოლხი ტომების საბინადროს მკაცრი ლოკალიზაციის სურათს იძლევა.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობების სისწორეს პირდაპირი უცილობელი სიზუსტით იმეორებს „არგონავტიკის“ ზოგიერთი ადგილი. თქმულება ასე აღწერს არგონავტთა მოახლოებას შავი ზღვის სანაპიროზე: „და აი უკვე გამოჩნდა პონტოს უ კ ი დ უ რ ე ს ი ყ უ რ ე და კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ თ ე ბ ი ს მ ა ღ ა ლ ი მწვერვალებიც აღიმართნენ“. აქ ნათლად ჩანს, რომ უ კ ი დ უ რ ე ს ი ყ უ რ ე არსებულა, სადაც აღმართულია კავკასიის მთები (გურია-აჭარის მთებიც იგივე კავკასიონის მთებია).

არგონავტების თქმულებათა სხვადასხვა ვერსიებზე, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდებოდნენ ფაქტებითა და ცოდნით ბერძენ მოგზაურთა ცოდნის პარალელურად, აპოლონ როდოსელმა შექმნა პოემა „არგონავტიკა“, ძვ. წ. აღ. III საუკუნეში. საინტერესოა, რომ მ ა ს ა ც აქვს ნახსენები ეს უბე-ყურე, იქნებ მან ჩაუმატა? თუ გავითვალისწინებთ, რომ ყურეს ჩამატება-ამოღება არც არაფერს უმატებს და არც არაფერს აკლებს პოემას, მაშინ ეს ეჭვი უსაფუძლო გამოდგება. პონტოს ეს უბე პოეტს ხალხური თქმულებებიდან აქვს აღებული. ხალხური თქმულება კი უფრო დასაშვებია მითურ არსებებს უმატებდეს ამბავში, ხოლო ბუნების აღწერილობას შედარებით ზუსტად იცავს, იშვიათად ამახინჯებს.

პონტოს უბე-ყურე რომ როდოსელის პოემაში ხალხური ვერსიებიდან არის გადასული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ აპ. როდოსელის დროს, ე. ი. III საუკუნეში უბე უკვე ძველი მასშტაბით აღარ არსებობდა, რადგან ამ დროისათვის იგი თითქმის ამოვსებულია. პოეტს კი იგი პირადად არ უნახავს. მას რომ პირადად ენახა ეს ადგილები, თავის პოემაში ყურეს აღარ შეიტანდა, მაგრამ იგი ეყრდნობოდა ძველ წყაროებს, მომდინარეთ ძვ. წ. XIII საუკუნიდან ჩვ. წ. აღრიცხვამდე და ამის გამო თავისი დროის სინამდვილეს უნებლიედ ღალატობს.

ამასთანავე, საინტერესოა როდოსელის პოემის სხვა რეალიაც: „ღამით არგოს გამოცდილების წყალობით, მათ მიაღწიეს „ფართოდ მომდინარე“ ფაზისს და „პონტოს უკიდურეს კიდეს“.

ბოსფორის სრუტეში გამოსული მენავეები ნუთუ მიიღებდნენ ვიღაც შემთხვევით მგზავრს, ვინმე არგოს30 და მას ანდობდნენ გემის მიმართულების კონტროლს? როგორც ჩანს, არგოსს კარგად სცოდნია ამ დროისათვის აქ არსებული წყალმარჩხი შესართავის (ფაზის — პონტოს) რელიეფი და იგი მეგზურად, ლოცმანად გაჰყოლია ბერძნებს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კოლხეთის უბის მაქსიმალური სიღრმე ფოთის მერიდიანზე 40 მ. უნდა ყოფილიყო. სულორთან კი ისე წყალმცირე, რომ ხიფათს უქმნიდა უცხო და მით უმეტეს დიდ გემებს თავისი დაფარული, საშიში რიფ-მეჩეჩებით. ასეთ ადგილებში, მართლაც საჭირო იქნებოდა ადგილობრივი მეგზური და აი, ბერძნებს შეხვდათ არგოსი, რომელმაც იკისრა ლოცმანობა და „ღამით არგოს გამოცდილების წყალობით მათ მიაღწიეს... ფაზისს“.

ამრიგად, კოლხეთის უბე არსებობდა და არსებობდა მასში „ფართოდ შემდინარე“ ფაზისითურთ. არგონავტიკაში მოხსენებული უბე, ძველი ცნობების ანარეკლია. იგი აპ. როდოსელის დროს არ შეესაბამება, მაგრამ იმითაა საინტერესო, რომ ძველი დროის ნამდვილ ვითარებას გვამცნობს.

ჩვენ რომ როდოსელის ეს ცნობა III საუკუნის (ძვ. წ.) რეალური ვითარების ამსახველ ცნობად მივიღოთ, მაშინ გამოვა, რომ უბე III

ს-შიც არსებობდა და ეს კიდევ მეტად დაადასტურებდა უბის არსებობას უფრო ადრეც. მაგრამ სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ III საუკუნეში დიდი უბე აღარ არსებობდა. ა. პ. როდოსელის კოლხური პეიზაჟები თქმულებიდან გადმოტანილის ანაქრონიზმს წარმოადგენს.

**პომპონიუსის ცნობების კვლევის გაგრძელება.** კარიანდელის ცნობას ნათელი რომ მოეფინა, ამით მეტად საყურადღებო გახდა პომპონიუსის ცნობები. პომპონიუსს ეკუთვნის: „იქიდან აღმართული მთები“, სადაც ნაგულისხმევია, რომ მდინარე ფაზისის შესართავი ზღვასთან მთების ძირში ყოფილა. ეს რომ სწორია, ამას ამტკიცებს არგონავტიკის თქმულების შემდეგი ადგილიც. როცა არგონავტები მდინარეზე ცოტათ აცურდებიან და არესის ჭალას გაუსწორდებიან, დაინახავენ, თუ როგორ სხედან მდინარის ახლო, ფერდობებზე კოლხები და უცქერენ მას.

„როცა არგონავტებმა თავიანთი „არგო“, არესის მინდორს გაუსწორეს, აიეტი უკვე ელოდა მათ, ხოლო მთის ფერდობებზე კოლხები მოგროვილიყვნენ“.[31]

როგორც ვხედავთ, პომპონიუსის ცნობა ემთხვევა არგონავტების თქმულებას. მაგრამ დღეს ხომ რიონი ამ მთებს ერთი კილომეტრით არის დაშორებული? როგორღა ავხსნათ ეს? საქმე ისაა, რომ დღესაც ამ მთების ძირში ადგილებს „ნარიონალს“ ეძახიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც რიონი მთის ძირში გადიოდა. ახლა უკვე ცხადი ხდება ზემო ორი ცნობის სიზუსტეც. ამრიგად, ახსნილია პომპონიუსის ორიენტირი — „იქიდან აღმართული მთები“.

მეორე ორიენტირი — „ვიწრო კუთხეც“, სწორედ აქ, სულორთან ინაკვთება. გეოგრაფიულ რუკას რომ დავხედოთ, მაშინვე ნათელი გახდება ამ კუთხის მოხაზულობის ბოლო სულორთან, გურია-აჭარის მთების ძირში.

ყოველივე ამის შემდეგ უფრო ნათელი ხდება გამოთქმები: „უკიდურეს აღმოსავლეთ ნაპირზე“[32] „იქ, სადაც მთავრდება დასახლებული სამყარო“ („ოიკუმენა“)[33] „აია-კოლხეთი ზღვისა და მიწის დასალიერში მდებარეობს“,[34] „აია-კოლხეთი ხომ იქ მდებარეობს, იმ კიდესთან, სადაც მთავრდება ხომალდის უკანასკნელი სრბოლა“[35] და ა. შ.

ასეთი გამოთქმები ხშირია ბერძნულ მწერლობაში.

არგონავტების მოგზაურობის შემდეგ, ვიდრე ბერძნები შავი ზღვის აუზს ხელმეორედ და უკეთ გაიცნობდნენ, კოლხებს ზოგი მათგანი მეოტიაში ასახელებს, ზოგი სკვითიაში, ზოგიც ხაზარეთში (ეს ზემოთაც განვმარტეთ). იყო შემთხვევებიც, რომ სკვითებს კავკასიაში ასახელებდნენ[36]. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მეტი გარკვეულობა. დავუშვათ, რომ „ვიწრო კუთხე“ კავკასიაში ვერ მოინახა. სად შეიძლება მაშინ იგი ვეძებოთ? იქნებ მდ. ტანაისის (დონის) შესართავთან? ეს ყოვლად შეუძლებელია შემდეგი გარემოების გამო. ჯერ ერთი, ძველი დროისათვის ამ მხარეში, ჩრდილო სანაპიროზე, ნავიგაცია არ იყო შესაძლებელი. მთავარი ის არის, რომ ეს ადგილი ვერ ჩაითვლებოდა უშორეს კუთხედ, რადგან მისი შესართავის მერიდიანი გაცილებით უფრო დასავლეთით არის, ვიდრე კოლხეთის თუნდაც დღევანდელი სანაპიროსი. შევადაროთ ერთმანეთს: ტანაისის შესართავის მერიდიანია $39^{\circ}, 20'$, ფოთისა კი $41^{\circ}, 40'$. თუ ამას კოლხეთის უბეს დავუმატებთ, მაშინ იქნება $41^{\circ}, 40'+40', =42^{\circ}\ 20'$ (სხვაობა კილომეტრებში 250-ს უდრის). თანაც, იმ ხანებში ეს სხვაობა კიდევ მეტი იქნებოდა ზღვის დონის აწევის გამოც. უფრო ადვილად რომ წარმოვიდგინოთ, — დონის შესართავი ტრაპეზუნდის მერიდიანზე დგას.

ყოველივე ამასთან უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის უბე შავ ზღვას მხოლოდ კავკასიაში შეიძლება ჰქონდეს, მისი თავისებური მოხაზულობის გამო. რაც შეეხება ტანაისის შესართავს, იგი წარმოადგენს ჩრდილო აღმოსავლეთს, ხოლო ბერძნებისათვის უფრო ჩრილოეთია, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთი. და ბოლოს: ისტორიული გეოლოგია შავი ზღვის სანაპიროებზე უბის არსებობას სწორედ კოლხეთის ველზე გულისხმობს.

რაც შეეხება სკვითების კოლხეთში მოხსენიებას (ჰეკატე), ეს იმის ბრალია, რომ ამ ტომებს შორის, როგორც მეზობელ ტომებს შორის, არსებობდა კავშირურთიერთობანი, ზოგჯერ მტრული, ხანაც მოყვრული. ამის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება. შესაძლოა ხდებოდა ერთმანეთში ტახტის მემკვიდრეთა დამოყვრება, რის შედეგადაც ესა თუ ის დინასტია განაგებდა ორივე მხარეს. ეს საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დაწვრილებით განხილვას, რასაც ამჯერად არ შევუდგებით. ამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ კოლხებს ერთ დროს კავკასიის გადაღმა მიწებიც ეჭირათ ვიდრე „მდინარეემდე დიდად“.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ ზღვის პირი მდგარა ციხესულორის მიდამოებში.

**ციხესულორის მიდამოები დღეს და ძველად.** როგორც ვთქვით, ქუთაისიდან მდ. რიონის დაყოლებით, 180 სტადიონზე სოფ. ციხესულორთან მოვხვდებით. ეს არის ამჟამად კარგად ცნობილი სოფელი, ქ. ვანში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების გამო, სადაც აღმოჩენილია უძველესი ქალაქი აკროპოლით, ტაძრები და სხვა მრავალი ნაგებობა. ვანში მიმავალ მგზავრს გზად ციხესულორი ხვდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ციხესულორი ვანის ავანპოსტი, მისი დამცველი სიმაგრე ყოფილიყო ოდესღაც. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის,

რომ ქ. ვანი და ციხესულორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი ყოფილან.

ციხესულორი ვანიდან 2 კმ მდებარეობს. იქვე, მახლობლად მაშველი ციხე დგას — ზედა ციხესულორი. ახლო-მახლო სერებზეც სხვა სიმაგრეები თუ სადარაჯო კოშკები მოჩანს. ეს სერები და ქედები კი მიეკუთვნება გურია-აჭარის მთების კალთებს.

რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან კოლხეთის დაბლობი და ციხესულორი?

კოლხეთის დაბლობი ციხესულორის ბორცვების ძირში გადის. იგი ფაქტიურად მდ. ფერეთის შესართავთან იწყება. სულორამდე დაბლობი 4-5 კილომეტრამდე ფართოვდება და შემდეგ სამკუთხედის ფორმით დასავლეთისაკენ მიემართება. აქედან 72-ე კილომეტრზე შავი ზღვის სანაპიროზე ჩადის, სადაც მისი სიგანე სუფსასა და ინგურს შორის 40 კმ-ია, ხოლო აქედან ოჩამჩირემდე კიდევ 40 კმ.

როგორც კარიანდელის ცნობებით მივიღეთ, ზღვა, მდ. ფაზისის შესართავი ზღვასთან და ქ. ფაზისი ციხესულორთან მდგარა. თუ ზღვა აქამდე უწევდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სანაპირო ხაზი იმ ჰორიზონტალს გაჰყვებოდა, რომელიც ციხესულორის ძირში გადის. ამ უკანასკნელის სიმაღლის ნიშნული +40 მეტრია, ე. ი. მეორმოცე ჰორიზონტალს დაბლა მთელი კოლხეთის ტერიტორია, ყველა ტბორებიანი და ჭაობიანი ადგილი დაბლობისა, წყლით ყოფილა დაფარული (3-3,5 ათასი კვ. კმ ფართობი). ძველი კოლხეთი აქ, ამგვარ პირობებში წარმოგვიდგება სულ სხვა გეოგრაფიულ ქვეყნად, ვიდრე დღეს არის თავისი ჭაობიანი ლანდშაფტებით. კარიანდელის ცნობა მეტად ძუნწია. მისი „ლაკონიურობა“ ხუთი სტრიქონით ფარგლავს კოლხეთის მთელ ისტორია-გეოგრაფიას. იგი იძლევა სათაურს, ხოლო შინაარსი ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენი წარმოდგენები ეფუძნება ბერძენ ავტორთა ცნობებში მიჩქმალულ რეალურ მომენტებს, რის შედეგადაც საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ ერის ისტორია, ბუნებრივი პირობები და სხვ. ფსევდო სკილაქს კარიანდელისა და პომპონიუს მელას ცნობების ჩვეული ინტერპრეტაცია არსებითად თავდაყირა აყენებს მთელი კოლხეთის ისტორია-გეოგრაფიის აქამდე არსებულ ძველ წარმოდგენებს.

ამრიგად, როცა ზღვის პირი სულორთან აღწევდა, ხოლო იქვე აღმართული იყო ტყით დაფარული მთები, რაღა თქმა უნდა, სულ სხვა ბუნებრივი პირობები ექნებოდა მაშინდელ კოლხეთს, იმ კოლხეთს, რომელიც გაცილებით ახლოს მდებარეობდა „დიდ ბარბაროსულ ქალაქთან“, ვიდრე ამას მოველოდით. ზღვისა და უბეს გარშემორტყმული მთების შეზავებული ჰაერი მუდმივი სიჯანსაღის ფაქტორი იქნებოდა. ხშირი ტყეებითა და სხვა მწვანე საფარით დაფარული მთები, თავის მხრივ, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებას გამოიწვევდა. წყალუხვ და ჩქარ მთის მდინარეებში იქნებოდა შესანიშნავი თევზეული, რომში სადელიკატოდ რომ იგზავნებოდა. ხოლო ნოყიერ, ეროზიისაგან დაცულ მინდვრებსა და ფერდობებზე მიწათმოქმედებისათვის საუცხოო პირობები იქნებოდა. ამის გარდა, კოლხურ ტომებს შორის, რომლებიც უბის გარშემო ბინადრობდნენ, საფიქრებელია, გაცხოველებული სანაოსნო მიმოსვლა არსებობდა. ამას ხელს შეუწყობდა ის, რომ ზღვის წყალი შეჭრილი იქნებოდა ყოველი პატარა თუ დიდი მდინარის სადინარებში და ხევებში. აქ ის შექმნიდა წყნარ გემმისადგომ უბე-ფიორდებს. პონტოს კოლხური სანაპირო ჭოროხიდან ცხუმამდე მოფენილი უნდა ყოფილიყო ასეთი უბე-ფიორდებით. შავი ზღვის ამ უბის მცირე სიგანის გამო სანაპირო ნაოსნობის მაგიერ განვითარებული უნდა ყოფილიყო გეზური (პირდაპირი) ცურვა. ასეთი რამ კი მხოლოდ ეგეოსის ზღვაში იყო მოსახერხებელი და გავრცელებულიც. კოლხებს ამ პირობების გამო ექნებოდათ ძლიერი სავაჭრო და სამხედრო ფლოტი. ქ. ფაზისი კი უთუოდ სახელგანთქმული იქნებოდა, როგორც ამ ადგილების ავანპოსტი და უფრო გვიან — როგორც ქალაქი სავაჭრო ემფორიონით. ყოველივე სიკეთით შემკულ ფაზისს, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრებაში დიდი როლი უნდა ეთამაშა. ამ უკანასკნელისათვის მას, აგრეთვე, მოხერხებული სტრატეგიული პუნქტიც ეკავა. ფს. სკილაქსის კოლხეთი „ოქროს ხანის“ კოლხეთი უნდა ყოფილიყო. ამაზე უკეთესი ხანა ბუნებრივი პირობების მიხედვით კოლხეთს სხვა დროს არ შეიძლებოდა ჰქონოდა. სწორედ ასეთი კოლხეთი უნდა ყოფილიყო ის ზღაპრული ქვეყანა, რომლისკენაც მოილტვოდნენ ბერძნები თუ რომაელები და რომელსაც ბერძენმა ხალხმა არგონავტების თქმულება უძღვნა. გასაგებია, რომ დღევანდელ ფოთს და მის ჭაობიან, უნაყოფო ადგილებს აღთქმულ ქვეყნად ვერ დაისახავდნენ ბერძნები და თქმულებას არ მიუძღვნიდნენ.

ასეთად გვესახება სკილაქსის კოლხეთი.

**გაი პლინიუს უფროსის ამოუხსნელი ცნობები.** კარიანდელის შემდეგ საუკუნეები გადიოდა და აღარაფერი თქმულა ძველ კოლხეთზე მნიშვნელოვანი. პომპონიუსის აღწერილობამ დაამოწმა კარიანდელისა და თვით პომპონიუსის ცნობების სისწორე. ხოლო ლათინელი მწერლის გ. პლინიუს უფროსის, სახელმოხვეჭილი მწიგნობრის, მკვლევრისა და ენციკლოპედისტის ცნობები, ხუთი თუ შვიდი საუკუნის შემდეგ განაგრძობს კარიანდელის შეწყვეტილი ისტორიის გაგრძელებას. პლინიუსი მრავალ ნაშრომთა შორის წერს „ბუნების ისტორიის“ 37 წიგნს, რომელთა შესადგენადაც იგი ორი ათასზე მეტი ნაშრომით სარგებლობს.

პლინიუსი კოლხეთზეც წერს. მისი კოლხე-

თის ისტორია პლინიუსის დროის კოლხეთის ისტორია როდია. პლინიუსი გაცილებით ძველი ცნობებით სარგებლობს.

თავისი სიცოცხლის მანძილზე, როგორც მისივე ნაშრომებიდან ჩანს, პლინიუსი ასრულებდა სხვადასხვა სახელმწიფო მოვალეობას. იგი ყოფილა გერმანეთში მდგარი ცხენოსანთა კორპუსის უფროსად, ესპანეთის პროკურატორად, მიზენთან მდგარი ფლოტის უფროსად და ა. შ.[37] როგორც ყოფილი სამხედრო პირი, და რაც მისი ცნობებიდანაც ჩანს, იგი ყოფილა მეტად მკაცრი და პუნქტუალური. ეს ფაქტი ჩვენ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც განსაზღვრავს ჩვენს ნდობას მის მიერ მოცემული ცნობებისადმი.

„ბუნების ისტორიის“ მეექვსე წიგნის მეთორმეტე პარაგრაფში პლინიუსი წერს: „...შემდეგ არის კოლხების ტომი და უმშვენიერესი პონტოს მდინარეთაგან ფაზისი... სანაოსნო ხომალდებისათვის... 38500 ნაბიჯზე, შემდეგ დიდ მანძილზე მცირე ხომალდებისათვის... მის ნაპირზე მდებარეობდა რამდენიმე ქალაქი, რომელთაგანაც უმშვენიერესი — ტინდარიდა, კირკეი, კინგი და შესართავთან ფაზისი... ამჟამად არსებობს მხოლოდ სურიი რომელიც წოდებული მდინარის სახელით, იმ ადგილას ერთვის ფასიდს, სადაც ის, როგორც ვთქვით, სანაოსნოა დიდი ხომალდებისათვის“ (ხაზი ჩვენია — ი. ლ. იხ. В. В. Латышев, Изв. древ. писат. о Скифии и Кавказе, том II, стр. 175, вып. I, СПБ, 1904).

ძველად ფაზისის სახელით ცნობილი იყო, რიონი ფოთიდან ვარციხემდე და ამას პლიუს ყვირილა ვარციხიდან შორაპნამდე. მოცემული ცნობის მიხედვით, სურიი ცხადდება დიდი მნიშვნელობის ქალაქად, რამდენადაც იგი წარმოადგენდა დიდი ხომალდების უკანასკნელ მისადგომს. საჭიროა მისი ზუსტი და ბეჯითი ლოკალიზება.

ქ. სურიი ერემიანის მიერ გაიგივებულია სოფ. სვირთან, რასაც ნ. ლომოურიც უჭერს მხარს[38]. მისი მდებარეობა ნაგულისხმევია შორაპანსა და სადგ. რიონს შორის, ეხლანდელ სოფ. სვირთან. აქვე ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს სვირ-სურიის ფილოლოგიურ მიმართებაზეც. სურ და სვირ ერთი და იგივე ძირის ორი ფორმაა. თანაც სურიი უფრო ძველი უნდა იყოს. მისი ძირი შენახულია გურიაში არსებული სურების მთების სახელწოდებაში, აგრეთვე სურების მთების მდინარის სახელში სუ+ფსა←**სურ+ფსა.** სვირ უფრო ახალია. იგი უნდა იყოს მიღებული სუ-ირ ფორმისაგან შემდეგნაირად: სუ-ირ→სვირ. შდრ. ხურჯინი→**ხვირჯინი.**

თუ მდ. ყვირილას პროფილს გავსინჯავთ ვარციხე-ზესტაფონის მონაკვეთზე, ადვილი შესამჩნევი იქნება, რომ აქ მდინარის რეჟიმი უნდა იცვლებოდეს იმ წერტილში, სადაც მდ. ყვირილას ერთვის პატარა მდინარეები: ძევრულა, ჩოლაური, ჩხარა და სხვები. საგულისხმოა, რომ მდ. ყვირილას ქანობი ამ ადგილებიდან ქვემოთ იკლებს, მდორედ მიედინება. აქ, სწორედ ამ პატარა მდინარეთა შესართავში არის გარდამტეხი წერტილი მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმისათვის და თუ პლინიუსის ცნობის დროის შემდეგ მდინარე ბევრად არ გადაწეულა იქით ან აქეთ, ქ. სურიის ადგილსამყოფელიც, შესართავების მახლობლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყვირილის მარჯვენა ნაპირის სიმაღლე დაახლოებით 25-30 მეტრი ჩანს. რას ნიშნავს ეს?

ცნობილია, რომ მდინარეს გააჩნია ორი ნაპირის სხვადასხვა ტოპოგრაფიული სახე. ერთი ნაპირი ჭალას ქმნის, ხოლო მეორე კოდმეს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მდინარე მაღალ ნაპირს უფრო მედგრად აწვება და თხრის, ვიდრე დაბალს. მდინარის სიჩქარე მაღალ ნაპირთან მეტია, ვიდრე დაბალთან, სადაც წყლის სიღრმის პროპორციულად სიჩქარე მატულობს. ამიტომაც დაბალ ნაპირთან წყალი ნალექს სტოვებს, ხოლო მაღალ ნაპირს ანგრევს და მიაქვს. ასე მოქმედებს იგი წლებისა და საუკუნეების განმავლობაში და ამგვარად მას შეუძლია შეიჭრას მაღალი ნაპირის სიღრმეში ასეულ და ათასეულ მეტრობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირი მაღალია და ჩამონანგრევის სიმაღლე 25 მ მაინც არის. 25 მ. სიმაღლის ჩამონგრევა ისეთი მოცულობის მდინარეს, როგორიც ყვირილაა — დაახლოებით რამდენიმე ათეულ საუკუნეში შეუძლია, ხოლო 25 მ კოდმის გაჩენა იმაზე მიუთითებს ამ რაიონის დამრეცი რეჟიმის გათვალისწინებისას, რომ მდინარეს დაახლოებით 2-3 კმ მანძილი გადაუნაცვლებია მარცხნიდან მარჯვნივ. ამრიგად, ამგვარი მონაცემებით, მდ. ყვირილა, ჯერ ერთი, ადრეულ ხანებში რიონის სწორ გაგრძელებას წარმოადგენდა და, ბუნებრივია, ხშირად რიონ-ყვირილის ეს სწორი მონაკვეთი ფაზისად ჩაითვლებოდა. ამის გარდა, მდ. ყვირილის შესართავების წერტილს დასავლეთისაკენ უნდა გადაეწია, ანუ უნდა მიახლოვებოდა დღევანდელ სვირს. ამის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქ. სურიი ყვირილის რაიონთან შესართავზე 13-15 კმ-ით უნდა ყოფილიყო დაშორებული. ქ. სურიის უფრო მკაცრ ლოკალიზებას, ვფიქრობთ, ამ რაიონში არქეოლოგიური გათხრები მოახდენს.

ახლა ისმის საკითხი: როგორ წავიკითხოთ პლინიუსის ტექსტი: „სანაოსნოა (ზღვიდან — ი. ლ.) დიდი ხომალდებისათვის 38 500 ნაბიჯზე... სურიამდე?“

ესეც უნდა წავიკითხოთ „ქუთათური“ მეთოდით: შებრუნებით: „სურიიდან ზღვამდე 38 500 ნაბიჯია“.

ეს არის დედააზრი პლინიუსის დღემდე

აუხსნელი ცნობისა. ამ ცნობის მიხედვით მკვლევარი სურიიდან მდ. ცხენისწყლის შესართავთან ხვდება, ამრიგად, ზღვის პირი ამ ცნობის დროს — აქ მდგარა.

აქვე საყურადღებოა შემდეგი: კვინისწყლის შესართავიდან დაყოლებით მარცხენა შენაკადების ჩქარი დინებები თანდათან მარჯვნივ აგდებენ მდ. რიონს. ჩვენ ვნახეთ, რომ სულორთან ის უკვე 1-1,5-2 კმ-ით დაშორდა ყოფილ სადინარს. ცხენისწყლის მახლობლად კი იგი 7-8 კმ-ითაა დაშორებული. მაგრამ როგორც კი ცხენისწყალს მიუახლოვდება, რიონი მაშინვე მარცხნივ უხვევს, რადგან ცხენისწყალი აწვება მარჯვნიდან. შემდეგ კი, ქვემოთ, შორდება რა ცხენისწყლის მოქმედების ზონას, ისევ მიიწევს მარჯვნივ და ზღვის დღევანდელ ნაპირთან იგი მთებს 18-20 კმ-ით შორდება. ამრიგად, რიონ-ცხენისწყლის შესართავთან არსებული ბუნებრივი პირობები თავის როლს თამაშობს. რაც შეეხება პლინიუსის ცნობას, იგი ორი ათასი წლის მაინცაა (პლინიუსი ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ. 23-79 წლებში). ამ ხნის გავლის შემდეგ ჯერ კიდევ XXსაუკუნის დასაწყისში, აქ ისევ ვხედავთ პორტს, ე. წ. „ორპირს“, რაც ორი მდინარის შენაკადს შორის არსებულ ხმელეთს უნდა ნიშნავდეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის 1930 წლის რუკაზე ორპირი ჯერ კიდევ საჯავახოსთან არის აღნიშნული, როგორც პორტი. მაგრამ ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (XIX ს. მიწ.) მან მუშაობა შეწყვიტა და ამის შემდგომ, მაგ... 1956 წლის რუკაზე იგი უკვე აღარ სჩანს.

ამრიგად, პლინიუსის ზღვისპირი არ ემთხვევა ფს. სკილაქსის ზღვისპირს. მათ შორის დაშორება 22 კმ უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ განვლილ პერიოდში სანაპირო ხაზი დასავლეთით გადაადგილებულია. ფაზისის პროფილის მიხედვით ზღვის დონე 22 კმ-ით დაცემულა. ზღვა გასცლია სულორს. ამრიგად, ცნობა გვაძლევს ზღვის დინამიკის სურათს განვლილ პერიოდში — კარიანდელის ცნობის დროიდან, ვიდრე პლინიუსის ცნობის დრომდე. ზღვის ახალი გაჩერების ადგილზე, მდ. ფაზისის შესართავთან კვლავ აუშენებიათ ახალი პორტი — ქალაქი ფაზისი II. ხოლო ძველი ქ. ფაზისი I ისევ ძველ შესართავთან, გურია-აჭარის მთების კალთებზე დარჩა. ახალი ფაზისი კი უნდა დამთხვეოდა დაახლოებით დღევანდელ საჯავახოს. აღსანიშნავია, რომ იმ წყაროების წარმოშობის დროს, რომლითაც პლინიუსს უსარგებლია, პორტი — ქალაქი ფაზის II უკვე გაშენებული და გამშვენიერებულიც ყოფილა. მაშასადამე, ზღვა აქ დიდი ხნით შეჩერებულა, რადგან ქალაქს გაშენებაც მოუსწრია და გამშვენებაც. რატომ დაერქვა ამ მეორე ახალ ქალაქს ფაზისი? იმიტომ, რომ პორტი ქალაქი აქაც მდ. ფაზისის შესართავში უნდა ყოფილიყო გაშენებული და მისივე სახელი და ემფორიონის მარკა შეინარჩუნა.

იბადება კითხვა, რამდენი ქ. ფაზისი შეიძლებოდა ყოფილიყო გაშენებული ამ სამოცდათორმეტ კილომეტრ მანძილზე სულორსა და ფოთს შორის? თუ სახელწოდება „ფაზისი“ მდინარის შესართავსა და პორტზე იყო დამოკიდებული, ხოლო ზღვა ხშირად იწევდა დასავლეთისაკენ?

ამ კითხვის საპასუხოდ რაიმე ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება ჯერჯერობით. შესაძლოა გამოითქვას მხოლოდ ჰიპოთეზები.

ამრიგად, ჩვენთვის დღეს უკვე ცნობილია „ფაზისის“ პირველი ადგილმდებარეობა, „ფაზისი II“-ის ადგილმდებარეობა და ის, რომ თუ დღემდე მხოლოდ არიანეს ფაზისი-ფოთი არსებობდა, ახლა უკვე არსებობს სხვა ფაზისები: ფაზისი I და ფაზისი II. თუ არიანეს ფაზისს, იმავე გვიანდელი ხანის ფოთს IV ფაზისად მივიღებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა კიდევ ერთი, ფაზისი — III. იგი უნდა არსებულიყო პატარა ფოთში, ათი-თორმეტი კმ-ის ზემოთ ძველი ფოთიდან, მდინარის მიყოლებით. მართლაც, ამ შესაძლებლობას სრულიად ეთანხმება მდინარის პროფილი და ტოპო-გეოგრაფიული მონაცემები.

ზღვის დაწევის პროცესში სულორიდან ცხენისწყლამდე, ანუ ფაზის I-დან ფაზის II-მდე, მოკლე მანძილისა და ტოპო-გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით პორტი აღარ უნდა აშენებულიყო სადმე. თანაც აქ 10-15 კმ-ის რადიუსით ფაზის II გაუწევდა მომსახურებას ყველა გემს. უფრო შორს კი სხვაგვარი სურათი გვაქვს. თუ სულორსა და ცხენისწყალს შორის დაბლობს ისეთი დაქანება აქვს, რომ დონის ერთი მეტრის დაკლებით ზღვა ერთ კმ-ზე შორდება ნაპირს, აქ, ტეხურის ქვემოთ, პატარა ფოთამდე, დონის 1 მეტრით დაწევის დროს ზღვა 10-12 კმ-ზე სტოვებს ნაპირს. ამას კი „ზღვის სირბილი“ შეიძლება ვუწოდოთ. ამ უბანზე პორტისა და ქალაქის აშენება აღარ მოხერხდებოდა ზღვის სწრაფი უკუქცევის გამო. მეორე მხრივ, ახლად გათავისუფლებული მიწები აუთვისებელი იქნებოდა და ხშირი პორტების აგებას საჭიროება აღარ მოითხოვდა, ვინაიდან აუთვისებელ რაიონებს აღარ შეეძლოთ დაეტვირთათ გემები სხვადასხვა მასალით. ამგვარია ვითარება ფაზის II-დან ფაზის III-მდე და ფაზის III-დან ფაზის IV-მდეც. ამრიგად, სულორ-ფოთის უბანზე 3-4 პორტის არსებობა ყოფილა შესაძლებელი.

გვაქვს თუ არა ფაზის II-ის ლოკალიზაციისათვის სხვა რაიმე ცნობები? პლინიუსი იძლევა მეორე და მესამე ცნობასაც. პირველი ასეთია: „ფასიდი აბსარონიდან დაშორებულია 70.000 ნაბიჯით“ (6. 13. გ. 3), 70 000 ნაბიჯი უდრის 103,5 კმ-ს. აბსარონიდან (ჭოროხიდან) ფოთამდე დღეს 70 კმ-ზე ნაკლებია, ე. ი. რო-

გორც ვხედავთ, პლინიუსის ცნობის შედგენისას მათ შორის 103,5 კმ ყოფილა. როგორ ავხსნათ ეს? საქმე ისაა, რომ ფაზისი II, პლინიუსის ფაზისი, მაშინ უფრო ზევით იდგა, ვიდრე დღევანდელი ფოთი, მაგრამ უფრო ქვემოთ, ვიდრე კარიანდელის ფაზისი — I. თუ აბსაროწიდან სკილაქსის რუკაზე გადავზომავთ 103,5 კმ-ს, პირდაპირ მივალთ სწორედ ფაზის II-სთან, პლინიუსის ფაზისთან. ეს ადგილი კი ემთხვევა სწორედ სურიიდან გადმოზომილ 57 კმ-ს, ე .ი. ქ. სურიი აბსარონიდან (103,5+57=) 160 კმ-ზე მდგარა. ამით ქ. სურიის ლოკალიზაციის სისწორე მეორე წყაროდანაც მტკიცდება. მანძილთა ასეთი სიზუსტით დამთხვევა იმას ნიშნავს, რომ მოცემული განზომილებანი დიდი ხნის განმავლობაში მრავალჯერ შემოწმებული ყოფილა.

პლინიუსი, როგორც ყოფილი სამხედრო პირი, ზუსტია. იგი თავის ერთ ცნობას მეორით უმაგრებს ზურგს, მეორეს კი — მესამით. მისი მესამე ცნობა ასეთია: „13... სვანეთის მხარეში, კავკასიონიდან მოედინება მდინარე ხობი... შემდეგ სებასტოპოლისი 100 000 ნაბიჯზე ფაზისიდან“ (წ. 6, პარ. 13). ე. ი. ფაზის II-დან სოხუმამდე პლინიუსი 100.000 ნაბიჯს ანუ 148 კმ ანგარიშობს. დღეს კი ფოთსა და სოხუმს შორის 110 კმ-ია. სად მივყავართ 148 კმ-ს? — ზუსტად ფაზის — II-ში! ამრიგად, ჩვენ მოგვეპოვება სამი ურყევი კოორდინატი, სხივურად განლაგებული, რომელთა ცენტრშიც მოთავსებულია ფაზისი — II.

ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ქალაქები ფაზის I, ფაზისი II და სურიი ამიერიდან მკაცრად და ზუსტადაა ლოკალიზებული.

რაც შეეხება არიანეს, პტოლომეუს და სხვათა განზომილებებს, მათ ვერ ვენდობით. არიანე ორ ცნობას წერდა — ერთს სახალხოდ, მეორეს კი საიდუმლოს — იმპერატორისათვის. მის ცნობებს ისიც უკარგავს ფასს, რომ ხუთ მდინარეს ერთი და იმავე მანძილით დაშორებულად აცხადებს ერთმანეთისაგან[39] ამგვარი განაწილება მდინარეებისა დღევანდელი ტექნიკის პირობებშიც შეუძლებელია, ხოლო ბუნებრივად ხომ წარმოუდგენელია. რაც შეეხება სხვა მწერლებს, ისინი ხშირად დამახინჯებულ ცნობებს იძლევიან, თანაც ჩვენი საკითხისათვის საჭირო მასალებს ნაკლებად გვამცნობენ (პტოლემაიოსი, ანონიმი, სტ. ბიზანტიელი და სხვ.).

**რა ბედი ეწია კარიანდელის ფაზისს?** როგორც დავინახეთ, კარიანდელის ფაზისი — ფაზისი I, ერთხელ გამოჩნდა ისტორიულ ცნობებში და შემდეგ გაქრა, დაიკარგა, დავიწყებას მიეცა მისი სახელი. თითქმის 26-24 საუკუნე გადის და მასზე აღარა თქმულა რა.

როგორ მოხდა, რომ ასე უგზო-უკვლოდ დაიკარგა ასეთი დიდი ქალაქი, რომელსაც ისტორიამ თავისი დიდება მიაგო?

ზემოთქმულის შემდეგ მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ ფაზის I-ის მახლობლად, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ოციოდე კილომეტრის მანძილზე აშენებულა მეორე, ახალი ფაზისი II, კვლავ საზღვაო ქალაქი — პორტი, „უმშვენიერესი“ სხვა ქალაქთა შორის. ხომ არ გამოიწვია ამ ახალმა გარემოებამ ძველი ფაზისის დაცემა და განადგურება?!

სკილაქსის ფაზისს კოლხეთში ისეთი სტრატეგიული ადგილი ეჭირა და ეკონომიური პოტენციალი ჰქონდა, რომ მეორე ფაზისის —ახალი პორტის გაშენება-გაძლიერება მას ვერ დასცემდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ფაზისს პირველს კვლავ რჩებოდა სანაოსნო მაგისტრალი მდ. ფაზისის სახით და აგრეთვე ძველი პორტი. ახალ პორტ-ფაზის II-ს შეეძლო სახელი წაერთმია მისთვის, ხოლო ძლიერება კი არა ახალ ფაზისს შეეძლო (და ეს ასეც უნდა მომხდარიყო) ძველი სახელწოდების (მარკის) წალება, საქმიანობის შემცირებით; მხოლოდ მისი დაცემა, განადგურება კი არა, მაშ რა იქნა ეს ქალაქი? რა ბედი ეწვია ფაზის პირველს? ამაზე პასუხს ისევ პლინიუსი გვაძლევს:

„...მაგრამ (სხვა ქალაქთა შორის — ი. ლ.) ყველაზე სახელოვნად ითვლებოდა აია, 15 000 ნაბიჯზე ზღვიდან ,იმ ადგილას, სადაც ფაზისს ჩაედინება სხვადასხვა მხრიდან დიდი მდინარეები, ჰიპი დაკიანეი“[40].

მაშასადამე, კიდევ ყოფილა კოლხეთში ერთი და ისიც ყველაზე უკეთესი, ყველაზე სახელოვანი ქალაქი — აია, ზღვიდან ოცდაორ კილომეტრზე. ამ მანძილს ზღვიდან, უკანვე, ისევ სულორში მივყევართ, იქ, სადაც წინათ ფაზის I დავტოვეთ. ამრიგად, სადაც ფაზისი I დავკარგეთ, იქ ეხლა „აია“ დაგვხვდა. აია ხომ ძველისძველი, მითიურად მიჩნეული ქალაქია?! რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ირკვევა მეტად საინტერესო ისტორია ფაზის I-ისა და აია ქალაქისა. ისტორიის სარბიელიდან დროებით გამქრალი ფაზის I და ახლად აღმოჩენილი აია ქალაქი ერთი და იმავე კოლხური ქალაქის სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხების შერქმეული სახელწოდებებია.

თუ როგორ მოხდა რომ დაიკარგა ფაზის I, ამის გარკვევა ხსნის აია ქალაქის გამოჩენის საიდუმლოებასაც?

დაუშვებელი როდია ერთ ადგილას ორი ქალაქის არსებობა. იმ დროში, ასე ახლოს ერთმანეთთან ორი ქალაქის მდებარეობაც საეჭვოდ არ გვეჩვენება. შესაძლებელია, ფაზისი — როგორც პორტული ქალაქის ნაწილი — უფრო დაბლა მდებარეობდა, ხოლო ქ. აიას აკროპოლი და არისტოკრატიული ფენა — უფრო ზევით, მაღალ ადგილზე. მაგრამ ამგვარი დაცალკევებისათვის ეჭვს ის ბადებს, რომ როცა ერ-

თი დიდი ქალაქი იკარგება, მეორე ჩნდება; აქვე საფუძვლიანად ჩანს ასეთი ვარაუდიც: როცა ქ. ფაზისი გახდა სავაჭრო, ზღვის უკუსვლასთან დაკავშირებით, ბერძენთა ემფორიონი ფაზისი (მარკა, რეკლამა) გადაჰყვა ახალ ადგილზე აღმოცენებულ ემფორიონს, ხოლო ძველ ადგილს ეს სახელი ვეღარ შერჩებოდა შემდეგ მოსაზრებათა გამო: ჯერ ერთი, ფაზისი რომ ორივე ქალაქისათვის დაერქმიათ, ეს გაუგებრობას გამოიწვევდა, თუ რომელ ფაზისზე იყო საუბარი, ფაზის I-ზე თუ ფაზის II-ზე. მეორეც: ახალ პორტ-ქალაქს უფრო მეტად სჭირდებოდა ბერძნული სამყაროსათვის კარგად ცნობილი მდინარის მოსახელე „ფაზისი", ვიდრე აიას. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ აია ქალაქს სახელწოდება აია ჰქონდა მანამ, ვიდრე ბერძნები აქ სავაჭრო ემფორიონს გახსნიდნენ და აიას პორტს მდინარე ფაზისის მოსახელე ქალაქად აქცევდნენ, ხოლო შემდეგ, ზღვის პირის გადაწევასთან დაკავშირებით, ამავე ემფორიონს გადასწევდნენ უკან, 22 კმ-ზე. ამას თან მოჰყვებოდა აია-ფაზის I-ში არსებული ბერძენი ვაჭრების მიგრაცია ფაზის II-ში, რის შედეგადაც ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ აღდგენილ იქნა ქ. აია-ფაზის I-ის ძველი სახელწოდება აია.

ამრიგად, შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქ. აიასა და ქ. ფაზის I-ს სახელწოდებები სწორედ ემფორიონის მოქმედების მასშტაბების გაზრდის მიხედვით ერქვა. მაშინ, როცა ბერძნებს ემფორიონი ჰქონდათ აიასთან, ფაზისის სახელი ისე გაზრდილა, რომ ქალაქის ძველი სახელწოდება დაუჩრდილავს ამ ქალაქთან ახლოს და შესაძლოა მის ფარგლებში გარკვეულად შემავალ პორტ-ემფორიონის სახელწოდებას. ხოლო მას შემდეგ, რაც ზღვა და ემფორიონი უკან გადადის, ფაზისის სახელი დავიწყებას ეძლევა და პლინიუსი აქ უკვე მხოლოდ დიდ ქალაქ აიას ხედავს.

რა ვიცით, რომ სახელწოდება აია უფრო ძველია და ფაზისი შემდეგი დროის მოვლენაა? საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ძვ. აღ. XIV საუკუნის ცნობები ლაპარაკობენ იმაზე, რომ აია არსებობდა ამ დროს. მაგ. „აია სესონქროსის დროიდან მოკიდებული ურყევად დგასო".[41] ვისი და რა დროს ნათქვამიც არ უნდა იყოს ეს ფრაზა — იგი თავის ღირებულებას მაინც არ კარგავს.

აქ საინტერესოა ის, რომ იდიომურ გამოთქმას „აია დგას" ვერ იტყოდნენ მხარეზე, ქვეყანაზე. ამგვარ გამოთქმებს იტყვიან ქალაქზე. ამბობენ: ეს ქალაქი კარგ ადგილზე დგას, ეს ემფორიონი ფაზისზე დგას, მაგრამ არ იტყვიან: კოლხეთი დგას, ან სკვითია დგას. ამრიგად, ამ შემთხვევაში ლაპარაკია აია ქალაქზე. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს აია მხოლოდ ქალაქს ეწოდებოდა და მხარეს კი არა. პირიქით, ჩვენი აზრით, ქ. აია ისე ძლიერი ყოფილა, რომ ხშირად კოლხეთს აია-კოლხეთს, ანუ აიას კოლხეთს ეძახდნენ. ამაზე მიგვითითებს დღეს მრავალ მეგრულ გვარში შერჩენილი ელემენტი აია: ბარკალ-აია, ცომ-აია, ჭილ-აია, ბასილ-აია და მრავალი სხვა, რომელთა მიხედვითაც ვასკვნით, რომ აია მხარესაც ერქვა. ეს გვარები კი სწორედ ისეა ნაწარმოები, როგორც მაგ., წერეთელი, მაჩაბ-ელი. ელი ნიშნავს წარმომავლობას, ასევე აია ნიშნავდა გვარებში იმას, რომ ეს გვარი აიას მხარეს ეკუთვნოდა. ამასთანავე ქ. აია და აია მხარეს ერთნაირი სახელწოდება სახელდების კოლხურ წესზე მიუთითებს. მეგრელები თბილისსაც და ქართლსაც დღესაც ქართ-ს ეძახიან (აკ. ურუშაძე).

ქ. აიას სხვა ცნობაც ახსენებს. სტრაბონი წერს: „ფაზისთან ხომ მიგვასწავლიან ქ. აიას".[42] აქვე ჩვენი მოსაზრებისთვის საინტერესოა, რომ კარიანდელი 180 სტადიონზე მდებარე დიდ ბარბაროსულ ქალაქს აღნიშნავს და იქვე ზღვის პირას მდგარ ქ. აიაზე არაფერს ამბობს. პლინიუსი კი, პირიქით, აიას ახსენებს, ხოლო დაკარგულ ფაზისზე დუმს. როგორ დავადგინოთ აქ ორ ქალაქთან გვაქვს საქმე თუ ერთთან?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პრობლემას ორგვარ ახსნას უძებნიან. ჩვენ საკმაო მოსაზრებები გამოვთქვით ამ საკითხზე. აქ უნდა ვთქვათ შემდეგი: რომ მიზანშეწონილება მოითხოვს ვაღიაროთ, აია ქვეყანაცაა და ქალაქიც. თანაც აია ქვეყანას ქალაქის გაძლიერების შემდეგ უნდა შერქმეოდა.

ზოგიერთი ცნობით, აია ზღაპრული ქალაქია, მითიური, არარსებული ქალაქი. ეს აზრი კატეგორიულად უარსაყოფია შემდეგი მოსაზრების გამო. ფანტასტიკურობის საბურველში აია გახვია იმ გარემოებამ, რომ როცა ბერძნული ემფორიონი დაარსდა აქ, მაშინ დაიკარგა იგი ისტორიულ წყაროებში, როგორც რეალურად არსებული ქალაქი, ხოლო, როცა აღდგა, უკვე არსებობდნენ სხვა ძლიერი ქალაქები, რომელთა შორის ფაზის II იყო უმშვენიერესი. ამ უკანასკნელისათვის კონკურენციის გაწევა აია ქალაქს უკვე აღარ შეეძლო. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ აია ქალაქს იმ დროისათვის, როცა იგი ფაზისად იწოდებოდა, თავისი დიდება საერთაშორისო ასპარეზზე გაჰქონდა როგორც ფაზისის დიდება. ეს უკანასკნელი თან წაილო ზღვამ 22 კმ-ზე, იქ სადაც აღმოცენდა ფაზისი II. ამის გარდა, საერთაშორისო ბაზარზე აია დაჩრდილა მეორე ქალაქ ფაზისის, ემფორიონის აღმავალმა ძლიერებამ.

ასეთია ძველი ქალაქების — აიასა და ფაზის I-ის ურთიერთობათა ისტორია, რომელიც ზემოთ დასახელებულ მწერალთა ცნობებში დღემდე გაუხსნელი რჩებოდა.

**როგორ მოვძებნოთ ქალაქი აია?** მკითხველი შენიშნავდა, რომ ჩვენ ვეძებთ პლინიუსის დაკარგულ ქალაქს, რომელიც მან თავდაპირველად სულორში გვიჩვენა. სად არის დღეს ეს ქალაქი?

ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ახლახან აღმოჩენილი ძველისძველი უცნობი ქალაქი — ბერძნული, ეგვიპტური, კოლხური ძეგლებითა და განძეულობით სავსე. დიდი ხნის დაკარგული და ახლახან აღმოჩენილი ქალაქი ერთ ადგილზე, ერთი სოფლის ფარგლებში ძევს სულორსა და ვანში.

იბადება კითხვა, ხომ არ არის ვანში აღმოჩენილი ძველი ქალაქი, ისტორიულად სულორში დაკარგული „აია" ქალაქი?

ასეთი აზრი დაებადება ყველას, ვინც ამ ნაშრომის რეალიებს მკაცრად ჩაუკვირდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აია-ფაზისი-ვანი — ესენი ერთი და იმავე ქალაქის სხვადასხვა დროის სახელებია. ამასთანავე აია-ვანი ტერიტორიულად ერთმანეთს ემთხვევა. ჰიპოთეზა— „აია-ვანი" თავისთავად ახალი არ არის. იგი ხშირად იყო გამოთქმული ცალკეული „მიხვედრების" სახით. სამიოდე წლის წინათ წერილიც დაიწერა,[43] მაგრამ ამ ჰიპოთეზის მეცნიერული არგუმენტაციისათვის საბუთები არ მოგვეპოვებოდა, ხოლო ა. როდოსელის ცნობებით აია ქალაქის ლოკალიზება მიუღწეველია, რადგანაც III საუკუნის პოეტს აპოლონ როდოსელს ძვ. წ. XIV საუკუნის ქალაქი ნახული არ ექნებოდა, ხოლო III ს-ში ზღვა დღევანდელ პატარა ფოთში მაინც იქნებოდა და იქიდან გაძაზომილი 22 კმ სულორს ვერ მისწვდებოდა. ასე რომ, ა. როდოსელისეული რეკოგნოსცირებით აია ქალაქის ლოკალიზაცია შეუძლებელი და მიუღწეველი იქნებოდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აია და ფაზისი I შესაძლებელია ტერიტორიულად არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ეს უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ პორტი ფაზისი მდინარეზე მდებარეობდა, ხოლო აია, შესაძლებელია, ძირითადად სადმე მაღლობ ადგილზე ყოფილიყო გაშენებული. ყოველივე ეს ხელს როდი უშლიდათ აია, ისევე როგორც მისი პორტი, მოენათლათ ფაზისად, მდინარის სახელის მიხედვით, მაგრამ ამ ორ ერთეულს მაინც უნდა ჰქონოდა რაღაც სადემარკაციო ხაზი. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ ცნობები: „Около фасиса показывают город Эю" (გვ. 53, სტრაბონი), ასევე ქართულ თარგმანშიც „აიას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფაზისთან") სტრაბონის გეოგრაფიის თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანი, გვ. 70. 2. 39). ამ გამოთქმებში ისიცაა საყურადღებო, რომ აია აქ ქალაქადაა მიჩნეული და არა მხარედ. ასევე ქალაქია ფაზისიც „φασιν Πolis" (იხ. იქვე, გვ. 70).

სტრაბონის რუსული წიგნის რედაქტორი ასეთ ახსნას აძლევს აიას: Эя, город на реке Фазис, в Колхиде". (სტრაბონი, გვ. 941). ეს კომენტარი არცთუ ისე ნათელი და უშეცდომოა. აია ზედ მდინარეზე კი არ არსებულა, არამედ მდ. ფაზისზე არსებულ ქ. ფაზისთან ახლოს. ახლოს როდი ნიშნავს, რომ აია ზედ მდ. ფაზისზე მდებარეობდა.

სავარაუდებელია, რომ აია-ფაზისს ეკავა დიდი ტერიტორია და გარკვეულად ახლოს მდინარე ფაზისთან იყო პორტი-ფაზისი, ხოლო აია — უფრო მოშორებით იდგა მდინარისაგან. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნათელია — აია-ქალაქი უნდა მოიძებნოს ფაზის I-ის ახლოს, მდინარისაგან მოშორებით.

**კოლხეთის უბის დაშრობის თარიღების ზღვრები.** ამჟამად ჩვენს ხელში არსებული მასალის მიხედვით ძნელი სათქმელია თუ როდის დაიწყო ზღვის დონის დაცემა, ზღვის უკანსვლა და კოლხეთის უბის დაშრობა. ზოგი მწერლის (სტრაბონი, პომპონიუსი, პტოლემაიოსი და სხვ.) ცნობებით ვიცით, რომ სანაპირო ხაზი, პირველ საუკუნეებში ჩვ.წელთაღრიცხვისა, დღევანდელი ფოთის მერიდიანიდან 5-7 კმ-ზე აღმოსავლეთით იდგა, ამრიგად, სანაპირო ხაზი დაახლოებით ემთხვეოდა დღევანდელ სანაპირო ხაზს. სანაპირო ხაზის მეტი სიზუსტით ძიებას ჩვენთვის ამჟამად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა და უახლოეს ზღვრად უბის ამოვსებისა შეიძლება პირველი საუკუნეები იქნეს მიღებული (I-I სს).

რაც შეეხება ზედა ზღვარს, ანუ იმ თარიღს, რომლის დროსაც უბე იწყებდა დაშრობას — აქ გვესახება რამდენიმე შესაძლებლობა. თუ კარიანდელის ცნობას კარიანდელის დროის ცნობად მივიღებთ, მაშინ უბე ძვ. წ-ით 350 წლებში ისევ სულორში მდგარა. მას დაშრობა 2,5 საუკუნეში მოუსწრია ე. ი. მატერიკს წელიწადში საშუალოდ 260 მეტრი მოუმატებია და საუკუნეში ზღვის დონე 16 მეტრამდე დაცემულა. ასეთი ტემპებით ზღვის უკუქცევა უთუოდ მიიპყრობდა ადგილობრივ და უცხოელ გეოგრაფთა და ისტორიკოსთა ყურადღებას და მათგან უთუოდ რაიმე ცნობები დარჩებოდა, მაგრამ ამგვარი ცნობა არსად არ მოიპოვება. საერთოდ, ასეთი რამ წარმოუდგენელია ფიზიკურად და მას არც ჰიდროლოგიური ანალოგია მოეძებნება. ამრიგად, ამგვარი უკუქცევა ზღვისა გაუმართლებლად გვეჩვენება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზღვის უკუქცევა გაცილებით ნელი ტემპით ხდებოდა.

ზღვას რომ ასე სწრაფად არ დაუწევია, ამის დასამოწმებლად შეიძლება პინდარეს (522-442) ცნობა მოვიტანოთ (ВДИ—1947, № 1, გვ. 313. სლ. ოდ. XII—376/211). იგი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთი მდიდარი, გართობის მოყვარული პირი — აგროსის ტირანის ძმა — კსენოკრატე დასასვენებლად და დროს სატარებლად „...ზაფხულობით ფაზისისაკენ მიცურავდა და ზამთრობით კი ნილოსის ნაპირებისკენო..." (ნავკრატისისკენო). ეს ცნობა გვაძლევს კოლხეთის უბის არსებობის გასაღებსა და თარიღს.

თუ ამ დროისათვის, ე. ი. VI ს-ში ძვ. წ. აღ-ით, ზღვა უკვე ფოთთან იდგა, ხოლო ჭაობიანი და ტბორებიანი მისი მიდამოები ციებასა და მალარიას ავრცელებდა, და ეს მეტად იგრძ-

ნობოდა ზაფხულის ხაშმიან კოლხეთში, მაშინ ქსენოკრატე რაღად მივიდოდა დასასვენებლად ასეთ ფაზისზე, ასეთ კოლხეთში? მაგრამ ამ დროისათვის ზღვა სულორთან უნდა მდგარიყო, ხოლო სულორთან მდგარი ზღვა და აქვე ახლოს ტყიანი მთები, მართლაც რომ შესანიშნავ ჰავას შექმნიდა. დღეს მეცნიერულადაა დამტკიცებული, რომ მაღალმთიან კურორტებს შორის ბ ა ხ მ ა რ ო ს ჰ ა ვ ა საუკეთესო ჰავას წარმოადგენს, რადგანაც აქ ყველაზე მეტადაა შეზავებული მთის წიწვიანი ტყეების ჰაერი და შავი ზღვის ჰაეროვანი მასები. საფიქრებელია, რომ VI საუკუნეში სწორედ ამგვარი ჰავა გვექნებოდა სულორთან და მის ახლომახლო რაიონებში. აქვე უხვად იქნებოდა ხოხობი („ფასიანუს“ ბერძნულად) და სხვა, რომლებზე სანადიროდაც, ალბათ, ხშირად დადიოდა დროსტარების მოყვარული კსენოკრატე.

ამრიგად, სავარაუდებელია, რომ (ძვ. წ.) 470-450 წლებში, კოლხეთის უბის სანაპირო ხაზი ჯერ ისევ სულორში ან მასთან ახლოს მაინც დგას. ამრიგად, შეიძლება მივიღოთ, რომ უბის დაშრობა ამ ხანებში სავარაუდებელი არაა; რა დროა ეს უფრო ზუსტად? ცნობას გადმოგვცემს პინდარე (522-442). მწერლის მიერ გამოყენებული ზმნა „მიცურავდა“ წარსულშია, ე. ი. კსენოკრატე 500 (ძვ. წ.) წლამდე არსებული პირი ჩანს, წინაამდეგ შემთხვევაში პინდარე იტყოდა მიცურავსო და არა მიცურავდაო. ასე რომ (ძვ. წ.) V საუკუნეში ზღვა ისევ სულორთან ან მის ახლოს დგას და არსებობს უბე.

ინტერესს მოკლებული არ არის ვიცოდეთ ჰიპოთეზები კოლხეთის უბის არსებობის შესახებ. ზოგიერთი გეოლოგი უბის არსებობას მიაწერს III, II ათასწლეულებს (მაგ. დოც. გუჯაბიძე). ზოგს ეს პერიოდი უფრო შორს (VIII-VII ათასწლეულები) გადააქვს. ვინაიდან ჩვენ შორეულ ეპოქებს არ ვიკვლევთ და ვკმაყოფილდებით III და II ათასწლეულებს აქეთ მომხდარი ამბებით, ამიტომ პირობითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უბე არსებობდა უხსოვარი დროიდან, ძვ. წ. აღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეხუთე-მეოთხე საუკუნემდე, რომლის შემდეგაც მას დაუწყია დაშრობა და ეს პროცესი პირველ საუკუნემდე დასრულებულა.

**რას გვიამბობს ასურული წარწერები პრიზმული ქვის სტელებზე.** ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომი „შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში“, სადაც მოხსენებულია ასურეთის მეფეების ტიგლეათფილისერი I-ის (1115-1077) და თუქულთი-ნინურტასის (1245-1209) და სხვათა მიერ წარმოებული ომების აღწერა. აღწერა ამოკვეთილია პრიზმული ქვის სტელებზე; წარწერა ლურსმულია. ტექსტში რამდენჯერმეა მოხსენებული „ზედა ზღვა“, „დიდი ზღვა“ და „კოლხები“ (gil–hi), ანუ კოლხების გაერთიანება, რომელიც დ ა ი ა ნ ე ლ თ ა და ნ ა ი რ ი ს ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე ე ბ ა დ გ ა მ ო დ ი ო დ ა ა ს უ რ ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. დღეს გარკვეულია, „ზედა ზღვა“ ან „დიდი ზღვა“ ასურელთათვის შავი ზღვაა. ხოლო ამ ხსენებულ ომში ასურელებს დაუსწრიათ თავდასხმა და გაუმარჯვნიათ: კოლხთა ჯარებს ომისთვის ვერ მოუსწრიათ, ვერ მიშველებიან მოკავშირეებს და უკან გამობრუნებულან; გამარჯვებულ ასურთა მეფეს ეულად დარჩენილი და გვიან გამოცხადებული კოლხთა ჯარისათვის „ზედა ზღვამდე“ ანუ „დიდ ზღვამდე“ უდევნია.

ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია ის, რასაც ქვაზე ამოკვეთილი დოკუმენტი გვიმტკიცებს: კერძოდ, მეცამეტე საუკუნეში, ანუ II ათასწლეულში შავი ზღვის ნაპირზე კოლხთა ტომების გაერთიანება არსებულა, როგორც მკვიდრი მოსახლეობა, ხოლო მათ გარკვეული ურთიერთობა ჰქონიათ მეზობელ ხალხებთან. კოლხები თურმე აქტიურ როლს თამაშობდნენ სამხედრო მოქმედებათა ამ თეატრზე (Театр военных действий.

რაც შეეხება იმას, თუ ასურელთათვის რომელი ზღვაა ზედა ან დიდი ზღვა, ამ მხრივ, ის შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის აუზის ზემოთ ასურელებს არასოდეს მიუღწევიათ. ეს იყო მათთვის ყველაზე ზედა მხარე. ამრიგად, მტკიცდება, რომ კოლხები უკვე XIII საუკუნეში ყოფილან აქაური მკვიდრნი. ეს ფაქტი საბოლოოდ სპობს ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც აშენებულია ზოგიერთი ძველი მწერლის ბუნდოვან და არაზუსტ ცნობაზე. თითქოს კოლხები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ადგილებში. მწერალთაგან ბევრმა არც კი იცოდა, სად იყო სკვითია და სად კოლხეთი. ზოგიც ვერ არჩევდა აღმოსავლეთს ჩრდილო-აღმოსავლეთისაგან.

ამრიგად, ასურული წარწერები კიდევ ერთ ურყევ კოორდინატს იძლევა თარიღის საკითხში. მართალია, ეს თარიღი ეხება კოლხთა არსებობას XIII საუკუნეში შავი ზღვის აუზში, მაგრამ კოლხეთი, კოლხები და კოლხეთის უბე ხომ ერთმანეთს ავსებენ და ამდენად ამ საკითხის გაშუქება გარკვეულად გვაახლოებს უბის გარშემო დასახლებულ კოლხთა ისტორიასთან XIII ს-ში ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

**არგონავტიკა, როგორც პონტოს აღმოსავლეთ კიდემდე პირველი მიღწევის ისტორია და თარიღები.** ხშირად, კოლხეთის ისტორიის ძირითად და მეორეხარისხოვან მომენტებს არგონავტების თქმულებებიდან ჰკრეფდნენ. კოლხეთის ისტორია არგონავტების თქმულების რეალიებზე იყო დამოკიდებული. ხოლო არგონავტიკა ხშირად მითიურ-ფანტასტიკურ თქმულებადაც იყო მიჩნეული და ამიტომაც კოლხეთის ისტორიის საკითხებიც — მითიურ-ფანტასტიკური და დაუჯერებელი ეჩვენებოდა ყველას. ზოგი მეცნიერი მასში რეალურობის მარცვლებსაც კი ვერ

ხედავდა: „უგუნურება იქნებოდა მოგვენდომებინა აიას გეოგრაფიულად დადგენაო“ (ზეელიგერი, არგონავტები და არგონავტთა თქმულება, იხ. აკ. ურუშაძე, გვ. 8). თუმცა ამის საპირისპირო აზრებიც არაერთხელ გამოთქმულა. ამ მხრივ თქმულების რეალურ საფუძველს თავგამოდებით იცავენ სტრაბონი და სხვანი.

დღესდღეობით მდგომარეობა შეიცვალა. კოლხეთის ისტორიისათვის მეტად ფასეული არქეოლოგიური და ისტორიული მასალები იქნა მოპოვებული და ამან სრულიად სხვაგვარი შუქით გაანათა არგონავტიკის ცალკეული ეპიზოდები. არგონავტების კოლხეთში მოგზაურობას მყარი და მეცნიერული საფუძვლები უფრო და უფრო ემატება.

ამ მხრივ საგულისხმო ისაა, თუ არგონავტიკაში მოცემული კოლხეთის უბის აღწერილობა როგორ ემთხვევა კარიანდელის, პომპონიუსის, პლინიუსისა და სხვათა ცნობებს. ამ დამთხვევების შემდეგ ძნელია იმის მტკიცება, თითქოს არგონავტთა ამბავი მითია და მეტი არაფერიო. არგონავტების თქმულებით კი აია-კოლხეთში ან უფრო ზუსტად აია-სულორში ბერძენ მეზღვაურთა პირველი ჩასვლა მომხდარა მეთოთხმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯნაზე. ეს დათარიღება დამაჯერებელი კოორდინატებითაა დამტკიცებული. ასეთებია: ტროელთა და აქაველთა ომის თარიღი, ანუ ომი ბოსფორ-ჰელესპონტის (დარდანელი) სრუტეებზე ბატონობისათვის (1240 წ.) მეცნიერები თვლიან, რომ ტროას ომში მონაწილე გმირები არგონავტების შვილები და შვილიშვილები არიან; არგონავტების მეორე თაობა, უდრის 1240+2X30 წ.= 1300 წ.

ამრიგად, არგოს მოგზაურობა და მისი თარიღიც ცნობილი ხდება.

რაც შეეხება თქმულების ზოგიერთ, თითქოსდა მითიურ ელემენტს, აქ ის შეიძლება ვთქვათ, რომ ბევრი მათგანი მითიური არც არის სწორი გააზრების შემთხვევაში. ავიღოთ *სპილენძის ჩლიქებიანი ხარი*. საერთოდ, ეს ელემენტი ფანტასტიკის მარცვალსაც კი არ შეიცავს. საქმე ისაა, რომ არც ერთ ზღაპრულ თუ ფანტასტიკურ ამბავში არ გვხვდება სპილენძის ჩლიქებიანი ხარი. მაშ, არგონავტთა თითქოს რეალურ მგზავრობაში რატომ შევიდა იგი? ბერძენი მეზღვაურები, რომლებიც უცხო ქვეყანაში მოვიდნენ, იმ დროისათვის არ იცნობდნენ სპილენძის გამოყენებას ხარების ნალებისათვის. შესაძლებელია საბერძნეთში სპილენძის დამუშავება უფრო დაბალ დონეზე იდგა, ან, ყოველ შემთხვევაში, ხარებს იქ არ ჰედავდნენ სპილენძით. აქ კი მათ თვალში სპილენძის ჩლიქებიანმა ხარებმა ფანტასტიკური სამოსელი შეისხა.

ასევე რკინის ან ბრინჯაოს გუთანი და სახნისი ხომ შეიძლებოდა პირველად ენახათ განცვიფრებულ ბერძნებს?

ამგვარად უნდა აიხსნას ისიც, რომ კოლხეთის უბის კონკრეტული აღწერილობა, რომელიც აპოლონ როდოსელს არ უნახავს, წარმოადგენს ნამდვილად არსებული უბის რეალურ აღწერილობას, შეთვისებულს არგონავტიკის ავტორის მიერ ხალხური თქმულებიდან და დამოწმებულს სხვა ბერძენ მწერალთა მიერ.

საფიქრებელია, რომ ასეთ შორ მანძილზე პირველად მოწყობილმა უთუოდ დიდმა ბერძნულმა ექსპედიციამ, ზღაპრული და ლეგენდარული სახე მიიღო შემდეგ ხალხის წარმოდგენაში. იმიტომ, რომ იგი ჩაწვდა ხალხის გულსა და სულს, როგორც პირველი, ძნელი და შორეული მგზავრობა დიდი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირებისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგ მეცნიერს მიაჩნია, თითქოს ბერძნები რამდენიმე ხომალდით მოგზაურობდნენ და არა ერთით. ეს არსებითი მნიშვნელობის ფაქტი არ არის ბერძენთა პირველი ნავიგაციის ისტორიისათვის. თუმცა, შესაძლებელია, ასეთი რამ მართლაც მომხდარიყო. მაგრამ ეს მით არის საყურადღებო, რომ ხალხს სჯერა, სწამს, არგონავტების მიერ კოლხეთის მოვლა.

რაც შეეხება არგონავტთა უკან დაბრუნების მარშრუტებს, ეს უკვე შემდეგი საუკუნეების პოეტების არამეცნიერული, თავისუფალი ფანტაზიის ვერსიებია, რომლებიც იქმნებოდა მომდევნო საუკუნეებში, ბერძნების ნავიგაციის განვითარების შესაბამისად და მას ხალხურ არგონავტიკასთან საერთო არაფერი აქვს. რატომ გვგონია ასე? იმიტომ, რომ ისტრით დაბრუნება ან ვოლგით ჩრდილოეთზე შემოვლა გიბრალტარზე, ტრიტონზე და სხვა ამგვარი შეუძლებელი მარშრუტების წამოყენება შეეძლოთ მხოლოდ გეოგრაფიის სრულებით უცოდინარ ხალხს, რასაც ჩვენ ბერძენ ხალხს ვერ დავწამებთ და ვერც შევკადრებთ. აპოლონ როდოსელს ყველაფერი შეუკრებია, რაც მართალი და ჭორი გაუგონია, მაგრამ, ალბათ, ასე სჯობდა, ვიდრე რამე დაეკარგა მომავალი თაობებისათვის.

**ბერძნული ელემენტი კოლხეთის ქალაქებში და ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის თარი**ღები ნიშნავს თუ არა ემფორიონის დაარსება რომელიმე ქალაქში ბერძნების იქ შესვლის თარიღს?

ემფორიონების, როგორც სავაჭრო ორგანიზაციების ჩამოყალიბება შედეგია კოლონიზაციის ერთ-ერთ სტაბილურ ფაზაში შესვლისა და იმდენად გაძლიერებისა, რომ უკვე კომერციული მოსაზრებები მოითხოვენ კოლონიელთა ერთგვარ ურთიერთგაგებას, რაც მათ კავშირსა და შეთანხმებებში ვლინდება. კოლონიათა კოორდინაციის საკითხი შეიძლებოდა წამოჭრილიყო მხოლოდ საკმაო პერიოდის განვლის შემდეგ, კოლონიების მასიურად გავრცელების შე-

დეგად. სავაჭრო ორგანიზაციების ჩამოყალიბება უნდა დაწყებულიყო გვიან, ვიდრე ერთეული კოლონიების აღმოცენება, როდესაც მათი მისწრაფებები უნებლიედ ერთმანეთის მოქმედებებში გადაიზრდებოდნენ და საჭირო გახდებოდა კომერციული რეგულირება.

ამრიგად, ემფორიონის გახსნა ფაზისში არ ნიშნავს ბერძნების იქ შესვლის თარიღს, ისინი შესაძლებელია საუკუნეებით ადრე ყოფილიყვნენ ჩასული ფაზისში და შეგუებული იქაურ გარემოს. აქედან გამომდინარე, ბერძნების გამოჩენა ფაზისში და აია დედაქალაქში გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე თემისტაგორა მილეტელი დააარსებდა ქ. ფაზისში ემფორიონს შეიძლებოდა გვეთქვა, რომ არგონავტთა ექსპედიციას კოლხეთში ჰქონდა თავისი ნავიგაციური პრელუდიები ცალკეული ან ჯგუფური ჩასვლებისა კოლხეთში სახმელეთო გზით. საფიქრებელია, რომ ამგვარმა მოგზაურებმა ჩამოიტანეს კოლხეთის ლეგენდარული ამბების ცნობა საბერძნეთში და ამის გამო მოხდა არგონავტთა გაგზავნაც.

საფიქრებელია, რომ ქ. ა ი ა ს სახელს ჯერ კიდევ არგონავტთა წინამორბედი მოგზაურები ჩაიტანდნენ ფ ა ზ ი ს ი ს ფორმით საბერძნეთში. რის შემდეგაც აია მოინათლებოდა ფასის სახელწოდებით, ამავე სახელის მდინარის მიხედვით. ამრიგად, ქ. ფაზისის, როგორც ბერძნული ემფორიონის დაარსება, ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას, თითქოს ამ ხნიდან იწყება ქართველ-ბერძენთა შორის ურთიერთობა.

ჩვენ ვიცით, თუ როდის დააარსდა ქ. მილეტი. ეს კი ზოგიერთ მეცნიერს საშუალებას აძლევს მიახლოებით განსაზღვროს ქ. ფაზისის დაარსების დროც.

მილეტი დააარსდა 1087 წ. ძვ. წ. აღრიცხვით, ე. ი. II ათასწლეულში, მის დასასრულს. ამრიგად, სულორთან ქ. ფაზისის არსებობის დასაწყისს ამაზე ადრე არ ფიქრობენ (სვიდას ქრონიკის მიხედვით).

საყურადღებოა, რომ ყველა ძირითადი თუ მეორეხარისხოვანი ცნობა, რომლებიც კოლხეთს შეეხება, II და I ათასწლეულების ცნობებს იძლევიან. ასე, მაგალითად, სხვადასხვა გადმოცემით, ჯერ კიდევ ადრეულ ხანებში, კოლხეთში აეტის მამას უმეფია (I). მას ჩვილი ბავშვები: აეტი და კირკე, საბერძნეთში დაუტოვებია, თვით კი ტახტის მისაღებად კოლხეთში წამოსულა. როცა აეტი დავაჟკაცებულა, ისიც კოლხეთში წასულა. შემდეგ მას იქ კოლხთა მეფედ ვხედავთ. აეტის მამის გამეფების წინ, საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობას, ალბათ, ორი-სამი თაობის ისტორია მაინც ექნებოდა.

ამრიგად, თუ არგონავტთა ლაშქრობას მე-14 საუკუნის ძეგლად მივიღებთ, მაშინ მას უნდა დაემატოს აეტის წლოვანება პლუს მისი მამას წლოვანება მაინც. ამის მიხედვით კი ბერძენ-კოლხთა ურთიერთობა კიდევ უფრო შორეულ ხანაში გადაიწევს, ძვ. წ. მე-15, მე-16 საუკუნეებში. ასე რომ ფაზისის დაარსება შესაძლოა კიდეც უსწრებდა ქ. მილეთის გახსნას.

ბერძნული ელემენტი ხშირად ნაკლები იყო ქართულ ელემენტზე ამა თუ იმ ქალაქში. ამიტომაც ამ ქალაქებს ერქვათ ქართული სახელწოდებები. მაგრამ მაშინ, როცა ამა თუ იმ ქალაქში ბერძნები ხსნიდნენ ემფორიონებს, მათ ბერძნული მისამართი სჭირდებოდათ და ქალაქებს ეძლეოდათ ბერძნული დასახელება. ვფიქრობთ, ამის მაგალითებია ბერძნულ-ქართულ დასახლებათა მონაცვლეობა (არქეოპოლისი — ნაქალაქევი, როდოპოლისი—ვარდციხე), შერწყმა (პალიასტომბი→პალიასტომი=ძველი ტბა. სადაც ძ ვ ე ლ ი (პალიას) ბერძნულია, ტომბი (ტბა) კი ქართველური და ა. შ.

ბერძნების კოლხეთში არსებობას ყოველთვის როდი შეეძლო გამოეწვია ქალაქთა ელინიზაცია. ამას ამტკიცებს ჰეროდოტეს ერთი ცნობა, რომელიც ტროელთა ომამდელ ხანას შეეხება:

„...ომის შემდეგ ელინები (სპარსელთა სიტყვით) გახდნენ დამნაშავენი მეორე უსამართლობაში, ვინაიდან მისცურეს რა გრძელ ხომალდზე კოლხეთის ე ი ა შ ი და მდ. ფაზისთან მათ შეასრულეს რა ყოველი საქმენი, რის გულისათვის მოვიდნენ აქ, და მოიტაცეს იქიდან მეფის ასული მედეა, კოლხთა მეფემ გაგზავნა ელადაში მოენენი და მოითხოვა დაკმაყოფილება ქალიშვილის მოტაცებისათვის და მისი უკან დაბრუნება, მაგრამ ელინებმა ამაზე უპასუხეს, რომ იმათაც არ დააკმაყოფილეს ელინები, აგრეთვე იოს მოტაცებისათვის. ამის გამო არც ჩვენ მოგცემთ თქვენი სარჩელის დაკმაყოფილებასო“[45].

როგორც ვხედავთ, ქ. ეია იხსენიება როგორც დედაქალაქი, რომელიც ამ ცნობის მიხედვით სრულებითაც არაა ელინიზებული, როგორც ფორმით ისე შემადგენლობით. ხოლო ქ. ფაზისი აქ სრულებითაც არ იხსენიება. ვფიქრობთ, ჰეროდოტეს ეს ცნობა ეკუთვნის იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს ემფორიონები და არც ქ. ფაზისი ელინური სახით, მილეტელის მიერ ჩამოყალიბებული ემფორიონით. ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის ამ ეტაპსა და ფონზე ხელთ გვრჩება წმინდა კოლხური ქალაქი ეია, რომელიც დომინირებს დედაქალაქივით.

ამრიგად. კოლხებს როგორც ადგილობრივ მობინადრეებს, ჰქონიათ თავიანთი ქალაქები; მხოლოდ ბერძენი კოლონიზატორების იქ ჩასვლის შემდეგ ეწოდა ზოგიერთ მათგანს „ელინიზებური“, საფიქრებელია, — იქ, სადაც მოაწყვეს სავაჭრო წერტები.

**ცნობების შეფასება გეოლოგიურ-არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე.** თავისთავად ინტერესს ჰბადებს, ის, თუ როგორ დამოკიდებულებაში აღმოჩნდება კოლხეთის ყურის შესახებ მოცემული ცნობები იმ მასალებთან, რომლებიც მოპოვებულია გეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მიერ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ისტორიული გეოგრაფია პრინციპში ეთანხმება იმ თვალსაზრისს, რომ კოლხეთის უბე არსებობდა. ამრიგად, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ძველ მწერალთა ცნობების სისწორე განმტკიცებულია. რაც შეეხება გეოლოგიურ თვალსაზრისს, იგი შეუძლებლად არ თვლის კოლხეთის უბის არსებობას (აკად. პ. გამყრელიძე). იგი მას მიაჩნია შესაძლო და ჩვეულებრივ მოვლენად. ამრიგად, ამ ორი მეცნიერული დარგის თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება ისტორიული და ფილოლოგიური ცნობების მონაცემებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ არქეოლოგიურ მონაცემთა გათვალისწინება.

საქართველოს არქეოლოგიას ამ უბის მდებარეობის ფარგლებში ნაწარმოები აქვს ზოგიერთი გათხრა და გამოტანილი აქვს დასკვნები. როგორ ურთიერთობაშია ეს დასკვნები კოლხეთის უბის არსებობის თვალსაზრისთან? უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპულად არქეოლოგიური მონაცემებიც არ ეწინააღმდეგება მწერალთა ცნობებით აღდგენილ კოლხეთის უბეს. მაგრამ ეს ძირითადი მონაცემებით. ზოგიერთი მეორეხარისხოვანი არქეოლოგიური მონაცემი კი არსებით როლს ვერ თამაშობენ უბის არსებობის წინააღმდეგ. ძირითადი მონაცემები კი უნდა ეთანხმებოდნენ თვალსაზრისს, რომ იმ ისტორიული ხანის მონაკვეთზე, რომელსაც ჩვენ ვეხებით, კოლხეთის დაბლობის ფარგლებში 2-3 ათას კვ. კმ-ზე. +30 ჰორიზონტალს დაბლა მაინც ძველი ძეგლების აღმოჩენა (რომელიც შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეზე ადრეული თარიღით) გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

ამ ფართობის ფარგლებში არ არსებობს იმის შემდეგდროინდელი (რაიმე ნაგებობანი, ძეგლები ან ნანგრევები), რაც აქედან ზღვა უკუქცა. მით უმეტეს, კატეგორიულად შეუძლებელია ძიება რაიმე ძველი ძეგლებისა, ჩვენი წელთაღრიცხვის ადრეულ დროს რომ ეხმაურებოდეს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დღევანდელი ფოთის ზღვისპირი უახლესი წარმონაქმნია. დღევანდელი ფოთიდან მეათე-მეთხუთმეტე კილომეტრზე ჯერ კიდევ ჩვენს ხანაში ზღვა იდგა. აქ მხოლოდ შეიძლება შევხვდეთ საზღვაო პორტისათვის საჭირო ნივთები და ნაგებობანი უახლესი დროისა, რაც შეეხება კულტურულ ფენებს: მიწამწვარს, ნახშირს, ნაცარს, თიხის ნატეხებს და სხვათ, ზღვა მიმოაბნევს განუსაზღვრელ მანძილზე. ამდენად იგი ყველგან შეიძლება აღმოჩნდეს. ამას გარდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უბეს, მით უმეტეს, კავკასიის კოლხეთის უბეს, უთუოდ ექნებოდა კუნძულები, სადაც კოლხები სათევზაოდ ან სანადიროდ მიდიოდნენ, მწყემსები ცეცხლს ანთებდნენ და სხვადასხვა ნივთებს მიმოაბნევდნენ. ასეთი კულტურული ფენები შესაძლებელია ამ ფართობში მართლაც მოინახოს, მაგრამ რაიმე სერიოზული ნაგებობის ნაშთების აღმოჩენა აქ შეუძლებელია. დღესაც კი, ე. ი. მას შემდეგაც, რაც ასე დიდი მუშაობა სწარმოებს კოლხეთის ჭაობების დასაშრობად, +20 და +30 ჰორიზონტალზე ადგილები მასიურადაა დაუსახლებელი. ეს ფართობი თავისი დაუსახლებლობით ნათელ კუნძულს წააგავს, ირგვლივ შემოჯარულ დასახლებათა და სახელწოდებათა ზღვაში.

ახლა გადავიდეთ არქეოლოგიურ მონაპოვართა დისლოკაციის საკითხზე. არქეოლოგიურ მონაპოვართა მასალები მოგვაქვს ოთ. ლორთქიფანიძის წიგნიდან46.

კოლხეთის დაბლობზე, მალთაკთან აღმოჩენილია ძვ. წ. აღრიცხვით VI საუკუნის ქვასამარხი, ბანოჯასთან ძვ. წ. აღრიცხვის VIII-VII საუკუნეთა კულტურული ფენები, ჭოგნართან ადრე ანტიკური და ელინური ხანის კულტურული ფენები, კუტაიის ტერიტორიაზე ძვ. წ. აღრიცხვის VI-V საუკუნეთა ორმოსამარხები, გაბაშვილის გორაზე VIII-VI საუკუნეთა კულტურული ფენები. ვანში — VI-V საუკუნეთა ძეგლები. ასევე მთის ძირში, ბუკნარში და ჩაქვში კულტურული ფენებია აღმოჩენილი, ტრაპეზუნდში 757-756 წლების ძეგლები. ყველა ეს ადგილი მდებარეობს ზღვის დონიდან 50-80 მ. სიმაღლეზე ზევით. ამასთანავე, არც ერთი მათგანი არ ხვდება +30 ჰორიზონტალს დაბლა და შიგნით. ამრიგად, ჩვენი არქეოლოგიის ძირითადი და საამაყო აღმოჩენები წრეს არტყამენ ჩვენს უბეს და მის ფარგლებში არ შედიან. სწორედ ამიტომაც არის, რომ ო. ლორთქიფანიძე ასე აცხადებს თავის წიგნში „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“ (1966):

„შავი ზღვის კოლხიდურ სანაპიროზე VI-IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე, როგორც უკვე აღინიშნა, სრულებით ვერ ვნახულობთ ვერავითარ ნიშნებს იმ ცვლილებებისა ადგილობრივ მცხოვრებლებში, რომლებიც საზოგადოდ თან ახლავს ბერძნული კოლონიზაციის პროცესს“.

ამრიგად, ეს ისეთი აღმოჩენებია, რომლებიც დათარიღებულია სწორედ იმ დროით, როცა კოლხეთს უბე ჰქონდა. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ისეთი არქეოლოგიური აღმოჩენებიც, რომლებიც სწორედ +30 ჰორიზონტალს შიგნით ხვდება. როგორი აღმოჩენებია ესენი? ამ აღმოჩენათა უმრავლესი ნაწილი თარიღდება გვიანდელი ხანით, იმ დროით, როცა აქ უკვე ზღვა აღარ არსებობდა და შესაძლებელი იყო კულტურული ფენებისა და

* იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 52.

ძეგლების წარმოშობა. მივყვეთ თვით არქეოლოგიურ ფაქტებს: ჭალადიდის სატყეოს ნამოსახლარზე მოპოვებულია სინოპური ამფორის ძირი III-II საუკუნისა ძვ. წელთაღრიცხვით. ჭალადიდი ფოთიდან 20-22 კმ-ზეა დაშორებული.

ასევე, პატარა ფოთთან და ჭალადიდთან არქეოლოგიამ აღმოაჩინა ჩვენი ერის (V, VI, საუკუნეების და ა. შ.) ძეგლები (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 52). როგორც ვხედავთ, +30 ჰორიზონტალს შიგნით მოხვედრილი ძეგლები გვიანდელი ხანისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ხანებში იქ ზღვა აღარ იყო და ცხოვრება შეიძლებოდა.

ჩვენ ვერ მივჩქმალავთ ჩვენ მიერ აღმოჩენილი კანონზომიერებიდან გადახვევის ფაქტებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტად მცირენი არიან. მაგ: არქეოლოგიის თვალსაზრისით ფოთის მიდამოებში აღმოჩენილი ჰერაკლეას ამფორათა ფრაგმენტები თარიღდება IV-III საუკუნეებით. თუ აქ, ფოთის მიდამოებში ნაგულისხმევია დღევანდელი ფოთიდან 10-15 კმ, მაშინ ამგვარი დათარიღება საეჭვოა, რადგან ჯერ კიდევ აგათიას დროიდან (VI საუკუნე) ფოთის მიდამოებს 7 კმ. მატერიკი შეემატა.

რით ავხსნათ ეს? აქ ვფიქრობთ, ან არქეოლოგიურ დათარიღებათა უზუსტობასთან გვაქვს საქმე, ანდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უბეში არსებული კუნძულების გამოყენებასთან კოლხთა მიერ.

ამრიგად, III, II, I ათასწლეულებში აქ რიონის ხეობა ამოვსებული არ უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისს იზიარებს შაფრანოვიც[47].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვასკვნით:

ძვ. წ. აღ. მესამე და პირველ ათასწლეულებში პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე უბე ჰქონდა. იგი ფარავდა დიდ ტერიტორიას დღევანდელი ფოთის მერიდიანიდან ვანის რაიონის სოფ. ციხესულორის ძირამდე, გურია-აჭარის მთების ბორცვებზე რომ არის გაშენებული. უბეს ეჭირა +40 ჰორიზონტალს დაბლა მოქცეული ფართობი, დაახლოებით 3-4 ათას კვ. კმ-ის რაოდენობით.

უბის თავში პონტოს ერთვოდა მდ. ფაზისი, რომელსაც მაშინ მოჰქონდა ათჯერ მეტი ნამდნარ ყინულთა წყალი. მეტი წყალი მოჰქონდა ფაზისის შენაკადებსაც. ყველა მდინარის ნამდნარი წყალი ერთვოდა ფაზისს ან უშუალოდ ჩაედინებოდა რა უბეში, ქმნიდა მოძრავ უბე-ნაკადს. ფაზისის ეს წყალუხვობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ბერძნებს. ამიტომაც უწოდეს მას „ჩვენ მდინარეთა მეუფე“, „ევრაზიის გამყოფი ფაზისი“ და სხვ.

დღეს კოლხეთის სანაპირო მხოლოდ 180 კმ-ია. აქ ჭირს დატევა იმ ტომებისა და ხალხებისა, რომლებიც ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებით აქ ცხოვრობდა. მაგრამ თუ კოლხეთის ყურეს ვიგულისხმებთ, მაშინ გამოდის 300 კმ-იანი სიგრძის სანაპირო, სადაც უფრო თავისუფლად მოთავსდებოდა ყველა ტომი.

ამოიხსნა, თუ რა არის „აია“ და სად მდებარეობდა იგი. საშუალება მოგვეცა ვთქვათ, რომ აია აღარ არის ის ტერმინი, რომლის „გეოგრაფიული ძიება უგუნურება იქნებოდა“[48]. აია აღარ არის «Мифическая эя».[49] მითიური სახელი „აია“ რეალური ქალაქი გახდა. მისი ადგილმდებარეობა დადგინდა.

გაირკვა ქ. ფაზისის ადგილმდებარეობები. აღმოჩნდა, რომ ფაზის 1 არის აია ქალაქის საზღვაო პორტი-ქალაქი. გაირკვა მათი ურთიერთობანი და გაირკვა გამოთქმა: „აიას ხომ ქ. ფაზისთან მიგვასწავლიანო“. ქ. ფაზისი აია ქალაქის ნაპირზე, წყლის პირად მდგარა.

გამოჩნდა რიგით მეორე ფაზისი, „უმშვენიერესი“ ქალაქი.

განმტკიცდა არსებული მოსაზრება ქ. სურიისა და სვირის იდენტურობის შესახებ.

დადასტურდა უმნიშვნელოვანესი ფაქტი — არგონავტების ყოფნა აია-კოლხეთში. კოლხეთის ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებს სხვაგვარი გაგება და ელფერი მიეცა, რის შემდეგაც აღარაა გასაკვირი, თუ რატომ მოისწრაფოდნენ ბერძნები კოლხეთისაკენ.

ვფიქრობთ, რომ პონტოს აღმოსავლეთი სანაპიროს ისტორიული სინამდვილე, მოგვიანებით, მაგრამ მაინც აღსდგა, ამიერიდან ზღვარი დაედო კოლხური ტომების „უმისამართო ძიებას“. კოლხთა ნამდვილი საბინადრო მონახულია. საბოლოოდ, საჭიროა განვაცხადოთ, რომ ყოველივე ზემოთქმული ჩვენს სუბიექტურ შეხედულებათა სისტემატიზაციას კი არ წარმოადგენს, არამედ ობიექტურად გამომდინარეობს ძველ ავტორთა ფაქტობრივი მონაცემებიდან.

ასეთია ძველი კოლხეთის რეალური სახე.

წინამდებარე ნარკვევში შესაძლებლობა არ გვქონდა მრავალი აღძრული საკითხი ფართო ასპექტში წარმოგვედგინა, რის შესრულებასაც ახლო მომავალში ვაპირებთ.

### მითითებული ლიტერატურა და განმარტებანი

1. პომპონიუს მელა, ლათინელი მწერალი. ჩვენს ერამდე პირველი საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე. უფრო დაწვრ. იხ. ალ. გამყრელიძის „პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ“, წიგნში ქართული წყაროთმცოდნეობა, 1965.

2. ალ. გამყრელიძე, „პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ“.

3. მდ. რიონის ძველი სახელწოდება.

4. მილეტელი კოლონიზატორი, რომელსაც მიაწერენ ქ. ფაზისის დაარსებას.

5. კოლხეთის მეფის აეტის სიძე, არგონავტიკის მიხედვით. იხ. აკ. ურუშაძის „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბ., 1964, გვ. 542.

6. ოქროს ვერძის ტყავის ადგილსამყოფელი.

7. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ჩრდილოეთის მთები. აკ. ურუშაძე, დას. ნაშრომი, გვ. 536.

8 სტუმართმოყვარე პონტო, სტუმართმოყვარე ზღვა.

9. აზოვის ზღვა.

10. დონის სახელწოდება.

11 მაგ. Джон Томсон, История древней географий, М., 1953, стр. 321.

12. მაქსიმე ბერძნიშვილი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“, თბ., 1969, გვ. 15-20.

13. აკ. ურუშაძე, დას. ნაშრომი, გვ. 312,

14. ВДИ, 1947, № 2, გვ. 250, შენ. № 1.

15. პერიპლუსი ნიშნავს საგეოგრაფიო მწერლობის ჟანრს, ზღვით მოგზაურობის აღწერილობას.

16 Земля во вселенной, изд. «Мысль», М., 1964, გვ. 220—221.

17. იქვე.

18. იქვე.

19. იქვე.

20. იქვე.

21 Страбон, География, изд. «Наука», Л., 1964, გვ. 293, 294 (294, სადაც მოჰყავს ცნობები ეფორესაგან (ძვ. წ. ალ. IV ს.), კლიტარქედან (ძვ. წ. ალრ. IV ს.), პიფეიდან (ძვ. წ. ალ. IV ს), სოფოკლედან (ძვ. წ. ალ. V ს.), სოკრატედან (ძვ. წ. ალ. V ს.) და სხვ.

22. იქვე, გვ. 268.

23. იქვე, გვ. 268.

24 Дьяконов и Никольский, История древнего мира, М., 1952, ч. I, გვ. 769.

25 Страбон, География, Л., გვ. 293—295.

26 Земля во вселенной, გვ. 222.

27 Страбон, География, кн. 1, გვ. 36.

28 Соловьев, Устья рек, გვ. 262.

29. ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 4-26.

30. გადმოცემით ფრიქსეს შვილს კოლხეთში უცხოვრია. საბერძნეთში მიმავალს საზღვაო ავარია მოუხდა და არგონავტებმა აიყვანეს თავიანთ გემზე.

31. ნ. ა. კუნი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბ., „განათლება“, 1965, გვ. 244.

32. აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.

33. „ოიკუმენა“ — ბერძენთათვის ცნობილი დასახლებული სამყარო.

34. აპ. როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1970, გვ. 129.

35. სტრაბონი, 497, გვ. 472.

36 Эсхил, По Латышеву, т. 1, С-ПБ, 1896. გვ. 336—338.

37 Бондарский, Античная геогр., М., 1953, გვ. 238.

38 ВДИ, 1957, № 4, გვ. 109.

39. ფლ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის თარგმანი, თბ., 1961, გვ. 41.

40 Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, СПБ, 1904, გვ. 178—179.

41. აკ. ურუშაძე, დას. ნაშრომი, გვ. 332.

42 Страбон, География, с. 45, გვ. 53.

43. მაგ. ბოჩოხაძის წერილი ჟურნალ „მოამბეში“, 1967, № 2, გვ. 547.

44. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 27-33.

45 ВДИ, 1947, № 2, გვ. 250.

46. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძვ. კოლხეთი, თბ., 1966.

47 Шафранов, Образоваине Рионской низменности в течении исторического периода, Сборник сведений по Кутаисской губернии. 1885, გვ. 36—41. აგრეთვე გუჯაბიძე, კოლხეთის დაბლობის წარმოშობა, მეცნ. და ტექნიკა, 1969, № 8, გვ. 36-41.

48. აკ. ურუშაძე, დას. ნაშრომი, გვ. 8.

49 ВДИ, 1947, № 2, გვ. 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ პატარიძე

# ქართული ასომთავრული

## 8. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები

ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები გამოყვანილია არა ბერძნული ასო-ნიშნების გრაფიკისა და ბერძნული ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობის საფუძველზე, არამედ სემური და, კერძოდ, ფინიკიური დედა-ანბანური დამწერლობის გრაფიკისა და სემური და, კერძოდ, ფინიკიური ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობის გათვალისწინების საფუძველზე. მაგრამ, რადგან ქართულ ანბანში „სემური" და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის გარდა „ბერძნული" ანბანური ჯგუფიც დასტურდება, ამის გამო ქართული ანბანის „ბერძნული" ანბანური ჯგუფის ფონემებს რამდენიმე ფონეტიკური კორექტივი შეაქვთ ქართული ანბანის „სემურ" ანბანურ ჯგუფში. ამიტომაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ქართული ანბანის „სემურ" ანბანურ ჯგუფში ასო-ნიშნებს სემურ-ბერძნულ-ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ქვემოთ თანმიმდევრულად განხილულია ქართული ანბანის „სემური", „ბერძნული" და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფები, ხოლო ანბანურ ჯგუფებში თითოეული ასომთავრული ასო-ნიშნის გრაფიკული რაობა თანმიმდევრულად და ცალცალკეა განხილული.

### I. „სემური" ანბანური ჯგუფი

ან

1. 2. არქაული და კლასიკური ფინიკიური. 3. ქართული ასომთავრული. 4. არქაული და ბუსტროფედონური ბერძნული. 5. კლასიკური ბერძნული. 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.



გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

ქართული ასომთავრული „ან“ შექმნილია ფინიკიური „ალეფ“ ასო-ნიშნის გრაფიკული ნახაზის საფუძველზე. სემიური ანბანური მწკრივის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამაა, ხოლო მისი ფონემური მნიშვნელობა განპირობებულია სემიური ანბანური დამწერლობის აკროფონიული პრინციპით. „'ალეფ“ ხარს ნიშნავს, რის გამოც ასო-ნიშანს მინიჭებული აქვს ხორხისმიერი ბგერის მნიშვნელობა, ხოლო ასო-ნიშნის სახელია „'ალეფ“ ('ალფ) — ხარი (ჴარ-ი).

ფინიკიური ანბანის პირველი გრაფემის დამწერლობის რამდენიმე ინვარიანტი არსებობს. ძირითადად: კუთხოვანი, ნახევრად-რკალური და რკალური. ერთ და იმავე წარწერაში შეიძლება გვხვდებოდეს გრაფემის სამივე ფორმა. მაგ.: IX-VIII სს. აზიტავადის წარწერაში დასტურდება „ალეფ“-ის როგორც კუთხოვანი, ნახევრად-რკალური, აგრეთვე რკალური ფორმა. V-VI სს-იდან არსებობს ფინიკიური დამწერლობის სამი ვარიაცია: სიდონური, კვიპროსული და პუნიკური. ამ დამწერლობებში „ალეფ“-ს შეიძლება ჰქონდეს როგორც კუთხოვანი, აგრეთვე რკალური მოხაზულობა.

ქართულ ასომთავრულ „ან“-ში განხორციელებულია დამწერლობის მონუმენტური პრინციპი. დამწერლობის ქართული მონუმენტური პრინციპის შესაბამისად, ფინიკიური კუთხოვანი თუ რკალური გრაფემა, ორივე შემთხვევაში, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში სრულყოფილ გეომეტრიულ რკალურ გრაფემად უნდა ქცეულიყო, ხოლო ფინიკიური გრაფემის გადამკვეთი მრუდე ხაზი ასომთავრულ ქართულში ზემო ჰორიზონტალურ ხაზად არის ქცეული. ქართული „ან“ არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის არა „ანტი“ ან „ინვერსიული“ ფორმა, არამედ ძირითადი ფორმა. ამ თვალსაზრისით ქართულ „ან“-ს შენარჩუნებული აქვს ფინიკიური შესაბამისი გრაფემის ძირითადი ფორმა და ზუსტად იცავს ფინიკიური გრაფემის პირ-მარჯვნივ მდებარეობას (შედარებისათვის კლასიკური ბერძნული „ალფა“ 90°-ით შეტრიალებულია და ამიტომ შესაბამისი ფინიკიური ასო-ნიშნის 90°-ის გრაფემად იწოდება).

ფინიკიური „ალეფ“ ასო-ნიშნის ირიბი ვერტიკალური ხაზი, როგორც ითქვა, ქართულ ასომთავრულ „ან“-ში ჰორიზონტალურ ხაზად არის ქცეული. დამწერლობის მონუმენტურ გრაფიკაში ეს დასაშვებია. ფინიკიური ასო-ნიშნის ირიბი ვერტიკალი ბერძნულ ასო-ნიშანში აგრეთვე ჰორიზონტალურ ხაზად არის ქცეული. გარდა ამისა, ქართული ასომთავრული „ან“-ის ზემო ჰორიზონტალური ხაზი ქართული დამწერლობის მონუმენტური არსის მნიშვნელობისაა, მთელ რიგ გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს და ამდენად თავისი ახსნაც აქვს:

1. ასო „ან“-ის ზემო ჰორიზონტალური ხაზი მონუმენტური დამწერლობის ჰწკარში ასო-ნიშნის ზემო ზღვარია;

2. იგივე ხაზი ქართულ მონუმენტურ დამწერლობაში ორი ჰწკარის გამყოფი ხაზია;

3. იგივე ხაზი მიმართულია მარცხნივ, რამდენადმე სცილდება „ან“-ის რკალს და ამდენად „ან“-ის წინ მდგომ ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს;

4. იგივე ხაზი ასო-ნიშნებთან გრაფიკული კავშირის მეოხებით ჰქმნის წონასწორობას, სიმეტრიას და პროპორციებს ასო-ნიშნებს შორის.




როგორც უკვე გამოირკვა ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარისა ანუ მთვარის ღმერთის იდეოგრამა-აკროფონია, ამიტომაც ქარ-

თული ანბანის პირველ ასო-ნიშანს არ ეწოდა „ალეფ“ (სემური ასო-ნიშნის სახელი) და „ალფა“ (ბერძნული ასო-ნიშნის სახელი), რადგანაც ქართული ასომთავრული დამწერლობის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა არ არის. გარდა ამისა, ქართულ ასომთავრულ ანბანში 34-ე, ასო-ნიშნად ხარის იდეოგრამა ზის, რის გამოც აკროფონიულად ასო-ნიშანს „ჯ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს, ხოლო ასო-ნიშნის სახელიც ამიტომ „ჯარ“-ია (იხ. ასო-ნიშანი „ჯარ“-ი).

ქართული ასომთავრული „ან“ — გრაფემა ცხოველი ხარის იდეოგრამა რომ ყოფილიყო, აკროფონიული პრინციპით ამ ასო-ნიშანს „ჯ“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო ასო-ნიშნის სახელი „ჯარ“ უნდა ყოფილიყო.

სემური ანბანური დამწერლობის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპის შესაბამისად (ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ბერძნული და ქართული დამწერლობისა ერთი და იგივეა) ანბანის პირველ ასო-ნიშანს უნდა ჰქონდეს „ა“ ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა და არ შეიძლება ჰქონდეს „ჯ“ — ხორხისმიერი ბგერის მნიშვნელობა. ამის გამო, ფინიკიური და ქართული ანბანების ერთი და იგივე იდეოგრამა-აკროფონები ფინიკიურ და ქართულ ანბანებში სხვადასხვა ადგილზე სხედან, ფინიკიური და ქართული ენების ფონეტიკისა და აკროფონიის სხვადასხვაობის გამო.

რადგან ასომთავრული „ან“ მთვარის იდეოგრამაა, ხოლო „ან“-ის რკალი მთვარის აღმნიშვნელია, გასარკვევია „ან“ რკალური გრაფემის ზემო ჰორიზონტალური ხაზის ასტრალურ-იდეოგრაფიული რაობა. თუკი „ან“-ის ზემო ჰორიზონტალური ხაზი ასო-ნიშნის ზედა ზღვარია და გრაფიკული ახსნა-განმარტება ეძებნება, ამავე ხაზს ერთდროულად იდეოგრაფიული მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს, ე. ი. ასტრონომიულად მთვარის ცაზე სრბოლის ზემო მიჯნა, ზედა ზღვარი უნდა იყოს.

მაგრამ ჯერ ასომთავრული „ან“-ის რკალური მოხაზულობის იდეოგრაფიული რაობის შესახებ: ჯერ „ან“-ის რკალი ზოგადად, იდეოგრაფიულად მთვარეს ნიშნავს და არა, ვთქვათ, მთვარის რომელიმე ფაზას. ძველი ხალხები: შუმერები, ეგვიპტელები, ძველი კრეტელები, ჩინელები, ხეთები, ბერძნები და სხვ. მთვარეს რკალის სახით გამოსახავდნენ და არა, ვთქვათ, წრის სახით, ცხადია იმიტომ, რომ მზისაგან განესხვავებინათ. ოღონდ მთვარეს გამოსახავდნენ ან მარჯვნივ, ან მარცხნივ შეტრიალებულს, ან აღმა ამართულს. ყველა ასეთ შემთხვევაში ზოგადად მთვარე იგულისხმებოდა.

ახლა რაც შეეხება „ან“ ასო-ნიშნის ზემო ჰორიზონტალურ ხაზს ანუ მთვარის ზედა ზღვარს.

საერთოდ, მთვარის ცაზე მოძრაობის თეორია ერთერთი ურთულესი ასტრონომიული თეორიაა. ამიტომაც, ძველთაგანვე, მთვარის ხილული მოძრაობის კანონზომიერებათა დადგენა ასტრონომოსთა და ქურუმთა მთავარი ასტრალური საზრუნავი იყო.

მთვარის ხილული გადანაცვლება ცაზე და მთვარის ფაზები დედამიწის დღეღამური ბრუნვისა და მთვარის დედამიწის ირგვლივ გარშემოქცევის შედეგია. მთვარის ერთ გარშემოქცევას დედამიწის ირგვლივ სიდერული თვე ეწოდება. სიდერული თვის ხანგრძლივობა 27,32 დღეღამეს შეადგენს. მთვარის სიდერული თვის გარდა არსებობს მთვარის ე. წ. სინოდური თვე. სინოდური თვე მთვარის ფაზების ერთი სრული ციკლია. სინოდური თვის ხანგრძლივობა 29,53 დღეღამეს შეადგენს. ამიტომაც მთვარის წელიწადით თვეში ხან 29 დღეა, ხან 30, ხოლო მთვარის წელიწადი 354 დღეს შეადგენს.

მთვარის ოთხივე ფაზა ე. ი. მთვარის ერთი სრული ციკლი, ნებისმიერად შეგვიძლია ვიანგარიშოთ. ვთქვათ, ან ახალი მთვარიდან ახალ მთვარემდე, ან მთვარის სავსებიდან მთვარის სავსებამდე. მთვარის ფაზებია: ახალი მთვარე,

პირველი მეოთხედი, მთვარის სავსება და უკანასკნელი მეოთხედი (მცხრალი მთვარე). ყოველი ფაზა დაახლოებით 7 დღეს შეადგენს, ხოლო მთვარის ერთი სრული ციკლი 4×7=28 დღეღამეა. მცხრალი მთვარის შემდეგ ახალ მთვარემდე დღე-ნახევარს ან ორ დღეს მთვარე ცაზე არ ჩანს, რადგან მზესთან შეერთებაშია და მზის სხივები ფარავს.

მთვარეს, როგორც მზესა და ვარსკვლავებს, აქვს თავისი ხილული ტრაექტორია ცაზე. ცარგვალზე მნათობთა მსვლელობის ტრაექტორია დახრილია ჰორიზონტის სიბრტყის მიმართ და ცის ეკვატორის პარალელურია. ამიტომ მნათობთა სრულ ერთ დღეღამურ წრეწირს ცარგვალზე დღეღამური პარალელი ეწოდება.

ჰორიზონტისადმი დახრილ დღეღამურ პარალელს იგივე ჰორიზონტი მნათობის ცარგვალზე მსვლელობის ხილულ და უხილავ ტრაექტორიებად ყოფს. ჩრდილო. ჩვენთვის ხილულ და სამხრეთ, ჩვენთვის უხილავ ტრაექტორიად.

ჩრდილო, ხილულ ტრაექტორიაზე მოძრაობისას, მზის მაგალითით რომ ცხადვყოთ, მზე ყოველ დღე აღმოსავლეთიდან ამოსვლის შემდეგ ზევით და ზევით მიიწევს ცაზე, ვიდრე ცარგვალზე მსვლელობის უმაღლეს წერტილს მიაღწევს. ამის შემდეგ მზე დასავლეთისკენ იხრება და მისი ტრაექტორია დასავლეთისაკენ ეშვება. მზე ჩადის.

ასტრონომიაში მიღებულია ცის მერიდიანის ცნება. ცის მერიდიანი ცარგვალს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებად ყოფს. იგივე ცის მერიდიანი მნათობთა ტრაექტორიას ცაზე ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. ე. ი. როცა მნათობი ცის მერიდიანის გადაკვეთის წერტილშია, მაშინ იგი შუაგზაზეა და თავისი ტრაექტორიის უმაღლეს წერტილშია. ამ მომენტს მნათობის კულმინაცია ჰქვია. დღეღამურ პარალელზე მსვლელობისას მნათობი დღეღამის განმავლობაში ერთხელ ზედა და ერთხელ ქვედა კულმინაციაშია. ისევ მზის მაგალითით რომ ცხადვყოთ, მზე ყოველ დღე, **შუადღისას** ზედა კულმინაციაშია, ხოლო **შუაღამისას** კი ქვედა კულმინაციაში. ცხადია, მზის ქვედა კულმინაცია ცის სამხრეთ ნახევარსფეროში ხდება და ჩვენთვის უხილავია. ცნობილია, რომ მზის კულმინაციის სიმაღლე ცაზე წლის განმავლობაში იცვლება: მზის მაქსიმალური ზედა კულმინაცია ზაფხულის მზებუდობის დროსაა, ხოლო მაქსიმალური ქვედა კულმინაცია ზამთრის მზებუდობის დროს.

მთვარის ხილული მოძრაობა ცაზე უფრო რთულია. საერთოდ კი, ასტრონომოსების თქმისა არ იყოს, მთვარის მოძრაობის თეორია ერთ-ერთი ურთულესი ასტრონომიული პრობლემაა.

მთვარის ხილული მსვლელობა ცაზე იცვლება როგორც თვის, აგრეთვე წლის განმავლობაში. თვის განმავლობაში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მთვარე სხვადასხვა ფაზაშია ცაზე, როცა მთვარე სულ არ ჩანს, მაშინ იგი მზესთან შეერთებაშია და მზის სხივებში იკარგება. ამ დროს მზისა და მთვარის ამოსვლა და ჩასვლა ან მათი კულმინაცია ერთდროულად ხდება. ფაზების მიხედვით მთვარე სხვადასხვა დროს ჩანს ცაზე: ზოგჯერ მთელი ღამის განმავლობაში ანათებს, ზოგჯერ საღამოსვე ჩადის და ა. შ. ამის გამო, თვის განმავლობაში მთვარის ზედა კულმინაცია სხვადასხვა დროს ხდება და ხშირად უხილავია.

ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა ენიჭება მზისა და მთვარის ურთიერთ მიმართულებას ცაზე. როცა მთვარე მზის მოპირდაპირე მხარეზეა, ე. ი. მზისა და მთვარის პირისპირ დგომისას, სავსე ანუ ბადრი მთვარე **შუაღამისას** ყოველთვის ზედა კულმინაციაშია. ამ დროს, შუაღამისას, მთვარის მოპირდაპირე მხარეს, მზე ქვედა კულმინაციაშია. სავსე, ბადრი მთვარის ზედა კულმინაცია **შუაღამისას** თვეში ერთხელ ხდება.

წლის განმავლობაში მთვარის ზედა კულმინაციის სიმაღლე ცაზე იცვლება.

ზაფხულობით, სავსე მთვარის ზედა კულმინაცია შედარებით ახლოა ჰორიზონტთან, ზამთრობით, დეკემბერში სავსე მთვარის ტრაექტორია ცაზე უგრძესია, ხოლო დეკემბრის სავსემთვარეობის დროს მთვარე შუაღამეს მაქსიმალურ ზედა კულმინაციაშია.

ზოგადად შეიძლება ითქვას, ზამთრის მზებუდობისას (22 დეკემბერს), როცა მზის საშუადღეო სიმაღლე ანუ მისი ზედა კულმინაცია უმცირესია წლის მანძილზე, მიახლოებით ამავე ხანებში, სავსე მთვარე **შუაღამისას** ცაზე მსვლელობის ზედა ზღვარს, ზედა მიჯნას აღწევს. სავსე მთვარე მაქსიმალურ ზედა კულმინაციაშია.

ვფიქრობ, ქართულ ასომთავრულ „ან“-ში ეს ასტრონომიული ვითარებაა ასახული.

ცნობილია თუ არა ეს ასტრონომიული კანონზომიერება ქართულ ხალხურ ასტრონომიაში? როგორც ჩანს ცნობილია. ქართველი გლეხიკაცი ამბობს:

„დღე და ღამის განსხვავებას მზე და მთვარე ასწორებს, რაც სავალი და მიჯნა აქვთ იმას არ გასცდებიან. როცა დღე დიდია, ზაფხულში, მზეს დიდი სავალი აქვს და როცა ღამე დიდია, ზამთარში მთვარესა აქვს დიდი სავალი. მზეს ქრისტეშობის თვეში მოკლე გზა და სავალი აქვს ცაზე. ზამთარში მზე რო მოკლეზე დადის, მთვარე ზაფხულში დადის მოკლეზე“-ო.

„მთვარე ორი კვირის შეივსება, 15 დღისა მთვარე გარგვალდება... მთვარე ორი კვირისა შეივსება და **შუა ჰაერშია, შუა ცაზეა...** როცა მთვარე ორი კვირისაა, **შუა ცაზეა, ცას ასაშუალებს...** შუაღამეს მთვარე შუა ცაზე რომ არის — **საშუადღოზეა მთვარე“-ო.**[1]

სავსე მთვარის ზამთრის საშუაღამო კულმინაციას ქართველი კაცი საშუადღეოს ეძახის და მზის საზაფხულო საშუადღეო კულმინაციას ადარებს. ვფიქ-

[1] საქ. მეცნ. აკადემიის, 1971 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქვემო ქართლისა და ერწო-თიანეთში. ჩაწერილია ჩემს მიერ. **(რ. პ.)**

რობ, მთვარის კულმინაციას უკეთ ვერ იტყვის კაცი.

სავსე მთვარის ზამთრის საშუაღამო კულმინაცია ძველ ხალხთა უძველესი ასტრალური მოტივია, რომელიც ზამთრის მზის მოქცევას შეეხება.

პროფ. ალფრედ იერემიას წერს:

„როდესაც ზამთრის მზის მოქცევისას მთვარე ბადრი ანუ სავსე თავის უმაღლეს წერტილს აღწევს ცაზე, მაშინ მზეს შუადღისას თავისი უმდაბლესი ალაგი აქვს ცაზე და წინა-უკმოდ... მისტიკოსთ სურთ შუაღამისას ბადრი მთვარის პირდაპირ 180 გრადუსზე მდგარი **მზე დედამიწის იქით,** ხმელეთის გადაღმა იხილონ.“[1]

საერთოდ, უძველესი დროიდან, მთვარე უკავშირდება დროის აღრიცხვას და კალენდარს. ო. ნეიგებაუერი წერს:

«Вавилонский календарь во все периоды был действительно лунным...[2].

„სინ“ — მთვარე — ბაბილონური ღმერთი, იყო ღმერთი, დროისა და კალენდარისა; მთვარე-ღმერთი იყო სიბრძნე და მეცნიერება.

ქართული ასომთავრული ანბანის „ან“, როგორც მნათობი მთვარე და მთვარის ღმერთი ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანია, პირველ ცაზე, მთვარის ცაზე ზის და არა მხოლოდ ქართულ ანბანს, არამედ, როგორც ჩანს, მთვარის სრულ ციკლს — მთვარის ოთხ შვიდეულს იწყებს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული იყოს მთვარის კალენდარული იდეა.

რადგან ქართულ ანბანში პირველ ასო-ნიშნად მთვარის იდეოგრამა-აკროფონი ზის, ამ ვითარებას, როგორც

[1] პროფ. Alfred Jeremias – Shamash, der Balylonisch – assirische Sonpengott in Roschers lexikon. ტ. IV, გვ. 534.

[2] О. Нейгебауер. Точные науки в древности. пер. с английсского, М., 1968, გვ. 114.

ჩანს, თავისი ასტრონომიული და ასტრალურ-თეოლოგიური გამართლება აქვს.

საერთოდ ძველ ხალხთა ასტრალურ რელიგიაში ცნობილია შვიდი მთავარი ვარსკვლავური ღმერთი. ამ მნათობ-ღმერთთა ჩვეულებრივი რიგი ასეთია:

1. მთვარე, 2. მზე, 3. იუპიტერი, 4. ვენერა, 5. სატურნი, 6. მერკური, 7. მარსი. მნათობ-ღვთაებათა ამ რიგში მთვარე პირველ ადგილზეა.

ასტრალურ რელიგიაში ცნობილია მნათობ-ღვთაებათა სამება ანუ ტრიადა: 1. მთვარე, 2. მზე, 3. ვენერა.

მნათობ-ღმერთთა ტრიადაში მთვარე პირველ ადგილზეა.

ძველი ასტრონომიული მსოფლმხედველობით მნათობთა თანამიმდევრობა დედამიწიდან მათი დაშორების მიხედვით შემდეგია:

1. მთვარე, 2. მერკური, 3. ვენერა, 4. მზე, 5. მარსი, 6. იუპიტერი, 7. სატურნი.

მნათობთა რიგში მთვარე კვლავ პირველია.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია ძველი, წარმართული ხანის ასტრალურ-რელიგიური მრწამსი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართულ ასომთავრულ ანბანში მნათობ-ღვთაებათა ტრიადა დასტურდება. ასტრალურ ღვთაებათა ძველ-ბაბილონურ ტრიადაში ღვთაებათა რიგი ასეთია. 1. სინ (მთვარე), 2. შამაშ (მზე), 3. იშთარ (ცისკარი).

აღსანიშნავია, რომ ძველ-ბაბილონურ ღმერთთა ტრიადაში მთვარე-ღმერთი მამრი ღვთაებაა, ხოლო მამრი ღვთაების უპირველესი ემბლემა — ხარია. ხარი მთვარის ღვთაების ზოომორფული სახეა, მისი მამრული ძლიერების გამოხატულებაა. მთვარის ღვთაება ზეციერი ხარია.[1]

როგორც ცნობილია, ქართულ წარმართულ ასტრალურ პანთეონში მთვარე-ღმერთი მამრი ღვთაებაა, ხოლო ქართულ ასომთავრულ ანბანში „ან“ — მთვარის ღმერთის ემბლემა „ქარ“-ია (ხარი).

ამგვარად როგორც ძველ-ბაბილონურ ტრიადაში, ასევე ქართულ წარმართულ პანთეონში, მთვარე-ღმერთი მამრი ღვთაება იყო, ხოლო ქართულ ასომთავრულში, როგორც ჩანს, „ან“ — მთვარის ღმერთი აგრეთვე მამრი ღვთაებაა, რადგან მისი სიმბოლო ხარია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ასომთავრულის „ან“ და „ქარ“ შუმერულად მთვარის ღმერთსა და ხარს ნიშნავს. გარდა ამისა, მთვარე-ღმერთი ქართულ ანბანში მამრი ღვთაებაა, რადგან იგივე ქართულ ასომთავრულში მნათობ-ღმერთთა ტრიადა დასტურდება.

ძველი ასტროლოგიური მოძღვრების თანახმად ანბანის პირველი შვიდი ასონიშანი თანამიმდევრულად შვიდ ცას განეკუთვნება, ხოლო პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას ანუ მთვარის ცას ეკუთვნის,[1] ე. ი. ასტროლოგიური მოძღვრების თანახმად მთვარის ღმერთი ქართულ ასომთავრულ ანბანში პირველ ცაზე, მთვარის ცაზე ზის.

ისევ ასტროლოგიური მოძღვრების თანახმად შვიდ მნათობს მიკუთვნებული აქვს რომელიმე ცხოველი: 1. მთვარეს — ხარი; 2. მერკურის — გველეშაპი; 3. ვენერას — მტრედი; 4. მზეს — ლომი; 5. მარსს — მგელი; 6. იუპიტერს — არწივი; 7. სატურნს (ზუალს) — ვირი.

ამგვარად, ასტრალური თეოლოგიით მთვარე-მამრი ღვთაების სიმბოლო ხარია, ხოლო ასტროლოგიურად მთვარეს ცხოველი ხარი განეკუთვნება.

როგორც უკვე გაირკვა, ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასონიშნის „ან“ — მთვარისა და მთვარის ღმერთის წმინდა რიცხვი არის შვიდი.

[1] Д. Н. Овсяннико-Куликовский к вопросу о «быке» в религиозных представлениях «древнего востока», Одесса, 1885 г., გვ. 14.

[1] W. Wundt. Voelkerpsychopogie, ტ. II ნაკვეთი III. გვ. 545. ლეიპციგი. 1909 წ.

ქართული ანბანის ერთება ხუთ შვიდეულს შეადგენს. ქართული ანბანის ერთებას სამი განზომილება აქვს: სამი, ოთხი და ხუთი შვიდეულისა. ქართული ასომთავრული „ან“ სამ შვიდეულს აერთიანებს, ხოლო „ან“ და „ქარ“ ასონიშნები ოთხ შვიდეულს (3+1); ვფიქრობ იმის გამოც, რომ ქართულ ანბანს მთვარე იწყებს და ხარი ამთავრებს, ქართული ასომთავრულის „ან“-ისა და „ქარ“-ის ოთხ შვიდეულში მთვარის კალენდარული იდეა უნდა იყოს განხორციელებული. მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ანბანში ხუთი შვიდეული გვაქვს, ერთი შვიდეულის რაობა გასარკვევია. საერთოდ ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. ქართული ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემა შექმნილია ფინიკიური პირველი ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე.

2. ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანში განხორციელებულია დამწერლობის ზოგადი მონუმენტური გრაფიკის პრინციპი.

3. ქართული ანბანის პირველი ასონიშანი თავისი გრაფიკული შინაარსით ქართული ასონიშანია: მთვარის იდეოგრამაა და მთვარის აკროფონიც არის.

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური, 2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური (5-3 სს. ძვ. წ.), 3. ქართული ასომთავრული, 4. არქაული და ბუსტროფედონური ბერძნული, 5. კლასიკური ბერძნული; 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.




ქართული ასომთავრული „ბან“ შექმნილია ფინიკიური „ბეთ“ ასო-ნიშნის გრაფიკული ნახაზის საფუძველზე. ფინიკიური გრაფემის უსწორო შვეულის გასწორხაზოვნებისა და ფინიკიური მრუდე ზემო რგოლის სრულყოფილ რგოლად გარდაქმნის მეშვეობით, ქართულ „ბან“-ში განხორციელებულია დამწერლობის მონუმენტური პრინციპი. ქართული „ბან“ არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის არა „ანტი“ ან „ინვერსიული“ ფორმა, არამედ ძირითადი სემური ფორმა. ამ თვალსაზრისით ქართული „ბან“ ზუსტად იცავს ფინიკიური გრაფემის პირ-მარცხნივ მდებარეობას (შედარებისათვის: კლასიკური ბერძნული „ბეტა“ ფინიკიური გრაფემის ინვერსიული ფორმაა და პირმარჯვნივ არის მიბრუნებული. ბერძნული „ბეტა“ ფინიკიური გრაფემის ინვერსიული ფორმაა და არა „ანტი“ — ფორმა, რადგან ბერძნულ გრაფემას დაემატა არა ქვედა, არამედ ზედა რგოლი).

ქართულ „ბანს“ დამატებით ნიშნად აქვს ქვემო, მარჯვნივ წარზიდული შვერილი (შედარებისათვის: კლასიკურ ბერძნულ „ბეტას“ დამატებით გრაფიკულ ელემენტად რგოლი აქვს). აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ — როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ წარწერებში, ფინიკიურ „ბეთს“ ქვემო კიდური, ქართული „ბან“-ის საპირისპიროდ, მკვეთრად მარცხნივ აქვს წარზიდული (მაგ.: აჰირამის XIII ს. ძვ. წ.; აბიბაალის — X ს. ძვ. წ.; ტაბნიტის — IV ს. ძვ. წ. წარწერებში), ე. ი. ფინიკიური და ქართული შესაბამისი ასო-ნიშნები ქვედა შვერილის საპირისპირო მიმართულებით განსხვავდებიან.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ